14
974/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

4

1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე № 4 აპრილი, 1974 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი


სერგეი ალექსეევი — მოთხრობები ლენინზე. თარგმნა გიორგი ნატროშვილმა . . . . . 3

ხუტა ბერულავა — თინა თორთიზელი. პოემა . . . . . 10

ალექსანდრე ებანოიძე — ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი. რომანი. გაგრძელება . . . . . 19

გიორგი კაჭახიძე — ლექსები . . . . . 49

გიგი ხორნაული — ვიწრო ბილიკი. მოთხრობა . . . . . 52

ალექსანდრე გეგაშვილი — ლექსები . . . . . 72

ჯარჯი ფხოველი — ლექსები . . . . . 74

ზურაბ გიორგობიანი — ლექსები . . . . . 76

ოტია იოსელიანი — დაჩის ზღაპრები . . . . . 78

მირონ ხერგიანი — კლდის ვეფხვი. ბიოგრაფიული რომანი. დასასრული . . . . . 89

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი მერკვილაძე — გალაკტიონის პოეტური სტილი . . . . . 128

ჰრაჩია ბაირამიანი — ილია ჭავჭავაძე და რევოლუციამდელი სომხური პრესა . . . . . 142

ოთარ ფირალიშვილი — ჰუმანისტური იდეების ერთი ფრესკული ანარეკლის გამო . . . . . 146

ნელი უზილავა — ლორენს სტერნი და კომიკურის პრობლემა . . . . . 149

ნოდარ კიკვაძე — დაუმორჩილებელი ინდოჩინეთი . . . . . 156

ვენერა კავთიაშვილი — დაკარგული თაობის თემა . . . . . 169

ფაქტები, მოგონებანი

მურმან ჯგუბურია — მზე დედაა ჩემი... . . . . . 173

წიგნების მიმოხილვა

ემზარ კვიტაიშვილი — გაცოცხლებული მატიანე . . . . . 182

საზღვარგარეთ . . . . . 187


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 25/II-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-74 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 00015. ტირაჟი 13.000 შეკვ. № 699

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი“, 1973 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი ალექსეევი

# მოთხრობები ლენინზე

## ენაჭარტალა დეპეშა

თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ კონსტანტინოპოლში, საბჭოთა წარმომადგენელი ა. პ. სერებროვსკი მოლაპარაკებას აწარმოებდა სავაჭრო ხელშეკრულებათა თაობაზე.

თურქეთის სავაჭრო ფირმების მუშაკთა გარდა, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდნენ კომერსანტები საფრანგეთიდან და იტალიიდან.

დასდო სერებროვსკიმ სავაჭრო ხელშეკრულებანი და გზავნის დეპეშას სამშობლოში.

უდეპეშებს, რომ აწარმოებდა მოლაპარაკებას, და მას ესწრებოდნენ არა მარტო თურქი კომერსანტები, არამედ — ფრანგებიც, და არა მარტო ფრანგები, არამედ — იტალიელებიც. ყველანი გავიცანიო და ყველასთან დავდე სავაჭრო ხელშეკრულებანიო.

უდეპეშებს, რომ კარგად მიიღეს და დიდებულად უმასპინძლდებოდნენ. დაწვრილებით იტყობინება იმასაც, თუ რა ჭამა და რა დალია. ვსვამდი თურქულ ღვინოებს და არა მარტო თურქულს, არამედ ფრანგულსაცო და არა მარტო ფრანგულ ღვინოებს, არამედ — იტალიურსაცო.

წერს სერებროვსკი, დილიდან დაღამებამდე ვმუშაობდი, დრო ტყუილად არ დამიკარგავსო. ჩემი გულმოდგინება ანცვიფრებდა თურქ კომერსანტებს, და არა მარტო თურქებს, არამედ ფრანგ კომერსანტებსაც და არა მარტო ფრანგებს, არამედ იტალიელებსაცო.

იტყობინება სერებროვსკი იმასაც, რომ დასდო ფრიად ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებანი, ისეთი ხელსაყრელი, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებსო, ისეთი ხელსაყრელი, რომ მე თვითონაც არ მოველოდიო.

ერთი სიტყვით, გამოგზავნა გრძელზე უგრძესი დეპეშა. ყველაფერი დაწვრილებით აღწერა, ისიც კი აღნიშნა, თუ როგორი ამინდები დაიჭირა კონსტანტინოპოლში.

ყველაფერს შეეხო სერებროვსკი, ოღონდ მთავარი გამორჩა.

დეპეშა ხელში ჩაუვარდა ვლადიმერ ილიჩს. კითხულობს ლენინი ამინდზე, კითხულობს თურქულ, ფრანგულ და იტალიურ ღვინოებზე, კითხულობს, თუ როგორ მუშაობდა სერებროვსკი დილიდან დაღამებამდე და როგორ დასდო ხელსაყრელი ხელშეკრულებანი, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი.

ეძებს ლენინი დეპეშაში იმ ადგილს, სადაც უფრო დაწვრილებით იქნება

ლაპარაკი ხელშეკრულებათა შესახებ. არ ჩანს პასუხი კითხვებზე:

— რით არის ხელსაყრელი ეს ხელშეკრულებანი?

— რასა და რას მოაწვდიან საბჭოთა ქვეყანას უცხოეთის ფირმები?

— რა თანხისას?

— როდის?

— მალე იქნება?

— რამდენ ხანში?

ორჯერ წაიკითხა დეპეშა ვლადიმერ ილიჩმა და ვერ მიაგნო პასუხს. გადასდო გვერდზე.

— ყბედები მომრავლდნენ. ყბედები და ბაქიები, — თქვა ლენინმა.

თქმა არ იკმარა და ნათქვამი მაშინვე მისწერა თვით სერებროვსკიმ. ასეც დაიწყო:

„წავიკითხე თქვენი ენაჭარტალა დეპეშა...“

და შემდეგ:

„გვაცნობეთ უფრო მოკლედ, უფრო ზუსტად...“

შემდეგ ხელი მოაწერა, ოღონდ ჩვეულებრივად არ მოუწერია. არც „სალამი“ დაწერა, არც „თქვენი“ და არც „მეგობრულად“. ხელმოწერა იყო ოფიციალური და მოკლე — „ლენინი“.

ასეთი პასუხი ვლადიმერ ილიჩისაგან — უიშვიათესი შემთხვევაა. მიხვდა სერებროვსკი თავის შეცდომას. დიდხანს და გულწრფელად განიცდიდა.

## ერთი და ხუთასი

მასწავლებელმა კრიდენერმა თავი გამოიჩინა მსოფლიო ომში. ჯერ რიგითი ჯარისკაცი იყო და მერე მეტყვიამფრქვევეთა დიდი რაზმის მეთაური გახდა.

— ფრონტზე ორმოცდარვა „მაქსიმს“ მეთაურობდა! — დაიტრაბახებდა ხოლმე კრიდენერის საბრძოლო ბიოგრაფიით ვესეგონსკის მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე (ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ, ვესეგონსკის მახლობლად მასწავლებლობდა კრიდენერი).

ახალგაზრდა და ტანადი მასწავლებელი იყო. ორი გიორგის ჯვარი ამშვენებდა გმირის მკერდს. გოგო-ბიჭები ჯგროდ დასდევდნენ. სიხარულით აღარ იყო თავმჯდომარე, ასეთი მასწავლებელი ჩავიგდეთ ხელშიო.

და უცებ, წითელ არმიაში გაიწვიეს კრიდენერი. მრისხანე 1918 წლის შემოდგომა იდგა.

— ეს როგორ! რატომ?! — აღშფოთდნენ მაზრაში.

როგორც წესი, მასწავლებლებს პირველ რიგში არ იწვევდნენ.

მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე იმუქრებოდა, მოსკოვში წავალ და პირდაპირ ამხანაგ ლენინს მოვახსენებო. შეასრულა კიდეც მუქარა, წავიდა მოსკოვში. იცოდა, რომ ვლადიმერ ილიჩი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სახალხო განათლებას.

მიიღო ლენინმა ვესეგონსკელი თავმჯდომარე. უამბობს სტუმარი ახალ მასწავლებელზე, აი როგორი შესანიშნავი მასწავლებელი გვყავსო, ახალგაზრდაც არისო, ტანადიცო. იმასაც უამბობს, ბავშვები ჯგროდ დასდევენო.

— და კიდევ ერთი, ვლადიმერ ილიჩ, — თავმჯდომარის ხმა საზეიმოდ აჟღერდა, — ფრონტზე ორმოცდარვა დაზგის ტყვიამფრქვევს მეთაურობდა! გმირობისათვის ორი გიორგის ჯვარი დაიმსახურა!

ესა თქვა და აღფრთოვანებულმა შეხედა ლენინს. დაე, იცოდეს ვლადიმერ ილიჩმა, როგორი მასწავლებელი გვყავს ვესეგონსკშიო.

ლენინი დიდი ყურადღებით უსმენდა.

— დახეთ! — თქვა მან, როცა თავმჯდომარემ ტყვიამფრქვევები ახსენა — დახეთ! — გაიმეორა, როცა თავმჯდომარემ გიორგის ჯვრები ახსენა. — მაშ, ორმოცდარვა ტყვიამფრქვევს მეთაურობდაო?

— დიახ, ვლადიმერ ილიჩ, ორმოცდარვა „მაქსიმს“.

— ბევრი გყავთ ასეთი მასწავლებელი, ორმოცდარვა ტყვიამფრქვევის მეთაურობა რომ შეუძლია?

— ერთი გვყავს, — ამაყად მიუგო თავმჯდომარემ.

— მაზრაში კი სულ რამდენი გყავთ მასწავლებელი?

ჩაფიქრდა თავმჯდომარე.

— დაახლოებით ხუთასი.

— აბა თქვენი მასწავლებელი ნამდვილი განძი ყოფილა.

— განძია, ვლადიმერ ილიჩ, მართლაც რომ განძია!

— სამხედროებისათვის, — დაასკვნა ლენინმა და ხელები გაშალა, — გულს გატკენთ, მაგრამ რას იზამ, მასწავლებელ კრიდენერის არმიაში გაწვევას უნდა შეურიგდეთ.

ვლადიმერ ილიჩს თვალში მოხვდა თავმჯდომარის შეწუხებული სახე.

— ნუ გეწყინებათ, ომია. სამხედრო საქმეში გამოცდილი ხალხი, ნამდვილად განძი არის ფრონტისათვის.

— განძი! ჰე, სხვა რამეს უნდა ჩავჭიდებოდი, სხვანაირად უნდა დამეწყო, — მერე ასე უწყრებოდა თავმჯდომარე საკუთარ თავს.

## პიჯაკი

ვლადიმერ ილიჩი და მოხუცი კოსიჩკინი ტყის ბილიკზე მიაბიჯებდნენ, ნელ-ნელა, აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ. ცხელი დღე იყო. ტყეში, ფიჭვების ჩრდილშიც კი საშინლად შეეხუთებოდა კაცს სული.

ლენინმა პიჯაკი გაიძრო.

— ნება მომეცით, ვლადიმერ ილიჩ, პიჯაკი წამოგიღოთ, — მიმართა კოსიჩკინმა ლენინს.

— არა, არა, გმადლობთ. მე თვითონ წამოვიღებ.

გადაიკიდა მკლავზე პიჯაკი ლენინმა. გაიარეს ასიოდე მეტრი. ლენინის პიჯაკი არა და არ აძლევს მოსვენებას მოხუცს.

— ვლადიმერ ილიჩ, თუ შეიძლება, წამოგიღებთ პიჯაკს.

„ჰო-ჰო, რა გამძლეა ეს ძველებური მაამებლობა რუსი გლეხის ბუნებაში“, — ჯავრიანად გაიფიქრა ლენინმა.

— გმადლობთ, პაველ ფომიჩ, გმადლობთ...

ოცდაათი წუთის წინ შეხვდა ლენინი კოსიჩკინს. ჩამოვიდა მოსკოვიდან ვლადიმერ ილიჩი, ცოტას დავისვენებ, გავისეირნებ ტყეშიო. ჰოდა, წააწყდა კოსიჩკინს. ეს მოხუცი ძველად ბატონთან მუშაობდა ეგერად. სწორედ წარსულზე წამოიწყეს საუბარი ლენინმა და გლეხკაცმა.

— მაშასადამე, ბატონთან — ეგერად? — ხელმეორედ შეეკითხა ილიჩი.

— დიახ, ბატონთან, — უპასუხა მოხუცმა, — მისი ბრწყინვალება თავადი პირიატინი იყო.

— მისი ბრწყინვალება? — კარგი, კარგი...

ჩაფიქრდა ლენინი. უცებ, ისევ ესმის:

—ვლადიმერ ილიჩ, ნება მომეცი, პიჯაკი წამოგიღო.

ლენინი შეჩერდა და კოსიჩკინს მიუბრუნდა:

— ნებას არ მოგცემ, დიახ, ნებას არ მოგცემ, — და მყისვე გადაჭრით და მკაცრად: — პირიატინები აღარ არიან, აღარც კოსიჩკინები არიან, — ლენინი წამით შეყოვნდა. — სიტყვის ძველი მნიშვნელობით, დაიმახსოვრეთ, აღარ არიან. ახლა სხვა დროა, პაველ ფომიჩ, დიახ, ძმობილო, სხვა დროა...

მოხუცი შეიჭმუხნა. რაღაცნაირად მძიმედ და უხერხულად მოიცვალა ფეხი. შეკრულ წარბებს ქვემოდან შეხედა ლენინს.

— მე, ვლადიმერ ილიჩ, ცოტაოდენი

მესმის. ამდენი კი ვიცი... თქვენ თუ, რა ჰქვია იმას, ეჭვი გაგიჩნდათ...

კოსიჩკინს ენა დაება, გულმოსულმა ქუდი მიწას დაახეთქა, სული მოითქვა და ხალათი აიწია. მთელი ზურგი დასერილი ჰქონდა შეხორცებული იარებით.

— თქვენ თუ იმას, — გაიმეორა მოხუცმა, — მე, ვლადიმერ ილიჩ, ცოტაოდენი მესმის.

ლენინი შეცბუნდა.

— მაპატიეთ. ნუ გამიწყრებით. არ მინდოდა თქვენი წყენინება.

„ვერ გამომივიდა კარგად, მართლაც რომ ვერ გამომივიდა კარგად“, — გულისტკივილით გაიფიქრა ლენინმა.

მაგრამ კოსიჩკინმა მაშინვე სხვაზე გადააგდო სიტყვა.

— ჩამოსულიყავით ჩვენთან სანადიროდ, ვლადიმერ ილიჩ, აქ ხომ მშვენიერი ადგილებია, კაკაბიც არის და როჭოც. მელიები ისე მომრავლდა! სხვათა შორის, ცხენ-ირემიც არის. კურდღლებს კი, კურდღლებს, — ცელით მოთიბავ!

მიუხვდა ლენინი გლეხურ ზრდილობას, გაეღიმა.

— ცელით?

— ცელით, — დაუდასტურა მოხუცმა.

ბიბლიოთეკა

მალე ტყეც გათავდა და სოფლის ბოლოს მიადგნენ.

— ნუ გამიწყრებით, — ისევ გაიმეორა ვლადიმერ ილიჩმა, — მშვიდობით ბრძანდებოდეთ. წარმატებებს გისურვებთ ახალ ცხოვრებაში.

კოსიჩკინმა ქუდი მოიხადა და რამდენჯერმე მდაბლად დაუკრა თავი ლენინს.

— აბა ეს რა არის, ისევ დაიწყეთ, — ხელები გაშალა ლენინმა, — პაველ ფომიჩ!

კოსიჩკინმა ვითომდა ვერ გაიგონა.

— პაველ ფომიჩ!

— ნუ მეურჩები! — უცებ აფეთქდა მოხუცი და ისევ დაუკრა მდაბლად თავი, — ჩემად ნუ მიიჩნევ, — წარმოთქვა ღირსეულად, — მთელი მშრომელი გლეხობის სახელით ჰდაბლად გიკრავ თავს.

ასე უთხრა ლენინს, მიბრუნდა და გაუყვა სოფლის ოღრო-ჩოღრო ქუჩას.

## ლამაზად

კოლჩაკის ჯარების განადგურების გეგმას მოახსენებდა ლენინს აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი სერგეი სერგეის-ძე კამენევი.

დაჰყურებს რუკას ვლადიმერ ილიჩი და უსმენს. კამენევი გვერდით უდგას და ხელში საჩვენებელი ჯოხი უჭირავს.

გეგმა საინტერესოა. კარგადაც არის მოფიქრებული. კამენევი გამოცდილი მხედართმთავარია. დამაჯერებლად ლაპარაკობს და მჭევრმეტყველებას არ იშურებს. დახტის საჩვენებელი ჯოხი რუკაზე — მდინარეებსა, ქალაქებსა და რკინიგზებს შორის, როგორც ბელურა კვლებში.

— აი, აქ დავიწყებთ გარღვევას... აი, აქ, ამ გარღვევის ადგილას შეიჭრებიან ჩვენი პოლკები და ასეულები, აი აქ... — ლაპარაკობს და ფრაზები მიჰყვება ფრაზებს: — გარწმუნებთ, ვლადიმერ ილიჩ, ყოველივე ეს გაკეთდება ძალზე ლამაზად.

შეხედა ვლადიმერ ილიჩმა კამენევს:

— ლამაზად? ჩვენ უმოკლეს დროში უნდა მოვსპოთ კოლჩაკი. და ლამაზად მოვსპობთ თუ ულამაზოდ, ჩვენთვის სულერთია.

— დიახ, დიახ, რასაკვირველია, — უპასუხა კამენევმა, — აი აქ კი, — ჯოხი ისევ დახტის რუკაზე და თითქოს მარცვლებს კენკავს, — ჩვენ დავძრავთ ჯავშნოსანთა რაზმს. ქვეითი ჯარი ფრონტიდან შეუტევს, ჯავშნოსნები — ფლანგებიდან. ცეცხლს დავუშენთ სა-

ბორტო ქვემეხებიდან, ყველა ტყვიამფრქვევიდან. იერიშს სიბნელეში დავიწყებთ. ბნელი ღამეებია, ვლადიმერ ილიჩ, ვარსკვლავის ჭაჭანება არ არის, არც მთვარეა ცაზე, რომ გაგვცეს. წარმოგიდგენიათ, ვლადიმერ ილიჩ: ღამეა და უეცრად — ზალპები. გარწმუნებთ, ეს გაკეთდება ძალზე ლამაზად.

ლამაზადო, წარმოთქვა კამენევმა და ენაზე იკბინა. მყისვე შეხედა ვლადიმერ ილიჩს.

— განაგრძეთ, მე გისმენთ, — თქვა ლენინმა.

— აი, აქ, პერმი არის, აქ — ურალსკი, — განაგრძობს მოხსენებას კამენევი, — მოწინააღმდეგე ლაჭობს ერთიანი ფრონტის შექმნას. ამიტომაც, ჩვენ დავარტყამთ აი აქ, და ისე გავივლით თეთრების განლაგებაში, როგორც კარაქში დანა. დავარტყამთ ერთჯერ, მეორეჯერ და კოლჩაკი ბილიარდის ბურთივით ჩავარდება ლუზაში.

— ლუზაში? — ჩაეკითხა ლენინი.

— დიახ, ლუზაში, ვლადიმერ ილიჩ, გარწმუნებთ, ეს გაკეთდება ძალზე... — ლამაზადო, ისევ უნდა ეთქვა კამენევს, მაგრამ ენას კბილი დააჭირა და შეხედა ვლადიმერ ილიჩს.

— .. ლამაზად, — უკარნახა ვლადიმერ ილიჩმა.

შეხედა კამენევმა ლენინს, ლენინმაც შეხედა კამენევს და ორივემ გადაიხარხარა.

ვლადიმერ ილიჩი დიდად აფასებდა სერგეი სერგეევიჩ კამენევის ცოდნას, გამოცდილებასა და რომანტიკულ გზნებასაც. ვინაიდან უნარიანად ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთის ფრონტის ჯარებს კამენევი, მალე, საბჭოთა რესპუბლიკის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნეს.

ოღონდ, ზოგ-ზოგს ჭკუაში არ დაუჯდა ეს ამბავი.

— ვლადიმერ ილიჩ, მას მხოლოდ ლაპარაკში გამოსდის ყველაფერი ლამაზად.

— არა, თქვენ მართალი არ ბრძანდებით, — უპასუხა ლენინმა, — კამენევმა მარტო ლაპარაკი როდი იცის დამაჯერებელი, იგი გვარიანად ურტყამს მტერს და აკეთებს ამას, უნდა ვაღიაროთ, მართლაც რომ ძალზე ლამაზად.

## კატეგორიული პირობა

საზღვარგარეთიდან პროფესორი მოიწვიეს, ვლადიმერ ილიჩის ჯანმრთელობის გამოსაკვლევად. ლენინი დიდხანს უარობდა.

— ძვირია, ძვირი, — ამბობდა ვლადიმერ ილიჩი, — ეს ხომ ზედმეტი ფუფუნებაა. მე ხომ სავსებით ჯანსაღადა ვარ.

მაგრამ ველარ გაუმკლავდა ექიმების დაჟინებას და იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

ჩამოვიდა პროფესორი. შეუდგა პაციენტის გასინჯვას. მოუსმინა მილაკით. მერე თითიც მიუკაკუნ-მოუკაკუნა.

— რას უჩივით? მადა როგორი გაქვთ? როგორა გძინავთ?

ძალზე გულიანად ირჯება პროფესორი. მშვენივრად ესმის, რომ ასეთი შემთხვევა ერთხელ მოუწევს მთელ სიცოცხლეში — ამ წუთას ხომ მის წინაშე დგას მისი ყველაზე დიდი პაციენტი. ყველაფერს იმახსოვრებს პროფესორი, პაციენტის სიმაღლესაც, იერსაც, ღიმილსაც და გამოხედვასაც. აკვირდება, თავი როგორ უჭირავს, როგორ ლაპარაკობს, რა ფერისა აქვს თვალები, თმა.

გასინჯვას რომ ამთავრებდა, პროფესორმა თქვა:

— მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, სულ სხვანაირი მეგონეთ, ბატონო ლენინ. დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ ატარებთ წვერს.

შემკრთალი პაციენტი ეუბნება:

— მაპატიეთ, მაგრამ მე ლენინი არ გახლავართ.

მართლაც, ეს პაციენტი ლენინი კი არ იყო, არამედ სახკომსაბჭოს რომელიღაც თანამშრომელი.

პროფესორმა მოიბოდიშა და თქვა:

— პარდონ!

წავიდა ის კაცი, ლენინი რომ არ იყო. ისევ გაიღო კაბინეტის კარი და შემოვიდა ტანმორჩილი კაცი. ჯმუხი. წვეროსანი. შეხედა პროფესორმა. ის არის!

შეუდგა პროფესორი დიდი პაციენტის გასინჯვას. მოუსმინა მილაკით, თითით მიუკაკუნ-მოუკაკუნა.

— რას უჩივით? მადა როგორი გაქვთ? როგორა გძინავთ?

ძალზე გულიანად ირჯება პროფესორი. აუჩქარებლად სინჯავს პაციენტს.

— წამოწექით!

— წამოდექით!

— დახუჭეთ თვალები, გამოსწიეთ ხელები.

— ჩაისუნთქეთ ღრმად.

— აბა თქვით „ა".

როდესაც ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, პროფესორმა თქვა:

— მე კი მაშინვე გიცანით, ბატონო ლენინ. ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი გაცნობა.

შემკრთალი პაციენტი ეუბნება:

— მაპატიეთ, მაგრამ მე ლენინი არ გახლავართ.

„როგორ თუ ლენინი არა?!" — კინაღამ წამოიყვირა პროფესორმა, მაგრამ თავი შეიკავა და ხელებიღა გაშალა.

— ბოდიშს ვიხდი, — თქვა მან, — პარდონ.

ვლადიმერ ილიჩი მხოლოდ დღის ბოლოს გაესინჯა პროფესორს, მაშინღა გაესინჯა, როცა სახკომსაბჭოს თანამშრომელთა უმრავლესობამ გაიარა პროფესორის ხელში.

ასეთი იყო ლენინის პირობა, როდესაც წყდებოდა საკითხი, მოეწვიათ თუ არ მოეწვიათ საბჭოთა რუსეთში ძვირადღირებული და სახელგანთქმული პროფესორი საზღვარგარეთიდან. ასეთი იყო ლენინის კატეგორიული პირობა.

## მძიმე მხარეზე

მაგრამ მოაბეზრა თავი ამ კაცმა ლენინს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სიძნელეები არ ილეოდა.

პური — გვაკლია.

ტრანსპორტი — მოშლილია.

მუშახელი არ გვყოფნის.

პროფკავშირთა ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკი, ვინმე დემიდოვი, ვლადიმერ ილიჩთან შეხვედრისას, მაშინვე იწყებდა წუწუნს. არაფერი მოსდიოდა თვალში დემიდოვს. მისთვის ყველაფერი ურიგო იყო, კარგს ვერაფერს ხედავდა.

აი, ახლაც მოჰყვა თავისას.

— საჭმელიც აკლია ხალხს, ვლადიმერ ილიჩ, პურში ცარიელი ბზეა, ისეთი ადგილებიც არსებობს, სადაც მთლად შიმშილობენ. განა ამაზე ვოცნებობდით? განა ამისთვის იბრძოდა ხალხი?

— შიმშილობენ. ძნელი დროა, — ეთანხმება ლენინი, — ადამიანებს, ზოგჯერ, ყველაზე აუცილებელიც კი აკლიათ. დიახ, აკლიათ, მაგრამ უძლებენ. და არა მარტო უძლებენ, სასწაულებსაც სჩადიან. სასწაულებს! — გაიმეორა ვლადიმერ ილიჩმა, — აი, ძმობილო, პირველ რიგში რაზე უნდა ვილაპარაკოთ.

— ეგ, რა თქმა უნდა, ეგრეა, ვლადიმერ ილიჩ, — წარმოთქვა დემიდოვმა, — მაგრამ მაინც...

გამოხდა ხანი. ისევ შეხვდა დემიდოვი ვლადიმერ ილიჩს.

— ტრანსპორტი უძრავად არის, ვლადიმერ ილიჩ. ქარხნები უმოქმედოდ არის! მაღაროები დატბორილია. ირგვლივ გაპარტახებაა, ქაოსი!

ბიბლიოთეკა

— დიახ, მწარე მემკვიდრეობა დაგვიტოვეს, — ეთანხმება ლენინი, — ტრანსპორტიც უძრავადაა, მაღაროებიც დატბორილია და მრავალი ქარხანა უმოქმედოდ არის, — და მაშინვე დასძენს, — თქვენ იცით, რომ დონბასელმა მეშახტეებმა ამ თვეში გააორკეცეს ქვანახშირის მოპოვება? გააორკეცეს! არ წაიკითხეთ, რომ ბაქოელმა მენავთობეებმა, შარშანდელთან შედარებით, გაასამკეცეს ნავთობის მოპოვება? გაასამკეცეს! გსმენიათ რაიმე შაბათობათა შესახებ?! ადამიანები მუშაობენ არასამუშაო დროსაც, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ეს თუ ვერ შენიშნა კაცმა და თუ ვერ დაინახა მასების ენთუზიაზმი, მათი მისწრაფება მალე მოუღონ ბოლო გაპარტახებას — ეს იმას ნიშნავს, რომ სიბრმავე სჭირს. დიახ, დიახ — სიბრმავე, თანაც ქათმისა!

ისევ გამოხდა ხანი. მესამეჯერ შეხვდა დემიდოვი ლენინს და კვლავ მოჰყვა თავისას:

— ცუდად არის საქმე, ვლადიმერ ილიჩ, არაფერი არ გამოგვდის. ინჟინრები არა გვყავს, ექიმები არა გვყავს, ირგვლივ საშინელი ჩამორჩენილობაა...

— დიახ, ცოტა გვყავს ინჟინრები და სხვა სპეციალისტებიც ცოტა გვყავს, — ეთანხმება ლენინი, — მაგრამ მოიცადეთ, იქონიეთ მოთმინება. მოგვეცითვადა — დავამარცხებთ გაპარტახებას, დავამარცხებთ შიმშილს. გვეყოლება ჩვენი ინჟინრები, გვეყოლება ჩვენი ექიმები, გვეყოლება პროფესორები, გვეყოლება აკადემიკოსები! ყველაფერი იქნება და იცით რატომ? იმიტომ, რომ მუშები და გლეხები — კლასობრივი მებრძოლები არიან. იმიტომ, რომ ისინი ბატონ-პატრონის მტკიცე ნაბიჯით შემოვიდნენ ახალ სამყაროში.

— ეგ, რა თქმა უნდა, ეგრეა, — ეთანხმება დემიდოვი, — არა, მე არ ვკამათობ. ცხადია, თქვენ მართალი ხართ, ვლადიმერ ილიჩ. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, კაცს თვალში ხვდება, ასე ვთქვათ, ჩრდილოვანი მხარე.

შეხედა ვლადიმერ ილიჩმა დემიდოვს.

— ჩრდილოვანი? თქვენც აიღეთ და მზიან მხარეზე იარეთ!

თარგმნა **გიორგი ნატროშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

# თინა თორტიზელი

პოემა

საქართველოს კომკავშირის აღზრდილის—
თინა იოსებიძის ნათელ ხსოვნას

## კარი პირველი

### დროის კარნახი

დრო, ვით მსაჯული უზენაესი,
ითხოვს სიჩუმეს და გაგონებას.
ყველა ღირსეულს უმზერს ალერსით
ყველა უღირსის დასაღონებლად.

მეოხად უდგას კაცურ თვისებას,
რომ არ ეშვება ღვარძლი ბევრი,
გმობს გულარძნილთა გაგულისებას
სიმართლის ოქროს მაძიებელი.

ციხე-სიმაგრე პატიოსნების,
დიდს და წარმავალს არ აიგივებს.
მისი კარნახით ხალხის მგოსნები
გმირებს ადგამენ დაფნის გვირგვინებს.

როცა იმედი ვინმეს აკლდება,
მფარველობს, როგორც სანდო კედელი.
ისე არა ჭრის და არა კერავს,
ვითარცა ზოგი ახლომხედველი;

ახლომხედველი და სიტყვა-მრუდე;
ვინც აღარ იშლის ლაჩრულ ქაჯობას,
თავი ეშმაკის კალთაში უდევს
და ელოდება ალჩუს დაჯდომას...

დრო, ვით მსაჯული უზენაესი,
სიჩუმეს ითხოვს და გაგონებას,
ყველა უშიშარს უმზერს ალერსით
ქედმოდრეკილთა დასაღონებლად.

მდინარესავით კლდეთა მღარავი
ქვას არ იმეტებს დასამიწებლად...
არ ავიწყდება ქვეყნად არავინ
და არაფერი არ ავიწყდება.

ახსოვს დღემუდამ: ხალხის უკეთეს
მომავლისათვის ყველა მოლაშქრე,
და მით უმეტეს, და მით უმეტეს,
ვინც დაცემულა მტერთან ბრძოლაში;

ვინც ამ სიცოცხლეს შესტრფოდა ძალუმ,
სწყუროდა მისი სითბო მზრუნველი;
ვინც ახლაც თვალში აკლია მამულს
და დღესაც ჰქვია შინმოუსვლელი.

ახსოვს და... ეძებს, ვით ოცნების მზეს,
დროის ხმა — მთების ჰიმნივით მძაფრი.
უხმობს თინათინ იოსებიძეს
და მეც მზადა მაქვს გვირგვინი დაფნის!

*კარი მეორე*

## გაზაფხული და ომის წინადღე

ოცი წლის გოგო რას ხედავს, ნეტავ,
როცა გარშემო მაისი ღვივის?
ვარდისფერ სიზმრებს და უფრო მეტად
ადამიანის და მიწის ღიმილს.

ოცი წლის გოგო რას უთვალთვალებს,
თუ არ უხილავ ბედნიერებას?
რა არის ფიქრთა მისთა სათავე?
მშვენიერება... მშვენიერება...

ცრემლი ერევა და ვინღა იცის,
ეს წმინდა ცვარი რაისთვის ჟონავს?
ვინ წაიკითხავს მაგ თვალთა ციმციმს —
რამ გაახარა, რამ დააღონა?

გაღიმებული, როგორც პირიმზე,
დედაქალაქის ქუჩებში დადის,
თვალში შეჰყურებს ყველა თბილისელს
და სულში მღერის ლამაზი დარდი:

თორტიზა — ქართლის ძველი სოფელი,
მებაღეების ფიქრთა სავანე,
სიმწვანე მარად დაუჭკნობელი
გარს რომ არტყია, ვით გალავანი.

ესმის დედის ხმა: — ქალაუ, თინავ,
თვალნი ლოდინით ამომიღამდნენ.
როგორ გახურავს ან როგორ გძინავს?
ვინ იცის, გშია ან დაიღალე;

ვინ იცის, გტკივა ნაზი თითები,
ან ვინმემ გიმტრო, ან გაგაჯავრა!
ჯავრობს თორტიზა, არ გეჰიდები,
რომ იგვიანებს მისი ქაჯანა...

— განა არ უწყი, დედაო თეკლევ,
შენს გარდა სხვასაც ჰყავს ქალიშვილი.
დამშვიდდი, ჩემი ფიქრების მეკვლევ,
არც დაღლა მაკრთობს, არცა შიმშილი.

მე მხოლოდ ვხედავ მომავლის ნათელს,
მქსოველი ვარ და გავხდი ექთანი.
წიგნის შრიალში ღამეებს ვათევ
და მეზმანება ყველა თქვენგანი.

ოცნების ცაზე ღრუბლის და ნისლის
ერთი ნასახიც არა ჩანს ჯერაც:
...თინა კი არა, გულია მისი,—
რომ გადასძახის მშობლიურ კერას.

*კარი მესამე*

## როდესაც კლდეებს ჰგავდნენ სახლები

ორმოცდაერთის უკუღმართ ივნისს
ჟამთაღმწერელი ვერ გაექცევა:
ყველა ნამსხვრევი იმ დღეთა გრგვინვის
დღემდე, ო, დღემდე მკერდზე გვეცემა!

...მოულოდნელი რა იყო, მაგრამ
აფორიაქდა ზღვა და ხმელეთი,
როცა სიცოცხლის პირისპირ დადგა
შეერთებული ძალა ბნელეთის.

თუმცა უმძიმდა სტალინს ძალიან,
ქვეყანას ამცნო სიმართლე მწარე.
ომი დაიწყო — ხალხის ვალია
მკერდით დაიცვას სამშობლო მხარე!

თვალს არა სწყვეტდა, ელოდა, გრძნობდა,
მოახლოებულ მრისხანე ავდარს,
მაინც ფიქრობდა დროებით, ოდნავ,
შეაყოვნებდა და... იმ კაცს ჰგავდა,

ვისაც არა სურს ირწმუნოს უმალ
უბედურება კარზე მომდგარი!
იქნებ ამიტომ არ ენდო გუმანს
მთავარსარდალი და მეომარი.

იყო თუ არა ასე, ვინ იცის,
რაც მთავარია, დაიწყო ომი...
თინამაც დათმო დედა-თბილისი,
ვით ასპარეზი სწავლის და შრომის.

ხელი დასტაცა თავის ჩემოდანს
და კომკავშირის გორას ეწვია.
ქალაქს მოავლო თვალი ზემოდან,
როგორც ფრინველმა ფრთებდალეწილმა:

უძრავად იწვა ხევებში ბინდი,
არსად სინათლის მკრთალი ნახევი,
არ ჩანდა ძველი მეტეხის ხიდი
და ბნელში კლდეებს ჰგავდნენ სახლები...

განთიადისას დახვდა სოფელიც,
როგორც ხშირი ტყე, ალმოდებული,
სოფელი ღიმილ-გაუქრობელი
და მაინც ოდნავ დაღონებული.

როგორც სამშობლოს ბურჯმა პატარამ,
მხრები გაშალა მწვანე თორტიზამ,
დასწყევლა მტერი, გულქვა, სატანა,
და შვილებს უთხრა: — გზა მშვიდობისა!

*კარი მეოთხე*

### გოგო, რომელსაც ფარაჯა ეცვა

ჰფარვიდა შუქი სამშობლოს დროშის
იმ შვიდას-ათას მებრძოლთან ერთად,
საქართველომ რომ გაგზავნა ომში
და... გული მისი იმედით ძგერდა.

გოგოს, რომელსაც ეცვა ფარაჯა,
არ ამძიმებდა სანიტრის ჩანთა.
სახეს ღიმილი ეკრა მარადჟამ
და საუბრობდა თავისთვის ძმასთან:

„მეც რახანია, ლენტო, ომში ვარ.
ნუ დაღონდები, არ ვარ პატარა.
გამომაცილა შენმა ცოლ-შვილმა
და ყვავილებიც გამომატანა.

არ ვიცი, ჩემმა ალალმა რძალმა
სად გააჩინა თეთრი ასტრები!
რომ დაგიმალო, არა მაქვს ძალა:
ძალიან დარდობს და ენატრები.

ძმებიც უჩვეონოდ სწუხან საშინლად!
რა შეაკავებს უომრად ოსას.
ლუარსაბი კი, თუმცა ბავშვია,
უკვე რუსთავის ბალავარს ლოცავს.

ვარა? ხომ იცი, რაიც გვყავს ვარა, —
ჩვენზე ამოსდის მზეცა და მთვარეც.
მე მისი დობით ვამაყობ მარად:
თავს დაივიწყებს, სხვებს გაახარებს!

თორტიზამ რა ქნას, არც სოფელს ულხინს,
იქაც ფრონტია, ფრონტი ნამდვილი,
და უშლავდება ათასგვარ წუხილს,
ვით საიმედო პოლკი გვარდიის.

ომი რაც არი, ვიგრძენი ნათლად.
მეც შევაჩვიე თვალი როგორღაც.
ზემდეგი გავხდი სანიტარ ქალთა
და გვერდით ბევრი კარგი გოგო მყავს.

როცა ღამე-ბნელს ვეღარ ჭრის თვალი,
როცა მდინარე ნაპირს ვერ აგნებს,
სათნოების დას ეძახის ვალი,
როგორც მენაღმეს, როგორც მესანგრეს!“ —

და საუბრობდა ფიქრებით ძმასთან,
მგალობელი და ღიმილიანი.
არ ამძიმებდა იმედის ჩანთა,
როგორც გიტარა შვიდსიმიანი.

*კარი მეხუთე*

### სიმღერა თინა თორტიზელისა

ანაზდად გაჩნდა სიჩუმის ზოლი, —
გვეყო ამდენი მხედრული გარჯა!
აქედან არ ჩანს მზიური გორი
და საყვარელი თორტიზაც არ ჩანს.

ხელში გიტარა მიპყრია აქაც,
ჩემი გიტარა, ძველი დობილი.
უთქვენოდ მიმძიმს და მაინც, რა ვქნა,
ვარ ომის მძიმე გზებს მინდობილი.

მეც მითრთოლია შავი ზღვის ქარში,
კავკასიონის მთებშიაც ვიდექ,
რამდენჯერ სიკვდილს ჩავხედე თვალში,
ყუბანის ველებს ვეწვიე ვიდრე...

გარშემო გვაკრავს ტყე უსიერი,
როგორც სიმშვიდე ჯარისკაცური,
გვავრთებს ძალა ისე ძლიერი,
ვერ მოგვერევა დარდი მაცდური.

დაჭრილი მიწა კაცივით გმინავს,
ჰაერმაც გმინვა დაიწყოს ლამის.
ვერ გააჩუმებს თორტიზელ თინას
იდუმალება ამ ბნელი ღამის!

ვზივარ სანგარში მეგობრებს შორის, —
გვეყო მთელი დღის მხედრული გარჯა.
ვაგლახ, აქედან არა ჩანს გორი
და სანატრელი თორტიზაც არ ჩანს.

გალობს, წკრიალებს, კვნესის გიტარა
სიყვარულის და სიცოცხლის ენით.
არა მინდა რა, არა მინდა რა,
მხოლოდ პატარა ბარათი თქვენი.

მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯი მცირე,
მხოლოდ მეგობრის ნაცნობი ხელი.
თორტიზელებო, არ ვგავარ გმირებს, —
თქვენი ლოცვა და კურთხევა მშველის.

დედას უთხარით, ნუ ტირის მწარედ,
მამას უთხარით, ჩემს ვარსკვლავს ენდოს.
ვერ დავბრუნდები, სამშობლო მხარევ,
ვიდრე ომშია ჩემი ძმა — ლენტო;

ვიდრე ომშია ურიცხვი მოძმე
და მიწას კვალი აჩნია მტერთა...
მიგულეთ ცეცხლში, ბრძოლაში, ფრონტზე,
იმ შვიდას-ათას ქართველთან ერთად!

*კარი მეექვსე*

## ოცნების დილა

აღსავსე ფიქრით, ოცნებით, შვებით,
იდგა ბუნების ჯადოსნურ კართან,
როცა ბულბულმა ღვთიური ხმებით
ოდნავ გასწია სიჩუმის ფარდა.

სიჩუმის ფარდა გასწია ფრთხილად
და ტყე აავსო ნანატრმა სტვენამ.
დილა მშვიდობის, ოცნების დილავ,
დილა მშვიდობის, ზღაპართა ენავ;

დილა მშვიდობის, ცაო მზიანო,
დილა მშვიდობის, დიდო ქვეყანავ! —
იღიმებოდა სანდომიანი
და ნაწნავები მკერდზე ეყარა.

პატარა, ისე მოუწყინარი,
როგორც მეჯუდა — ლიახვის ტოტი,
მილივლივებდა მის წინ მდინარე
და... სადღა იყო გნიასი, შფოთი?

ან სადღა იყო ომის ხსენება:
სიკვდილი... სისხლი... ცრემლების ღვარი...
ბატალიონი რომ ისვენებდა,
ეგონა — დადგა მშვიდობის დარი.

თინა კი არა, ზღაპრულ წყაროსთან
ვარსკვლავიანი იდგა მადონა,
რა აღელვებდა, რა უხაროდა,
რას ჩურჩულებდა მზის გასაგონად?

უცებ გაიღო კლდეზე მიწნული
კოშკი, მაღალი და ძველისძველი.
გამოჩნდა ვაჟი, ვით უფლისწული,
და აიტაცა ჰაერში ხელით;

ო, აიტაცა პატარა ქალი
ისე მსუბუქად, როგორც ალვის რტო.
— ვაითუ, ცისკენ მიგაფრენს ძალით,
თორტიზელების თვალ-მარგალიტო!

მაინც ვინ არის ის დალოცვილი?
ნიადაგ შენზე თუ მლოცველი,
ახლა, ამ წუთში, ვისაც ჰკოცნიდი,
თავდავიწყებით, თუმცა ოცნებით! —

ეკითხებოდა დას შეშფოთებით,
მაგრამ ალერსით, ვერხვივით წყნარად,
ქართლის გულივით ბევრის მომთმენი,
ქართლის გულივით კეთილი ვარა.

*კარი მეშვიდე*

## მოზდოკი. ცხრაას ორმოცდაორი

თოვლიან ველზე მოცურავს თინა,
სულმოუთქმელად, თავგამეტებით.
ცეცხლის ხაზიდან მოსულა თინა
და გზას აჩნია სისხლის წვეთები.

თოვლიან ველზე მოცურავს ლადა,
სუსხი დეკემბრის რომ აკანკალებს.
ცეცხლის ხაზიდან მოსულა ლადა
და ვერ შორდება თინას ნაკვალევს,

მოშრიალებენ თოვლში ქალები —
სათნოების და სიცოცხლის დები.
მოშრიალებენ, მოშრიალებენ
და მოაქროლებენ ქარიშხლის ფრთები.

რა გააჩერებს დღესაც თორტიზელს,
როცა მომმენი გზის მიღმა ჰკრიან.
დაჭრილ ვაჟკაცთა კვნესას რომ ისმენს,
არ ეკარება შიში და ტყვია.

რა შეაჩერებს დობილებს მისას,
როცა ცეცხლის ქვეშ წვანან მხედრები,
სისხლით ათბობენ მოზდოკის მიწას
და შეჰყურებენ ცასაც ვედრებით.

იტანენ ტკივილს, ელიან მშველელს,
ხანდახან ალბათ აღარც ელიან,
მაგრამ ლოცავენ დობილთა ხელებს, —
უიმხელებოდ მართლა ძნელია!

თინას კი ისევ მოჰყავს დაჭრილი,
დამუნჯებული და ძალმიხდილი.
მოსდევს ფეხდაფეხ, როგორც აჩრდილი,
განრისხებული თვალი სიკვდილის.

იმ სისხლიან თვალს გაექცეს, ნეტავ!
ბედო, შენ იყავ მისი მფარველი!
მოდის და გულში ეჭრება სევდა:
„რატომ არა მწერს ძმა საყვარელი?

ახლოს არი თუ სადმე შორს არი,
დღითა და ღამით მისი ჯავრი მკლავს,
ოღონდაც იგი მყავდეს ცოცხალი,
ზურგით ვატარებ მე ამ ჯარისკაცს".

...კარავთან, სადაც ფარანი ენთო,
შეხვდა იმ კაცის მზერას ჟინიანს
და როცა ქალმა შეჰყვირა: ლენტო!
ძმამ დაიკვნესა: მე ვარ, თინია...

*კარი მერვე*

## თეთრი კარავი

საკაცეებზე იწვნენ გმირები,
ჰოსპიტლად ქცეულ, გაშლილ კარავთან.
აღარცერთს ჰქონდა იჭვი მკირედი,
რომ ეს კარავი დაიფარავდა.

სტკიოდა ექიმს ყველა ჭრილობა,
დაჭრილ მეომრებს რაცა სტკიოდა.
ებრძოდა დაღლას და უძილობას,
ებრძოდა, მაგრამ არა სჩიოდა.

სამი დღე-ღამე ისე გავიდა,
არ მოუხუჭავს წამითაც თვალი...
— ავიტან, ცოტას კიდევ ავიტან! —
ეფიცებოდა თავისთავს ქალი.

დარდი ჟონავდა კომისრის ხმაში:
— ლამის დაეცეთ, ექიმო, კმარა!

ამ დროს მოესმა ჩურჩულის მსგავსი:
— ძმა მოვიყვანე, მიშველე, კლარა!

— მიშველე, კლარა! — ეგონა ძილში
ესმოდა ცრემლით სავსე ვედრება.
კურთხეულ იყოს ეს წმინდა შიში, —
და-ძმის სიყვარულს რა შეედრება!

აღარ უთრთოდა დასტაქარს ხელი,
მიუახლოვდა მოძმეს ღიმილით,
გაუხსნა მკერდი... სიცოცხლის მცველი
სკამზე დაეშვა მოცელილივით.

დახედა ძმას და იგრძნო თინამაც,
რომ ბინადრობდა ბინდი გუგებში.
— ლენტო... ლავრენტი... დაიგმინა მან
და არსად იყო მისთვის ნუგეში;

— ვაიმე, ძმაო, რა მეშველება? —
იმედთან ერთად გაჰქრა მხნეობაც.
კლარა ჟუკოვას ჯადო-ხელებმა
ვეღარ მიუსწრეს მამაც მეომარს.

დაბადებული ჭრილობის მისნად,
როგორ დარდობდა, ნაზად, გულჩვილად,
დას, ვინც ათასი სიცოცხლე იხსნა,
ერთი ძმა რომ ვერ გადაურჩინა!

ვეღარ გაალღვეს სიკვდილის თოში,
თუმცა ცრემლებით გაალღვეს მიწა.
და ერთი ქალიც დაქვრივდა გორში,
და ერთი ბიჭიც დაობლდა იმ წამს.

*კარი მეცხრე*

## ქარიშხლის წლები, საშიში გზები

ერთმანეთს ცვლიდნენ ქარიშხლის წლები,
მაგრამ ვერ ცვლიდნენ თინას ბუნებას.
ერთმანეთს ცვლიდნენ საშიში გზები,
თუმცა ნატრობდა შინ დაბრუნებას;

თუმცა ელოდნენ ქართლის ბაღები,
როგორც მეჯუდის თეთრი ზვირთები,
სახლიკაცების წყნარი სახლები,
აფეთქებული ვაზის კვირტები...

და სადაც ქუხდა, და სადაც ჭექდა,
და სადაც სისხლის დიოდა ღვარი,
მეომრებს მხარში დასავით ედგა
ზღაპრის ჩიტივით ჩიორა ქალი.

ზღაპრის ჩიტივით ჩიორა ქალმა
არც კი უწყოდა, რა არის შიში.
როცა სტკიოდა, ჩიოდა განა?
განა ტიროდა ავდარში, ჭირში?

ამ თითქმის ოთხმა ფრონტულმა წელმა,
ოთხმა ჭრილობამ, დარდმა ურიცხვმა,
თორტიზელს ვეღარ მოუკლა რწმენა,
ვერ დაავიწყა გაზაფხულის ხმა.

გაგიცინებდა, გულს გაგითბობდა!
დავაც უყვარდა, მწველი ხუმრობაც,
მაგრამ არასდროს — მუშა...ობა,
მაგრამ არასდროს — მედიდურობა!

დარდიც იცოდა და აღტაცებაც,
წყენაც იცოდა და გაღმერთებაც,
მაგრამ არასდროს — სულით დაცემა,
მაგრამ არასდროს — გადამეტება!

იმ დღეს ელოდა, იმ დღეს ნატრობდა,
რომ დადგებოდა ბერლინის კართან,
ვით ჯარისკაცი — ძმიმე ავტომატს,
არ იშორებდა სანიტრის ჩანთას.

სად არ ყოფილა იმ ჩანთიანა,
უმამაცესთა თაყვანის ღირსი!
რამდენმა გულმა, ვით განთიადმა,
დალოცა უხმოდ აკვანი მისი!

მე საქართველოც დამიდასტურებს
ამ ფიქრს და სიტყვას: — ო, თინა, თინა,
შენებრ ვალმოხდილ და გმირ ასულებს
ტაძრის კედლებზე ხატავდნენ წინათ!

*კარი მეათე*

## ფრონტული ბარათები

ყველა ოჯახში ფრონტულ წერილთა
მოსვლას ელოდნენ, ვით გათენებას.
...მიისწრაფვოდნენ ბრძოლის ველიდან
შინდარჩენილთა მისაშველებლად.

მიისწრაფვოდნენ ჰოსპიტლებიდან,
ვაგონებიდან, ზღვებიდან, ციდან.
ფრთებით მიჰქონდათ ომის ხმები და
ჯარისკაცური ფიქრები წმინდა.

ხალხს უღვივებდნენ რწმენას და იმედს,
უათკეცებდნენ ხალხის მეტწილად,
ვინ დაეძებდა წერტილს და მძიმეს,
ოღონდ ახლობელს ხმა მიეწვდინა,

რომ არ დაღლია მკლავი ნაცადი,
ებრძვის მაოხარს და მოძალადეს!
ქართლშიც ელოდნენ გულის ფანცქალით
სათნოების დის სათნო ბარათებს.

„კვლავ ცოცხალი გყავს თინია, დედი,
ელის მეოთხე საბრძოლო ორდენს...
უკრაინაში სწყალობდა ბედი,
ნემანის ველთა იმედიც გქონდეს!

ჩვიდმეტი მოძმე გადაარჩინა
შენმა ასულმა ერთ დღეს, მარტო მან.
ეს კიდევ რაა, თვითონ დაჭრილმა,
მტერს იარაღიც არ შეატოვა.

და ამის გამო ატარებს ახლა
მამაცებისთვის ჩამოსხმულ მედალს.
ორმოცდაოთხის აგვისტო გახლავს,
ამ ქაღალდს რომ წერს საამოდ შენდა!" —

ღიმილს აფრქვევდა ერთი ბარათი.
იუწყებოდა ჯიქურ მეორე:
„ო, რა ბრძოლები გვაქვს დღემარადის
ვარშავის ბჭესთან მისულ მეომრებს!

ამ დროს, ვინ იცის, სად იბრძვის ოსა —
ჩემი ვაჟკაცი ძმა, შუათანა...
გამაგრდი, ხალხო. სისხლისღვრის დროსაც
სულ სიცოცხლეზე ფიქრობს ქაჯანა".

ორმოცდახუთში, იანვრის დილით,
ისევ მოფრინდა სამკუთხა მტრედი:
„მტრის მიწაზე ვარ. პირდაპირ ვივლით
და ბერლინიდან მელოდე, დედი!"

*კარი მეთერთმეტე*

## ვარშავის ციხკრეშ, შოპენის გვერდთან

ეს იყო იმ დროს... შეწყდა ბრძოლები...
შედგნენ ჩვენები ღვთაებრივ სახლთან,
და შიგ შევიდა დაუყოვნებლივ
მებრძოლთა ჯგუფი, თინას რომ ახლდა.

თაყვანი რომ სცეს გენიის აკვანს,
ჩუმად ჩამოსხდნენ ტბისპირას, მოლზე.
ქალიშვილს უთხრეს გიტარის დაკვრა
და გაირინდა მრავალი მოძმე.

— არ ეკადრება შოპენის კერას.
ძმებო, არ ვიცი, სადა ვარ განა? —
ვერ დაითანხმეს, ვერა და ვერა,
მაგრამ როდესაც სარდალმაც ბრძანა,

კრძალვით ჩამოკრა მთრთოლვარე
სიმებს, —
გიტარაც ჰგავდა ბრძოლაში დაღლილს ,—
ჰანგები ცისკენ დაიძრნენ მძიმედ
და თინასავით ამღერდა ბაღიც:

— დღეები. წლები. ლურჯი თვალი ცის.
ეძებს შორეულ და მყუდრო სენაკს...
ყველაზე მეტად ქალი განიცდის
წლების რბოლას და ფოთოლთა ცვენას.

ყველაზე მეტად განიცდის ქალი,
როცა მინდორზე ბალახი ჭკნება.
ჟამთა სვლას ებრძვის ჯადოსნურ ძალით
მისი ნაზი და ამაყი ნება!

ყველაზე მეტად განიცდის იგი,
როცა საყვარელ მთებს და ველ-მინდვრებს,
თოვლი წაართმევს სიმწვანის გვირგვინს
და გამეფდება, როგორც მემკვიდრე.

დღეები. წლები. ლურჯი თვალი ცის.
როცა ბუხარში ნელდება ალი
ყველაზე მეტად ქალი განიცდის
და... არასოდეს ბერდება ქალი!

— არ დაბერდება, რადგანაც ელის
ჩემს დაბრუნებას ამ ქარიშხლიდან! —
წამოიძახა ერთმა და ხელი
სამშობლოსაკენ რად გაიშვირა?

ამოიოხრა ბაშკირმაც. ნაღდად
ცოლს შეჰყურებდა ოცნების თვალით.
...ვარშავის ცისქვეშ, შოპენის ბაღთან
ქალის დიდებას გალობდა ქალი.

*კარი მეთორმეტე*

## უკანასკნელი გაფიქრება

...ვნახე რამდენი საშიში ქარი
და ბედი ცეცხლის დელგმას მივანდე!
მე, თორტიზელი პატარა ქალი,
ბრძოლით მოვსულვარ გერმანიამდე.

მინდა იცოდე და გეტყვი, დღემდე
მრისხანე ომში ვიბრძოლე როგორ,
ამ გამარჯვების, ამ ომის შემდეგ
დაბადებულო ქართველო გოგოვ!

შენ იოცნებებ სხვარიგად ალბათ,
ო, გაგეცინოს ჩემზედაც იქნებ..
არ მიცხოვრია წამითაც ყალბად,
ვენდობი ძველთა მამათა წიგნებს.

ვენდობი ერთხელ დასახულ მიზანს,
გმირებს, ბელადებს და ბრძოლის ჰიმნებს,
ვით ენდობოდნენ ზოია, ლიზა
და კიდევ, კიდევ მრავალი ვინმე...

თუმცა კაპიტან შვაროვის ნებით
მეც უნდა პირველ ნავს გავყოლოდი,
ვერ მივატოვე დაჭრილი ძმები,
მათი ერთგული დავრჩი ბოლომდის.

ჩვენებს ჭრილობებს ვუხვევდი ვიდრე
და ნავში ჩავსვი ყველა მათგანი,
მტერმა დესანტი გადმოსხა კიდეც...
ბედის მუხთლობა, მაგრამ ამგვარი?

— იჩქარე, თინა! — დაჭრილ კაპიტანს
ხმა გაებზარა და უთრთის მხრები.
— იჩქარე, თინა! — მესმის ნავიდან
თავგანწირული მუდარის ხმები.

— გვიანღა არის... მე აქ დავრჩები,
თორემ დაგღუპავთ ეს დაყოვნება...
თქვენ იზეიმეთ დღე გამარჯვების
და თქვენთან ივლის ჩემი ცხოვრება.

მტერს შევაჩერებ ხელყუმბარებით,
რომ სამშვიდობოს გავიდეს ნავი.
წადით, იცოცხლეთ, გემუდარებით! —
მე ამ პასუხით გავწირე თავი.

და... ნავს ხელი ვკარ, როგორც სიცოცხლეს,
მყის განეშორა ტორტმანით ნაპირს.
მშვიდობით, დაო, მხოლოდ იცოდე,
რომ გაწყდა ყველა იმედის ძაფი!

*კარი მეცამეტე*

### ერთი ნაბიჯი უკვდავებამდე

ეს გაფიქრება მოასწრო მხოლოდ
და შედგა კლდეზე, მარტო-შთენილი,
ეს გაფიქრება მოასწრო მხოლოდ
და მიანდერძა, როგორც წერილი;

როგორც წერილი — გასაუბრება
მოახლოებულ უკვდავებასთან.
რომ წამეკითხა, მომცა უფლება,
მამცნო, იდუმალ გულს რაც ებადა.

არა! სხვაც ბევრი მოასწრო თინამ:
გადაეხვია და-ძმებს, დედ-მამას,
და ერთ ქართველსაც (მგონია: მფრინავს!),
დაემშვიდობა გაუბედავად...

მიმოიხედა: მიმწუხრის ბინდში
ჩანდა ნაპირი, როგორც კუნძული,
და უკუაგდო სიკვდილის შიში,
ვით ყოველგვარი შიში, უძლური.

ვითომ გიტარის ჩამოკრა სიმებს
ან შეამოწმა ნაწნავთა სისქე...
სწრაფად გაიძრო ჩექმები მძიმე
და... ხელყუმბარა გაფრინდა მტრისკენ.

მეორეც განა ამაოდ დაშვრა:
ველზე დატოვა მრისხანე კვალი.
მტრის ოფიცერი გაფითრდა, გაშრა,
როცა ნაპირზე იხილა ქალი,

უიარაღო, ამაყი, სათნო,
ზღაპრის ჩიტივით ჩიორა ქალი,
რომ გაჭყურებდა შორეულ ტატნობს
და... მის გარშემო შეიკრა რკალი.

მაღლა ცა იყო, მდინარის მხრიდან
ერთი გზა ჩანდა — მორევი შავი.
ამოისუნთქა ასულმა მშვიდად,
თვალს მიეფარა როდესაც ნავი.

მტარვალს ეწადა ცოცხლად შეპყრობა,
და რომ ეგონა, დასრულდა დავა,
თინამ შესძახა: — როგორც ეტყობა,
არ უწყით, მე რომ ზოიას და ვარ;

სიკვდილი მიჯობს ტყვეობას თქვენსას! —
უკანასკნელად გაშალა ხელი,
უკანასკნელად შეხედა ზეცას
და შეარხია ოდერი-ძველი.

*კარი მეთოთხმეტე*

### მიწურულიყო თხუთმეტი წელი

...და ჩაიტანა ომის მორევმა
ფარაჯიანი პატარა ქალი,
მაგრამ ლამაზმა მისმა ცხოვრებამ
კვლავ გაახილა ანაზდად თვალი.

კვლავ გაახილა თვალი, როდესაც
მიწურულიყო თხუთმეტი წელი;
როდესაც მომძმე უახლოესმა
გვამცნო ამბავი უთქმელი, ძველი...

ლეგენდასავით ჩამოიარა
ჩვენი სამშობლოს ყოველი მხარე,
ისევ გაიხსნა ძველი იარა
და დედის გული ატირდა მწარედ.

თითქოს ვიგრძენით სუნთქვა ფრონტისა —
მრისხანე, მძაფრი და ულმობელი,
და წამით შეკრთა მწვანე თორტიზა,
როგორც შეკრთება ყველა მშობელი.

გატყდა დუმილი, ვით სარკმლის მინა,
იმ შავთა დღეთა დაგვადგა ჩრდილი,
და ყველას ერთად აღმოხდა გმინვა,
ვისაც კი ომმა წაართვა შვილი;

ვისაც წაართვა მისი რჩეული
და სანატრელი დღემდე ვინც არი —
სამუდამჟამოდ გულს დაჩნეული,
სამუდამჟამოდ დაუვიწყარი...

შეწყდა სიცოცხლე, როგორც გალობა,
მაგრამ თორტიზელს ნუ შეიცოდებთ,
ცოდვა ის იყო, თინას ქალობა
საქართველოშიც რომ არ იცოდნენ.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ცოდვა ის იყო, წყალში ქვასავით
ჩაძირულიყო სახელი მისი...
ბრწყინავს პატარა ქალის ვარსკვლავი
და იმ ვარსკვლავის ძახილიც ისმის:

— მე შენკენ ღრუბლებს გამოვყევ მარტო,
მემძიმა უცხო მდინარის ფსკერი.
კვლავ შენს უბეში მიგულე, ქართლო,
და მომასხურე ლიახვის ჩქერი.

სამშობლოვ, მუდამ აქა ვარ, შენთან,
მეც ვფეთქავ შენი სიცოცხლის ხმაში,
იმ ოთხას-ათას ქართველთან ერთად,
რომ ვერ დაბრუნდა ომიდან მაშინ!

*კარი მეთხუთმეტე*

## ადამიანი სასწაულს ელის

როდესაც თინას პოემას ვწერდი,
ჩურჩულით ვამცნე თოვლივით ფურცლებს:
მეც დავსვამ ბოლო, ჯადოსნურ წერტილს
და სასწაულიც მოხდება უცებ, —

მძინარი თავის მძივებიანა
თინა ვარდივით გაახელს თვალებს.
ღმერთო, რამდენხანს მძინებიაო,
იტყვის და ბაღში გაჩნდება მალე.

ბაღში შეხვდება გოგონას მცინარს,
რომ არ ისვენებს ერთი წამითაც.
— რა გქვია, ქალავ?
— მიხმობენ თინას.
ასე რქმევია ჩემს გმირ მამიდას!

ამის გამგონე გმირი მამიდა
გაიღიმებს და გაიბადრება.
თმებს დაუსველებს დილის ნამი და
გაეშურება ყვავილთ საკრეფად...

თითქოს მუხლამდე თოვლს მივკვალავდი,
როცა ფიქრებით ვავსებდი ფურცლებს,
გზას მიიკვლევდა თრთოლვით კალამი
და... სასწაული არ მოხდა უცებ.

ვერ გავაცოცხლე ოცნების ძალით
და გულში ახლაც სევდა ტრიალებს,
გადაუხდელი რომ დამრჩა ვალი,
ვით სიჭაბუკის მემატიანეს.

ვალში ვარ ჩემი ქვეყნის წინაშე,
რომ ვერ ვიპოვე სიტყვა გრძნეული,
რომ ვერ გამოვთქვი სიმხნე, სინაზე
და სიმამაცე თინასეული.

და მაინც შენთვის მომირთმევია,
ახალგაზრდობავ, თინას თქმულება, —
შენი მაღალი დროშის ფრთებია,
რომ ანიჭებდნენ გაბედულებას.

და მაინც შენთვის მომირთმევია,
სამშობლოვ ჩემო, ეს გაოცება.
შენი მზეა და ბროლის მთებია,
რომ ამაღლებენ შვილთა ოცნებას.

...ქუჩადქცეული სიცოცხლე ბრწყინავს
და ელოდება სიმღერას მრავალს.
არ მეეჭვება, ბრინჯაოს თინა
რომ კომკავშირის გორაზეც ავა.

**1978.** მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ებანოიძე

# ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი

## რომანი

### 7.

ნავახშმევს ბებია დაწვა დასაძინებლად, მე გარეთ ეზოში გამოვედი და ცაცხვის ქვეშ, მერხზე ჩამოვჯექი.

დაღამებისას ცოტა აგრილდა, უზარმაზარი ვარდისფერი მთვარე ამოგორდა მთიდან, მერე, ცის გუმბათზე აცოცებული, თანდათან დაპატარავდა, გაფერმკრთალდა და ახლა, თითქმის მთლად გათეთრებული, მაღლიდან დასცქეროდა მთელ ჭეობას.

ცაცხვის ყვავილებით მოფენილ ცემენტის მაგიდასთან დავჯექი და პაპიროსი გავაბოლე.

ნუცასთან ხეტიალის შემდეგ სამი საათი გავიდა და სულ იმაზე ვფიქრობდი ნუცა გამომექანდაკებინა, მაგრამ დამთანხმდებოდა? დამიდგებოდა პოზაში?... ჩემი გადაწყვეტილება არც ნაჩქარევი იყო, არც მოულოდნელი. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, წითურ სიმონასთან შეხვედრამდე, აღმეძრა სურვილი ჩემი სოფლის სიყვარული საჭრეთლით გამომეხატა, შემექმნა ისეთი რამ, რაც თავის თავში დაიტევდა ჩემი მეზობლების შრომისმოყვარეობას, მათ გულითადობას, ზნესა და ხასიათს. მე ესკიზებიც კი გამოვძერწე, — მაგალითად, ესკიზი მოხუცი გლეხისა, მაგრამ აღარ მომეწონა, მომეჩვენა, რომ მეტისმეტად ნაძალადევი და ნაფიქრი იყო. გავაკეთე ესკიზ-ბარელიეფიც — უღელში შებმული ხარების მშვენიერი თავები; რა თქმა უნდა, წითურ სიმონას პორტრეტითაც შეიძლებოდა მეთქვა ბევრი რამ, რისი თქმაც მე მინდოდა. მაგრამ როცა თვალწინ დამიდგა დღევანდელი შეხვედრა ნუცასთან, მივხვდი, რომ მხოლოდ ამ ქალიშვილის ქორფა სილამაზე გამომახატვინებდა მთელს ჩემს სიყვარულს და სათუთ გრძნობას მშობლიური მიწისადმი. ეს გოგო უნდა გამხდარიყო ჩემი ნატურა.

დამყოლი და რბილი ხასიათის ვარ. ბევრჯერ შეიძლება დაუფიქრებელიც და აჩქარებულიც (ვეროკიოს ნამუშევარი — მოჩხუბარი დავითი, ხელთ შურდული რომ უჭირავს, უფრო მომწონს, ვიდრე მიქელანჯელოს პირქუში ლამაზი ჭაბუკი). და თუმცა ჩემს თვალწინ ბუნდოვნად კრთოდა ომგადახდილი ანდროს ნატანჯი სახეც, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ ამჯერად ეს არ იყო საჭირო. უკეთესია ვიყოთ მხიარულნი,

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 3.

ხალისიანნი და შეძლებისადგვარად მომხიბვლელნი. ჩვენი სოფლის მთავარ მოედანზე უნდა იდგეს მშვენიერი გოგონა, წერილი ბავშვური კანჭებით, და ეს გოგონა იქნება ნუცა, რადგან იგი არის ნამდვილი ხატი განუმეორებელი იმერული სილამაზისა: მოქნილია ლაფნის შოლტივით, თაფლისფერი თვალები აქვს, დამსკდარი ცხელი ტუჩები, შუაზე გახლეჩილ ბროწეულს რომ მაგონებს.

შეიძლება, ჩემს მიერ გამოქანდაკებული გოგონა კი არ უნდა იდგეს, არამედ იჯდეს, როგორც ერიქსონის ალი... ნუ ავჩქარდებით, ეს მოგვიანებით გადავწყვიტოთ; კაკაბაძის საუცხოო სურათს, სულსა და გულს რომ ამშვიდებს, ჰქვია „იმერეთი — დედაჩემი". მე გავაკეთებ ქანდაკებას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „იმერეთი — ჩემი სიყვარული".

მე იმას დავდგამ დაბალ კვარცხლბეკზე, თითქმის მიწაზე, ცოტა უფრო დიდს ნატურალურზე. ბრინჯაოში? — არა, ბრინჯაოს ბევრი წვალება უნდა, ძვირიც არის, უბრალო ქვა სჯობია.

ჰოდა, მეც ჩვენებურ ღიაფერის ქვაში გავაკეთებ, ცოტა ხისტია, მაგრამ კარგია. ჩვენს მოედანზე ისეთ ქანდაკებას დავდგამ, მერე აურაცხელი ხალხი მოაწყდეს სანახავად. მოვლენ საქართველოს ყოველ კუთხიდან, მერე მთელი საბჭოთა კავშირიდან, მერე უცხოელებიც დაიძვრებიან აქეთ... საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სასწრაფოდ გამოიტანს დადგენილებას ჩვენს სოფელში აეროდრომის მოწყობისა და სასტუმროს აგების თაობაზე. ოთხმოციანი წლებისათვის აქ გაიმართება ოლიმპიური თამაშობანი და სპორტსმენების წინაშე კვლავ დადგება მკაცრი პრობლემა აკლიმატიზაციისა; იმ დროისათვის წითურ სიმონას, რა თქმა უნდა, მიენიჭება ოლიმპიური ქალაქისთავის ტიტული, ხოლო ბაბუა ლუკას — ტიტული გენერალური დიზაინერისა, პარმენი დაინიშნება აქაური მილიციის უფროსად, ჩვენი სოფლის მამაკაცებს სასწრაფოდ გადაისვრიან სანიჩბოსნო არხის გასაყვან სამუშაოებზე, ხოლო ქალები, მათ შორის, ნუცა და ბებიაჩემი, გამოაფენენ თავიანთივე ესკიზებით შესრულებულ მომხიბვლელ სუვენირებს.

სიცილისაგან თავი ვერ შევიკავე, როცა ეს სურათი წარმოვიდგინე. ჩამქრალი პაპიროსი გადავაგდე და მთავარეს შევხედე. მომეჩვენა, თითქოს მთავარე ცაცხვის კენწეროზე იჯდა, ხოლო ვარჯში თბილი ნიავი შემძვრალიყო, შრიალებდა და ფუსფუსებდა.. ხუმრობა იქით იყოს — მე მართლა ვგრძნობ ჩემში რაღაც ძალას... დამშვიდდი გული, დაწყნარდი... ეს საოცარი ღამე და ღამეული სურნელი ვინ იცის კიდევ რა ფიქრს მოგგვრის...

— გზააბნეულო ლადო ინაშვილო, — ვუთხარი ჩემს თავს, — წადი ახლა, დაიძინე, ვიდრე შენი თავი არისტიდ მაიოლად არ წარმოგიდგენია!

მარცხმა და წარუმატებლობამ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ბევრი რამ მასწავლა, მაგრამ ვერ ამაღებინა ხელი ოცნებაზე ალმემართა ტრიუმფალური თაღები მანამდე, ვიდრე ბრძოლას მოვიგებდი. ყოველთვის, როგორც კი მუშაობას ვიწყებდი, წარმოსახვა უკვე მიხატავდა ჩემი დიდი წარმატების სურათს. მხოლოდ იუმორის გრძნობის კარნახით ძლივსძლივობით ვახერხებდი ჩემი ხასიათის ამ უსიამოვნო და სულელურ თვისებასთან შერიგებას.

მეორე დილას მე და ბებია თითქმის ერთდროულად ავდექით, აივანზე ჩემი გამოჩენა ბებიას ძალიან გაუკვირდა.

გავიზმორე, სახსრებს ტკაცა-ტკუცი ავუტეხე და მთქნარებით ვთქვი:

— მივდივარ წყაროზე.

— მოხდა რამე? — შეშფოთებით იკითხა ბებიამ.

— არაფერი არ მომხდარა, უბრალოდ წყაროზე მივალ.

— ლადო, ნუ მიმალავ!

— რა უნდა დაგიმალო, ბებია, კარ-

გად გამოვიძინე, ავდექი და ახლა მივე-შურები წყაროსაკენ. რა არის აქ კასაკ-ვირი?

— არაფერი, არაფერი, წადი, აგერ დოქები ცარიელი გვიდგას.

სამზარეულოში რომ შევდიოდი, ყუ-რი მოვკარი, ბებიამ თავისთვის წაი-ბურტყუნა:

—ხან ვერაფრის გზით შუადღემდე ვერ ააყენებ... ახლა კი, ამ გამთენიისას, რა მოელანდა?

ხელში დიდი ჩაფი ავიღე და ვაზებით გადახურულ გზაზე გავედი. საოცარი სიჩუმე იდგა: ცვრით დანამული ხეები და ვაზები არ შრიალებდნენ. არაფე-რი გვაგონებდა გუშინდელ პაპანაქებას. საიდანღაც ყვავილებისა და აქა-იქ შერ-ჩენილი მარწყვის ნაზი სურნელი სცემ-და.

კლდიანი ბილიკით თავქვე დავეშვი, თან იმას ვფიქრობდი, რომელ წყაროს-კენ წავსულიყავი, ნუცას რომ შევხვედ-როდი, მინდოდა გამეგო დათანხმდებო-და თუ არა გამომეძერწა მისი ქანდა-კება.

ნიორაძეები ორ წყაროს შუა — ეპი-ფანეს და მჟავე წყაროს შუა სახლობ-დნენ. ეპიფანეს წყარო ვარჩიე და იქით-კენ გადავუხვიე.

ვერაფრით ვერ შევრიგებოდი იმას, რომ ჩვენი სოფლის ეს საკვირველება, — ეს მშვენიერი წყარო, დახურეს, დაგ-მანეს. წინათ იგი ყოველთვის ღია იყო და შიგ გამჭვირვალე წყალი იდგა. ახ-ლა ეს წყალი ცემენტის სახურავქვეშ მიედინებოდა და რაღაც წამებში ავსებ-და ჩაფებსა და ვედროებს, რა დიდიც არ უნდა ყოფილიყო.

ტანი წელამდე დავიბანე, პირსახო-ცით მაგრად შევიმშრალე და ნუცას მოლოდინში კაკლის ხის ქვეშ ჩამოვ-ჯექი. პარმენ-ორდოქიანის ეზოში მამალ-მა ხრინწიანი ხმით დაიყივლა. ნამი შე-სამჩნევად აორთქლდა. ჰაერში მოახ-ლოვებული პაპანების სუნი დადგა და ჭავლის ხმაური უფრო სასიამოვნო შე-იქმნა.

წყაროსთან პირველად მოვიდა დომ-ნა, ანდროს ცოლი, კალთაში ჩაფურცნო- და ოთხიოდე წლის ბიჭუნა, ოლროთ-ჩოლროდ თავგაკრეჭილი. დომნას მკერდ-ზე ორდენი უბრწყინავდა. ქალი მომე-სალმა, ჩაფი აავსო და წავიდა. ბავშ-მა, რომელმაც ის იყო ჭავლს შიშველი ფეხები შეუშვირა, დაინახა, დედა მიდი-სო, და შეშინებული უკან გაედევნა.

დომნას მერე წყაროს მოადგა პარ-მენ-ორდოქიანი ნამძინარევი, თმა აბურ-ძგნული იგი საოცრად გავდა ბებერ ნა-გაზს. წარბებს ქვემოდან გამჭოლავი, კუშტი მზერა მესროლა და ჩახლეჩილი ხმით დამიყვირა.

— შენ მანდ რას წამოსკუპულხარ?

— წყლის წასაღებად მოვედი, — მშვიდად, კეთილმეზობლურად ვუპასუ-ხე.

— ჰოო, მაშ იჯექი, იჯექი.

პარმენმა ხელ-პირის პანა დაიწყო. იბანდა, თან ფრუტუნებდა, იღრინებო-და, წკმუტუნებდა კიდეც როგორც ნა-გაზი, ბანჯგვლიანი თავის ქნევით შხე-ფებს რომ იბერტყავს. მერე წელში გა-იმართა, ასჯერ დაკერებულ-გადაკერე-ბულ პერანგის სახელოთი სახე შეიმშ-რალა და მძიმედ ამოიქშინა.

— საუკუნო ხსენება ეპიფანეს! წყა-რო კი არა სიცოცხლეა, სიცოცხლის შა-დრევანია. ას წელიწადზე მეტია უწყ-ვეტად, დაუშრეტელად მოჩხუის...

პარმენის წასვლის მერე, ათიოდე წუთი-ღა გავიდა და გზაზე, ბუჩქებს იქით, ფოთლებსა და ფოთლებს შუა ნუცას სახე გამოკრთა.

ჩემი დანახვა არ გაკვირვებია, გა-ეხარდა.

— რა ადრე ამდგარხართ?

მზისგან თვალები მოვჭუტე, ნუცას მხიარული განწყობილება გადამედო, ვუპასუხე.

— ადრე ავდექი, რომ შენ მენახე.

— მე? რატომ?

— საქმე მაქვს.

—რა ასეთი საქმე გაგიჩნდათ? — და-ინტერესდა ნუცა და მის ხმაში უკმაყო-

ფილება გამოკრთა. მე მოკლედ განვუმარტე, და თუმცა შევატყვე, რომ წინადადება ესიამოვნა, მაინც შემეკამათა.

— რატომ მაინც და მაინც მე უნდა გამომსახოთ? ვინ დათვლის რამდენი კარგი გოგოა ჩვენს სოფელში! თუნდაც თქვენი დარეჯანი.

— შენ არ გესმის, ნუცა, — შუბლშეჭმუხვნილმა წყენით ვთქვი, — მე მაქვს ჩემი ჩანაფიქრი, ჩემი იდეა და მის ხორცშესასხმელად სწორედ შენ მჭირდები. შენ და არა დარეჯანი. როგორც კი გუშინ დაგინახე, მაშინვე მივხვდი, რომ...

— აბა რა დაინახეთ გუშინ?

—გატყობ, შენ ძალიან ცნობისმოყვარე ბრძანდები, უმჯობესია მითხრა: თანახმა ხარ თუ არა!

— მამაჩემს უნდა ვკითხო, — მიპასუხა ნუცამ, — ალბათ, ნებას არ დამრთავს.

— ჯავრი ნუ გაქვს, თუ თავისას არ მოიშლის, მაშინ წითურ სიმონას მივუგზავნი. შენ ხომ თანახმა ხარ?

— მე თანახმა ვარ, ან რატომ არ უნდა ვიყო თანახმა. მხოლოდ მამას თქვენ მოელაპარაკეთ. მე არ შემიძლია.

— კეთილი, მაშ ასე, ამ დღეებში შევუდგებით· ასე რომ, მოემზადე.

— აბა, რა მაქვს მოსამზადებელი! — გაიღიმა ნუცამ, — განა ასე ძნელია პოზაში დგომა?

— ეს შენ ჯერ კიდევ არ იცი. ამისთვის ხალხს ფულს აძლევენ.

ჩემს სიტყვებზე ნუცას გაეცინა.

— დგომისთვის ფულს უხდიან?

— არა მარტო დგომისთვის, ჯდომისთვისაც კი.

— მეც გადამიხდით? — სიცილით მკითხა ნუცამ.

— რატომაც არა! ამის თაობაზე მე მოველაპარაკები სიმონს.

— მოელაპარაკეთ, არ იფიქროთ, რომ ცოტას დავჯერდები.

და აი, როცა ჩვენ, კაკლის ხის ქვეშ, ასე ტკბილად ვსაუბრობდით, გამოჩნდა იგი, კაცი, რომელიც შემდგომში ჩემთვის განუშორებელ ლანდად, რაღაც მაჯლაჯუნად იქცა. იმჯერად ამ კაცს ვერც კი შევამჩნევდი, რომ უცებ ნუცასთვის არ შემეხედა: ქალიშვილი ერთბაშად მოიღუშა და რამდენიმეჯერ უკმაყოფილოდ გაიხედა ყორისკენ, სადაც იდგა დაბალ-დაბალი, როგორღაც ჩამრგვალებული კი არა, თითქოს კვადრატული ფორმის მამაკაცი, რომლის პირველი დანახვისთანავე კამოდი გამახსენდა. ფიქრში ამ სახელით მოვნათლე ეს კაცი და ასე ვეძახდი მანამდე, ვიდრე მისი ნამდვილი სახელი არ გავიგე.

კაცი ყორესთან იდგა, ფეხს არ იცვლიდა, ალბათ, ჩვენი საუბრის დამთავრებას უცდიდა; სულაც არ მაინტერესებდა რა დამოკიდებულება ჰქონდა მას ნუცასთან, მაგრამ იმ მიზნით, ქალიშვილს ეგრძნო, რომ ჩვენი საუბარი საქმიანი იყო, მშრალად ვუთხარი:

— შევთანხმდით არა, ნუცა!

— დიახ, შევთანხმდით.

— მაშ დამელოდე, ამ დღეებში დაგიძახებ და დავიწყებთ მუშაობას.

— თუ მამა ნებას დამრთავს... — გაიმეორა ნუცამ და წავიდა.

იმ კაცს ისე გაუარა ახლოს, რომ ერთხელაც არ შეუხედავს.

უცნობმა დაიცადა, ვიდრე ნუცა შუკაზე გავიდოდა, და მერე თავჩაქინდრული მიჰყვა უკან.

მე ერთი წუთით შევაჩერე მზერა ორთავეზე, — ყველაფერი ჩემთვის ცხადზე ცხადი გახდა.

„საცოდავი ვინმეა“, გავიფიქრე, მერე სწრაფად ავავსე ჩაფი, მხარზე შევიდგი და სახლისაკენ გზას გავუყევი.

ახლა მე მჭირდებოდა კარგი სამუშაო ადგილი.

მჭირდებოდა კარგი თიხა...

მჭირდებოდა სრული სიმშვიდე.

მუშაობა მონატრებულს ხელის გულები მექავებოდა. შევედი ეზოში და დავიძახე:

— ბებია!

მან მარნიდან გამომხედა.

— ბებია, აგერ წყალი მოგიტანე... — და კოკა ფეხებთან დავუდგი, — ახლა ყურადღებით მომისმინე: მუშაობას ვიწყებ, შენი წვერცანცარა თხა ბოსლიდან უნდა გაიყვანო. იქ სახელოსნო უნდა გავმართო.

— მაგრამ იქ ხომ ბნელა! — ჩაურთო ბებიამ.

— ყველაფერი გათვალისწინებულია, ყველაფერი, — შევედავე მე. მკლავები მოვხვიე მის უმწეო გამხდარ ბებრულ ბეჭებს, — მაგრამ მთავარი, რაშიც შენი დახმარება მჭირდება, ბოსელი კი არ არის, — განვაგრძობდი მე, — მომისმინე ყურადღებით: შენ ახლა გაიძრე ეგ ფრატუნა ფლოსტები, ჩაიცვი ტუფლები და გასწი პირდაპირ ბესარიონ ნიორაძესთან.

— ვისთან?

— ვისთან და ბესარიონ ნიორაძესთან.

— გაგიჟდი! რა მინდა ბესოიასთან?

— მომისმინე ყურადღებით: ასე და ასე-თქო, — ეტყვი ბესარიონს, — ჩამომივიდა-თქო შვილიშვილი, მოქანდაკე, ცნობილი კაცი-თქო, ჩემს საქებრად სიტყვას ნუ დაიშურებ. ჩვენმა თავმჯდომარემ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, წითურმა სიმონმა სამუშაო დაუკვეთა-თქო, შეგიძლია ისიც უთხრა, საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით დაუკვეთეს-თქო. ერთი სიტყვით, ოფიციალურ მხარეს დაწექი. ამ შეკვეთის შესასრულებლად, მას, ესე იგი, ჩემს შვილიშვილს ესაჭიროება თქვენი ქალიშვილი-თქო. აქ გმართებს ფრთხილი, მორიდებული და დიპლომატიური მიდგომა. შენც კარგად მოგეხსენება, ბებიაჩემო, ჩვენ, აზიაში ვცხოვრობთ, ამას გარდა, ის კაცი, ბესოია ნიორაძეა, სხვა ვინმე კი არა...

მანამდე, ვიდრე ბესო ნიორაძის დაყოლიებას შევუდგებოდით, საჭირო იყო ბებიაჩემის დაყოლიება. მართალია, მისი უარი იმით იყო გამოწვეული, რომ ბებიას არ უყვარს მეზობლებში გადასვლა რაიმეს სათხოვნელად და სასესხებლად.

— რაში გჭირდება, შვილო, ეს ჩამოხმარი, გალეული გოგო, ეს შავტუხა ნინუცა. ისეთ ქალიშვილს გამოგინახავ, თვალი ზედ გრჩებოდეს.

— მე არავის გამონახვა არ მჭირდება! ცოლის შერთვას ხომ არ ვაპირებ, ქანდაკება უნდა გავაკეთო.

— რას ამბობ, ლადო, ნინუცასაგან რა ქანდაკება გამოვა. მე შენ გეტყვი და თვალტანადია! სჯობია, ჩვენს დარეჯანს სთხოვო, არც მამამისთან დაგვჭირდება დავიდარაბა, ადვილად დაიყოლიებ. გასძახებ აგერ მესერს გადაღმა და იგი მაშინვე შენთან გაჩნდება. მერე რა გოგოა, თეთრყირმიზა, ფერხორცით სავსე.

— ამას წინათ შენმა დარეჯანმა თბილისში თავი აჰწონინა, ჰე შევეხწარი. ოთხმოცდა სამი კილო გამოვიდა, — ვთქვი და იქვე დავძინე, — ეს იყო ორი წლის წინათ.

— მერე რა! ხურჯინი ხომ არ არის, რომ იმის სიმძიმეს უყურებ...

— რას ჩამაცივდი შენი დარეჯანით, — ბოლოს ალვშფოთდი მე, — მე მომწონს ნინუცა, ბესო ნიორაძის ქალიშვილი, იმას გამოვძერწავ, მხოლოდ იმას და სხვას არავის! თუ არა და, მივაფურთხებ ყველაფერს და სულ წავალ აქედან.

— აბა, აბა, ხმას ნუ იმაღლებ! — მოულოდნელად გამიწყრა ბებია, თვალები წამოენთო და დედა არწივს დაემსგავსა, — თავიდანვე გეთქვა, რომ მოგწონს ის გოგო, და მორჩა. არავინ არაფერს გეტყოდა. ახლა რა გამოვიდა, შენვე ასტეხე ალიაქოთი და შენვე გული მოგდის.

— არა, ბატონო, ნუცა მე არ მომწონს, თუმცა კი მომწონს, მაგრამ მომწონს, როგორც ნატურა, — ვცადე საქმის ვითარებაში გამერკვია ბებიაჩემი, მაგრამ მან არ დამაცალა:

— ნატურა თუ ხალტურა — ეს შენი აკადემიისათვის შემოინახე, აქ ჩვენ, უბრალო ხალხი ვართ. სიტყვას ჩვენში ერთი აზრი აქვს და არა ათი.

— დამაცა, ბებია, დამაცა, — შევაჩერე მოხუცი, — შენ იქ, ბესარიონთან, არ აურიო, მხოლოდ ის უთხარი, რომ მე ვაკეთებ ქანდაკებას და ნუცას ცოტა ხანს დაჭირდება ჩემს წინ პოზაში დგომა. ეს არის და ეს. ხომ გესმის?

მაგრამ ბებია უკვე აღარ მისმენდა, სახლში შევიდა, გადაიცვა, ხელში ლამაზი, მოჩუქურთმებული ჯოხი აიღო და მითხრა:

— გამომყევი!

— მე არ მცალია. სიმონთან უნდა წავიდე.

8.

სიმონი კაბინეტში არ დამხვდა, მაგრამ დარაჯმა, თუ გასაგზავნ-გამოსაგზავნად აყვანილმა ცამეტი წლის ბიჭმა პავლიამ, თავმჯდომარის კაბინეტის კარი მაინც გამიღო.

ალუბლისფერ მაუდგადაფარებულ გრძელ მაგიდაზე გაზეთები გადავფურცლე, სპორტის ახალ ამბებს გადავხედე, მერე, იმ განზრახვით, რომ დრო მომეკლა, ოთახს თვალიერება დავუწყე.

ცნობილია, რომ სახელგანთქმულ დეტექტივებს შეეძლოთ წაეკითხათ ოთახი, როგორც წიგნი. მაგრამ ჩანს, მე არაფერი მაცხია შერლოკ ჰოლმსისა. მივიხედ-მოვიხედე სიმონის კაბინეტში და დავიბენი: ვერასგზით ვერ დავუკავშირე ერთმანეთს თეთრი ტელეფონი, „მშობლიური ლიტერატურა", გადაშლილი იმ გვერდზე, სადაც „ქაჯანა" იწყებოდა, კუთხეში მიყრილი ჭყინტი სიმინდის ტაროები, მაგიდაზე — ნონა გაფრინდაშვილის ფოტოსურათი ავტოგრაფით, ოდნავ ჟანგმოდებული კაჟიანი თოფი (ჩემი ვარაუდით, სამუზეუმო იშვიათობა), ჩინებული წიგნის კარადის ერთ-ერთ თაროზე — პლუშის დათუნია, თავზე გვირგვინი რომ ახურავს — ქალაქ ბერლინის ემბლემა. აქვე იყო თავმჯდომარეთა კაბინეტებისათვის საყოველთაო სავალდებულო ნივთები — იაფფასიანი საწერკალამი, ლითონის კანტშემოვლებული სიგელები, კუსტარული ვიმპელები, საკოლმეურნეო მიწების ტოპოგრაფიული რუკები, კედელზე აუცილებლად ეკიდა კოლმეურნეობის დროშა, ხოლო შუა კაბინეტში, თეთრად შეფეთქილ ჭერზე ეკიდა ხუთასსანთლიანი ვეებერთელა ნათურა; თავმჯდომარის მაგიდაზე ელაგა ერთმანეთში არეული ქაღალდები და გაშლილი ბროშურები, რომლებშიც ბევრ ადგილას სტრიქონები ფერადი ფანქრით ხაზგასმული იყო. ძიებით და კვლევით გატაცებულმა გამოვწიე საწერი მაგიდის დაუკეტელი უჯრა. შიგ ეყარა პურის ნამცეცები, წების გამხმარი ნაფშხვენები, რვეულების დასტა, მოწაფის ზურგჩანთა... შევნიშნე რვეულებიდან გამოშვერილი რაღაც ფოტოსურათების კიდეები გამოვაძრე. სიმონის ფოტოსურათები აღმოჩნდა — ანფასი, პროფილი, და აგერ ზურგიდანაც გადაუღიათ. ასეთ ფოტოებს ათავსებენ გამოჩენილი რევოლუციონერების ბიოგრაფიებში წარწერით — „მეფის ოხრანკის არქივიდან". მაგრამ ეს ფოტოსურათები ახლახან იყო გადაღებული და არ შეიძლებოდა მათ რაიმე კავშირი ჰქონოდათ ოხრანკასთან და სიმონის რევოლუციურ წარსულთან.

და აი, როცა მე დაბნეული ვათვალიერებდი ფოტოსურათებს, ფანჯრის იქით მოისმა მანქანის ძრავის ხმაური. უჯრა მაშინვე შევწიე, ფანჯარასთან მივედი და დავინახე, გამგეობის კანტორის კარის წინ რა მკვირცხლად მოგრიალდა მტვერში ამოგანგლული „კოლხოზნიკი". მუხრუჭებმა დაიხრჭიალეს და მანქანიდან სიმონი გადმოხტა. თავმჯდომარეს ეცვა ჩექმებში ჩატანებული ნაცრისფერი შარვალი და აკაპიწებულ სახელოებიანი, მზეზე თეთრად მოქათქათე ხალათი. აგვისტოს მზით დახრუკულ სიმონს სახე ცეცხლივით ანთებოდა. საჭეს უჯდა ჩემი ძმადნაფიცი, ქოჩორა მიტო, ხოლო უკან მსხდომთა შორის მეურმე ელეფთერი ვიცანი და გამიკვირდა: მთელმა სოფელმა იცოდა,

თუ რა თავზარდამცემ შიშს ჰგვრიდა მას ავტომობილით მგზავრობა.

სიმონმა მანქანის კარი ძლიერი ჯახუნით მიხურა.

— აბა, მიტო, შენ იცი! ერთი ფეხით რომ აქ ხარ, მეორეთი იქ უნდა იყო, — მერე მობრუნდა და პარმაღზე რბენით შემოსულ ცამეტი წლის ბიჭს ჰკითხა:

— პარმენი გამოცხადდა?

— აქ არის.

— ფხიზელია?

— ისე.. როგორ გითხრათ? ეტყობა, ნაბახუსევია.

— შემოვიდეს ჩემთან! — და როცა გასაგზავნ-გამოსაგზავნად აყვანილი ცამეტი წლის ბიჭი გამგეობის ძველი შენობისაკენ გაიქცა, სიმონმა მიაძახა:

— პავლეა, რა მგელივით მიძუნძულებ, ბიჭო? მამას უთხარი, ისიც შემოვიდეს ჩემთან. — თქვა ეს, ამოიხვნეშა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა კიბისაკენ ზევით ამოსასვლელად.

მე კაბინეტში ვუცდიდი.

ჩემს დანახვაზე სიმონმა გაშალა თავისი წითური მკლავები... მის თვალებში, სიხარულთან ერთად, რაღაც დაძაბულობაც შევნიშნე, პირველ შეხვედრისას რომ გამაკვირვა. ოღონდ მაშინ სიმონის თვალები თითქოს მსინჯავდნენ, მამოწმებდნენ, ახლა კი თითქოს მოლოდინს გამოხატავდნენ.

— გაგიმარჯოს, გამარჯობა, ჩემო ძვირფასო! რას შვები, როგორ ისვენებ, გუშინ, მდინარის პირზე დაგინახე, შემთხვევით დინამიტით ხომ არ იჭერდი თევზს!

— აბა, რას ამბობ, ბიძია სიმონ? მე სპინინგი მირჩევნია!

— სპინინგი? ეს, მგონი ანკესი უნდა იყოს, კოჭიანი.

— დიახ.

— ეგ შეიძლება. ვუყურებ და ვხედავ — ვიღაც კაცი ზის მარტოდ-მარტო, სწორედ იმ კლდესთან, სადაც საცოდავ მაქსიმეს ხიფათი შეემთხვა. იქ ახლაც ყოველთვის ვიღაც ეშმაკობს — კაი სათევზაო ადგილია. ვხედავ ამ მარტოხელა მებადურს და ვამბობ — ამას ახლა მე თვითონ ვასწავლი ჭკუას. მაგრამ მიტომ გიცნო, თუმცა შორს, ჩემო გზაზე მივდიოდით.

— მიცნობდა, რა თქმა უნდა. ერთად გავიზარდეთ.

— იმანაც ასე მითხრა, ერთად გავიზარდეთო, კარგი ვაჟკაცია ლადოო, ძალიან გაქებდა, აბა ახლა მითხარი როგორ მიდის საქმე? დღეს კარგ გუნებაზე ვარ, ორმოცდაორი ცენტნერი ჩაის ფოთოლი ჩავაბარე ფაბრიკას და სულ უმაღლესი ხარისხის აღმოჩნდა, — გამანდო სიმონმა და თვალების ირგვლივ მხიარული ნაოჭები გაუჩნდა. შემდეგ მკითხა:

— თუ მოიფიქრე რამე?

— როგორ არა? გადავწყვიტე გამოვძერწო ქალის ფიგურა.

— ქალის ფიგურა? ეს კარგი მოგიფიქრებია! — მაშინვე დამეთანხმა სიმონი, თავი ასწია, სახეში შემომხედა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, მითხრა:

— ჩვენ კოლმეურნეობაში გვყავს მოწინავე მკრეფავი, დომნა ინაშვილი, მერგოლური... შეიძლება ის გამოსახო. ფარფლიანი ჩალის ქუდით, კალათით და კიდევ ორდენით.

— არა, მე უკვე ავირჩიე ნატურა.

— ვინ აირჩიე? მითხარი, თუ საიდუმლო არაა.

— ნუცა, ბესო ნიორაძის ქალიშვილი.

სიმონა წელში გაიმართა, გაიჭიმა გაოცებისაგან და ერთ წუთს მდუმარედ მიყურებდა.

— რისთვის დასდე იმ გოგოს ასეთი პატივი? — მკითხა ბოლოს. მის კილოში მოახლოებული ჭექა-ქუხილის მსგავსი რამ ვიგრძენი და რომ მეხი თავზე არ დამტეხოდა, დავასწარი:

— ბიძია სიმონ! რამდენადაც ჩვენი პირველი შეხვედრის დროს გაგიგე, ჩემი ამოცანაა შევამკოთ აი, ეს მოედანი! — მე ხელი გავიწოდე ფანჯრისაკენ, რომელიც სკვერს გადაჰყურებდა, — დავუფიქრდი, ყოველმხრივ ავწონ-დავ-

წონე თქვენი წინადადება და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ამ ამოცანის ყველაზე უკეთესი გადაწყვეტა იქნებოდა არა ამა თუ იმ კოლმეურნის კონკრეტული პორტრეტი, არამედ თანასოფლელების განზოგადებული სახე, ისეთი სახე, რომელიც თავის თავში მოიცავდა ყოველივეს და ყველაფერს: მთებს, მდინარეებს, ნაკადულებს, ზვრებს, ტყეებს და, რა თქმა უნდა, რაც მთავარია, ადამიანებს.

— მაგრამ რა შუაშია აქ ნიორაძის გოგო? — გამაწყვეტინა სიმონმა.

— მე მგონია, რომ მხოლოდ ახალგაზრდა ქალის სახით შეიძლება გადმოიცეს ჩვენი მიწის მთელი სილამაზე... — უცებ ვიგრძენი, რომ ეს ათასჯერ ნახმარი და გაცვეთილი სიტყვები ზუსტად ვერ გადმოსცემდნენ იმას, რის თქმაც მინდოდა.

სიმონი სდუმდა. ჭკვიანი და მკაცრი თვალებით მაკვირდებოდა და მე, წუთით სევდამორეულს, თავში კვლავ გამიელვა: „სიტყვას მაინც არ შეუძლია გადმოსცეს, რაც გულში გაქვს. ღმერთო მაღალო, გააგებინე ამ კაცს რის თქმაც მინდა".

სიმონმა კი უეცრად როგორღაც შეცბუნებით გაიღიმა, თითქოს მე შევაქე არა ჩვენი მადლიანი მიწა, არამედ მისი საყვარელი შვილიშვილი.

— რაც შეეხება სილამაზეს, ამაში, არ გედავები, მაგრამ რატომ ფიქრობ, რომ მთელ ამ სილამაზეს მაინცდამაინც ბაზრის აფერისტის ქალიშვილი განასახიერებს.

— საკითხს ასე ნუ გააუბრალოებ, — ფიცხლად შევეკამათე, — მე გამოვძერწავ არა კონკრეტულ ნინო ბესარიონის ასულს, დაბადებულს ათას ცხრაას ორმოცდა შვიდ წელს, თუ უფრო გვიან, არამედ უბრალოდ, კარგ თვალტანად ქალიშვილს, რომელსაც დამახასიათებელი გარეგნობა აქვს. ნუ:ა მე მჭირდება მხოლოდ როგორც ნატურა, როგორც ბიძგი შთაგონებისათვის. ეს ჩვენი პროფესიული თავისებურებაა — მოქანდაკე უნატუროდ იგივეა, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე უგეგმოდ.

სიმონმა შემომხედა, მერე გაიხედა ფანჯრისაკენ, საიდანაც ხეების იქით პატარა სკვერი მოჩანდა, მერე მზერა ისევ ჩემზე გადმოიტანა.

— მე ყველაფერი სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი, — ჩაილაპარაკა მან, — მაგრამ რაკი ასეა, შენ ცდას და მონდომებას ნუ დააკლებ — გამოსახე ქალიშვილი, როგორც წესი და რიგია. ისე, რომ კაცს მისი შეხედვა ესიამოვნოს. სიმართლე რომ ვთქვა, მეც ხომ მოედნის მორთვა-მოკაზმვა მინდა და არა სხვა რამე.

— ამის დარდი ნუ გექნებათ, — ვუთხარი მე, — ისეთ ქალიშვილს გამოგიძერწავთ, რომ მთელი სოფლის ახალგაზრდებს შეუყვარდეთ, ტურისტებისაგან მოსვენება არ გექნებათ. მათთვის ტურისტული ბაზის აგება დაგჭირდებათ! — თავი ვერ შევიკავე და დავუმატე, — არ არის გამორიცხული, რომ აქ ოლიმპიური თამაშობანი გაიმართოს, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები!

— არ შეიძლება კალათი მივცეთ ხელში? — მკითხა სიმონმა ისე, რომ ჩემი ხუმრობისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ვის? — ვერ გავიგე უცბად მისი შეკითხვა.

— ვის და გამოქანდაკებულ ქალიშვილს.

— წვრილმანები გაირკვევა მუშაობის დროს, ბიძია სიმონ. თქვენს სურვილებსა და წინადადებებსაც გავითვალისწინებთ.

— მაშ ასე, შენ უკეთ იცი შენი საქმე, — დათმო სიმონმა, ამოისუნთქა და მაგიდიდან ჩემსკენ გამოაბიჯა — რაკი ნუცა გინდა, ნუცა იყოს. როდის დაიწყებ მუშაობას?

— როგორც კი სახელოსნოს მოწყობას დავამთავრებ.

— კეთილი და პატიოსანი. შეუდექი საქმეს. მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეს და მოედანზე ტიტველი გოგო არ წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისკუპო. შენ ხომ იცი ჩვენი ბიჭ-ბუჭების ამბავი, აქ ხარ გაზრდილი.

ამის მერე ვილაპარაკეთ ჩვენს საქმესთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე, იმაზე, თუ სად მოვაწყო სამუშაო ადგილი, სად ვიშოვო საჭირო მასალა... სიმონმა შემომთავაზა ოთახი კლუბის შენობაში, მაგრამ კლუბი შორს იყო, ამასთან, დაბლობში, — სადაც ძალიან ცხელოდა. როცა სიმონმა შეიტყო, სახელოსნოდ ბოსლის გადაკეთება მინდოდა, დამპირდა ხუროს დაგახმარებო, ხოლო მენატურეს, ნინუცას — რამდენ ხანსაც არ უნდა მოუხდეს პოზაში დგომა — ათ კაცდღეს დავუწერო, თანაც მე, ხვალინდელი დღიდან ულუფა დამინიშნა: თონის პური, ერთი თავი ყველი და ერთი დოქი ღვინო.

— ნუ იუკადრისებ, თქვენ, მხატვრებს, ალბათ, ეს წესად არა გაქვთ, ჩვენ კი, სოფელში ოსტატებს ყოველთვის ასე ვუმასპინძლდებით. ასეთია ჩვეულება. ლობიო ბებიაშენმა თებრონემ მოგიხარშოს — სიცილით დაუმატა თავმჯდომარემ.

არ შევდავებივარ, დავემშვიდობე და წამოვედი.

გამგეობის შენობის კიბეზე პარმენი შემომხვდა, დაბუჩქულ წარბებ'ს ქვემოდან უკმაყოფილოდ შემომხედა და ზუსტად ისე, როგორც ამ დილით წყაროსთან, დამიღრიალა.

— შენ აქ რას დასეირნობ?

— აგერ, სიმონთან შემოვიარე, — მშვიდობიანად მივუგე მე.

— ჰო... მაშ, გასწი, გასწი!

— თქვენი ნებართვით...

სკვერში ჩავედი და ხის ქვეშ მერხზე ჩამოვჯექი.

„დიახ... ვუთხარი მე ყოველ მხრიდან სასწრაფოდ ჩამოფრენილ აწრიალებულ კორესპონდენტებს, — მიუხედავად აზრთა ერთგვარი სხვადასხვაობისა, საუბარი გულითადობის, ურთიერთგაგების და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა. საინტერესოა, როგორაა საქმე იმ უბანზე, რომელიც ბებიაჩემს ჩავაბარე“.

ბებიასათვის ჩაბარებული საქმის ვითარება კი აი ასე იყო...

## 9.

ეზოდან გასვლისას წამეჩხუბა, გაჯავრებით გაიჯახუნა ჭიშკარი და შეფოთლილი ვაზის ლერწებით გადახურულ გზაზე გავიდა. მისთვის გაურკვეველი იყო რა სწადია მის შვილიშვილს, ეს აბრაზებდა, აღიზიანებდა მოხუცს. ფიქრებში გართულს გზა ჩვენი ეზოდან ნიორაძემდე ძალიან მოკლე მოეჩვენა, კარზე ისე მიადგა ბესარიონს, რომ თავისთვის ვერაფერი გაარკვია. ჯოხით მაგრად დააკაკუნა ალაყაფის მუხის კარებზე.

ჩემი თხოვნით ბებიამ დაწვრილებით აღადგინა საუბარი ბესარიონთან: — ის იყო შევაბიჯე ეზოში... — ბებიამ ცერა და საჩვენებელი თითების მსუბუქი შეხებით პირის კუთხეები მოიწმინდა, — უცებ მესმის სიტყვები: — ეს რა კარგი დღე გაგვითენდა! მობრძანდით, მობრძანდით, ჩემო ბატონო! — პირველად გამიკვირდა, შევჩერდი, უკან მივიხედე, ვიფიქრე, უკან, ჩემს კვალდაკვალ სხვა ვინმე ხომ არ მოდის-მეთქი. არა, არავინ იყო. ჩემთან შესაგებებლად მოიჩქაროდა ელენე — ბესარიონის ცოლი; მოდის, თითქოს მთელი ეზო თან მოაქვსო, გაშიშვლებული ქათქათა მკლავები გაუშლია და ქოთქოთებს, სულ ახ და ოხს გაიძახის, მეშინია — ვაი თუ გადამეხვიოს, გამსრესს ჭიაყელასავით. ჯოხი წინ გავიშვირე და თან ვლაპარაკობ, — გამარჯობა, ჩემო ელენე! ასე ხმამაღლა ნუ ყვირი, ქალო, — მეზობლები არ შეაშინო! — გამარჯობა, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო! — ცოტა თავქარიანი კი არის, მაგრამ მაინც მიყვარს, სხვებზე უფრო მიყვარს. კეთილი გულის ქალია. ის კიდევ თავისას არ იშლის, სულ ახ და ოხ, ხომ ჯანმრთელად ხარ, წელი რას გიშვრება? ერთხანს

წლის ტკივილი მაწუხებდა, ეს არ დაგიწყნია, — განმიმარტა ბებიაჩემმა, მერე განაგრძო: — დიდი ხანია ჩვენთან არ ყოფილხარო, — მეუბნება, — ჩვენი ახალი სახლი არ გინახავსო, წამობრძანდით, გიჩვენებო. ჩემმა ბესომ აბაზანა მოაწყო, სახურავზე ავზი ადგას. საპირფარეშოში კი წყალი გაუთავებლად მოლივლივებს. ვფიქრობ, ცუდათაა ჩემი საქმე, — თუ არაფერი მოვიფიქრე, მომკლავს ლაპარაკით, ვერ გადავურჩები; „გმადლობთ, ჩემო კარგო, — ვეუბნები, — საპირფარეშო ახლა არ მინდა, როგორც კი მომინდება, გეტყვი, მიმაცილე და მაჩვენე კიდეც“. წამოწითლდა ეს ჩემი შტერი ელენე, მგონია, ეწყინა კიდეც, მაგრამ ხმა არ ამოიღო, გაჩუმდა, შევედით სახლში. ვხედავ, შესაგებებლად ახალგაზრდა პატარძალი მოგოგავს, ფეხმძიმედ არის, მუცელი ძლივს მოაქვს. ეს მათი რძალია, უფროსი ვაჟის ცოლი. ელენე ისევ აკაკანდა: „იქნებ შენ მაინც მიხვდე, ბიჭზეა თუ გოგოზე?“ აბა, რა ვიცი, ვფიქრობ, სულ სისულელეა, რასაც ამის თაობაზე სოფლის დედაკაცები ჩმახავენ. იმის მუცელს რომ შევხედე, ვიფიქრე, ამას ერთი კი არა, ორი ტყუპი შეიძლება ეყოლოს-მეთქი. აგერ შემიყვანეს რომელიღაც ოთახში, ქვემოთ. სამზარეულოა? — არ ჰგავს სამზარეულოს, კუთხეში კი, ვხედავ, ბუხარია. ფანჯარასთან თვითონ ბესოა ზის, სახე ფანჯრისაკენ შეუბრუნებია, ვეება ფეხები თითქმის მთელი ოთახის სიგრძეზე გაუშხლართავს. ელენემ მიირბინა მასთან, გაპუნტულებული თეთრი ხელები ბეჭებზე დაადო და უთხრა: — ბესო, შეხედე, ვინ გვესტუმრა! თითქოს ბესოს ჩემი დანახვა ისე გაეხარდებოდა, წამოხტებოდა. ბესომ თავი ძლივს შემოაბრუნა და შემომხედა.

— აა, დეიდა თებრო, გამარჯობა! — და ისევ ფანჯარაში გაიხედა. აქ კი, ჩემი ტურფა ელენე, ალბათ იმ მიზნით, რომ ქმრის უზრდელი საქციელი მიეფუჩეჩებინა, მთლად მოტიკტიკე გოგოდ გადაიქცა — რატრატებს და რატრატებს. ბოლოს შეტრიალდა და კარისკენ გაიქცა: სანამ თქვენ მუსაიფით თავს შეიქცევთ, მე ხაჭაპურებს გამოვაცხობო! ვტაცე ხელი — არ წახვიდე-მეთქი, აქ დარჩი, ელენე, დაჯექი!.. ბესო, არ გესმის, გააჩერე, შენი რატრატა ცოლი, — ვეუბნები და ვგრძნობ, რომ მეტის ატანა აღარ შემიძლია, მთლად დარეტიანებული ვარ.

— მე სტუმრად კი არ მოვსულვარ, საქმე მაქვს შენთან, გესმის, ბესო?

სანამ ელენე ლაქლაქებდა, ბესო ხმას არ იღებდა, ფანჯარაში იყურებოდა და თავის გრძელ ულვაშებს იგრეხდა. ახლა ჩემს სიტყვებზე მობრუნდა, წარბი ნაღივით მოღუნა და შემომხედა.

— რას მომჩერებიხარ. კეთილ ინებე და მომისმინე!

— რა მოხდა, დეიდა თებრო, რით შემიძლია გემსახურო? — მეკითხება და დაჟინებით შემომცქერის.

— „ახ, შე გაიძვერა, — ვამბობ გუნებაში, — იქნებ გგონია შენთან ფულის სასესხებლად მოვედი, ან ღვინის სათხოვრად“. და რომ მის ასეთ ვარაუდებს ბოლო მოვუღო, ვეუბნები.

— იცი, ბესო, შვილიშვილი ჩამომივიდა.

— როგორ არ ვიცი, — მიპასუხებს ბესო, — ორჯერ ვნახე აქ, სოფელში. ამბობენ, შენმა ლადომ აკადემია დაამთავრაო.

— უკვე კაიხანია. ხუთი წელიწადია.

— ყოჩაღ ბიჭო!

— დიახაც, რომ ყოჩაღ! — ვეუბნები, — ასე ახალგაზრდაა და უკვე ცნობილი კაცია, მოქანდაკეა!

— ოჰ, ნუთუ?

— ასეა, ასე. ათასნაირ ფიგურებს ძერწავს, უკვეთავენ და ისიც ძერწავს. აუარებელ ფულს აკეთებს. ვინღა არ უკვეთავს! სულ პატარა ფიგურებშიც კი სამას მანეთს ღებულობს თითო ცალში, უფრო დიდებზე რომ არაფერი ვთქვა.

ეს თაღლითი ბესო ეშმაკურად იცინის.

— იქნებ, ფულიც კი მომიტანე მისგან, მოსაბარებლად. — მეუბნება.

მე უპასუხოდ ვტოვებ მის დაცინვას.

— ყური დამიგდე, — ნუ მაწყვეტინებ, — ჩემმა ლადომ უამრავი ასეთი ფიგურა გააკეთა, ძალიან დაიღალა და ჩემთან ჩამოვიდა დასასვენებლად. ჩვენმა თავმჯდომარემ სიმონმა მისი აქ ყოფნა რომ შეიტყო, შეუჩნდა — გამიკეთე და გამიკეთე ფიგურაო, გამიკეთე და გამიკეთეო, რომ ჩვენი სოფელიც დამშვენდეს, გალამაზდესო, ჩვენც გვინდა ცხოვრება ისეთი, როგორც დღევანდელ ადამიანებს ეკადრებათო. მით უფრო ახლა, როცა დიდი დღესასწაული, ესე იგი ორმოცდაათი წლის თავი კარზე მოგვადგაო. მთელმა სოფელმა და შენც კარგად იცით, რომ ჩემი ლადო გულკეთილი ყმაწვილია, და თუმცა ახლა ასეთი ცნობილი კაცია, მაგრამ თავპატიჟი არ დაუდევს, უყოყმანოდ დათანხმდა.

ბესო თავს მიქნევს, გასაგებიაო.

— მაშ, ასე, დაიყოლია... წითური სიმონა ვის არ დაიყოლიებს!

მე ნელნელა ჩემს სათქმელს ვუახლოვდები, ჩემი გამყავს, ვეუბნები — ჩემმა შვილიშვილმა გადაწყვიტა შენი ქალიშვილი გამოსახოს.

ამ სიტყვებზე ბესო ისევ დაიძაბა. ულვაშები აშვერილი აქვს და ყურები დაცქვეტილი. ხვად კატას ჰგავს, ბეღელში რომ თაგვებს უდარაჯებს.

— ნინუცა ხომ არა?

— სწორედ ნინუცა. ქალიშვილი მეტი ვინა გყავს?

— ვითომდა რატომ მაინცდამაინც ნინუცაო.

— მომწონსო, დაუჟინია, მის გარდა სხვა არავინ მინდაო.

გაჩუმდა, ეს ჩემი ბესო, გაინაბა. ცოლი და ქმარი ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ეტყობათ, ვერ მოუსაზრებიათ, როგორ მოიქცნენ, რა პასუხი გამცენ, გავიდა წუთი და ბესო მეკითხება:

— დიდი ხანია, რაც ლადო ჩამოვიდა?

— ერთი კვირა იქნება, ცოტა მეტი.

— ნინუცა კი მხოლოდ გუშინ შეხვედრია, მდინარესთან.

— ეს კი არ ვიცი, — ვეუბნები, — არ ვიცი გუშინ შეხვდა თუ გუშინწინ.

— შენ არ იცი, მე კარგად ვიცი, — გაწყრა ბესარიონი.

— იცოდე, ეგეც შენთვის დამითმია!

ბესო კი თითქოს ისევ თავის თავს ესაუბრება:

— იქნებ ისინი წინათაც ხვდებოდნენ ერთმანეთს?

— აბა რას ლაპარაკობ? ლადო ოთხი წელიწადია აქ არ ჩამოსულა.

— მაშ, შენ ამბობ, რომ მოსწონებია ჩემი ნინუცა?

— მოსწონს, ადამიანო! წელან იყო, რომ წამეჩხუბა: ან მომიყვან ნინუცას, არა და დღესვე დავკრავ ფეხს და წავალ აქედანო.

— უყურე, რა ფიცხი ყოფილა! კაცმა რომ თქვას, შენ რატომ მოხვედი ჩემთან, დეიდა თებრონე? — მეკითხება ბესარიონი, — მითხარი პირდაპირ. ნუ მიკიბ-მოკიბავ! აქამდე ვერ მივმხვდარვარ, რაშია საქმე!

— რისთვის უნდა მივკიბ-მოვკიბო, — ვეუბნები მე, — ლადოს დიდი სურვილი აქვს ნინუცას ქანდაკება გააკეთოს, მეტი ჩემთვის ლადოს არაფერი უთქვამს.

— მერე გააკეთოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს. მე აქ რა შუაში ვარ, — და ისევ შეხედა ცოლს. ის კი საცოდავი, არც ცოცხალია და აღარც მკვდარი, ველარ სუნთქავს, სულ მე მიყურებს, ჩანს რაღაც მოეჩვენა, რაღაც მოელანდა თავის გოგონაზე, თავის ერთადერთ ლამაზ ნინუცაზე: ღირს კი გოგო იმად, რომ მასზე ასეთი რამეები და ამდენი ილაპარაკონ! მიჩუმდნენ, მიყუჩდნენ და სწორედ ამ დროს, ყველაზე მთავარი სათქმელი ვთქვი:

— ამ საქმისათვის საჭიროა შენი ნი-

ნუცა ლადოსთან, ბოსელში მოვიდეს ხოლმე.

ოი, ღმერთო ჩემო, როგორ მომიტრიალდა ენა, ასეთი, რამის სათქმელად.

მოულოდნელობისაგან ბესო თავის ულვაშს სწვდა და თითქოს ამოასლოკინა კიდეც.

— ი, შენც შვილიშვილი გყოლია რაღა! — მეუბნება, — როგორც ჩანს, ამ ოთხ წელიწადში დავიწყებია, ვინ არის ბესო ნიორაძე. არ მინდა გავახსენო, ასეა თუ ისე, მაინც მეზობლები ვართ, თქვენს ოჯახს პატივს ვცემ...

ცოტა არ იყოს, იმ წუთში, მეც შემეშინდა ბესოსი.

— დამაცა, ბესო, — ვეუბნები, — ბოლომდე მათქმევინე, შე კაცო... სამუშაო ლადოს ბოსელში ექნება გამართული, სახელოსნო, გაიგე? ნუთუ ვერ გაიგე? იქ უნდა გააკეთოს ფიგურა. ნუცა კი ერთი-ორი დღე წინ უნდა დაუდგეს. მეტი არაფერი. რა იყო, მართლა, შე კაი კაცო, რის გეშინია. ჩემს გვერდით იქნებიან, ერთი წამითაც თვალს არ მოვაშორებ.

ბესო უკვე აღარ მისმენს, ისევ ფანჯრისკენ შებრუნდა, მხოლოდ იმას ვხედავ, როგორ აცმაცუნებს ულვაშებს.

— ჰმ, ერთი ამას დამიხედეთ, ეს რა ჭკვიანი შვილიშვილი გყოლია. რატომ თვითონ არ მობრძანდა, მენი სანაქებო ლადო?

— სიმონთან მიეჩქარებოდა, — ვეუბნები მე.

— კარგი, დეიდა თებრონე, — შემომიბრუნდა ბესარიონი, — უიმისოდ ეს საქმე არ გადაწყდება. შენს ლადოს უთხარი შემოიაროს, ახლა, ის დრო როდია, როცა ბებიები ასეთ საქმეებს აჭახრაკებდნენ-თქო.

— ესეც მართალია-მეთქი, — დავეთანხმე, — ვთხოვე თვითონ წამომყოლოდა, მაგრამ ვერ მოახერხა-მეთქი.

— აი, ასე დამთავრდა ჩვენი შეხვედრა, — დაასრულა ბებიამ ამბავი, დამნაშავესავით შემომხედა და მითხრა — შეიარე ბესოსთან, ახლავე წადი, თუ ძალიან დაღლილი არა ხარ.

რატომღაც მომეჩვენა, რომ ბებიას ბოლომდე არ უთქვამს ყველაფერი და სიცილით დავუქნიე თითი.

— შენ რაღაცას მიმალავ, ბებია! კიდევ რა მოხდა!

— მგონი მეტი არაფერი... — მაგრამ უცებ, თითქოს ეს არის ახლა გაახსენდაო, დაუმატა — ჰო, სწორედ ჩემი წამოსვლის წინ ბესარიონმა კარებში შემაჩერა, მოიცა, ერთი რამ კიდევ უნდა გითხრაო. თვითონ კარგად მოგეხსენება, ეს არ არის უბრალო საქმეო. მე და შენ ძველი ადათ-წესების ადამიანები ვართ. შენ ქართველი ქალი ხარ, მეც ქართველი კაცი — ნუ ვიკადრებთ, რომ ერთმანეთს მოვატყუოთ. გამანდე, ვითომ ალსარებას ამბობდე, თვითონ შენ რას ფიქრობ ამაზე?

დრო რომ მომეგო, ბესოს წამით თვალი ავარიდე, მერე ვკითხე, — რაზე?

— რაზე და შენს შვილიშვილზე და ჩემს გოგოზე.

— მთელი გზა, — ვეუბნები, — სულ ამაზე ვფიქრობდი და ვერაფერი ვერ მოვიფიქრე-მეთქი. დიახ, ასე ვუთხარი — ესაა ჩემი აღსარება-მეთქი და კიდეც დავშორდით ერთმანეთს.

ვუყურებ ბებიაჩემს: ზის ცაცხვის ჩრდილში, თავსაფარი მოუხსნია, მუხლებზე უდევს, გათხელებული ჭაღარა თმები სარჭებით დაუმაგრებია, ხოლო თავზე ფუტკარი დასტრიალებს, დაბზუის, თითქოს ყველა ყვავილს ამ ქვეყანაზე მისი ჭაღარა ერჩივნოს. ბებიაც მე შემომყურებს და ვატყობ ცნობისმოყვარეობა აწვალებს, რაღაცის თქმას მოელის ჩემგან.

— გმადლობ, ბებია, დიდ მადლობას მოგახსენებ ამ კეთილი სამსახურისათვის. ოღონდ ბოლოს მაინც წაიფორხილე, არა? მთელი გზა რაზე ფიქრობდი, მითხარი, თუ ღმერთი გწამს!

ჩემს კითხვაზე გული არ მოსვლია, მხოლოდ ეს მითხრა:

— ლადო, მოეშვი ამ დავიდარაბას,

გთხოვ, გეხვეწები. აგერაა ჩვენი დარე-ჯანი, დაუძახე და...

— რას ჩამაცივდი, ბებო, არ მინდა შენი დარეჯანი. ისეთი ნატურა როგო-რიც ნუცაა, ჩვენთან აკადემიაში, თვა-ლით არავის უნახავს, სახელგანთქმულ გამრეკელს ასეთი ნატურა ძილშიც არ დასიზმრებია, შენ კი ყური გამიჭედე — დარეჯანი, დარეჯანიო.

ბებიამ მკვახედ შემაწყვეტინა სიტ-ყვა: — აქ თავის გამოდებას სჯობია მიხვიდე იმ ადამიანებთან და გააგები-ნო, რა გინდა, რას ითხოვ.

— დიახაც, მივალ, — ვთქვი მე, — აი, ახლავე წავალ!

მაგრამ მანამდე, ვიდრე მოგახსენებ-დეთ ჩემი უცნაური ვიზიტის თაობაზე, საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ, ორიოდე სიტყვით მოგითხროთ ბესარიონ ნიორა-ძესა და მის ოჯახზე.

10.

ეს სახელგანთქმული ოჯახი გახლდათ. მას იცნობდნენ არა მარტო ჩვენს სო-ფელში, რაიონშიც და უფრო შორსაც — ქუთაისში, თბილისში, და არ არის გამორიცხული, რომ თვით მოსკოვშიც კი. მაგრამ მას სახელი იმ გზით როდი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც, ვთქვათ, წითურ სიმონას, ან თუნდაც დომნა ინა-შვილს. არა, ნიორაძის გვარი არასოდეს წარმოთქმულა მაღალი ტრიბუნიდან, პორტრეტებით და ტრანსპარანტებით მორთულ, გაჩირაღდნებულ დიდ დარ-ბაზებში... სამაგიეროდ მის სახელს ხში-რად გაიგონებდით ოხშივარით დაბუ-რულ სახინკლეებში, სადაც გაშმაგებით ნთქავენ ცეცხლივით ცხელს და ცხა-რე ხინკლებს, ხახვით და თუთუბოთი შენელებულ ნივრიან ლულაქაბაბს და ზედ აყოლებენ ლუდსა და არაყს.

თავის გვარს სახელი და დიდება მო-უხვეჭა მხოლოდ და მხოლოდ ბესარი-ონმა. მოუხვეჭა, ასე ვთქვათ, პირადად, სხვების დაუხმარებლად.

ცნობილი არ არის, როგორ და რა გზით მოხდა ეს, მაგრამ ეს კი ყველამ იცის, რომ მან ორმოცდაერთი წლის, როგორღაც თავი დააღწია მობილიზა-ციას. ამრიგად, ბესარიონი ასცდა თვე-ობით და წლობით ბნელ და ტალახიან სანგრებში წოლას, ასცდა ტყვიის წვი-მას, ქვემეხების გრუხუნს; ნაცვლად ყოველივე ამისა, ოცდაექვსი წლის სრულიად ჯანსაღი, ძალღონით სავსე ბესარიონი არხეინად ატარებდა დროს, ნეტარებით იწვა თბილ ლოგინში, გვერ-დზე ეწვა ახალგაზრდა ცოლი, რომე-ლიც ახლაც კი, ორმოცდათორმეტი წლის ასაკშიც, გასაოცრად კარგი იყო, ხოლო მაშინ რა იქნებოდა, ძნელი წარ-მოსადგენი არ არის; მაგრამ ახალგაზ-რდა ცოლთან ნებივრობა მას სახელს ვერ მოუხვეჭდა. სახელი კი, სამარცხვი-ნო სახელი ბესოს დიდი ჰქონდა, მაშა-სადამე, წყარო ამ სახელის მოხვეჭისა, სულ სხვაგან, სხვა ვითარებაში უნდა ვეძიოთ.

ამას დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდე-ბა, სოფელში ეს იციან. ომის წლებში ბესომ ფართო ვაჭრობა გააჩაღა ღვი-ნითა და ჭაჭის არყით. მან ერთმა პირ-ველთაგანმა დაიწყო წყალნარევი, შაქრიანი ღვინის კეთება. ღვინის წარ-მოების ეს წესი შემდგომ ძალიან გავ-რცელდა, მაგრამ ბესო შეიძლება ჩა-ითვალოს ამ საქმის პიონერად, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სოფელში მაინც.

ომის დაწყებიდან ერთი წლის შემ-დეგ, ბესო იძულებული გახდა მთელი ოჯახით სამეგრელოში, თავის სიმამ-რთან გადასულიყო, რადგან წითური სიმონა ემუქრებოდა, რადაც უნდა და-მიჯდეს, მივაღწევ იმას, რომ ბესო ფრონტზე გაგზავნონო. ამიტომ სო-ფელში კარგა ხანს არ გამოჩენილა. მო-დიოდნენ ცოლის ნათესავები, უვლიდ-ნენ ბაღსა და ვენახს, საეჭვო რეცეპ-ტებით აკეთებდნენ ღვინოს და სადღაც მიჰქონდათ იგი ვეებერთელა კასრებით. ბესო ერთხელაც არ გამოჩენილა.

ისე კი, ათას რამეს ამბობდნენ მას-ზე: ნახევრადსამხედრო ტანსაცმლით

დადის და მხარზეც ოფიცრის პლანშეტი ჰკიდიაო, ხოლო რა თანხა ეწყო იმ პლანშეტში, ზუსტად, რა თქმა უნდა, არავინ იცოდა.

როცა ომი დამთავრდა, ბესომ იანგარიშა თავისი ნავაჭრი-დანაზოგი — ოთხი წლის განმავლობაში მდიდარი კაცი გამხდარიყო. ომის დროს იგი იძულებული იყო თავი ჩუმად და მორიდებულად დაეჭირა, რათა ვისიმე ყურადღება არ მიექცია ზორბა ფიგურას ჯანსაღი კაცისას, რომელიც, ვინ უწყის, რა საქმეებს არ აჭახრაკებდა ღრმა ზურგში; ათასცხრაას ორმოცდახუთი წლის ცხრა მაისს ბესო ნიორაძემ ქუთაისის ერთ ყველაზე გემრიელ დაწესებულებაში მოაწყო ჩინებული ქეიფი, რომელსაც არც მეზურნეები აკლდა და არც სასულე ორკესტრი. თვითონ ბესო რესტორნის შესასვლელთან იდგა და გამვლელ-გამომვლელებს ეხვეწებოდა, მობრძანდით, ძმებო და მეგობრებო, პატივი გვეცით, დღევანდელი დღე ყველასათვის სასიხარულო დღეა, უარს ნუ მეტყვითო; ბაბუაჩემმა ბესოს ეს გულუხვი მასპინძლობა ასე ახსნა: ასეთი ზარ-ზეიმით და რიხით გადახდილი ნადიმით ბესოს სურს ჩაახშოს სინდისის ქენჯნა, სირცხვილის გრძნობა, რომელიც მისი სულის ულრმეს კუნჭულებში ჩაბუდებულაო.

ომმა გამოავლინა ბესო ნიორაძის ხასიათი. აი ერთი ამბავი, — ახლა ამას ჰყვებიან, როგორც იგავს, როგორც საარაკო რამ საქმეს.

ეს მოხდა ორი წლით ადრე ომის დაწყებამდე. ბესო მაშინ კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას განაგებდა. ფერმა, ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე დღეს არის. სოფელს გარს ერტყა უსიერი, ულრანი ტყე, და ამ ტყეში გაჩნდა მგელი. საიდანღაც, შორი მთიდან ჩამოძუნძულებულიყო აქ, გაქუცული და მიკნავებული. სოფლის ახლოს, კუდიანების ხევში გაიკეთა ბუნაგი და შეუდგა თავის უმსგავს საქმიანობას — სად თხას დაგლეჯდა, სად ცხვარს, სად ხბოს, თუ უშობელს. შეწუხდა სოფელი, წითური სიმონი სახლში მიეჭრა პარმენ-ორდოქიანს, კარგად შეახურა, გალანძღა და უბრძანა, დაუყოვნებლივ შეკრიბე მონადირეები მგლის ალყაში მოსაქცევადო. პარმენმა თავმჯდომარეს სამი დღის ვადა სთხოვა, დაკლა საკუთარი თიკანი, შიგნეულობა, თავ-ფეხი და ძარღვიანი ნაჭრები ტომარაში ჩააწყო, დანარჩენი ხორცი ცოლს დაუტოვა, დაავლო ორლულიან თოფს ხელი, ხორციანი ტომარა ზურგზე მოიგდო და კუდიანთა ხევის მიმართულებით ტყისკენ გასწია.

ადრე გაზაფხული იდგა, ფეხქვეშ მიწა ჭყაპუნობდა, ხრამებში ადიდებული ნიაღვრები მოედინებოდნენ. ჩრდილიან ფედრობებზე ჯერ კიდევ იდო მძიმე, წყლიანი თოვლი. მაგრამ იმ ადგილებში, სადაც თოვლი გამდნარიყო, მიწიდან თავი ამოეყოთ თეთრ ყვავილებს და პირველ ია-იებს.

სამი საათის სიარულის შემდეგ, პარმენი მიადგა ადგილს, რომელიც მას წინასწარ შეერჩია ჩასასაფრებლად; მისი ვარაუდით, მგელს აუცილებლად აქ, ახლო უნდა გამოევლო.

პარმენმა მარჯვედ და საქმის ცოდნით მოამზადა ყველაფერი: შიგნეული და ხორცი ნადირის მისატყუებლად მზის გულზე დაყარა, ხორცის სუნი რომ მალე მოსდებოდა იქაურობას, რამდენიმე ნაჭერი უფრო შორს გადაისროლა; დასასრულ, თამბაქო გაახვია, მოუკიდა და ხეზე ახოხდა. პარმენი აპირებდა ერთიორი დღე დარჩენილიყო აქ, შეიძლება სამიც. ნადირობის გუნებაზე სულაც არ იყო, ხეზე იჯდა და მგელს ელოდებოდა. უცებ ტყეში ჩქამი გაისმა. მის ცხვირწინ ჩხიკვი ერთი ამბით აფრინდა. პარმენმა, სულის მოუთქმელად, თავისი ორლულა გადმოიღო და გასროლისათვის მოემზადა, მაგრამ ის იყო, შიგნეულისა და ხორცის გროვას თოფი დაუმიზნა, რომ მაშინვე ლულა მაღლა

აიშვირა, მწარედ შეიგინა: მდელოზე ფრთხილი ნაბიჯით გამოვიდა ფერმის გამგე ბესო ნიორაძე. ვიდრე ბესო ლეშთან მივიდოდა, გაიტრუნა, იყნოსა და დაიყვირა:

— პარმენ, პარმენ, სადა ხარ, შე კაცო?

გაჯავრებული პარმენი ხმას არ იღებდა, ყურს იფხანდა.

— პარმენ, გამოჩნდი, ვიცი, რომ აქა ხარ!

— რა გნებავს? — ბოლოს, როგორც იქნა, გამოეხმაურა პარმენი.

— ჩამოდი ძირს, საქმე მაქვს... — უთხრა ბესომ.

პარმენი უხალისოდ ჩამოხოხდა. ბესო ხის ქვეშ უცდიდა და თითებით სრესდა სიგარეტს, რაც მაშინ სოფელში იშვიათი იყო, მაგრამ ფერმის გამგეს გამოულეველი ჰქონდა. მან პარმენს დარბილებული სიგარეტი გაუწოდა და ჰკითხა:

— ჯერ კიდევ არ მოსულა?

— ვინ? — პარმენი ვერ მიუხვდა. ეგონა ადამიანზე მეკითხებაო.

— ვისაც აქ ჩასაფრებიხარ?

— აა... არა. არ მოსულა, როგორც ხედავ.

— დიდხანს აპირებ ლოდინს?

— დავუცდი როგორმე ბოლომდე.

— მითხარი, იმან, ვისაც ჩასაფრებიხარ, დიდი ზარალი მოგაყენა?

პარმენი დაშტერებოდა წვრილი რუსული ასოებით გაკეთებულ წარწერას სიგარეტზე და დუმდა.

— ძროხა დაგიგლიჯა, თუ უშობელი?

პარმენმა მზერა სიგარეტიდან ბესარიონზე გადაიტანა.

ბესარიონმა მიიხედ-მოიხედა და პარმენისკენ მიიწია.

— ყური მიგდე, რა გითხრა: თავი დაანებე მაგ მგელს. დაე, იმან მოკლას, ვისაც მისი ჯავრი სჭირს. აქ ცუდად ჯდომას და ყარაულობას ის გერჩივნოს — სოფელში წავიდეთ, კაი ღვინო გადავკრათ, ისეთი ყაურმა მაქვს, ვერ აგიწერ. შენ ხომ იცი, ჩემი ქალი ამის რა დიდი ოსტატია. ჰა, რას მომჩერებიხარ? სიმართლეს გეუბნები.

პარმენი თავის ყურებს არ უჯერებდა. თურმე ფერმის გამგე, სამი საათის განმავლობაში, თავქუდმოგლეჯილი მოსდევდა უკან, ამ უგზოობასა და ტყეღრეში, იმისათვის, რომ გადაერჩინა მგელი, რომელმაც ფერმაში ყელი გამოღადრა ორმოცამდე ცხვარსა და ბატკანს. რას მოასწავებს ყოველივე ეს? პარმენი, ცოტა არ იყოს, მიუხვედრელი, მძიმე ჭკუის კაცი გახლდათ.

ბესო ნაღვლიანად შეყურებდა პარმენ-ორდოქიანს; რაკი მიხვდა, რომ ახსნა-განმარტებას ვერ გაექცეოდა, ბესო პირდაპირ, ჯიქურ შეუდგა საქმეს: კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა და დაიწყო:

— პარმენ, ყური მიგდე: ეს მგელი ჩვენთვის მგელი კი არა, ღვიძლი მამაა, მარჩენალი მამა!... გესმის? რაც გინდა მთხოვე, ოღონდ მოეშვი მაგ პატიოსან ცხოველს. და თუ ვინმე გამოჩნდება ისე წყეული, რომ მაგ საცოდავს სულს გააფრთხობინებს, შენ მტერსაც და მოყვარესაც ყველას უთხარი, რომ ტყეში მარტო ერთი მგელი როდი იყო, მთელი ხროვა დაძრწოდა-თქო. მიმიხვდი?

— რაც გინდა მთხოვეო, რომ ამბობ, რა უნდა გთხოვო? — იკითხა პარმენამ, ის ძლივს ჩაწვდა მოსმენილი სიტყვების აზრს.

— წილში შეგიყვანთ, აბა სხვა კიდევ რა გინდა? ხორცი ნახევარი შენი იყოს, რძეს მგლისგან ვერ ელირსები. ეს შენც იცი... — ჩაიხითხითა ბესომ და პასუხის მოლოდინში, პარმენს ალერსიანად მოკიდა ხელი იდაყვზე.

— შენ რა, მგლის კვალზე ლეშს აგროვებ?

— ფუ, — ბესომ ზიზღით გააფურთხა, — რას ამბობ, კაცო, კიდევ ვერ მიხვდი? იმ მგელს ყველაფერს ჩვენ ვაბრალებთ. გაიგე? შენ წილში შეგიყვანთ, ფულსაც გაგინაწილებთ და ხორცსაც. არ ინანებ. დამიჯერე, ჭკვიანი კაცი ხარ!

ერთ წუთს პარმენი სულ დაიბნა, მო-

ეჩვენა, თითქოს მის წინ იდგა არა ფერმის გამგე ბესო ნიორაძე, არამედ მაქცია, რომელსაც ადამიანის სახე მიეღო.

— მოწყდი აქედან! მოწყდი, სანამ ორად არ გამიპია ეგ შენი გოგრა თავი.

— დამაცადე, პარმენ, — წყნარად უთხრა ბესომ, — შენ კერძი არ მოგაკლდება, ოღონდ ენას კბილი დააჭირე!

— ბესო, გაჩუმდი!

— გაიხსენე, შე კაცო, როგორ გაგაჩანაგა არტელმა, ახლა თუ მას ცოტა რამეს წაცინცლავ, ეს რა დანაშაულია...

— გაჩუმდი-მეთქი, გითხარი!

— დაგიჯინია, — გაჩუმდი, გაჩუმდიო, — აიქნია ხელები ბესომ, — მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ, ხომ იცი ჩემი ხასიათი...

— მე კი აქ მგელს ჩავსაფრებივარ, სულელი! — პარმენმა ხელის გული შუბლზე მიირტყა, — მგელი კი, თურმე ვინ არის, ორი ფეხით არ მობრძანდა?! — იყვირა პარმენმა.

— მაშ რატომ არ მესვრი, აიღე თოფი და მესროლე, რას უცდი, — აყეფდა თანდათან გამძვინვარებული ბესო.

— ჩემი ნება რომ იყოს, აქვე გაგათავებდი.

— ეხ, — ზიზღისაგან დაიმანჭა ბესო, — მართლა შტერი ყოფილხარ! მირჩიეს, მასთან საქმეს ნუ დაიჭერ, ბრიყვი და სულელიაო.. არ დავიჯერე. იქნება ცოტაოდენი ჭკუის ნატამალი შერჩა-მეთქი. ტვინი სულ არ გქონია, შე ტუტუცო! ახლა ყური დამიგდე, მონადირევ, რასაც გეტყვი, კარგად დაიმახსოვრე: ის მგელი თავის ფეხით რომ არ მოხეტებულიყო ჩვენს ტყეში, მე თვითონ წავიდოდი მთებში, მოვძებნიდი და ბაწრით ჩამოვიყვანდი! გაიგე, თუ არა ახლა, მამაძაღლო! მიდი წითურ სიმონასთან და ყველაფერი ჩაუკაკლე, რაც გითხარი, სთხოვე გამოგიცვალოს თანამდებობა, თორემ ტყე დიდია, აქ სიარული საშიში ხდება, როცა შიგ მგლები მომრავლდნენ.

ბესარიონის მუქარა მუქარად დარჩა. მან არჩია არ გადაკიდებოდა პარმენს, რადგან მის მხარეზე იყო კანონი, მაგრამ ბესომ ფერმის გამგის თბილი ადგილი მაინც დაკარგა.

როცა ეს ამბავი მოხდა, ბესო ოცდამეთხუთმეტე წელში იყო გადამდგარი, ცხრა წლის ცოლნათხოვარი იყო და სამი ვაჟი ჰყავდა — ვახტანგი, თამაზი და კუკური. სოფელში მათ მგლის ლეკვებს ეძახდნენ.

მაგრამ მანამდე, სანამ შვილების ამბავზე გადავიდოდეთ, საჭიროა მოკლედ მაინც მოგითხროთ მათი დედის — ტურფა დიასახლისის — ელენეს თავგადასავალი.

ელენე გახლდათ თავმოყვარე და ძალზე ფიცხი მეგრელი აზნაურის ედიშერ ფაღავას ერთადერთი ასული. და თუმცა რევოლუციამ გააუქმა მისი წოდებრივი პრივილეგიები, გულზვიადმა ედიშერმა მაინც არ მოიშალა მედიდურობა. და როგორც იმ კურთხეულ დროს იცოდნენ, თავისი ქალიშვილისათვის საქმროს ძებნა დაუწყო არა დაბალი ფენებიდან გამოსულ ახალგაზრდებში, არამედ დიდგვაროვანთა შორის. მალე გამოიძებნა სასიძო — ტიტიკო ჩიჩუა, ოდიშის ერთ-ერთი საუკეთესო გვარის შვილი, მოხდენილი, ტანადი ვაჟკაცი. მას ორმოცი წლის ასაკისათვის მიეღწია და ზუგდიდოზურგეთის მასშტაბის დამწყებ ლიტერატორად ითვლებოდა. ედიშერ ფაღავამ გულდასმით შეათვალიერა სასიძო და სწორად განჭვრიტა მისი მომავალი. მან ისიც იცოდა, რომ მისი ქალიშვილის გათხოვება ჩიჩუაზე, ჰგავდა მსხვერპლის შეწირვას დაბხობილი, ფეხქვეშ გათელილი კერპებისათვის, მაგრამ ედიშერი ამ კერპების ერთგული რჩებოდა, როგორც მოუქცეველი წარმართი.

ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, უცდიდნენ მხოლოდ, როდის შეუსრულდებოდა საპატარძლოს თექვსმეტი წელი.

მაგრამ მანამდე საიდანღაც გაჩნდა ბესო ნიორაძე — ღვთი-შფოთი, ცხე-

ნის ქურდი, მომღერალი და მოცეკვავე. ის ოცდახუთი წლის იყო და ძველი გვარის შვილმა ტიტიკო ჩიჩუამ ვერ შეძლო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია; ეს ძნელი იყო იმიტომაც, რომ რაყიფთა მეტოქეობა არც დაწყებულა, ისე მოიტაცა ბესომ სხვისი საცოლე, პირდაპირ ქურდულად მოიპარა იგი, ისევე, როგორც იპარავდა სამეგრელოში კარგი ჯიშის ფაშატებს... თავდაპირველად ქალი შორს, მთებში, მივარდნილ სვანეთში, იმ ხანებში სრულიად უშიშარ კუთხეში გადახიზნა. ჯვარი ბეჩოში დაიწერეს. მერე ფრთხილად, მალულად ქუთაისში ჩამოვიდნენ და ორი კვირის შემდეგ გამხდარნი, ციებცხელებიანებივით მოელვარე თვალებით წარუდგნენ ბებერ მეწისქვილე პოლიკარპე ნიორაძეს და მის ცოლს კესარიას.

ჩვენს სოფელში ყველამ შეიტყო ბესოს უსაქციელობა, შიშობდნენ კიდეც, ამ ამბავს კარგი არაფერი მოჰყვებაო, კიცხავდნენ მომტაცებელს, მაგრამ ისინი, ვინც ელენე ერთხელ მაინც ნახა, ამბობდნენ, თუმცა ცოდვა და დანაშაულია სხვისი საცოლის მოტაცება, მაგრამ ვერც ბესოს გავამტყუნებთ, ასეთი ლამაზი ქორფა ქალის გულისათვის კაცმა შეიძლება უარესი ჩაიდინოსო; ერთი სიტყვით, სოფლის საყოველთაო დასკვნა რამდენადმე წააგავდა ტროადელ უხუცესთა სიტყვებს ელენე სპარტანელზე: ამასთან, ამ ორივე ქალის სახელებიც ემთხვეოდა ერთმანეთს. ედიშერ ფაღავა ამაოდ მოუწოდებდა ყოფილ სასიძოს შურისძიებისაკენ; ტიტიკო პირველ ხანებში ცხარობდა, მაგრამ თანდათან შეეჩვია ამ ამბავს და ბოლოს სულ მთლად მიანება თავი. სასიმამრომ მრისხანე ტირადები წარმოთქვა გადაგვარებული არისტოკრატიის მისამართით და ბოლოს ისიც ბედს შეურიგდა.

ქორწინებიდან ოთხი წლის შემდეგ ელენეს პირველი შვილი ეყოლა. მანამდე დადარდიანებულმა დედამთილმა რძალი მეზობელ სოფელში, მთელ ამ კუთხეში განთქმულ ექიმბაშ მინადორასთან მიიყვანა. მინადორამ გულდასმით გასინჯა ქალი და კესარიას სიცილით უთხრა: შენი კარგი პატარძალი ძალიან ვნებიანი ვინმე ჩანს, მაგრამ ნუ იდარდებ, როგორც კი სიყვარულის ციებ-ცხელება გაუვლის, ბავშვზე მოილოგინებსო. კესარიამ უკმაყოფილო კილოთი გაიმეორა შინაურებში ექიმბაშის ნათქვამი და ელენე სირცხვილისაგან კინაღამ დაიწვა, ნატრობდა მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, დიდხანს ვერ უყურებდა თვალებში მამამთილს, ერიდებოდა ქმარსაც კი.

ვაჟიშვილის შეძენამ ბესო ერთბაშად გამოცვალა. ეს ლოთი და ჩხუბისთავი იქცა კარგ მამად, საუკეთესო ოჯახისკაცად. ისინი ჯერ კიდევ მამაპაპისეულ ფარღალალა სახლში ცხოვრობდნენ: ახლადფეხადგმული არტელი ბევრს ვერაფერს აძლევდა თავის წევრებს... ცხოვრობდნენ შინ მოწეული ლობიოთი, სიმინდით, ჰყავდათ ერთი თხა, რომელიც სამ ჭიქა რძეს ძლივს იწველიდა.

ბესო იმ ხანებში აგურის ქარხნის მშენებლობაზე მოეწყო, შემდეგ იქვე, ქარხანაში დარჩა სამუშაოდ. თითქმის გულწასული გამოძვრებოდა ხოლმე გავარვარებული საამქროდან, სადაც ხელით აწყობდა მძიმე ნედლ აგურს აგურზე, იქიდან გამოსული პირდაპირ ონკანიდან სვამდა თბილ უგემურ წყალს და გრძნობდა, რომ მის არსებაში კვდებოდა თავზეხელაღებული, გაქნილი ვაჟკაცი ბესო ნიორაძე.

ბესოს ზეაღსვლა (ან იქნებ დაცემა, — ეს დამოკიდებულია რა თვალსაზრისით შეხედავ) დაიწყო იმ დღიდან, როცა მან სამუშაო ადგილი გამოიცვალა. ცალხელა მწონავი ბიკენტი ავად გახდა. ბიკენტი ბესომ შეცვალა. შეცვალა და მაშინვე განზე გაყიდა მზა პროდუქციის მცირე პარტიები, შემდეგ კიდევ ერთი პარტია, წინანდელზე უფრო მეტი აქცია ფულად და ყარაჩოხე-

ლური ქეიფი გადაიხადა, რომელსაც გამთენიისას ხაში და მერე თევზის ჭერა მოჰყვა.

მოგეხსენებათ რა ფასი სდევს სასიამოვნო სუფრას, სადაც უხვად არის კარგი ღვინოც, პურ-მარილიც... გავიდა ხანი და ბესო ყველაზე პოპულარულ ადამიანად იქცა. სუფრა სუფრას მოსდევდა და სტუმრები ჰყვებოდნენ — ამა და ამ დღეს მიწვეული ვიყავით სახელგანთქმულ ბესარიონთან, სწორედ იმ ბესოსთან, რომელმაც ოდიშის ულამაზესი ბანოვანი მოიტაცაო; არც ერთ მათგანს არ უთქვამს: — მოვილხინეთ და ვისიამოვნეთ აგურის ქარხნის მტვირთავის ბესარიონ ნიორაძის ოჯახშიო.

დრო გადიოდა. ბესო სულ უფრო მაგრად დგებოდა ფეხზე.

როცა არტელი მოღონიერდა, ბესომ დატოვა ქარხანა, სადაც უსწავლელი კაცის შესაძლებლობა ძალზე შეზღუდული იყო, და მეცხოველეობის ფერმაში გადავიდა გამგის თანამდებობაზე. ბევრს ეგონა, რომ ბესარიონმა ეს ნახტომი მოახერხა რაიონის გავლენიანი ამხანაგების დახმარებით და ქარხნიდან წამოღებული ჩინებული დახასიათების წყალობით, მაგრამ წითურ სიმონას, ბესოს მეზობელს და თითქმის მის ტოლს, არ სჭირდებოდა მისი დახასიათებანი. სიმონი მას მოხარშულს იცნობდა.

აქ უფრო მართებული ჩანს ბაბუაჩემის ვარაუდი: სიმონი ფიქრობდა ბესოს უნარი და გამჭრიახობა ფერმას კეთილი გზით წაიყვანსო, მაგრამ ცნობილია რით დამთავრდა ბესოს მოღვაწეობა მეცხოველეობის სფეროში. მერე ომი დაიწყო, ბესომ ღვინითა და არყით ვაჭრობას მიჰყო ხელი. მშვიდობის პირველ გაზაფხულამდე იცოცხლა და მალე მოკვდა ბებერი მეწისქვილე პოლიკარპე, წისქვილში დალია სული. მეზობლებმა ეზოში გაიტანეს და წნორის ჩრდილში, მოლზე დაასვენეს. დაკრძალვიდან რამდენიმე დღე გავიდა და ელენეს ეყოლა მეოთხე ვაჟი. მას ახლად გარდაცვლილი მამის სახელი უწოდეს, მაგრამ სახელი — პოლიკარპე მშობლებმა მოძველებულად მიიჩნიეს; ამიტომ ყმაწვილს მთელ მის სიცოცხლეში ჩიკოს ეძახდნენ.

გავიდა კიდევ ორი წელიწადი და ქვეყანას მოევლინა ნინო-ნინუცა. მახსოვს, თუ რა ბათქა-ბუთქი ასტეხეს ამის გამო ბესომ და მისმა უფროსმა ვაჟმა ვახტანგმა. დედამ და ბებიამ მეც წამიყვანეს მისალოცად, და მე ვნახე თოთო ბალღი — ჩემი მომავალი საცოლე როგორ მშვიდად ფშვინავდა ძილში.

იმ ხანებში ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმე: „გამოიცვალა ჩვენი ბესარიონი, დაჭარმაგდაო“.

სულ მალე ბესო თავისიანად სცნო საქმოსანთა კარგად შეკრულმა წრემ; ამ საქმოსნებში იყვნენ ისეთი „მგლებიც“, რომელთა შორის თვითონ მგელს — ბესარიონს თავისი თავი ცხვარი ეგონა. იმ მტაცებელთა შორის ყველაზე კბილბასრნი ხშირად სავალალოდ ამთავრებდნენ თავიანთი ცხოვრების გზას; ბესო ინახავდა მოხუც დედას, თავის ლამაზ ცოლს და ხუთ სულ ბავშვს; მას არ შეეძლო იმ მგლებივით სარისკოდ თავი გაემეტებია. მან ვერ გაბედა უკეთესი ბედის საძებრად სადმე წასულიყო. დარჩა სოფელში. მოაწყო სახლ-კარი და იყიდა მსუბუქი მანქანა.

ბოლოს და ბოლოს, ბესომ ხელი მოკიდა სავსებით წესიერ და კანონიერ საქმეს: პამიდორის მოყვანა დაიწყო. პირველად ჩითილები ხეხილის ბაღში დარგო, ზედ მზის გულზე. გავიდა ერთი წელიწადი და უკან ეზოში სათბური აიშენა, პამიდორი ჭეშმარიტად სარფიანი აღმოჩნდა. ბესარიონმა საქმეში ვაჟიშვილები ჩაითრია, პამიდორის გაყიდვა მათ დაავალა. გაქნილი ყმაწვილები ცუდად როდი ართმევდნენ თავს მამის დავალებას. უფროსმა ვაჟებმა — ვახტანგმა და თამაზმა უკვე რამდენ-

ჯერმე მოიარეს მოსკოვი; ბესოს მიაჩნდა, რომ ფათერაკმა, რომელიც ერთხელ შეემთხვა ვახტანგს. ჰკუა ასწავლა ხუთსავე ძმას. უფროს ძმას მართლაც ცუდად წაუცდა ფეხი: ცენტრალური ბაზრის დიდ დარბაზში დახლთან მოწყენით მდგარმა ვახტანგმა ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა ქალს, რომელსაც თეთრი ნეილონის ქურქი ეცვა. იგი ნელი ნაბიჯით მიდიოდა რიგების გასწვრივ. ვახტანგმა, ანგარიშმიუცემლად, ხმამაღლა დაუძახა მას:

— დევუშკა, კრასივი დევუშკა! ტი ზდეს ტაკოი კრასნი პამიდორ ნიგდე ნე ნაიდიოშ! იდი, დარომ ვაზმი! — დაამთავრა თუ არა ეს, მისთვის საკმაოდ რთული წინადადება, მსუბუქად შეიგინა. მეზობლად რიგში მდგარ ლოყებღაჟღაჟა ქალს სიცილი აუტყდა. ქურქში გახვეული ახალგაზრდა ქალი კი მოტრიალდა, ვახტანგს უცბად სიწითლე მოერია, მაგრამ ურცხვი მზერა მაინც არ მოაშორა და გაუმეორა:

— იდი, დარაგაია! ჩტო ხოჩეშ — ტვაიო.

ყოველივე ეს ვახტანგისათვის სავალალოდ დამთავრდა. მან მთელი ნავაჭრი სამწვადეებსა და რესტორნებში მიფანტ-მოფანტა, მთვრალმა ჩხუბი აუტეხა ცირკის მსახიობი ქალის საყვარელს, რისთვისაც თხუთმეტი დღე საპატიმროში აყურყუტეს და ასე შერცხვენილი, თავგადაპარსული დაბრუნდა შინ, სოფელში, ხმის ამოუღებლად შეირგო მძიმე სილა მამისაგან და სამუდამოდ აღივსო უნდობლობით სუსტი და მშვენიერი სქესისადმი.

11.

ჩემს წინ ბესარიონი იდგა. მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე არ გამოცვლილა, ოღონდ უფრო ზანტი, მძიმედ მოძრავი გამხდარა, მის ქცევას დიდკაცობის ერთგვარი იერი დამჩნევია. ისიც კი გავიფიქრე, მას „მგელი“ კი არა, „სენიორ პამიდორი“ უნდა დავუძახოთ-მეთქი.

— შემოდი, ჩემო ძვირფასო, შემოდი! როგორც იქნა ვეღირსე შენს მოსვლას. თუმცა ჩვენ გაუთლელი გლეხები ვართ, მარა არც ასე შეიძლება ,ხა-ხა-ხა! არა, როგორ გეკადრება, იმის მაგივრად, რომ თითონ მოსულიყავი, ბებია მომიგზავნე... — ალერსიანი კილოთი მითხრა.

სავარძელში დავეშვი და ფეხი ფეხზე გადავიდე. მეცვა მუქი ნაცრისფერი კოსტუმი, თეთრი ქათქათა ზედაპერანგი... განზრახ მოვირთე ასე, რათა ჩემი დარბაზობისათვის ოფიციალური ხასიათი მიმეცა. ახლა ბესო როგორმე უნდა დავიყოლიო, რომ ნუცა ჩემთან გამოუშვას. ბესარიონმა ზევით, თავის, ასე ვთქვათ, აპარტამენტებში — ამიყვანა.

დაბნეულმა მივიხედ-მოვიხედე და გულში ვთქვი — წაფერდებული ოდასახლის ნაცვლად რა დარბაზები წამოუჭიმავს-მეთქი. დასანანია, რომ ბებერი მეწისქვილე ამას ვერ მოესწრო, თუმცა რის მაქნისი იქნებოდა მისთვის ეს დარბაზები, ავეჯი და ტელევიზორი.

ბესარიონმა „ყაზბეგის“ კოლოფი გახსნა და მაგიდაზე დააგდო.

მე პაპიროსს მოვუკიდე, მოვწიე, შუბლზე ნაოჭები შევკრიბე და საქმეს შევუდექი.

— როგორც ბებიაჩემმა მოგახსენათ, კოლმეურნეობის გამგეობამ მომცა დაკვეთა, ქანდაკებით უნდა შევამკო ჩვენი მოედანი. მე გადავწყვიტე გამოვკვეთო ქალის ფიგურა. ვიქნები დიდად და დიდად მადლიერი, თუ თქვენს ქალიშვილს ნებას დართავთ იყოს ჩემი მენატურე.

აი, ამ მანერით დავიწყე საუბარი: ვითომდა, შორეული ქალაქიდან ჩამოვიდა ამხანაგი მოქანდაკე, არავითარ ბესარიონს ის არ იცნობს, მხოლოდ ურჩიეს — მისი ქალიშვილი შესაფერი ნატურა იქნებაო; ქალიშვილის სახელს არც ვამბობ, ვითომდა, ზუსტად არ ვიცი და ვაი, თუ ამერიოს-მეთქი.

ბესო შეიჭმუხნა და სიტყვა გამაწყვეტინა.

— დაიცა, — შემაჩერა მან, — ყური დამიგდე. არც შენა ხარ ლეიტენანტი და არც მე პოლკოვნიკი. რად გვინდა ასეთი ცერემონიები. ჯერ ის მითხარი, როგორა ხარ, სადა ხარ, რას აკეთებ! ამდენი ხანია ჩამოხვედი და ჩვენთან ერთხელაც არ შემოგივლია. რატომ? ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის უცხო და გარეშე არ ვართ, მე და მამაშენი ვმეგობრობდით.

— თხებს ერთად მწყემსავდით, — ჩავურთე მე.

— თხებს? რა თხებს, ვის თხებს? ჩვენ ყოველთვის ძროხები გვყავდა.

— ო-ო.

— კარგად ვერ ირჯები, ყმაწვილო! იქნებ არც კი გახსოვს როგორ წაგიყვანა ბესარიონ ნიორაძემ საკუთარი მანქანით ქუთაისში. ასი კილომეტრის სიჩქარით მივქროდი, და სამი ინსპექტორი მოვთაფლე გზაში, რომ არსად გავეჩერებინეთ.

— სად მიგყავდით? — ვკითხე მე.

— ქუთაისში.

— რისთვის მიგყავდით ქუთაისში?

— არ გახსოვს? საავადმყოფოში მიმყავდი. ბლის ხიდან ჩამოვარდი. ექიმებმა კეფა გაგიხვრიტეს. ასე მალე დაგავიწყდა?

— გეშლებათ, ბატონო ბესო! ხიდან არასოდეს ჩამოვვარდნილვარ და თავიც მთელი მაქვს.

— ვითომ?

— დიახ, ასეა!

— როგორც კვახი, არა? ხა-ხა-ხა-ხა!

— მთელი მაქვს-მეთქი, მთელი.

— მაშ, მოსწი თავი ჩემსკენ, გავსინჯავ.

მე თავი დავხარე. ბესარიონმა თმაში ხელი მომიფათურა, მერე თავზე ხელისგულები მომიჭირა, როგორც უჭერენ ხელებს საზამთროს, რომლის გაჭრა არ უნდათ. ჰმ, — ამოიზმუილა, ხელები გულმოდგინედ დაიბერტყა და თქვა:

— მაშასადამე, ის ბავშვი შენ არ ყოფილხარ. შემეშალა. ვიღაც ცინგლიანი მიმყავდა ქუთაისში, ძლივს გადავრჩი დამტვრევას. გზაში ხუთჯერ დაკარგა გრძნობა. ბავშვის დედა და ბებია განუწყვეტლივ მოთქვამდნენ, ყურში ჩამწიოდნენ, სიცხე იყო აუტანელი. მეც ღვინისაგან გაბრუებული ვიყავი, ამიტომ ავურიე, შემეშალა, მაგრამ არა, მოიცა. განა შენ ვინმეში ამერევი? შენ იყავი, შენ! ალბათ ჭრილობა დიდიხანია, შეგიხორცდა, მოგიშუშდა, თმით დაიფარა, შენ კი ამას მალავ, შე ეშმაკო, შენა!

— არა, ბატონო, არასოდეს არსაიდან არ ჩამოვვარდნილვარ, დამიჯერეთ!

— აბა კიდევ დახარე თავი!

მე ვითომც მისი სიტყვები ვერ გავიგონე. ბესარიონმა გაიცინა და ხელი ჩაიქნია.

— ჰო, კარგი, მთვრალი ვიყავი, გაბრუებული, არაფერი მახსოვს. მითხარი პატიოსნად, შენ ლადო ხარ?

— ლადო ვარ.

— დიახ, ლევანის ვაჟი.

— დიახ, ლევანის ვაჟი.

— დეიდა თებრონეს შვილიშვილი?

— დიახ, თებრონეს შვილიშვილი.

— ბებიაშენმა მინახულა დღეს. ვერ მივხვდი, იკვეხნიდა თუ გვაშინებდა: კარგი შვილიშვილი მყავსო! კარგად ვერ გავიგე რა უნდოდა. ყოველ შემთხვევისათვის, ხედავ, შენი სტუმრობის მოლოდინში იატაკი გავაკრიალებინე... ხა-ხა-ხა-ხა! ხალხი შენზე ამბობს აკადემია დაამთავრაო, მაშასადამე, აკადემიკოსი ხარ, ხომ? არა? ჰო, არაფერია... რა გასწავლეს აკადემიაში?

— ცოტ-ცოტა ყველაფერი — ძერწვა, ხატვა.

— კაი საქმეა... ნუ იცინი, მართალს გეუბნები, კაი საქმეა-მეთქი.

— მე არ ვიცინი.

— გავიგე, მაგნაირი შრომისათვის დიდ ფულს უხდიანო!

— ვისაც როგორ შეხედავენ...

— ამბობენ, იმ ქალისათვის, თბილი-

სის ზემოთ, გორაზე რომ დგას, არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარი მილიონი გაიღესო.

— არა, მთლად ამდენი არა... მაგრამ ავტორს რიგიანად გადაუხადეს.

— ჰო... — ბესომ მზერა ერთ წერტილს შეაჩერა და თავი გაიქნია, მერე უცებ შეიჭმუხნა, მხარზე ხელი შემახო და მონდომებით მკითხა: — ერთი მიბრძანე, ოღონდ პატიოსნად, ის ქალი ხუთასი მანეთი მაინც თუ ღირს... — და თავის კითხვას თვითონვე გასცა პასუხი, — ჩემდა თავად, იმაში ერთ შაურსაც არ მივცემდი.

— რატომ, ბატონო? ის მეტად კარგია, ნათელი, მკაფიო, შორეული მანძილიდანაც ისე ჩანს, რომ ნაკვთები არ იკარგება, არც მახინჯდება. ასე რომ, თავის დანიშნულებას სავსებით უპასუხებს.

— ეგ სწორია, ზორბა რამეა. ამბობენ, იმ თასში, ხელში რომ უჭირავს, ხუთი ფუთი ღვინო ჩადისო. მართალია ეს? თუ ტყუიან?

— შეიძლება ჩადის. არ ვიცი.

— ის კაცი ახალგაზრდაა, თუ ხნიერი?

— ვინ? ამაშუკელი?

— ვინც ის ქალი გამოაქანდაკა...

— ახალგაზრდაა, ცოტა უფროსი იქნება თქვენს ვახტანგზე.

— ჰმ... დიდი მადლობა, ჩემო ბატონო! ბედი წყალობს ადამიანებს. ჩემს ვახტანგს ჯერ ერთი გროშის საღირალიც არაფერი გაუკეთებია თავისი ხელით. უარესი: ათი ათასი მანეთი მამის ფული შეაჭამა ვიღაც კახპას... ჯანდაბას მისი თავი. ძველი ამბავია... მე მითხრეს, თურმე არც შენ ხარ უფხო და მოუხერხებელი ყმაწვილი, პატარა ფიგურებში სამას-სამას მანეთს ღებულობსო... ჰა?

— რატომ არ უნდა ავიღო, თუ მაძლევენ.

— უა-ხა-ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა ბესომ, — ყოჩაღ ბიჭო, სწორად იქცევი. ბევრს თუ ასაღებ იმ პაწია ფიგურებს?

— ეს შემთხვევაზეა. ხან რამდენიმეს, ხან ერთსაც ვერ ვყიდი, — ვთქვი თამბაქოს კვამლში გახვეულმა.

— მაშ ასეა საქმე? სიმონთან როგორ ხარ? შეუთანხმდი? რამდენს გიხდის?

— ამაზე ჯერ ლაპარაკი არ გვქონია.

— სიმონთან ყური და თვალი ფხიზლად დაიჭირე. იცი, რა კაცია! მზად არის გაფცქვნას, გაატყაოს ყველა, ვინც უნდა იყოს, ოღონდ ზედმეტი მანეთი შემატოს კოლმეურნეობას. მე არ ვიცი, თქვენ რა მაზანდა, რა ფასები გაქვთ, მაგრამ... ოცდაათი ათას მანეთზე ნაკლებზე არ დათანხმდე. სიმონს თავისი არ გაატანინო. გაიგე? ოცდაათი ათასი!... ერთი მანეთიც არ დააკლებინო. არც სიმონი გახლავთ თქვენს საქმეში დიდი სპეციალისტი, ასე რომ, რა თანხასაც შენ ეტყვი, იძულებული იქნება დაგთანხმდეს.

— ოცდაათი ათასი ძველი ფულით?

— ჰო, ძველით, ძველით. მე სულ ძველი ფულით ვანგარიშობ.

— სიმონთან მოვრიგდებით, როცა ქანდაკება მზად იქნება, — ცივად მივუგე მე, — მანამდე კი მინდოდა გამეგო, მისცემთ თუ არა ნუცას ნებას იაროს ჩემს სახელოსნოში.

ჩემმა მკვახე პასუხმა როდი გაანაწყენა ბესარიონი, პირიქით, კმაყოფილი და თითქოს წამქეზებელი ღიმილით შემომხედა, მაღლა აშვერილი ულვაში გადაიგრიხა.

— რაო, თვალში მოგივიდა ჩემი ნუცა?

— ლაპარაკი რათ უნდა, კარგი გოგოა! მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ სწორედ ისეთია, როგორიც მე მინდა!

— აგრეა საქმე? ჰო, ნუ გრცხვენია. შეგიძლია ყველაფერი მითხრა, ვითომ მამაშენს ესაუბრებოდე.

— რა უნდა გითხრა? — ვერ გავიგე მე.

— აბა, აბა! ვიცი მე თქვენი ჯიში, ინაშვილების ჯიში, თქვენ ვინ არ გიცნობთ. მე და მამაშენი მეგობრები ვიყავით! აკლებული გვქონდა მთელი სოფელი. ჩემზე უმცროსი იყო ხუთი წლით მაინც, ასეა ხომ? მაგრამ ის ეშმაკის ფეხი არაფერში არ მითმობდა, სადაც მე, ისიც იქ, რასაც მე, — ისიც იმას. ჰო, ასეთი იყო, ყოჩაღი! გიყურებ, გიყურებ და ვერ მივმხდარვარ, ჰგავხარ მამას თუ არა?

— მეუბნებიან, ჰგავხარო!

— მაშ, ღვინოც უნდა გიყვარდეს. გიყვარს ღვინო? ჰა? მითხარი, ლადო, გულახდილად, ღვინო გიყვარს?

— პატივსა ვცემ.

— ოხო-ხო-ხო, ყოჩაღ ბიჭო! პატივსა ვცემო. სწორია, ღვინოს პატივისცემა უნდა. პატივცემულო ღვინო! ყოჩაღ!..

— ბესო ბიძია, მე მაინც პასუხი არ მიმიღია, ამას კი ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

— ოღონდაც, რომ აქვს... მითხარი, რა გინდა?

— მისცემთ ნუცას ნებას იაროს ჩემთან, სახელოსნოში?

— შენც აგირჩევია სახელოსნო. უფრო წესიერი ადგილი ვერ გამოგინახა სიმონმა? დეპუტატი მაინც არ იყოს!

— შემომთავაზა, მაგრამ ჩემთვის ბოსელი უფრო მოსახერხებელია. გრილა და ჩვენი სახლიც იქვეა.

— ბოსელი რას აიჩემე, ბიჭო! აქ ჩემთან მოეწყეთ, ადგილი გეყოფათ.

— არა, ბატონო, თიხით დაგითხუპნით ყველაფერს. რა ვქნათ, მისცემთ ნებას თუ არა?

— მივცემ... ან რატომ არ უნდა მივცე ნება, ოღონდ ყველაფერი წესიერად და ნამუსიანად გაკეთდეს, გაიგე: ბესო ნიორაძესთან ოინები არავის გაუვა, ეს კარგად დაიხსომე!

— რა წესიერებას მოითხოვთ. თუ ანაზღაურებას გულისხმობთ, სიმონი დამპირდა, ნუცას ათ კაცდღეს დავუწერო!

— გადაეცი სიმონს ჩემი სახელით, რომ ეგ ათი დღე თავის ცოლს კაბის კალთაზე დააკეროს, გამოადგება. მე კი არ მესაჭიროება.

— მაშ ასე, შევთანხმდით, არა?

— შევთანხმდით, შევთანხმდით.

— სამ დღეში მე მუშაობას შევუდგები, მანამდე შემოვივლი, რომ წინასწარ გაგაფრთხილოთ. აუცილებლად მოვალ, უცხოები ხომ არა ვართ! გმადლობთ, კეთილი სიტყვისა და კეთილი გულისათვისაც, მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ნახვამდის!

— რაო, რა თქვი?

— ნახვამდის-მეთქი.

— რას ჰქვია ნახვამდის! — ბესომ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეძებს ვის გაუზიაროს თავისი აღშფოთებაო, — მე ჯერ შენი ათვალიერ-ჩათვალიერება ვერ მოვასწარი, შენ კი უკვე მემშვიდობები, ნახვამდისო. რას ჰგავს ეს? არა, შენ მამაშენის არაფერი გცხია. ძალიან ცდებით, თუ ფიქრობ, რომ გაგიშვებ! ჩემი ლევანის შვილი ჩემი ოჯახიდან ისე წავიდეს, წვეთი ღვინოც არ დალიოს ჩემთან, სუფრას არ მიუჯდეს, გაგონილა ასეთი რამე? ჰეი, ელენე, დედაჩემო, რას შვებით თქვენ მანდ?

მთელი ის დრო, სანამ მე და ბესარიონი ვსაუბრობდით, სახლში იგრძნობოდა რაღაც ფუსფუსი, ფაცა-ფუცი, მოისმოდა ჩურჩული, მოგუდული სიცილი, მაგრამ როგორც კი ბესარიონმა პოლკოვნიკის ხმით დაიყვირა — „რა შვებით თქვენ მანდო?“, ხელმარცხნივ კარი გაიღო და ალერსიანი ღიმილით შემოვიდა ბესარიონის ცოლი ელენე.

— გამარჯობა, ლადო, ჩემო კარგო! — თავი დამიკრა და იქვე ქმარს ჩასჩურჩულა, — ყველაფერი მზადაა, ბესო, ლოდინში მოგვშივდა კიდეც.

— თადარიგიც ასეთი უნდა, შენ ნუ მომიკვდები: ლადო, აბა სუფრასთან! როგორ თქვი წელან? პატივცემული

ღვინოო, ხა-ხა-ხა! მაშ პატივი ვცეთ პატივცემულ ღვინოს! ელენე, ეს ახალგაზრდა კაცი მეუბნება, ნახვამდისო. აკადემიკოსო, მობრძანდი! ჯერ იყო, ვაჭრული ღრიტინით გოგო ხელიდან გამომაცალა და ახლა ნახვამდისო. ველურებად გვთვლის, თუ თვითონ გაველურდა? დამაცა, მაგას კი გავრანდავ, ვასწავლი ზრდილობას, სასწრაფოდ გავარონიებ ჩემთან მეორე აკადემიას, აბა, სუფრასთან, ნუ იმანჭები!

— გთხოვთ, მაპატიოთ, არ მცალია, სამუშაო მიცდის, — ვთქვი მორიდებით.

— არაფერია, მოიცდის! — მოიგერია ჩემი მობოდიშება ბესარიონმა.

— მაპატიეთ, უნდა წავიდე! — უფრო მტკიცედ გავიმეორე.

ბესომ გაკვირვებით შემომხედა.

— რა ცეცხლი წაგეკიდა? არსად არ გაგიშვებ!

თავს გალიმების ნება მივეცი და ვთქვი:

— რაკი ასეა, რა გაეწყობა, გნებდებით.

ბესოს არ დაუცდია ჩემი თბილისური თავაზიანი თავდაჭერისათვის, ბიძგის კვრით კარებში შემაგდო, და ჩვენ თავი ამოვყავით დარბაზში, სადაც მიგველოდა გაშლილი სუფრა და, ჩემდა გასაოცრად, თორმეტამდე ადამიანი, რომლებიც მხიარული ცნობისმოყვარეობით მაკვირდებოდნენ.

შინაურებს გარდა, აქ თავი მოეყარათ ბესოს გათხოვილ დას — ლოყებღაჟღაჟა მანდილოსანს, კიდევ უფრო ღაჟღაჟა თავისი ქმრით; ბესოს ცოლის ნათესავს, ორმოცი წლის შავებით მოსილ ქალწულს; ბესოს ოჯახის მეზობელს, ლაქლაქა ანეტას, რომელსაც ნუცა ბავშვობაში ასე სასაცილოდ წარმოსახავდა. რაც მთავარია, აქ ბრძანდებოდა სულითა და გულით მონარქისტი ედიშერ ფაღავა.

12.

დავიწყეთ ღვინის სმა ჩვეულებრივი წესით: თამადის ახლოს, მარცხნივ და მარჯვნივ მსხდომ სტუმრებს აწვდიდნენ ზუსტად ერთი და იმავე სიდიდის და ფორმის ღვინით სავსე თასებს. სტუმრები დგებოდნენ და ფეხზე მდგარნი ბოლომდე ცლიდნენ, დაცლის შემდეგ სხდებოდნენ და თასები გადაეცემოდათ მეზობლად მყოფ სტუმრებს და ასე გრძელდებოდა ბოლომდე, ვიდრე თასები მთელს სუფრას არ შემოივლიდა.

ლხინის დასაწყისი იყო ჩვეულებრივი, მოსაწყენი. ისმოდა წამოძახილები: „ო, რა საუზმეა“, „უკეთესს კაცი ვერ ნახავს“, „ოქროს ხელები აქვს ჩვენს დიასახლისს“, „აბა, გემო გაუსინჯეთ“, „კერძი კი არა, ცეცხლია, ღვინო დააყოლე, თორემ ცეცხლი მოგეკიდება“, „ალავერდი“... სუფრაზე ჯერ ყველაფერი გაურკვეველია: დიასახლისები უნებურად ფიქრობენ — ნეტავი თუ მოეწონებათ საცივი... ალბათ ვინმე დათვრება, ვინმე იჭირვეულებს, ჩხუბს ატეხს, ჭურჭელს დაამტვრევს... მამაკაცებს კი პერსპექტივაში ესახებათ მძიმე ნამთვრალეობა, თავის ტკივილი და ამ ქეიფში მონაწილეობას ისე უყურებენ, როგორც გამოცდილი ოფიცრები სადღეღამისო მორიგეობას.

და აი, თითქოს მზემ ღრუბლებიდან გამოანათაო, განწყობილება სუფრაზე, შეიცვალა.

— ლადო, რავა გაბუტულხარ, აქეთ არც კი იყურები...

— შენც იტყვი, რაღა!

— ძირამდე გამოცალე, დაცალე ძირამდე!

— აი, ყოჩაღ!

— გთხოვთ ყურადღებას, მეგობრებო!

და დატრიალდა სუფრა, როგორც კარუსელი, ჯერ ნელა, თანდათან. უფრო სწრაფად, კიდევ უფრო სწრაფად. — „გთხოვთ ყურადღებას!“ — ჩამესმა

ისევ და ერთხელ კიდევ დავთვალე ბესარიონის ვაჟები. რა ბიჭები არიან! თითქოს საგანგებოდ შეურჩევიათ, ყოველ მათგანს ორი მეტრი სიმაღლე აქვს. კალათბურთელთა გუნდია, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე... მეხუთე სადაა? თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე დაძრწიან მწვრთნელები, კალათბურთისათვის წოწოლა ყმაწვილებს დაეძებენ. ა, ბატონო. ინებეთ აქა გვყავს მთელი გუნდი, სრული შემადგენლობით: თამაზი ვახტანგი, კუკური, ჩიკო, ნუცა... არა, ნუცა რა შუაშია, ნუცა არ გამოდგება. სადაა მეხუთე! ხომ ხუთი ვაჟი ჰყავს ბესოს... კუკური, ვახტანგი, ჩიკო, თამაზი! ისევ ოთხია. ღმერთო. ეს რა ოჯახია. ერთი მუდამ აკლიათ.

— ჩიკო! — ჩავჩურჩულებ ჩემს გვერდით მჯდარ ბიჭს, — სად არის შენი ძმა?

— რომელი?

— მეხუთე ძმა.

— თორნიკე?

— ჰო... ჰო! თორნიკე!

ჩიკო იცინის, ორივე ხელის თითებს აჯვარედინებს და მიჩვენებს.

—ციხეშია?

— მალე გამოვა, — მანუგეშებს ჩიკო.

— რისთვის? რა ბრალი ედება?

— ძარცვა, კარის შემტვრევა.

— ეგ რა მითხარი! ვინ გაძარცვა?

— ფარდული, ნაშუაღამევის სამ საათზე არაყი მოსურვებია, ფარდული კი დაკეტილი ყოფილა.

— და... რამდენი მიუსაჯეს?

— ორი, მალე გამოვა.

მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა — ოთხი აქ არის... მეხუთე ზის... ასეა სულ ამ ოჯახში — ყოველთვის ერთი ამათგანი ზის. როგორც კი ჩამოთვლას დავიწყებ, სულ ოთხი და ოთხია.

— ჩიკო!

— აქა, ვარ, რა გნებავთ?

— არაფერი.

— გთხოვთ ყურადღებას, მეგობრებო! გთხოვთ ყურადღებას!

ბესო წამოდგა. ვიცი, ახლა მოყვება ლეგენდას იმაზე, როგორ გაანაწილა უფალმა ღმერთმა მიწები ხალხებს შორის, დახეთ, მართლაც ის ამბავი დაიწყო... მერე თავისი დედის სადღეგრძელო მოაყოლა.

— ლადო, მიირთვით ეს, — თქვა ნუცამ და სავსე თეფში ჩემკენ მოსწია.

— გმადლობთ.

— აიღეთ, აიღეთ. თქვენ არაფერი გიჭამიათ.

— ასეთი ჩვეულება მაქვს, ძალიან ცუდი ჩვეულებაა, ვერ მოვიშალე.

— მასე ძვალი და ტყავი გახდები,— ჩამჩურჩულებს ჩიკო, მსუქანს, ცხიმიანს მიეტანე. აგერ საცივი გადაიღე!

საცივი გადავიღე.

თორნიკე — ბესარიონის მეხუთე ვაჟი ოდიშში დაიბადა, ედიშერის სახლში, ალბათ მის აკვანთან მაშინ თავმოყრილნი იყვნენ ოდიშური კეთილი სულები, ჯერ კიდევ ფეხზე დგომა უჭირდა ნორჩ თორნიკეს, ცხენზე რომ პირველად ახოხდა და მას მერე ცხენიდან არ ჩამომხტარა... იყო მხედნავი. ჟოკეი, მოჯირითე, კინოფილმებშიც გამოდიოდა ჰუსარებისა და პარტიზანების დუბლებად. ყველაფერი ეს დამთავრა იმით, რომ თორნიკე ერთხელ ცხენიდან ჩამოვარდა, ლავიწი მოიტეხა და ამის მერე არაყს მიეძალა... ბესარიონის მეხუთე ვაჟი ახლა აქ სუფრას არ უზის. ის საპატიმროშია, თითქმის ყოველთვის ასეა ამათი საქმე. ამას წინათ აკლდათ კუკური.

— კესარია ბებია, — წამოვდექი მე. — თქვენს სადღეგრძელოს გეახლებით, იყავით, მუდამ ჯანმრთელად, გისურვებთ ბედნიერ სიბერეს და ბევრს, ძალიან ბევრ ლამაზ შვილთაშვილიშვილებს.

არა, ჯერ ღვინო არ მომკიდებია, რაკი ასე მოკლედ ვლაპარაკობ, ჩანს მთვრალი არა ვარ, ოღონდ, რატომღაც დედაჩემი გამახსენდა: რა იყო, რომ ყველანი აუტყდნენ, რატომ გათხოვდიო. მერე რა, რომ გათხოვდა, დიდი

ამბავია! თუმცა შეეძლო არ გათხოვილიყო.

ოჰო, ამღერდნენ! ეს კი მართლა ემარჯვებათ, რამდენჯერ შორიდან მომისმენია, როგორ მღერიან ბესარიონისას, დიდებულად მღერიან... არი-არალო, არი-არალოო!..

ედიშერ ფალავას ერთხელაც არ გაუხსნია მკაცრად მოკუმული ტუჩები, რამდენი წლის არის ამჟამად, ალბათ, ოთხმოცდაათ წელს იქნება მიღწეული.

— ნუცა, რამდენი წლისაა შენი ბაბუა!

— ოთხმოცდარვისა.

— ყოჩაღ, მოხუცო! შესანიშნავად გამოიყურება!

— რატომ არაფერს ჰამთ, ლადო? გასინჯეთ, ეს ჩემი ნახელავია.

— რაკი შენია, აუცილებლად გავსინჯავ.

— ჩემი ნუცა ნამდვილი მეოჯახე დიასახლისია, ყველაფერი ემარჯვება, ახლავე შეიძლება მთელი ოჯახი, ყველა ჩვენი ექვსი მამაკაცი მივანდო და გადავაბარო. —თქვა ქალბატონმა ელენემ საჯაროდ, ყველას გასაგონად „ექვსი მამაკაცი კი არა, ხუთი, — გავუსწორე ჩემს გუნებაში ელენეს, — ხუთი. ერთი მამაკაცი ყოველთვის გაკლიათ. ესე რომ, რა საჭიროა გაზვიადება!

— ახლა არ იკითხავთ, როგორ ჭრის და კერავს? — განაგრძობს ელენე, თან ალერსიანი ღიმილით შესცქერის ქალიშვილს და ნუცასგან მზერა ჩემზე გადმოაქვს. თითქოს სწადია, ერთმანეთს გადაგვაკეროს, გადაგვაბას.

— შესანიშნავი ქალიშვილია, — ვამბობ მე და ძლივს ვიკავებ თავს, რომ ნუცას მხარზე ხელი არ მოვუთათუნო.

— ხასიათს ნუ იტყვით, გამრჯეა, დაუზარელი, ალერსიანი, გულკეთილი,— ჩამომართვა სიტყვა ელენემ.

— მერე რა თვალტანადია! — სახე გაებადრა და ისე თქვა თვალებკრიალა მოხუცმა ანეტამ, — ზედგამოჭრილი დედაა!

— ელენე, როგორ გაქვთ საქმე? — აწყვეტინებს ბესო ცოლს, — ხომ არაფერი დაგავიწყდათ?

— უი, უი, ჩემი სიკვდილი, რა დამემართა! — წამოვარდა სუფრიდან ელენე. მგლოვიარე ბიძაშვილი ქალიც აჩქარებით მიჰყვა მის კვალს. ვახტანგის ცოლიც საჩქაროდ სტოვებს სუფრას და კარებისაკენ მიგოგმანებს, ჩანს, რაღაც მოხდა სამზარეულოში.

— ვახტანგ, — გადავძახე, — დიდი ხანია, მოსკოვში არ ყოფილხარ?

— მარტიდან, — მიპასუხა.

— მაშ, მალე გაემგზავრები!

— ნოემბერში... მწვანე ხე ჯერ მოსკოვში არ მინახავს. იქ სულ ზამთრობით ვარ.

პირდაპირ, ჩემს წინ, ვამჩნევ რაღაც ჩოჩქოლია სუფრაზე. ბესარიონის დაი სახელოზე ექაჩება ქმარს და ნაცოდვილარი ღიმილით, რაღაცას ეჩურჩულება; ისიც ხელის ქნევით იგერიებს ცოლს და ფეხზე დგება. აშკარაა, განუზრახავს, რომ სიტყვა წარმოთქვას, მარცხენა ხელში სასმისი უჭირავს და რაღაცას ლაპარაკობს... მაგრამ რას ამბობს? ნუთუ ისე მთვრალი ვარ, რომ არაფერი მესმის. არა, ბატონო, უბრალოდ, გაურკვევლად მეტყველებს, სულ არ უვარგა გამოთქმა — ენა ებმება, ჩლიფინებს, თანხმოვნების გამოთქმა უჭირს, ხოლო ხმოვანებიდან მარტო ო — ბგერა მოისმის მისი პირიდან. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ჩემს გარდა, ყველას ესმის მისი ლაპარაკი. აგერ ბესო თავს უქნევს — „გმადლობთ, ძვირფასო, გმადლობთო“; კუკური სიცილით უკარნახებს: „ეგ შარშანწინ იყო, ბიძია თერაფონტე“, ხოლო თერაპონტე ერთბაშად პირს ჩემსკენ იბრუნებს და პირდაპირ ჯიქურ მელაპარაკება რაღაცას. მე უარესად ვიძაბები, სმენად ვარ გადაქცეული, თვალებიც მისკენ მაქვს მიპყრობილი, მაინც არაფერი მესმის, გარდა ერთი მეორეში არეული და ჩახლართული შიშინა და სისინა ბგერებისა. ვარ ერთ წვალებასა და ჯახირში — ვცდილობ

მივსწი-მოვსწიო, ერთი-მეორისაგან გამოვაცალკევო და მერე ისევ ერთმანეთს გადავაბა ეს ბგერები. ბოლოს, ბგერათა ამ არეული ხროვიდან, როგორც ნაჭუჭიდან კაკლის გული, გამომაქვს სიტყვები, ვწმენდ. ვასუფთავებ მათ და ბოლოს ჩემს ცნობიერებამდე აღწევს: „მიხარია... კულტურული... მომწონს... ქართველი... წარჩინებული“... დავიბენი, აქეთ-იქით ვიხედები. რაშია საქმე? „კარგად ლაპარაკობს, სრული სიმართლეა“, — უხმოდ ამბობენ მსმენელთა მეტყველი სახეები. „ქართველი ქალი“... — განაგრძობს თერაპონტე. ვინ ქართველი ქალი? ნეტავ ვისზე ლაპარაკობს? რისი თქმა უნდა? თერაპონტე გაბრწყინებული თვალებით ახლა ნუცას შესცქერის და იღიმება. აი თურმე რა ყოფილა!

— ნუთუ ჩვენს სადღეგრძელოს — ჩემსა და ნუცას სადღეგრძელოს წარმოსთქვამს? რა მოსაზრებით? რის თქმა უნდა? ღმერთო ჩემო, განა შეიძლება ენის ასეთი ბორძიკით სადღეგრძელოს წარმოთქმა?

ახლა ისევ მე მომმართავს; „ნა-წამები“, თუ „წამ-წა-მები“? ჩე-ჩე-მი თავი გე-გე-ნაცვალოთ“ — და სასმისით ხელში ადგილიდან დაიძრა, სუფრას შემოუარა და გულდაგულ მომაშურა, ალბათ იმისათვის, რომ ჩამკოცნოს და გადამეხვიოს. დაბნეული ფეხზე ვდგები შესაგებებლად, დარეტიანებული ვუქნევ თავს, შეცბუნებული ვუხდი მადლობას, ვკოცნი. მთლად დაბნეული ვარ. მეზობლებო, კეთილო ადამიანებო, მითხარით, რას ნიშნავს ყოველივე ეს? თერაპონტე, თერაპონტე, ჩე-ჩე-მი თავი გე-გე-ნა-ცვალოს, პირობას გაძლევ, დიქტორად მოგაწყობ რადიოში, ოღონდ გადმომითარგმნე ყველაფერი, რაც შენ თქვი. „მრავალჟამიერ“ — წამოიწყო ბოლოს თერაპონტემ და ჭიქა მაღლა ასწია. სასწაული, გაუგონარი სასწაული მოხდა — ეს მრავალმარცვლიანი სიტყვა თერაპონტემ წარმოთქვა მკაფიოდ, მჭექარედ, მქუხარედ, როგორც დიდებულმა ხორავამ იცოდა. „მრავალჟამიერ“ — [illegible] მომღერალმა სტუმარ-მასპინძლებმა. მონუსხული ვარ, დათრგუნვილი... ამ მომძლავრებული ხმების გუგუნში ვარ ჩაძირული და ვცდილობ ამოვხსნა, გავშიფრო თერაპონტეს ლურსმულის იდუმალი აზრი. ნეტავ რა მითხრა თერაპონტემ... ღმერთო ჩემო, რა მითხრა?! უცებ ჩემამდე მოაღწია ჩიკოს შეძახილმა: — ვინ მოვიდა!... ვინ მოვიდაა!

კარებისკენ შევბრუნდი. მოდის ელენე, მოკრძალებულად და მხიარულად. მოაქვს დიდი ლანგარი. ლანგარზე წამოწოლილა შოკოლადის ფერი ტიტველი გოჭი. მწვანილ შემოვლებული წითელი ბოლოკი უჭირავს პირით, მეჩვენება, რომ თვალები მხიარულად მოუწკურავს, თითქოს ისწრაფვოდეს მალე გაიჭიმოს სუფრაზე და თავისი გვერდები გალესილ დანებსა და ჩანგლებს მიუშვიროს.

— ვინ მოვიდა, რა მოგვართვაა!

— აბა, აქ მოიტათ, აი აქ, შუაგულში!

— ო-ხო-ხო...

საერთო გამოცოცხლებით ვისარგებლე და ნუცასკენ გადავიხარე.

— ღვთის გულისათვის, მითხარი, რას ამბობდა ეს თქვენი თერაპონტე?

— ყურს ნუ უგდებთ, მთვრალია, ძალიან მალე თვრება. მამა უკრძალავს ზომაზე მეტ სმას.

— ჰოო, აი რა ყოფილა თურმე.

პირდაპირ გულზე მომეშვა.

— ნუცა, მამამ ნება დაგრთო იარო ჩემთან ბოსელში.

— სადა? — მკითხა ნუცამ.

— კაი, ახლა გეყოფა, ბოსელშიმეთქი, გითხარი. ჩემს სახელოსნოში.

— ჰო, სახელოსნოში, კი ბატონო!

თამადას ორი დიდფეხიანი სასმისი მიართვეს, მან საქმიანი კაცის იერით ორივე სასმისს ფეხები წაამტვრია და მხოლოდ მის შემდეგ შეავსო ღვინით. ახლა სასმისს მაგიდაზე ვერ დადებ, თუ ძირამდე არ დაცალე. უფეხო სასმისებ-

მა რამდენჯერმე წკარუნით შემოუარეს სუფრას.

თერაპონტე ისევ წამოდგა ფეხზე.

— დაჯექი, თერაპონტე, — გრგვინავს ბესო, — შენ გეუბნები, დაჯექი-მეთქი!

— რა მოხდა, ორი სიტყვა მეც მათქმევინე, — წყნარად, მაგრამ გარკვევით, მუდარის ტონით ამბობს თერაპონტე.

გაშეშებული ვუყურებ მას — ვინ არის? ხუმრობს? მსახიობია თუ მისტიფიკატორი? ბესომ ხელი ჩაიქნია, ზურგი შეაქცია. მე ვუცდი რას იზამს თერაპონტე. ის კი ღვინით სავსე ჭიქას დაყურებს, თითის წვერით ჭიქიდან ბეწვი ამოაქვს და მერე სადღეგრძელოს იწყებს.

— ტყიბულში, ჩემი ფანჯრის წინ, ხარობს აკაცია, — ჩაფიქრებული იწყებს თერაპონტე, მაგრამ შემდეგ სიტყვებს ერთმანეთზე ვერ აბამს, აზრს ვერ გამოთქვამს, სამი ბნელი ფრაზის შემდეგ დგება სრული წყვდიადი, საიდანაც დროდადრო წითელ მაშხალასავით ამოიტყორცნება ხოლმე თითო-ოროლა სიტყვა, მაგრამ აზრი მაინც გაუგებარია.

ცერად ვიყურები ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, ყველაფერი რიგზეა, მარჯვნივ ზის ჩიკო, მარცხნივ — ნუცა. ვიხრები მარცხნივ.

— ნუცა სული მეხუთება. აივანზე გავიდეთ.

— ჰოო... წამომყევით...

ძლივს გავაღწიე სუფრიდან. უცებ დავინახე, რომ ბესომ ჩიკოს თვალი ჩაუკრა, აქაო და, გარეთ გაიყვანე, გაასეირნე, ამხანაგი მხატვარიო... ეშმაკმა დალახვროს ყველა ნიორაძე.

აივანზე სიგრილეა.

— შენ სასოფლო-სამეურნეოში სწავლობ? — ვეკითხები ჩიკოს.

— ჰო.

— მეღვინეობის დარგზე?

— ჰო.

— კალათბურთს თამაშობ?

— ვთამაშობ.

— მოდი მოვწიოთ... თუ მიხვდი რას მელაპარაკებოდა თერაპონტე?

ბიბლიოთეკა

— ხა-ხა-ხა. მაგის ნათქვამს, ცოლის გარდა, ვერავინ გებულობა. როცა ფხიზელია, კიდევ შეიძლება რამეს მიუხვდეთ, დალევს თუ არა, ენას ვერ აბრუნებს.

გავჩუმდით.

— თქვენ ყოველ დღე ლუკულის ნადიმებს მართავთ?

— რას?!

— ყოველ დღე გოჭს კლავთ?

— კაცო ეს რა ენაა? ილაპარაკე ქართულად, თორემ რაღა შენ და რაღა თერაპონტე, ერთ სიტყვას ვერ გაიგებს კაცი!

„მე ქართულად ვლაპარაკობ, ჩიკო! აბა, შემომხედე! უნდა იცოდე ვინ რას წარმოადგენს. მე ვარ ხელოვანი, ინტელექტუალი, შენ მეღვინე-კალათბურთელი, ჩვენ შორის არის ერთგვარი განსხვავება. მე ვამბობ „ლუკულის ნადიმები“ და შენ ჩემი არ გესმის. მე კი მესმის შენი, შენ გგონია, მთვრალი ვარ? ძალიან ცდები. ახლა მე შემიძლია ყველას გავუგო, ჩემო ჩიკო, თვითონ თერაპონტესაც კი. ეხ, ჩემო ძმაო, ჩემთვის ეს რაღაც საგანგებო წუთია, მისტიკური წუთი. ახლა მომისმინე: ყოველდღე როდი კლავს გოჭს ბესარიონი, თუმც პირის გემოცა აქვს და გვარიანი ჭამაც იცის. ჰოდა, მაინც ყოველდღე არ კლავს გოჭებს და ინდაურებს. ჩემს პატივსაცემად, ჩემი ვიზიტის აღსანიშნავად გამართა ასეთი სანაქებო მასპინძლობა“, — შენი დედიკო და დეიდა ალბათ ფეხზე ჩამოწყდნენ, სადილის მომზადება რომ მოესწროთ, სწორი ვარ? — ეს უკვე ხმამაღლა ვუთხარი.

— სწორი ხარ, არაქათი გაუწყდათ რბენისაგან.

— საკითხავია, რატომ და რისთვის? იქნება იმიტომ, რომ ბესო ნიორაძე მეცენატი გახდა! არამც და არამც. ან იქნებ იმიტომ, რომ ოდესღაც მამაჩემთან

ერთად თხებს მწყემსავდა. არა, ბატონო! მაშ, რატომ? საკითხი ღიად რჩება. ო-ო, აგერ ჩვენი უფროსი ძმა! ამაზე კი ვეღარ იტყვი, ფხიზელიაო... ვახტანგ, მოდი, აქ! მოდი ჩვენთან, ძვირფასო, რა, ისევ სუფრას უსხედან, არ ამდგარან?

— არ ამდგარან, განა მაგათ სუფრიდანააყენებ? ეს მხოლოდ დასაწყისია, ჩემო ლადო!

ლოყებადაჟღაჟებული ვახტანგი ბორძიკით ჩემთან მოვიდა და გადამეხვია. — ლადო, როგორ გაზრდილხარ, ბიჭო, ვეება კაცი გამხდარხარ, როგორ ცხოვრობ, ლადო?

— არა მიშავს რა, ვცხოვრობ. ცხოვრება, თვითონ იცი, რაც არის...

— ვიცი, ვიცი. ცხოვრება ავი ძაღლია... ძაღლზე უარესია, ლადო, ყური დამიგდე. ამას შენ გეუბნები.

— შენზე ამბობენ, ცოლი შეირთოო.

— შევირთე, ლადო, მალე შვილი მეყოლება. იქნება მაშინ დავმშვიდდე, მოვისვენო.

— გეყოფა, ვახტანგ, რეჰ გაგამწარა ასე...

— რამ გამამწარაო, მეკითხები? მომე სიგარეტი.

მე სიგარეტს ვაწვდი. აბოლებს, სწევს ქშენით, ჩაფიქრებული. სამივენი აივანზე ვდგავართ.

სახლიდან ნუცა გამოვიდა.

— ბიჭებო, აბა როგორ იქცევით? ბებრები სუფრას უსხედან, თქვენ რაჰ წაგახდინათ? თავი მოგეჭრათ, ჩქარა! გიცდიან.

— მოვდივართ, მოვდივართ, — გავეხმაურე მე.

მოქეიფენი გვარცხვენენ ამდენი ხნით სუფრის დატოვებისათვის, გვაჯარიმებენ, მოვერცხლილ დიდ ყანწს ბოლომდე გვაცლევინებენ.

დავცალეთ, ერთხელ, მეორედ... ბესარიონი მაღალფარდოვნად და დიდი მოწიწებით ამბობს ჩემს სადღეგრძელოს.

მეც ვალში არ ვრჩები. საპასუხო სიტყვა შესანიშნავი გამომივიდა. —

— მეგობრებო, დავიწყე მე, — ძვირფასო ჩემო მეგობრებო, — გავიმეორე გულში ჩამწვდომი ხმით და თავი მკერდამდე ჩავკიდე, ვეძებ აზრებს და სიტყვებს გამოსათქმელად, — მინდა მადლობა მოგახსენოთ კეთილი სურვილებისათვის. ეს სუფრა, ირგვლივ რომ ვუსხედვართ, ლამის ჩატყდეს დახვავებული ხორაგისაგან. რა არ არის ამ სუფრაზე! — ყველაფერია, ჩიტის რძეც კი, — ერთი წუთით გავჩუმდი და გულში გავიფიქრე, რა უცნაურად დავიწყე-მეთქი, მერე შევტრიალდი უკანასკნელი მონარქისტისაკენ, — გმადლობთ თქვენ, ბატონო ედიშერ, გმადლობთ იმისათვის, რომ თქვენ თქვენი ხანდაზმული გამრჯე ხელით ღვინით სავსე სასმისი ასწიეთ, კეთილი ინებეთ და თავი დამიქნიეთ. ოთხმოცდაათწლოვანი თქვენი შემოხედვა ჩემთვის მრავალ მჭევრმეტყველურ სიტყვაზე უფრო ძვირფასია! უსაზღვრო გულკეთილობას ვხედავ თქვენს ღაჟღაჟა სახეზე. თუ თქვენ და თერაპონტეს ხანდახან ენა გებმებათ, მაპატიეთ, ესეც გულუხვობის ბრალია. გულითადობა, კეთილმოსურნეობა, გულისხმიერება — ყველაფერი ეს, ერთბაშად ენის წვერზე გიგროვდებათ და ვერ ახერხებთ მის გამოთქმას. მაგრამ მე ხომ ვხედავ, მე ხომ მესმის, ვაფასებ და ვეთაყვანები თქვენს გულკეთილობას. გმადლობთ თქვენ და დიდად პატივცემულ თქვენს მეუღლეს. ბებია ანეტა! — გავხედე ახლა მას — თქვენ მოიტანეთ ჩვენს შეკრებულობაში ქრისტიანული საწყისი, რაღაც სათნოება, ეშმაკობასთან შეზავებული. გაკურთხოთ უფალმან, რომელსაც შევთხოვ თქვენთვის ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ისევე, როგორც ამასვე შევთხოვ უზენაესს ჩემი ლვიძლი ბებიისათვის... — მერე გადავხედე ერთმანეთთან მოჩურჩულე ელენეს და მის დას და ვთქვი, — ბიცოლა,

ელენე, ცოტა ხნით შეგაწყვეტინებთ, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა თქვენს დაზე... თქვენ მომადლებული გაქვთ ყველაზე დიდი მადლი — სხვისი ტანჯვა და უბედურება თავისად მიგაჩნდეთ; გეფიცებით, თქვენი შავი ძაძები, თქვენი მარადი მჭუნვარება სევდით აღავსებს ჩემს გულს და მე მინდა შევძახო — შეიმოსეთ ღია ნათელი სამოსელით, — აქ სული მოვითქვი, მერე მივიხედ-მოვიხედე და დავინახე ბესარიონის ფხიზელი, ეშმაკური და წამახალისებელი მზერა, თერაპონტეს ბრიყვულ-აღტაცებული ფიზიონომია და ყრუ ედიშერის დაძაბული სახე. სხვები არ მისმენდნენ, მაგრამ ეს არ ანელებდა ჩემს აღგზნებას და მე კიდევ ცოტა ხანს ვლაპარაკობდი. ყოველი სიტყვა გულის სიღრმიდან ამომქონდა; მე ვამბობდი: — ეს ოთახი ჩემთვის არის ის, რაც სასწაულებრივი მღვიმე ალი-ბაბასათვის; ბესარიონმა მე ამ საუნჯის მფლობელად მაქცია... მოგეხსენებათ, ყოველ ადამიანს აქვს კუნჭული, სადაც შენახულია მისი გულის ჯადო, მთელი მისი იდუმალი ძალა და ძლიერება. ჩემი კუნჭული აქ არის, — ბოლოს გავჩუმდი, მაღლა ავწიე ღვინით სავსე ყანწი, დავცალე და ყველას დავანახე, რომ წვეთი არ ჩამიტოვებია, მერე სიცილით გადავუგდე სუფრის მეორე მხარეზე მჯდარ თამადას, და გულში თავისთავს ვუთხარი, „ახლა, მართლაც კარგი ვაჟკაცი ხარ“.

შეხმატკბილებული სიმღერა წამოიწყეს: „მოიტაცეს თამარ ქალი დიე-ლოდაა“... მე მთელი ჩემი ხმა ჩავრთე გუნდში. „დი-ე-ლო-დაა“. ბესო მიყურებს, იჭერს ჩემს მზერას და იცინის. ვმღეროდით დიდხანს და ხმაშეწყობილად. მე მთელი მონდომებით ვცდილობდი ფხიზელივით დამეჭირა თავი, თვალებიც კი მოვიფშვნიტე, არაფერი მეშველა. ისევ ბურუსში ვიყავ. საიდანღაც გაჩნდა ბებია. არა ვისიმე ბებია, არა ანეტა, არა კესარია, რომლებიც უკვე დიდი ხანია წასულიყვნენ დასაძინებლად, უფრო სწორედ, ჭურჭლეულობის დასარეცხად, არამედ ჩემი საკუთარი, ღვიძლი ბებია, ჩემი თებრონე. მოხდა სხვა რამეც: მე და ნუცამ მკლავში ხელგაყრილი გავიყვანეთ მთვრალი მონარქისტი ედიშერ ფაღავა, და როცა მიმყავდა, დავპირდი, რომ ვაჩუქებდი ძვირფას წიგნს, სადაც აღწერილია, როგორ დაიდგეს გვირგვინი მისმა უდიდებულესობამ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძემ და ალექსანდრა ფეოდორის ასულმა; ისიც ვუთხარი, რომ ეს წიგნი დაწერილია უღრმესი მოწიწებით, უერთგულესი თავადადების გრძნობით და ა. შ. მისი ავტორია ფონ ჰოპე, თქვენ ამ წიგნს სიამოვნებით წაიკითხავთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ის უდიდეს სიხარულს მოგანიჭებთ — გადაყრუებული მონარქისტი ხმამაღლა ქშინავდა და დაჟინებით მიწოდებდა თავისი საყვარელი შვილიშვილის საქმროს. „შენი საქმრო, ჩემო ნინუცა?“, „უთხარი შენს საქმროს“... ერთი ორჯერ „მეუღლეც“ კი წამოსცდა; „შენი მეუღლე, ჩემო ლამაზო“... ნუცა წითლდებოდა. ვხედავდი, რა დარცხვენილი მიდიოდა თავისი ბაბუას გვერდით.

დავუბრუნდი თუ არა პატივცემულ საზოგადოებას, დავიჭირე ჩემი ადგილი ჩიკოს გვერდით და უცებ ვიგრძენი, რომ ჩემი სკამი ადგილიდან დაიძრა, ნარნარად გაცურდა სადღაც უკან, კედელს იქით. ადამიანები ორორად მომეჩვენა, ძლივს შევიმაგრე თავი, მაგარი მთვრალი ვიყავი. გამეღიმა, არ მომეწონა ჩემი ღიმილი და აქვე, ჩემს ყურთან, გაისმა ბებიაჩემის ხმა.

— ლადო, ხომ არ დათვერი, შვილო, ხომ არაფერი გტკივა?

— არა, არა, — დაბნეულად ვუპასუხე, — არა, ბებია.

ლხინის დასასრულს, მე ვეხვეოდი და მხურვალედ ვკოცნიდი ბესარიონს.

— ო, როგორ მიყვარხარ, ბიძია ბესო, ძალიან მიყვარხარ! თუ შენ სამართალში მიგცეს ძველი თუ ახალი ცოდ-

ვებისათვის, მაშინვე შემატყობინე და მე შენი დაცვის მოწმედ გამოვალ, არა იმიტომ, რომ შენ მამაჩემთან თხებს მწყემსავდი და არც იმიტომ, რომ ჩინებულად გამიმასპინძლდი. არა ბატონო! ამისათვის როდი მიყვარხარ. შენში სიცოცხლე ჩქეფს, გაიგე? შენში სიცოცხლე დუღს, სიცოცხლე თამაშობს, შენ ნამდვილი ეშმა ხარ! შენ მოუდრეკელი ხასიათის კაცი ხარ! მაგარი კუნთები გაქვს, თუმცა არასოდეს გივარჯიშია.

ბებიაჩემის დაჟინებული თხოვნის შემდეგ წასასვლელად გავემზადე. ჭიშკრამდე მიგვაცილეს. ჭიშკარზე ვეება ნათურა ენთო. მის შუქზე დავინახე, რომ ნუცა ისევ დარცხვენილი იღიმებოდა. ბებია რაღაცაზე ესაუბრებოდა ელენეს, ხოლო ბესარიონი ფეხებგაბჯენილი იდგა ეზოს სიღრმეში, ხეს ამოფარებული.

ნათურა ბესოს ეზოდან დიდხანს გვინათებდა გზას. ხოლო როცა — მისი შუქი შესუსტდა, დავინახე, რომ ბებიას ხელში ეჭირა ანთებული ჭრაქი, რომელიც სრულიადაც საჭირო არ იყო, რადგან გზას ვარსკვლავებიდან გამოსხივებული სინათლე ანათებდა.

— უფრო მეტი სიფხიზლე და თავდაჭერა გმართებს, ყმაწვილო! — ამრეზით თქვა ბებიამ, — ამისათვის ეტუმრე ნიორაძეს?

— ეხ, — ამოვიოხრე და ხელი ჩავიქნიე.

ჩვენი სახლი, როგორც აჩრდილი, ისე წამოიმართა ცაცხვებს შუა ჩამოწოლილ სიბნელეში. ერთბაშად ისეთი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს გულში ორლესული ბასრი ხანჯალი გამიტარეს.

— ბებია! — დავიძახე მე, — ბებია!

იქნება არც დამიძახია, იქნებ მხოლოდ გავიფიქრე. ბებია არ გამომხმაურებია.

□ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ □

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

# კვლავ გიხილე

კვლავ გიხილე,
კვლავაც წელში გამართულმა,
ჯერ სიბერის ტვირთმძიმობა არ მაწუხებს,
ვით მახსოვხარ, ისევ ის ხარ, ბაღათურავ,
იმ სიცოცხლით მოცინარი, მოჩუხჩუხე.

წყაროების შვილი გზა-გზა ჩაუმღერი
თვალფოფინა ტყე-ჭალებს და ბაღ-ვენახებს.
კენჭიც არ გაქვს შენს ფერხულში ჩაუბმელი, —
არ შემეძლო, არ მენახე.

არ შემეძლო, არ გამეღო ღელვით გული,
არ მემღერა, რა ნატვრა ხარ, რა სიამე.
კაცს არ ახსოვს შენგან წყენა და სიავე,
კარ-მიდამო, ბაღ-ბოსტანი აკლებული.

ნაპირიდან რად გადახვალ სათავხედოდ,
თუ შეგუბდი,
ყანები გაქვს მოსარწყავი.
ვინ იქნება, ჩაგიაროს, არ დაგხედოს,
არ დალოცოს შენი წყალი.

ველ-მინდორთა შუქიც გშვენის, ტყეთა ჩრდილიც,
თავანკარას ვინ გიზომავს ადლით სიღრმეს.
გასხივოსნებს ცა უღრუბლო, მოწმენდილი,
ავდრის რისხვა და ღვართქაფი შენც გულს გიმღვრევს.

იყავ ასე, წყაროების მადლით წმინდა,
აქ მიგულე,
ცხრა მთის იქით ვიყო თუნდაც,
სხვა სახელი, სხვა პატივი კვლავ ნუ გინდა,
ბაღათურა გერქვას მუდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამ დილითაც

გზის პირას მორზე ჩამომსხდარი ახალგაზრდები
რას გაჰყურებენ ამ დილითაც,
რას მოელიან!
არ ვიცი მათი ჭაბუკური გულის ნადები,
ქვემოთ ქალაში სიმინდი კი სამარგლელია.

ვენახში პაპა რა ხანია მიწას შეება,
ვით ბერი ხარი, მოუღლელი და ცალუღელა.
აგერ მოადგა ავტობუსი ბიჭებს ვეება
და ვხედავ...
ყველა ავტოქარხნის გზას გაუყენა.

მის ცხელ გუგუნში რაც ვიგრძენი, რა სიმფონიაც,
უმალვე იქცა სიტყვის ელვად, გულის დუღილად.
ვთქვი:
სად დაუდევს გზა ჭაბუკთა სურვილს უხილავს,
მართლაც ქუთაისს შემოქმედის ძალა ჰქონია.

სათქმელად დაძრულ ფიქრს და გრძნობას მივხედე გვიან,
ფეხადგმულ სტრიქონს მივადევნე ფხიზლად თვალ-ყური.
დრო-დრო ქალიდან ნობათივით მოჰქონდა ნიავს
ქადაროხანთა ტკბილი ნადური.

## შვილიშვილი

თიკოს

სიცოცხლე ნორჩი, შუქიანი ყვავილისფერი,
მოვიდა, მოხვლა გვამცნო ტირილით.
ოჯახის წევრი დაიბადა,
ამაღლდა ჭერი,
გადაგვავიწყა ყველა ტკივილი.

აკვანში ჩაკრულ-ჩათბუნებულს გაუტკბო ძილი
დედის ნანინამ,
ტკბილმა ღიღინმა,
ბედნიერებად გათენებულ ერთ მზიან დილით
გამოეღვიძა და გაგვიღიმა.

რა დაიტევდა იმ სიხარულს, რა საწყაული,
სინათლედ ქცეულ ბედს გვაზიარა.
მერე კი, მერე კიდევ მოხდა სხვა საწაული —
ოთახი ფორთხვით შემოიარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ მის თვალშიც სიხარულად გამოისახა
ნაბიჯი, გავლა, დგომა მიწაზე.
ივარდყვავილა, და ბაბუო რომ დამიძახა,
ხელი დავავლე და ავიტაცე.

მადლობა ვუთხარ გულითადი მადლიან იღბალს,
ავყევ ოცნების აგებულ კიბეს,
ღრუბლებს ავშორდი,
გზა დავიდე ცხრა ზეცის მიღმა
და ვარსკვლავები ვკრიფე და ვკრიფე.

ყველა ჩემს გუმანს,
გულის დუღილს ნათელით მოსავს
მისი თვალების ბრწყინვა-ციმციმი.
ტირილით გვამცნო ამ პატარამ ამქვეყნად მოსვლა,
დედოფალია ახლა სიცილის.

## მათი ფრფიალი

მინდვრებს კალთიდან ნისლი უქრებათ,
ტყეების დუმილს ნიავი არღვევს.
გათენდა,
დაჰკრეს ბუკი ფუტკრებმა
და შეესიენ ხეხილის ბაღებს.

სულწასულობის სენი შეყრიათ,
უმალ ღიმილით გულში გაივლებ:
ისე კოცნიან,
ისე ეკვრიან
ატმის ყვავილებს, ვაშლის ყვავილებს.

არც მორიდება,
არც მოკრძალება,
თავდაჭერაზე ერთიც არ ფიქრობს,
არ ენანებათ,
არ ებრალებათ
ლამის დაწყვიტონ, ლამის დაკრიფონ.

მაგრამ შეხედეთ, ეს ყვავილებიც
შეთვისებიან იმათ ხასიათს,
ნექტარს უთმობენ კმაყოფილებით
და საალერსოდ გული გახსნიათ.

ვინ ყავთ მსურველი მათი ბადალი,
უღირთ ფუტკრებსაც ეს თავდადებად,
მიდიან, მიაქვთ სკაში ნადავლი,
მოდიან, ისევ შრომა ჩაღდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგი ხორნაული

# ვიწრო ბილიკი

## მოთხრობა

წვიმის მსხვილმა წვეთმა გადაშლილ წიგნზე მოადინა ტყაპანი. შეკრთა მამუკა. წამოიწია მხართეძოზე შემოწოლილმა, თავი შემოიბრუნა, ცას შეხედა. საორბის მთიდან წამოპარებულმა ღრუბელმა ფაფარაყრილი ლომივით ჩამოღრინა. მამუკა მიხვდა, უკვე გვიანი იყო, ველარსად დაემალებოდა. ფერდობზე შიბშიბად შეფენილ ფარას გახედა. ქოხთან მირეკვა კიდეც რომ მოესწრო, მოწველას ველარ მოასწრებდნენ, სულ ერთია, კარგი გალუმპვა ელოდა. მერე რისი გულისთვის, ვისი გულისთვის! ახლა უკვე თბილისში უნდა ყოფილიყო, უნდა მომზადებულიყო ვისთანმე მისაღები გამოცდებისთვის. ის კი ისევ „რიე-ჩიეს" იძახდა ფუნდუკის ფერდობზე, ისევ ცხვარს მწყემსავდა. ეს სულ კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ლევანის ბრალი იყო. მან აიხვ-დაიხვია ხელზე. ჯერ იყო და პირველ წელს სთხოვა — დარჩი, ამ ზამთარს ცხვარს გაჰყევი ყიზლარში, მომავალ ზაფხულს სტაჟის ცნობას მოგცემ, ჩაბარება გაგიიოლდებაო, სხვა მხრივაც დაგეხმარებიო. გაჰყვა, მთელი ზამთარი ყიზლარში გაატარა. გადმოვიდა ფარები და საზაფხულო იალაღებისთვისაც ვერ გამონახა კაცი. მამუკასვე სთხოვა ლევანმა, ისევ შენ როგორმე აჰყევი ფარას, არეკე ფუნდუკზე და ორ-სამ დღეში შემცვლელს ვინმეს გამოგიგზავნიო. ორი-სამი დღეც გავიდა და კარგი ორი-სამი კვირაც, მაგრამ შემცვლელი კიდევ არავინ ჩანდა. ახლა ყიზლარში წასულა თავის დასამზადებლად, ხალხი წაუყვანიაო, თქვეს, და დაიკარგა! არა და რაღა რჩებოდა გამოცდებამდე, ეს ივნისიც განახევრდა! მწველავი ქალები ყოველდღე რიგრიგობით დადიოდნენ შინ, რიგრიგობით ჩაჰქონდათ ყველი და კალტი საწყობში. ყველას აბარებდა მამუკა — გაიგეთ თავმჯდომარე ხომ არ გადმოსულაო. მოვიდოდნენ საღამოზე და — არა, არ გადმოსულაო. ბოლმისაგან, ლამის იყო, გული უსკდებოდა. ბრაზი ემატებოდა. მოატყუა ლევანმა. გამოდიოდა, რომ ეს მეორე წელიც ეკარგებოდა. „ფუი! უშნო ვარ, უშნო! ცხვარი გადმოვიდა თუ არა, უნდა წავსულიყავი, აღარ უნდა დავთანხმებოდი აქ წამოსვლაზე". წიგნსვე ჩასცქეროდა, მაგრამ ასოებს ვერა ხედავდა. თვალები ერთ ადგილას ჰქონდა მიშტერებული. ჯავრისაგან შეპყრობილი გონება წიგნისთვის უკვე გადაკეტილი იყო. მხოლოდ ლევანის სახეს ხედავდა და ბრაზიან გეგმებს აწყობდა.

მეორე დიდმა წვეთმა მოადინა კიდევ

ტყაპანი. მამუკამ წიგნი დახურა და წამოდგა. მზე ჯერ ჩასული არ იქნებოდა. ღრუბელმა ჩამოაბნელა ნაადრევად. ის იყო გაიფიქრა, იქნება ჩავრეკო, როდისღა მოიწველებაო, რომ ქოხიდან მაროს ხავილი მოისმა:

— ჩამოლალე, მამუკაოოო!

მამუკამ ცხვარს წამოუარა, საწვიმარი თავს ზემოთ მოიფრიალა და უცნაური ხმით დასჩხავლა: უაუ, უაუ, უაუ! ფარა ერთი კი შეიცქვიტა, შეფრთხა და ქოხისაკენ დაქანდა. თვალის დახამხამებაში ბიბინ-ბიბინით ჩამოდგა ბინაზე. სირბილით მოჰყვა მამუკაც. წვიმამ უკვე წამოუხშირა. ქალები საწველი ვედროებით გამოსულიყვნენ უკვე და ბერას კართან იჭერდნენ თავთავის ადგილს. მამუკამ წიგნი ქოხში შეაგდო, მერე ცხვრის ერთი ნოტო ბერაში შერეკა და... დაიგრუხუნა ცა-ღრუბელმა. წამოუხშირა ბარაქიანმა წვეთებმა. ხმელ გორობებზე ატყაპუნდა აქა-იქ და მტვერი ააყენა. კიდევ დაიელვა, დაიგრუხუნა და მაღლა მთებიდან წვიმის შრიალი მოისმა. თხელი ნისლივით მოიწევდა თავდაღმა.

— აბა, დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ! — შეუძახა ქოხის დიასახლისმა მწველავებს და თვითონაც გამოეშველა. მამუკა გადახტა ბერაში, ცხვარს ჩააფრინდებოდა მატყლში და წალმა-უკუღმა მოითრევდა მწველავებისკენ. შეაჩერებდა მათ და ახლა სხვების მოსაყვანად შებრუნდებოდა. ქალები უცებ სწვდებოდნენ ცხვარს, ცალ მუჭში პატარა ცურს მოიგდებდნენ და ვედროში ლიმონივით ჩასწურავდნენ.

კიდევ სადღაც ახლოს გატყვრა მეხი. თითქო ზუსტმა ნასროლმა წყლიანი რუმბი გახეთქაო, მოსკდა თქეში, დაასხა და დაასხა. ნიაღვრები წამოვიდა; წელანდელი გორობები აზელილ ტალახად იქცა. წვიმამ საწვიმრებს გაატანა, ჩაიზუზნენ, ჩაილუმპნენ. თითის დასადები ადგილიც აღარსადა ჰქონდათ მშრალი. ხმას არავინ იღებდა, ყველა უჩუმრად აკეთებდა თავის საქმეს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ წვიმამ წაუხდინათ გუნება. არა; წვიმაში სხვა დროსაც, ზოგჯერ, უწველიათ ცხვარი, მაშინ უფრო მხიარულ გუნებაზე დგებოდნენ. სულ სიცილ-კისკისით გადაავლევდნენ წვიმას. სახუმარო და სასაცილოც სწორედ ასეთ დროს ჩნდებოდა. ახლა კი მამუკას უგუნებობა გადაედო იმათაც. მამუკა, თითქოს პირველად მდგარიყოს ბერაში, ნერვიულობდა ცხვრები რატომ მიფრთხებიანო, რატომ თავისით არ მეჭერინებიანო, წიხლებს ურტყამდა, აგინებდა: ეს ბოლო დღეები საერთოდ დალაპარაკებაც აღარავისთან უნდოდა.

უკვე დაბნელებულში მორჩნენ ცხვრის წველას. ბოლო ცხვრები ხელის ანდეზელა მოწველეს, რძით სავსე ვედროები ქოხში შეიტანეს და წვიმამაც გადაიღო. რუსიკომ მინავლულ შუაცეცხლს მიხედა, მკრთალმა შუქმა გაანათა ძველისძველი შემჭვარტლული ქოხი. მიწური ქოხი იყო, სამი მხრით მშრალად ნაგები ქვის კედლები ჰქონდა, წინა მხარეს კი — ამოწნული. ზემო კედლის გაყოლებით ლატან-ფიჩხით გაწყობილი სკამ-ლოგინები იყო. ზედ ეყარა ნაბდები, ტანსაცმელი. კედელში შეტანებულ ჩხირებზე სურსათ-სანოვაგიანი ხურჯინები და გუდები ეკიდა.

ბარემ რძეებიც ჩავწუროთ და მერე გამოვიცვალოთო, — თქვეს ქალებმა. სველი ტანსაცმლის უსიამო შარიშურით გადმოიღეს სარძევე ქვაბი, საწური. რძიანი ქვაბი საკიდელზე შემოჰკიდეს და თავთავის ხურჯინებს მიმართეს. ამასობაში მამუკამ უკვე გაიძრო სველები და სათეო თბილები ჩაიცვა.

— აი, გაუთავდეს პატრონი, — მოჩქამდა კარზე მელო. სოფელში იყო წასული, ცხვრის წველისთვის უნდა მოსულიყო, ის კი აი როდის-ღა მოვიდა.

— სადა ხარ, ქალო, რატომ დაიგვიანე, უცხო ხო არაფერია? — მიაყარა დიასახლისმა.

— არა, პური გამოვუცხვე ჯალაბთა. ახლა გამოსათოხნი რაღაცა მქონდა, ის გამოვთოხნე, მაღდევე კი წამოვედ, მა-

ლედვე მოვიდოდი, მაგრამ წვიმაოხერს შევეფარე ტყის პირში, იქნება გადაიღოსო, ისემც პატრონი დაელევა...

— არა უჭირს რა, ჩვენ უარესად ჩაგვალპო.

— ჰო, მართლა, მამუკავ, თავმჯდომარე გადმოვიდა.

— გადმოვიდა?! — ყველას მაგივრად შესძახა რუსიკომ.

— ჩხირი კედელსა, — ჩაიბუზღუნა მამუკამ.

— წადი, მამუკავ, წადი, ხვალევე წადი, ცხვარს ჩვენ მივხედავთ, — დააიმედა მარიამმა.

— კი, უნდა წავიდე, თორემ ვაი თუ კიდევ სადმე წავიდეს და... მერე კი არ ვიცი, რას ვიზამ.

— კი, კი, არსად გაგასწროს, — ჩაურთო რუსუდანმაც, — ცხვარს მე და მარიამი გავყვებით, მიხედე შენ საქმესა.

— აბა, თქვენ იცით, უნდა როგორმე დამითხოვოთ.

— ეხ, ჩახვალ კი, ძმიავ, მაგრამ არა მგონია, რამე გამოვიდეს, — თქვა მელომ, — სად არის კაცი, ვინ უნდა გამოგზავნოს? მანქანით ჩალა მოიყოლიეს და რო არავინ იყო ჩამომცლელი, თავადვე ჩამოცალეს ლევანმა და მოანგარიშემ. კაცის ჭაჭანება არ არის სოფელში. ვინც ცხვარში არ არის, ყიზლარშია.

— მერე რა ჩემი ბრალია, რომ კაცი არ არის! ხომ შემპირდა? პირობა — პირობაა!

— რაკი მაგათ მუშახელი აკლიათ, მაშ აღარ უნდა წავიდეს ეს ბალღი სასწავლებელშია, რატო უნდა შეუშალონ ხელი, — გაფიცხდა რუსუდანი.

— მაგათ ოღომც თავისი საქმე ნუ გაუფუჭდებათ და სხვისი ფეხებზეც არა ჰკიდიათ, — დაემოწმა მარიამი, — რატომ მიუდიოდა ყველანი ყიზლარში, ერთი ვინმე დაეტოვებინა და ეს ბალღი გაეშვა.

— მარტო თვითონ უნდათ სწავლაცა და კარგი ცხოვრებაც, ჩვენფერა უბრალო ხალხმა მარტო უნდა იმუშაოს და იმუშაოს. არ უნდათ მუშახელი მოაკლდეთ, მერე რაღასა სჭამენ.. ეგენი აღარაფერმა დააძღო. რა ვიცი, ჩემს ქმარზე მეტი შრომა არავისა აქვს ამ კოლექტივში და სახლისთვის კრამიტი ვერ გამოგვიცვლია. მაგათ კიდევ ყველამ სასახლეები წამოჭიმეს...

— შენი ჭირიმე, მარუავ, რად იტყვი მაგასა? ლევანი აკი არ არი ეგეთი კაცი. ყველაზე რაღაცის თქმა შეიძლება, მაგრამ...

— კარგი, კარგი, მელო, შენი კვნესამე! ხელების ფარებას ნუ დაუწყებ.

—არა, მე ხელებს არავის ვაფარებ. უბრალოდ, სიმართლე უნდა თქვას კაცმა.

— მაშ ეგ სიმართლეა, თერთმეტი წელი ბალღს უსწავლია და გინდა თუ არა მეცხვარე იყავიო. თავის ქალიშვილს ხომ ამზადებს უმაღლესისთვის. ჩვენ აქ მწველავი არ გვაკლია? რატომ ის კი არ გამოგზავნა აქა, თუ ეგეთი სიმართლის კაცია, რამდენჯერ ვუთხარით! გამოვგზავნი ვინმესა, გამოვგზავნიო, ჩვენც ეგრე გვატყუა. ათას სულ ცხვარს შარშან ხუთი ვწველავდით, ახლა სამნი ვართ! რადა?

— დაიცათ, იქნება გამოგზავნოს. შინაობას უვლის იმის ქალიშვილი. ცოლი ხომ სამკურნალოდა ჰყავ გაგზავნილი.

— მაშა, მაშა, იმ წუთში გამოაქცევს.

— მაზიტაანთ გოგიასაც არ უშვებდნენ, რო...

— ჰო, აგე მაზიტაანთ გოგია, — მარუამ სიტყვა წაჰგლიჯა რუსიკოს, — იმასაც ყიზლარში უპირებდნენ გაგზავნას, დაჰკრა ფეხი ბიჭმა და ქალაქს წავიდა, ყურიც არავის უგდო. დედა ვაცხონე ბიჭისა! მაშ არა და ისიც მეცხვარედ დაუდგებოდა!

მამუკას გულზე გაჰკენწლა და ბოღმამ შეაწრიალა. ძლივსღა იჯდა ერთ ადგილზე. წამოხტომა უნდოდა და ახლავე გაქცევა თავმჯდომარესთან. „უშნო ვარ, ნამდვილად, უშნო! გოგიას უნდა გავყოლოდი, თავმჯდომარისთვის არ უნდა გამეგონაო“.

— ხათრიანი კაცი, ხომ იცი, რომ და-

ღუპულია, ნამეტნავად ახლა, ყველა თავზე გადაგახტება. ეგრე არ გარგებს, ცოტა ფხა უნდა გამოიჩინო, — დაარიგა მამუკა მარომ.

— ერთი არ მინდა კიდევ უარი მითხრან და ფხას მე ვუჩვენებ მაგათ! ჩავიდე ხვალ იქა! — ბრაზიანად ჩაილაპარაკა მამუკამ. მერე ნაბადი აიღო და თეოზე გასასვლელად შეემზადა.

— სად მიდიხარ, ბიჭო, მშიერი! დაიცა ვივახშმოთ! — მიაძახა დიასახლისმა.

— არ მინდა არაფერი, — თქვა და თავწახრით გავიდა ქოხის კარში. მეორე დილით, რიყრაყზე წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი მამუკას, მაგრამ გულმა არა ქნა საქმის ღალატი: ისევ თვითონ მოაცრევა ცხვარი, მორეკა და წველაშიც ისევ მიეხმარა ქალებს. მერე კი შეკაზმა თავისი ბულანა და ჭენებ-ჭენებით დაუყვა ფუნდუკის გორს. გორი ჩამოათავა და ახლა ლუთხუმის რიყიან ჭალაზე მიათოხარიკებდა სადაველდამოკლებულ იორღას.

წუხანდელ წვიმას აედიდებინა ლუთხუმურა, მიერ-მოერია რიყე-გზები, დაეხრამა. ახლა კი ჩამომჯდარიყო წყალი, ისე მღვრიეც აღარ იყო. სველ ქვიშაზე აქა-იქ ქვისაგან ნახოცი კალმახების თეთრი მუცლები ელავდა ახლად ამოსულ მზის სხივზე, ცაც კრიალა იყო და ქვეყანაც.

ათასნაირი ბრაზიანი ფიქრი უტრიალებდა თავში მამუკას. ათასნაირად აწყობდა სათქმელს, ვერაფრით ერთზე ვერ გაჩერდა: ამას ვეტყვიო, ასე ვეტყვიო, ასე ვიზამო; ასე კი არა, ასეო... და უახლოვდებოდა სოფელს. გულისცემა და ღელვა ემატებოდა ლევანთან შეხვედრის მოახლოებაზე. როგორ მოულოდნელი იქნებოდა ლევანისთვის მამუკასაგან ასეთი თავხედური მიჭრა. როგორ გაოცდებოდა, გული ეტკინებოდა. მამუკა ხომ ყოველთვის ხათრითა და მოწიწებით ეპყრობოდა ძია ლევანს და ან კი ვის არა ჰქონდა ომგამოვლილი „მაგარი კაცის“ რიდი და ხათრი. უსიამოდ ეკუმშებოდა გული მამუკას, არ უნდოდა ძია ლევანთან წაკინკლავება, უამურობა. ბრაზიც დაუცხრა, გაუნელდა. შიგდაშიგ ფიქრმაც გაჰკრა, იქნებ ცხენი უკანვე შემოვაბრუნო, ველოდო, სანამ კაცს გამოჰგზავნისო. მაგრამ არა, უკანდახევა უკვე აღარ შეიძლებოდა, ფერმის ქალებს რაღა გაუძლებდა, იმათ ლაპარაკს; ალბათ, დაცინვასაც დაუწყებდნენ. რაც იქნება, იქნებაო. მთლად რომ სიბრაზე არ ჩაჰქრობოდა, და რიხიც არ წართმეოდა, განგებ აიკვიატა, „ხომ მომატყუაო, რატომ მომატყუაო“.

მამუკამ ცხენი ზედ კანტორასთან მიაგდო.

— რა არი, ბალღო, რა ფერი დაგკარგვია? ხომ არაფერი შეგემთხვათ? — გამოელაპარაკა კოფია, რომელსაც იქვე, საწყობიდან ყველის გუდები გამოეტანა და მზეზე ჰფენდა.

— გამარჯობა, ძია კოფი! თავმჯდომარე აქ არის?

— კი, მაღლაა.

მამუკამ ცხენი გამოაბა, მერე კიბე აირბინა და კარი შეაღო. ლევანი თავის მაგიდასთან იჯდა, რაღაცას წერდა.

— შეიძლება, ძია ლევან?

ლევანმა სათვალის ზემოდან გამოხედა მამუკას და წამით მიაჩერდა.

— შემოდი! — თქვა და კვლავ წერა განაგრძო.

— გამარჯობათ! —მიესალმა მამუკა და იქვე, კართან გაჩერდა ქუდმოხდილი.

— გაგიმარჯოს! — ახლა უკვე აღარ აუწევია თავი ლევანს. სქელი ხისტარიანი კალამი სამელნეში ჩაჰკრა და კვლავ ქაღალდზე ააფხაკუნა. სხვა დროს ყოველთვის ღიმილით ხვდებოდა მამუკას, ცხვრის ამბავს ჰკითხავდა, მეცადინეობისას. ახლა კი თითქო მიხვდა, რა განზრახვითაც იყო მოსული, შუბლი არ გაუხსნია.

„ესე იგი, არ ესიამოვნა, რომ მოვედი, ესე იგი თვლის, რომ მე ისევ ცხვართან უნდა ვყოფილიყავი. პირობა დამირღვია და ნაწყენიც ისევ ჩემზეა, ყურადღებასაც რომ არ მაქცევს“, — ბრაზი

წაეკიდა მამუკას და, ის იყო, თქმაც დააპირა, ისევ ლევანმა დაასწრო.

— რა ამბავია, მამუკა? გისმენ!

— არაფერი. ჩამოვედი... მინდა თბილისში წავიდე.

— ვიცი, რომ გინდა. მე განა დამავიწყდა, მაგრამ არ ეწყობა!

— რა არ ეწყობა?

— რა არ ეწყობა და საქმე. ვინ გავუშვა შენ ადგილას, მითხარი, შენ თვითონ მითხარი! წიწა გავუშვა, თუ ქოჩათ გიო. კაცებიდან ეგენიღა დარჩნენ სოფელში. წიწა და ქოჩათ გიო ას წელს იყვნენ მიჯრილნი.

— თქვენ ხომ შემპირდით, ცხვარი არეკეთ, დააბინავეთ და მერე შეგინაცვლებ ვინმესო.

— მართალია, შეგპირდი, ამაში ნამდვილად დამნაშავე ვარ, პირობას რომ ვერ გისრულებ. მეგონა, რაიმე საშუალებას გამოვნახავდი, მაგრამ წინასწარ რა იცი კაცმა, საქმე როგორ წავა. რას ვიფიქრებდი ჟორა და არსენა თუ საციხედ გაიხდიდნენ საქმეს, ამ უკაცობაში მოგვაკლდებოდნენ.

— მაშ ახლა მე რა ვქნა?

— ცოტახანს კიდევ უნდა გვაცალო, სანამ სათიბის ხალხი გადმოვა ყიზლარიდან და მერე, გამოცდებისათვის ნამდვილად გაგიშვებ.

— გამოცდებისათვის კი არა, თუ ცოტა ადრე არ ჩავედი, ვისთანმე არ მოვემზადე, ისე რა მინდა გამოცდებზე, რას ჩავაბარებ?

—ბიჭო, მიგდე შენ ყური! საგნების მოსამზადებლად, თბილისში ჩასვლა არ არის საჭირო, ადრევეც გითხარ. ვისაც სწავლა უნდა, აიღებს წიგნს, ისწავლის. ამას უნდა დრო და მონდომება. შენ არც ერთი გაკლია, არც მეორე. ცხვართან მთელი დღე მეტი რა საქმე გაქვს?

— ცხვართან მე საკმარისი ვიმეცადინე, ახლა სხვამ იმეცადინოს. სულ ერთია, მე იქ აღარ დავბრუნდები. თქვენ ცხვრის მეტი არაფერი გადარდებთ. ჩემი სწავლაცა და ჩემი მომავალიც ფეხებზე გკიდიათ. თუ ეგრეა, მეც ფეხებზე მკიდია თქვენი ცხვარი! არც თქვენი სტაჟის ცნობა მჭირდება! მე ჩემს თავს თვითონ მოვუვლი! — გაცხარებული შეტრიალდა მამუკა და გასვლა დააპირა, რომ თითქო ჭერი ჩამოინგრაო, — ლევანმა მუშტი დასცხო მაგიდას და ღრიალით წამოიჭრა ზეზე.

— ჰაიტ, შე ლაწირაკო, შენა! ფეხი არ გაადგა, გაჩერდი, გაჩერდი რომ გეუბნები!

შეჩერდა მამუკა. შეჩერდა და, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა მოხედა ძია ლევანს. მისი ხმამაღალი სიტყვაც კი არავის გაეგონა, არამც თუ ასეთი ხმით ღრიალი. ვითომ რა უთხრა იმაზე მეტი, რაც მაზიტაანთ გოგიას ეთქვა, ძია ლევანს კი მშვიდად მოეშორებინა თავიდან: წადი, შვილო, სულერთია, შენ არც ქალაქში ივარგებო. სწავლაში შენ არ ვარგოდი და საქმეში, ქალაქში ვის რაში უნდიხარო. — გინდა აქ იყავ ტეტიაო, გინდა ნადირი ტყეშიაო, გამოეგდო. ჰოდა, რა უთხრა ვითომ ისეთი მამუკამ, რაზე შეიყარა ცეცხლი? ფერდაკარგულსა და პირგამეხებულს ზედ აღარ შეეხედებოდა. ეგრე კაცს რომ ბედი არა გაქვსო, — ფიქრობდა მამუკა, —ზოგი ქვეყანას დაანგრევს და ვითომც არაფერიო, არავინ რამეს ეტყვის, ჩემგან კი სამართლიანი, სიტყვის თქმაც არ შეიძლება თურმე. ზოგი კოლექტივის საქმეს მთელი დღე და მოსწრება სულ გაურბის და მამუკას გამოცდების ჩასაბარებლად წასვლის ნებასაც აღარ აძლევენ. ბედია ყველაფერი.

— მიხურე კარი! — კიდევ უყვირა ლევანმა. მამუკამ კარი მიხურა და იატაკს ჩააცქერდა. — ყოჩაღ, ყოჩაღ! მაშ, შენც ფეხებზე დამიკიდე, შე გონჯო, შენა?! შენ მე უფრო სხვანაირი მეგონე, რაღაცა იმედი მქონდა, თითქოს კაცობისაც რაღაცა გეტყობოდა, თურმე კი, აი როგორი ვიგინდარა ჰყოფილხარ! აჰყოლებულხარ ამხელა მუტრუკი და არ იცი, ვის როგორ ელაპარაკო. ვერ არჩევ, ვის კარგი უნდა შენთვის და ვის ცუდი!

ლევანმა ოთახში გაიარ-გამოიარა, მე-

რე ფანჯარასთან შეჩერდა, კარგახანს ჩუმად, იდგა, ძლივს, როდის, როდის ჩამოსული ხმით დაიწყო:

— არც კი გრცხვენიათ! რომ აგიჩემებიათ მომზადება, მომზადებაო, ქართულსა და ისტორიაში რაღა მომზადება და კიდევ მასწავლებლები გჭირდებათ. სკოლაში გავლილი გაქვთ, ჩაბარებული. ახლა უბრალოდ გამეორებაღა გჭირდებათ. ათასჯერ ნაღეჭი კიდევ სხვამ რატომ უნდა გიღეჭოთ? იქ მაყვალასი არ იყოს — სხვები რომ ემზადებიანო! სხვებს რას უყურებთ, ვიღაც ყეყეჩებს! ტყუილია, ვისაც სწავლა არ უნდა, ვისაც თავისით არ შეუძლია მომზადება, იმას ბევრს ვერც არაფერს ლექტორ-მომამზადებლები უშველიან. შტერი და უტვინო რამდენიც გინდა მოემზადოს, მაინც შტერად და უტვინოდ დარჩება. მაზიტაანთ გოგიაც გაიქცა მოსამზადებლად. მარტო მომზადებისა ათასორასი მანეთი გადაახდევინა მშობლებს და რა გამოუვიდა მაგით! ჩააბარა? პირველ გამოცდაზედვე ორიანი მიარტყეს და გამოაპანღურეს. აქ რომ დადის და ხალხს ატყუებს, სტუდენტი ვარო, იქა ვმუშაობ, აქა ვმუშაობო, თქვენ მართლა სტუდენტი ხომ არა გგონიათ? დეზერტირების ბაზარში გდია დილიდან საღამომდე, გლეხებს ხორცს უყიდის და ფულსა ჰპარავს. დღეს თუ ხვალ იმასაც ციხეში მიაბრძანებენ. მოეშვი შენ მაგ ვიღაცვიღაცების ლაპარაკს, მე მიგდე ყური, გირჩევნია. ამ ხნის კაცი ვარ, ჯერ არავინ მომიტყუებია, ცუდი არავისთვის მირჩევია. ჭადარა ხალხსა სჯერა ჩემი და ამ ცინგლიან ლაწირაკებს ვერაფერი გაგაგებინეთ.

ლევანმა კიდევ გაიარ-გამოიარა ოთახში, ხელები უკან შემოიწყო, კვლავ შეჩერდა და განაგრძო:

— ვოქვათ და გამეშვი კიდეც, მერე საიდან გინდა მოიტანო მოსამზადებელი ფული, ახლა ბინის ქირაც ხომ გინდა, სახარჯო ფულიც ხომ გინდა? ოჯახს რატომ არ უწევ ანგარიშს, რა ქნას მარტოკამ დედაშენმა. იქნება, შენი ცხვრების იმედი გაქვს? ჰმ! ბიჭო, შენ! მარტო ბარებაში თუ შემოგეფცქვნა ყველაფერი, სტუდენტობის დროს რა, აღარ დაგჭირდება? ბევრი დაგჭირდება. მაყვალაც ძალიან ატეხილი იყო ერთხანობას, გინდა თუ არა უნდა მოსამზადებლად ჩამიყვანოთო. უარი ვუთხარი! თქვენ ჯერ მოგონილებიც არ იყავით, მე რომ სტუდენტი ვიყავი და გამოცდებს ვაბარებდი. მე თქვენზე კარგად ვარჩევ, რა როგორ არის... ამ დღეებში ნინო მოვა და მაყვალას თქვენთან გამოვგზავნი. თქვენ იქ მწველავი გაკლიათ.

— მაყვალას?! — უნდობლად შეხედა მამუკამ.

— ჰო, მაყვალას! თავისუფალი დრო გექნებათ, დასხედით და იმეცადინეთ. ივლისის ბოლოს კი მე თვითონ წავიყვანთ ორივეს. მანამდე გადმოვალთ ყიზლარიდან, მოვრჩებით თივის დამზადებას. ხვალ ან ზეგ იქვე უნდა წავიდე, უნდა მივხედო საქმეს. რა დღეში ვარ, კაცი ცასა ვკიდივარ და შენ კიდევ... ომში ასე არ გამჭირვებია, როგორც აქ. იქ მაინც დავალებას მისცემ კაცს, უბრძანებ და ან უნდა მოკვდეს, ან შეასრულოს. აქა? ყველას ფერება გინდათ, ხვეწნა. ერთი იქეთ იწევთ, მეორე აქეთ. ყველა ცუღლუტობაზე და თავის დაძვრენაზეა. რა დღეში არიან ბიჭები, თვითონ შენი ძმა, ილიკო; აქ საქმეს მოვწყვიტე, იქ სიცხეში იხრუკებიან. ახლა პარსვა მოდის...

მამუკა, „მაყვალას თქვენთან გამოვგზავნიო", იმაზე ფიქრობდა. ვერ წარმოედგინა მაყვალა მწველავი, ტალახში ამოგანგლული, წვიმისგან გალუმპული. სკოლაში მაყვალასავით კოხტად ჩაცმულ-დავარცხნილი გოგონა ბევრი არ დადიოდა, სულ ხუთოსანი იყო, სანიმუშო. თუმცა მამუკასთანაც ისევე ამხანაგობდა, როგორც ყველასთან. განსაკუთრებული ამხანაგობა და მეგობრობა არა ჰქონიათ. სკოლის დამთავრების მერე აღარც ენახათ ერთმანეთი.

— ძია ლევან, მაყვალას ნუ გამოგზავნით, იოლას გავალთ... — ლევანმა შემოხედა მამუკას, გაეღიმა.

— რატომ? რა უჭირს? აქ რა გვარი-

შვილობა ჩამოერთმევა! შრომა სწავლას არ უშლის, პირიქით... დასხედით და იმეცადინეთ. შეგიძლიათ. შენზე მითხრეს წიგნები ზეპირად იცისო, ისიც ეგრეა. რა ვიცი, რაღა ღმერთი გაგიწყრებათ, რომ ვერ ჩააბაროთ. ჩააბარებთ, ნამდვილად ჩააბარებთ... ცხვარი ვის დაუტოვე?

— ქალებს.

— ჰმ, ქალებს! ვთქვათ და ცუდი ამინდი დაეცა, გასხლტა ცხვარი, ნადირი დაერია, რას ფიქრობ მერე?

— იმათ ცხვარი არ დაუსხლტებათ, მეც მალე ავალ.

— ადი, ადი, ცოტაც ამომასუნთქეთ და მერე მე ვიცი. გამიგონეთ, თუ თავისთვის კარგი გინდათ, თუ არა და ხომ გაგიგია, ვისაც უფროსისა არ ესმისო, იმის ვენახს არ ესხმისო. მე თქვენსკენ, თქვენ ეშმაკისკენ!..

— კარგი, მაშ, ძია ლევან, მე ცხვართან ვიქნები და... მაპატიეთ, რომ...

—არ არის საჭირო ბოდიშები, — ლევანი ახლოს მივიდა, კისერში ხელი მოუთათუნა, — შე გონჯო, შენა. აბა, მოდი აქ! — კარადასთან მიიყვანა და კარი გამოაღო. ხუთი ახალთახალი თოფი ეყუდა. ლევანმა ერთი გამოიღო და მამუკას მისცა:

— აჰა, ეს შენ!

— მეე? — სიხარულისაგან წამოწითლდა მამუკა.

— ხო შენ. გავიგე თეთრხალათიანა დათვს შეუწუხებიხარ.

— თქვენ ვინ გითხრათ, ძია ლევან! — გაეცინა მამუკას.

— მითხრეს. რამდენი შეგიჭამა?

— სამი, მაგრამ ახლა მე შევაჭმევ იმას. იქნება, თეთრის მაგივრად წითელი ხალათი ჩავაცვა!

— ოჰოჰო! აბა, შენ იცი! — გაეცინა ლევანს, — როგორ იყო მაინც, მართლა ზედ გადაგახტა?

— მართლა, ძია ლევან. თეოზე ვეწექი ცხვარს, ბნელი ღამე იყო. არ მეძინა. მიწაზე დადებულმა ყურმა ჩუმი ნაბიჯის ხმა დაიჭირა. წამოვიწიე და ვხედავ, ვიღაცა მიახლოვდება, კაცი მოდის, საყელო თეთრი უჩანდა — თეთრი ხალათი თუ აცვიაო, ვიფიქრე, თურმე ყელფერლენა დათვია. მოვიდა, მოვიდა, სულ ზედ მომადგა. „რომელი ხარო?". — შევუძახე. დაიღმუთუნა ერთი და, ეტყობა, შეტრიალება ვეღარ მოახერხა, ზედ გადამახტა და დაეშვა თავქვე.

— დაიცა, კაცივით მოდიოდა?

— დიახ... ცხვარს კაცი ვეგონები და არ დამიფრთხებიანო. მართლაც ისე გაიყვანა ფარიდან სამი სული, ძაღლები მერელა უგებდნენ გვიან, მაგრამ ძაღლებსაც არ ეპუება.

— უყურე შენ იმას. ალბათ, ისიც იცის, უიარაღო რომა ხარ, ახლა ვეღარ დაგიბრიყვებს ისე იოლად.

— ახლა ვეღარა! დიდი მადლობა, ძია ლევან, კარგად იყავით! — შესცინა მამუკამ, სიხარულისაგან აჩქარებულ-ალეწილმა ჩამოირბინა კიბე და ცხენს მიაშურა. კოფია გაოცებული მიაშტერდა.

— ბიჭო, გამაგებინე, შენ გენაცვალე. რა ხდება, რა ამბავია?

მამუკა ცხენს მოახტა.

— ომი იწყება, ძია კოფი, ომი! — თოფი თავს ზემოთ ასწია მამუკამ, ქუსლი ჰკრა ცხენს და ადგილიდან მოსწყვიტა.

* * *

„რა იყო, როგორ იყო?" ინტერესით შემოეგებნენ ქალები მამუკას. მამუკამაც უამბო ყველაფერი, რაც იყო და როგორც იყო.

— ბეჩაო, ბეჩაო, თოფაით მოგთაფლა, განა? — ბრაზნარევი სიბრალულით მიმართა მარომ, — ანდე, ეგეც თქვენი ლევანი! არც ახლა დამიჯერებთ? ახლა იმასაც ნახავთ, როგორ გამოგზავნის აქ თავის ქალიშვილსა, მაშა, მაშა, მოგაფრენთ!

არ ეჯერებოდათ, მაგრამ დაიჯერეს, როცა აბარგული ცხენით ამოჩნდა მაყვალა ფუნდუკის გორზე.

მზიანი დღე იყო. მამუკას გალმა ფერდობზე ჰყავდა ცხვარი შეფენილი. იქიდან შენიშნა მაყვალა, თოფი დააქუხა და მერე — ჰეჰეჰეეე! —მოისმა.

— ჰოუ, მამუკაუუ! — შეეხმიანა მაყვალა.

ქალები შორსვე გაეგებნენ მაყვალას, გადაკოცნეს, მოიკითხეს. შეუქეს ქალობა.

— მართალი გითხრა, არა მჯეროდა შენ თუ ამოხვიდოდიო, — უთხრა მარომ, — სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდიო.

ზემო ყურეში რუსიკოს სკამლოგინი გაუთავისუფლეს მაყვალას, მოეხმარნენ ბარგის გახსნა-დალაგებაში. მერე რუსიკოსთვის ახალი საწოლი გამართეს და მზეც გადაიწვერა. ქოხთან მოახლოებულ ფარას დაურიალა მამუკამ და ჩვეული ბიბინ-ბიბინით ჩამოაყენა ბერასთან. მამუკაც სირბილ-სირბილით მოჰყვა. ყველანი ქოხის გვერდით იდგნენ და მას ელოდნენ.

— მოვიდა ჩვენი თოფიან-წიგნიანი მწყემსი! — ხმამაღლა დაიძახა რუსიკომ. ყველას გაეცინა.

— სახელოვან მწყემსს ჩემი სალამი! — მიესალმა მაყვალა და ხელი გაუწოდა.

— სალამი, სალამი, მომავალო სახელოვანო მწველავო! — ღიმილითვე უპასუხა წამოწითლებულმა მამუკამ და ხელი მაგრად ჩამოართვა.

მაყვალამ თვალი შეავლო მამუკას. მაღალ, გარუჯულ ყელ-კისერს ვაჟკაცური იერი დასდებოდა. სკოლიდან კი თეთრფეროვანი ყინწა ბიჭი ახსოვდა, მაღალი, ლურჯთვალა. თმა-ქოჩორი დიდი მოეშვა. ულვაში დასწამვოდა.

იმ საღამოს წველა სულ სხვანაირი ხალისითა და მხიარულებით იყო შეფერადებული. ცხვრის წველაშიც მარჯვე ქალობა გამოიჩინა მაყვალამ. მოწველის შემდეგ, სანამ სხვები რძის ჩაწურვასა და ყველის შეწურვაში ეხმარებოდნენ დიასახლისს, მაყვალამ და მამუკამ წიგნებსა და პროგრამებს გადახედეს და მეცადინეობის გეგმები დააწყვეს. დიდ არაფერზე დასჭირვებიათ, უცებ შეთანხმდნენ: უკვე გაზეპირებულ წიგნებს, ქართულისას, ისტორიისას და ფრანგულისასაც, თავიდან მოუდგებოდნენ, ყოველდღე ოცდაათ-ოცდაათ გვერდს გადაიკითხავდენ თავთავისთვის. საღამოს კი, ცხვრის მოწველის შემდეგ, დასხდებოდნენ და ერთმანეთს მოუყვებოდნენ, შეამოწმებდნენ. და ასე, მეორე დღიდანვე გაჩაღდა თავდადებული შრომა. მამუკა დილით ცალ მხარზე თოფს გადაიკიდებდა, ცალ მხარზე წიგნების ჩანთას, საწვიმარს აიღებდა და საიალაღოზე შეუქეჩებდა ცხვარს. ჩამოცხომამდე კარგად აძოვებდა, მერე კი, როცა ჩამოცხებოდა და ცხვარი დაიმურებოდა, ლეკას ჩრდილში სადმე გაიფენდა საწვიმარს და ამ ქალაქისოდენა დღეში ორმოცი გვერდი რა გაუხდებოდა! ჩაიკითხავდა და მერე ყველა წვრილმანს, თარიღებსა თუ პიროვნებებს, უცხო სიტყვებსა თუ გრამატიკულ ფორმებს თავიდან მოყვებოდა, იზეპირებდა და იზეპირებდა. მაყვალაც ასევე — გაიტანდა ნაბადს, ერთი ლამაზი ყვავილიანი გორაკის თავზე, გადაშლიდა წიგნს და... ასე ფუტკრებივით ჩაბზუოდნენ ორივენი ყვავილებს, ნექტარივით იწოვდნენ ცოდნას წიგნის ფურცლებიდან. საღამოს კი ერთი-მეორეს ამოწმებდნენ. მწველავი ქალები პირღიები შესცქეროდნენ მათ. შიგადაშიგ თუ ვინმე რამეს შესძახებდა, იოცებდნენ მათს მეხსიერებას: ქალოო, ეს რა ვნახეო, ესეთი არაფერი მინახავსო, ვინ მამაძაღლი თქვენ სტუდენტებად არ მიგიღებთო, მაშ ვინღა უნდა მიიღონო. არა არაო, რაღა ვნახოთო და გამოვნახოთო, თქვენ სტუდენტობას წინ აღარაფერი უდგასო. საწინააღმდეგოს გაგონებაც აღარაფრისა უნდოდათ. მერე რუსიკო გარმონს გასწევდა და მათი ცეკვა-სიმღერის ხმა მთებიდან მთებზე გადაჰქონდა ნიავს.

სწრაფად მიილია ივლისი. იმ დღეს რუსიკომ წაიღო ყველი საწყობში. საღამოს, უკან დაბრუნებულმა, ლევანის დანაბარები მოიტანა: ხვალ ილიკოს გამოვგზავნი თქვენთან და ბალღები წამოვიდნენო.

ბოლო საღამო იყო, წყნარი, უღრუბ-

ლო. ცხვარი მოწველეს და სანამ ქალები რძეს დაბინავებდნენ, მამუკა და მაყვალა ბოლო გაკვეთილისთვის გავიდნენ მოსახედ გორზე. მაყვალა ჩვეულებრივ ნაბადწამოსხმული ჩამოჯდა, მამუკა მხართეძოზე მიწვა.

—მოდი, ალარ გვინდა გაკვეთილი. ბოლო სალამოა, ისე ვისხდეთ, ისე ვისაუბროთ, — თქვა მაყვალამ. მამუკამ შეხედა, მერე ღრმად შეისუნთქა, სერიოზული სახე მიიღო და...

— ბავშვებო, თუმცა რაღა ბავშვებო, დღეიდან უკვე მოზრდილო ადამიანებო, ბოლო გაკვეთილი შეიძლებოდა მეგობრული საუბრისათვის დაგვეთმო! — თავიანთ ერთ-ერთ მასწავლებელს გამოაჯავრა მამუკამ და ხმაც ისე მიამსგავსა, რომ მაყვალამ გულიანად გადაიკისკისა.

— როგორ მომენატრნენ ჩვენი მასწავლებლები! თუ შეხვედრიხარ ვინმეს დამთავრების შემდეგ? — ჰკითხა მამუკამ.

— თამარა მასწავლებელს შევხვდი ფასანაურში, ბაზარში. მისაყვედურა რატომ არ ჩააბარეო, მაინც გეცადაო. აუცილებლად მათემატიკურზე ჩააბარეო, ფილოლოგიური რად გინდაო. თქვენი ამბები მკითხა ყველასი. შენზე რომ ვუთხარი, ცხვარში წასულაო, შეიცხადა — დედა, დედა რა კარგი ბავშვი იყო, რა კარგად სწავლობდაო. მაშა, მაშა, ვითომ ეგეთი კარგიც იყავი? — ეშმაკურად ელიმებოდა მაყვალას. ღიმილით შეხედა მამუკამაც და თვალებში მიაჩერდა.

სალევზე წასულმა მთვარემ მკრთალად ამოანათა. სხვანაირად ლამაზი ფერი დაედო მთებს. ოქროს თასმასავით ალაპლაპდა ლუთხუმურა დაბლა ჭალაზე. აქა-იქ მთებზე მწყემსთა კოცონები ბდღვრიალებდა. საორბის შალდაყიანი ხევხუვიდან დათვების ღმუთუნი და ბუერის სურნელი მოჰქონდა გრილ ნიავს. ჯადოსნური სამყაროს ელფერი მიიღო ღლისით ამ ჩვეულებრივმა მთებმა.

— ნეტავი კიდევ ერთი თვე იყოს გამოცდებამდე, — ინატრა მამუკამ.

— რად გინდოდა?

— რაღაცა მენანება, ალარ მინდა აქედან წასვლა.

— მეც გული მწყდება.

— თან კიდევ უკეთესადაც მოვემზადებოდით...

— მომზადებით კი ამაზე უკეთესად რაღას მოვემზადებით, მე მგონი, ვიცით ყველაფერი.

— ხანდახან დავფიქრდები და მგონია, რომ არაფერიც ალარ ვიცი...

— მეც ეგრე, მაგრამ ასე შეიძლება უსასრულოდ; რაღაცა მაინც არ გეცოდინება ყოველთვის... ეჰ, ბედნიერს ეღირსება სტუდენტობა, — სევდა გაურია მაყვალამ.

— ერთ-ერთი იმ ბედნიერთაგანი შენცა ხარ!

— რაღა ბედენად მე და შენ არა?

— აი ნახავ.

— რის მიხედვით მკითხაობ შენ მაგას, მკითხავ-მამუკაო?

— რის მიხედვითა და წუხელ თეოზე ნაწოლი არ დამაძინა აიმ ვარსკვლავის ჩურჩულმა: მაყვალა სტუდენტი გახდება, შენ კი მომავალ ზაფხულსაც აქვე მოგიწევს წოლაო.

— რასა ბრძანებთო! არა ვცნობივარ მე იმ ვარსკვლავს.

— შეიძლება.

— შეიძლება კი არა, თუ მართლაც ისე მოხდა, რომ მე ჩავირიცხე და შენ ვერა, სულერთია, მე იქ გამჩერებელი არა ვარ.

— აბა, მაშ სად წახვალ? — გაოცებით შეხედა მამუკამ.

— სადა?... სადა და სადაც... — ველარ დაამთავრა. მამუკა მიუხვდა სათქმელს. გალიმებული სახით შეაჩერდნენ ერთურთს. გული შეჩქროვდა. მთვარის შუქით განათებული მაყვალას სახე კიდევ უფრო ზღაპრული ჩანდა, საოცრად ლამაზი. თვალს ვერ მოსწყვეტდა კაცი და ველარც მოსწყვიტა მამუკამ. მონუსხულივით შეაჩერდა და უნდოდა სულ ეცქირა და ეცქირა. სხვა დროს, ალბათ, შერცხვებოდა ასეთი დაჟინებული ცქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა, თვალებს დახრიდა, მაგრამ ახლა რაღაცა შინაგანი ძალა იმორჩილებდა და ეს შინაგანი ძალა მაგნიტივით ეწეოდა მაყვალასკენ. მაყვალამ ნაბდიდან გამოყო სადღაცა მკერდის სიახლოვეს ჩამთბარი ხელი, თვალებზე დააფარა მამუკას და თან წაიჩურჩულა:

— ნუ მიყურებ ეგრე.

ქოხის მხრიდან გარმონის ხმა მოისმა. მთვარის შუქზე გამოჩნდნენ ქალები. ჩანს, საქმე უკვე მოემთავრებინათ და ახლა დანაპირები გამოსათხოვარი კონცერტის მოსაწყობად მოდიოდნენ.

— აბა, სადა ხართ, ბალღებო, მორჩითა ქაღალდსა თუ ვერა! — გამოსძახა მარიამმა.

—მოვრჩით! მოვრჩით! — პასუხად შესძახა მამუკამ.

მოვიდნენ, ჩამოსხდნენ. რუსუდანმა ერთი შეაჟღმუტუნა გარმონი და მერე მთიულური გასწია. სისხლი კიდევ უფრო მძლავრად შეუჩქროლდა მამუკას, წამოიჭრა, დაჰკივლა და ნაბადმოხვეულმა ცერული ჩამოუარა.

— ასა! — შესძახა მაყვალამაც და ისიც ნაბადმოხვეული აჰყვა ცეკვაში მამუკას. ქალებმა გულიანი ტაში დასცხეს. მაყვალას ცერულ ცეკვას აღტაცებული შეძახილებით შეხვდნენ.

— ჰოპა! — კიდევ შესძახა მაყვალამ, ნაბადი მოისროლა, მკლავები გაშალა და ქართული ჩამოუარა. მოისროლა მამუკამაც ნაბადი, მანაც მკლავები გაშალა. მაყვალა დაიღალა, ახლა მაროსთან დაეცა მუხლზე მამუკა, ახლა ის გადაიწვია, მერე სიდო აცეკვა, მერე ისევ მაყვალა, მერე რუსიკო თავის გარმონით. იღლებოდნენ ქალები. მამუკა კი ეშხში შედიოდა, რაღაცა უცნაურ ილეთებს იგონებდა და ცეკვავდა ისე, როგორც არასდროს არ ეცეკვა.

— კარგი, ბიჭო, ნუ მაიკალ თავი, მთვრალი ხარ, რა ხარ! — უკვე მერამდენედ შეუძახეს მამუკას. ბოლოს, როგორც იქნა, დადგა. შუა წრეში გაჩერდა, ორივე ხელი გაშალა, მთვარით განათებულ მთებს გახედა და მთელი ხმით ამომღერდა:

მშვიდობით, გუდამაყარო,
რა ვიცი, გნახავ როდისა.
გათხოვდი ღვდლიანთ ქალაო,
მე ნუ დამიწყებ ლოდინსა...

მეორე დილას მეზობელი მწყემსების გასაგონად მამუკამ ორჯერ ზედიზედ დააქუხა თოფი: მივდივარ, ბიჭებო! ასე იყვნენ შეთანხმებულნი. იქედანაც ორ-ორჯერ მოისმა ქუხილი: ხელი მოგემართოსო! ქალებმა ქოხის ბოლომდე ჩამოაცილეს ქალ-ვაჟი, გადაკოცნეს და გზა დაულოცეს.

* * *

ხალხმრავლობა იყო უნივერსიტეტის ვესტიბიულში. მთელი საქართველო აქ იყო, ოთხივე კუთხიდან მოგლეჯილი დედა-ბუდიანად. აქ იყვნენ, სადაც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წყდებოდა „ბალღის", „ბაღანეს", „ბოვშვის" ბედი. და ასე, ამ გაგანია სიცხეში ბოჩოლასავით ჩამოყვანილ ქალიშვილებს თუ ვაჟიშვილებს უკან დასდევდნენ მშობლები და მშობელთა მშობლები. საბუთების შეტანაზე დიდი რიგები იდგა. ლევანმა და მისმა ბალღებმა კითხვა-კითხვით მიაგნეს „ფილოლოგიურს" და რიგი დაიკავეს.

— ვააა! — ლევანს გაუმარჯოს! — გაისმა ახლოს ვიღაცის შეძახილი. მსუქან-მსუქანი ბიძა ღიმილით მოვიდა, ლევანიც ღიმილით შეხვდა, ხელი ჩამოართვა — მიხეილს გაუმარჯოსო.

— რაზე შეწუხებულხარ, ლევან?

— რაზე ვიქნები აბა...

— ჰო, თუმცა რაღა კითხვა უნდა, რომელია შენი ბავშვი?

უცნობმა კაცმა მაყვალასა და მამუკას მოხედა.

— ორივე შენია?

— არა, ქალია ჩემი! — უპასუხა ლევანმა.

— ფილოლოგიურზე შეგაქვთ?

— ჰო, ფილოლოგიური უნდათ... ეს ბალღიც ჩვენებურია...

— არ ღალატობ შენს პროფესიას.

— აჰ, არა. მე სულაც არ მინდოდა ფილოლოგიურზე, უფრო სხვა რაღაც მინდოდა, პრაქტიკული, მაგრამ არა ქნეს, გინდა თუ არა ფილოლოგიურიო.

— არა, თუ ნიჭს რამეს გამოიჩენენ კი, რა უჭირს, მაგრამ ჩვენ მაინცდამაინც ვერაფერში გამოვიყენეთ ფილოლოგობა. ახლანდელ დროში მაინც პრაქტიკული ხელობა სჯობს.

— თქვენ სად შეგაქვთ?

— ჩვენ ეკონომიურზე.

— ჰო, ეკონომიური სჯობია, რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ლევანმა, — შენ ბიჭი გყავს უფროსი, არა?

— კი ბიჭი. ეჰ, დავბერდით ლევან, დავბერდით! რა სწრაფად გარბის დრო! გუშინდელივით მახსოვს, კაცო, აქ რომ მივდი-მოვდიოდით. რა კარგი დრო იყო. რაც დავამთავრეთ, მას მერე აქ აღარა ვყოფილვარ.

— თქვენთვის იყო კარგი, ვისაც დედიკო-მამიკოები ფულებს არ გაკლებდნენ, თორემ მე მაინცდამაინც ბევრი არაფერი მომაგონდება სტუდენტობისა, სტიპენდიით ვიყავი.

— სამაგიეროდ ახლა არ გაკლია, ალბათ, — გულიანად გაიცინა მიხეილმა და მსუქანი ყბებიდან ოქროს კბილები გამოანათა, — ვისთან ამზადებდი ბავშვს?

— არავისთან, თავისით მოემზადა.

— თავისით? მერე არის მომზადებული?

— რაკი მოემზადა, ალბათ, არის კიდეც. აბა მოუმზადებელი აქ რისი იმედით უნდა მოვიდეს.

— რატომ, შეიძლება სხვა რაღაცის იმედებითაც მოსვლა, — და მრავალმნიშვნელოვნად შესცინა მიხეილმა. ლევანმა თვალი გაუსწორა.

— იცი, რას გეტყვი, მიხეილ! შენ, მე მგონია, იცი სხვა რაღაცების იმედით არასოდეს მივლია და არც ტყავი გამომიცვლია ზოგიერთივით — ისევ ის ლევანი ვარ!

მერე ნახევრად გვერდზე შებრუნდა და განზე გაიხედა.

— შენ კი ისევ ისა ხარ, ლევან, მაგრამ ცხოვრება რომ აღარ არის ისევ ის? რას იზამ, ბავშვების გულისთვის, ბევრი რამის დათმობა გიხდება კაცს. ხომ იცი, ცარიელ ჯამში არავინ ჩაიხედავს.

— სცდები, თავი იყოს სავსე, და ჯამი და ჯიბე გვერდზე დარჩება. მაგისთანები მე არა მწამს...

— რა ვიცი, ვნახავთ მაგასაც... წავალ ერთი, მივხედავ, რა ქნა იმ ბალღმა... მერე გავიდეთ, აქ სადმე პური შევჭამოთ.

— არა, მე დღესვე უნდა ავიდე მთაში... სხვა დროისთვის იყოს...

— ხომ ჩამოხვალ კიდევ?

— კი ჩამოვაკითხავ, ალბათ, გამოცდების დროს.

— მე, ალბათ, სულ აქ ვიქნები, შევხვდებით... ვნახავთ ერთმანეთს... წარმატებას გისურვებთ, ბალღებო!

— თქვენც ეგრევე! — დაადევნა ლევანმა უკვე ხალხში შერეულს.

— ვინ იყო, მამა, ეგ კაცი? — ჰკითხა მაყვალამ.

— დუშელია, ადრე სკოლაში მუშაობდა ქართული ენის მასწავლებლად, ახლა ხორცდამზადებაში მუშაობს.

— ეტყობა ხორცზე, — იხუმრა მაყვალამ.

— კი, — ჩაეცინა ლევანს, — რა არის, ეს რიგი აღარ მიიწევს? იდექით, აბა, ერთი თქვენ აქ, მე ცოტას გავივლი. იქნება ვინმე ძველი ნაცნობი ვნახო, სტუდენტობის დროს გავიხსენებთ.

ეს ამხელა რიგი ჩამოთავდა, მაყვალამა და მამუკამ საბუთები შეიტანეს, ლევანი კი არ ჩანდა. ეზოში გამოვიდნენ. სამხრობის მზეს კახელი პატარძლის თონესავით ამოებურბურებინა თბილისი. ასფალტი ცომივით იზილებოდა ფეხქვეშ. ალაგ-ალაგ ტყის ბილიკივით იყო მოჭლიხნილი, ცხვრის ფეხისაგან მოჭვრეთილი ნოტიო ადგილებივით. მტვრითა და მანქანების ლურჯი ბოლით დამ-

ძიმებულ ბუდში სუნთქვა ჭირდა. დასიცხული ხალხი ნაძვების ქვეშ შეხვეტილიყო. ჩრდილში მიდგნენ მამუკა და მაყვალა, ისე რომ გამოსასვლელი კარისათვის თვალი ედევნებინათ. დამუნჯებულებივით იდგნენ. ხმას არ იღებდნენ. მამუკას ამ აუტანელმა სიცხემ კიდევ უფრო დაუმძიმა გუნება: სიდოს ნათქვამი გაახსენდა: ლევანი თავის ქალს გამოჰყვება, შენთვის არ შეიწუხებს თავსაო; იქ კი თუ პატრონი არა გყავს, მარტო ცოდნა ვერაფერს გიშველისო. მანამდე კიდევ სადღაც ეჭვი ეპარებოდა ამისთანა ამბებში, მთლად ასე, ალბათ, არ იქნებაო, ცოდნაც გავაო. ახლა დარწმუნდა, რომ ვაღიკო კი არა ყოფილა მართალი, რომელიც სულ იმას იფიცებოდა, ჩემი ცოდნით ჩავირიცხეო — სიდო, სიდო ცამდე მართალი ყოფილა, ან ფული ან ნაცნობიო. ავერ, მიხეილი რაღაცა, ჩუმი გზებით აპირებს შვილის მოწყობას. მამუკასთანებიც კი იქითკენვე წავლენ, საიდანაც მოსულან. მერე ხელში ისევ დიდ კომბალს მისცემენ და ისევ ცხვარს გაუყენებენ ყიზლარისაკენ, დარიალის ვიწროებში ისევ სადმე წამოეწევა „ვოლგა", მკვირცხლად გადმოხტება ფოტოაპარატებით შეჯინჯღლილი ღიპიან-ბერეტიანი კაცი, მამუკას ცხვრის ფონზე სადმე ლამაზად დააყენებს, ბუქნას ჩამოუვლის ირგვლივ და გადაეკიდება, გაიღიმეო, მხიარულადო. ჩავა ყიზლარში და გაზეთში ნახავს თავის სურათს. თან ქვეშ წარწერა ექნება: გუდამაყრელმა ახალგაზრდა მწყემსმა მამუკა წიკლაურმა მამა-პაპური პროფესია ირჩიაო, მეორედ მიჰყვება ცხვარს ყიზლარის საზამთრო საძოვრებზეო; ეს ივალდებულაო, ის ივალდებულაო, ას სულზე ას ბატკანს გამოვზრდიო. „აი, თუ კომბალი არ ვდრუზო თავში, კაცი ნუ ვიყო!" — გუნებაში დაიმუქრა მამუკა და მაყვალას გაქცეულ მზერას გაადევნა თვალი. ბიჭებს უცქეროდა. სამი ბიჭი იდგა შორიახლოს. მართლა კოხტა ბიჭები იყვნენ, კოხტად ჩაცმულები: თეთრი ნეილონის პერანგები, ვიწრო, ჩაწკიპინებული შარვლები. მამუკამ თავის შარვალზე ჩააპარა თვალი, — განიერი, ჩაფართხუნებული, ფასანაურის მაღაზიაში ნაყიდი შარვალი ეცვა. სამი წლის წინ უყიდა დედამ, რა ამბით, როგორ მოსწონდა მამუკასაც, როგორ უფრთხილდებოდა, ათასში ერთხელ თუ ჩაიცვამდა და ისიც ძალიან საზეიმო ამბებთან დაკავშირებით. მიიხედ-მოიხედა, ყველას კოხტად შეკერილი შარვლები ეცვა, კიდევ ჩააპარა თვალი თავის უგემურად შავ შარვალს და შერცხვა. ან პერანგი რანაირი ეცვა! ამაზე რატომღაც არ უფიქრია აქამდე. მაყვალას კი ლამაზი კაბა ემოსა, მოდაზე შეკერილი, მოდაზე ბოლო შემოღებული. ჩაცმულობით ისიც ისეთივე იყო, როგორც ყველა გოგო, მაგრამ ყველა გოგო ვერ იყო მაყვალასთანა ლამაზი. ასეთი მოშოლტილი, ლამაზი ტან-ფეხისა ამდენ ხალხში არავინ ჩანდა. ალბათ, ამიტომაც ვიღაც-ვიღაცა ბიჭები თვალს ადევნებდნენ, ურცხვად უმზერდნენ. თამამად არიან ბიჭები. ალბათ, ყველას იმედი აქვს ვიღაცისა ან რაღაცისა. ჩაირიცხებიან, ჩაირიცხება მაყვალაც. მერე ვიღაცას მოეწონება შესაფერს და მაყვალასაც დაავიწყდება მამუკა. ან კი საიდანღა საფერნი იქნებიან, სტუდენტი გოგო და ფუნდუკის გორზე ცხვარს ადევნებული, ამოზინზლული მწყემსი ბიჭი.

თვითონ მამუკა იქნებოდა წინააღმდეგი ასეთი შეუფერებელი ცოლქმრობისა. მწყემსმა მწველავი უნდა შეირთოს, სტუდენტმა — სტუდენტი! და იმის წარმოდგენამ, რომ მაყვალა ვიღაცის ცოლი შეიძლება გახდესო, საშინელ ტკივილად ჩაიარა გულში. თავი შეეცოდა. სული შეეხუთა. უცებ მიხვდა, რომ ოფლი ახრჩობდა. ცხვირსახოცი ამოიღო, სახე შეიმშრალა. სწყუროდა, ყელი უშრებოდა. რაღაცა ენატრებოდა, რაღაც უნდოდა, სადღაც უნდოდა გაქცევა და წყურვილმა გაახსენა: ფუნდუკის გორი, საორბის ფერდობები... თვალწინ დაუდგა ქორაფლიან-ხევი, დიყის ღარზე გადმოშვებული ცივ-ცივი

წყარო, მთის გრილი სიო. უჰ, რა ბედნიერი იქნებოდა, ახლა უცებ რომ ააფრინა და ქორაფლიანის წყალთან დააფრინა, რა შვებას იგრძნობდა, რა თავისუფლად ამოისუნთქავდა! რას იხრუკება ამ სიცხეში, რატომ არ წავა, ვინ იჭერს, ვინ ეხვეწება! — სულერთია, არაფერი გამოვა და იქნებ სჯობდეს კიდეც ადგეს და ვაჟკაცურად ახლავე თქვას გამოცდების ჩაბარებაზე უარი, ვიდრე ჩაჭრილ-გაპამპულებული წავიდოდეს.

— დავიგვიანე, არა? — ჩაესმა უცებ ლევანის ხმა და ბოლმიანი ფიქრებიდან გამოერკვა მამუკა. დაჭიმული სხეული მოეშვა. მაგრამ სახე ჩანს მეტისმეტად მოღუშული შერჩა.

— რა იყო, ბიჭო, სიცხემ ხომ არ შეგაშინა? თუ მაღლა ასვლის შიშმა დაგრია ხელი? აი იქ დაგცხებათ, თორემ აქ, ეგ არაფერი.

* * *

მართალია ქართულ წერაში ორთავემ ოთხიანები მიიღეს, მაგრამ ხუთებიც სულ სამად-სამი დაიწერა და ამიტომ ოთხიანიც იმედიან ნიშნად ითვლებოდა. ახლა ზეპირში მიდიოდა გამოცდა. მაყვალა ადრე გამოიძახეს. მამუკა დერეფანში განცალკევებით იდგა ფანჯარასთან და ელოდა თავის რიგსა და მაყვალას გამოჩენას. უკვე რამდენი გამოვიდა მაყვალაზე გვიან შესული, ის კი აღარ და აღარ გამოდიოდა. „ნეტავ რაშია საქმეო“ — ღელავდა მამუკა — ყოველი კარის გაღებაზე შეჩქვიფდებოდა, მაგრამ ყოველთვის სხვა გამოდიოდა. იმ სხვას აბიტურიენტები მიესეოდნენ: რა მიიღეო, რა შეგხვდაო, რა გკითხესო, როგორ ეკითხებიანო? მამუკა კი იდგა ფანჯარასთან. გულგრილად ადევნებდა თვალს ამ რიალსა და ბილეთების შრიალს.

კიდევ გაიღო კარი და გამოჩნდა ის, ვინც სიის მიხედვით იძახებდა აბიტურიენტებს, სამ-სამს, ოთხ-ოთხს ერთად. ვიღაც ძე, ვიღაც შვილი და... მამუკა წიკლაური! გაისმა სიწყნარეში. თავისი გვარისა და სახელის გაგონებას ასე არსოდეს შეუხტუნებია მამუკას გული. დანარჩენმა აბიტურიენტებმა გზა უტიეს გამოძახებულთ და რაღაცნაირი ღიმილნარევი, შემბრალებელი მზერით აცილებდნენ კარისკენ, რომელიც ზღაპრული გველ-ვეშაპის ხახასავით დროდადრო იხსნებოდა და ახალგაზრდა ლამაზ ქალ-ვაჟებს შთანთქავდა.

მამუკას აუდიტორია უკიდეგანოდ ეჩვენა. თვალებაჭრელებულმა მხოლოდ ის აღიქვა ბუნდოვნად, რომ მერხებსა და მერხებს შუა ჯგუფ-ჯგუფად ისხდა ხალხი — გამომცდელები და გამოსაცდელები. უცებ დაკარგა იმედი მაყვალას აღმოჩენისა.

— მიდით, აიღეთ ბილეთები! — ხელით ანიშნა მაგიდისაკენ ახლადშემოსულთ, იმანვე, ვინც გამოიძახა და თვითონაც გვერდით მაგიდას მიუჯდა. ბილეთები ზედიზედ ეწყო, გაუშლელად. იმ ორმა ქვეშიდან გამოაძრო რატომღაც, მამუკამ პირდაპირ ზემოდან აიღო.

— მითხარით ბილეთის ნომრები! — კალამი მოიმარჯვა მაგიდასთან მჯდომმა.

— შვიდი, — უპასუხა მამუკამ. — ბილეთიდან თვალის მოუცილებლად.

— მიბრძანდით, აგერ, ბოლოს!

მამუკამ მერხებს შორის გაიარა და ბოლო მერხზე მჯდომ გამომცდელებთან მივიდა. მათ ერთი აბიტურიენტი ეჯდათ წინ.

— გამარჯობათ! — მიესალმა მამუკა.

— გაგიმარჯოს, — სახე გაუბრწყინდათ გამომცდელებს, — დაჯექი.

მამუკა დაჯდა და ბილეთს ჩააჩერდა.

—ერთი წუთით, ამხანაგებო! — გაისმა უცებ აუდიტორიაში. მოიხედა მამუკამაც და რას ხედავს: კომისიის თავმჯდომარის გვერდით მაყვალა არა ზის!

— ერთი წუთით მოვითხოვ თქვენს ყურადღებას! — გაიმეორა თავმჯდომარემ, — აი ეს ქალიშვილი გახლავთ გუდამაყარიდან, მაყვალა ბექაური; ბრწყინვალედ მომზადებულა, უკვე

საათზე მეტია ვცდით და ვერც გამომცდელებმა, ვერც მე, ვერ შევძელით ისეთი წვრილმანი საკითხის გამოძებნა, რომ მას არა სცოდნოდა. ასევე კლასგარეშეც ბევრი აქვს წაკითხული, ყოჩაღ, შესანიშნავია. თანაც, რაც მთავარია, თავისით მომზადებულა, ყოჩაღ! უდავოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს, ხუთიანს. ყოჩაღ მაყვალა, გისურვებ სხვა საგნებშიც წარმატებას! — საგამოცდო მისცა, ხელი ჩამოართვა და მაყვალა გავიდა.

მამუკას გვერდზე მჯდომი მორჩა პასუხს. ის ოთხიანზე ელოიჯებოდა გამომცდელებს, მათ სამიანი ჩაუწერეს და გაუშვეს. გამომცდელები ორნი იყვნენ, ერთი შავგვრემანი, მეორე — ქერა, ქერა ულვაშებიანი. იმ შავგვრემანმა აიღო მამუკას საგამოცდო, ულვაშებში ჩაეღიმა და ქერას რაღაც გადაუჩურჩულა.

— ჰოო, — თქვა ქერამ, ჯერ საგამოცდოს ჩახედა, მერე მამუკას შეხედა.

— აბა, მამუკავ როგორ არის საქმე? კარგი ბილეთი შეგხვდა? — ჰკითხა შავგვრემანმა.

— ჩემთვის ყველა კარგია, — უპასუხა მამუკამ.

— მართლა? ყოჩაღ! — გაეღიმა შავგვრემანს, — აბა რა საკითხები გაქვს ბილეთში?

— პირველი საკითხია შოთა რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი", „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა".

— დაიწყე.

ზეპირად დაიწყო მამუკამ, მიჰყვა და მიჰყვა.

— სულ ზეპირად იცი? — ჰკითხა ქერამ ღიმილით.

— მარტო ეს კი არა, თითქმის მთელი „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად ვიცი.

— აბა, შენ თუ გვეტყვი, რა ფორმაა „გადაჰკრის"? — ჰკითხა შავგვრემანმა.

— „გადაჰკრის" — მეორე ხოლმეობითია.

— ყოჩაღ! კიდევ რა არის?

— კიდევ, მრავალგზისობა, მრავალჯერობა.

— ვაჰ, ეს მართლაც მაგარი ვიღაცა ჩანს, — ერთმანეთს გადახედეს გამომცდელებმა.

— არ შეეშლებოდა... მეორე საკითხი რა არის?

— გიორგი ერისთავის „გაყრა", — უპასუხა მამუკამ და ახლა ის ჩააბულბულა.

— შენ ყველა მწერალი ასე კარგად იცი?

— ყველა.

— ალექსანდრე ჭავჭავაძეზე რას იტყვი, „გოგჩა" თუ იცი?

— ვიცი, მამუკამ ბოლომდე ზეპირად თქვა.

— კი მაგრამ, სხვებს ძალიან უჭირთ ამ მწერლის შესწავლა, შენ რა მოგეწონა მისი, აი, თუნდაც „გოგჩა"?

— რა და.. საორბის გორზე ერთი ნასოფლარია, როცა იმ ბანჩანგრეულ ამშმბებულ სახლებს დავცქეროდი, ყოველთვის ეს ლექსი მახსენდებოდა: „აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი... მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო".

— შენ, გეტყობა, ლექსებს უნდა სწერდე?

— ლექსებს კი ყველაცა სწერს.

— ვინ ყველა?

— ვინა და ჩვენი მწყემსი ბიჭები. ცხვართან მთელი დღე, აბა სხვა რა უნდა გააკეთონ. მოწყენილ კაცს ლექსის წერასავით არაფერი გაართობს.

— აბა ერთი შენი საკუთარი რამე გვითხარი.

— რომელი გითხრათ...

— რომელიც შენ გინდა.

— უბრალო ლექსია.. არ მოგეწონებათ... — დაიმორცხვა მამუკამ.

— აბა, გვითხარი, გვითხარი!

მამუკა ცოტახანს ჩაფიქრდა და მერე, ბილეთის საკითხებს რომ ჰყვებოდა, იმაზე უფრო დაბალი ხმით დაიწყო:

ტიალო გუდამაყარო,
მთებიანო და ტყიანო,

გამორიყული ჭალაო,
შუაზე არაგვიანო,
მთებო, ლამაზად სათიბო,
ქუჩო, ბალახო ცვრიანო,
სათიბის თავში ამყვანო,
მთიბელო პერანგიანო...
ცხერის ფარავ, მთებზე გაშლილო
ანგელოზიან-ხვთიანო,
მაღლიდან ბატკნის ყივილო,
დაბლა რომ ჩამოდიანო...
მწყემსო, შე შესაბრალებო,
მუდამ სველფეხებიანო,
ხანდახან ხორცით მაძღარო,
უფრო მეტად კი მშიარო...

— კარგია, კარგია! — სიცილით შეაწყვეტინა შავულვაშიანმა, — კიდევ, ბევრია?

— ჯერ სად არის...

— გეყოფა, კარგი ბიჭი ხარ, ყოჩაღ, ჩვენ ხუთიანს გიწერთ, მიდი თავმჯდომარესთან.

...და თავმჯდომარემაც აღტაცებულმა დაადასტურა ეს ხუთიანი.

ეს ქართულში.

ისტორიაშიც ხუთები მიიღეს, მაგრამ მამუკას პატარა ბრძოლა მაინც მოუხდა. გამომცდელს შეებრძოლა. ახლა რა მოხდა! შევიდა მამუკა, აიღო ბილეთი და მიუთითეს გამომცდელთან, „იმასთან მიდიო". მარტო იჯდა ის გამომცდელი.ერთი, უკვე გამოცდილი აბიტურიენტი ის-ის იყო გაეშვა და ერთიღა დარჩა, დიდთმიანი, მაღალ-მაღალი ბიჭი. მასაც უკვე იცნობდა მამუკა, სახელად როლანდი ერქვა, ჯარიდან იყო დემობილიზებული და ქართულში სამები ჰქონდა მიღებული. იღლიაში ერთთავად ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი ჰქონდა ამოჩრილი და გამოცდებზე იმით შედიოდა. ახლაც წინ ედო მერხზე. მივიდა მამუკა და გვერდით მიუჯდა.

— ჰო, აბა დაიწყეთ! — მიმართა როლანდს გამომცდელმა.

— იცით რა.., ეს პირველი საკითხი რაღაც...

— კარგი,.. მეორე დაიწყე...

— მეორე... იცით რა, პატივცემულო ლექტორო, ჯარიდან ახალი ჩამოსული ვარ, ვერ მოვასწარი მეცადინეობა და... გემუდარებით, ოღონდაც ოთხიანი დამიწერეთ და გეფიცებით, რომ ნამდვილად არ შეგარცხვენთ, კარგად ვისწავლი... გეხვეწებით, პატივცემულო, ნუ დამღუპავთ, ერთი ოთხი...

მამუკამ გაოცებითა და ზიზღით შეხედა.

გარეთ ისე დაიჯგიმებოდა, ისეთი რიხით ლაპარაკობდა, კაცს ნამდვილად კარგი ვაჟკაცი ეგონებოდა. გოგოებს თავს აწონებდა, ახლა კი ლამის მერხის ქვეშ ჩამძვრალიყო და ლექტორისთვის ფეხებზე დაეწყო კოცნა. „ფუი, ეს რა მათხოვარი ყოფილაო", — გაიფიქრა მამუკამ.

— შენ როგორი ბილეთი შეგხვდა, ახალგაზრდავ? — მამუკას გადმოხედა ლექტორმა, — მომეცი ერთი შენი საგამოცდო!

— კარგი ბილეთია, — მამუკამ საგამოცდო მიაწოდა.

— ყველა საკითხი იცი?

— ყველა.

— აბა ამის ბილეთს თუ უპასუხებ.

მამუკამ გამოართვა ბილეთი, ჩაიკითხა, იოლი საკითხები იყო.

— ყველა საკითხი ვიცი, მოვყვე?

— მოჰყევი.

დაიწყო მამუკამ და სამივე საკითხი ჩაამთავრა.

— ყოჩაღ. აბა ახლა შენი ბილეთი.

ისიც დაიწყო მამუკამ. ამ დროს თვალში ეცა, რომ ლექტორმა როლანდის ბილეთში ოთხიანი ჩაწერა, მისცა და გაუშვა. მამუკამ გაიფიქრა, იმას თუ მთლად არაფერში ოთხიანი დაუწერა, მე, რა თქმა უნდა, ხუთს დამიწერსო. ჩაამთავრა თავისი ბილეთის საკითხებიც.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! კარგი ბიჭი ჩანხარ, გიწერ კარგს, — და საგამოცდოში ოთხიანის მოხაზვა დაიწყო.

უცებ, მამუკას გონება დაუბნელდა, თვალებზეც რაღაცა გადაეფარა. არ ახსოვს, რა მოიმოქმედა. აზრზე რომ

მოვიდა, ფეხზე იდგა, ხელში თავისი საგამოცდო ეჭირა. მერხის ზურგს მიწოლილი ლექტორი შეშინებული თვალებით მისჩერებოდა მას.

— მაშ იმასაც ოთხი ეკუთვნის და მეც! — კბილებში გამოსცრა მამუკამ, — გნებავთ დავაძახებინო ახლავე და ორივენი კომისიის თავმჯდომარემ გამოგვცადოს?

— რა ხდება მანდ! — მოისმა კომისიის თავმჯდომარის ხმა. მამუკამ მოიხედა. ყველანი მას მისჩერებოდნენ. სირცხვილისაგან დაიწვა. თვითონვე გაუკვირდა, ეს რა გავბედეო. აუდიტორიაში მორიდებით შედიოდა, ლექტორებსაც ისეთი კრძალვით შესცქეროდა ხოლმე და უცებ... ჩამოჯდა და ოფლი მოიწმინდა. კომისიის თავმჯდომარე მოვიდა.

— რაშია საქმე?

— ოთხიანს ვუწერდი და ხუთი მინდაო, — მშვიდად უპასუხა ლექტორმა.

— საკითხები გიპასუხა?

— კი, საკითხები კარგად იცის.

— აბა მაშ რაღა?

— ცოტა რაღაც...

— რა ცოტა რაღაც! — შეუბღვირა მამუკამ.

— დაწყნარდით, ახალგაზრდავ! — სერიოზული ტონით მიმართა მამუკას კომისიის თავმჯდომარემ, აიღო მისი ბილეთი და საკითხები ჩაიკითხა, — აბა ეს მეორე საკითხი მიამბეთ „რუსეთი X საუკუნესა და XI საუკუნის დასაწყისში“. — გამომცდელს მიუჯდა გვერდით. მამუკამ ისე დეტალურად დაიწყო მოყოლა, რომ კომისიის თავმჯდომარეს გაოცება გამოეხატა სახეზე.

— სხვა საკითხებიც ასე იცის? — მიუბრუნდა გამომცდელს.

— იცის.

— კარგად სცოდნია! შენი სახელი, ახალგაზრდავ?

— მამუკა.

— მამუკა, ეს რუსეთის ისტორია იცი, საქართველოს ისტორია თუ იცი?

— ვიცი! — უცებ ბრაზიანად მიახალა მამუკამ.

— ვისი მეფობის დროს მოხდა ბასიანის ომი?

— თამარ დედოფლის დროს.

— რომელ წელს?

— 1205 წელს.

— თამარი რომელ წლებში მეფობდა?

— 1184—1213 წლებში!

— ყოჩაღ!

— კრწანისის ომი რომელ წელს მოხდა?

— 1795 წლის სექტემბერში, როცა აღა-მაჰმად-ხანი მოადგა თბილისს და ერეკლე მეფე მოღალატეებმა გასცეს!

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — ღიმილით წამოდგა კომისიის თავმჯდომარე. მერე გამომცდელს შეხედა, — ხუთი ეკუთვნის ნამდვილად, დაუწერეთ!

ის წავიდა, გამომცდელმა კი დაწყებული ოთხიანი ხუთად მოხაზა საგამოცდოში.

— ოთხიც გყოფნიდა, ახალგაზრდავ, რა იყო ეს წამოხტომა, — უკმაყოფილო სახით გაუწოდა საგამოცდო მამუკას.

— რაც მეკუთვნის, იქვენ ის დამიწერეთ და, მყოფნის თუ არ მყოფნის, ეს უკვე სხვების საქმეა! — მკვახედ მიახალა მამუკამ და გამოვიდა.

ეს კიდევ თავლი და შაქარი; მთავარი განსაცდელი წინ იყო — გამოცდა უცხო ენაში. სკოლაში არცერთი უცხო ენა ბოლომდე არა ჰქონდათ ნასწავლი. ჯერ გერმანულს სწავლობდნენ, ორი წელი უცხო ენის მასწავლებელი არა ჰყავდათ და საათები გეოგრაფიის მასწავლებელმა შეითავსა, ის „ასწავლიდა“. ბოლო კლასებში კი ფრანგულის მასწავლებელი მოვიდა და მეათე-მეთერთმეტე კლასებში მეხუთე-მეექვსე კლასის პროგრამა გაიარეს. ამ ამბავზე ყველა ხუმრობდა და მამუკას მეტს რატომღაც აზრადაც არავის მოსვლია, რომ მისაღები გამოცდების დროს სატირლად გაუხდებოდათ საქმე. ადგა და ცნობა მოსთხოვა დირექტორს, იმისა, რაც ასწავლეს და როგორც ასწავლეს: იქნება, დამჭირდეს, იქნება გამომადგე-

სო. ახლა ამაზე აქირქირდნენ: ცნობა რად გინდა, ცნობა რას გიშველისო, ცნობა კი არა, იქ ცოდნა უნდაო, უნდა კერძოდ მოემზადოო.

მამუკამ მაინც არ დაიშალა თავისი და ცნობა გამოართვა. ახლა ეს ცნობა ჯიბეში ედო, მაგრამ გული მაინც რაღაცა ეთანადრებოდა, რატომ რექტორთან არ მივედიო. ერთიც ვნახოთ და მითხრან ჩვენ ცნობისა არ ვიცით, პროგრამა უნდა იცოდეო, ჩამიწერონ ორიანი, წადი მერე და იჩტუნე რამდენიც გინდაო.

— მაყვალა, მოდი რა, მე შევალ რექტორთან, ცნობას ვაჩვენებ, ვთხოვ, იქნებ მოგვხედოს, ჰა?

— რა ვიცი, აბა, როგორც გინდა, — მაყვალასაც გული უთრთოდა.

— ჯერ არ შეხვიდე, მაყვალა, გინდაც გამოგიძახონ, დამელოდე.

— კარგი, კარგი, მაგრამ არ დაიგვიანო.

— არა, — თქვა მამუკამ და აჩქარებული ნაბიჯით გაუყვა გრძელ, ფართო დერეფანს.

რექტორის მისაღებში თვალცრემლიანთა და სახემოძმარულთა მდუმარე რიგი იდგა.

„ერიჰა, — გაიფიქრა მამუკამ, — აქ მე ხვალამდე არ მომიწევს რიგი", ზავთიანად მივიდა და, სანამ ვინმე რამის თქმას მოასწრებდა, კარი შეაღო და შევიდა. თეთრთმიანი, სუსტი კაცი იჯდა თვითმფრინავის მსგავსი მაგიდის სათავეში. მაგიდის აქეთ ვიღაც ქალიშვილი იმდუღრებოდა:

— პატივცემულო, ძალიან გთხოვთ, ნუ დამღუპავთ, მომეცით ნება.

— გითხარით არ შემიძლია-მეთქი, კომისიის ფუნქციებში მე არ ვერევი, — ნერვულად უპასუხა რექტორმა და რაღაც წამოდგომის მაგვარი მოძრაობა გააკეთა, რაც უფრო იმის მანიშნებელი იყო, ჩვენი საუბარი დამთავრებულიაო. მაგრამ ეს გოგო კარგი ენაჭიპმატულა ვიღაც ჩანდა, არც აპირებდა გამოსვლას. მამუკას კი ადგილზე აღარ ედგომებოდა.

— მე არავითარ შემთხვევაში ორიანი არ მეკუთვნოდა, პატივცემულო, მე სულ ტყუილად...

— გამიგეთ, ქალიშვილო, თქვენისთანები ბევრია და მე ვერ გავარკვევ ყველას ამბავს. თქვენ, როგორ გგონიათ, ეს ახალგაზრდა რისთვის არის შემოსული, ან გარეთ კარებთან რომ დგანან, ისინი, ყველა ჩაჭრილია, ორიანები მიიღეს და მიაჩნიათ, რომ არასწორად დაუწერეს ნიშანი.

მამუკას ბრაზი წაეკიდა:

— ბოდიშს ვიხდი, პატივცემულო რექტორო, მე ჩაჭრილი არ გახლავართ. მე სულ სხვა საქმეზე გაწუხებთ.

— რა საქმეზე?

— იცით, რაშია საქმე, მე სკოლაში ჯერ გერმანულს მასწავლიდნენ, ბოლო კლასებში ფრანგულს. სრული პროგრამა არცერთისა არ გამივლია და ახლა გამოცდაზე გთხოვთ შეღავათი მომცეთ.

— რა შეღავათი, ჩვენ არაფერი შეღავათი არ შეგვიძლია, თუ არ იცით, შეღავათით ნიშანს როგორ დაგიწერთ?

— ცნობაც მაქვს, — ჯიბისკენ წაიღო ხელი მამუკამ.

— რად გვინდა ცნობა. წადით, მოემზადეთ და მომავალ წელს ჩაგვაბარეთ.

მამუკას ცივმა ოფლმა დაასხა, გული ჩაეწვა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მიხვდა, რომ ლაპარაკით აღარაფერი გამოვიდოდა, შემობრუნდა და გამოვიდა. წელწყვეტით აიარა კიბეები. დერეფანში შესულმა დაინახა, რომ მაყვალა გამალებით უჭნევდა ხელს და თან აუდიტორიის ღია კარისკენ მიდიოდა — გამოცდაზე იძახებდნენ. მამუკა სირბილით მივარდა.

— რა ჰქენი? — ჰკითხა მაყვალამ.

— ვერაფერი, — უპასუხა მამუკამ და შევიდნენ.

— რომელ ენას აბარებთ? — ჰკითხა შემშვებმა.

— ჩვენ..., — ენა დაება მამუკას.

— ჰო, თქვენ აბა მე?

— ჩვენ... ფრანგულს.

— აი, იქიდან აიღეთ!

ბილეთი კი აიღო მამუკამ, მაგრამ

რად გინდა რა, იმხელა რაღაცა უცნობი სათაურების წაკითხვა, მერე ისიც ხელნაწერის, ვერ შესძლო. გულის უწადინოდ მივიდნენ და ჩამოუსხდნენ წინ ორ თავისუფლად მჯდომ ქალ-გამომცდელს. ჩანს, მამუკას მეტისმეტად ტრაგიკული სახე ჰქონდა, რომ იმ ქალებს ღიმილი მოჰგვარა.

— რაო, ახალგაზრდავ, რაშია საქმე?

თითქოს მზემ გამოანათაო შავ-შავ ღრუბლებში, ისე რაღაცამ ჩაიშუქა გულში მამუკას. წამით თვალი გაუსწორა მომღიმარ, ძალზე სასიამოვნო გარეგნობის ქალს და მერე ისევ თავი ჩაღუნა.

— მოგვეცი ერთი შენი საგამოცდო!

— მამუკამ გაუწოდა და კვლავ თავი ჩაღუნა. „ჩამიწერეთ ორიანიო", — დაადევნა გული გულში.

— ყოჩაღ, რა კარგი ნიშნები გქონია! მამუკა წიკლაური — ხევსური ხარ?

— არა, გუდამაყრელი, წარმოშობით ხევსურები ვართ.

— გუდამაყარში არის საშუალო სკოლა?

— არა. ფასანაურში დავამთავრე.

— მერე იქ ფრანგულს ასწავლიან?

— ხან გერმანულს ასწავლიან, ხან ფრანგულს, იმის მიხედვით თუ რომელი ენის სპეციალისტი მოვა.

— მერე როგორ შეიძლება ეს!

— ჩვენ ასე გვასწავლეს. მეცხრე კლასამდე გერმანულს ვსწავლობდით, მერე ფრანგულის მასწავლებელი მოგვივიდა და ახლა ფრანგულს დავიწყეთ. აი თუ არა გჯერათ ცნობაცა მაქვს, — უცებ დააძრო ცნობა მამუკამ და მიაწოდა.

— მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ ახლა ჩვენ? — ჰკითხა მამუკას გამომცდელმა, როცა ცნობის კითხვას მორჩა.

— რაც გვასწავლეს, ის ვიცით, თუ საკმარისი იქნება.

— კარგი, აბა გადაშალე VI კლასის სახელმძღვანელო. მამუკამ გადაშალა. მთელი ტექსტები თავისი სიტყვებით გრამატიკით სულ ზეპირად იცოდა, ასევე მაყვალამაც.

— რაც იცით, ეს ნამდვილად ხუთზე იცით, მაგრამ ხუთები როგორ დაგიწეროთ, როცა დანარჩენი არ იცით.

— ხუთები არ გვინდა, პატივცემულო, სამიანები დაგვიწერეთ, მაინც გვყოფნის.

ორივე გამომცდელს გულიანად გაეცინა. ასეთი კეთილი, ასეთი გულშიჩამწვდომი ღიმილი უცხო ადამიანისა, ჯერ არ ენახა მამუკას. პირველად იგრძნო, თუ რა ძვირფასი ყოფილა ღიმილი გაჭირვების ჟამს.

— ოთხებს დაგიწერთ ორივეს. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ დანაკლისს შეივსებთ და კარგად ისწავლით.

მამუკამ ჯერ ვერ დაიჯერა გამომცდელის ნათქვამი და გარინდებული მისჩერებოდა. ხოლო როცა დაინახა, როგორ ჩაწერა მათს საგამოცდოებში ოთხები, სიხარულისაგან აენთო, თვალები გაუბრწყინდა.

— მადლობა,, დიდი მადლობა, პატივცემულო ლექტორო. აი თქვენ ნახავთ მე როგორ ვისწავლი ფრანგულს. თქვენს ამ კარგ ადამიანობას სიკვდილამდე არ დავივიწყებ...

— კარგი, კარგი, მამუკა, აბა შენ იცი! — ეღიმებოდა გამომცდელს.

მამუკა უკან-უკან მიდიოდა, ღიმილად ქცეული, და ზურგის შექცევას ვეღარ ახერხებდა.

* * *

ბოლო გამოცდის დღეს იმდენი ხალხი აღარ ირეოდა, უნივერსიტეტის ეზოკარს რჩეული სტუდენტები და რჩეული მშობლებიღა იყვნენ შემორჩენილი. მამა-პაპური კალოობის მსგავსად, ის მთის ოდენა ჩალაბულიანი ხვავი ჯერ დანიავდა, მერე დაცხავდა, მერე დაიცხრილა, მერე დაიტაბაკა და აი უკვე ხელისგულზე სახორხარები ხორბლის მარცვლებივით დარჩნენ რჩეულნი. უნივერსიტეტის ჭადრებს ქვეშ ჩრდილი ახლა უკვე თავისუფლად ჰყოფნიდა ყველას. იდგნენ უკვე ერთმანეთს გაცნობილი, დამეგობრებული მშობლები და საუბრით იქცევდნენ თავს; თუმცა ერთი

თვის მანძილზე აქ დგომასა და ტრიალში ხალაპარაკოც გამოლეოდათ. სიცხისა და ამდენი ღელვისაგან მისავათებულთ წვიმაში დარჩენილი, დანაკლულებული ფუტკრის მსგავსად, თითქო მოძრაობის თავიც აღარ ჰქონდათ, გარინდებულნი მისჩერებოდნენ ლურჯი ცის ქვეშ შეყუდებულ უნივერსიტეტის შენობას და გულის გამაწვრილებელი მოთმინებით ელოდნენ „ბედის განაჩენს“.

როგორც კი კიბის თავზე გამოცდიდან გამოსული ვინმე გამოჩნდებოდა, ამ „დაბუზხუღლი ფუტკრების“ რომელიმე ჯგუფი უცებ მოცოცხლდებოდა, ამოძრავდებოდა, აბზუვლდებოდა. მერე კი მეორდებოდა უკვე ათასჯერ გათამაშებული სცენები: სიხარულით გადარეულთა ხვევნა-კოცნა, სიცილი, ტირილი, ან განაწყენებულთა წყევლა-კრულვა, მუქარა და ისევ ტირილი.

ლევანიც აქ იყო. თავისი მანქანით ის-ის იყო ჩამოგრიალდა გუდამაყრიდან. ძალიანაც არ მოსწონდა ლევანს აქ ტორღიალი, ადრე სხვებს უქრახავდა, ახლა კი თვითონაც მიერგო ეს დღე და გული არ უსვენებდა. საქმეს გულს ვერ უდებდა, ვეღარც რას სხვა საფიქრალსა ფიქრობდა. სიახლოვეს ყოფნით რაღაც შეღავათს მივცემ გასაჭირში მყოფ ბალღებსო, — ერთგვარად თავს იტყუებს თურმე კაცი.

— ჰა, ჩამოხვედი, ლევან! — ერთ-ერთ ჯგუფს გამოეყო მიხეილი.

—გამარჯობა! ჰო, ახლა ჩამოვედი.

— რას შვრებიან შენები?

— აქამდე არა უჭირდათ, ვნახოთ დღეს რას იზამენ. უცხო ენაში. შენი ბიჭი რას შვრება?

— ეჰ, რას იზამს! ისტორიაშიც სამი გამოიტანა, მშვენივრად არის ბავშვი მომზადებული, მაგრამ არაფრით არ დაუწერეს თურმე. მოკლედ, დღეს თუ ხუთი მიიღო, კიდევ არის იმედი, თუ არა და უნდა ვიჩივლო.

— ჩივილით რას უშველი...

— აა, მგონი, მოდის, — გვერდზე წადგა მიხეილი და ცქერად იქცა, — ნეტა რა მიიღო.

ლევანმა უკვე შეამჩნია, რაც ჰქონდა მიღებული — ორი ან სამი. არ იყო ძნელი გამოსაცნობი, ვინ რა ნიშნით გამოდიოდა: ხუთიანი ბიჭაბატკანივით მოკუნტრუშობდა, ან წელში გამართული, სახეგაბრწყინებული მოაბიჯებდა. ცუდნიშნიანი კი —მტერს ნურა კარგი — წელწყვეტით მოლასლასებდა, გაფითრებული და სახედაღუშული, თვალცრემლიანი.

— რა მიიღე, ბიჭო? — შორიდანვე დაუყვირა ცუდ ამბავში შეექვებულმა მიხეილმა.

— სამი, — სახე მოებრიცა ბიჭს.

— სამი?! ფუჰ! კაცი ნუ ვიყო, თუ არ გამოვარკვიო, ვის უწერენ ხუთებს და როგორ უწერენ! — დაიქადნა მიხეილი და სამინისტროს მიმართულებით გამალდა.

ლევანს ჩაეღიმა, უნივერსიტეტისაკენ შებრუნდა და გული შეუჩქროლდა — მაყვალა და მამუკა მოდიოდნენ ხელიხელ ჩაკიდებულნი. ლევანმა სცადა, შორიდანვე ამოეცნო რა ნიშნები ჰქონდათ მიღებული. ვერაფერი შეამჩნია.

— რა მიიღეთ, გენაცვალე, რა მიიღეთ, რა მიიღეთ! — მიესივნენ აქეთ-იქიდან.

— ხუთები, ხუთები, ბატონო! — ხმამაღლა მიაძახა მაყვალამ, თან თვალებით მამას ეძებდა: დაინახა კიდევაც და მისკენ გამოქანდა, — მამა, მამილო — ყელზე შემოეჭდო და გადაკოცნა, — მოგვილოცე სტუდენტობა!

— მართლა?! — გულში ჩაიხუტა ქალიშვილი და ახლა თვითონ გადაკოცნა, — შენ გენაცვალოს მამა, შენა! — მერე მამუკას შესცინა, — მომილოცნია, ჩემო მამუკავ! — ცალ მკერდზე ის მოიხიდა და გადაკოცნა, — ყოჩაღ, ორივენი ასე ხელმოხვეულნი წაიყვანა მანქანისაკენ.

— სადმე პური შევჭამოთ, დღეს ლუკმა არ ჩამიდვია პირში, თქვენც გეკუთ-

ვნით ახლა კარგი პურის ჭამა, მაშ ხუთები!

— არა მამილო, განა მართლა ხუთები მივიღეთ, ოთხები, მაგრამ, ჩვენზე უკეთესი ნიშნები მარტო ოთხსა აქვს, ისე რომ, ულაპარაკოდ ვირიცხებით, ლექტორებმა მოგვილოცეს უკვე!

— აბა, ხუთებიო, იმათ რაზე უთხარი?

— იმათ? გულის მოსაკლავად.

ლევანმა გულიანად გადაიხარხარა და კიდევ აკოცა ქალიშვილს.

რესტორან „ისინდში“ ჩვეულებრივად ხალვათობა იყო. ნალისებური დარბაზის კიდეში დასხდნენ, მინის კედელთან. აქედან ლამაზად მოჩანდა იპოდრომი და მისი შემოგარენი.

— რას ინებებთ? — გაჩნდა ოფიციანტი.

— ყველაფერს, რაც კი რამე კარგი გაქვთ! — შესცინა ლევანმა, და წიწილიან-მწვადებიანად მართლაც ყველაფერი შეუკვეთა.

— ჰა, მამუკავ, შე გონჯო შენა, მაშ სტუდენტი ხარ, ბიჭო ო, როგორ გამახარეთ, როგორ! ასე ძალიან ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამხარებია, ახლა დედაშენი რას გაიხარებს, საწყალი, დღესვე ავუტან ამბავს. მანამდე მაღაზიებს გავუაროთ, თითო ძვირფასი რამე უნდა გიყიდოთ საჩუქრად: შენ ერთი კარგი კოსტუმი, აბა, მამუკა! თავიდანვე ასე მქონდა ჩაფიქრებული. სახარჯო ფულსაც დაგიტოვებთ, დარჩით, სანამ სიებს გამოაკრავენ, გაიარეთ კინოებში, გაისეირნეთ, ალალია თქვენზე!

მამუკას ცრემლი მოადგა თვალებში და თავი ჩაღუნა. ლევანმა კისერში ხელი წამოუცაცუნა.

— **შე გონჯო, შენა!**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე ბეგაშვილი

# კალოზე

*წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს — ივანე ფიროსმანაშვილს.*

კევრი ბრუნავს, ხარებს
არ ეტყობათ დაღლა,
კევრზე კაცი დამდგარა,
მზეც წასულა მაღლა.

ოთხი ხარი ეწევა,
ოთხი კევრი ბრუნავს,
ბალღის ახლოს, კარავთან,
ჩაცუცქულა მურა...

იქვე ლურჯი კვამლი
ეფინება სერებს...
ცის კამკამა სილურჯე
ერთვის ყვითელ ფერებს...

გლეხის შრომა დუხჭირი,
კალო,
ზეცა ლურჯი...
ნიკო ფიროსმანაშვილს
დაუხატავს ფუნჯით.

შენც ხომ მისი ღვიძლი ხარ,
მის ფუძეზე იშვი,
ნიკოს ჯადო-თილისმა
დაგყოლია ჯიშით.

მაგრამ ფუნჯით კი არა,
გუთნით ხატავ სურათს,
შენს დახატულ სახეებს
განა ნისლი ბურავს!

მაგრამ ყალმით კი არა,
აზრით ხატავ სოფელს,
შენს დახატულ სახეებს
მზე მწველ სხივებს მოჰფენს.

საქმით ხატავ მინდორში
მწიფე ყანის შრიალს,
მწვანე ჯეჯილს,
შავ ხნულებს,
მანქანების გრიალს.

ტარიბანის ველებზე,
სად დაძრწოდა ქარი,
ტრიალ, ხრიოკ ველებზე
დაგვიქარგე ზვარი.

უზუნდარით,
სიმღერით
გლეხის გული ლხინობს...
ხვავად დადგა ხორბალი,
ღვარად მოჩქეფს ღვინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების თავკაცო,
გამარჯვებას მკიდე,
სოფელს თავის სახელი
გაუმართლე კიდეც!

ირისპირებს თოვლივით
მოაფინე ფარა,
მკერდი ოქროს ვარსკვლავით
მიტომ დაგეფარა!

## გალაქტიონი

გრძნობის ზღვა გედგა თვალებში,
შუბლზე გეხატა ზეცა,
თვითონ მთა იყავ,
ტყე-ველი —
ტანზე სამოსად გეცვა.

გრძნობის ზღვა გედგა თვალებში,
ლექსი გწყდებოდა წვეთად,
ოცნება,
წვა და
სინდისი —
ყველა იყავი ერთად!

ლექსის ჯადოვ და თილისმავ,
გულის ბორგვავ და შფოთვავ,
შოთას სახელთან სათქმელო,
თვითონ ტატოვ და შოთავ!

თვალს ალაპყრობდი ვარსკვლავებს
ჩუმი კეთილი, მშვიდი...
თავს გვიყადრებდი პატარებს —
უფრო ხდებოდი დიდი!

ვინც გიცნობდა და
ვინც არა,
ყველამ იცოდა ერთი:
— ჩამოვდგეთ,
მოდის დიდებით
ქართული ლექსის ღმერთი!

## ჩემი ოცნება

მე ლექსი შვილად მეგულება
უშვილ-უძიროს...
იქნებ თვალებმა ამ ქვეყანას
დიდხანს უმზიროს,
ან იქნებ მალე
თავს დამადგეს სიკვდილის ჩრდილი...
ვინ დაიჩოქებს ჩემ ცხედართან,
არა მყავს შვილი!

მსურს შვილად დამრჩეს
ჩემი ლექსი დაუძრახველი,
არ შეარცხვინოს,
ასახელოს მშობლის სახელი!

იქნებ არ იყოს
ჩემი ლექსი ჯანით ძლიერი,
თვალისწარმტაცი,
ტანკენარი და მშვენიერი,
მაგრამ გრძნობისგან ნუ იქნება
გულდაწრეტილი,
ხალხში გავიდეს,
იქადაგოს
საქმე კეთილი!

არ მინატრია
გამიტოლონ დიდმა მგოსნებმა,
ერთი პატარა ზრახვა მყოფნის,
ერთი ოცნება:
თქვენ,
რაც შემეძლო,
ჩემს ლექსს — ჩემს შვილს
ვადებდი კისრად,
რომ ჩასობოდა
საქართველოს მოსისხლეს ისრად!

არ მინატრია
გამიტოლონ დიდმა მგოსნებმა.
ერთი პატარა ზრახვა მყოფნის,
ერთი ოცნება:

ჩემი სიცოცხლე
ბედმა ისე არ გადათელოს,
რომ სულ არ ვარგო არაფერი
მე საქართველოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ჯარჯი ფხოველი*

* * *

— მზეო, მზეო, შენს ველებზე
შენი შვიდი ჯოგი მომყავს...

ჩემი ხმა არის რომ მობობღავს განთიადისხანს:
დღისა და ღამის წყალგამყოფზე მოეხეტება —
სიბნელის ფსკერზე მაცქერალი,
პირმიბრუნვილი
იქით: სად ჩემი ყრმობა ბორძიკობს,
ყრმობა —
რომელსაც ქვეყნად არავინ არ მიასწავლის
უკეთეს ბილიკს
და არც არავის შეეცოდება,
მზეო, თუ შენ არ შეაშველებ ხელს და დასიცხულს
კვლავ არ წაიყვან მდინარეთა ნაპირებისკენ.

მხოლოდ თქვენ გახსოვთ, მდინარენო, ჩემი
ნაბიჯი უპირველესი: სუსტი, უძლური,
მოცახცახე —
ისეთი როგორც ის სიმღერაა —
ჩვენ რომ გვესმოდა ჩვენს ბავშვობაში.

ო, ნათესავი იყო ის ხმა და, როგორც მახსოვს,
გზას გავუყენე ნაწვიმარი ტყეებისაკენ...
და როდი ვიცი რას მომიტანს ჩემი მსტოვარი,
როგორი დავლით დამიბრუნდება?
თუ გადმოლახა ეგ კოცონი დაგუბებული
და ეს ტრამალი წითლად მწუხარე —
და მოაღწია შენს სიცხიან იმპერიაში.

— ო, მზეო, მზეო...

ეს ჩემი ხმაა უფსკრულებზე დაკიდებული
და ან ყორნის ფრთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდა ქარის ჩამოქროლება,
ან თანამგზავრი ღალატიანი —
ძირს გადმოაგდებს, თუ შენ ხელი არ შეაშველე,
მზეო, მაღრიბით ამოწვერილო!

• • •

წასულან წყალნი. ქვა და ოქრო, შენი კუთვნილი,
წარუტაციათ და მიქანავენ...
და საწიერზეც არ ჩანს არავინ —
ვინც დაარხევდა შენი ფიქრის მწუხარე ტოტებს.
მაგრამ, ბეჩავო, რაც დაკარგე, რატომ მისტირი?
ვთქვათ და იპოვე ისევ
კენჭი, შენი კუთვნილი —
განა ხელახლა დაკარგვის შიში
კვლავ არ აგიტანს გრძელ ღამეებში?
მოიგონე მენელაოსი...
თავისი ცოლის შელახულ ნამუსს
ყველა სიბილწე აქაველთა სისხლით მობანა,
მაგრამ, მითხარი, რა მიიღო სამაგიეროდ?
ბოლოს ხომ მაინც მიაშურა ჰადესის ბჭეებს
რქების სიმძიმით თავდაღუნულმა!?
დაივიწყე წამით ყოველი: ღამეც, ღვარცოფიც,
ბორეასის შმაგი კვეთებაც,
არ დაბრუნდე იმ სამსჯავროში —
სადაც ყველაფერს გაღუნული პინით წონიან...
დაივიწყე წამით ყოველი.

• • •

ცხადი წაიღო შუაღამემ. აჰა, ყარიბი
სიზმრების ქვეყნად მივემგზავრები...
შენ კი: ვინც მოხვალ ამ მხარეში,
უწყოდე, მგზავრო,
რომ ეს ბილიკი ჩემი კვალია.
მე ამ მღვიმეში ვცხოვრობდი მაშინ.
გაქვავებული ჩემი ცხოვრება გზად შემოგხვდება
სტალაქტიტივით,
სისხლით და ცრემლით ჩამოღვარული.
უშორესია ეს ლაბირინთი...
კიდევ ნაბიჯიც და შენც ჩემსკენ გადმოიხრები
და შენც მრავალნი ჩაგივლიან,
მგზავრო, დუმილით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გურამ გიორგობიანი

• • •

ყველაზე ლამაზად ვიცინოდით მე და ნათია,
ვეფიცებოდი, ცის ვარსკვლავნი ჩვენ დაგვნათიან.

მხიარულ ფორმას თხრობას ვაძლევდი,
გენიოსებთან პარალელებს როცა ვავლებდი.

მას ბეატრიჩეს თუკი ვადრიდი,
მაშინ ჩემს თავს დანტედ გავხდიდი.

ყველაზე ლამაზად ვიცინოდით მე და ნათია,
ციდან ვარსკვლავებს ვუწყვეტავდი თვითონ განთიადს.

• • •

დედამიწამ თავის გული რომ გადახსნა,
ამოჭამეს,
მეტირება მისი ცოდვით სავსეს.
დედამიწა დაბარბაცებს,
დაბარბაცებს, აბა რა ქნას,
არვინ მღერის, არვინ უძღვნის
სიყვარულით ავსებულ ქნარს.
წვიმის წვეთი როცა გვხვდება,
ვერვინ ხვდება,
რომ ის ტირის და დასტირის
გაზაფხულზე გასაყიდად გამოტანილ წელმოწყვეტილ
იასამანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

• • •

მე ვნახე ჩიტი, რომლის მოძრაობა ჰაერში იყო
ტეხილი ხაზები
და ჩიტნი სხვანი, ვისი ფრენა ყოველთვის ჰგავს
ჰიპერბოლებს, პარაბოლებს და ციკლოიდებს,
სახურავებზე შემოსკუპულნი შეჰყურებდნენ სანახაობას,
როგორც ჩვენ ცირკში.
და მწყდება გული, — რაც ვერ შევძელი, ის შესძლო ჩიტმა—
ყურადღება მიიპყრო სხვისი.

• • •

საკვირველო გააზრებავ, როგორ მიაგენი უხილავი მოვლენის ახსნას,
აიყვანე გონების უნარი უმაღლესამდე და მომეც საშუალება
უზუსტესად ჩამეხედა ჩემს სამყაროში და სულის სიბრტყე გამომესახა
შენი ფორმულით; ყველგან ნული ვარ, შეუმჩნეველზე შეუმჩნეველი,
და ერთ წერტილში, მხოლოდ და მხოლოდ ერთ წერტილში უსასრულობას წარმოვადგენ
და გამვლელი ჩემზე რომ დადის, თუ შემეხო, სადაც გახლავართ ზორბაზე ზორბა,
ვით ქარბორბალა, მე მას ავიტაცებ არა შიშით, არა სიზმრით,
არამედ მრწამსით, მრწამსით და მრწამსით·

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

# დაჩის ზღაპრები

## მთვარის ზღაპარი

იყო ერთი ბიჭი და დაჩი ერქვა.

ერთხელ დაჩი კარგად დაფიქრდა და თქვა: ქვეყნად ორფრთიანი თვითმფრინავიც რომ არ იყო, ზღაპრული გმირები მფრინავ ნოხებზე ჯდებოდნენ და ზეცაში ისე დაქროდნენ, არწივები ქვევიდან პირდაღებული შესჩერებოდნენ. ამ რაკეტებისა და კოსმოსის დროში მე რა ღმერთი გამიწყრა, რომ, ვერ იქნა და, ეს ცის თავანი ვერ მოვიარეო.

ისევ დაფიქრდა: ამას ლაპარაკი არ უნდა, უნდა წავიდე, მაგრამ ჩიტი ხომ არა ხარ, ასე თქვა და აფრინდე, თუმცა იქ მიფრენა არც ჩიტებისათვისაა ადვილიო. აბა რით აჯობებს, როგორ მოვიქცეო და გადაწყვიტა: ეს რაკეტები ახლა ისე მოდაშია, მალე მთვარემდე განრიგი დაინიშნება და ვისაც მოეპრიანება, იფრენსო. ის ზღაპრული რაშები მოდიდან გამოდის, მალე მაგათი სახსენებელი სულ გაწყდება, უნდა ვიმარჯვო, თუ სადმეა გადარჩენილი ერთი, იმით გაქროლება მოვასწროო.

დაიხურა ქუდი, დაიკიდა ხანჯალი, გადაიდო მხარზე მშვილდ-ისარი და წავიდა, მაგრამ თან ისიც იცის, რომ რაში კი არა, ხეირიანი ცხენი აღარსადაა. გადაიარა მინდორი, გაცდა საყანეებს, საყანეებს იქით ჭენჭყობი, ლაქაშნარი და ლელიანი იწყებოდა.

გაიხედა, დაინახა ამ ჭენჭყობში ერთი ჯაგლაგი, ბებერი ცხენი დგას და ფეხზე სძინავს.

— შე კაცო, რავა მუხლებამდე წყალში ჩამდგარხარ! — შეეცოდა დაჩის, — მინდორზე დაწოლილიყავი და დაგესვენაო.

— ამ მანქანებმა ისე შემავიწროვეს, მინდორსა და შარაზე კი არა, მეშინია აქაც არ ჩამომიცვივდნენ და გუდა-ნაბადი არ ამიკრანო.

— მოხუცებულხარო, — უთხრა დაჩიმ თანაგრძნობით.

— დავბერდიო. — თავი სინანულით გადაიქნია ცხენმა.

— ალბათ, ახალგაზრდობაში ვარსკვლავებს ეთამაშებოდიო, — გაახსენა ჯეელობა.

— იცოცხლეო! — გაუფართოვდა ცხენს ქლიავისფერი თვალები.

— არა, მართლაო! — გაუხარდა დაჩის.

— ისე ჩემი სული ცხონდაო, — დაიფიცა ცხენმა.

— მე შენი ცხონება კი არ მიკითხავს, ის მინდა ვიცოდე, მართლა ვარსკვლავებისკენ ან მთვარისაკენ ხომ არ გაგივლიაო.

— ვარსკვლავებთან რა მინდოდა, მე

კარგი, ღონიერი ცხენი გახლდი, ფრთიანი რაში კი არ ვყოფილვარო.

— მე კი ფრთიანი რაშის ამბავი მინდაო, — სულ ახლოს მივიდა ბიჭი, ჭაობშიც კი ჩაიბიჯა.

— ტყის გოგო-ფერიას მამას რომ ჰყავდაო!

— რა ვიცი, ჰყავდაო?! — თავი გადააქნია დაჩიმ.

— როგორ არა, მახსოვს, იმ გორებზე რომ უღრანი ტყეებია, იმის გადაღმა თეთრი ფრთიანი მერანი დაღამებისას ელვასავით ამოიჭროლებდა, პირდაპირ მთვარისაკენ მისცემდა თავს და დილისხანს ისევ ელვასავით ჩამოეშვებოდა. დიდხანს მეც ელვა მეგონა, მაგრამ მერე და მერე, ხანში რომ შევედი, დავუკვირდი, გრუხუნი არ მოისმოდა და მივხვდი, რაც იყო და ვინც იყო.

— გზას ხომ ვერ მიმასწავლიო? — შეეხვეწა დაჩი.

— თვითონაც წამოგყვებოდი, მე შენ გეტყვი, დოლზე არ მიმეჩქარებოდესო, მაგრამ, რაც არ ვიცი, რა გასწავლოო.

— აბა, ვინმე ხომ არ იცი, რომ იცოდესო.

— რაშის ამბავი ცხენმა უნდა იცოდეს და ჩემზე ხნიერი და ჩემზე მეტის მნახველი ცხენი ქვეყნად არ მეგულებაო, — გაიქაჩა მოხუცი, — მაგრამ...

— რა მაგრამო? — კინაღამ პირში ჩაუძვრა დაჩი.

— რა და... აი, ის გოგო-ფერია, ტყის პირას დამინახავს; ძალიან ფრთხილად იჭვრიტებაო!

— მოიცა, მოიცაო! — შეაჩერა დაჩიმ.

— აგერ ვარ, ხომ ხედავ, არსად ფეხის გადამდგმელი არა ვარო, — კუდით კოღო-ბუზი დაირეკა ცხენმა.

—ეს ის ფერია-გოგო ხომ არაა, ნადირობიდან რომ ვბრუნდებოდი, კლდემაღალას ჩანჩქერის ძირში ტანს იბანდა და, მე რომ თვალი მოვარიდეო.

— ისე მეკითხები, თითქოს შენი ცხენი ვიყო და მაშინაც ჩემს ზურგზე მჯდარიყავიო, — გაეცინა ცხენს, — მაგრამ თვალი რაღად მოარიდეო?

— აბა მობანავე გოგოს ხომ არ მივაშტერდებოდიო? — გაუკვირდა დაჩის.

— ახლა ზღვაზე ქალი და კაცი, გოგო და ბიჭი ერთად ბანაობენ და თვალს არავინ არავის არიდებსო.

— მოხუცებულხარ, ცხენო, და ამდენი ვერ გაგიგია, რომ ზღვა სხვაა და ტყეში, ჩანჩქერის ქვეშ მობანავე გოგო სხვაო, — ეწყინა დაჩის.

— თუ სხვაა, წადი ახლა და ეძიეო, — გაგულისდა ცხენი და თვლემა-მთქნარება აუვარდა.

— ვერაფერი ზრდილობაა მე და ჩემმა ღმერთმაო,—ჩაილაპარაკა დაჩიმ და გზას დაადგა. იარა, იარა, კინაღამ ცხრა მთა გადაიარა, იმ კლდემაღალას ძირში მივიდა და დაელოდა, იქნებ კიდევ მოვიდესო. რომ არ დალოდებოდა, სხვანაირად მისი ასავალ-დასავალი არ იცოდა.

კლდემაღალზე გადმოქუხს თეთრი ჩანჩქერი, ჯიხვის რქა გეგონება. მოდიან ირმები და შვლები თავიანთი ნუკრებით, წყურვილს იკლავენ, სიხარულით კუნტრუშობენ. ციყვები და თრითინები რომ სვამენ, თვალებს ხუჭავენ და ნეტარებისაგან ღრმად სუნთქავენ. ფრინველები პირდაპირ მაღლა მოჩხრიალე ჩანჩქერს აფრინდებიან, გაფანტულ წვეთებს ჰაერში იჭერენ და ირაოს გადადიან.

დაჩიმ იფიქრა: ეს რა უკვდავების წყალიაო; მივიდა, ხელები დაისველა, მაშინვე ისე რბილი და ნაზი გაუხდა თითები, თითქოს გლიცერინის მალამო წაესვას. მერე რომ დაუკვირდა, ისიც შეამჩნია, რაც ამ წყალთან ახლო-მახლო ხეები იყო, საოცრად რბილი, ბოთლის საცობივით ქერქი ჰქონდა, ფოთლები — თოვლის ფიფქივით ფუმფულა.

დაჩი დაიმალა: ტყის გოგო-ფერია აქ მოვიდოდა, ეჭვი აღარ ეპარებოდა.

კარგა ხნის მერე, მზე რომ გადაიხარა და დაჩისაც მოსწყინდა ამდენი ყურყუტი, ჩიტების ისეთი ჟრიამული და გა-

ლობა მოესმა, იფიქრა იადონებისა და ბულბულების კუნძულზე ვარ, თუ რა მჭირსო. გაიჭვრიტა, ბოძალ ხეს მოფარებულმა. ხედავს მოქრიალებენ ეს ჭრელა-ჭრულა სმოთხის ჩიტები და გალობენ, ქღურტულობენ და ფერად ქარბორბალასავით თავს ევლებიან ტყის გოგო-ფერიას. ფერია მოდის, როგორც გაპენტილ ბამბაზე გივლია, არც ფიჩხი უტყდება, არც ხმელ ფოთოლს აშრიალებს. ტანზე ყაჭის ძაფივით თმის ტევრი ფარავს, წვივები და ხელები ძლივს უჩანს. დაჩიმ იფიქრა, ამას თუ ახლავე არ მოვუხერხე რაიმე, მერე წყალში რომ ჩავა, რაღა უნდა ვქნა, პირიქით, თვალიც კი უნდა მოვარიდოო.

სულ ახლოს ჩამოუარა გოგო-ფერიამ იმ ხეს, სადაც დაჩი იყო დამალული, შეეძლო ხელი მიეწვდინა და თმით დაეჭირა, მაგრამ: რას იტყვის, ეს რა ხულიგანი ვინმე ყოფილაო, აცალა ჩავლა და, ჩანჩქერის ძირში რომ მივიდა, დაუძახა:

— გოგო-ფერია!

ადამიანის ხმა გავიგონეო, იწივლა და წყალზე ისე გაირბინა, როგორც ყინულის მოედანზე, ჩანჩქერის ქვეშ დაიკარგა თვალთაგან. ეს ამდენი ფერად-ფერადი ჩიტი ახლა ჩანჩქერს მიესია და ამ ჯიხვის რქესავით თეთრ და მზის სხივებზე ოქროდ დაფერილ აქაფებულ წყალზე ისე ლივლივებენ, ისე უწყობენ ხმას ამ გლიცერინის მალამოსავით ლბილ ჩანჩქერის ღუღუნს, დაჩიმ იფიქრა: დავჯდები აქ და ვიქნები, ამაზე უკეთესი თვით მთვარეზეც რა უნდა ვნახოო. მაგრამ ამ ბულბულ-იადონების გუნდმა მაღლა-მაღლა აიწია და დაჩიმ თვალი რომ ვერ მოსწყვიტა, რას ხედავს: გოგო-ფერია აჰყოლია ამ ქათქათა ჩანჩქერს, შუამდე ასულა. უცებ ისე გამოყო თავი, თითქოს სარკმელიდან გადმოიხედაო. თმები თეთრ წყალში აბრეშუმის მთრახებივით შხვართალებს.

— გოგო-ფერია — დაუძახა ისევ დაჩიმ, — წეღან ბოძალ ხესთან რომ ჩამოიარე, შემეძლო თმებში ხელი მომეწვდინა, მაგრამ არ გკადრე და შენ რომ იშვირე ფეხი და მოუსვი, რა ხულიგანი და ონავარი მე მნახეო.

— ხე ბოძალასთან მართლა ჩამოვიარეო! — ჩამოსძახა ჩანჩქერთან ტყის გოგო-ფერიამ.

— ზღვის გოგო-ფერიები მინახავს, შენისთანა, ერთი კი არა, ასი!

შენზე უკეთესებიო, აბა, ამას ხომ არ ეტყოდა.

— ზღვის გოგო-ფერიები გინახავს? — თვალებად გადაიქცა ტყის გოგო-ფერია, — ჩემზე ლამაზები არიან?

— რა ვიცი, შენ ხეირიანად არც კი დამინახავხარ, ისე გაიქეცი, თითქოს მდუღარე გადამესხას. ბოლოს, და ბოლოს, სახელი დაგიძახე, დაიქცა ქვეყანა? — გული მოიყვანა დაჩიმ.

— ქვევით რომ ჩამოვიდე — შურდულს არ მესვრი?

— მე შენ ვინ გგონივარო! — მართლა გაგულისდა დაჩი. — ხომ არ გესვრი, რა პასუხია... ბოლოს და ბოლოს, მე დაია მყავს და მეზობლის გოგო.

— მართლა? — რა ჰქვია? — ჩამოყვა ჩანჩქერს ფერია და ახლა ძირში გაჩერდა.

— ან მანდ რას უდგეხარ, მოდი ახლოს და გეტყვიო.

— მხარზე რომ გაქვს გადადებული, რა არის?

— რა და მშვილდ-ისარი. მაგრამ გოგოებს რომ ვესროდე, ახლა ქვეყნად ერთიც აღარ იქნებოდა! — ეს რა მართლა ტყეში გაზრდილივით ლაპარაკობსო, გაუკვირდა დაჩის.

როგორც იყო, ინება და წამოვიდა წყალზე, მაგრამ მაინც მოშორებით გაჩერდა. ერთი მუჭი თმა დაახვია და წელზე შემოიჭირა, დანარჩენი გაანაწილა, ტანი არსად გამომიჩნდესო.

— მითხარი ახლა რა ჰქვიათ და ჩემზე ლამაზები თუ არიანო?

— შენზე ლამაზები ჩემი დაია და მეზობლის გოგო კი არა, მგონი, ზღვის გოგო-ფერიებიც არ არიანო.

— რატომ ამბობ მგონიაო? — ატირდა ტყის გოგო-ფერია.

— იმიტომ, რომ... ისინი ცეკვავენ არნახულ და არგაგონილ ცეკვასო.

— ჩემზე უკეთესს?! — ასლუკუნდა, მაგრამ როგორ, სულ ამოიგლიჯა გული.

— შენი ცეკვა რომ არ მინახავს, რას დაგიღია პირიო! — მართლა და მართლა. დაჩიც კაცია და გული მოუვიდა.

— აბა მიყურეო! — და ამ ცრემლებიან თვალებში მაშინვე ისეთი მორცხვი ღიმილი ჩაუდგა, სახეზე ისეთი სათნოება და კდემა გადაეფინა, ისე გაშალა ხელები, დაჩიმ იფიქრა: ეს გოგო კი არა, წყალზე დაფრენილი აბრეშუმის გედია, არ დავიღუპო, არ გაფრინდესო. ხელი გაშალეო, რომ უთხრა, დაეხვია ეს სამოთხის ასი ფერის და ასი დარჩეული ხმის ფრინველი და საცეკვაო ჭიკჭიკი ასტეხეს. დაჩის სულ არ უფიქრია, რომ ეცეკვა, მაგრამ ფეხები თავისთავად გაუსანსალა ნაპირზე.

მიგოგმანობს გოგო-ფერია წყლის სარკეზე, მიჰყვება გუნდი ედემის ბაღიდან მოფრენილი ფრთოსნებისა, ნაპირზე მოადგნენ და მოადგნენ ნაირნაირი ტყის ბინადარნი, დიდი და პატარა, ერთმანეთის მტერი და მოყვარე, ერთგული და ორგული, ისველებენ ამ გლიცერინიან მალამოსავით წყალში თათებს, ჩლიქებს, ტორებს და უკრავენ ისეთ სათუთ და ჰარმონიულ ტაშს, დაჩის სულ დაავიწყდა, რომ ფერიასავით წყალზე ვერ გაივლიდა და ისე გაცხარებით გაუსვა და გაუსვა, კინაღამ მორევში შეტოპა.

ბოლოს, გოგო-ფერია წყალზე რომ დატრიალდა, და სველი, მზეზე აელვარებული თმები ფარშევანგივით გაშალა, თან ამ ედემის ბაღის ფრინველები საცეკვაო ჭიკჭიკით რომ ირგვლივ ქარბორბალასავით დატრიალდნენ და ჯიხვის რქის ჩანჩქერმა რომ შვიდჯერ შვიდი ფერის ცისარტყელა მთელ სიმაღლეზე გადმოკიდა, დაჩი რომ აღტაცებულიყო რა გასაკვირია, როცა მელა გნოლს ეხვეოდა, ტურა — ხოხობს, მაჩვი — ციცარს, დათვი ირემს გულში იკრავდა და მგელი შველს პირდაპირ ტუჩებში კოცნიდა.



ისეთი ტაშით დააჯილდოვეს ტყის გოგო-ფერია დაჩიმ და დაჩისთან ერთად ერთმანეთს დამოყვრებულ-დანათესავებულმა ტყის ბინადრებმა, მოცეკვავე მართლა ტყეში გაზრდილი უნდა ყოფილიყო, რომ ეკითხა, როგორ მოგეწონათო.

ბოლოს, ეს ასფერა იადონ-ბულბულები, საცობივით რბილ ხის ტოტებზე რომ ჩამოსხდნენ, ფაფუკ ფოთლებში მიიმალნენ და ყველაფერი მიწყნარდა, მგელი აყმუვლდა, დათვი აღრიალდა, და ტურამ და მელამ წივილ-კივილი ასტეხეს.

— თქვე მართლა მხეცებო, ასეთი გალობის, ცეკვისა და სილამაზის გამგონეს და მნახველს რა გაყვირებთო! — კინაღამ ელდა ეცა ბიჭს.

— სწორედ ეს მშვენიერებაა, რომ მაბღავლებსო! — ასლუკუნდა გულდათუთქული მგელი.

— მშვენიერებამ სიხარული უნდა მოგანიჭოს თუ უნდა გაღრიალოს, შე მართლა მგელოო! — გაუწყრა დაჩი.

— მე მგელი ვარო! — თავი იმართლა მგელმა.

— ოჰ, ახალი ამბავი! — სასაცილოდ არ ეყო დაჩის. — მერედა, რა გინდა მაგით რომ თქვაო.

— რა და, მე გაუმაძღარი კუჭი მაქვს, ეგ თქვენი მშვენიერება გამაძღებსო?

— მე უფრო დიდი ვარო, — აბურტყუნდა დათვი.

— მშიერ-მწყურვალი ვერც ჩვენ გავძლებთო — ისევ წივილ-კივილი ასტეხეს ტურამ და მელამ.

— კი მაგრამ, მე თქვენ აქ სადილზე დაგპატიჟეთ, თუ რას შემომტირითო?! — მხრები აიჩეჩა დაჩიმ. — წადით, თქვენს გზას ეწიეთო!

— რა გზას უნდა ვეწიოთ? — ისევ ასლუკუნდა მგელი, — ეს რა მიქენით, შველს ტუჩებში ვკოცნიდი, აწი რაღა პირით უნდა შევჭამოო!

— ასემც გიქნია, შიმშილით სული გაგძრომბიაო! — დაუცაცხანა დაჩიმ და სულ კისრისტეხით გარეკა; როცა ყვე-

ლა თვალს მიეფარა, თვითონაც მოიწყინა.

— შენც ხომ ვინმესთვის არ უნდა გესროლა ეს, მხარზე რომ გადაგიკიდია, და იმას ხომ არ ჯავრობო? — ჰკითხა თავისი თავით კმაყოფილმა ტყის გოგო-ფერიამ.

— მე დაჩი ვარ და ამოდენა გოგო ბიჭსა და მგელს კი უნდა არჩევდეო. — ეწყინა დაჩის.

— აბა რა ყურები ჩამოგიყრიაო.

— რა და, ასეთი მშვენიერება რომ მანახე და მომასმენინე, ახლა მე ვარ ვალდებული სამაგიეროდ რაიმე თხოვნა აგისრულო და არა პირიქითო. — სულ დასევდიანდა ბიჭი.

— ესე იგი, ძალიან, ძალიან მოგეწონა ჩემი ცეკვაო?

— ამიტომაა, რომ დარდით აღარა ვარო.

— მე სულ ასე ვცეკვავ, მაგრამ მელიებისა და ტურების მეტი, კაცისშვილი არ მინახავს, რომ ეთქვა, როგორ ვცეკვავ. რაკი ასე მოგეწონა, მითხარი თუ რაიმე თხოვნა გაქვს და ამსრულებელი ვარო.

— ეს იმას გავს, თოჯინების თეატრში რომ არტისტმა-თოჯინამ შენთვის მთელი წარმოდგენა ითამაშოს და ბილეთიც გიყიდოს.

— მითხარი რა გიჭირს? — სულ ახლოს მოვიდა ნაპირთან ფერია.

დაჩიმ იფიქრა: ჩვენებური გოგოებივით ნამეტანი ცნობისმოყვარე ყოფილაო და შორიდან დაიწყო:

— მამათქვენი როგორ ბრძანდება!

— ეჰ, მოხუცდა, — ამოიხვნეშა გოგო-ფერიამ.

— ის ფრთიანი რაში როგორ ჰყავს, ისიც ხომ არ დაბერდა.

— რაშს ჯერ კიდევ რა უშავს, მაგრამ თუ მხედარი არ ეყოლა, რაში და ჯაგლაგი ცხენი სულ ერთია.

— რაში სადაა, თუ არა მხედარი მოიძებნებაო, — შეაპარა დაჩიმ.

— მამაჩემს მაგის დარდი მოუღებს ბოლოს, მე გოგო ვარ და რაშზე რომ შევჯდე, ფეხები ხომ მომელუნებაო.

— რატომ გოგო, ბიჭი აგერ არა ვარ! — ველარ მოითმინა დაჩიმ.

გოგოს ისეთი სიცილი უტყდა, ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, მეორე მხრიდანაც მართლა ჯიხვის რძის ჩანჩქერი ხომ არ გადმოსკდაო.

— შენ მამაჩემი ბაღის გამგე ხომ არა გგონია, — როგორც იყო შეწყვიტა ჩანჩქერმა კისკისი. — ან ფრთიანი რაში, — ბორბლებზე შემდგარი მუყაოს ცხენიო.

— რაში სულაც არა მგონია ბორბლებიანი ცხენი. — ეწყინა დაჩის.

— მაგრამ მამაშენი მართლაც არ ვიცი ვინ ბრძანდება.

— მამაჩემი ქაჯიაო, — აუხსნა გოგო-ფერიამ.

— ჰოო...—თავი გადააქნია ბიჭმა და იფიქრა: ამისთანა კარგი გოგოს მამა ქაჯიც რომ იყოს, თხუპნია და მტირალა გოგოების მამებს მაინც აჯობებსო. — კაცური კაცი კი ყოფილა და ქაჯი უძახე შენო.

— ახლავე სახლში წავალ, მამას ვეტყვი და გაუხარდებაო. — ცას ეწია გოგო.

— მამას კი გაუხარდება, მაგრამ მე რა გამიხარდება, რატომ იმას არ კითხულობო? — ისევ ჩამოყარა ყურები დაჩიმ.

— რა გაგიხარდება, კიდევ ხომ არ ვიცეკვოო? — ხელები გაშალა ფერიამ.

— შენი ცეკვის ყურებას რა სჯობია, მაგრამ რაშზე ამხედრებული რომ გენახე, არც მე ვიქნებოდი ურიგო საყურებელიო.

— უიო, — შეიცხადა ტყის გოგომ, — მამაჩემს ადამიანის შვილი რომ თვალით არ დაენახვებაო!

— არც ადამიანები კარგავენ ქაჯებისათვის ჭკუას, მაგრამ, ხომ ხედავ, მე კაცურ კაცს ვეძახი. გარდა ამისა, ის ოჯახქორი მოხუცებულა, საცაა პენსიაზე გადავა და ამ ქაჯობას თავს მაინც არ ანებებსო?

— ქაჯობას რომ თავი დაანებოს ამ მოხუცმა კაცმა, მალაზიის დარაჯად მუ-

შაობას ჵომ არ დაიწყებსო! — გაუკვირდა გოგო-ფერიას.

— ოჯახაშენებული, მთელი ცხოვრება რომ ქაჯობდა, თუ დაბერდებოდა არ ეგონა? ახლა რა ეშველება, ქაჯის პენსია ეყოფა?

— მალე ქეიფისა და ყანწების სმის თავი აღარ ექნება და ჩაისა და პურის ფულად ეყოფა.

— უნდა იკმაროს, აბა სხვა რა ჯანი აქვს, ჯეელობაში ვარსკვლავებს რომ ეთამაშებოდა, მაშინ არ უფიქრია და ახლა რაღა დროსიაო.

— აი, ფრთიან რაშს რომ უვლიდა, იქნებ მეჯინიბის პენსია მაინც მოუხერხდესო.

— უვლიდა თუ რა ის რაშით კოლექტივის ყანას, ხნავდა და ჩაიში მკრეფავებისთვის წყალი მიჰქონდა! სადღაც, ზეცაში თავის ხუშტურზე დაჯირითობდა, ახლა მეჯინიბის პენსია მომთხოვოსო?!

— აბა რა ექნა, რაშს შიმშილით ხომ არ მოკლავდაო?! — გაიოცა გოგომ.

— როგორ, რაშს ზეცაში აბალახებდა?! — ახლა დაჩიმ ვერ დაფარა გაოცება.

— აბა რაში ცხენივით თივას და ქერს ჭამს გგონიაო?! — კიდევ უფრო გაუკვირდა ფერიას.

— თუ ასეა და მამაშენი ზედ ველარ ჯდება, მოგიკლავთ რაში შიმშილით! — შეწუხდა დაჩი.

— მაგის დარდია, რომ მამაჩემს დღედაღამე არ აძინებსო.

— მერე მომიყვანე, ამ ერთხელ მე მაინც წავაბალახებო, — შეაპარა დაჩიმ.

— მერედა, რაში ბიჭის ზურგზე შეჯდომას მოითმენსო? — დაეჭვდა ფერია.

— ქაჯს ითმენდა და, რა ღმერთი გაუწყრება, ბიჭს როგორ არ მოითმენს? — არ გაიზიარა დაჩიმ გოგოს ეჭვი.

— საღამოობით აქ წყლის დასალევად მომყავს, გაგატანდი, მაგრამ, ასე პატარა ბიჭი, იმოდენა რაშს როგორ შეწვდებიო.

— შენ გეტყობა არ იცი, რომ დაჩი ვარო! —იძულებული გახდა დაჩი თავისი ვინაობა გაემხილა.

— დაჩი კი, მაგრამ, ეს რას ნიშნავს, შენც ფრთიანი ბიჭი ხომ არა ხარო? — თვალები ეშმაკურად მოჭუტა გოგომ .

— წადი, შენ რაში მოიყვანე და ფრთიანი ვარ თუ ფარფლებიანი, მერე ვნახოთო! — გაიქაჩა დაჩი, ეს როგორ მკადრაო.

როგორც კი ტყის გოგო-ფერია გაიქცა, მისი სამოთხის ჩიტები ჟივილხივილით დაედევნენ. დაჩი მაშინვე ჩანჩქერის პირას ხეზე აცოცდა და საცობივით რბილ ტოტზე ჩამოჯდა. შებინდების ხანი იყო, ისევ მოისმა იადონბულბულების სტვენა-გალობა და ხშირ ტყეში მთვარესავით გამოანათა ფრთიანმა რაშმა, რომელსაც წინ გოგო-ფერია მოუძღოდა და ხელი რაშის მუხლებამდე დაშვებულ ფაფარში ეკიდა. მერანი მაშინვე წყალს მივარდა, ფერიამ დაჩის დაუწყო თვალით ძებნა. მაგრამ დაჩი, სანამ რაში წყალს სვამდა, რბილ ტოტზე და ფუმფულა ფოთლებში წინ წაიწია, მერე ტოტს დაეკიდა და ჰოპ! ზედ ფრთებს შორის დაახტა. რაში ერთხანს დაიბნა: ჩემს ზურგზე დახტომას ვინ ბედავსო, მაგრამ დაჩი რომ წინ წაიხარა, ორი მუჭა გრძელი ფაფარი რომ დაითრია და ზურგს უკან გაინასკვა, მაშინ კი ახტა და დახტა, გოგო-ფერია შიშით თეთრი აბრეშუმის დარაისფერი გახდა, მაგრამ დაჩიმ რომ კიდევ ქუსლები დაცხო რაშს, რა ჯორივით მალაყები და ადგილზე ხტუნვა წამომიწყეო, მაშინ კი იკადრა რაშმა, ორივე მხარეს გაშალა თვალისმომჭრელი ფრთები და მშვიდობით: გოგო-ფერია, ტყეო და ჩანჩქერო, დედავ და დედამიწავ...

გაფრინდა ეს ნაშიმშილევი რაში ამ ლურჯი, თვალუწვდენი სათიბივით ზეცის მინდორზე, დაჩის გულიც კი შეუქანდა, მაგრამ რაშმა რომ შემატყოს, იმ ტყის გოგო-ფერიასავით მასხარად ამიგდებსო და კიდევ და კიდევ მოსცხო ქუსლები და დასჭყივლა: მე რომ რაშე-

ბი მიჰენებია, შენ იმასთან ოჩან ცხენად მეჩვენებიო!

გადაირია რაში: რა ხანია მე ბუზი არ დამფრენია და ვინაა, რომ წიხლების ცემას მიბედავსო, აჰყარა ტლინკები, შევარდა ღრუბლებში, შედგა ყალყზე, რა ქნას დაჩიმ, ლაგამი არა აქვს, რომ მოზიდოს და თავი დაუკავოს, არც ხელთა აქვს რაიმე, ფეხები რომ არ მოუჭიროს, გადმოაგდებს ეს ქაჯის გაზრდილი და ღრუბლებიდან რომ თავდაყირა დაეშვა, სახლში რაღა პირით გინდა მიხვიდე. ამ დროს რაში სქელ, შავ ღრუბლებში შევარდა. ის იყო ჩაიქროლა, რომ დაიგრუხუნა, გაიელვა. დაჩი წინ გადაიწია, კინაღამ კისრულით გადავარდა, მაგრამ მისწვდა, სანამ დაიჭექებდა, მოასწრო, ელვას თავში, მათრახის ტარს რომ ჰგავს, ხელი წაავლო, წაავლო და თან გაიტაცა.

მიაქვს ეს შხვართალა ელვა, მაგრამ არ გინდა დაიკავო? ნაკვერჩხალივითაა. პერანგის კალთა შემოახვია, მაგრამ ასე კალთაში გამოხვეული, როგორ გინდა ამ გადარეულს რომ მოუქნიო? ამ დროს პერანგის ქვევიდან ქარი შეუვარდა, ცხვირი დააცემინა, მაშინვე ცხვირსახოცი მოაგონდა, ამოიღო, ჯერ ცხვირი მოიხოცა, მერე ელვის მათრახის ტარზე დაახვია და, გიყვარდეს, უცხუნა და უცხუნა ამ ქაჯის ნახედნ მერანს, სულ სიმწრის ცრემლები აყრევინა.

— მე დაჩი ვარ, ჰკუით იყავი თუ არა, ეს რაა, ამ ღრუბლებში რომ შემოჯლიგინდი, აქ ელვის მეტი რაა, ერთი-ორს კიდევ დავითრევ, სამივეს ერთად დავწნავ და შენი თვალის სეირი მერე ნახეო.

იცოცხლე, რაში ცხვარივით მოთვინიერდა და იკადრა ლაპარაკი.

— მიბრძანე საით გაგეხარდება გასეირნებაო, — და ღრუბლების თავზე გაჭენდა.

— მე შენ გეტყვი, სულ ამ ღრუბლებს ზევით ვთამაშობ რიკ-ტაფელას და აქაურობა ზეპირად ვიცი, იარე, რა გზითაც გივლიაო.

— ბატონი ხარ, — ჩაიფრუტუნა რაშმა, პირდაპირ გაბდღვიალებული მთვარისკენ დაადგა გზას. მიჰქრის და მიჰქრის ეს ფრთიანი ჰურანი, მაგრამ აქ რას გაიგნებს კაცი, მე შენ გეტყვი. სადმე ან კილომეტრი აწერია, ან მისახვევ-მოსახვევია. ესაა, რომ მთვარე დიდდება და დიდდება. ქვევით დედამიწა მრგვალდება და უშველებელ ბურთს ემსგავსება. მერე ისიც კი მოხდა, რომ მთვარე და დედამიწა ერთმანეთს გაუტოლდა, ბოლოს კი მთვარე გახდა უფრო დიდი და დედამიწა პატარა, სულ ბოლოს მთვარე დაემსგავსა დედამიწას და დედამიწა დიდ მთვარეს. დაჩიმ იფიქრა, ამ ქაჯის ცხენმა ხომ არაფერი იმამაძაღლა და ისევ უკან ხომ არ მივყავარო, მაგრამ ვერცხლისა და ბროლის მთები რომ გამოჩნდა, მიხვდა, რაში მთვარეზე ეშვებოდა და მართლაც, ამ ბჟღვიალა ბროლისა და ალმასის მთებში ერთ ჭალა-მინდორზე ბედაურმა ბდღვირი აადინა, გაჭენ-გამოჭენდა, მთლად აამტვერა იქაურობა.

— რა ჯორივით დაბაკუნობ, იფრინეო! — გაუწყრა დაჩი. აიწია რაშმა, ვერცხლის დიდი არწივივით გადაუქროლა მთვარეს. ბიჭი ქვევით იყურება, იქნებ ვინმე ან რაიმე დავინახოო. მტვრით დაფარული დაბლობები და ბრჭყვიალა მთების მეტი არაფერი ჩანს, არც წყალი, არც ტყე და მინდორი....

— მოიცა, მოიცაო! — დაუძახა დაჩიმ რაშს და რაშიც მაშინვე დაეშვა. ხედავს დაჩი, აგერ რაკეტა აგორებულა. იქით გაიხედა, მთვარემავალის ნაკვალევია. კიდევ წაიწია და ადამიანის ნაფეხურებსაც წააწყდა, მაგრამ ყველაფერი ეს ხომ ტელევიზორში მინახავსო, — თქვა თავისთვის, — მე ისეთი რამ მინდოდა, რაც არავინ არ იცისო.

— მასეთი რამ მე ვიცი, — ჩაიხვიხვინა რაშმა, — მაგრამ არ გირჩევ, ნამეტანი დასევდიანდები.

— მე შენთვის რჩევა არ მიკითხავს, — შემოწყრა დაჩი, — და აქ ტაშ-ფანდურის სანახავად არ მოვსულვარ.

აფრინდა რაში და გაიჭრა წინ, მთვარეს მეორე მხრიდან მოუარა, სულ დაი-

კარგა თვალთაგან დედამიწა. ბიჭს გული დაწყდა, მაგრამ რას იზამდა, მართლადა, ხომ უნდა ენახა აქ ვინ ცხოვრობდა, ან რა ხდებოდა.

გადააფრინდა რაში საოცრად ელვარე ბროლის მწვერვალებს და ასევე მთებივით გაკრიალებულ დაბლობში დაეშვა.

— ჩამოდი! — უთხრა დაჩის.

— ჩამოვიდე რა, მუხლში ძალა გამოგელიაო? — ჰკითხა დაჩიმ.

— ჰო, შიმშილით კუჭი მიხმება, აქ წავიბალახებო... — ეს თქვა და იქვე მთიდან ჩამოგორებულ, მუჭის სიმსხო, ცისფერი ბროლის ნატეხს დაწვდა და შაქარყინულივით ჩაახრამუნა.

— მე აქ დავჯდე და შენს ხრამახრუმს ვუყუროო? — აღშფოთდა დაჩი.

— შენ რატომ, მიდი იმ თეთრი ბროლის კოშკთანო.

დაჩიმ მიიხედა, მოშორებით მოვარდისფრო, მომწვანო ბროლის მთებსა და ვერცხლის ციმციმა მწვერვალის გვერდით ქათქათა კოშკი შენიშნა, რაშს ქუსლი ჰკრა, აქ რას უდგეხარ, რატომ იქ არ მიგყევარო, და კინაღამ ელვის მათრახიც გადაუჭირა.

— არაო! — შეეხვეწა რაში, — იქ ისეთ მოწყენილ სიმღერას მღერიან, მაშინვე ჭამის მადა მეკარგება და დიდიხნის ნაშიმშილები ვარ, უკან წასვლას ვეღარ შევძლებო.

რაღას იზამდა, ზურგს უკან ჩამარყუჟებული ფაფარი გამოხსნა, ჩამოხტა დაჩი, ელვის მათრახი მოკეცა და იქვე, ალმასის ლოდზე დადება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

— კარგი, რომ მოიბალახებ, იცოდე, იმ კოშკთან მოდი, თორემ ხომ არ დაგავიწყდა, მე ვინა ვარო.

— მუცელს რომ ამოვივსებ, მოვალ, მერე თუ დავსევდიანდები, ჯანდაბას ჩემი თავი, მაგრამ სჯობია ყურები დამიცო, თორემ იქიდან წასვლას ვერც მე მოვიფიქრებო.

დაჩიმ ჯიბეები მოიქექა. სადღაც ყავისფერი ხაძერწი პლასტილინი ეგულებოდა. იპოვა, ორად გაყო და რაშს ყურები ამოუტენა.

მიბრუნდა ფრთიანი მერანი და ბროლის, ვერცხლისა და ალმასის ნატეხებს ხვლიმინ-ხვლიმინი აუტეხა.

დაჩი კი გზას დაადგა.

იარა, იარა, მართლაც მოესმა ისეთი ნაზი, მოწყენილი და სევდიანი მუსიკა, თვალები ცრემლებით აევსო. მიდის, მიდის, მუსიკა თითქოს არც კი ძლიერდება, მაგრამ თანდათან ისე უკვდება გული, ვითომც დედამიწიდან ასი წლის წინ წამოსულიყოს და ახლაც უკან დაბრუნების არავითარი იმედი აღარ ჰქონდეს. უახლოვდება ამ ქათქათა ბროლის კოშკს და სასოწარკვეთილს ცრემლები ნიკაპთან ენასკვება. ცხვირსახოცი რომ ამოიღოს და შეიმშრალოს, არც ის უნდა. ახლა თუ რაიმე უხარია, ის უხარია, რომ ცრემლები ჩამოსდის.

ხედავს, სასახლის ეზოში ისეთი მშვენიერი სევდის ბაღი გაუშენებიათ, ტირილით ვერ გაძღები.

„ახ, მთვარევ, მთვარევ!..."

არსად არც დარაჯი ჩანს, არც ჯარისკაცი, არც ლომი, არც ავაზა, ძაღლი რომ ძაღლია, არც ისაა არსად. ამ სასწაულ ბაღს მხოლოდ სევდა დარაჯობს, ცრემლი იცავს მტრის შემოსევისაგან და დარდი მასპინძლობს სტუმარს.

გაისმა ამ უსევდიანეს მუსიკაში ქალიშვილის ხმა, როგორც ბროლის ჭიქა ბროლის ჭიქას რომ მოხვდება და გაიწკრიალებს.

— ოხ, მთვარევ, მთვარევ! — აღმოხდა დაჩისაც ისეთი გულისტკივილით, თითქოს არც დედ-მამა ჰყოლოდა, არც და-ძმა და ბიძაშვილები. თითქოს მეზობლის ბიჭს გასაჭირში მიეტოვებინოს და მეზობლის გოგო დევს სამარადჟამოდ მოეტაცებინოს.

მიადგა დაჩი ბროლის კოშკს, შემოუარა, ვინაა კარის გამღები, რომ დააკაკუნოს, არც ეს უნდა; უკან რომ გამობრუნდეს, არც ის, ქვეყნად არაფერი არ უნდა, ცრემლის ღვრისა და ამ უსასოო სიმღერის მეტი.

— ახ, მთვარევ, მთვარევ...

მოისმის ქათქათა ბროლის კოშკიდან.

— ოხ, მთვარევ, მთვარევ!... — ალვარღვარებს ქვევით და[illegible] ცრემლებს, სულ დაილუმპა გულისპირი...

ბოლოს იისფერი სარკმლიდან, იისფერი ბროლივით სუსტმა, ლანდადქცეულმა ვერცხლისნაწნავიანმა მზეთუნახავმა გადმოიხედა. არც უკითხავს. აქ საიდან გაჩნდიო, მტერი ხარ თუ მოყვარეო, ან რაზე გარჯილხარო.

ვიღაცეებმა კარები მაინც გააღეს, დაჩისთვის სულ ერთი იყო, კოშკში შევიდოდა თუ გარეთ დარჩებოდა, მაგრამ რაკი კარები გაიღო, შევიდა. მიდის ამ თეთრი, ცივი მარმარილოს კიბეებზე. არც საფეხურებს ითვლის, არც კედლებს და ჭერს უცქერის, არც სიფრიფანა ვერცხლის კაბებში ჩაცმულ, ვერცხლის თმებჩამოშლილ ფარეშებს. უშველებელ დარბაზშიც ისე შეაბიჯა, თავიც კი არ დაუკრავს არავისთვის.

იქაურობას მთვარის მოიისფრო სინათლე ანათებს, შუა დარბაზში ცრემლის შადრევანი იცრემლება, ირგვლივ შემოსხდომიან მთვარის მზეთუნახავები და შემაღლებაზე დგას ბროლის, მარმარილოს, თეთრ-იისფერი სიზმრის ტახტი და ამ ტახტზე ზის სევდის დედოფალი. დედოფლის დანახვამ დაჩის თავისი სევდაც დაავიწყა და სხვა დანარჩენი ფარეშებისა და მზეთუნახავებისაც, რაკი მის ლანდადქცეულ სახეზე რაც ქვეყნად უიმედობა და გულისტკივილი იყო, ყველა ერთად ამოიკითხა.

დარბაზის ირგვლივ ისხდნენ სულ ერთნაირი, უნუგეშობით სასოწარკვეთილი მემუსიკენი, მუხლებზე ალმასის ჩანგები დაედოთ. ჩანგისთვის მთვარის სხივები გაებათ და გრძელ, შხვართალა, ოდნავ მოვარდისფრო ბროლის თითებს ნაზად ახებდნენ სიმებს, უკრავდნენ დამწვრის, გულდათუთქულის მუსიკა-სონატას, რომლისთვისაც იქაურ კომპოზიტორ-მზეთუნახავს „ცრემლის წყარო“ დაერქმია.

ახ, მთვარევ, მთვარევ...

ცრემლ-ნაღველით ამოიმღერებდა სევდის დედოფალი, რომელსაც მთვარის სხივისაგან ნაქსოვი, კოჭებამდე კაბა სულ სველი ჰქონდა ცრემლით.

ახ, მთვარევ, მთვარევ...

სევდიანი ნიავივით გადაუვლიდა სიმღერა მზეთუნახავებს, რომელთაც კაბები ისევ დალუმპული ჰქონდათ, როგორც დედოფალს.

— ოხ, მთვარევ, მთვარევ... კვნესით და ოხვრით ჩაიჩურჩულ-ჩაიმღერებდა დაჩი, რომლის პერანგის გულისპირიც გასაწური გახდა.

არავინ სიტყვას არ ამბობდა, არავის სტუმრის ამბავი არ უკითხავს და არც თავისას მოჰყოლიან, დაჩის ელვის მათრახისთვისაც არ მოუქცევიათ ყურადღება. არავის სევდის მეტი არაფერი არ უნდოდა. ცრემლით ხვდებოდნენ უცხო კაცს, ცრემლით საუბრობდნენ, ცრემლით მასპინძლობდნენ და ცრემლით ისტუმრებდნენ. ეს მათთვის სტუმარმასპინძლობაც იყო, სიყვარულიც და მტრობაც, სიხარულიც და ტკივილიც, სიმღერაც და ტირილიც.

კაცისშვილმა არ იცის სანამდე დარჩებოდა დაჩი ამ სევდის სასახლეში, რომ გარედან პლასტილინით ყურებდაცობილი რაშის ჭიხვინი არ გაეგონა.

თვალცრემლიანებმა როგორც მიიღეს, ისევე გამოაცილეს.

როგორც კი დაჩი სევდის ბაღში მარტო დარჩა, მაშინვე მასთან გაჩნდა კარგად ნაბალახები ფრთიანი რაში.

დაჩის არც დარჩენა უნდოდა და არც უკან წამოსვლას აპირებდა. მაგრამ, რაკი რაში მოლილისფრო ლოდის გვერდით იდგა, უნებურად იქით გასწია და ზედ ისე გადაახტა, მისთვის სულ ერთი იყო, ფრთიან მერანზე ჯდებოდა თუ ბებერ ჯაგლაგზე. არც ფაფარი უძებნია და არც ძუა, მაგრამ რაშმა, აქაო და ზურგზე შევისვიო, ჰკრა კამარა და იქაურობას თვალის დახამხამებაში გაეცალა. მიწყდა სევდის მუსიკა და დაჩის თვალებზე ცრემლი შეაშრა. მთვარეს რომ შემოუარეს, დედამიწა გამოჩნდა დიდ მთვარესავით. დაჩი ფრთიან ბედაურს გაშლილ ფაფარში ჩააფრინდა, ძირს არ გადმომიძახოს თუ არა სევდის

ბაღი და სასახლე სანატრელი გამიხდებაო.

რაშმა თავი მოაბრუნა:

— ყურებიდან სანთელი ამომაცალე, დამაყრუაო.

— ვაი შენს პატრონსო! — უთხრა დაჩიმ, — სანთელი და პლასტილინი რომ ერთი გგონიაო.

—რა ვიცი, ჩემს პატრონს სამხატვრო აკადემია კი არ დაუმთავრებიაო, — თავი იმართლა რაშმა, — იმ სევდის ბაღშიც და სასახლეში ისე დასეირნობდა, კურცხალი ცრემლი არ გადმოვარდებოდაო.

— ხატვა და სიმღერა რომ არ იცის, წერა-კითხვა და ზღაპრების მოსმენა არ უყვარს, ამიტომაა ქაჯი რომ არისო! — აუხსნა დაჩიმ.

ამ ლაპარაკში დედამიწა სულ დიდდება და დიდდება, მთვარე კი იკლებს, პატარავდება.

ბოლოს, მთვარე რომ ნამდვილ მთვარეს დაემსგავსა და ფრთიანმა ბედაურმა ღრუბლებში დააპირა მოკლეზე გაძრომა, დაჩიმ უთხრა — შემოუარეო.

— ასე უფრო მალე მივალთო, — არ დაიშალა რაშმა.

— შე ქაჯის გაზრდილო, არ გაგიგონია: შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო:

გადაუხვია რაშმა, ღრუბლები გვერდზე დატოვა, დაჩიმ ელვის მათრახს ცხვირსახოცი წააძრო და უცებ მოიქნია, რომ ხელები არ დათუთქოდა, მოისროლა. შავ ღრუბლებს ელვა დაეცა და იჭექა, მაგრამ რა იჭექა.

— უჰ, რა კარგად უთქვამს, ვისაც უთქვამს, შორი გზა მოიარეო... ახლა იქ — ღრუბლებში რომ ვყოფილიყავი, მეხის ცემას ვერ გადავურჩებოდითო. — მიხვდა თავის შეცდომას ფრთიანი ბედაური.

— კაცურ კაცთან უნდა იარო, იმ ქაჯებს რომ დასდევ, ყოველდღე რაღაცას ისწავლიო! — დაარიგა დაჩიმ და რაშიც ელვასავით ჩაეშვა კლდემაღალას ჩანჩქერთან.

გოგო-ფერია, რა თქმა უნდა, იქ არ დახვედრიათ, მთელი ღამე წყალთან ხომ არ დაჯდებოდა და მოხუცი მამას დარდით გულს ხომ არ გაუხეთქავდა.

— წადი! — უთხრა დაჩიმ, როცა ჩამოქვეითდა, — იმ გოგო-ფერიას და მამისს ჩემგან მადლობა გადაეცი. თავიდან ცოტა კი გაჯიუტდი, მაგრამ ისეთი უძირო სევდის ქვეყანა მაჩვენე, ახლა არც შენი სამდურავი მეთქმისო.

— პირიქითო, — მიწა დატორა ფრთიანმა რაშმა, — გაძღომით კარგად გავძეხი...

— გაძღომა რა პასუხია, შენ ისევ ქაჯის ცხენივით ლაპარაკობ, — გაუსწორა დაჩიმ, — უნდა თქვა — დავნაყრდიო.

— ჰო, დავნაყრდი, შორიდან მოვივლი, რომ შინ მშვიდობით მივიდე, რაც მთავარია, პლასტილინი სანთელში არ ამრევიაო.

— აბა შენ იციო...

— მე ვიცოდე და ჩემმა რაშობამაო.

დაადგა დაჩი გზას და გამოსწია სახლში.

დაჩის თავი დაღამებისთანავე რომ არ მოემძინარებინა, ამოდენა ზღაპრის მოსმენა არ გინდოდა? ის კი არა, ახლაც ძლივს გაძლო და ბოლო სიტყვები არც კი გაუგონია, ისე ჩაეძინა.

მანო რომ გარეთ უხმაუროდ გამოვიდა, ქვეყანას სევდიანი, მოწყენილი მთვარე დაქათქათებდა და ვარსკლავები შორეული იმედივით ციმციმებდნენ.

რადიოში ძილისპირული გადმოსცეს. დაჩის დაძინების დროა. ბაჩო არა და არ ჩანს.

— ბოლოს და ბოლოს, კაციშვილმა წესი და რიგი უნდა იცოდეს? — თქვა გაჯავრებულმა მანომ.

— გაკვეთილები ხომ ისწავლე? — ჩაერია დაჩი.

— გაკვეთილები რომ ვისწავლე, ახლა ფორმის კაბა უნდა დავიუთოო, ზოგიერთი ბიჭივით, დაჭმუჭნული ტანსაცმლით ხომ ვერ ვივლი?

— მარტო კაბა კი არა, ბაფთაც უნდა

გაიუთოო, შენ გოგო ხარ, დაია, — ჩაილაპარაკა დაჩიმ.

— ძალიან კარგიც, რომ გოგო ვარ და შენ ძმასავით უგზო-უკვლოდ არ დავხეტიალობ, ბოლოს და ბოლოს ხომ იცოდა, რომ შენთვის დღეს მზის ზღაპარი უნდა ეამბნა?

— არ დავიძინებ, მოვუცდი. — თქვა მოწყენილმა დაჩიმ.

— მე ვიცი, ამაღამ ჩვენს კლუბში ახალი კინოფილმი გადის, არც კი მეეჭვება, ბაჩო იქ ზის და ისე არხეინად უყურებს ეკრანს, თითქოს ამ საღამოს შენთვის ზღაპარი უკვე ეამბოს.

— დაია, მე ბაჩო არ მომწონს, — ნამეტანი დასევდიანდა დაჩი.

— ბაჩო ჩემი ძმაცაა და ასეთი ლაპარაკი არ გამაგონო, — განაწყენდა მანო და უთო გასახურებლად ჩართო. თქვი, რომ ბაჩოს დღევანდელი საქციელი არ მოგწონს.

— საქციელი არ მომწონს, — გაასწორა დაჩიმ.

— არა, თუ კინო მაინც და მაინც უნდა ენახა, შეეძლო მე შემხვეწნოდა, ჩემს მაგივრად მოუყევი დაჩის ზღაპარიო.

— ხვალე შეგეხვეწება. — იპოვა გამოსავალი დაჩიმ.

— ხვალაც რომ მე მოგიყვე?!

— არა, ახლა რომ მომიყვე...

— აჰა. — მიხვდა მანო, — დღეს მოგიყვე და ბაჩო ხვალ შემეხვეწება?

— ჰო, — დაეთანხმა დაჩი, — ახლა მინდა ზღაპარი.

— ახლა თუ მოგიყვები, ხვალ შეხვეწნა რაღა დროსი იქნება. მადლობა მაინც უნდა მითხრას.

— შეგეხვეწება და მადლობას გეტყვის.

— თუ შემეხვეწება და მადლობას მეტყვის, რა გაეწყობა, უნდა გიამბო, — მანომ უთო გამორთო.

— წამოდი, ჩქარა, ამდენი დრო არა მაქვს.

როცა დაჩიმ საწოლთან ტანსაცმლის გახდა დაიწყო, თქვა:

— დაიწყე, დაია, გისმენ. კაბა ხომ უნდა გაიუთოო, ზოგიერთი ბიჭივით დაჭმუჭნული ხომ ვერ ივლი.

— დაჭმუჭნილი ბიჭი ვის გაუგონია?! — გაოცდა მანო, — ტანსაცმელდაჭმუჭნილი და, ამის გარდა. არ მიყვარს, როცა ცალი ყურით მისმენენ.

ამ დროს ბაჩომ არ შემოაღო კარები!

— აჰა, სადა ხარ, მთელი საღამო? — უსაყვედურა მანომ, — კინოში ბრძანდებოდი, არა? და მე არც კი შემეხვეწე დაჩის ჩემს მაგივრად ზღაპარი მოუყევიო.

— რატომ უნდა შეგხვეწნოდი? — ეწყინა ბაჩოს. — მე თავის დროზე მოვიდოდი და რიგი და წესი ვიცი, მაგრამ მექანიკოსს ორჯერ კინოფირი გაუწყდა და, რაც გადაწებებაში დრო დახარჯა, მეც იმდენი დამაგვიანდა. ჩემი ბრალია?

— ტყუილად გავლანძღეთ ბაჩო. — გაიფიქრა დაჩიმ, — ავჩქარდით, ჯერ ამბავი უნდა გაგვეგო.

მანო, რა თქმა უნდა, თავის საუთოოს დაუბრუნდა, ბაჩომ ზღაპარი დაიწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# კლდის ვეფხვი

## ბიოგრაფიული რომანი

### ტიანშანი

— მეორე დღეს სიურპრიზი მელოდა. ჩემდა გასაკვირად და სასიხარულოდ, მიხეილმა მოიკეთა, გრძნობაზე მოვიდა, აზრიანად ალაპარაკდა. ნორმალური ადამიანის მსჯელობა ჰქონდა. ამ ამბავმა სამოქმედოდ განმაწყო. უცბად მომეცა იმედი, რომ ჩემს მიხოს როგორმე გადავარჩენდი. მთელი ღამე გული რაღაცას მეუბნებოდა... ამ წუთში კი ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა დედამიწის ზურგზე. უცბად თვალწინ წარმომიდგა თბილისის აურიამულებული ქუჩები, იქაური ამხანაგები, ალპიური კლუბის შენობა. ჩვენ ხელს გვართმევენ — გვანუგეშებენ — არა უშავს, მშვიდობა ხომ არის და გამარჯვების პიკს ოდესმე გავუსწორდებითო...

„მშვიდობა ხომ არის და“....

მართლაცდა, მშვიდობა იყოს და სხვა ყველაფერი მოესწრება, გაკეთდება.

დარიც რომ მშვენიერია, ჩემი განწყობილების შესაფერისი. დათბა კიდეც. ახლა ჩვენც უნდა გავინძრეთ, ვიმოქმედოთ, ვიბრძოლოთ.

„მაგრამ ისინი? სად არიან ისინი? როგორ არიან ისინი?“

„ქვაბიდან“ გამოვედი და გარშემო მიმოვათვალიერე. ესეც ახალი ამბავი — ჩვენს ზემოთ, რამდენიმე მეტრზე კარავი დგას.

— ჰე... ჰეეი!.. — აღმომხდა სიხარულის ყვირილი.

კარვიდან კუზმინმა გამოყო თავი.

— მიხეილ, შენა? — გაუკვირდა კირილეს ჩემი დანახვა.

მისთვის მე მართლაც ციდან ჩამოვარდნილივით ვიყავი. ჩვენი თავშესაფარი ხომ თოვლშიიყო ჩათხრილი და ერთი თვალის გადავლებით ვერა კაცი ვერ აღმოგვაჩენდა, ისე ვიყავით შენიღბულნი და შენივთებულნი გარესამყაროსთან.

— ჩვენ აქა ვართ, აი, ამ სახუნდარში, — ხელით ვანიშნე ორიოდე ნაბიჯზე ამობურცულ თოვლიან ბექობზე.

— მიხო მანდ არი?

— მანდ არი, აბა არა?

— გაბლიანი და კუხიანიძეც მანდ არიან?

„რაო, რა თქვა? მანდ არიანო. სად არიან... თავში ამერია ყველაფერი. უცბად თითქოს ურო ჩამარტყესო, კირილეს სიტყვებმა თავზარი დამცა. გულმა იმ წუთშივე ცუდი რამ მიაზრა.

— ილიკო და თემო ხომ არ გინახავთ? — კვლავ ჩამომძახა კუზმინმა.

— აკი თქვენ ერთად იყავით. ერთად წახვედით და ყველაფერი...

— ერთმანეთს დავცილდით და ავცდით... — ენის ბორძიკით ამბობს კუზმინი.

„ორ ნაბიჯზე როგორღა დაკარგეთ ერთიმეორე? რანაირად მოხდა ეს?“

მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო, რაღაც უნდა გვეღონა. მაგრამ რა?

ამ დროს მაღლა, თხემზე, ისინიც გამოჩნდნენ. გაბლიანი და კუხიანიძე კუს ნაბიჯით ეშვებოდნენ დაბლა. ცოტა დავწყნარდი. გული, როგორც იტყვიან, საგულეს ჩადგა. დამშვიდებული შევძვერი ჩვენს სახუნდარში და მიხეილის გამზადებას შევუდექი. მალე კუზმინი და ჯუმბერიც ჩამოვიდნენ ჩვენთან ისე, რომ მეორე წუვილისათვის არ დაუცდიათ. ერთიანი ძალებით მიხო დავსვით თოვლზე და ძირს ჩავაქროლეთ. ეს მონაკვეთი, დაახლოებით სამასი-

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 3.

მეტრის დაღმართი, სწორი და უხიფათო შეგვხვდა. ერთ-ორ ადგილას, სადაც კლდეებზე იყო გასასვლელი, მიხო ფეხზე დგებოდა, ხელს ჩამავლებდა და ისე ცდილობდა იქ გასვლას. ერთი სიტყვით, სახიფათო ადგილები მას ერთგვარად აფხიზლებდა. ამიტომაც შეგნებულად კლდიანებზე გავდიოდი, იქნება როგორმე მომებრუნებინა ამხანაგი.

კირილესა და ჯუმბერსაც უჭირთ. ძლივს მოაბიჯებენ. ხანდახან იმათი დალოდინება გვიხდება. ამიტომაც უნაგირამდე ჩასვლას კარგა ხანი მოვუნდით. 7.000-ზე რომ დავეშვით და უკან მოვიხედეთ, ილიკო და თეიმურაზი ველარსად შევნიშნეთ. გავჩერდით და დაველოდეთ. ამასობაში აცივდა. ალბათ ორმოცი გრადუსი მაინც იქნებოდა ყინვა. ისევ გამოვთხარე ფერდი, თავშესაფარი გავაკეთე. მიხო შიგ შევსვი და ზევით ავუყევი თხემს. უკვე შვიდი საათია და ღამისეული ბინდი დგას. ბიჭებს უნდა მივეშველო, თორემ მერე გვიან იქნება. რამდენიმე ნაბიჯით წავიწიე და ისინიც გამოჩნდნენ. ილიკოს მთელი სახე ჩაშავებული აქვს, ჩაშავებული და გალურჯებული. ცალ ფეხზე შაკელტონი გასძრობია და ვერც კი გრძნობს ამას, ისე მოაბიჯებს, ლაპარაკი უჭირს.

უცბად გავშალე კარავი, რომელიც მათ ჰქონდათ თან წაღებული. გავაწყვე პრიმუსი. კარავში დათბა. მერე შარვლის ტოტები ავუწიე და... მისი ფეხები ყინულის ზოდებივით მომხვდა ხელში. მუშაობას შევუდექი. ვუზელდი შეუსვენებლივ, მერე იმას შევეშვებოდი და კუხიანიძეს მივუბრუნდებოდი. ბოლოს მიხოსთან გავიქცეოდი.

— ისინი... ისინი როგორღა არიან? მიხედე, იმათ მიხედე... — მაგდებდა მიხეილი.

— ეჰეჰეეი... — მოდიოდა გარედან სასოწარკვეთილი ხმა, — ეჰეჰეეი...

— იმათ მიხედე, გემუდარები იმათ მიხედე...

— წყალი... წყალი... მოიტათ წყალიი..;

ქვაბი კი თუხთუხებდა, თოვლი დნებოდა შიგ.

— აი, გადნეს, გადნეს და გავუტან...

— მაინც რა მოხდა, რატომ დაიშალენით ასე? — ვეკითხები მერე ილიკოს.

— ძალიან მეცოდები. ძალიან მეცოდები, იქ რომ არ ამოხვედი.

— რანაირად დაშორდით ერთიმეორეს?

— ყველაფერს ქვევით მოგიყვები, რომ ჩავალთ, იქ მოგიყვები.

## *მზის მონატრება*

— ახლა საჭმელს გავაკეთებ...

— რა თქვი? შენ არ გძინავს?

— კისელს მოვადუღებ. ხომ დალევ?

— რა დროსაა. საცაა ინათებს. ახლა რა დროსია. იცი რა, ცოტა რომ დაისვენო, მე მგონი აჯობებდა. იცი, როგორ მტეხს კუნთები? შენ რომ მზელდი, მე მეძინა. მართლა მეძინა. ლეგამის რიყე დამესიზმრა. რომ წამოვწვებოდით დედიშობილანი ქვიშაზე, ზურგს მზეს მივუფიცხებდით და ერთიმეორეს მორიგეობით ვუზელდით კუნთებს.

— ჰო, მე კიდევ რა მახსოვს, იცი? უფროსები ტიტლიკანებს რიგში რომ ჩაგვაყენებდნენ და მკერდზე მუშტების ბრაგუნით წაგვიყვანდნენ გვალდირისაკენ. ჯარისკაცული მწყობრი ნაბიჯით მივდიოდით და მუშტებს მკერდზე ვიბრაგუნებდით — მკერდი დაგვიკუნთდებაო.. არ ვიცი, ვის გაახსენდა პირველად, მაგრამ მთელი სოფელი კი ჩვენ მოგვჩერებოდა, ეს რა ხალხია და რა მუშტების ბრაგუნი აქვთ ამტყდარიო. და კიდევ მდინარის გადალახვა... გახსოვს, ჰოკზე რომ გადადიოდი აეროპორტში და ენგურში მოადინე ტყაპანი, ბედად შუაწელში ლოდს ჩაეჭიდე და თავი შეიკავე როგორღაც. მაგრამ მოშველებას ვერავინ ბედავდა, ადიდებული ტალღებისა ყველას ეშინოდა, შენ კი გათოშილი და ფერმილეული, მავედრებელი თვალებით მოგვჩერებოდი ნაპირზე მოგროვებულ ამხანაგებს... მერე შენ დაიძახე...

— ვინც გამიყვანს აქედან, საშაშვე მახეს ვაჩუქებ-მეთქი... — ღიმილი გაუკრთა სახეზე. — კარგად მახსოვს, რომ ხარხარი გამოიწვია ჩემმა ნათქვამმა, — ღიმილით წარმოთქვა მიხომ.

— შუა ზაფხულში საშაშვე მახეში რა ჩიტი გაყოფდა თავს. უცნაურია, მაინც რამ გაგახსენა საშაშვე მახე იმ დროს?

— აბა სხვა რა მებადა. სხვა არაფერი მებადა.., მახეები კი იცოცხლე! შენთვისაც ბევრი გამიკეთებია...

— კი მაგრამ, ძუა ხომ ჩემი იყო? იმ სიგრძე ძუა მომქონდა, მახეს ვინ დამამადლებდა... რაც მართალია, მადლიანი ხელი კი გქონდა. მახსოვს, სულ პირველად რომ დავიჭირე ჩიტი, ჩამოვუყევი ბიჭებს და ხმამაღლა გავიძახოდი — ტორროლაში გვრიტს ვინ გამიცვლის-მეთქი.

— ერთ ზღაპარში რომ არის, ნახშირზე ოქროს ვინ გამიცვლისო, ისე გამოგდიოდა შენც. ვინ სულელი გაგიცვლიდა გვრიტს ტოროლაში...

— იცი რა, შენ უკეთა ხარ, მიხო... ცოტა უკეთ ხომ ხარ, მითხარი. გულახდილად მითხარი. იცი, შინ რომ დავბრუნდებით, მოდი, ერთად შევიყაროთ ბავშვობის ამხანაგები და მაშინდელი საქმეები გავიხსენოთ... აი, თუნდაც მუშტების ბრაგუნი. ჩავმწკრივდეთ და გვალდირისაკენ გავსწიოთ ჯარისკაცულად... რა იქნება ამაში ცუდი... მდინარის გადალახვაში შევეჯიბროთ ერთმანეთს, ქვის კვრასა და ხტომაში....

მიხო ოცნებებში გადავარდა. ხმა აღარ ამოუღია, შეიძლება ჩაეძინა კიდეც, ქვაბი ისევ თუხთუხებდა. რა სანატრელად თუხთუხებდა! ძნელად ვინმე თუ წარმოიდგენს, რაოდენ სასიამოვნო გრძნობას ბადებს წყლის თუხთუხი,

დუღილის ხმა ყინულეთში, როცა ყოველივე სიცივისაგან შავდება და კვდება, როცა სხეული უკვე ველარ ათბობს გაყინულ ჰაერს და ჭაფადამდგარი ფილტვები იწყებენ ხიხინს, წყლის თუხთუხის სანეტარო ხმა მშობლიური სახლის ბუხარს გახსენებს, ბუხრის გახსენებაზე კი მთელს სხეულში თბილი ჟრუანტელი დაგივლის.

მალე კისელი მზად იყო.

„ახლა უნდა ჩამოვარიგო ჭიქა-ჭიქა...“

მაგრამ მიხომ თავი გადააქნია — არაფრის ჭამა არ შემიძლიაო. მე ძალით ჩავუსხი კისელი პირში, მაგრამ ვერ ჩაყლაპა. ეს ამბავი არაფრად მესიამოვნა. „კი, მაგრამ, უკეთ როგორღა არი, თუ კისელის გადაყლაპვაც კი არ შეუძლია?“ — გამკრა გუნებაში. უცბად შევშინდი — „ვერა, ვერ არი კარგად საქმე. ჯგუფი წელში გატეხილი. ყველას უჭირს, ყველა ერთ დღეშია. მხოლოდ მელა შემოვრჩი საღ-სალამათი. მართლაც, უნდა მივხედო საკუთარ თავს, ძალა და ენერგია გამოვიზოგო, თორემ სამუშაო ბლომად იქნება...

— ეპეპეეი, ეპეპეეი... წყალი... წყალი... — ისმის კარვიდან ილიკოს ყვირილი.

და კვლავ ათუხთუხდა ქვაბი. თოვლი ნელნელა დნება. ეს უკვე მერამდენედ ვადნობ თოვლს. მერე ხელის ფათურით მივძვრები კარვისაკენ, და კვლავ ვასმევ მწყურვალს. ვასმევ და ვზელ, ვზელ მორიგეობით, ჯერ ილიკოს, უფრო გაჭირვებულს, მერე კი თეიმურაზს. და კვლავ ჩვენს სახუნდარში ვბრუნდები, მიხოსთან.

— თავს მიხედე, გაიგე, თავს მიხედე! — მეუბნება იგი.

„სამუშაო ბლომად იქნება...“

მერე ავდექი და „თავს მივხედე“. კისელიც ვჭამე და ხორცის ქილაც გავხსენი. ამასობაში ინათა კიდეც. მინდოდა თვალი მიმელულა, მაგრამ ამისი დრო არ იყო უკვე. უცბად განვემზადე. მიხო წამოვაყენე, მერე სხვებს დავუარე, მაგრამ წამოდგომა არავის უნდა. მაშინ ძალით ვაყენებ და დაბლა ვერეკები.

მიხეილი და ილიკო ფეხზე ვერ დგებიან. სხვებიც ბანცალ-ბანცალით მოაბიჯებენ. როგორ უნდა მოვქცეულიყავ? რა მეღონა? ორი ადამიანი რანაირად ამეკიდა ზურგზე? „იქნებ მორიგეობით წავიყვანო? მორიგეობით... იყოს, მორიგეობით“. გზა კი რთულზე რთულია — უნდა შევდგომოდით დასავლეთი მწვერვალის ალმართს.

გავიყვანე მიხო გზაზე. რამდენიმე მეტრი გავიარეთ. დამრეცი მონაკვეთია. ძალიან ნელა და მძიმედ მივდივართ. რაც არ უნდა იყოს, სიმაღლე ზღვის დონიდან 7.000 მეტრია! მერე შევისვენეთ, სულს ძლივს ვითქვამთ. ამ დროს ჯუმბერი მოდის ჩვენთან და გვერდზე მიხმობს. მიხომ რომ არ გაიგოს, ხმადაბლა მეუბნება — „ილიკო გარდაიცვალაო“.

— რას ამბობ, რას? — ვტაცე საყელოზე ხელი ჯუმბერს. ვიცოდი, ასე მოხდებოდა, მაგრამ წინათგრძნობის აცხადება მაინც მოულოდნელი და მტიკვნეული იყო. ყველაფერს შეიძლება შეურიგდე ქვეშეცნეულად ადამიანი, მაგრამ სიკვდილს — არა. რაც არ უნდა ბევრი იფიქრო საკუთარ თუ სხვის სიკვდილზე, ადამიანის უეცარი აღსასრული მაინც მტიკვნეული და დაუჯერებელია.

— მან გამოიხედა კარვიდან. ერთი კი აჰხედა მზეს და დავარდა. მაშინათვე განუტევა სული. პირი დააღო, თითქოს ჰიმღერა უნდა წამოიწყოსო და დავარდა.

ორთავენი ვქვითინებთ. მიხოსკენ ზურგშექცეულნი ვცახცახებთ. მაგრამ მალე მოვდივართ გონს. ტირილის დრო მართლაც არ არის ახლა. ერთი დაუდევრობა, ერთი შეცდომა და ყველანი დავიღუპებით. რაც მთავარია, მიხომ არ უნდა გაიგოს ეს ამბავი. დღესაც ღრმად მწამს, მიხოს რომ გაეგო ილიკოს სიკვდილი, კიდევ უარესად წავიდოდა ჩვენი საქმე. იმაზე უარესად, ვიდრე წავიდა, თუმცა იმაზე უარესი რა უნდა ყოფილიყო, რაც მერე მოხდა...

მერე კი რა მოხდა:

— რა უნდა ვქნათ? — მეკითხება ჯუმბერი, — როგორ მოვიქცეთ? — მის რაინდულ ხმაში გულისტკივილსა და ამავე დროს უიმედობას, უძლურებას ვკითხულობ. იგი დგას მხრებჩამოყრილი და წვერმოშვებული, დამნაშავესავით თავჩამოგდებული, სიცივისა და მწუხარებისაგან აცახცახებული. დგას და პასუხს ელოდება. მაგრამ რა პასუხი შემიძლია გავცე? რა ვუთხრა?

— ჩვენ... ჩვენ ისე ვართ ყველანი... ეს ოხერი, ვერა ვართ კარგად...

„ჭაგლაგ ცხენს საპალნეს აჰკიდებს კაცი? უგუნურმა შეიძლება აჰკიდოს კიდეც, მაგრამ მერე რა? მერე ის რომ ცხენი დაუვარდება და ისიც სათრევი გაუხდება, მეტი რაღა...“ — ვფიქრობ გუნებაში. ჩვენი ჯგუფი ჭაგლაგ ცხენს დამსგავსებოდა. თავად უჭირდა სიარული, უჭირდა სუნთქვა, მოძრაობა. ტვირთს იგი ვერ დაიმატებდა, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაიმატებდა, რაც არ უნდა ძვირფასი და სისხლხორცეული ყოფილიყო იგი.

— მაგრამ იქნებ მორიგეობით ვცადოთ... მაინც ვცადოთ...

მაგრამ მე გადაწყვეტილება მიღებული მქონდა უკვე. ნახევრად მბრძანებლური კილოთი ვეუბნები:

— არაფერი გამოგვივა. ცოცხლებს უნდა ვუშველოთ. მდგომარეობა გვაიძულებს ასე მოვიქცეთ. ილიკოს დავმარხავთ კლდის ძირას. მერე, სხვა დროს ამოვალთ და წავასვენებთ. ახლა, სულერთია, ვერაფერს გავხდებით, თან რომ გადავყვეთ, არაფერი გამოგვივა...

და აი, წევს ილიკო გაბლიანი 7.000 მეტრის სიმაღლეზე, მცირე კლდის თაროზე, კლდის ნა-

ტეხებმოყრილი. ის ნატეხები ჩემს გულშიაც ყრია მძიმე ლოდებად. და არა მარტო ჩემს გულში, ყველას გულში, ვინც მას იცნობდა, ვისაც მისი დიდბუნებოვანებისა და კაცური კაცობისა სმენოდა. და ეს ქვები გულს დამაწვება მანამ, ვიდრე ერთხელ არ ავმაღლდები მის საფლავამდე და ძვირფას მეგობარს საქართველოში, მის მშობლიურ მესტიაში არ ჩამოვასვენებ.

მაგრამ რა ვიცოდი იმ წუთში, რომ მალე ეს გულს მოწოლილი ლოდები კიდევ უფრო დამძიმდებოდნენ. ეს არავი̇ არ იცოდა იმ წუთში და არც შეეძლო სცოდნოდა. ყველაფერი მერე გაირკვა, ჩვენდა სავალალოდ და საუბედუროდ.

## ექვს გამოვაკლოთ ერთი. ხუთს გამოვაკლოთ ორი...

— რა უცნაურია ეს წუთისოფელი, არა? — ხვნეშა-ხვნეშით მეკითხება მიხო.

— რა თქვი? — თავში ილიკოზე ფიქრი მიტრიალებს, იმის ცოლშვილზე ფიქრი. შინ რომ ვყოფილიყავ ამ გუნებაზე, ალბათ ყველასგან განვმარტოვდებოდი, მივიმალებოდი და მივწვებოდი სადმე. სხეული ერთთავად დამძაბუნებოდა, თავი კი მიყრიალებდა. უცბად ვიგრძენი მუხლებში სისუსტე, პირველად ჩემს სიცოცხლეში გამკენწლა გულმა.

ქართველი კაცი ამ სიმაღლეზე არ დასაფლავებულა ჯერ. მისი ნეშტი ქარების ანაბარა არასოდეს მიუტოვებიათ. ილიკო კი, ყველაზე მაღალი კაცი, ამიერიდან მიუსაფარი დარჩებოდა. რა იქნებოდა მის მშობლიურ მესტიაში, ამ საზარელ ამბავს რომ გაიგებდნენ?

რამდენი სვანი, კავკასიონს გაღალმა საცხოვრებლად თუ საშოვარზე გადასული, აღსრულებულა უცხო მიწაზე, მაგრამ ამხანაგთ თუ ნათესავთ აროდეს დაუტოვებიათ იგი შორეთში. ზარის გრიალით გადმოჰყავდათ უბედური ნადირთა წავარნებზე. ახლა კი უნდა დარღვეულიყო მამა-პაპათა ძველისძველი ჩვეულება — უიღბლო კაცის მშობლიურ, ნაკურთხ მიწისთვის მიბარებისა. რა იქნებოდა, როცა ხუთის ნაცვლად ოთხნი დაბრუნდებოდნენ თბილისში? და სამის ნაცვლად ორნი — მესტიაში? რა იქნებოდა?..

წუთით სვანური სამგლოვიარო ზარის ხმა მოვარდა საიდანღაც. ტანში ამბურძგლა და შემზარავ ყრუანტელად დამიარა. სიცივედ დამიარა, ერთიან კანკალმა მოიცვა ჩემი სხეული.

— უცნაურია წუთისოფელი-მეთქი... — გაიმეორა მიხომ.

გამოვერკვიე...

ჩემი გულჩვილობისა შემრცხვა. გონს მოვეგე. ძალა და გონიერება მოვიკრიბე. არა, წუწუნი და ვაი-ვიში არ გამოგვადგებოდა ახლა. სანამ პირში სული გვედგა უნდა გვებრძოლადა გვემოქმედა, გვემოძრავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაზე ამბობ?

— ათას განსაცდელს მოგივლენს. მაგრამ კი არ იცი, — როდის, სად. გახსოვს, ენგურში რომ გადავვარდი და საშაშვე მახეს ვპირდებოდი ვინაც მიხსნიდა, რა სასაცილო იყო, არა? კი მაგრამ შენ? შენ ხომ არაფერს შეგპირებივარ ისეთს, რო არ მეშვები?

— გაჩუმდი, გაიგე? გაჩუმდი...

„სანთლით საძებარი კაცი იყავიო, ვოი...
მამა-ბიძათა მოდგმისაო, ვოი,
გაბლიანების მოდგმისაო, ვოი“...

მოთქვამდნენ მაჩუბის სიღრმეში შაოსანი ქალები. ისინი ლოყებს იხოკავდნენ, კერიის ირგვლივ თავმოყრილნი. იქვე იდგა საწოლი. სამიცვალებულო, ზეწარგადაფენილი, ოღონდ იგი ცარიელი იყო. საწოლზე არავინ იწვა.

— რაებს ლაპარაკობ, არა გრცხვენია?

მიხოს სახეზე რაღაც დამცინავი, ირონიული ღიმილი დასთამაშებს. უსიცოცხლო და გაქვავებული თოვლს დაშტერებია და წამოწევას არ აპირებს. ამ ღიმილში მე მის გულისფიქრს ვკითხულობ: „სულერთია, მაინც ვერ ჩავაღწევდა რადგან ვერ ჩავაღწევ, რა აზრი აქვს ყოველივეს. შენ რაღაზე ირჯები, ნეტავი ვიცოდე...“

მკლავი მოვხვიე წელზე და წამოვაყენე. მერე მოხერხებულად ჩავეჭიდე და დავიძარით ადგილიდან. კუს ნაბიჯით მივუყვებოდით დასავლეთი მწვერვალის აღმართს. ერთი ნაბიჯი... ორი... სამი...

მალე დანარჩენებიც წამოგვეწივნენ.

ერთად როცა ვართ, უფრო იოლია სიარული. მართალია, ერთმანეთს ვერ ვეხმარებით, მაგრამ მაინც. შუა აღმართზე, ვგრძნობ, სუნთქვა მიჭირს. უნდა დავისვენო, მაგრამ მეშინია, მიხოს არ გაუტკბეს თოვლზე ჯდომა. მისი ადგილიდან დაძვრა ჭირს უფრო, თორემ მერე უხმოდ მობანცალებს, დაგყვება და გემორჩილება. მაგრამ ახლა მეტი გზა არაა, უნდა დავისვენოთ. ეს ოხერი ქედი არა და არ დამთავრდა, მაინც რამდენი დაგვრჩა ნეტავი?

და აი ნანატრი წუთები თვალის უსწრაფესად გარბიან. ჩვენ გულიანად ვეწაფებოდით ტიანშანის სულისგამყინავ ჰაერს. ღრმად ვსუნთქავთ. სხეული ნეტარებას მისცემია. მაგრამ არა, თოვლზე დიდხანს წოლა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ჩვენთვის. ოი, რარიგ დამძიმებულა სხეული, მაგრამ უნდა დასძლიო როგორმე ეს სიმძიმე. მოიკრიბო მხნეობა და დასჯაბნო ოხერი ცდუნება თოვლზე ნეტარებისა. უნდა... უნდა... უნდა...

— გამანებე თავი. გამანებე რა, თავი... — მიხო თოვლზე გაშხლართულა და თვალმილულული მიშორებს თავიდან.

წვერი წამოზრდია — მოყავისფრო წვერი სა-

ზეს უფერმკრთალებს, რომელიც სიგამხდრისგან კიდევ უფრო დაჰგრძელებია. ცხვირი წითლად შერუჟლვია, ეტყობა მოჰყინვია. ღრმად სუნთქავს, ხანდახან ამოსუნთქვისას მინავლებული კვნესა აღმოხდება.

მკვიდრად წევს მიხო. ვერც მე, ვერც სხვა, ვერავინ ვერ წამოაყენებს მას ძალისძალად. ისე გემრიელად, მკვიდრად წევს, ვერავინ დაძრავს ადგილიდან. აბა საამისო ძალა ვილას ექნება?

მან თვალები გაახილა. ნელ-ნელა წამოითრია ტანი. მერე საქმე ცოტა უკეთ წარიმართა. ჩვენ ყოველ მესამე-მეოთხე ნაბიჯზე ვეცემოდით და ვისვენებდით, მაგრამ, რაც მთავარია, წინ ხომ მივიწევდით და მივიწევდით. არ ვიცი, რამდენი ვიარეთ მწვერვალამდე, მაგრამ ავედით კი. თავქვე დაშვება იოლი იყო, შედარებით იოლი და ნაკლებდამღლელი. მიხომაც თითქოს მოიხედა, კლდოვანებზე თავისით ცდილობს გასვლას, ყოველ შემთხვევაში, ენერგიულად მეხმარებოდა — ეშინოდა რაიმე ხიფათს არ გადავყროდი, ჩემზე ზრუნავდა.

აი, ქვევით კარავიც გამოჩნდა. ეს დამხმარე ჯგუფის კარავია. ჩვენ გვხედავდნენ. ალბათ დაგვთვალეს კიდეც და მიხვდნენ ყველაფერს. ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი... მეექვსე? მეექვსე რაღა იქნა? — ფიქრობენ დაბლა ამხანაგები. ფიქრობს ექსპედიციის უფროსი. აი, ვიღაც კარვების წინ მიდი-მოდის. ნერვიულობისაგან თავბრუდახვეული ბოლთასა სცემს.

სხვებიც დარბიან. ერთი ფაციფუცი აქვთ ამტყდარი. მაგრამ ბანაკი საამო განცდებსაც იწვევს ჩვენში. კარავთა სიღრმეში წყლით სავსე მათარები გველანდება, აგრეთვე პირსავსე ქილები და მოგუზგუზე კოცონი. იგი ბრდღვიალებს, წითელ ნაპერწკლებად იფრქვევა. ჩვენ ხელები გვინდა მივუშვიროთ და ერთი გულიანად გავთბეთ. ყოველივე გვეჩვენება, რა თქმა უნდა. გვეჩვენება, და როგორც კი გამოვერკვევით ხოლმე ზმანებებიდან, საკუთარ თავზე მოგვდის ბრაზი.

მაგრამ ვიღაც რომ გიჟივით დარბის კარვებს შორის, ეს მოჩვენება არ არის. და რაოდენ ახლობელია ახლა ის კაცი ჩვენთვის, იგი განიცდის ჩვენ გაჭირვებასა და უმწეობას, განიცდის და ყოველნაირად ცდილობს დახმარება აღმოგვიჩინოს. მაგრამ რა შეუძლია მას? იმ სიშორიდან როგორ გამოგვიწოდოს ხელი? როგორ მოგვაწვდინოს მანუგეშებელი სიტყვა? ძალიან, ძალიან შორსაა ჩვენგან ბანაკი, შორს, ქვევით, უფსკრულებისა და ქარაფთა ბოლოს.

და აი მაცდურ ფიქრებში სალამოვდება კიდეც. ყოველივე შორეული, მაგრამ ასე სანატრელი და მშობლიური, თბილი და საოცნებო ჩვენი თვალსაწიერიდან ქრება და უჩინარდება, ღამისეული ბურუსი წვება ჩვენსა და ამხანაგებს შორის, ჩვენსა და ბანაკის ეზოში მორბენალ ადამიანს შორის, რომელიც ყველაზე მწარედ განიცდის თავს დამტყდარ უბედურებას და რაიმე დახმარება და მოშველება კი არ ძალუძს...

დავრჩით ისევ მარტონი, ყინულსა და ქარებს მინდობილნი. ღამე იქნებოდა ჩვენი მასპინძელი, ტიანშანის იდუმალებით მოცული ღამე.

კვლავ დაიწყებოდა ბოდვა, დაიწყებოდა ყვირილი და ვედრებანი.

— წყალიი... ჩქარა... წყალი. — დაიძახებდა რომელიმე ჩვენგანი.

იქნებოდა გოდება. ფიქრი მოეძალებოდა ადამიანებს, ფიქრი მშობლიურ სახლზე, ახლობლებზე...

და კიდევ ქალებზე. და შესაძლოა ეს ჩვენი უკანასკნელი ფიქრი ყოფილიყო, უკანასკნელი სურვილი ამქვეყნიურ სინამდვილესთან გამოსასვლელი... 

## *უშბა. მოგვითხრობს ჯუმბერ კახიანი*

მ ო ნ ა კ ვ ე თ ი **№ 14.** ასვლას ვიწყებთ ექვს საათსა და ორმოცდახუთ წუთზე. ასე ადრე პირველად გავდივართ ტრასაზე. როგორც წყვდიადში მოარული კაცი გრძნობს ხოლმე შუბლით კედელსა თუ ღობესთან მიახლოებას, ისე ვგრძნობთ მოსალოდნელ საშიშროებას, რომელსაც თავსზემოთ გადმომხობილი „კარნიზი“, ე. წ. „სახურავი“ გვიმზადებს. „სახურავი“ მას ხატოვნად შეარქვა მიხეილმა, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა იგი გუშინღამ.

კარნიზიდან მოწანწკარე დამდნარი თოვლის წყალი კეფაზე გვეშხეფება და კისერში ჩაგვდის. გულის შემზარავად წიკწიკებენ წვიმის წვეთები. და არ უჩანს ბოლო იმათ წიკწიკს. რაღა გაურკვეველ წინათგრძნობას მოუცავს მთელი სხეული.

მაგრამ, როგორც საჰაერო მგზავრობისას თანდათან ეჩვევა ადამიანი ლაინერის ყურისწამღებ გუგუნ-რყევასა და მოსალოდნელ საშიშროებებს, მთამსვლელიც, რაგინდ გაუვალი და ხიფათით აღსავსე გზის წინაშეც არ უნდა იდგეს იგი, თანდათან კარგავს შიშისა და ჭოჭმან-ს დამამცირებელ გრძნობას, მასში იბუდებს ბრძოლის, შებმისა და გამარჯვების ჟინი.

ღარი, რომლის დანახვამაც წუხელის ისე გაგვახარა, მაცდუნებელი აღმოჩნდა. ოციოდე მეტრის შემდეგ იგი გაიშალა, გაფართოვდა, მოლიპულ კლდეში გადაიზარდა. ონავარი ბიჭების მიერ დაყრილ სატყუარას რომ გაჰყვებიან ჩიტები, ისე გაგვიტყუა უშბის „ნახმლევმა“ ავბედით მახესთან — გრანიტოვან „სახურავთან“. ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენოდა რომ გვეფრთხილა და გვებრძოლა, რათა როგორმე თავი დაგვეძვრინა მისი კლანჭებისაგან.

ერთხანს შეცბუნებულნი მივშტერებივართ სახურავს.

ამინდი უცნაური დგას. ბურუსი თითქოს შეთხელდაო, ხილვადობა წუხანდელთან შედარებით უკეთესია, მაგრამ მაინც არადამაკმაყოფილებელი — ოციოდე მეტრს იქით კვლავ იდუმალებით მოცული რჩება ჩვენი თვალსაცქერელთათვის ყოველივე. მგონი თოვასაც აპირებს, პირველი ფიფქა ფანტელები სახეზე გვადნება.

— ერთ ყდებშემოფხრეწილ წიგნში წავიკითხე — „კანონი აბლაბუდასა ჰგავს, ღონიერი ობობები გაიბრძოლებენ და გაგლეჯენ, სუსტნი კი გაიხლართებიანო...“ — ბრძნული სიტყვა წარმოთქვა მიხომ, თან ხელი სახურავისკენ გაიშვირა, რითაც გვაგრძნობინა, აბლაბუდაში ამ კედელს ვგულისხმობო.

მაგრამ მიხოს ნათქვამი ჩვენთვის მაინც გაუგებარი რჩება, რადგანაც ამ წუთში ყველანი უჩვეულო გრძნობას შევუპყრივართ, გრძნობას, რომელიც გვთიშავს გარესამყაროსაგან.

— დაცვა შლიამბურის პალოებზე! თუ ღრეჩოს აღმოაჩენთ სადმე, კლდის პალოებიც იხმარეთ... — დუმილს არღვევს ხელმძღვანელი.

ყველასათვის ნათელი ხდება მისი განზრახვა. მიხეილს გადაწყვეტილი აქვს მარტომ შეუტიოს სახურავს. სამკვდრო-სასიცოცხლო რისკზე მიდის! მის სიტყვებზე ტანში გვბურძგლავს, ზაფრა გვეცემა. ერთხანს გაოგნებულნი შევცქერით ერთურთს და ველარაფერს ვამბობთ.

იქნებ ხუმრობს ხელმძღვანელი?

მაგრამ არა! ჩვენი ვარაუდი და სურვილი ვარაუდად და სურვილად რჩება. მიხეილი თავისას გაიძახის.

— ჯერ შლიამბურის პალოები ვცადოთ. როგორც აქამდე, წყვილ-წყვილად ვიაროთ. მალ-მალე ვცვალოთ ერთმანეთი, — შეუბედა მიხეილს გივიმ, — ათ შლიამბურის პალოს მე ჩავარტყამ... — აღგზნებული, შიშგამდგარი იერით ლაპარაკობს იგი.

— ათსაც მე... — წამოაწია მას სიტყვა შალვამ.

— ათსაც მე ჩავარტყამ, — თქვა ჯოკიამ.

— რა თქმა უნდა, ასე სჯობია. დღემდე რა, ცუდად ვიარეთ? როგორც არ უნდა იყოს, ამა-ამბა ვიბრძოლოთ... — ავყვირდით მე და მიხოც.

— ორი კაცი მიდის წინ, თოკის კიბეების დახმარებით ბურღავენ კედელს და როგორც კი დაიღლებიან, ენაცვლებიან სხვები, მერე კიდევ შენაცვლება, ახალი ძალები... გადავლახავთ, ხო კარგი, არა და... — აღარ დაამთავრა ბოლომდე სათქმელი შალვამ.

ყველასათვის ნათელი გახდა — მიხეილი საბედისწერო რისკზე მიდიოდა. მას სურდა მარტოს ეცადა ბედი და ცოცვით თავზე მოჰქცეოდა როგორმე სახურავს. თუ ამას მოახერხებდა, ჯგუფი უცილობლად გააღწევდა თავს ავბედით გამოქვაბულიდან, გავიდოდა მწვერვალისწინა მშვიდობიან თხემზე, რაც მთავარია, მოიგებდა ერთ სამუშაო დღეს...

არა და... მთელი ლომის ხეობა მათი გამარჯვების მოლოდინით სულდგმულობდა, გულშემატკივრები ზეცას ევედრებოდნენ მშვიდობით დაებრუნებინა ვაჟკაცები. თვითონ კი გაუცრუვებდნენ მათ რწმენას, იმედებს... არა, ეს ყოვლად შეუძლებელი იყო! მერედა როგორღა შეეხედა მიხეილს თანასოფლელთათვის, ამხანაგებისათვის, თბილისელი კოლეგებისათვის, ექსპედიციის ხელმძღვანელისათვის — სანდრო გვალიასა და სხვა უფროსი თაობის მთამსვლელებისათვის, რომელთაც უზარმაზარი ნდობა აღმოუჩინეს, როცა ამ ურთულესი კედლის დამორჩილება მას დაავალეს? დიახ, მას ენდნენ ამ პასუხსაგებ საქმეში და ახლა ვალდებული იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გაემართლებინა იმათი იმედი. და არა მარტო იმათი — ამ ბიჭებისაც, რომელთათვისაც უშბის „სარკის“ დამორჩილება წმიდათაწმიდა საქმე, რაც მთავარია, ეს მათი ტრიუმფი იქნება, კიდევ ერთი გამარჯვება ბუნებაზე, ადამიანთა ყოვლისშემძლეობისა და უძლეველობის კიდევ ერთი მაგალითი...

და მიხეილს ამ წუთში თვალწინ წარმოუდგა მამამისი, რომელიც ასე გულიანად შესთხოვდა მას, გაენებებინა მთებისათვის თავი; თვალწინ წარმოუდგა თეთრი მოხუცი, რომელიც ეუბნებოდა: — „მთამსვლელობა სხვაა, მონადირე შეიძლება ხელცარიელი დაბრუნდეს შინ, თავისიანებთან, მაგრამ ამას შინაურების გარდა სხვა ვინ გაიგებს. მთამსვლელობა კი სულ სხვაა — კაცი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, მას მეტი პასუხისმგებლობა აწევს, პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე... ამიტომაც უკან ახდევნებია ხიფათი, და მძიმე განსაცდელის ჟამს თუ გრძნობამ სძლია გონებას — დამარცხდება იგი. მთაში გონიერება ფასობს.

„გონიერება... — ფიქრობდა მიხეილი, — თეთრი მოხუცი ან მამამისი რომ აქ იყვნენ, რას ურჩევდნენ? ან თვითონ რომელი მხრით შეუტევდნენ გრანიტის სახურავს? იქნებ შალიკოსა და მიხოსავით იმათაც უკან გაბრუნება ერჩიათ?

აი, მითხრას ვინმემ, როგორ მოვიქცე, დამარწმუნოს თავის სიმართლეში და აღარაფერს ვიტყვი, ხმას არ ამოვიღებ. ოღონდ მირჩიოს ვინმემ. მაგრამ აქ სხვა ვინ მოვა, ვინ მოგვაწვდენს ხმას? — ამხანაგებმა თქვან. დავუჯერებ. სად ერთის ჭკუა და სად — მრავალთა... ოღონდ უკანდახევაზე ნურაფერს მეტყვიან...

— შლიამბურის პალოებით ვცადოთ? — გადახედა სახემოქუფრულ ამხანაგებს მიხეილმა, — ვითომ გაიბურღება ეს გრანიტი?

„ხედავ, რა ბოროტად აღეწილა. თითქოს

ცუდი რამ უდევს გუნებაშიო...“ — გაახსენდა მიხეილს გარდაცვლილი მეგობრის, მიშლიაევის რამდენიმე წლის წინ წარმოთქმული სიტყვები. ბრძენკაცის სიტყვა წმინდა ღვინოსავით ინარჩუნებდა ძალასა და ცხოველმყოფელობას.

— გაიბურღება... რას არ გაიბურღება... — ერთხმად წამოიძახეს დანარჩენებმა.

— ასე იყოს. იქნებ კარნიზის ძირამდე მაინც გავაღწიოთ როგორმე. ესეც შეღავათია. მერე ცოცვით შევეცადოთ სახურავზე გადაძრომას...

ისევ დუმილი ჩამოვარდა. მიხეილი ბოლო სიტყვას თავისთვის იტოვებდა. ეს კი თითქმის არაფერს არ ცვლიდა. შლიამბურებით კარნიზამდე მართლაც გავიდოდნენ როგორმე, მაგრამ მერე? მერე რაღას აპირებდნენ? ქვევიდან ზევით როგორღა ჩაარტყამდნენ პალოებს? არარა სულიერს არ ძალუძდა ასეთი რამ. არავის ამ ქვეყანაზე, მაგრამ გადაცოცებას როგორღა მოახერხებდნენ? თუ ბურღვა შეუძლებელი იყო, გადაცოცება რანაირად მოხერხდებოდა? „მიხეილს ველარ გადაარწმუნებ, მას იმედი აქვს, მაგრამ ეს ხომ თვითმკვლელობაა. იგი თვითმკვლელობაზე მიდის“ — ფიქრობდნენ ამხანაგები.

— მაშ ასე... — ხელები მოიფშვნიტა მიხეილმა, — დაცვაზე ზედამხედველობას ჯოკია გასწევს. დანარჩენები იმოქმედებენ საჭიროებისდამიხედვით. დღეს ნაწილობრივ დაირღვევა ჩვენი საიერიშო ტაქტიკა...

## ᲢᲘᲐᲜᲨᲐᲜᲘ

კვნესა-გოდების დილა გაგვითენდა. ყველას თავისი სატკივარი სტანჯავდა. ამ სატკივარს ემატებოდა ერთი საერთო მწუხარება, მეგობრის სიკვდილით გამოწვეული. არც კი ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ჩვენმა ბორიალმა და ფუთფუთმა, რამდენ ხანს ვეწყობოდით და ვემზადებოდით სამგზავროდ. ბოლოს, როგორც იქნა, მოვათავეთ ჩაცმა-დახურვა, მასაჟი და შეხვევა — „წასახემსებლად“ ჩამოვჯექით.

— წუხელის უცნაური სიზმარი ვნახე... — ხუმრობა სცადა თეიმურაზმა — კირილე, მომისმინე!

კირილე კვების რეჟიმს მკაცრად იცავს. მისი პრინციპია — „ჭამის დროს სხვა რამეზე ნურც იფიქრებ, ნურც ილაპარაკებ. ჭამის დროს ჭამე, იყუჩე და ჭამე...“ მაგრამ თითო ლუკმა პურის ჭამას საუზმეს ვერ დაარქმევ. და კირილეც უხალისოდ, მაგრამ მაინც პასუხობს:

— მაინც რა ნახე ასეთი, არ გვეტყვი?

— ჩვენებმა თანამგზავრი გაუშვეს. მან გრუხუნ-გრუხუნით ჩაუქროლა გამარჯვების პიკს და ფურცლები ჩამოყარა. ბარათებზე რაღაც პრინციპები იყო ჩამოთვლილი. ერთზე წითელი ასოებით ეწერა — „ყველა ერთისათვის — ერთი ყველასათვის...“ ასეთი რამე არასოდეს არ დამსიზმრებია, საერთოდაც მშობლების გარდა არასოდეს არაფერი არ დამსიზმრებია, რა უცნაური სიზმარია, არა?

— უცნაური? რატომ არის უცნაური? — მხრები აიჩეჩა კუზმინმა, — ჩვეულებრივი სიზმარია, ჩვენ ახლა ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, ეგ რა გასაკვირია...

— ეგ ხომ საბჭოური მთამსვლელობის პრინციპია? — თქვა ჯუმბერმა.

— რომელიც ჩვენ არ დავიცავით, არა? — ნიშნისმოგებით მიუგო თეიმურაზმა.

— მე... მე რომელიღაც დუქანში ყველსა ვჭამდი. უცბად ფანჯრიდან დავინახე მდევარი, რომელიც მე მეძებდა. უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ ყველი შეუჭმელი რომ მრჩებოდა? ავდექი და უბეში ჩავიფუთნე, უსირცხვილოდ ჩავიდე უბეში და გამოვიქეცი... — თქვა მიხომ, — ეს რანაირი სიზმარია თქვენი აზრით?

მაგრამ ჩანდა ხუმრობის გუნებაზე არავინ იყო. ეს ლაპარაკიც ნაძალადევად იყო წამოწყებული თემოს მიერ, იმიტომ, რომ იგი საჭიროდ თვლიდა მხნეობისა და ძალის მოკრებას. თემო ფიქრობდა, რომ ასეთი ცხვირჩამოშვებულნი და პირმოქუფრულნი შორს ველარ წავიდოდნენ. რა თქმა უნდა, მწუხარება მწუხარებად დარჩებოდა, მაგრამ იქნებ ცოტა ძალა მოეკრიბათ, იქნებ სამგზავრო გუნებ-განწყობილებაზე მოსულიყვნენ. მაგრამ ამაო იყო ყოველივე. მოჩვენებითი ღიმილი უმალვე გაჰქრა ჯერ მიხოს, მერე კი თემოს სახიდანაც. ბანაკი კვლავ რაღაცნაირმა ურვამ მოიცვა.

— იცით, სიზმრების ახსნა ხვალისათვის გადავდოთ, გავერთეთ ლაყბობაში, — წამოხტა ზეზე კუზმინი, — ამ წუთში ყოველივე უაზრო და სულელურია, გარდა ძირს დაშვებისა.

— თეიმურაზი ჩემთან წამოვა. მე, მიხო და თეიმურაზი ერთად დავეშვებით, — შევთავაზე ჯუმბერსა და კირილეს, — თქვენ უფრო ადვილად ივლით.

— არა. მიხო რომ აგკიდეთ, ეგეც საკმარისია შენთვის, — თქვა ჯუმბერმა, — ჩვენ შევეჩვიეთ უკვე ერთმანეთს. კირილე, ხომ მართალს ვამბობ.

წინ გასულ კირილეს არ გაუგონია მისი კითხვა. თემომ კი მითხრა:

— შენ ძმას მიხედე, ჩვენ როგორმე ჩამოვალთ, მიხო ჩამოუშვი როგორმე.. — თბილად, სიყვარულით, მადლიერების გრძნობით მითხრა თემომ. თვალები რატომღაც ცრემლით ამევსო. ახლაც ვერ გამიგია, რაზე ამიჩუყდა მაშინ გული. იქნებ მეცოდებოდა სახე და ფეხმოყინული, მაგრამ სხვებზე უფრო ამაყი და თავმოყვარეობით აღსავსე ამხანაგი, მხნეობას რომ ყველაზე მწარე წუთებშიაც არ კარგავდა? იგი ხომ ილიკოსთან ერთად დაბორიალობდა მთელი ღა-

მე გამარჯვების მწვერვალზე კარვისა და საძილე ტომრის გარეშე? მისმა თანამეწყვილემ იქ დარჩენა ისურვა, მაღლა, მზესთან ახლოს, იგი კი აქ იყო ჩვენს შორის, და ტოლს არ გვიდებდა, იცინოდა და სხვების გამხიარულებასაც კი ცდილობდა.

იქნებ მისმა ვაჟკაცურმა შეუპოვრობამ და დიდგულოვნებამ, კაცობამ და დიდბუნებოვანებამ ამიჩუყა გული? იმ წუთში ძმურად ხელის გადახვევა მინდოდა მისთვის, მაგრამ საამისო დრო არ იყო. წინ გზა გვედო, გზა ხიფათებით აღსავსე, მე გვერდზე შევტრიალდი, რათა ჩემი აწყლიანებული თვალები არ დაენახა. მიხოსთან ერთ თოკში ჩაბმული ძუნძულით გავუყევი ფერდობს.

„ერთი — ყველასათვის, ყველა — ერთისათვის" — ეს, უპირველეს ყოვლისა, მთამსვლელური პრინციპი მართლაც ირღვეოდა ჩვენს მიერ. არ ვიცი, ვინ იყო ამაში დამნაშავე, მაგრამ უკან რომ მოვიხედე, ძალიან დამწყდა გული — კუზმინი და მისი თანამეწყვილეები ჩვენს გზას არ გამოჰყვნენ. სხვა მხრით არჩიეს დაშვება, ეტყობა იქ უფრო ადვილი დასაძლევი მოეჩვენათ ფერდობი. ერთად უფრო კარგად მოვდიოდით. ერთმანეთთან სიახლოვე ძალასა და მხნეობას გვიორკეცებდა. ახლა კი კვლავ ცალ-ცალკე ვივლიდით. მაგრამ რატომ, რისთვის? ეს გაუგებარი რჩებოდა ჩემთვის.

„უნდა ვკითხო, რომ ჩავალთ, აუცილებლად ვკითხავ კუზმინს, რად არ გამოსდია ჩვენს გზას? რა მოსაზრებით უგანა გაკვალულ ბილიკს?" — ასე ვფიქრობდი, მაგრამ პასუხი ხომ ვიცოდი წინდაწინ. ნამდვილად ვიცოდი: იგი მეტყოდა — ისე ვარჩიე, რადგანაც უფრო იოლად დასაძლევი მომეჩვენაო.

„შენ? შენ რაღაზედ არ შეახსენე, რომ უკან გამოგყოლოდნენ? რად გაუშვი სხვა გზით, რად დართე ნება?" — თავადაც მქენჯნიდა სინდისი. მართლაცდა რითი შემეძლო თავის გამართლება? მაგრამ გასამართლებელი მაინც არაფერი იყო. არაფერი იმიტომ, რომ მე მიხო მიმყავდა, მიხო, ნახევრად მხარზე აკიდებული, მძიმე რამ ტვირთივით მაწვა იგი ზურგზე: რომ დამეყოლიებინა, გინდათ თუ არა, ჩემთან იარეთ-მეთქი, მე ამით ძალდაუნებურად მათაც ჩემს მძიმე უღელში შევაბამდი, რასაც ყოველნაირად ვერიდებოდი, რადგანაც თავიდან მე ვითავე მიხოს ხსნა, ბოლომდე უნდა მიმეყვანა დაწყებული საქმე. ამიტომაც სიტყვა მათზე იყო და არა ჩემზე. ამ შემთხვევაში სიტყვა კუზმინს ეკუთვნოდა, მაგრამ მან სხვა გზით აირჩია დაშვება. რახან არჩია, რაღას გავაწყობდი. გულდაწყვეტილმა განვაგრძე გზა დაბლა, კარვებისაკენ, მოგუზგუზე კოცონებისა და პირსავსე მათარებისაკენ. კარვების წინ მოფუსფუსე ადამიანისაკენ, რომელიც შორიდან მამხნევებდა და მაგულიანებდა თავისი ნერვული, დაუღალავი ბოლთისცემითა და სირბილით.

მალე 6.000-ზე დავეშვით. მიხოს ხელი ვუშვი და უკან გავიხედე — იქნებ დანარჩენები გამოჩნდნენ სადმე-მეთქი. მაგრამ ისინი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, აღარსად ჩანან. დაბლა, 5800-ზე ვხედავ მაშველ ჯგუფს. გულმა ცუდი რამ მიაზრა. უცბად შევკოჭე ჩემი მიხო თოკით, ასე მინდა წავიყვანო. დაბლა ბიჭებთან მეჩქარება, მინდა გავიგო რა მოხდა! ფერდობი საუცხოოა, მე და მიხო ისარივით მივქრივართ, თითქოს თხილამურებით ვეშვებოდეთ. მაშველი ჯგუფის წევრებმა გვითხრეს — თქვენთან ამოვდიოდითო. მე ვეუბნები:

— საქმე ვერაა კარგად. კუზმინის აბმამ რატომღაც დააგვიანა. უნდა მივეშველოთ. ცოტა მაჭამეთ რამე და მეც თქვენთან მოვდივარ ზევით...

„რად არ გამოსდიეს ჩვენს ბილიკს, ანდა რას ნიშნავს თემოს სიზმარი ჩვენს მიერ უგულვებელყოფილ ალპინისტურ პრინციპებზე?" — უცნაური აზრები მიტრიალებდა თავში. და ის იყო მუხლი მოვირთხით და ჭამას უნდა შევდგომოდით, რომ აღმოსავლეთის თხემზე ვიღაც გამოჩნდა. „ან კირილეა, ან ჯუმბერი. მაშველი ძალისთვის მოდის. ალბათ თემოს უჭირს სიარული..." — გავიფიქრე გუნებაში. რამდენიმე უგემური ლუკმა გადავყლაპე, რომ კუზმინიც მოგვადგა. იგი შორიახლო გაჩერდა სახეამღვრეული და გვერდზე გამიხმო:

— ბიჭები გადაიჩეხნენ... — ხმადაბლა მეუბნება იგი.

## უშბა. დამხმარე ჯგუფის ბანაკი

დილაუთენია შურთხების სტვენამ გამომაღვიძა.

საძილე ტომრები დაგვსველებოდა. სიცივისაგან ტანში მაჟრიალებდა.

ხაკის საწვიმარი მოვიხურე, კარვის კარი გამოვხსენი და გარეთ გავეყუდე.

„იქნებ გამოიდარა?"..

„პირიბე და ხიტო-ბუზული" რაღაზე არ დგაბიან? რა ნებივრობა აუტყდათ ამ ღამბალ ტომრებში?".

მაგრამ მალე ყველაფერი ნათელი შეიქნა: გარეთ ისეთი მოჟამული ამინდი იდგა, ძაღლი არ გაიგდებოდა. წუხანდელი ჩამონაბარდნი თოვლი ჩვენს კარავს ჩაჩუმქრვა-შთანთქმით ემუქრებოდა. კარვის კალთებიდან თოვლის ნაჟური წვეთავდა — აკი საძილე ტომრებიც იმაზე დაგვსველებოდა.

თეთრი მდუმარება შემოგვრტყმოდა, თითქოს ჩვენი მოშთობა სწადიაო, თავის მარწუხებს გვიჭერდა.

შურთხების მოთქმა სამგლოვიარო ზარივით

ბუბუნებდა, ეტყობა, იმათაც თავისი გასაჭირი ადგათ.

„ახლა ისლა მაკლია, მაგათ სტვენა-კივილს გავახეთქინო გული. მოიცა, ისე დავაფრთხო...“ — გამიელვა გუნებაში, ხელი თოფისკენ წავიღე, იგი ჩემს გვერდით, კარვის კუთხეში მეგულებოდა, მერე გამახსენდა — წუხელის, თოვლს რომ არ ჩამოენგრია, თოფი დამხმარე ბოძად შევუყენეთ კარავს.

არა, დღეს არ ვიყავი კარგ ფეხზე ამდგარი. სულ რამდენიმე წუთში ამდენი უსიამოვნება გადამხდა. ჯერ ეს უამინდობა! ახლა ეს შურთხები... არა, ამდენი უსიამოვნების ატანა შეუძლებელი იყო. გაბრაზებულმა ერთი ხმამაღლა დავიღრიალე:

— ჰე, ჰეეი, თქვე ოხრებო, ჰე... ჰეეეიი... გასწით, დაიკარგეთ აქედან, გასწით დაიკარგეთ, ჰე... ჰეეიიი...

მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არავინ ილო ყურად ჩემი მუქარა. ისევ მოსთქვამდნენ შეცივნული ფრთოსნები.

ბოლოს პირიბემ გამოიხედა, გამოზამთრებულ დათვივით გამოყო თავი კარვიდან და ძილგამფრთხალი, მდურვით აღსავსე სახით მომიტრიალდა:

— ამინდს რომ პირი უჩანდეს, აქ ჩამოგივიდოდნენ ე შურთხები? ან იქნებ ნათესაურად მოგიკითხეს?

— ეგრე იქნება. ალბათ კარგა ხანია რაც არ უნახავთ და ახლა იმას საყვედურობენ, რაღაზე მიგვატოვე და ქალაქზე რად გაცვალე ჩვენი მთა-ჭიუხებიო? ხი... ხი... — ჩაიქირქილა კარვის სიღრმეში ხიტო-ბუზულმა.

მაგათი სასაცილოც გავხდი, ეგღა მაკლდა! — ბრაზისაგან გული ყელში მომებჯინა, მაგრამ რაღას ვიზამდი. უნდილად შევრგე კარავში თავი და დამბალ საძილე ტომარაზე გავიშოტე. იმ ბიჭებზე ვფიქრობდი.

რა აუტანელი იყო ეს წუთები — ამ თოვლში, ბურუსსა და ქარში შეცივნული შურთხები ჩვენს კარვებთან ჩამოვიდნენ. მაშ სხვა რა გზა ჰქონდათ? კლდის ვეფხვის ძალა მათ სადა აქვთ: ეს სახელი ინგლისელებმაც დაარქვეს მიხეილს: ამ კავკასიური მწვერვალის — უშბის სახელობის კლუბში მიიწვიეს და მერე მაღალი კლდე დაანახვეს — აბა ამაზე თუ გახვალო. მიხეილი გავიდა. მაშინ დაბლა შეკრებილმა მაყურებლებმა განცვიფრების ნიშნად თავი გააქნიეს, წვერზე თითები გაისვ-გამოისვეს. მათი აზრით ამ კლდეზე მხოლოდ ვეფხვი თუ გავიდოდა, შეუპოვარი, უშიშარი ნადირი და ამ თავმდაბალ ალპინისტს აღტაცებულებმა კლდის ვეფხვი შეარქვეს. ჰოდა, აბა შენ იცი, კლდის ვეფხვო!

ჰოდა, აბა თქვენ იცით, კლდის ვეფხვებო!..



## გივი ჭერედიანი

— გაჭენებულ ცხენს ფაფარზე არ ჩაფრენილხარ შეშინებული? აი თოკსაც ისე ჩაჭიდე ხელი, შე ოხერო... — დასჩხაოდა შალიკოს მიხო და თან ზურგზე აცოცდებოდა.

— აბა ვინ არის ყველაზე მსუბუქი? შენა? ერთი ხალთა ვაშლი შესანსლა და მაინც ცარიელი ძვლებია, — ბრაზობდა შალიკო მიხეილზე, — იცოდე, გაფრთხილდი, თორემ რამე რომ მოხდეს, შენს თავს დააბრალე, ფილოსოფოსო...

— ჩაქუჩი, ეი, მომაწოდეთ ჩაქუჩი... — უყვირის შალვას ზურგზე შემოსკუპებული მიხო ზურგჩანთებში მოფუთფუთე გივის, — რას დაგიფჩენია ე პირი... მომაწოდე, გაიგე?

— მერედა, რა გაღრიალებს, თავიც ხო არ დაგრჩა, იქნება ისიც მოგაწოდო? — შეუბღვირა ამხანაგმა.

— ჩაქუჩიო? — სკდება ბრაზისაგან შალიკო — ჩაქუჩი დამრჩაო? ეგ რა ღვთის რისხვაა ჩემს თავსა, ა? ხალხი არა ხართ, მომაშორეთ ეს წურბელა, რა? — მავედრებელი მზერა მოავლო ამხანაგებს კისერმოღრეცილმა შალვამ.

— ცოტაც და სამშვიდობოს გავალთ. მოითმინე შენც რაღა, ასე რამ გაგაცხარა... — დაამშვიდა იგი ჯოკიამ.

— თქვენ იცინეთ და, რომ რამე მოუვიდეს მაგ წურბელას, პასუხს არ ვაგებ იცოდეთ... — იმუქრება შალიკო.

— მაინც რა უნდა მოუვიდეს?

— აი, უცბად რომ შექანავდეს და ქარაფებს გადაევლოს თავზე, ისა...

— შლიამბურის პალო, ერთი შლიამბურის პალო... — ელიმება მიხოს.

— არის შლიამბურის პალო... სხვას ხომ არაფერს გვიბრძანებდით. ბარემ ერთად მოვითავოთ, თორემ ცოდვაა ეს კაცი...

— დაუკაკუნე, შე ოხერო. დაიწყე ბურღვა თუ იწყებ, — ასძახის თავის მწვალებელს შალიკო.

— გინდა კლდის ნაშალი მოგაყარო თავზე?

— ჩემზე ნულა იდარდებ. ჩქარა ჩაარტყი ჩასარტყმელი, გაიგე?

— რომ რამე მოხდეს, პასუხს არც მე ვაგებ, იცოდეთ... — აცხადებს თავის მხრივ მიხო და თვალებს ეშმაკურად ჰუტავს.

— რაზე ამბობ? — გაოცებულია ჯუმბერი.

— ჩქარა ჩაარტყიო. რო ამიცდეს პალოზე და მაგის გოგრაზე გაბრახუნდეს ეს ფოლადის ურო, რას შვრებით მაშინ? მე შენ გეტყვი და ტვინის ღვართქაფმა არ წაგვლეკოს, მაგრამ მაინც რომ მეცოდება?

— თოკი ამოუშვით მაღლა. რაღაცას გამოედო. — იძახის ზემოდან კედელს ჩაფრენილი ჩხვიმლიანი.

— ახლავე ნახე, სად გაებედა თოკი!. — მითითებას იძლევა თავის მხრივ ჯოკია.

— რა ოხერი რამეა. კვესივითა სცვივა ნაპერწკლები. ახლოს კი არ იკარებს პალოს...

— მოუქნიე, მოუქნიე. დაიღლები და შეგენაცვლები... — ანუგეშებს მიხოს ჯოკია.

— პალოები ამოაცვით თოკზე და ამოგზავნეთ... — იძახის კარნიზის კუთხეში გასული ჩხვიმლიანი.

— გაიგე, რა გითხრა? — ყვირის ჯუმბერი მაღლიდან.

— გავიგე, ჰო. განა შენსავით ყრუ ვარ...

მიხო და შალიკო უკან მიჰყვებოდნენ წინ მიმავალ წყვილს. ჩხვიმლიანისა და ჯუმბერის ათვისებული გზის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. მეწინავეთა წინ წაწევის კვალდაკვალ შალვას მხრებზე შემჯდარი მიხო სამაშველო პალოებს „არიგებდა“.

— მგონი მორჩა კაკუნს, ეგ ოხერტიალი, — კლდის ნაბურღში გახვეულმა შალიკომ თვალმოჭუტულმა ჩამოჰხედ ამხანაგებს, — ასე რომ ნულარ შეწუხდები...

უშუალოდ სახურავის მისადგომებთან, უარყოფითი დაქანების კედელზე ზურგის შეყენება უკვე აღარ გამოდიოდა. მიხო უხალისოდ ჩამოსკუპდა ძირს, კლდეზე მიბმულმა დამოუკიდებლად განაგრძო მუშაობა. ჩაქუჩს ნელა იქნევდა, ყოველ ჩარტყმაზე ოხვრას ამოაყოლებდა ხოლმე. დაიღალა მიხო, იგი ათვისებულ უბანზე მუშაობდა, მაგრამ მეწინავეებზე ნაკლები ჯაფა როდი ადგა.

— ჰა, როგორ არის მანდ საქმე? — ჩამოსძახოდნენ მაღლიდან ჯუმბერი და ჩხვიმლიანი, — დაცვა რას შვრება?

დაცვის საიმედოობაზე ეკიდა ამ წუთში მთელი ჯგუფის ბედი, მოწყდომის შემთხვევაში ყოველი მათგანი ფიქრობდა სამაშველო პალოებისა და თოკის სიმყარე-სიმაგრეზე—გამოცდილი მთამსვლელი, როცა იგი რისკზე მიდის, ამხანაგისაგან სამ:რთლიანად თხოულობს, რომ საიმედოდ დაიცვან, მაგრამ საიმედო დაცვა, როგორც უკვე ვთქვით, ახლო მანძილიდან არის მოსახერხებელი. რაც უფრო სცილდება მოწინავე წყვილი დაცვის საყრდენ წერტილს, მით უფრო ნაკლები შანსებია უბედურების შემთხვევაში მისი გადარჩენისა, უხიფათოდ შეკავებისა. ხოლო თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ხანდახან, მაგალითად, კლდის წახნაგოვან კუთხეებზე გახახუნებისას თოკი შეიძლება გაიხეხოს და გაწყდეს კიდეც, მაშინ კლდიდან მომწყდარი ადამიანის ხსნისა და გადარჩენის იმედი თითქმის აღარ უნდა გქონდეს. ასეთი შემთხვევები მთამსვლელობის ისტორიას მრავლად ახსოვს და ამაზე თვალის მოხუჭვა არ შეიძლება.

ასე ფიქრობდა ჩხვიმლიანი. ასე ფიქრობდნენ ყველანი.

ჯერჯერობით კი დაცვა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა პირველ აბმას და საიმედოდ ამაგრებდა საყრდენ ზღუდეებს. ჯგუფი ნელა, მაგრამ მშვიდობიანად მიიწევდა წინ. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე მთაში, მუშაობით გატაცებულებმა ვეღარც კი შევნიშნეთ როგორ გადაიწვერა მზე, იგი საცაა ჰორიზონტს მიღმა ჩაიკარგებოდა. მთებში უეცრად ღამდება; თავიანთი დიდი სიმაღლის გამო მთები უკანასკნელ წუთებამდე მზის ხილვადობის არეში იმყოფებიან, ხეობაში კი უკვე სალამოს ბინდია ჩამოწოლილი .მწვერვალებს ამ დროს უკანასკნელი სხივები დასციმციმებთ თავზე, მაგრამ წამიც, ერთი წუთიც და იგი აიკრეფა მათ და თვალისუსწრაფესად გაუჩინარდება თვალსაწიერიდან. მაშინ ირგვლივ უკუნი წყვდიადი გამეფდება. და თუ დროზე ვერ შეამჩნია ადამიანმა ეს თვალთმაქცი მოჩვენებითობა ბუნებისა, შესაძლებელია შუა კედელზე გარჩეს სადმე თავშესაფარისა და ბინის გარეშე, მთაში კი ღამისსათევზე, მის კეთილმოწყობაზე ფიქრი ისევე აუცილებელია როგორც ქალაქში დაბინავება, თუ იქ რაიონიდან ხარ ჩასული და ნათესავ-ახლობელი აღარავინ გეგულება. ეს შედარება, რა თქმა უნდა, ზუსტი ვერ იქნება, რადგანაც მთაში „ცივი ღამისთევა“ ადამიანის სიცოცხლისათვის შეიძლება საბედისწერო გამოდგეს.

## *მოგვითხრობს შალიკო მარგიანი*

— სასწრაფოდ უნდა გვეზრუნა ღამისსათევის მოწყობაზე. ყველასათვის ცხადი იყო, რომ კვლავ ჰამაკებში მოგვიხდებოდა ძილი. ამას შევეჩვიეთ კიდეც. მაგრამ ოთხი დღის დაძაბულმა მუშაობამ, უძილობამ ჯანღონისაგან გამოგვფიტა, დაგვაძაბუნა და ამიტომ ჰამაკების გახსენებაც კი აღარ გვინდოდა არავის. დაღლილობას მაინც არ ვიმჩნევდით, ხუმრობა-საუბარში ვცდილობდით ჩაგვეკლა მოსალოდნელი წარუმატებლობით გამოწვეული უიმედობა.

სალამოს მოახლოება აშკარა შეიქნა, ამან დასცა თავზარი თვითეულ ჩვენთაგანს.

„აბა ჩქარა... აბა, რაღას შვრები ახლა, ჰა?“ — თითქოს ჩაგვძახოდა ვიღაც. და ვიდრე რამეს მოვიფიქრებდით, მაღლა, კარნიზის კბოდესთან მოფუთფუთე ჩხვიმლიანს გადავხედეთ — აბა რას იტყოდა იგი, როგორ ფიქრობდა გზად წამოწეული სალამოსეული მარწუხებიდან თავის დაძვრენას?

მაგრამ მიხეილი აუღელვებლად, დინჯად ებრძოდა კედელს.

ყოველი ჩვენთაგანი ასე ფიქრობდა:

„იქნებ ბაიბურშიაც არ არის, რომ ღამდება?“.

— ეჰეი, ღამდება, ბინდი ჩამოწვა.. — ავძახეთ ყოყმანის შემდეგ ჩხვიმლიანს მე და გივიმ.

— უკან გავბრუნდეთ? — კითხვა შეგვიბრუნა უფროსმა.

— უკან? — შევცბით ყველანი, — უკან როგორღა იქნება, თარომდე ჩასვლასა და იქ ჰამაკების გაჭიმვას მაინც ვერ მოვასწრებთ, შუა გზაზე შემოგვაღამდება... .

— აქ რომ მივეჭედოთ სადმე? — ჩამოაგდო სიტყვა მიხეილმა, ისე რომ, მუშაობა არ შეუწყვეტია.

— აქა? — ირგვლივ მიმოვიხედეთ, მაგრამ ღამისსათევად გამოსადეგი ადგილის მსგავსი რამ ვერაფერი შევნიშნეთ.

— აქ მართლაც შეიძლება წაინებივროს კაცმა, მაგრამ ჯერ უნდა წავაქციოთ როგორმე ეს უშბა და... — სცადა გახუმრება მიხომ.

— ფილოსოფოსო... — ბრაზიანად გადავხედე მიხოს, — აი, ახლა გვჭირდება სწორედ შენი კანონები აბლაბუდასა და ობობებზე, როგორ არის ისა? ერთ დაფლეთილ წიგნში რომ ამოიკითხე?

— დიდნი დაჰგლეჯენ, სუსტნი გაებმებიანო... — არ დაუყოვნა პასუხი მიხომ.

— შენ რომელს მიეკუთვნები, სუსტთა თუ ძლიერთა?

— ვერ ხედავ თოკებში რომ გახლართული? ამას რა კითხვა უნდა, ისედაც ყველაფერი ნათელია... — ენა მოიქავა ჯოკიამ.

— შევხსნათ მაგ ბაყბაყდევს ეს თოკები, იქნებ თავისებურად გაიბრძოლოს — წამოაყენა წინადადება გივიმ.

ჰხი... ხი... ხი... — ჩაიხითხითა მიხომ მათ ხუმრობაზე.

ჩხვიმლიანმა კი ფეხთ გაიხადა. დაბლა ჩამოსძახა — ინგლისური კედები ამომიგზავნეთო, თან თოკი ჩამოუშვა.

— კედები? — წაუყრუა ჯოკიამ, და ამხანაგებს გადახედა შეცბუნებულმა, — როგორ მოვიქცეთო.

— ჰო, კედები. ინგლისური კედები... გავიყინე, ფეხშიშველი ვარ, გაიგე? — თითქოს ქვა ჩამოგორდაო მაღლიდან, ისე მოვარდნენ მიხეილის სიტყვები.

ჯგუფის ხელმძღვანელს თოვლის ლოლუებივით ჩამოეკიდა ნაცრისფერწინდებიანი ფეხები.

## დამხმარე ჯგუფის ბანაკი

არ ისმინეს ჩემი ვედრება ბურუსმა, ქარმა და შურთხებმა.

ღრუბლის ფთილები თანდათან გამკვრივდნენ, გასქელდნენ.

თოვა ერთხანობას შეწყდა, მაგრამ სანაცვლოდ ქარიც ამოვარდა. ერთი თავისებურად დაუარა უშბისპირა ქარაფებს.

არა, არ გამეცალნენ შურთხები. მეტის ატანა კი აღარ ძალმიძდა, რა ხანია ამევსო მოთმინების ფიალა და... მე თვითონ გავეცალე ქარს, ბურუსს, შურთხებს, იქაურობას. ავიკიდე ჩემი გუდანაბადი და თავჩაქინდრული დავადექი ჩაჩუმქრულ ბილიკს დაბლა, მესტიისაკენ, ბექნუსთან.

იმას უნდა გავუმხილო ჩემი სადარდებელი. აბა ასე როგორ იქნება, მესამე დღეა ბიჭები არ ჩანან... არა, ასე უმოქმედობა როგორ იქნება, იქნებ რა ამბავია მათს თავს? იქნებ უჭირთ, ძალიან უჭირთ და დამხმარეს ელოდებიან? ელოდებიან და იგი კი არა ჩანს?

იქნებ საგანგაშო შუშხუნებიც ისროლეს, მაგრამ ამ ბურუსში ჩვენ ვერ დავინახეთ ისინი?

მე გამოვემშვიდობე კირიბეს და ხიტო-ბუზულს.

შორს, უკან დარჩა ყველაფერი. თვალის უსწრაფესად გადავედი ლეგვმერის მცირე ქედზე, ქორულდის ტბებს გავუარე, გადავირბინე ფოშდელი და მეფთქულაში, მესტიაში ამოვყავი თავი.

ჩემდა გასაკვირველად... მესტიაში მზე დამხვდა. მესტიაში მზე იყო, სიცოცხლე სუფევდა, ჩოჩქოლ-ხმაური, ადამიანთა ჩქამი ისმოდა. კოშკები და მაჩუბები ენგურის შემოძახილზე რაღაცნაირად ბუბუნებდნენ.

ნაბდისქუდიანები მომლოდინე სახეებით გამოფენილიყვნენ სეტში, მესტიის მთავარ ქუჩაში. ელოდნენ, ისინიც ელოდნენ.

რომ დამინახეს, შემომეხვივნენ და კითხვები დამაყარეს.

აბა რა შემეძლო მეთქვა, რითი მენუგეშებინა ისინი? ვერაფერი ვერ ვუთხარი. არც კარგი რამე მითქვამს, არც ცუდი. ხმა არ ამომიღია, იმიტომ, რომ მეშინოდა, ჩემი განწყობილება, უიმედობა, სასოწარკვეთილება არ გადამედო მათთვისაც. ხომ შეიძლება გუმანს მოვეტყუებინე.

არა, არაფრის თავი არა მქონდა. ბექნუსთან უნდა წავსულიყავი. ღრმად მწამდა — ხერგიანთა გვარის უფროსი თაობის ცნობილმა მთამსვლელმა, საოცარი გონებისა და ალღოს კაცმა, ჩვენზე, უშბის ძირას მოკალათებულ მამველი ჯგუფის წევრებზე და ამ აბობოქრებულ ხალხზე მეტი იცოდა, თავის მოსწავლეებზე, უშბასთან მოპაექრე ვაჟკაცებზე.

მთებივით პირქუშმა და მკაცრმა, მათსავით დაფიქრებულმა და ბრძენკაცმა გულიანად მომისმინა, უხმოდ მომისმინა და თოვლ-სუსხისაგან გამოქარულ სახეზე ღიმილგამკრთალმა მხარზე ხელი დამადო, თითქოს სურდა თავისი სიმშვიდე ჩემთვის გადმოეცა.

მე გამიკვირდა — რა დროს ღიმილი იყო, ბიჭები არ ჩანდნენ.

მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ არ ხუმრობდა — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ფრიად სერიოზულად მითხრა:

— ნუ გეშინია, მათ ეს ქარბორბალა ვერა

ლეუშავებს. უარესიც უნახავთ, მაგრამ არ შეფერხებულან. ისინი ახლაც მუშაობენ. ადიან... და რა უფლება მქონდა არ მეწამა მისი? განა აღმზრდელმა ყველაზე უკეთ არ იცის თავის შეგირდთა ჯვან-ჩავანი?

— ნიშანს რომელ საათზე იძლევიან, რვაზე თუ ცხრაზე? — იკითხა მერე ბექნუმ.

— ცხრაზე, ოღონდ... — ღრუბელთა ზღვაში ჩაძირულ თუთნულდს გადავხედე დაეჭვებულმა, — ჩვენ მაინც ველარ დავინახავთ და...

— ოღონდ-მოლონდ არ უნდა ამას. ამაღამ გამოიდარებს, სგიშის სათიბებიდან მშვენივრად მოჩანს უშბა. იქ წადი. აუცილებლად დაინახავ შუშხუნებს, თეთრ, სამშვიდობო შუშხუნებს, გული დაიმშვიდე...

ამოვისუნთქე. ერთი ღრმად გამოვისუნთქე.

„რა დარწმუნებული ლაპარაკობს, თითქოს თვითონ განაგებდეს ბიჭების ბედს, ისევე როგორც დალი — გარეულ ნადირთა“.

## მოგვითხრობს მიხეილი

— სხვა გამოსავალი მართლაც არ იყო.

უკან გაბრუნება დროის დაკარგვა იყო, უკანდახევა, თუნდაც იმ განზრახვით, რომ მეორე დღეს კვლავ მოვდგომოდით „სახურავს“, სანახევროდ დამარცხებას ნიშნავდა; ეს იქნებოდა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოჭადრაკის უშედეგო, არაფრისმთქმელი სვლა, იმ იმედით გაკეთებული — იქნებ მოწინააღმდეგემ ამასობაში რაიმე შეცდომა დაუშვასო. მაგრამ ჩვენი მეტოქე — უშბა აბა რაში უნდა შემცდარიყო, რომ იმის იმედზე ვყოფილიყავით? მიხოს თქმისა არ იყოს, ვის უნდა გამოედო მოგვერდი მწვერვალისათვის და ბეჭზე გაეკრა იგი? ვის ძალუძდა ეს? არავის დედამიწის ზურგზე.

უკან გაბრუნება უაზრობად მიმაჩნდა.

ახლად რომ მქონდეს იგივე მარშრუტი გასავლელი, მე კვლავ იმ გზას ავირჩევდი ალბათ, მაშინ რომ ვადექით. არა, უკანდახევა არ შეიძლება. ჩვენ შევუტევთ ამ კარნიზს. შევუტევთ და გადავლახავთ.

ამ ფიქრებით აღგზნებული გავემართე კარნიზისაკენ. ინგლისურ კედებში რაღაც სიმსუბუქე და ძალა ვიგრძენი, ჯერ თოკის კიბეებით მივიწევდი, რომელთა დამაგრებაც მე და ჯუმბერმა მოვასწარით კარნიზის უშუალო მისადგომამდე. სწორედ მერე იწყებოდა ყველაზე რთული უბანი ამ მონაკვეთისა. რაკილა უარყოფით კედელზე ბურღვა ჭირდა, ახლა უნდა მეცადა ცოცვით ავსულიყავ. პალოების დახმარებით წინ რომ წაიწიო კაცმა, საჭიროა ერთი პალოდან მეორე — ახალჩარტყმულზე გადაიტანო კიბე, ზედ ჩამოჰკიდო და თავადაც ამაღლდე ერთი-ორი საფეხურით, მერე კვლავ გაბურღო, ჩაარტყა პალო და კვლავ გადაიტანო კიბე, ამაღლდე ისევე.... ყოველივე ეს ჩვენგან განსაკუთრებულ დაძაბულობასა და სიფრთხილეს მოითხოვდა. დაცვა სრულ წესრიგში რომ გვქონდა, ამ მიზნით საგანგებოდ გამოვყავით ერთი კაცი, რომელსაც თვალი უნდა ედევნებია სამაშველო თოკების და პალოებისათვის. ეს იყო ჯოკია გუგავა, ჯგუფის წევრებს შორის ხნოვანებით ყველაზე უფროსი, დარბაისელი კაცი.

შეუპოვარი ბრძოლა დაგვჭირდა სახურავის ჭერის დასამორჩილებლად. დიდი სიფრთხილით გავიარეთ იგიც. წვალებით გავბურღე და ჩამოვკიდე კიბეები. ახლა კი ჭერიდან სახურავის კარნიზზე უნდა გადავმძვრალიყავი. სწორედ ამ კარნიზმა დაგვცა ყველას შიშის ზარი. მაგრამ ამ საძნელო საქმის გაკეთება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გამარჯვებას, რადგანაც ჩვენ არ ვიცოდით, მის მიღმა რა იმალებოდა — კვლავ მსგავსი სახურავები გველოდა, თუ ადვილდასაძლევი კლდოვანი მონაკვეთი? აბა ვინ უწყოდა, რა ახალ განსაცდელს გვიმზადებდა მუხთალი მწვერვალი?

ვიდრე კიბეებს მოვითავებდი, ბიჭებმა თითო პალოც ჩაამაგრეს. რამდენიმე მეტრით მომიახლოვდნენ, რათა მოწყდომის შემთხვევაში მათი დახმარება უფრო ქმედითი ყოფილიყო. მთელის ძალით ჩაებღაუჭნენ თოკებს. ოთხი კაცი იდგა დაცვაზე. მხოლოდ ჯოკია დამდგარიყო განზე, იგი დანარჩენებზე ცოტა დაბლა მიჭედილიყო კედელს და კისერმოღრეცილი მომჩერებოდა. თან პალოებსა და თოკის კვანძებს აკვირდებოდა.

და აი, კარნიზის კიდეც, რა იმალება მის მიღმა? კიბეზე შევდექი, წელში ავიმართე და ხელი სახურავის ზედაპირზე მიმოვატარე. ზედაპირი სველი იყო, ვიგრძენი, როგორ ჩასრიალდა წყალი სახელოში. ჩასრიალდა და ფეხებამდე ჩამატანა. თოვლის ნაჟური აქ წვეთებად სწყდებოდა უშბას და უფსკრულში განიპნეოდა, შხეფებად ევლებოდა თავზე ქარაფებს.

უსიამო შეგრძნება დამეუფლა, კვლავ მოვაფათურე ხელი, მაგრამ სანუგეშო ველარაფერი ვიგულე.

კვლავ მოვაფათურე ხელი — ზედაპირი ერთნაირად გლუვი იყო, მცირედი ხაოც კი არ მომხვედრია სადმე. გარინდული ვფიქრობდი გამოსავალზე. იქნებ ამხანაგებისათვის დამეჯერებინა, იქნებ სხვა მხრივ მოვდგომოდით ამ სახურავს, ან იქნებ მართლაც უკან გავბრუნებულიყავით, ღირდა უშბის სარკე თავის გასაწირად? მაგრამ რაიმე გამოსავალის, ახალი გზის მიგნება ჩემი გონებისათვის მიუღწეველი იყო, ხოლო უკან გაბრუნებაზე ფიქრს კი გულს არ ვაკარებდი. „უნდა გადაახტე კარნიზს, მაღლა სახურავზე უნდა გადაძვრე როგორმე, აი, რა უნდა გააკეთო...“ — მიკიჟინებდა შინაგანი ხმა.

მე კი საცოდავად ვეკიდე უფსკრულთა თავზე. ამხანაგები? ისინი დაბლა მელოდნენ. გულისფანცქალით განიცდიდნენ რითი დამთა-

ვრდებოდა ყოველივე. რა მწარე იყო ეს წუთები მათთვის, რა დამქანცველი და გამთანგველი.

„დიდნი გაჰგლეჯენ, სუსტნი გაებმებიან და გაიხლართებიანო" — წამოტივტივდა გონებაში მიხოს სიტყვები. „შენ, შენ რანაირი ობობა ხარ, სუსტი თუ ძლიერი? — ჩამეკითხა შინაგანი ხმა, — ჰა, სუსტი თუ ძლიერი?"

„ძლიერი, ყოვლისშემძლე ობობა ვარ. ჰო, ყოვლისშემძლე, უშიშარი ობობა. არ გჯერა? აი, ნახავ..."

წელში კიდევ უფრო მოვიკაკვე. კიბეზე ერთი საფეხურით ავმაღლდი, რათა ხელი უფრო შორს გამეწვდინა. მკლავი გავიშვირე და კარნიზის ზედაპირზე მიმოვატარე, იქნებ მცირე ღრეჩოს წავწყდომოდი სადმე, მცირე რამ ნაპრალს, ხელჩასავლებს. ის იყო დაღლილი მკლავი ძირს უნდა დამეშვა და თავადაც ერთი საფეხურით უნდა დავდაბლებულიყავი, რათა წელში გამართულს სული მომეთქვა, რომ ზედ კარნიზის კიდესთან თითი წახნაგოვან შვერილს გამოედო. იგი მცირე საფეხურივით იყო ჩათხრილი კედელში, თითქოს ვიღაცამ საგანგებოდ ამოჭრაო. მსწრაფლ მოვსინჯე ნაწიბურის საიმედობა, ორივე ხელით ზედ ჩამოვეკიდე და კარნიზის თავზე ავითრიე ტანი, ერთადერთი სიცოცხლის ძაფი, რაც ამხანაგებთან მაკავშირებდა, ეს ძირითადი თოკი იყო, ის არ მტოვებდა, თან მომყვებოდა. ახალი ხელჩასავლები უნდა მეძებნა საჩქაროდ და როგორმე წინ წავწეულიყავი, რათა ჰაერში მოქანავე ფეხებისათვის მცირეოდენი საყრდენი მომენახა სადმე და ამით მთელი სხეულის სიმძიმე რამდენადმე მაინც შემემსუბუქებინა, სიმძიმე, რაც ახლა მთლიანად ძარღვებად დაჭიმულ ხელებს აწვა. ხელები კი თანდათან ბუჟდებოდნენ, ძალას ჰკარგავდნენ. სწორედ ახლა იყო საჭირო სწრაფი მოქმედება. მოქმედება და სხვა არაფერი... უნდა მეღონა რაიმე. მაგრამ ხსნა თითქოს არსაიდან იყოო, თვალები ველარაფერს სანუგეშოს ვერ აუწყებდნენ გაფაციცებულ გონებას.

სახურავის გლუვი ზედაპირის მთელს სიგანეზე თოვლის ნაჟური მოწანწკარებდა, იგი სახელოებში ჩამყვებოდა და კარნიზზე გადაშვერილი ფეხებიდან, როგორც ღარიდან ისე ილვრებოდა მოუსავლეთში. მაგრამ ახლა ეს ამბავი ნაკლებად მადარდებდა...

არაფერ სანუგეშოს არ მიგრძნობდა გუმანი.

არაფერ სანუგეშოს — თვალსაცქერლები.

არაფერ სანუგეშოს — თოვლის ფანტელები, სველ სახურავზე რომ კვდებოდნენ.

არაფერ სანუგეშოს — მთანი მაღალნი...

— ჰე... ჰეეი... — აღმომხდა უეცრად უნებური ყვირილი, — ჰე... ჰეეეი...

ხმა იგი, შემზარავ ექოდ დააბურთავეს მწვერვალებმა — ჰე... ჰე... ჰე... ჰეეი! — მოიარა მან მთელი ქვეყანა და უკანვე მობრუნდა, დალეული და მინავლებული. ერთხანს ექვმა შემიპყრო — მართლა ჩემი ხმა იყო იგი, თუ სხვას ეკუთვნოდა ვინმეს, უცნობს და უჩინარს, ნუთუ მე, ჩხვიმლიან, მინაან, მიხეილ, მიშა ხერგიანს შემეძლო, ძალმიძდა ასეთი შემზარავი ღრიალი? ან იქნებ მომეჩვენა სულაც, ბექნუსაც ხომ მოეჩვენა თეთნულდზე, ან იქნებ ანტონისეული გამოქვაბულის იდუმალი ხმები მომესმა?

— ჩხვიმლიან, ჰოუ, ჩხვიმლიან, ჟახბუგან იალო, ჟახბუგან... — გამომარკვია ფიქრებისაგან ამხანაგების ძახილმა და უცბად ვიგრძენი როგორ დაიძაგრა მკერდზე მოჭერილი სამაშველო თოკი. წამიერმა შვებამ ააჩქროლა სისხლი ძარღვებში, სხეულში სითბომ და იმედმა დაიბუდა. ეს ამხანაგების გამომეტებული სითბო იყო, რომელიც თოკიდან გადმოსახლდა ჩემს არსებაში.

— თოკები... გადაჭერით თოკები... — არ ვიცი რამდენად ხმამაღლა წარმოთქვი ეს სიტყვები.

კარგად მახსოვს, როგორ ქუხილად მოვარდა ქვევიდან ამხანაგების ნუგეში:

— სადაც შენ, ჩვენც იქა, ჰე... ჰეეიი...

არ ვიცი რა მოხდა იმ წუთში, მაგრამ უეცრად შორეული, ნაცნობი ყიჟინა ჩამესმა საიდანღაც...

## ოთარ გიგინეიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი)

ტიანშანი კავკასიონი ხომ არ იყო, არც ალპები და კარპატები.

ყველას კარგად მოეხსენებოდა ეს ამბავი.

არც ჩვენი ექსპედიცია ჰგავდა სტუდენტურ გასვლას რომელიმე მცირე კოშკზე.

მთელი ჯგუფი, მაშველი ძალების ჩათვლით, გულმოდგინედ იყო დაკომპლექტებული და შერჩეული. ეს იყო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ წამყვანი ძალები ქართველი მთამსვლელებისა.

აბა რომელ ერთზე იტყოდა კაცი, ტიანშანისთვის არ გამოდგებაო? რომელ ერთს შეცვლიდი მეორით — უფრო ძლიერი და გამოცდილი მთამსვლელით?

მოვიდეს და თქვას თუ ვაჟკაცია, რას დაუწუნებდა მიხო და ჩხვიმლიან ხერგიანებს, ჯუმბერ მეძმარიაშვილს, თეიმურაზ კუხიანიძეს, ილიკო გაბლიანს? აღარაფერს ვამბობ კირილე კუზმინზე, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა ჩვენს ჯგუფს საბაზო ბანაკ ჩან-ტორენში, და რომელსაც საკმაო სასიმაღლო გამოცდილება ჰქონდა.

ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა. დიდი ექსპედიცია ფრთებს შლიდა, წელში იმართებოდა, მიიწევდა შორეთისაკენ, გზას იკვლევდა ბარხანებსა და უდაბნოებზე, მდინარეებსა და მთებზე. ბანაკდებოდა, ძალას იკრებდა და

კვლავ დაიძვრებოდა გამარჯვების პიკის მისადგომებისაკენ.

დიდი ექსპედიცია თავისი ცხოვრებით სულდგმულობდა, იგი დიდ ექსპედიციად რჩებოდა ვიდრე...

დიდებული ბიჭებისაგან შედგებოდა იგი.

იმედიანი, მუხლმაგარი, ჯანიანი და ჟინიანი ბიჭებისაგან.

აბა მოვიდეს ვინმე და თქვას — იმას ის სჯობდა, იმას კიდევ — ისა. ეს კი არა, სხვა უნდა წასულიყო გამარჯვების პიკზეო. მოვიდეს ვინმე, გულზე ხელი დაიდოს და თქვას...

შეიძლება ასეთიც გამოჩნდეს. თავისას იტყვის გულდადინჯებით. ყურემგადაბრუნებულზე იოლია ლაპარაკი, სხვადასხვა მოსაზრებების წამოყენება და მტკიცება. მანამდეა საქმე, თორემ...

ალბათ გამოჩნდება ასეთიც. იმიტომ, რომ სავალალოდ ჩვენი ყურემი გადაბრუნდა, მერე და როგორ გადაბრუნდა, დიდი ყურემი გადაბრუნდა და დიდი გზაც გამოჩნდა მას უკან. გადაბრუნდა იგი თავდაღმარზე, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. ასვლის მეხუთე დღეს, როცა სკოლაში ნასწავლი არითმეტიკული ანბანის საშუალებით დავადგინეთ, რომ სამწუხოს ერთი კაცი აკლდა სათვალავში. ერთი, ერთი კაცი არ გვყოფნიდა სათვალავში...

ვინ იყო იგი? ეს ერთი ადამიანი? დურბინდში დასავლეთის მწვერვალის თხემზე, ექვსის ნაცვლად, ხუთი შავი წერტილი მოძრაობდა. ხუთი შავი წერტილი! გესმით ეს რას ნიშნავდა? თუმცა ეგ რა ძნელი რამეა. ექვსს გამოაკლებ ხუთს და ეგრევე გაიგებ, მიხვდები, რაშია საქმე. მიხვდები — ერთი ადამიანი გაკლდება სათვალავში. რა იქნა იგი, ეს ერთ-ერთი მოიერიშეთაგანი? ან ვინ იყო სახელად, რომელი მათგანი დაიბადა უდღეურ ვარსკვლავზე?

ძალიან შორს მობობლავდნენ ისინი, ჩვენგან შორს და მაღლა.

იქნებ დურბინდში ვერ თავსდებოდა ერთბაშად ექვსი შავი წერტილი?

იქნებ, ჰა?

ნუთუ სხვა დურბინიდი არ იშოვნება, ისეთი, ერთბაშად ათ წერტილს რომ დაიტევს და მოიტანს შენამდე? ათი ჯანდაბას, ნუ იქნება, ექვსი დაიტიოს, ექვსი შავი წერტილი. მოიტათ ასეთი დურბინდი, მოიტათ ჩქარა — ექვსი მოძრავი წერტილი დამანახოს და აღარაფერი მინდა.

— ინებეთ, დურბინდი, აი სხვა დურბინდი...

— რო ვერ იტევს ექვს წერტილს? ესეც რო ვერ იტევს? ნუთუ კარგი დურბინდის შოვნა ასე გაჭირდა? აი, დიდი დურბინდისა, ექვსს რომ დაიტევს ერთბაშად...

აი, მოსაღ მოვდა ამასობაში, ბინდი გადაეკრა ზეცას და მიწას. აბა რა დურბინდი გაიგნებს გზას ამ უკუნეთში? გათენდეს და ვნახოთ, მოიცა, გათენდეს ერთი...

— მოსაღამოვდა? ეგ როგორ? როდის, რანაირადა? მოიცა, მართლა მოსაღამოვდა?

მოუთმენლად ველოდებით გათენებას, თვალმილულულნი გონების თვალით დავეძებდით მეექვსეს. და ვფიქრობდით — „რა იქნა იგი? სად გაუჩინარდა? სად გაქრა, რა დაემართა?“ — უკვე მერამდენედ იბადებოდა თავში ერთიდაიგივე კითხვა — „სად, როგორ, რატომ?“, მაგრამ პასუხი ვერავის გაგვეცა. ვერავის, იმიტომ რომ ძალიან შორს იყვნენ ისინი ჩვენგან, შორს, მაღლა, მთებში.

— მოიცა. ცოტაც მოითმინე. ინათებს და გაირკვევა, ყველაფერი გაირკვევა...

— ვითომ? ვითომ ინათებს კი?

და აი, ბოლთასა ვცემთ კარვების წინ. ველოდებით, როდის გაბრწყინდება მთათა კალთები. ამ ბოლთისცემაში გვინდა ჩავკლათ მწვალებლური ფიქრი — რა იქნა მეექვსე? ან იქნებ იგი თავის ადგილას იყო და ჩვენ ველარ შევნიშნეთ, ან დურბინდმა ველარ დაიტია?

ახლა კი დურბინდიც აღარ გვჭირდება. თვალებზე ხელმოჩრდილულნი გავცქერით ფერდობზე მოძრავ ხუთ წერტილს. ისინი ულრუბლობის გამო გუშინდელზე უფრო ახლოს და გარკვევით მოჩანან. მაგრამ საუბედუროდ ჯგუფს ერთი კაცი აკლია. აკლია და... მას სახელიც დავარქვით — ილიკო გაბლიანი. მაგრამ კვლავ ველარაფერი გაგვეგო „სად, რატომ, რისთვის?“

და აი, ისინი მოდიან ცალ-ცალკე. ორნი — წინ. სამნი — უკან და სხვა გზით. რატომ ორ წინწამოსულს უკან აღარ გამოსდიეს დანარჩენებმა, მათ ორის გზა უარყვეს და სხვა მხრით დაეშვნენ. ეს მართლაც ყველაზე უცნაური იყო და ყველაზე საწყენი.

დაეშვნენ კი?

ვერა, სამწუხაროდ, ვერ, ვერ დაეშვნენ!

იმ სამეულიდან მხოლოდ ერთმა ჩამოაღწია ბანაკში. ორიდან კი, წინწამოსულებიდან — ორივემ.

მოვიდეს ვინც ვაჟკაცია და თქვას — მე წინასწარ განვჭვრეტდი ყოველივეს, წინასწარ ვიგრძნობდი და ხმასაც დროზე მივაწვდენდი, გავძახებდი და გავაგონებდი იმ სამეულს — წინა ორისთვის გამოედიათ, განზე რაღას იწეოდნენო.

აღარაფერი ძალგვიძდა, არც მიშველება და არც ხმის მიწვდენა, რჩევა-დარიგება და გზის მისწავლება. უკვე ყოველივე გვიანი იყო. არავის და არაფერს არ შეეძლო მისი შეტრიალება და შებრუნება, რაც უკვე მომხდარიყო.

## უშბა. იმედი

ბავშვებით აჟრიამულებული მაცხოვრის ეზო დამიტრიალდა თვალწინ. შუა მოედანზე საჯილდაო ქვა გდია. მოპაექრენი რიგრიგობით მიდიან მასთან. ჩაავლებენ თითებს ვიწრო ყელში და მაღლა ეწევიან.

მოშორებით სოფლის თავკაცები დგანან, ახალგაზრდების ქიდილს შესცქერიან, თავისებურად აფასებენ, აგულიანებენ:

— ცოტა, ცოტაც და გამარჯვება შენია... — ჩაესმის მიხეილს მამა ბესარიონის ხმა.

— აბა, მიდგომა ნუ იქნება — შენიშნავენ მას სხვები.

— ცოტაც, მინაან... რა ლომნაჭამივით ეწვალები. შეუტიე, რომ გჩვევია... — ველარ ითმენს ბესარიონი.

სხვები კიდევ თავისიანებს აგულიანებენ. ოხრავენ და კვნესიან, წელში იჭაჭებიან, როცა მათ ფალავანს უჭირს, ღონე არ მოსდევს... — მინაანს აგულიანებენ და მაგან რა დააშავა ვითამ? — იმართლებენ თავს ისინი და თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიან — თითქოს თვითონ ეწევიანო საჯილდაო ქვას, კისრის ძარღვები ებერებათ, ადგილზე ქანაობენ...

— შეაგულიანეთ რამდენიც გნებავთ, თუ მუხლკვდარია და ღრიანკალივით უძლური, თქვენი მოძახილი რაღას უშველის, ხი... ხი...— ეცინება ბესარიონს — აბა, ჰე, მინაან, აბა, ჰე... — აქეზებს იგი შვილს.

— კარგად ჩაკიდე, ბიჭო, ხელი, ჩაიხარე ცოტა...

— ბუღასავით კი დაგმსხვილებია ეგ კისერი, მაგრამ კი აჯობებდა ე, ქონი ცოტა ძარღვში წასულიყო...

— გაბერილი, იცოცხლე, ტიკივითაა, მაგრამ მოქნილობა აკლია და რას შვრებით ახლა...

— შეუბერე, ბიჭო, შენებურადა...

— ნალვერდალი ხომ არაა ე საჯილდაო, რომ შეუბეროს...

— ასწევ და მე ვიცი შენი პატივისცემა. არა და კარგად მეყოლე...

მერე ჭგვიბის დღეობა წარმოუდგა თვალწინ.

იგი ნათლისვეტზე მიიკაკვება. ავბედითად წუვიან დაყინული გუნდები. ყურები, თვითმფრინავის ხმასავით ალიქვამენ მათ ზუილს. იგი უშიშრად მიიწევს მაღლა, ხელებით ძალუმად ჩასჭიდებია ნათლისვეტს, ხვართქლასავით ჩასწვნია მთელი სხეულით. ქიაყელასავით იკუნტება და იშლება, იკუნტება და იშლება. სანატრელი ჯვარი სულ ახლოს რიალებს, ჯვარი, რომლის მადლიც გამარჯვებას მოუტანს ლომის ხეობას, მოსავალ-საქონელს დაამრავლებს, მშვიდობას დაამკვიდრებს ქვეყნად.

— ჰე... ჰე... ჰეეი. მინაან... ჰეჰეჰეეი... — მოისმის ქვემოდან ლალამელთა გამამხნევებელი შეძახილი — ჰე... ჰეეეი...

....თეთრი ანტონი სარეცელზე მისვენებულა. ძლივს გასაგონი ხმით უკანასკნელ სიტყვას ეუბნება მიხეილს, ძველ ზღაპრებს უყვება ბეთქილზე, ჩორლასა და სხვა მონადირეებზე.., ბოლოს კი შეეწუკვება — იხსნას დალები განსაცდელისაგან, როგორმე უშველოს შეცივნულთა და დამფრთხალთა, უპატრონოს და გამოესარჩლოს... იმათ გვერდში ამოდგომას ეჯაჭება თეთრი მოხუცი...

ბიბლიოთეკა

კლდეზე მიჯაჭვული ბეთქილი თანასოფლელთ გადასძახის:

— ერთი ჩემმა საცოლემ მიცეკვოს, უკანასკნელად შევხედო, როგორ დაგოგმანობსო...

ცეკვავს ნიკაპთან ლეჩაქწაკრული გოგო. ხელები გაუშლია და ლამაზად, მოხდენილად დარონინობს მოედანზე.

— მთელმა ხეობამ იცეკვოს, მთელმა სოფელმა იმღეროს შეუპოვრობასა და მამაცობაზეო...

და მღერის და ცეკვავს ხალხი. ვაჟკაცობასა და ქედუხრელობაზე მღერიან, ბუბუნებენ ნაბდისქუდიანები. გამტანობასა და ერთსიტყვაობაზე თხზავენ ლექსებს მეჭუნირეები.

— ჩვენც შენთან, მინაან. სადაც შენ, ჩვენც იქა... ჰე... ჰეეიი... — კვლავ ამოვარდა ქვევიდან ამხანაგების შეძახილი. ჩხვიმლიანი ფიქრებიდან გამოერკვა. ახლა სასწრაფოდ უნდა მოემოქმედა რაღაცა. გარდასულ დღეთა გახსენების დრო არ იყო. ამხანაგები არ ჭრიდნენ თოკს. ამხანაგები იზიარებდნენ მის ხვედრს. ეს იყო მთამსვლელური წეს-კანონებისადმი ერთგულების უმაღლესი გამოვლინება. სინამდვილეში მათ არაფერი, არაფერი არ შეეძლოთ. უბრალოდ იზიარებდნენ მის ხვედრს და ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს თავის გულს უჩვენებდნენ მიხეილს. ისინი ერთი გზით წავიდოდნენ ყველანი. როგორც აქ ამოვიდნენ მხარდამხარ, ისე გაემგზავრებოდნენ ერთად უცხო ქვეყანაში, საიდანაც არავინ არ ბრუნდება. ოცდაათ მეტრზე გადაჭიმული თოკი იმ სიმაღლიდან მომწყდარ კაცს დააკავებდა ვითომ? იგი მათ ერთიანად გამოლალავდა თავიანთი სახუნდარ-სამალავებიდან, გამოლალავდა და სივრცეში გააქროლებდა...

მათგან ამბის მთხრობელიც კი აღარ დარჩებოდა.

უეცრად განზე გაქცეულმა სისხლმოწოლილმა თვალებმა შენიშნეს, როგორ შეხტა სახურავის ზედაპირზე მცირედი შხეფი; თითქოს წკიპურტი ჩაჰკრესო, ისე წამოხტა იგი კლდოვანი ზედაპირიდან.

„ჩქარა... ჩქარა... ჩქარა...“ — კვლავ დარეკეს საგანგაშო ზარებმა.

## მიწა ხარ და მიწად იქეც...

— იცი, რა... ისინი... ისინი გადაიჩეხნენ...

ამდენის ატანა მართლაც აღემატებოდა ჩემს ძალას. უეცრად თავბრუ დამეხვა, ირგვლივ ყველაფერმა ტრიალი დაიწყო. ტრიალებდნენ მთები, ღრუბლები, ადამიანები. წამით გრძნობა დავკარგე. მაგრამ მალე ისევ მოვეგე გონს. აზ-

როვნების უნარი რომ დამიბრუნდა, პირველად გავიფიქრე — არა, იმ ბიჭების დაღუპვა როგორ შეიძლებოდა. დავრდომილმა ჩამოაღწია, ისინი ხომ საღ-სალამათნი იყვნენ, მართალია, თემოს უჭირდა, გამარჯვების პიკზე ღია ცის ქვეშ უკარვოდ და უსაძილეტომროდ ღამენათევს კარგი დღე არ ადგა, მაგრამ სიმხნევით სხვაზე ნაკლები როდი იყო. კუზმინიც მათ ახლდა. აბა რანაირადღა მოხდა ყოველივე? ყოვლად წარმოუდგენლად მომეჩვენა კირილეს ნათქვამი — გადაიჩეხნენო.

ვუთხარი კიდეც:

— რანაირად, კირილე, რანაირად მოხდა?

— არ ვიცი... არ ვიცი... — ანგარიშმიუცემლად მპასუხობდა იგი.

— სამნი იყავით. ორნი რაღანაირად გადაიჩეხნენ?

— იქით იოლი გზა მოგვეჩვენა. შევცდი კი. ერთგან კლდიანი უბანი შეგვხვდა. თოკი ჩავკიდეთ. პირველი ჯუმბერი დაეშვა, მერე — მე. ბოლოს — თეიმურაზი...

— თეიმურაზი? იგი ხომ ყველაზე ცუდად იყო.

— ქვა, რომელზეც თოკი იყო გამონასკვული, მოძვრა, თოკიც თან გაიყოლია და თეიმურაზიც, იცი, როგორ მიფრინავდა? ფრთოსანივით?

— თეიმურაზი მეორე უნდა დაშვებულიყო. ყოველშემთხვევაში, ბოლოს არა. მაინც რა მოსაზრებით მოიტოვეთ უკან?

კუზმინი დუმს. გულაჩუყებული, თავბრუდახვეული, გაოგნებული დუმს.

— მერე რა იყო?

— ფერდობზე გავედით, ჯუმბერს უნდოდა ღაბლა გადაეხედა, იქნებ კლდის შვერილებზე ჩამოეკიდა სადმეო. მაგრამ ხომ იცი, რა დღეში ვიქნებოდით, ვღელავდით ორივენი. ვღელავდით და...

— და ისიც თან გადაჰყვა...

— თავდაცვაზე ვინ ზრუნავდა. აბა ვინ იზრუნებდა იმ წუთში თავდაცვაზე. ჰოდა, აუსხლტა ფეხი და უკან გაედევნა თავის ამხანაგს...

„უკან გაედევნა"... რა ადვილი სათქმელია — უკან გაედევნა თავის ამხანაგს — შეიძლება გაედევნო სადმე სხვაგან, მაგრამ უფსკრულებში? საიდანაც მოსაბრუნებელი გზა არ არსებობს? როგორ ხდება ასეთი რამ? უკან გადევნება!

— კი მაგრამ... — ათასი კითხვა მიტრიალებდა თავში, მაგრამ ვგრძნობდი, რომ საამისო დრო არ იყო ახლა. — ბიჭებმა „ზვიოზდოჩკას" მყინვარზე ჩაეჩუმქრა ზვავსა და ნამქერს. ჰოდა, იკითხე და გამოიკითხე რამდენიც გენებოს, ისინი ველარ ადგებიან. ველარ შემოუერთდებიან მოლაშქრეთა ბანაკს, ვერ შემოგვაწევენ სიტყვას გასაჭირის ჟამს, ვერც რუსთაველზე ჩაისეირნებენ...

სავალალოდ, უკვე ყველაფერი გვიანი იყო.

— ახლა ძირს, ბანაკისაკენ. მაღლა არაფერი გვესაქმება. ზევით არავინაა, ვის უნდა ველოდოთ? — დავიყვირე ხმამაღლა და სირბილით დავეშვი თხემზე. არ ვიცი, სად მიმეჩქარებოდა ასე, რა მიმარბენინებდა, მაგრამ ცოტა მეამა კი, ტყაპა-ტყუპით რომ ჩამოვსერე ფერდობი.

მეორე დღეს გადავწყვიტეთ თეიმურაზისა და ჯუმბერის მოძებნა. მაგრამ იმ ადგილას მოხვედრა, ისინი რომ გვეგულებოდნენ, ერთობ საძნელო იყო. ზემოდან წამდაუწუმ ცვიოდა ნაშალი ქვა, მოჰქროდნენ ზვავები. პირველი ჯოკია გუგავა მოვიდა. მეც შენთანა ვარო, მერე სხვებიც გამოჩნდნენ. დავეშვით მყინვარზე. გზა თანდათან სახიფათო ხდება. მაგრამ ჯოკიას შეუპოვრობაც თანდათან მატულობს, არაფრით არ უნდა უკან დახევა. ავედით ფერდობზე. აქ უნდა დავძებნოთ ბიჭები, ასეთია ჩვენი ვარაუდი. ბუნებამ ამჯერად შეგვიბრალა, ერთხანს ისე გაისუსა ყოველივე, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი, არც ზვავი, არც ქვა, არაფერი არ გვიშლიდა ხელს მუშაობაში. მალე მოვნახეთ შეკელტონი, მერე ზურგჩანთა. ბოლოს მათი პატრონებიც. მათ, რა თქმა უნდა, ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდა კაცი. უცბად ამოვიყვანეთ ისინი პლატოზე და თოვლში ჩავმარხეთ. ორი კაცისათვის შეუძლებელი იყო ბანაკამდე წამოღება. ამ დროს ოთარ ხაზარაძეც გამოჩნდა და დაღლილ-დაქანცული ჩვენს მოსაშველებლად გამოიქცა.

საბაზო ბანაკში, რომელიც 4.200 მეტრზე მდებარეობდა, შევკრიბეთ მთამსვლელები და ავუხსენით მდგომარეობა. ბიჭების ჩამოსვენება გადავწყვიტეთ. მე თვალები მეწვოდა, მხედველობა მიჭირდა, მაგრამ ბიჭების ჩამოსასვენებლად წასვლა აუცილებლად მივიჩნიე. ჯოკიამ დამიშალა — შენგან საკმარია, რაც გააკეთეო, მაგრამ არ დავუჯერე. დაგეგმილი იყო, რომ გადმოსვენება ხუთ დღეში მოხდებოდა. ჩვენ კი ეს ერთ დღეში გავაკეთეთ.

ო, დიდებული, დიდებული საჩუქრებით გამოგვისტუმრა მუხთალმა ტიანშანმა.

შაჰ-აბასივით უნდობელი აღმოჩნდა იგი ჩვენს მიმართ — თან მძევალიც დაირჩინა — ილიკო გაბლიანი. ამჟამად „ყველაზე მაღალი ადამიანი მსოფლიოში".

• • •

— ჟახბუგან იალო... ჟახბუგან... ჰეჰეეი, ჩხვიმლიან.,. — იძახოდნენ ბიჭები.

„წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო" — ისინიც უკანასკნელ მოვალეობას იხდიდნენ ჩემს წინაშე. ამ დროს ოცი-ოცდაათიოდე ნაბიჯით მაინც ვიქნებოდი მათგან დაშორებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ორმოცი მეტრი მაინც უნ-

და მეფრინა ჰაერში. ამ სიმაღლიდან მომწყდარ კაცს შეაკავებდა კედელზე სამსანტიმეტრიანი პალოებით მიჭედილი, თოკებზე მოკონწიალებული ხუთი ადამიანი? მათი სიცოცხლე ხომ ისედაც ბეწვზე ეკიდა, ე. ი. ჩვენგან ამბის მთხრობელიც აღარ დარჩებოდა! — უკვე მერამდენედ გამიელვა ამ ფიქრმა გონებაში. ერთხელ კიდევ გავიწიე — გავიბრძოლე. ცალ ხელზე დავეკიდე, მეორე „შადრევანისაკენ“ გავაცოცე. შუა თითი ანკესივით გამოედო თვალით უხილავ ღრეჩოს, თითი თითქოს გაქვავდაო, მოიკაკვა, დაიძაგრა და მკვიდრად დაესახლა მცირე ღარტაფში. მეორე ხელზე კი მყისვე ვიგრძენი შვება, ტანიც შემიმსუბუქდაო თითქოს, ისე აღარ მეწეოდა უფსკრულისაკენ, თვალებში მოწოლილმა სისხლმა უკან დაიწია.

ახლა მარცხენას უნდა ემარჯვა. კვლავ „შადრევნები“ უნდა მეძებნა. მალე აღმოვაჩინე კიდეც. ხელმა იქით გაიწია, თითები უმალვე ჩაავლდნენ. მერე უფრო გაიოლდა. მაღლა და მაღლა სახურავი უფრო დანაოჭებული აღმოჩნდა. მუშაობაში სხეული გახურდა. მალე „საყვავილეზეც“ გავაღწიე. სახიფათო ადგილი უკან დარჩა. სხეული გამარჯვების ჟიჟინამ მოიცვა. ღრუბლის ფთილებიდან ჩვენი თოვლიანი მწვერვალის კონტურები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. წინ ყველაზე მშვიდობიანი, იოლი გზა იდო, 30 გრადუსიანი დახრილობით, სადაც წრიაპებით გავიდოდით თავისუფლად. ყოველშემთხვევაში, შლიამბურის პალოები ხომ არ დაგვჭირდებოდა...

— ჰე... ჰე... ჰეეეიიი... — მოედო გარეშემოს მთრთოლვარე ხმა. ეს იყო გამარჯვებული კაცის ყვირილი.

— ჰე... ჰე... ჰეეეიიი... — იყო დაბლიდან პასუხი.

მაგრამ ეს რაღაა, თოვლი რაღაზე განაცრისფერებულა და ჩამუქებულა აგრერიგად?

„მთაში მალე ღამდებოდა. მთებში ჰალე დადის. ჰალე ბავშვებს დასდევს...“ — წამოტივტივდა მეხსიერებიდან თეთრი მოხუცის სიტყვები. მერე ჰალისგან დავრდომილის შელოცვა გაახსენდა: „შიშილაად, ფუფულაად, ცხიკიშთე ცხიკთადე, ველიშთე ველთაადე“.

ასე მკურნალობდნენ ბებია ქალები ჰალნაკრავთ, შეშინებულთ, გულწასულთ. მაინც რაღაზე გაახსენდა ახლა ეს ბავშვობისდროინდელი შელოცვა? რა მაგისი დრო ჰქონდა ახლა? შიშით არ ეშინოდა, მით უფრო ეშმაკებისა და ჰალების. მაგრამ თოვლი რომ განაცრისფერებულა, ეს რაღაა?

ნუთუ ღამდება? ნუთუ ვეღარ მოასწრებენ დაბინავებას?

უცბად ჩაარტყა პალო. მერე თოკი გაუყარა, გულმა აღარ მოუთმინა, ძალიძალად მეორე, სათადარიგო პალოც ჩაარჭო ნაჩვრეტში და თოკი ძირს მოისროლა. თვითონაც ჩაებღაუჭა და დაელოდა. ვიდრე ამხანაგებს ილებდა თავისთან, საკარვე ადგილს ათვალიერებდა. თან იმ შელოცვაზე ფიქრობდა. ნუთუ მართლა კურნავდა იგი დავრდომილთა და გულწასულთ? — უკვირდა ეს ამბავი.

როცა ექვსივემ ერთად მოიყარა თავი, ჩხვიმლიანმა თქვა:

— აი, საკარვე ადგილი... ერთი ადამიანურად გამოვიძინოთ ამაღამ, გამარჯვებულთა შესაფერისად, ჰა?..

„საკარვე ადგილი?“ — ამხანაგებმა ირგვლივ მიმოიხედეს, მაგრამ ისეთი ვერაფერი შენიშნეს.

— სად ხედავ საკარვე ადგილს?

— აი, ეს რაღაა აბა... — ხელით მიუთითა მიხეილმა ქვაღორღიან ფერდობზე.

რაღაც ეშლებოდა უფროსს. ამჯერად რაღაც ეშლებოდა. ყველანი გაოცებულნი მიაჩერდნენ.

მიხეილმა თვალები მოისრისა და თავი გააქნია:

— ეს ოხერი, მომეჩვენა...

„ხედავთ, მოეჩვენა, მიხეილსაც მოეჩვენა. ყველას შეიძლება მოეჩვენოს რაღაცა, ჩხვიმლიანს მოეჩვენა...“ — მხრებს იჩეჩავდნენ ამხანაგები.

— უნდა დაისვენო... სასწრაფოდ ჭამე და მიწექი... ახლავე მიწექი. — ურჩია მას მიხომ.

ღამის ბინდ-ბუნდში ბიჭებმა მიასწორ-მოასწორეს იქაურობა. მალე კარავი მზად იყო. ყველანი შიგნით შეილალნენ. საძილე ტომრები გაშალეს, თითო ნაჭერი პური და ხორცი გადასანსლეს და წამოწვნენ. ვახშმის გამზადებას დრო უნდოდა, დრო და მოთმინება. მათ არც ერთი ჰყოფნიდათ და არც მეორე. მშრალად წაიხემსეს და წამოწვნენ.

ახლა ძილს არაფერი სჯობია. ძილსა და მოსვენებას. მათს ხელმძღვანელს ეს ორი რამ ესაჭიროებოდა ამ წუთში ყველაზე მეტად. მიხეილმა კარგად უნდა გამოიძინოს, დაკარგული ძალ-ღონე აღიდგინოს, ნერვები დაიმშვიდოს, რათა მოჩვენებებისაგან განთავისუფლდეს...

და ამ დროს ყველასდა მოულოდნელად კარავში ჩუმი ღიღინი გაისმა:

„ო, ლილე, ოო, ისგვამი დიდაბი ვო,
ლილგვა ჰა,
შიოდა, ჰოდი ვო ლილე ოო...“

მიხეილი მღეროდა, გამარჯვების სიმღერას ღიღინებდა .მათ თამამად შეეძლოთ ემღერათ დღის მნათობზე, ისინი ხომ მის საუფლოში იმყოფებოდნენ, ოქროსფერი მზის ქვეყანაში იყვნენ, სადაც იშვიათად თუ ამოაღწევდა ვინმე, და სადაც დააგუგუნეს ალბათ მნათობის სადიდებელი ჰიმნი „ლილეო“ მამაცმა წინაპრებმა. ისინიც სახელგანთქმულ მონადირეთა ნაბინა-

ვარში წამოწოლილიყვნენ. შესაძლოა სწორედ ამ ადგილას მიეშველა ბეთქილი მშობიარე დალს, და იქნებ მისი გასამართლებაც აქ მოხდა, ამ კედელზე? აქ დაჰკიდეს იგი შეურიგალმა ფერიებმა მთელი ქვეყნის დასანახად, როგორც ფიცის გამტეხი და მოღალატე?

იქნებ აქ გააკრეს კლდეზე გაუმაძღარი ჩორლა მარჯვენა ფეხითა და მარცხენა ხელით რქაბრტყელთა მფარველებმა და აქ გამოეცხადა მხსნელად წმინდა გიორგი?

„ოქვრაში სამკალი ჰო, ლიგვა ია, შიოდა ჰოდივო ლილე ჰოო"...

აჰყვნენ ჩხვიმლიანს ამხანაგები. ვაჟკაცთა ხმამ თანდათან იმძლავრა. გაშალა ფრთები, რხევა-რხევით გადაევლო ქარაფებს, ფირნოვან ველებს, ლომის ხერხის მთებსა და მწვერვალებს. მთელს ქვეყანას მოეფინა მათი ღაღადისი მაღალ მნათობზე, დიდგულოვანთა, ამაყთა, გუშაგთა, ზვიადთა, შემმართებელთა ხმამაღალი სიმღერა ლილისფერ სიმაღლეებზე, ვარსკვლავებსა და მთვარეზე...

მერე რა, რომ თავზე ჯერ დაუპყრობელი უშბა დასცქეროდათ, უშბა, რომელსაც მალე მამაცი ექვსეულის რკინებით მოჭედილი ფეხსაცმელები აუწვავდა ფოლადისფერ ზურგს.

ათას მთას გარდასულ ოქროსფერ მნათობს მოუხმობდნენ ბიჭები გზის მანათობლად, მეგზურად და შემწედ...

### გამარჯვება

რვა საათია. ბექნუს დარიგებისამებრ გვალდირზე გამოვეშურე. ერთი გაფოთლილი მურყანის ბუჩქი მოვნახე და შიგ შევძვერი. აქედან მინდა ვუთვალთვალო მწვერვალს. ჯერ ნიშნის მოცემამდე საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ მე გული არ მითმენს და თვალს არ ვაშორებ არიალებულ უშბას. იმის აღმოსავლეთ კედელზე თითქოს ადამიანები მელანდებიან, ისინი ჰიანჭველებივით მოჩანან კლდეს აკრულნი და მაღლა მიხოხავენ. წინ მიხეილი მიცოცავს, გზადაგზა პალოებს ასობს კედელში, ზედ თოკს გაუყრის და მერე ქვევით, მოფუსფუსე ამხანაგებისაკენ დაუშვებს — აბა ამოჰყევითო. პირველი თოკს შალიკო ჩაეჭიდებოდა ან ჯოკია, მიხეილი (უმცროსი), ჯუმბერი ან გივი, მორიგეობით მეწინავეობდნენ ისინი, რათა თანაბრად დაღალულიყვნენ, ჯან-ღონე შემოენახათ გადამწყვეტი მომენტისათვის...

უცბად აეროპორტის გზა მანქანებით გაივსო. მანქანები სათიბებშიც შემოკრიალდნენ, ერთმა სატვირთომ ჩემი ბუჩქის წინ დაამუხრუჭა. მთელს მესტიას შეეტყო, ცხრა საათზე რომ იძლეოდნენ ბიჭები ნიშანს. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ ყველას აინტერესებდა, რა ხდებოდა იქ, მაღლა, დალების სამფლობელოში. მავანთა და მავანთა მსგავსად ხომ არ აუცურეს მათაც ფეხი ნადირთფერიებმა. როგორც ჰულიშის დღესასწაულზე, ისეთი ყაყან-ჩოჩქოლი სუფევდა ირგვლივ. მოსულიყვნენ ქალები, ბავშვები, ქალაროსნები, ახალგაზრდობა. ალბათ ჯერ არც ახსოვს მრისხანე უშბას ერთბაშად მიშტერებული ამდენი მოელვარე თვალი... იგი მედიდურად შემართულიყო ცის დასალიერში და მუქ ლაჟვარდებში გახუდრული ვერცხლისფრად ქათქათებდა.

მერე ყველანი დუმილად იქცნენ. დანიშნულ დროს ცოტალა უკლდა და ახლა მთელი მესტია სუნთქვაშეკრული განაბულიყო სგიშის სათიბებში. კალიების წრიპინი და საკალმახე ღელის ჩუმი ბუტბუტი-ღა არღვევდა გამეფებულ მდუმარებას. ჰაერში ახლად მოთიბული ბალახის ჟრუნატელის მომგვრელი სუნი ტრიალებდა, ცად ვარსკვლავები გამოსულიყვნენ თავიანთ სახუნდარებიდან და თითქოს დღეს აღმოაჩინესო ეს ქვეყანა, გაოცების ნიშნად თვალებს აფახულებდნენ.

ათი წუთი იქნებოდა დარჩენილი სიგნალამდე, რომ ჩათინის თავზე ერთი თეთრი შუშხუნა აელვარდა. ჩათინზე ჩვენს ბიჭებს რა უნდოდათ, მაგრამ ხალხმა მაინც დაუკრა ტაში — მთამსვლელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შენიანი, თუ მთლად უცნობი ადამიანი, პატივისცემისა და სიყვარულის ღირსია. იმიტომ, რომ იგი მზისკენ ისწრაფვის, და ვაჟკაცთა შორის უპირველესი რაინდია, უშიშარი, მგლისმუხლება რაინდია. ასე ფიქრობდა ეს ხალხი. ამიტომ ტაშის მქუხარება კარგა ხანს გაისმოდა ირგვლივ. ყველას მეტი იმედი მოეცა. ახლა იმაზე ბჭობდნენ, სადამდე იქნებოდნენ ასული მთამსვლელები, რომელ მონაკვეთზე არიალდებოდა თეთრი, მშვიდობის მახარობელი შუშხუნა, კედლის შუაწელში, ქვემო ნაწილში თუ იმ ადგილზე, სადაც იგი მწვერვალისწინა დამრეც თხემში გადადიოდა... ეს უკანასკნელი ვარიანტი ფრიად საეჭვოდ მიაჩნდა ყველას, მთელი მარშრუტის გავლა ათ დღეში იყო დაგეგმილი, და ერთი კვირის თავზე მწვერვალისწინა თხემზე აღწევა წარმოუდგენელი იყო.

ცხრა იყო ზუსტად, წარმოუდგენელი რამ მოხდა. არც კედლის შუა წელიდან, არც მწვერვალისწინა თხემიდან, ზედ უშბის წვერზე დაენთო ოთხი მშვიდობიანი შუშხუნა.

არასოდეს დამავიწყდება ის ღრიალი და ტაშის ხმა, მესტიელებმა რომ ატეხეს. თადარიგიანებმა სახელდახელო სუფრაც კი გაშალეს მწვანე მოლზე, უცბად-უცბად გადაჰკრეს ბიჭების სადღეგრძელო, მერე სიმღერა წამოიწყეს. სიმღერა მზეზე — ლილეო... ხვალინდელ მზეს უმღეროდნენ ისინი, ხვალინდელ ნათელს, ხვალინდელ დარ-ამინდს...

მერე მანქანებზე ავიდნენ და სიცილ-ხორხოცით ღამის ბინდბუნდში გაუჩინარდნენ.

მეც გამოვედი ჩემი ბუჩქიდან და შინისაკენ გავუყევი. ნელა მივდიოდი. და იმ ბიჭებზე ვფიქრობდი. ისინი კი ამ დროს უშბაზე გადმომდგარიყვნენ და მე მიყურებდნენ. მათ რკინებით მოჭედილი ფეხსაცმელები ეცვათ და ზურგს უწევდნენ მწვერვალს...

* * *

„ეჰ, სიკვდილს განა ბევრი უნდა.
ერთი დამთქნარებაა...“

სვანური თქმა

საღამოსეული ბინდი წამოჰპარვია გამზირს.

ჯერ კიდევ სძინავთ ნეონის ლიფლიფებს, ლამპიონებს, ნათურებს... ღვიძავს ქალაქს — ათასი წყვილი გამოსულა ქუჩაში. ლამაზად გამოწკეპილან გოგოები, ბიჭები.

იცინიან და ხარხარებენ ისინი.

სერიოზული ბჭობა არ უხდება გამზირს.

ამაღამდელი საღამო — მხიარულებისაა.

ამაღამდელი საღამო დროისტარებისაა, სიცილ-ხარხარისაა...

ჩვენც მოვსეირნობთ გამზირზე. უხმოდ მივუყვებით ვერისაკენ. მიხეილს სპორტული კოსტუმი და დაკბილულლანჩებიანი ჩეხური ბათინკები აცვია. ტანსამოსელით იგი ყველასაგან გამოირჩევა, სიარულითაც გამოირჩევა სხვებისაგან — მსუბუქად, მოხდენილად მიაბიჯებს.

მე მეამაყება მის გვერდით სიარული, თვალს რომ გამოაყოლებენ ნაცნობ-უცნობები, გული ამიჩქროლდება ხოლმე. შინაგან აღტკინებას ვებრძვი და ვმალავ. გულში კი ვფიქრობ, ამვლელ-ჩამომვლელს თითქოს ნიშნისმოგებით ვესაუბრები — „იცით, თქვენ ვინ არის ეს კაცი? კლდის ვეფხვია, კლდის ვეფხვი მოაბიჯებს რუსთაველზე...“

შემხვედრთა სალამზე მიხეილი ჩუმად, ძლივს გასაგონად პასუხობს, ოდნავ მიაბრუნებს იქით თავს და კვლავ გზას აგრძელებს. სიტყვაძუნწობა ამაშიც ეტყობა. ასეთი სიტყვაძუნწი კაცის მნახველი არა ვარ. მთელი საათობით შეუძლია ხმა არ ამოიღოს, და თუ ამოიდგა ენა, მაშინაც ჩურჩულით გელაპარაკება, ძლივს გასაგონად მარცვლავს სიტყვებს.

თითქოს მთათა დუმილი გადასდებიაო — მთათა დუმილი და ფიქრი მდუმარე.

მე სულაც არ მედარდება ეს ამბავი. თუ ჰნებავს, ხმას ნუ ამოიღებს მთელი საღამო, ოღონდ ვიაროთ ასე მხარდამხარ...

„ვინ არის ეს კაცი, იცით, თქვენ?“ — თვალებით ვეკითხები გოგო-ბიჭებს, ისინი თითქოს ხვდებიან ჩემს გულისნადებს, თითქოს ესმით ფიქრის ხმა, აქეთ იხედებიან, ერთიმეორეს უხსნიან რაღაცას, თვალს გვაყოლებენ.

„ალბათ იციან ვინც არი... შენ რა გაჭირვე საქმე... ალბათ იციან...“ — მეცინება ჩემსავე თავზე.

— რამდენი ხალხია, არა? — ვეკითხები მიხეილს, — უფრო სწორად ჩემს ფიქრს განვაცხადებ ხმამაღლა, — ახალგაზრდები, ახალგაზრდები... მოხუცები რა იქნენ?

— მოხუცები? — თვალებს ჭუტავს მიხეილი და რაღაცაზე ჩაფიქრდება, — ახალგაზრდობიდან ბებრუხანობამდე დიდი გზაა — იმხელა, მწვერვალის მისადგომებიდან მის წვერამდე რომ არის. მისადგომსა და წვერს შორის კი ქარაფები და უფსკრულებია, რომელთაც უნდა გადაახტეს მწვერვალთ დამპყრობი და მესიმაღლე. ყველა გადაახტება ქარაფებს? სამწუხაროდ — ვერა...

— ერთი ლექსი ვიცი. ამ თემაზეა სწორედ. „ომი“ ეწოდება.

— ჯერ მე გეტყვი. მეგობრებმა შეთხზეს და მე კი მომაწერეს. — მეუბნება მიხეილი.

აქეთაც ქარაფებია,
იქეთაც ქარაფებია,
ვიცოცხლებთ? — არაფერია!
მოვკვდებით? — არაფერია!

— მა, როგორ მოგწონს? მართლა ასე რომ იყოს? მაშინ სიცოცხლეს რა ფასი ექნებოდა. შენი ლექსი რაღაზეა, სიკვდილ-სიცოცხლეზეა ისიც?

— გამზირის განწყობილებაა გადმოცემული, „ომი“ კი ჰქვია.

— გისმენ, ოღონდ მივდგეთ სადმე. აი, სკვერთან, კუთხეში...

ვიტრინაში ჯიხვის ყანწებია გამოფენილი, ლამაზად დამუშავებული ყანწები. მათ ფასიც ადევთ, ოღონდ კარგად ვერ გაარკვევს კაცი ქაღალდზე ბატისფეხურით მიწერილ ციფრებს.

— რა, ძვირია? — ვეკითხები ყანწებს მიშტერებულ მიხეილს.

— იცი, წუხელ ერთგან წვეულებაში ვიყავი დაპატიჟებული, ყანწები რომ გამოიტანეს, ავდექი და წამოვედი. ყველას გაუკვირდა — სად მიეჩქარებაო, ვერავინ კი ვერ მიხვდა ადგომის ნამდვილ მიზეზს. აბა ვინ რას იფიქრებდა, ყანწები რომ იყო ამაში დამნაშავე? იქნებ სისულელეა, რასაც ვამბობ? არის წუთები, როცა თავადაც მეცინება ჩემს გულჩვილობაზე. მართლაცდა რა შუაშია ყანწები? — იკითხავს კაცი...

შარშან ლეგვმერიზე ავედი, თეთრი მოხუცი შემომჩიოდა ხოლმე, ისე დათხელდნენ ჯიხვთა არვენი, მალე ალბათ იმათი სახსენებელიც გაქრება ლომის ხეობაშიო. წამოვწექი ქედზე და ჭოგრიტით სალ კლდეებს გავხედე. სულმოუთქმელად ველოდი რქაბრტყელათა გამოჩენას, მაგრამ ამაოდ, უკვე მზე საცაა ჩაიწვერებოდა და თვალსაწიერზე ცოცხალი არსებასმაგვარი

კი არაფერი შემინიშნავს. ის იყო გულაცრუებული წამოდგომას ვაპირებდი, რომ ორნი გამოჩნდნენ. ერთი უფროსი იყო — ხარჯიხვისათვის დამახასიათებელი მომშვილდული რქებით, მეორე — ფოთრი, ორი-სამი თვისა თუ იქნებოდა. არ ვიცი, სად იყო დედაჯიხვი, შეიძლება მოკლა მონადირემ? ერთი რამ კი ცხადი იყო, ფოთრს ხარჯიხვი მფარველობდა მშობელი დედის მაგიერ. იგი თვალების ცეცებით მოჰკვალავდა ბილიკს და ალბათ თავის ენაზე ანიშნებდა პატარას — მომყევი, ნუ გეშინიანო...

მაგრამ ამჯერად უმტყუნა ალღომ ბებრუხანას. უცბად თოფმა იქუხა მახლობელ სახუნდარიდან, ხარჯიხვი თვალისუსწრაფესად გადაეკიდა ქარაფზე და დაბლა, თეთრ მყინვარზე დაეხეთქა ტყვიანაკრავი. მაგრამ უარესი შემდეგ მოხდა — დაფეთებული, მარტოდშთენილი ფოთრი აქეთ-იქით მიაწყდა, მშობლებისაგან მიტოვებული ბავშვივით მიედ-მოედო ლობე-ყორეს, ერთგან კლდის ნაპრალში შერგო თავი, ალბათ შიგ გაძვრომა თუ გადაწყვიტა, და გაიჭედა კიდეც. ვერც იქით გადიოდა, ვერც თავი დაეძვრინა, ფეხებს კი იქნევდა და ახხმარტალებდა, რანაირად არ იშველიებდა, მაგრამ არაფერი კი არ გამოსდიოდა.

იცი, რა გულისდამწველი იყო იმ საცოდაობის ცქერა? უცბად გველნაკბენივით წამოვვარდი და კბილების ღრჭიალით დავეშვი დაბლა. რეტდასხმულივით გავრბოდი, უნდა მიმესწრო ცოცხლისათვის. მიმესწრო და მეშველა. ექვსი კილომეტრი მაინც იქნებოდა კლდეებამდე ლეგვმერის ბექიდან, მაგრამ სიშორეზე წუთითაც არ მიფიქრია, თვალწინ ფეხმოსხმარტალე ფოთრი მედგა და იმის მისაშველებლად გავრბოდი.

სულზე კი მივუსწარი. თავით კლდის ნაპრალში ჩაჭედილი სულს ლაფავდა, კისრის ძარღვებში სისხლი შესდედებოდა, ნელ-ნელა კვდებოდა, იხრჩობოდა. სასწრაფოდ ჩამოვხსენი, გულ-მკერდი დავუზილე, მივეფერ-მოვეფერე, წყალი მოვასხურე... ცოტა ხნის შემდეგ მოიხედა, ერთხანს უაზროდ შემომცქეროდა, მერე გონს რომ მოეგო, ერთი ძალუმად შეფართხალდა, ელდანაცემივით ისკუპა და ანგარიშმიუცემლად გადაეშვა ნაპრალებში, ერთი სიტყვით, უკან გასდია თავის მშობელს... „უკან გასდია“, მე მაშინ ტიანშანი გამახსენდა, ადამიანებისათვის დამახასიათებელი რამ ნადირთათვისაც საცნაური ყოფილა. ტიანშანში ჯუმბერმა გასდია უკან თეიმურაზს, გესმის, რამხელა ამბავია, უკან რომ გასდიო ვინმეს მოუსავლეთში? აქ ამ ერთი ბეწო ფოთრმა გასდია თავის მფარველს უფსკრულებში...

შენ გგონია აქ დამთავრდა ყველაფერი? ტყუილად ფიქრობ, ახლა იწყება, რისი თქმაც მსურდა. ყველაზე საშინელი და უარესი ახლა იწყება. ჰოდა, რა გუნებაზე ვიქნებოდი ამ წუთას? მაგრამ შინ ხომ უნდა დავბრუნებულიყავი, აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი; ჰოდა, მყინვარზე რომ დავეშვი, ის ხომ ჯიხვი მაინც დამხვდა, მონადირის ტყვიამ რომ გადმოაფრინა ქარაფებიდან. იწვა სისხლის ტბორში ხელუხლებელი. და გამიკვირდა — მონადირემ მოკლა და რაღაზე მიატოვა-მეთქი, მიატოვა კი! ეს იქიდან ჩანდა, რომ ერთი ჩიჩქიც კი არ აკლდა, მთლიანი იყო, თეთრ თოვლზე ლაქად დაღვრილ სისხლიან ტბორში გაშხლართულიყო. მხოლოდ რქები მოეჩეხათ მისთვის. რქათა ძირებში ნათლად აჩნდა წალდის ნაჭდევები. ღმერთო ჩემო, ეს რა დღეს შევესწარი, ჯერ ერთი, მერე, მეორე, ახლა კი მესამე უსიამოვნება — მონადირეს რქები მოეჩეხა და წასულიყო. აი, მისი ნაკვალევი, ჩორლას ნაკვალევი ბოლომდე ჩასდევდა მყინვარს და ცაიდერის ქვალორღებში იკარგებოდა.

ეს იყო ყველაზე გულისდამწველი: რქების გულისათვის რამხელა უბედურება დაატრიალა ადამიანმა მთაში. მერედა რას წარმოადგენს ეს რქები? ნუთუ სასმელი ველარ დაილევა უყანწებოდ? სხვა რაღას წარმოადგენენ ისინი? ძველადაც კლავდნენ რქაბრტყელებს, თეთრი მოხუციც თოფავდა მათ, მაგრამ არა რქებისათვის, არამედ ჯალაბისათვის! თეთრი მოხუცი ერთ გზობაზე ერთს, ან, დიდი-დიდი, ორ ჯიხვარჩვს თუ დათოფავდა, წესი იყო ასეთი, მეტის ხოცვა ეკრძალებოდა ყველას. ეს კი მოკლავდა რამდენსაც მოიხელთებდა, მოკლავდა, რქებს მოჩეხავდა და ძვალ-ხორცს ყვავებს დაურჩენდა საჯიჯგნად.

ჩორლასავით გაუმაძღარი იყო იგი. აკი ამბობდა თეთრი მოხუცი — „ჩორლასფერანი მომრავლდნენ, მათ მონადირული წეს-კანონები მოშალეს, წაბილწეს მთათა ადათები, და თუ არავინ მიხედა ამ საქმეს, ეს მთები და მყინვარები ყოველთა სულიერთაგან დაცალიერდებიან, ხოლო თმაშეთხელებული, შეცივნული დალები თოვლის ლოლუებად გადაიქცევიანო“.

გამოდის, რომ ჩორლასფერანი იყვნენ და დღესაც არიან. ოღონდ დღეს ერთობ მომრავლდნენ ისინი. დრო გადის, ისინი კი მრავლდებიან და მრავლდებიან. მალე ყველაფერი წახდება, წაიბილწება...

— იქნებ აი ეს ყანწები იმ ხარჯიხვისაა სულაც? ესენი თუ არა, წუხელის რომ გამოიტანეს სუფრაზე ისინი იქნება. მილიონი ყანწია ამ ქვეყანაზე, გაარკვიე ახლა, რომელია იმის რქებისაგან გამოთლილი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ყველა ისინი ჩორლას ნაამაგარია, ჩორლას მოჩეხილი უწყინარ ნადირთა თავთაგან, ვილაც კეთილისმყოფელის სამებლად და

საპატივცემულოდ ჩამოტანილი ქალაქში. ყველა ისინი ჩორლასფერათა ჩამოზიდულია სვანეთის კავკასიონიდან, ყარაჩაიდან, ბალყარეთსა და დაღესტნიდან. და საიდან არა, აბა სად არ მიუწვდება ხელი ჩორლას? ტიანშანში ილიკოს ჩამოსასვენებლად რომ ვიყავით, მაშინაც ცილობდნენ ვიღაც-ვიღაცები ჯიხვისა და არხარის საყანწეებს, ჰპარავდნენ კიდეც ერთმანეთს.[1] ჰო, იყო ასეთი ამბავიც... აბა მითხარი, ყოველივე ამის მერე გული არ შეგიღონდება ადამიანს გაპრიალებული რქების დანახვაზე? გულზე ხელი დაიდე და მითხარი, კარგი გასაძლები იქნება იმათი ყურება?

ყველას ხომ ვერ აუხსნი ამ ამბავს. ზოგს სასაცილოდ მოეჩვენება ყოველივე, გულში ჩაიქირქილებს — „ე, მიშა, მინდიასფერად დაგჩვილებია გული, მაგრამ ერთი რამ კი გავიწყდება — შენ კლდის კაცი ხარ და მასთები არ შეგშვენის..."

შესაძლოა შენთვისაც გაუგებარია ჩემი ნათქვამი? — მიხეილმა ერთი გამომცდელად გადმომხედა, თითქოს სურდა სახეზე ამოეკითხა ჩემი ფიქრები, ვიტრინას მოშორდა და ქუჩას გაუყვა.

ერთხანს უხმოდ მივაბიჯებდით. მე ამ უცნაურ კაცზე ვფიქრობდი. მართლაც, ვინ იყო იგი, კლდის ვეფხვი თუ ვინმე გულჩვილი, გულსუსტი ადამიანი? როგორ თავსდებოდა მის არსებაში ეს ორი საპირისპირო გრძნობა — ვეფხვობა და გულჩვილობა? ეს ყოვლად წარმოუდგენლად მიმაჩნდა.

ამ წუთში კვლავ ამაღლდა იგი ჩემს თვალში და ისევ დამეუფლა სიამაყის გრძნობა, მაგრამ ამჯერად იგი მომდინარეობდა არა მისი ცისიერობიდან, არამედ — კაიკაცობიდან, ადამიანობიდან, მიწიერობიდან.

„თქვენ იცით ვინ არის ეს კაცი? მინდიაა... მინდიასფერაა, გაცხადებული მინდია..." — ნიშნს ვუგებდი გამვლელ-გამომვლელთ.

— იცი, რა გადავწყვიტე? — მომმართა მერე მიხეილმა — აი, იტალიიდან რომ დავბრუნდები, ჩავალ სვანეთში და, როგორც ძველად იცოდნენ უბედურების ჟამს, საწყურით შევყრი ლომის ხეობას, ყველას მოვიხმარიებ, ყველას, ვინც კარგი კაცია და გული შესტკივა იქაურობაზე, სეტში, ჯგურაგის ეზოში შევყრი ყოველთა და ხატზე დავაფიცებ, გაიხსენონ ძველებური სიყვარული ყოველთა სულიერთადმი, შინაურთა და გარეულთადმი, სიყვარული და გაფრთხილება... გაიხსენონ შეცივნული ნადირთ ქალღმერთები, რომელთაც იმდენი თმა სცვივათ თავთაგან, რამდენი ჯიხვიც აკლდება არვეს, გაიხსენონ მთათა ძველთაძველი წესი: „არ მოკლა ორზე მეტი, არ მოკლა დედაჯიხვი, არ გაატყვრინო თოფი გიორგობამდე..." — რა ვიცი, ეს იქნება ალბათ აღსრულება თეთრი მოხუცის ანდერძისა — „დალები შენ გელოდებიან, შენს შეწევნას ელოდებიანო..."

მეტი რა ძალმიძს, თორემ ჰო...

და ვეტყვი კიდევ:

— ხოლო წინწანაქარის მისართმევად მურყნიდან გამოვჩორკნოთ კათხები, ძველი, მამაპაპური კათხები. ამისათვის სულ ცოტა რამეა საჭირო — ერთი ეჩო და ერთიც ხელეჩო, და ხელის გაქნევა და გამოქნევა...

მეტი რა ძალმიძს, თორემ ჰო...

აი, რომ დავბრუნდები იტალიიდან ასე გავაკეთებ...

## ᲘᲢᲐᲚᲘᲐ: ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ

სვანეთში უფროსი თაობის მთამსვლელებზე ამბობდნენ: ესენი, ფეხშეუდგამ სიმაღლეებს რომ ეტანებიან, ცხრათვალა მზისკენ იკვალავენ გზას, მზისკენ, რომელსაც ყველასათვის ბედნიერება მოაქვს. ისინი ბედნიერებას ეძებენ და სიკვდილს ებრძვიან. ებრძვიან და ამარცხებენ კიდეც...

ხოლო როცა ვინმეს უბედურება წამოეწეოდა მთაში, იმაზე ამბობდნენ — იგი წმინდა, ლამაზი სიკვდილით მოკვდაო...

ამიტომ იყო ალბათ, ასე რომ იზიდავდა აქაურ კაცს მთების სილამაზე და სიდიადე. იგი დღენიადაგ ჭიდილსა და პაექრობაში იყო მთებთან...

. . . .

ავტობუსის გასვლამდე მთელი საათი მრჩებოდა. გადავწყვიტე მესარგებლა შემთხვევით და მიხეილისათვის გამევლო ალპურ კლუბში. იგი ამ დღეებში იტალიაში მიემგზავრებოდა და შესაძლებელია მივლინებიდან ვეღარც კი ჩამომესწრო მისთვის თბილისში. ალპურ კლუბში მთამსვლელებს მოეყარათ თავი. აქ იყვნენ მიხეილის კოლეგები, მისი ამხანაგ-მეგობრები — თამაზ ბაქანიძე, რომა გიუტაშვი-

1. 1966 წელს მიხეილი თავისი ჯგუფით კვლავ ეწვია ტიანშანს, ამჯერად მას გადაწყვეტილი ჰქონდა ალმოსავლეთის მწვერვალიდან მოეხდინა გამარჯვების პიკის ტრავერსირება, დასავლეთ მწვერვალზე დაშვებისას მოენახა ილიკო გაბლიანის ცხედარი და ჩამოესვენებინა საქართველოში. მაგრამ მოლაშქრეებს არც ამჯერად გაუღიმათ ბედმა — საიერიშოდ მზადების პერიოდში მოსკოველ მთამსვლელებს უბედურება შეემთხვათ. სამაშველო სამუშაოებმა, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მიხეილმა, უამრავი დრო წაიღო. ამასობაში ამინდი გაფუჭდა, ჩამოიტანა თოვლი, და ჯგუფი იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო.

ლი, ჯულვერ რუსიშვილი, ოთარ ხაზარაძე, აგი აბაშიძე და სხვები. ისინი საუბრობდნენ მიხეილის, და არა მარტო მიხეილის, ჩვენი მთამსვლელების იტალიაში გამგზავრების შესახებ. ჩემს მისვლაზე მიხეილმა ამხანაგებთან ბოდიში მოიხადა და გარეთ გამოვიდა. იგი მოწყენილი და დაღლილი გამოიყურებოდა, წვერგაუპარსავი იყო და სახის ნაიარევებზე წამოზრდილი ჭაღარა ჭარმაგი კაცის იერს აძლევდა.

— მივლინებაში მივდივარ ,— ვუთხარი მიხეილს და სამგზავრო ჩანთა დავანახე, რითაც ვანიშნე, სახლიდან გამოსული და აბარგებული ვარ-მეთქი.

— გამოსამშვიდობებლად მოხვედი?

— ასე გამოდის.

— მოდი, სადგურისაკენ გავუყვეთ. თან ვისაუბრებთ.

— გავცვალოთ როლები?

— ნისიად გაგაცილებ... — გაიღიმა მიხეილმა.

— როდისთვის აპირებთ?

— კვირის თავზე მოსკოვში უნდა ვიყო. ოცდახუთ ივნისს დედაქალაქიდან გავფრინდებით ალბათ. ჯერ არ ვიცი, რა იქნება...

— იცი რა, გაცილება რა აუცილებელია. ჩამოვჯდეთ სადმე. მაინც ცოტა დრო მაქვს...

— მე მოკლე გზა ვიცი, უფრო სწორად, ბილიკი. აი, პარკის ბოლოში გავალთ და იქიდან პირდაპირ დავეშვებით სანაპიროზე, ავტობუსების სადგურში...

— მთამსვლელები უბილიკებოდ აქაც ველარა ძლებთ, არა?

— ბილიკი ტურისტების საქმეა. ჩვენი — არა. მთამსვლელები წავარნების ხალხია.

— ნადირთა ბილიკების?...

— ასე გამოდის. ბავშვობაში ძალიან მომწონდა ტურისტები. იმათი სამწყობრო სიარულისათვის საათობით მიყურებია. თითქოს წეროთა გუნდიაო, ისე ჩამწკრივებულნი მოჰყვებოდნენ ჩრდილოეთიდან გადმოსულნი ცაიდერის გზას... რაც მართალია მართალია — ტურიზმზე პატარობისას მკუას ვკარგავდი.

— მერე?

— მერე — არაფერი! იგი ერთი საფეხურია, მთამსვლელობა უმრავლესობისათვის ტურიზმით იწყება. მთიელისათვის ტურისტობანა რისი მაქნისია... იგი ხომ სინამდვილეში ათგზის ტურისტია. მერე რა, რომ პირველი საფეხურის სამკერდე ნიშნებს არ ურიგებენ... მაგრამ ქარხნის მუშებისათვის, სტუდენტობისათვის და საერთოდ ბარის ხალხისათვის მისწრებაა. იცოცხლე, შესანიშნავი გართობაა და არა მარტო გართობა...

ჩვენ ბილიკზე გავედით. იგი პარკიდან ფლატეს ჩასდევდა. საინტერესო ბილიკი იყო, მკვრივად გატკეპნილი. მიხეილი წინ მიდიოდა, მე მასთან ერთად ხომ მევლო მთაში, მაგრამ მაინც ცხოველი ინტერესით შევცქეროდი, როგორ ეშვებოდა თავდაღმართზე. ხომ შეეძლო, დიდი ნაბიჯებით ჩაჰყოლოდა, მაგრამ — არა! მოკლე-მოკლეს დგამდა, თითქოს დიდი სიმძიმე რამ აწევსო, მუხლებსა ხრიდა, რათა ფეხზე ნაკლები დაწოლა ყოფილიყო. მთამსვლური ჩვევები სისხლ-ხორცში გასჯდომოდა, ამ ქალაქურ ბილიკზეც კი არ ღალატობდა მათ.

მერედა რა მსუბუქად, უხმაუროდ ეშვებოდა. ვისაც მიხეილის მეტეხის ციხიდან მტკვარზე „დულფერით“ დაშვება არ უნახავს, ის ალბათ ვერც გაიგებს და ვერც წარმოიდგენს ყოველივე ამას.

— იცი რა, შენ ერთხელ რომ ლექსი მითხარი, ომზე რომ იყო, — შუბლი მოიქავა მიხეილმა, ბილიკზე თავი შეიმაგრა და დამელოდა, — მე ვიფიქრე, და მომეჩვენა, რომ რაღაც შეცდომაა გააზრებაში... რა ვიცი, იქნება ვცდები...

მართალი გითხრათ მეუცნაურა მისგან ლექსის გახსენება. იმ საღამოს მეტად ლექსებზე არც არასოდეს გვისაუბრია მე და მიხეილს, მას სხვა გატაცებანი ჰქონდა და ლექსებისათვის არც ეცალა. მაგრამ იქნებ ქვეშეცნეულად ახლობელიც იყო მისთვის პოეზია და ეს ამბავი თვითონაც არ იცოდა? მთამსვლელობა და პოეზია ხომ ასე ენათესავებიან ერთმანეთს?

— მაინც რა გაქვს მხედველობაში? — ვკითხე მიხეილს.

— იმ ლექსში შენ ამბობდი, რომ ომი შთანთქავს ადამიანებს და ამიტომ ხნიერთა ასაკს ცოტანილა აღწევენო. მაგრამ მხოლოდღა ომი? ჩვენი ყოველდღიურობა, ბუნებაში არსებული უსამართლობა?..

„კვლავ მიხოზე ლაპარაკობს. ვერაფრით ვერ მოუნელებია მისი სიკვდილი, — გამკრა უეცრად გუნებაში, — მისი ასეთი ფიქრი მიხოდან მოდის, მიხოდან და სხვა ამხანაგებიდან... ახლა იტყვის...“

— აი, მიხო, და არა მარტო მიხო, სხვებიც — ილიკო, ჯუმბერი და თემო, და არა მარტო ესენი, კიდევ მრავალი სხვა, განა ბრძოლაში დაიღუპნენ? — მიხეილი აწყლიანებული თვალებით შემომცქეროდა და პასუხს ელოდა ჩემგან.

მაგრამ აბა რა უნდა მეპასუხა? დავუშვათ, მე „ომი“ ფართო გაგებით მესმოდა, და იგი გულისხმობდა არა მარტო იარაღით ბრძოლას, არამედ ადამიანთა ყოველდღიურ სწრაფვას უკეთესი მერმისისაკენ, უსამართლობის წინააღმდეგ, საგმირო საქმეებისათვის თავდადებას, მაგრამ დავუშვათ, რომ „ომი“ მისი პირველი და ვიწრო გაგებით ვუწოდე ლექსს და მიხეილი მართალი იყო, მაინც არაფერი იცვლებოდა ამით. ამ შემთხვევაში ეს ნაკლებად მადარდებ-

და. მე მეუცნაურებოდა სულ სხვა ამბავი, აი, მაგალითად ის, რომ იგი წვერგაუპარსავი იყო, ნაღვლიანი და მოწყენილი გამოიყურებოდა, და კვლავინდებურად სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრობდა, მიხოზე და სხვა უდროოდ წასულ ამხანაგებზე ფიქრობდა. ამ ბოლო დროს იგი, ეტყობა, დიდ დროს უთმობდა ამ არასასიამოვნო, ნაპრალებზე მოარულ ადამიანისათვის შეუფერებელ და დამღუპველ ფიქრს. ეს ამბავი მაკვირვებდა და მაშფოთებდა.

— ჰო, დიდი სადარდებელი კი გაგიჩინე, არა? ეს ოხერი, რა დროს ამაებზე ფიქრია, დასწყევლოს ეშმაკმა... აი შენი წასვლის დრომაც მოაღწია ალბათ... — ხელი ჩამკიდა მიხეილმა.

ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი და ასე უხმოდ დავშორდით. თუმცა არა, მიხეილმა მომაძახა:

— ერთი გაცილება შენზეა, იცოდე... — ხელი დამიქნია და უკან გაბრუნდა ალპური კლუბისაკენ.

ფიქრებიდან მაშინღა გამოვერკვიე, ჩვენი ავტობუსი თითქმის სამსაათიანი მგზავრობის მერე რაიონულ სადგურზე რომ გაჩერდა. თავი გავაქნიე — აუ, რა შეუმჩნევლად გასულიყო დრო. დრო, რომელიც წაიღო ავბედითი ფიქრებისა თუ მოჩვენებათა უსიამო წინათგრძნობის უარყოფამ.

და საუბედუროდ და სავალალოდ ჩემდა, ეს იყო უკანასკნელი საუბარი მიშასთან. და ვაი, რომ ვეღარ მოვიხადე მის წინაშე ჩემი გარდასახდელი ვალი — მომავალ მგზავრობასა და ექსპედიციებში გაცილებისა.

თუმცა გაცილება ის იყო, ჩვენ რომ გავაცილეთ მიხეილი...

მარადისობასა და უკუნში...

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

• • •

“25. 6. 69 წელი.

თვითმფრინავი რბილად დაეშვა ბილიკზე.

იტალია. ხიმიდჩინოს აეროპორტი.

თბილად გვხვდებიან ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები. ჩალე მათ რომისაკენ მივყავართ, — წერს თავის იტალიურ დღიურში მიხეილი, — მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტიდან 10 საათზე გამოვფრინდით. ოდნავ დაღლილები ვართ. სადილის შემდეგ დასვენებას არაფერი გვერჩივნა, მაგრამ იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებიდან მოვიდა მისი წარმომადგენელი — ლამაზი ქალი. შემოგვთავაზა ქალაქში გასეირნება. უარი ვეღარ ვუთხარით. დავათვალიერეთ მცირე ნაწილი“.

მეორე დღეს დილიდანვე შეუდგა მიხეილი რომის დათვალიერებას.

იტალიის ფირუზისფერი ცა, შორს, ცისკიდურზე თეთრ ცისარტყელასავით გადაჭიმული თოვლიანი მთები საქართველოს აგონებდა მიშას. სვანეთის გულზვიადები, მაჩვიბები და მურყვამ-კოშკები ედგა თვალწინ. ამ დროს გულზე სევდა შემოაწვებოდა ხოლმე, სევდა შორს დარჩენილ სამშობლოზე. თმაშევერცხლილი ბესარიონი გაახსენდებოდა — „ნეტავ რას აკეთებს ჩემი მოხუცი ახლა, ამ წუთში, რას საქმიანობს, რაზე ჩაფიქრებულა...? — გაიფიქრებდა და ნაღვლიანად გაუღიმებდა მეხსიერების ლაბირინთიდან ამოტივტივებულ მამის მუდარითა და სიყვარულით აღსავსე თვალებს.

26 ივნისი. 1969 წ.

„დილიდანვე ვათვალიერებდით ქალაქ რომს. ვიყავით საუკეთესო მონასტრებში. შთაბეჭდილებები თავში ვეღარ მეტევა... საღამოს თერთმეტ საათზე კი გამოვეთხოვეთ იტალიის დედაქალაქს და მატარებლით მილანში გავემგზავრეთ. ისევ შეხვედრები. მოვიდნენ იტალია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრები, იტალიელი თარჯიმანი...“

ორ დღეს იყო მიხეილი მეგობრებთან ერთად მილანში. 28 ივნისს კი რიფუჯოს ქოხისაკენ აიღეს გეზი. უკვე სულ ახლოს მოჩანდა იტალიის დოლომიტები — მთამსვლელთა საასპარეზო მთები. სწორედ აქ, ამ მწვერვალებზე უნდა უჩვენონ მიშამ და მისმა ამხანაგებმა მთამსვლელობის საბჭოური კლასი მსოფლიოს უძლიერეს ალპინისტებს, რომლებიც მალე აქ მოიყრიან თავს. ვინ მოიპოვებს უძლიერესის საპატიო ტიტულს?

28 ივნისი.

„მოვდივართ რიფუჯოს ქოხში. გზაზე სოფლები გვხვდება. ძალიან მომწონს აქაურობა, ასე მგონია, თითქოს სვანეთში ვარ, ბორცვაკები, ბალახი ,ნაკადულები, მთები და ცა, ყველაფერი სვანეთს მაგონებს. აქაურ მთიელებს არ შევხვედრივარ, მაგრამ ალბათ ისინიც ჩემს ქართველებს ემსგავსებიან... საღამოს უკვე ადგილზე ვართ, ძალიან სტუმართმოყვრულად, გულთბილად შეგვხვდნენ“.

29 ივნისი.

„საუზმის შემდეგ მწვერვალთა დასათვალიერებლად გავეშურეთ. მწვერვალებს დიდი სიმაღლე არა აქვთ, მაგრამ კედელთა მასიურობით გამოირჩევიან. ზოგიერთის სიგრძე 1100 მეტრს აღწევს.

საღამოს კრება ჩატარდა. სპორტულ დარგში უფროსად მე ამირჩიეს. დავადგინეთ ჩვენი ხვალინდელი მარშრუტები. მე და ჩემი მეწყვილე — სლავა ონიშჩენკო, მივდივართ მეექვსე კატეგორიის იგორის ტრასაზე. ვენეციის მწვერვალი, რომელზეც კოსმაჩოვი (ალმაატელი ინჟინერი, ჩემი ყოფილი მეტოქე კლდეზე ცოცვაში), კაუნენკო და რომანოვი მიდიან, მეოთხე კატეგორიისაა“.

30 ივნისი.

„წარმტაცი დილა გაუთენდათ ამ დღეს დოლომიტებს. მუქი-ლურჯი ცა ლილისფრად აფერადებდა მთებს და მწვერვალებს. თბილმა დიდებულმა მზემ ოქროსფრად აახასხასა ტყეები, მინდვრები. მწვერვალები წარბშეუხრელად დგანან, ელოდებიან უცხოელ მოასპარეზეებს, რომლებიც უკვე მოეშურებიან მათ დასაპყრობად.

მე და ონიშჩენკო დილის შვიდ საათზე გავდივართ ქოხიდან. რვა საათზე უკვე ტრასაზე ვართ. სამი საათის შემდეგ კი — მწვერვალზე. წინ მივდიოდი მე, ძალიან ჩქარა ვიარეთ. ასეთ დროში ჯერ არავის გაუვლია იგორის ტრასა. ეს პირველი ასვლაა საბჭოთა მთამსვლელებისა იტალიის დოლომიტებში. და იგი ბრწყინვალედ ჩატარდა! ვნახოთ შემდეგში რა იქნება...“

ამ ძუნწი დღიურის ბწკარებს შორის შეიძლება ამოიკითხოს კაცმა:

ურთულესი იგორის კედლის დაძლევა ბევრი მთამსვლელისათვის ოცნებად ქცეულა. მიხეილისა და ონიშჩენკოს წყვილი მას სამ საათში გადის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა ალპინისტური სკოლა ერთ-ერთი უძლიერესია.

უკან დაბრუნებულ მიშას და ონიშჩენკოს ალტაცებით ართმევენ ხელს მსაჯები, მაყურებლები, მონაწილეები და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ამ შავგვრემან, საშუალო ტანის ახალგაზრდას, სევდიანი, თაფლისფერი თვალებიდან მყინვარისეული შუქი რომ გამოუკრთის.

მეორე დღეს მიხეილი და სლავა ისვენებენ. არმანდო გვერდიდან არ შორდება მიხეილს. ამ მოკლე დროში ისე შეეჩვია, წუთით არ უნდა მიატოვოს. არმანდო იტალიელი გიდია, მრავალი რთული მთამსვლური მარშრუტების აღმომჩენელი.

— იცით რა, ხვალ ბანკონგზე გირჩევთ ასვლას, ერთ-ერთი ურთულესი მწვერვალია, მეექვსე კატეგორიის სიძნელისა. მის გავლას ჩვეულებრივ რვა-ცხრა საათს ანდომებენ... — ურჩია არმანდომ მიშას.

— იყოს ბანკონგი თქვენს სახელზე... — მეგობრულად გაუღიმა იტალიელ მასპინძელს მიხეილმა.

## ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘ

2 ივლისი.

„დილას, შვიდ საათსა და ოც წუთზე უკვე გზას ვადექით. ბანკონგის კლდის ვერტიკალი ექვსასი მეტრია, ძალიან რთული დასაძლევი ჩანს. ჩვენ საგულდაგულოდ დავზვერეთ კედელი, მოვხაზეთ სავარაუდო მარშრუტი და შევუდექით იერიშს. საკმაოდ ჩქარი ტემპი გვაქვს აღებული და არ გვინდა იგი შევანელოთ. კედელი მართლაც საინტერესო აღმოჩნდა და ალბათ ამიტომ დაღლილობა არ გვიგრძვნია მაინცდამაინც. ხუთი საათისა და ოცდაათი წუთის მერე ბანკონგზე ვიყავით. მწვერვალიდან ვტკბებოდით იტალიური პეიზაჟის ცქერით.

ჩვენი დრო საუკეთესოა.

ქვემოდან გვითვალთვალებდნენ ანუფრიკოვი და არმანდო... მასპინძელმა იმ საღამოს საუკეთესო მთამსვლელებად დაგვასახელა. კოსმაჩოვმა და რომანოვმა დაიპყრეს ვენეციის მწვერვალი.

საღამოს ოთხ საათზე არმანდომ და მისმა ქალიშვილებმა წაგვიყვანეს სოფელ აგორდაში. აქ ჩვენ ვუჩვენეთ ფილმი, რომელიც 1962 წელსაა გადაღებული სტალინის პიკზე (ამ ასვლაში მეც ვმონაწილეობდი).

სოფელმა აგორდამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ასე მგონია სვანეთში ვარ. თიბვაა გახურებული. თივას აზულულებენ და ჭრელ-ჭრელა ტანსაცმლიანი ქალები შინ ეზიდებიან. სულ ისეა, როგორც ჩვენთან. თივას აქაც სახლის ზედა სართულზე ინახავენ — დარბაზში. საქონლის სადგომი კი ქვედა სართულზეა. თივას, ისევე, როგორც ჩვენთან, მიუვალი ადგილებიდან ეზიდებიან ხოლმე ზურგით, ფოცხიც ისეთივეა, როგორიც ჩვენებური „ლუშდიქი“. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი მშობლიური განცდა ჯერ არსად დამუფლებია.

ცოტა წავეხმარე თიბვაში. როგორ გაუკვირდათ, კარგად რომ ვთიბავდი“.

იმ ღამეს ბევრი ისაუბრეს მიშამ და არმანდომ. მასპინძელმა, სხვათაშორის, აღნიშნა:

— აი, სუალტოს მწვერვალი, მართლაც დიდებული რამ არის. მასზე ერთხელ ავიდა ლივანოს-გაბრიელი. ეს იყო და ეს. მას შემდეგ იგი ვერავის დაუპყრია.

მიშას სახე გაუნათდა და თქვა:

— მე მყავდა უშიშარი მთამსვლელი ბიძა — გაბრიელ ხერგიანი. მე დავიპყრობ სუალტოს, რათა ამიერიდან გაბრიელ ხერგიანის სახელი ეწოდოს ჩვენს მარშრუტს და მაშინ სუალტოსთან ერთად მოიგონებენ მეორე გაბრიელსაც, გაბრიელ ხერგიანს საქართველოდან“ — ფიქრობდა მთელი ღამე მიხეილი და გულში უხაროდა რაღაც

4 ივლისს მიშა და ონიშჩენკო უთენია გაუდგნენ გზას.

მთის ძირში უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. მაღლა ასული მთამსვლელები უკვე ვეღარ არჩევდნენ გულშემატკივართა სახეებს. სადღაც, დაბლა ფეტვის მარცვლებადღა მოჩანდნენ ისინი. დაბლა დარჩა კინოკამერაც, მათს მოძრაობას რომ აღნუსხავდა ფირზე.

მიხეილი წინ მიდიოდა, სწრაფად, მსუბუქად,

მოხდენილად მიიწევდა მაღლა, ვეფხვისებური ნახტომებით ევლებოდა თავს კლდეშვერილებსა და ქიმებს. ვიაჩესლავი ზურგს უმაგრებდა, ძირითადად დაცვაზე იყო გადასული.

აი აქ იწყება ფრიალო კლდე. მიშამ საგულდაგულოდ დაამაგრა კლდის შვერილზე სამაშველო თოკი. ამ ფრიალოსაც დასძლევენ და... მწვერვალზე იქნებიან.

დაიწყო კლდის შემოვლა.

ვიაჩესლავი კი თოკს ჩააფრინდა და ვიდრე თანამეწყვილე თხემს არ მიეფარა, თვალი არ მოუცილებია მისთვის.

მიხეილმა წ..ით გახედა ჰორიზონტს.

დაბლა თვალშეუვლები უფსკრულია. ცა კი უძიროა და ლურჯი, იდუმალებით აღსავსე და უსასრ.ულო. მზე უხვად აფრქვევს სხივებს. სადღაც შორს, მთებისა და ცის გასაყართან წამით ვიღაც ახლობელი ადამიანის სახე აიკვალთა, ჰო, რაღა ვიღაცის.., ეს ხომ ბიძა გაბრიელია! მიშამ ნათლად დაინახა მისი შეშფოთებული, მუდარით აღსავსე თვალები, მერე ხმაც გაიგონა — რაღაცას მოსძახოდა, სასოწარკვეთილი, სახეაშლილი უყვიროდა...

მთებსა და მწვერვალებს ერთიანად დაუარა ბიძა გაბრიელის ყვირილმა.

სუალტოს წვერზე თითქოს მოწყდა რაღაც და ყრუ გუგუნით დაეშვა ქვემოთ.

მიშამ იგრძნო ხიფათის მოახლოება, თოკი მოსწია და ნახტომისათვის მოემზადა. მაგრამ უკვე ყოველივე გვიანი იყო. თოკი დაემორჩილა, მაგრამ ეს იყო სამაშველო თოკის მხოლოდ ერთი ნაგლეჯი... ამ ავბედით ნაგლეჯთან და ბიძა გაბრიელის მორიალე თვალებთან ერთად დაეშვა იგი დაბლა, იტალიური ცის სიღრმეში...

ეს იყო კლდის ვეფხვის უკანასკნელი და ყველაზე დიდი ნახტომი. ასე დამთავრდა ორი გაბრიელის (ლივანოსისა და ხერგიანის) ორთაბრძოლა. ერთი არ უთმობდა სახელს და დიდებას მეორეს...

იყო კიდევ მესამე გაბრიელი — მიქელაბრიელი. ძლიერი და ვერაგი ვინმე. დაბლა, მწვერვალის მისადგომებთან მოფუსფუსე მაყურებლებმაც კი გაიგონეს იმისი სიცილ-ხარხარი.

## ᲓᲐ ᲡᲣᲤᲔᲕᲓᲐ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ...

როცა ყველანი ამოვიდნენ, თბილისელმა ტელეოპერატორმა თვითმფრინავის კარი მიხურა, ჩემს გვერდით ჩამოჯდა და თავისი ჩანაფიქრი გამანდო:

— მესტიაში მიხეილის სოფელს, შემოგარენის ბილიკებსა და ქათქათა მწვერვალებს გადავიღებ, შესაძლოა, ბედმა გამიღიმოს და ზვავის ჩამოშვავებას შევესწრო სადმე... ბოლოს კი, განსვენებულის უამრავ მედლებსა და კუბოს ავლნუსხავ ფირზე. ეს იქნება „კლდის ვეფხვის“ სახელოვანი ცხოვრების ერთგვარი სიმბოლური წარმოსახვა — მშობლიური კერა, გზა მთებისაკენ, დიდების მწვერვალები და ზვავი — ცხოვრების უეცარი აღსასრული... ა, რას იტყვით, ივარგებს?

„ცხოვრების აღსასრული... ცხოვრების აღსასრული...“ — რამდენჯერმე გავიმეორე მისი სიტყვები გულში. „ნუთუ მართლა აქვს ცხოვრებას აღსასრული? განა მართლა მოკვდა იგი? ნუთუ ადამიანობით, ვაჟკაცობითა და ჭკუით რჩეულთაც იგივე ხვედრი ელოდებათ, რაც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის არის განწესებული?

ნუთუ მკვრივად გატკეპნილი, იმედიანი შარაგზა და ბაცად გაკვალული, ქვაღორღიანი ბილიკი ორივენი საიქიოს გზებია?“

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ერთბაშად არავის ძალუძდა. მე მას ვეძებდი მთელი გლოვის დღეებში ხალხში, ადამიანებში, ბუნებაში... მწამდა, რატომღაც ღრმად მწამდა, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი გაირკვეოდა, ვიღაცა იტყოდა, ვიღაცა ლაღადჰყოფდა და ახსნიდა — ასე იყო, თუ ისე...

რკინის სკამებს შორის, ვიწრო დერეფანში კი მიხეილ ხერგიანი იწვა — ჩვენი დუმილისა და ურვის, მჭმუნვარება-წუხილის მიზეზი. მას თავთით მშობელი ეჯდა — მამა ბესარიონი, გამხდარი, სიკვდილის ფერიანი, ლოყებჩაცვენილი კაცი. იგი ხელებს იფშვნეტდა, ნერვიულობისაგან თითებს ხლართავდა ერთმანეთში.

ქუთაისს რომ გავცდით, მფრინავთა კაბინიდან მეორე პილოტი გამოვიდა, ბესარიონის წინ აიტუზა. მორიდებისა და ხათრისაგან ხმა ვერ ამოიღო. ყველაზე დამწუხრებულმა ადამიანმა თვალცრემლიანი მზერა ააყოლა ახალგაზრდას და ნაძალადევი სიმშვიდით უთხრა — თუ შეიძლება, ასე შემოატარეთო.

მფრინავმა თავი დაუქნია, უხმოდ შებრუნდა თავის კაბინაში და საჭეს მიუჯდა.

ჩრდილოეთით კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები რიალებდნენ. მზის შუქზე სხვადასხვა ფერად ლიცლიცებდნენ. ხელები ჩაევლოთ ერთმანეთისათვის და თეთრ ჩოხა-ახალოხში, თეთრ ნაბდის ქუდებში გამოწყობილნი „შინაორგილს“ ბუქნავდნენ.

წაბლისფრადშეღებილი კუბო ვეფხვის თათებზე იდგა. „კლდის ვეფხვი“ სიკვდილის მერეც თავის მეძიდურ ტორებზე შემართულიყო. კავკასიონის გამოჩენაზე თითქოს შეირხაო მიცვალებული, თითქოს ზეწამოიმართაო.

ბესარიონმა ცალ მხარეს ჩამკიდა ხელი და აქეთ ჩვენ მოგვმართა:

— თუ შეიძლება, ჩემო კარგებო...

ერთბაშად მივცვივდით და წამოვწიეთ. ახლა

„კლდის ვეფხვი“ კარგად არჩევდა თავის საყვარელ მწვერვალებს, საჯიხვეებსა და ქიუხებს, მთათა გზაწვრილებს, თვითმფრინავის სარკმელში რომ შემოდიოდნენ. ახლა მიხეილს შეეძლო სამთო ფეხსაცმელების ნაკვალევზე კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ამოეკითხა თავისი ბავშვობისდროინდელი ისტორია... გარდასულ დღეთა სურათები — დიდსა და მცირე მწვერვალებზე საუკუნოდ ამოტვიფრული.

მთელი კავკასიონი ფეხზე წამომდგარიყო: მიხეილი, მიხეილი გვესტუმრაო. უშბის კალთაზე მონადირეთა ქალღმერთი დალი გადმოდგა. „მე ქარაფებში გადავუძახე სიტყვისგამტეხი ბეთქილი, სხვაც ბევრი უგულო კაცი გამიწირავს, მაგრამ შენ ხომ ჩემს სამწყოსზე ერთხელაც არ შეგიმართავს ჩახმახი. მე მუდამჟამს შენი მლოცველი ვიყავი და ნურავინ იფიქრებს აუგს, ჩემს კლდეებს შენთვის არა დაუშავებია რა“, — თავს იმართლებდა იგი რაინდის წინაშე.

— განა ერთხელ და ორჯერ აგიწვავს ზურგი, მაგრამ არასოდეს მიმუხთლია... არასოდეს არ გამიმეტებიხარ... — საქვეყნოდ ღრიალებდა ზვიადი უშბა.

— მიხეილი წაქცეულაო... მიხეილი წაქცეულაო... — გადასცემდნენ ახლა მთები ერთიმეორეს, ისინი დაბნეულნი, რეტდასხმულნი რიალებდნენ, გარბი-გამორბოდნენ, ჩაბუქნავდნენ და წამოხტებოდნენ, „შინავორგილ... შინავორგილ“, იმეორებდნენ ერთხმად.

მიხეილი უკანასკნელად ემშვიდობებოდა თავის თეთრონებს:

— ჰე... ჰეჰეეი, უშბა...

— ჰეჰეჰეეი, თეთნულდ...

— ჰეჰეჰეეი, ლაილა...

— წურუნგალა...

— შხარა და წამყვამ...

— გულბა და ბანგურიანო... ჰეჰეჰეეიი!..

ჩვენ ყველას გვესმოდა მისი ხმა, ვგრძნობდით — როგორ იტანჯებოდა მთების რაინდი, ველარასოდეს, ველარასოდეს იხილავდა იგი ამ გოლიათებს. ციურ ადამიანს ფრთები მომტვრეოდა და ამიერიდან ყველაზე დაბლა იქნებოდა მისი სამყოფელი — მიწაში.

მხოლოდ ბესარიონნს უხაროდა — მისი მზეჭაბუკი ისევ მთებს ეწვია და კვლავ პაექრობდა ცხრათვალა მზესთან, ეთამაშებოდა, ელაციცებოდა სხივმომფინარე მნათობს, „ლილეოს“ ბუბუნებდა ნიშა — ცის საგალობელს. მთელი მისი ცხოვრება ხომ „ლილეოს“ ბუბუნი იყო, სიმაღლეებისაკენ, მზისკენ ლტოლვა იყო...

მერე კავკასიონი დამთავრდა. მამის თვალებში კვლავ ბინდი გაწვა. ხელებმა ერთმანეთი მოძებნეს და მჭიდროდ გადაენასკვნენ. მარჯვენა ხელი მარცხენას ამტვრევდა, მარცხენა — მარჯვენას. დაბლა და შორს შავად ზიმზიმებდა, ავბედით ხმაზე ქოთქოთებდა შარსანი ხალხი — ამიერ-იმიერიდან მომწყდარი, ისინი თითქოს რაღაც უხილავ ძალას გამოელალა უჩინარი სახუნდარებიდან, ლომის ხეობის მივარდნილ ღარებიდან, სამალავებიდან...

აეროპორტის ორი თეთრი შენობის ირგვლივ, მთელს მინდორზე, გზასა და რიყეზე თითქოს შავი სალებავი გაღვრილიყო...

— რა ვუყო... რა ვუთხრა ამ ხალხს, იქნებ მირჩიოთ რამე... — მუდარის თვალით გადმოგვხედა ბესარიონმა, — რა შემიძლია, მე უბედურს...

ცრემლი არ წასკდომია თვალთაგან. ეტყობა, ძალას იკრებდა თავის მიწასთან შეხვედრის წინ. მე ვგრძნობდი, რა აგონიაც ტრიალებდა მის გულში: „მიშას სულს ვერ ვაკადრებ დიაცივით ქვითინსა და ცრემლისღვრას... ვერა, ვერ ვაკადრებ...“

თმაგაშლილი, სახეგაცრეცილი ქალები ლოყებს იხოკავდნენ, ფეხებს აბათქუსებდნენ მიწაზე. ვისაც ხმა შემორჩენოდა, დროგამოშვებით გაჰკიოდა, თავს შეახსენებდა მიცვალებულს. ჭირისუფალს გვერდში შორეული ნათესავები ამოსდგომოდნენ და ამშვიდებდნენ — ბევრი ტირილი მკვდარს შეაშფოთებსო. ყველას სურდა ენახა მიხეილი, ყველას უნდოდა ნუგეში ეცა, ერთი სიტყვა ეთქვა ბესარიონისათვის. ახალგაზრდებმა ერთურთს ჩაჰკიდეს ხელი, წრე შეჰკრეს და მოწოლილ ხალხს აკავებდნენ.

ბესარიონის გვერდით ხუტა, ზაურ, ფილიპე და ბიძინა ხერგიანები, პირიბე და მაქსიმე გვარლიანები იდგნენ — მისი უახლოესი ნათესავები მინდოხშერების და გვარლიანთა სახლმოდან. ისინი ქვითინებდნენ. მთელი მოედანი ქვითინებდა:

— ო, შე საცოდავო კაცო, ფეხზე როგორ დგეხარ, თვალები როგორ გიხელია, მკერდი როგორ აგიდ-ჩაგიდის... ო, შე საცოდავო ბესარიონ... — მოსთქვამდნენ კაცები.

ლობეებსა და აივნებზე გადმომდგარი, ჭრელტანსაცმლიანი ტურისტები ამბობდნენ — ყველაფერი გვსმენია, მაგრამ კაცების ტირილი არაო...

ბესარიონი არ ტიროდა. იგი მთელი ცხოვრება „გაულ გავხეს“ მღეროდა. ბესარიონის სამონადირეო შაირები ხალხში იყო გასული. ამ შაირებს თვითონვე ასრულებდა სცენაზე. ხალხი ტაშს უკრავდა, ან სთხოვდა, კიდევ ერთხელ ჩამოექროლა ცერულით. ჰო, ის სხვა ხალხი იყო. ჰო, ის სხვა დრო იყო. ახლა ისინი რაღაც სიბრალულით, მოწყალე თვალით მისჩერებოდნენ. „ნუთუ ყველაფერი ეს მართალია?“ წუთით სოფელზე მოატარა მზერა, წუთით ყანებზე, ორღობეებსა და შემოგარენზე

გაექცა თვალი. ეუცნაურა ყოველივე. აღარ იყო ის სოფელი, მხიარული და ხალხმრავალი, აღარ იყო ის ყანები, ნადშესეული. არც სათიბებში ელავდნენ ცელები და ორღობეებშიც კი არავინ ჭაჭანებდა. ენგურიც გაჩერებულიყო. ირგვლივ უმოძრაობა და სიცარიელე სუფევდა...

ამ ხალხს უნდოდა გული აეჩუყებინა მისთვის.

„არა, მიშას ვერ ვაკადრებ ტირილს, დიაცურ ცრემლებს, მიშას ვერ ვაკადრებ, — ხელებს დააწვა ისევ ბესარიონი, — ოღონდ რაღაცა კი უნდა ვთქვა, რაიმე ისეთი, მიშას რომ ესიამოვნება, ჩემს მუხლკვდარ ბიჭს რომ მოეწონება..."

და მალე ჭირისუფალმა და გარეშემ, ყველამ იგრძნო, რომ ბესარიონს რაღაცის თქმა ეწადა. მოედანზე წამიერი დუმილი ჩამოვარდა.

— მე ვიცოდი, ასე მოხდებოდა, იმიტომ, რომ მთების დამარცხება ძნელია, ოღონდ ასე ნაადრევად არ მოველოდი... დიდი მადლობა თქვენ, ხალხო, გუნ მახვმაარ, გუნ მახვმაარ... მიშგუ ლადალ სგაი... — თქვა ბესარიონმა და მიწას ჩააშტერდა.

მერე პროცესია დაიძრა. ხალხის ჩოჩქოლმა იმატა, ოღონდ კაცები აღარ მოსთქვამდნენ უკვე.

— გაიგონეთ, ხალხო, რა თქვა ბესარიონმა?

— მე ასეც მოველოდიო...

— ხედავთ? გონზე ყოფილა ჩვენი ბესარიონი, გონზე ყოფილა...

ცოტა გულზე მოეშვა ბესარიონს, ეს სიტყვები რომ უთხრა ხალხს.

იგი წუთით მომავალ დღეებზე ჩაფიქრდა, სტუმრიანობა იქნებოდა, შორიდან მოვიდოდა ხალხი, იმათ კი დახვედრა და პატივისცემა ეკუთვნოდათ. სვანურ ადათ-ჩვეულებათა აღსრულებაზე ფიქრობდა ბესარიონი. დაუმთავრებელ სახლზე, დაულაგებელ ეზო-კარზე ფიქრობდა.

## ვიაჩესლავ ონიშჩენკო (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი)

მიხეილ ხერგიანის თანამემამულენო, ბესარიონ!

მე ვწერ ამ, ჩემთვის მეტად მძიმე სტრიქონებს იმიტომ, რომ უბრალოდ მოვალე ვარ მიხეილ ხერგიანის უკანასკნელ დღეებზე მოგითხროთ ახლა, როცა ყოველივე დასრულდა, როცა ყოველივე ჩავლილია. მოგითხროთ, როგორც სუალტოზე დატრიალებული ტრაგედიის უშუალო თვითმხილველმა და ერთადერთმა თანამონაწილემ.

დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში თქვენი თვალები, მამაკაცთა ჩვეულებრივი, ცრემლისადმი ძუნწი თვალები, მაგრამ ახლა სავსე სასოწარკვეთილებისა და ტკივილის ცრემლით, ამ თვალებში მე ამოვიკითხე თქვენი უტყვი, მაგრამ უკიდეგანო გულისწადილი, მემცნო, როგორმე დაწვრილებით მემცნო და ამეხსნა, თუ როგორ მოხდა ყოველივე და ყველაფერი. შეიძლებოდა თუ არა დაღუპულიყო მიშა?

იქ, თბილისსა და მესტიაში ფიზიკურად არ შემეძლო თვითეულისათვის ამეხსნა ეს ამბავი, რადგანაც თქვენ ძალიან ბევრნი იყავით — მიშას გამოთხოვებაზე მოხვედით მთის შორეული სოფლებიდან, ახლო-მახლო ქალაქებიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან. ეს იყო ყველა ჩვენთაგანის მწუხარება, რადგან ამ ქვეყნიდან წავიდა ლეგენდარული მიშა, მეტისმეტად გულისხმიერი და ყურადღებიანი ამხანაგი ასვლებისას, თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რამდენჯერ ვიყავი სვანეთში. ჩემს მეგობრებთან ერთად აღვტაცებულვარ თქვენი მშობლიური მხარის სილამაზით და რაც მთავარია მისი ადამიანებით — მუდამ სტუმართმოყვარე მშრომელებით, რომლებიც ყოველ წუთში მზად არიან დაეხმარონ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანს.

ასეთია ბუნების მკაცრი კანონი. თქვენ, როგორც არავინ, იცით, აფასებთ და გიყვართ მთები და არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ სწორედ თქვენი თანამემამულეების, შესანიშნავი ალპინისტების სახელები ჩაიწერა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ოქროს ასოებით. საკმარისია დავასახელოთ გაბრიელ, ბექნუ, ბესარიონ, მიხეილ (უმცროსი) ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი, გოჯი ზურებიანი, მაქსიმე გვარლიანი, იოსებ კახიანი, გიო ნიგურიანი, ალმაცგირ კვიციანი და სხვები. შეიძლება ეს სია უსასრულოდ გაგრძელდეს, რადგან ყველა სვანი მთამსვლელია.

იტალიის მთებში მიხეილის დაღუპვის ცნობა მძიმე ექოდ გაისმა არა მარტო კავკასიაში, არამედ ყველგან, სადაც მას იცნობდნენ, ან გაეგონათ მისი ბრწყინვალე ასვლების შესახებ (მე მხედველობაში მაქვს ხალხი და არა მთამსვლელები, რომელთაც მუდამ პირზე ეკერათ ხერგიანის სახელი) პამირში, ტიანშანში, ალპებში, ყირიმში...

დიახ, ყველგან იცნობდნენ მას. აღტაცებული იყვნენ მისი უბადლო ოსტატობით.

მიხეილ ხერგიანი! კაცი, რომელმაც თავისი სიცოცხლის ოცდაათიოდე წლის განმავლობაში დაიმსახურა ყველა სპორტული ჯილდო, რაც კი არსებობდა საბჭოთა კავშირში. მთავრობამ იგი ორდენით დააჯილდოვა. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ალპინიზმში და კლდეზე ცოცვაში, ინგლისელების მიერ **1960** წელს „კლდის ვეფხვად" წოდებული მიშა, შემდეგშიც არაერთხელ გამოვიდა საზღვარგარეთ და უჩვენა კლდეზე ასვლის უმაღლესი კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ თავადაც ხომ კარგად მოგეხსენებათ ყოველივე ამის შესახებ, საკუთარი თვალით გინახავთ, მოგისმენიათ, ანდა წაგიკითხავთ მაინც.

მიშასთან ერთად მე არაერთ მწვერვალზე ავსულვარ. ვიყავი მისი პირველი მაყურებელი და ერთდროული მონაწილე ამ უდიდესი სპორტული სპექტაკლებისა. ახლა რომ ვიგონებ ასვლებს, რომლებიც უკვე ისტორიას ეკუთვნის, განსაკუთრებული სიცხადით ვგრძნობ, თუ რამდენი რამ დავკარგეთ. ეს იყო დაუვიწყარი ასვლები.

**1967** წლის ივლისი. პატარა ქალაქი შამონი, რომელიც საფრანგეთის ალპებში მდებარეობს. აქ საფრანგეთის ალპინიზმის ფედერაციის მიერ ტარდება მსოფლიოს უძლიერესი მთამსვლელების შეკრება. რეგულარულად ორ წელიწადში ერთხელ შამონში იკრიბებიან ცნობილი მესიმაღლეები, რომ მწვერვალთა დაპყრობის თავიანთი ხელოვნება უჩვენონ.

მახსენდება, ყოველი ასვლის წინ, როგორც ეს მთამსვლელებს ჩვევიათ, ამინდზე ჩამოვაგდებდი ხოლმე სიტყვას. მიშას ვეკითხებოდი — შენ როგორ ფიქრობ, ამინდის ღმერთი რა გუნებაზეა დღეს-მეთქი. მიხეილი ღიმილით მპასუხობდა — „ნუ ღელავ, მე შევევედრე ელიას და იგი დამპირდა, ყველაფერი რიგზე იქნებაო...“

მართლაც, ყველა ამ ასვლების დროს შესანიშნავი ამინდი იდგა. ფრანგული გაზეთები წერდნენ: „ძალიან იშვიათია ასეთი ამინდი ალპებში, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ბრწყინვალე ასვლებიო“.

აბა რა იცოდნენ ფრანგმა ჟურნალისტებმა, ვისთვის უნდა გადაეხადათ მადლობა მზიანი დღეებისათვის!

## რომელს აპირჩევთ ჩვენ?

მიხეილის უმცროსმა დაიკო ნაზომ იმ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. ჯერ სვანეთსაც არ გასცილებოდა, აბა რა ენახა ცხოვრებაში და რა გამოეცადა, როგორც დიდი სიხარულისა, ისე ჭირისა და მწუხარებისაც რა გაეგებოდა! მაგრამ ამ უბედურების ჟამს თმაგაჭაღარავებული, მრავალჭირნახული ქალებიც კი ტოლს ვერ უდებდნენ მოთქმასა და ტირილში. გამოცდილი მოტირალივით მისძახოდა იგი თავის საყვარელ ძმას, მინაანს. ნაზოსაც ლაღამელთა ნიჭი მოსდგამდა აზრიანი საუბრისა:

მიქ ალმოსავლეთით ამოენთება, მინაან...
ლაილას აფერადებს, მინაან,
უშბას და თეთნულდს, მინაან,
ვეძას არჩევები მოირბენენ, მინაან,
ლეგვმეერისას, მინაან.
ჯიხვები კლდეზე გადმოდგებიან, მინაან,
დალაყორაზე, მინაან,
შურთხები კვირიას იტყვიან, მინაან —
ივალალებენ, მინაან.
შენ გიძენება, მინაან,
სი მარე, მინაან...
„კლდეებში ნუ გედარდებითო“ — მინაან,
„მთებში ნუ გედარდებითო“ — მინაან,
„მთებმა თავისი მუხლი მომცესო“ — მინაან,
„თავისი გული მომცესო“ — მინაან,
„თავისი კუნთი მომცესო“ — მინაან,
„თავისი ძალა მომცესო“ — მინაან,
ვოი, მინაან, მინაან,
მინაან,
მირმიაან...
ტყვილა გვამშვიდებდი თურმე მინაან,
ლოდინს გვიოლებდი, მინაან,
ღმერთი კი არ იყავი, მინაან,
ფუსდი, ლამარია, მინაან,
სი მარე, მინაან,
ვოი, მინაან, მინაან,
მინაან მირ-მინაან...
ვოი, ვოი,
ვოი, ვოი!..

ყველაზე გულისდამწველი იყო ნაზოს მოთქმა... გულისდამწველი და გულისდამწყვეტი, გულისმომკვლელი. და იმიტომ იყო, რომ დიდ-პატარა ყველა აზლუქუნდა, ზლუქუნმა კი იმატა, იმატა და ღრიალში გადაიზარდა. ღრიალებდა ხალხი, ამერ-იმერით მოკრებილი შაოსანთა რაზმი. ღრიალებდა თეთრი ენგური, მაღალ მთებიდან ჩამონაჟური წმინდა წყალი — მყინვართა, და მწვერვალთა გულდათუთქულ და სულ აწრიალებულ თეთრონთა ცრემლის ნაზავი. თეთრი ენგური და შაოსანთა პროცესია ერთმანეთის მხარდამხარ მიემართებოდა სეტ-მესტიისაკენ, თეთრი და შავი ერთიანი ძალით მოსთქვამდა, მისტიროდა მთების რაინდს. შორით კი, ლალამისა და სეტის, ლანჩვალისა და ლახთავის კოშკები გადმომდგარიყვნენ და ბუხუნა ხმაზე აბუბუნებდნენ თეთრის და შავის გულდამწველ მოთქმა-ღრიალს. კოშკები, ლომის ხეობის უტყვი რაინდები, ახლა ამეტყველებულიყვნენ და თვალცრემლიანნი დასტიროდნენ უდროოდ აღსრულებულ ვაჟკაცს.

ხალხი ცრემლად ქცეულიყო.

ყველას უკვირდა, საიდან შეეძლო, როდის ისწავლა ამ პატარა გოგომ ასეთი ყოვლისშემძვრელი მოთქმა და ტირილი. ყველას უჭირდა თავისი გულისნადების ხმამაღლა განცხადება, ნაზო კი ერთხელ არ შეფერხებულა, ერთი უაზრო სიტყვა არ წასცდენია...

— ასეთნაირად იქმნებოდა ალბათ ზეპირსიტყვიერება, — თქვა ვიღაც სტუმარმა, — ლეგენდები გმირებზე, სიმღერები „ვიცბილმაცბილზე“, „ლებსუყ გოშთელიანზე“, „ყანსავ ყიფიანზე“.

ვინ უწყის, იქნებ მართალს ამბობდა იგი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ მიხეილისთანა ვაჟკაცები იყვნენ ისინი, ხალხმა რომ სიმღერებში შემოინახა და სათუთად ელოლიავება? მირანგულა დედისერთა იყო, საშოვარზე წავიდა, გზაზე მტერი ჩაუსაფრდა და მარტოხელა ბიჭი უთანასწორო ბრძოლამ შეიწირა. ასეც მღერის მასზე ხალხი. „დედემ, დედემ, მირანგულა, დედეს ისგვა სიგარ ხორდას, დედემ, ვოი დედემ...“ კონსტანტინე დადეშქელიანმა ქუთაისის გუბერნატორს ხანჯალი გაუყარა გულში და იმით გაითქვა სახელი. ლებსუყ გოშთელიანი გვართაშორისო მტრობის მსხვერპლი გახდა, მარილზე მიმავალი ოთარშერებმა ჩაიგდეს ხელთ და წისქვილში ჩაამწყვდიეს. ყანსავ ყიფიანი კი ზოგიერთივით არ შეშინებულა და ბახაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავს მომხვდური მტრისათვის. ამიტომაც განადიდა იგი ხალხმა: „ყანსავ, ყიფიანო, ყანსავ, ყიფიანო... უბერებელო და უკვდავო, უბერებელო და უკვდავოო“. ყველა ისინი რა ხანია წავიდნენ ამ ქვეყნიდან. „მიწა ხარ და მიწად იქეციო“ — ამ კანონს ბუნებისას ვერ გადაალაჯეს თვით ჰომეროსმა და მაკედონელმა, რუსთაველმა და გიორგი სააკაძემ. მათ ფიზიკურად დატოვეს ამქვეყნიური სარბიელი, მაგრამ არავინ იცის, რა უფრო დიდი საქმეა, მათი სახელოვანი სიკვდილი, თუ ის, რომ უსახელოდ ეარსებნათ? „საქმემან გამოგაჩინოსო“, ტყვილა როდი უთქვამთ ბრძენ წინაპრებს. მათი საქმენი დარჩნენ სამუდამოდ „საქმენი საგმირონი“, და ის დიდი ადამიანები საიქიოდანაც მოგვძახიან და შთაგვაგონებენ — „საქმემან თქვენმან გამოგაჩინოთო“. ისინი მოგვიწოდებენ ვაჟკაცობისაკენ, კაიკაცობისაკენ, სიკეთისაკენ.

ისეთი დიდებული, საგმირო სიმღერის გვერდით, როგორიცაა „ყანსავ ყიფიანი“, გვხვდება მეორე სიმღერა „სოზარ-ციოყზე“, თავნება ძმებზე, აკლებული რომ ჰყავდათ მთელი სოფელი. მაგრამ ხალხმა არ აპატია მათ მკრეხელობა, სიკვდილით დასაჯა ორთავენი. არც ყანსავი და არც სოზარ-ციოყი დღეს ჩვენთან არ არიან, მაგრამ ადამიანებმა მათზე ჰიმნი დაწერეს. ერთი დიდების ჰიმნი, მეორეთა სახელი კი წყევლა-კრულვით მოიხსენიეს.

„შენ რომელ გზას გაჰყვები, ყანსავისას თუ სოზარ-ციოყისას?“

„რომელ გზას გავყვებით? რომელ გზას აირჩევენ ჩვენი შვილები და შვილთაშვილები?“ და როცა „კლდის ვეფხვზე“ შეიქმნება ასეთივე საგალობელი, და როცა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულ ერთ უბრალო ადამიანზე შეთხზულ ლეგენდებს ჰუნირზე დაამღერებენ, ორი საწყისის სათავეებთან, ორი შესაძლებლობის გზაგასაყართან აღმოვჩნდებით ისევ — ეს იქნება სიკეთისა და ბოროტების საწყისი, წინსვლისა და უკანდახევის შესაძლებლობა — სახელოვანი და აუგიანი გზა.

„რომელს ავირჩევთ ჩვენ?

რომელს აირჩევენ შვილები, შვილთაშვილები?“

იქნებ ამ ორი რეალური არჩევანის შესაძლებლობა არის სწორედ ჯანსაღი მერმისის საწინდარი?

• • •

— 1969 წლის ივლისში იტალიის დოლომიტებში პირველად ჩავიდნენ საბჭოთა მთამსვლელები. ჩვენ ძალიან თბილად შეგვხვდნენ იტალიელი ალპინისტები. გვიჩვენეს მწვერვალები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებდა...

მიშამ და მე პირველი ასვლისათვის მეექვსე კატეგორიის სიძნელის გურ-ვენეციის კოშკი ავირჩიეთ, ეს არის ხუთასმეტრიანი შვეული კედლის მქონე მწვერვალი. მის გავლას, ჩვეულებრივ 7-9 საათს ანდომებენ, ჩვენ კი მთელი მარშრუტი სამ საათსა და თხუთმეტ წუთში გავიარეთ. ასე ჩქარა აქ ჯერ არავის უვლია.

თუ პირველი ასვლის წინ ჩვენ გვიყურებდნენ როგორც იდუმალებით მოცულ უცნობებს, ახლა ბევრმა გაზეთმა დაწერა, რომ იტალიაში ჩამოვიდნენ უძლიერესი საბჭოთა ალპინისტები.

ჩვენს მეორე ასვლას ბანკონგზე,—უმაღლესი სირთულის მწვერვალზე (კედლის სიმაღლე 600 მეტრი) მეთვალყურეობდნენ იტალიელი ალპინისტები ცნობილი გიდის, ამ და სხვა მრავალი მარშრუტის აღმომჩენლის — არმანდო დე როიტის ხელმძღვანელობით. იგი თვალიდან დურბინდის მოუშორებლად იმეორებდა თურმე: „ბრწყინვალე ალპინისტებია. ძალიან კარგად მიდიან მარშრუტზე“.

მიუხედავად ბანკონგის კედლების დიდი ვერტიკალობისა, ჩვენ უკვე ხუთნახევარი საათის შემდეგ მწვერვალზე ვიდექით.

მეორე დღეს რომიდან ჩამოვიდნენ ცენტრალური ტელევიზიის ოპერატორები და გაზეთების კორესპონდენტები. იტალიელებმა გვითხრეს ჩვენი სამთამსვლელო ოსტატობა გვეჩვენებინა ვენეციის პიკზე.

უარს ხომ ვერ ვეტყოდით. სწრაფად გადავიცვით სავარჯიშო კოსტუმები, მივედით მარშრუტის სტარტთან და დავიწყეთ ასვლისათვის მზადება.

ამ დროს ქვევით ოპერატორებიც გამოჩნდნენ. ისინი ჩვეულებრივ ტუფლებსა და ტანსაცმელში გამოწყობილნი, ძლივს მოიწევდნენ მაღლა, თან მოჰქონდათ მძიმე კინოკამერები. ძლივს მოვასწარი გაფიქრება, საჭიროა მიხმარება-მეთქი, რომ მიშამ, თავისი მსუბუქი სიარულით ქვიდან ქვაზე ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა ქვევით და მიეშველა გაჭირვებულებს.

ეს მცირე, მაგრამ მიშასათვის დამახასიათებელი ეპიზოდი სრულიად ასურათებს მას, მის კაცობასა და ადამიანობას. მიხეილი ძლიერი და დიდსულოვანი ვაჟკაცი იყო. მას სიამოვნებდა ადამიანებთან ურთიერთობა, მათი მიხმარება საჭიროებისას. და ეს იშვიათი თვისება არაერთხელ გამოუვლენია მთებშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც.

4 ივლისს გავდივართ სკალტოზე. ეს ჩრდილოეთის 700 მეტრიანი ურთულესი კედელი მეექვსე კატეგორიის სიძნელისაა. ამ მარშრუტის პირველი აღმომჩენებია ფრანგი ალპინისტები ლივანოსი და გაბრიელი.

უკანასკნელის გვარმა მიშას ცნობილი მთამსვლელი, ბიძა, გაბრიელ ხერგიანი გაახსენა, რომლის საპატივცემლოდაც უნდოდა შეესრულებინა ეს ასვლა. 1952 წლიდან ეს მარშრუტი მხოლოდ რამდენიმე მესიმაღლემ გაიარა. ასვლის სირთულეზე ჩვენ წარმოდგენა გვქონდა არმანდო დე როიტის კონსულტაციის მიხედვით.

ადრიანი დილაა. ღამის სიცივე ისევ ბატონობს ხეობაში. ჩვენ კედლის ძირას ვდგავართ და გათოშილებს ხელებს ვ[illegible]სხავთ. ფიქრით უკვე დავიწყეთ ასვლა. მოვედით მისადგომთან, ჩამოვჯექით დასასვენებლად, ცალყბად გავცქერით კედელს და გონების თვალით ვზვერავთ იქაურობას — საიდან, რომელი მხრით შევუტიოთ?

მიშამ ზურგჩანთიდან დოლომიტების გზამკვლევი ამოაძრო. კიდევ და კიდევ ყურადღებით ჩავყურებთ მარშრუტს. ფოტოსურათებითა და სქემებით ვამოწმებთ საკვანძო ადგილებს, ერთმანეთს ვუზიარებთ შთაბეჭდილებებს, ერთსულოვნად ვასკვნით — ასვლა მძიმე, წინა ასვლებთან შედარებით გაცილებით მძიმე იქნება. მაგრამ მიშა როდესმე ეძებდა იოლ გზებს?

ვიწყებთ ასვლას.

ვებმებით ახალ, ასვლის წინ მიღებულ ავსტრიულ თოკში. ჯერ ადვილად დასაძლევი კედელია და ერთად მივდივართ. მერე კლდის დაქანება თანდათან იზრდება. უნდა გადავლახოთ თოვლ-ყინულიანი შვეული მონაკვეთი. მიშა ზედმიწევნით კარგად მიცავს, მე კი ნელა, ძალიან ფრთხილად მივიწევ წინ, ვჭრი და ვტკეპნი ყინულზე საფეხურებს. კლდეები, რომელიც შემდეგ დაიწყო, ნაჟური წყლისაგან სველი და გაყინულია და ართულებს ასვლას. ბოლოს მე გავდივარ ქიმზე, ვმაგრდები და ვილებ მიშას...

შემდეგ კლდეები უფრო მშრალი იყო, მაგრამ დაქანება ძლიერ გაიზარდა, მიშა წინ მიდის. რამდენიმე წელია ვიცნობ მიშას და არაერთხელ მინახავს მისი ასვლის ოსტატობა და აქ თითქოს რა უნდა გამკვირვებოდა. მაგრამ მე ყოველთვის აღტაცებაში მოვყავდი მის არტისტულ, მოხდენილ მოძრაობას, ახლაც ვუყურებ და ვფიქრობ: ნეტავ რას მოეჭიდება ამ გლუვ მოსარკულ კედელზე? მიშა მაინც ნახულობს ღრეჩოებსა და პორებს, ყოველშემთხვევაში, ძალუმად მიჰკვრია კედელს, და ასე მგონია, ძალიანაც რომ მოინდომოს ვინმემ, ვერა და ვერ გამოჰგლეჯს, ვერ მოაცილებს მას...

მიჰკვრია და მიცოცავს. მისი მოძრაობა მსუბუქი, ჰაეროვანი, კატისებურია.

• • •

ძველი სვანური სახლის ფასადზე ვეება ნახატი ჩამოეფარებინათ. უზარმაზარ ტილოზე ენგურის ხეობა, უშბის მწვერვალები და სვანური კოშკები მოჩანდა. მწვერვალის თოვლიან ფორპოსტს მიხეილის გადიდებული სურათი ფარავდა. „შინაურ კაცებს", რომელთა საქმიანობასაც მიშას ახლობლები — ზაურ ხერგიანი და ნოფე გვარლიანი ხელმძღვანელობდნენ, ეზოში დაფა დაედგათ, პატარა მაგიდა გაეწყოთ. მაგიდაზე მიხეილის მამისაგან ნაჩუქარი სამონადირეო და სამთამსვლელო საჭურველი გამოეფინათ.

საგვარეულო ხანჯალი, კაჟიანი თოფი თავისი საპირწამლეთი, ბანდულები და მოყაისნალებული პაჭიჭები, წრიაპები და ძველი, წერაყინის წინაპარი მუჯურა, ადრინდელი ჭოგრიტი და მატყლისაგან მოთელილი ქუდი და ჩოხა-ახალუხი, მატყლისავე ბაშლიყი მეტყველებდა მინდოხშერების საძმოს სახელოვან წარსულზე.

მიხეილი ახალგაწყობილი ორსართულიანი სახლის მაჩვიბში დაასვენეს. ამ დღეებში მთელი სოფელი შესევია მოუმთავრებელ კედლებს, ერთიანი ძალით გადაუხურავს სახლი, კარ-ფანჯრები ჩაუსვამს, შეულესია, იატაკი და ჭერი დაუგია.

— სახლის გაწყობაში მთელი მესტია მონაწილეობდა, — თქვა მიხეილის მეგობარმა პირველთანრიგოსანმა მარლენ რატიანმა, — ჩვენ, მის ამხანაგებს მეტი რა შეგვეძლო, თორემ ყველაფრისათვის მზად ვიყავით...

ახლაც ასე იყო. შინაური და გარეშე ყველა რაღაცას საქმიანობდა, ფუსფუსებდა, ტრიალებდა. ეს იყო გულიანი ფუსფუსი, გულიანი ფაციფუცი, გულიანი ტირილი. გარეთ, ეზოს ჭიშკართან კერძო და დაწესებულებათა მანქანები იდგნენ, მორიგეობდნენ — ვინძლო რაიმე საჩქარო საქმე გამოჩენილიყო.

— ნათქვამია, კარგი კაცის სიკვდილიც ფასობსო, — მითხრა ჭარმაგმა მოხუცმა, ძველმა ფალავანმა, მხარბეჭიანმა გოლიათმა ქყინტულდ ხერგიანმა, — ხედავთ ჩვენმა მიშამ რა მოიმოქმედა? მთელი სვანეთი გააერთიანა. ასე მხარდამხარ იბრძოდნენ ლომის ხეობის ბინა-

დარნი საერთო საქმისათვის ძველად. მაშინ ბუკით უხმობდნენ ვაჟკაცებს საქმეზე, დღეს მიშას სიყვარულმა შეკრიბა ისინი, მიშას პატივისცემამ.

რა თავაზიანი გამხდარიყო ყველა, რა მორიდებული... და თუ გუშინწინეებში ვიღაცამ შეცდომით სხვისი მორი მოათრია სახლში, ვიღაცამ ყანაში გადამძვრალი თხები დაამწყვდია, ვიღაცამ მეზობლის რუ გადაიგდო თავის სათიბში, დღეს სცხვენოდა თავისი საქციელისა. დღეს სინდისი ქენჯნიდა; ცხოვრების აზრის სათავე თურმე სიკეთე ყოფილა, მხოლოდდამხოლოდ სიკეთე და არა შურისგება, არა ავგულობაში გადაზრდილი თავმოყვარეობა. და ვინ იცის, შეიცნობდა კი ოდესმე იგი თავის დანაშაულს? თურმე რაოდენი ნიჭი უბოძებია განგებას ადამიანისათვის, ნიჭი მოძმისა და მეზობლის პატივისცემისა და სიყვარულისა. მთელი საზოგადოება ერთი საზრუნავის ირგვლივ გაერთიანებულიყო — ყველაფერი რიგზეა?... რა არის გასაკეთებელი? ვინძლო სტუმრებთან არ შერცხვეს მიხეილის ოჯახი, არ შერცხვეს ერთიანი სვანეთი.

— ამ კოშკებს ერთი ოჯახი აშენებდა? — აგრძელებს საუბარს ჰყინტულდი, — მესტიაში სულ სამოცამდე მურყვამია. ჩვენი წინაპრები ასევე ხელჩაკიდებულნი, გვერდი-გვერდ მიდიოდნენ საქმეზე... მათს ერთობლივ ნამოღვაწარზე ეს გოლიათები ლაღადებენ... ჰოდა, თუ ძველ კარგ ადათ-ჩვევებს გავიხსენებთ ისევაც და განვამტკიცებთ, ეს მგონი მიშას წვლილი და მისი დაფასებაც იქნება...

• • •

ჭირისუფალნი ნათესაობის მიხედვით განლაგებულიყვნენ მიცვალებულთან. ზოგიერთ მათგანს გამოსაჩენი ხმა ჰქონდა, ზოგს არ უვარგოდა. საჭიროების მიხედვით ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს, მოთქმა მთელი დღეები უნდა გაგრძელებულიყო. მთავარი დატირება მაინც სასაფლაოზე იყო. ზოგს იმდღისათვისაც უნდა შემოენახა თავი, ყველა ხმაჩახლეჩილი და ხმამიმწყდარი ხომ ვერ იქნებოდა.

შენი მედლები რას გვიშველის, ვოი...
შენი სახელი რას გვიშველის, ვოი,
ცოცხალი აღარა ხარ, ვოი...

გარეთ გამოდიოდა ვიღაცის ხმა. ბესარიონი ეზოში იდგა და აბა რა იცოდა ვინ იყო ეს მოტირალი, მის შვილს რომ საყვედურობდა მთების სიყვარულისათვის. ბესარიონს არ სიამოვნებდა, როცა მიშას კიცხავდნენ ამაზე. ეს ხომ თვითონ ბესარიონის, დიდი წინაპრების, სახელგანთქმული მთამსვლელების — გაბრიელ, ბექნუ და მიხეილ (უმცროსი) ხერგიანების გატაცებაც იყო. საერთოდ, ყველა რაღაც გზას ადგას და ამ დროს არავინ უწყის რა იქნება — გაუმართლებს თუ არა. ვინ რას მიუხვდება კაცის ბედ-იღბალს. ან გაგიმართლებს, ან არ გაგიმართლებს. ისევე, როგორც გამარჯვება, დამარცხებაც მამაცთა ხვედრია, იმიტომ, რომ ვინც არც მარცხდება და არც იმარჯვებს, იგი საერთოდ არაფერს არ წარმოადგენს. ურემგადაბრუნებულ ადამიანზე საყვედური — რატომ იქ წახვედი, რატომ ის მოგწონდა და აქ არ წახვედი და ეს არ მოგწონდაო — უმადურობად მიაჩნდა ბესარიონს.

— ხომ არაფერს დამავალებთ, ბიძია ბესარიონ? — მიეჭრა აწრიალებულ ბიძას ზაურ ხერგიანი.

— იცი რა, შვილო, ქალებს თუ ეტყვი, უკვე ღამეა, მოისვენონ და ისიც მოასვენონ...

აბა სხვა რა ეთქვა ბესარიონს. შვილის სასაყვედურო აღარაფერი ჰქონდა, და არც სხვისგან სიამოვნებდა, როცა მთების სიყვარულისათვის კიცხავდნენ, და ასე შეუთვალა იმ ქალს...

• • •

მეორე საღამოს, როცა ღამისმთეველები შეთხელდნენ და სულ შინაურები, ძირეულნი დარჩნენ მიშასთან, პატარა საუბარი გაიმართა. ბჭობდნენ ქელეხის გამართვის თაობაზე. ხუთიათი წლის წინათ, ქელეხში გამოჰქონდათ სასმელ-საჭმელი, რაც ადგილობრივად, სვანეთშივე მოიპოვებოდა — სასმელად ქერის ან პურის არაყი, საჭმელად ქაბაბი, მწვანილებით შეკმაზული ლობიო, მოხარშული, კანგაფცქვნილი კარტოფილი, დამტკბარი ოხპი, რაც საგანგებოდ გაწყობილ სუფრებზე ჩამოერიგდებოდა. ქელეხში მაინცდამაინც საჭმელად და დასათრობად არავინ მიდიოდა, ხშირად ხელუხლებელიც კი რჩებოდა სუფრა. ოჯახი, რომელსაც უამრავი ვალი ედებოდა მიცვალებულის სხვადასხვა წესის აგებაზე, ამ შემთხვევაში უფრო იოლად გამოდიოდა. მაგრამ, აი, რამდენიმე წლის წინ პანაშვიდზე გამოჩნდა თევზეული და ბოსტნეული, ღვინო... გამოჩნდა და გამოჩნდა. ერთმა მეორეს მიბაძა — სხვაზე ნაკლები რითა ვარო, მეორეს — მესამემ — „თხა თხაზე ნაკლებიო“... სვანეთში ქუთაისიდან და ზუგდიდ-სოხუმიდან მთელი სოფლის საკმარი თევზის, ბოსტნეულისა და ღვინის ჩამოტანა რთული პრობლემა იყო, თანაც მამასისხლად ჯდებოდა, მაგრამ ერთმანეთის წაბაძვით მაინც მოდად აქციეს ეს ჩვეულება, ზოგი თავს იმართლებდა — ბარში ხომ ასე იციანო. მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ ბარში ღვინო, თევზეული თუ ბოსტნეული ადგილზევე იშოვებოდა, იაფიც ჯდებოდა. თანაც იქ ბევრი სხვა რამეც იცოდნენ განსხვავებული, სვანეთს კი თავის წმინდა ჩვეულებები და შესაძლებლობანი გააჩნდა.

ამ საკითხებზე ბევრჯერ იმსჯელეს სოფელში და დაადგინეს კიდეც, რომ ბარის უთავბო-

ლო წაბაძვა სასწრაფოდ ალკვეთილიყო. ბესარიონიც ყოველთვის ამ აზრზე იდგა — რაც არაა ჩვენი, არც დაგვშვენდებათ. ამ აზრზე იყო ახლაც, გაჭირვების დღეებში.

— რაც გამაჩნია, იმით უნდა ვცე პატივი მიშას, იმაზე მეტს ცოცხალიც არ მთხოვდა... — თქვა შინაურებში ბესარიონმა.

ახალგაზრდობას სჯეროდა მისი და გაუმართლდათ კიდეც — ბესარიონს მაღლა ეჭირა თავი, სალი აზრი და გონება ამ დაბნეულობისა და გლოვის ჟამსაც შეენარჩუნებინა. მაგრამ სულ სხვა აზრისანი იყვნენ ამ საკითხზე სხვები. ზოგიერთმა, რომელთაც ბესარიონის ამ სიტყვების შემდეგ ალბათ ხმა არ უნდა ამოეღოთ, იჭვნეულად განაცხადეს:

— რაღა მიშას უნდა დავაკლოთ რამე, ა?..

ეს უკვე ქალური საუბარი იყო. დავა და კამათი არავის ძალუძდა, აბა ვინ იყო ახლა ჩხუბის ხასიათზე?

• • •

— განვლილია მარშრუტის ნახევარი. ჩვენ ვზივართ პატარა ნიშში, სუალტოს პიკის პირველდამპყრობთა ყოფილ ნაბინავარში. საჭიროა დასვენება, ძალების მოკრება უკანასკნელი გაბრძოლების წინ. შევექცევით შოკოლადს, მათარით ვსვამთ წყალს. აქედან კარგად ჩანს სიმწვანეში ჩაძირული, ალპური ყვავილებით მოფენილი ხეობა. სადღაც ქვევით უკმაყოფილოდ მიბუზღუნებს მთის პატარა მდინარე. სუფთა, გამჭვირვალე სივრცეში შორს გაისმის ძროხების ზანზალაკებისა და მწყემსების მოძახილის ხმა.

— იცი, სლავა, — ამბობს მიშა, — ხანდახან, თვალს რომ ვხუჭავ, მგონია ჩემს სამშობლოში ვარ, საქართველოში, სვანეთში. აქ ყველაფერი მშობლიურ კუთხეს მაგონებს, რომელიც ძალიან მიყვარს...

შესვენების შემდეგ კვლავ ვაგრძელებთ გზას. მწვერვალამდე სულ რაღაც 200 მეტრია. მიშა ჩემგან მარცხნივ გავიდა, შემდეგ შევიდა ბუხარში, რათა ჩვენს თავთით გადმოშხობილი ხელშეუვალი ბექისთვის შემოევლო. იგი მალე მიეფარა ჩემს თვალთახედვას. ახლა მხოლოდ თოკის მოძრაობით შემიძლია ვუმეთვალყურო, დავაყურადო. შევიგრძნო მისი არსებობა, მოძრაობა, უმოძრაობა.

გულში ვითვლი მეტრებს, რომლებიც ჩემი ვარაუდით მიშას უნდა გაევლო უკვე. — ერთი.., ორი,.. სამი.., უეცრად სადღაც, ზემოდან ქვათაცვენის ხმა მოვარდა და ჩემდა სამწუხაროდ თვალი მოვკარი კლდეს მომწყდარ მიშას, რომელიც დაბლა მიექანებოდა. მე მოვწიე თოკი, იგი ერთხანს დამყვა, ბიძგი ისეთი ძლიერი იყო, რომ ხელისგული ცულივით ჩამიჭრა ბაწარმა, მაგრამ ამას ვიღა ჩიოდა, რაც მთავარია თოკი დამყვა, ესე იგი, მიშა დავიჭირე... მე მგონია, რომ დავიჭირე, მაგრამ ვაი, რომ არა! თოკი, რომელიც ჩვენ გვაერთიანებდა, კლდის შვერილებზე გაიხეხა, ქვებმა გადაჭრეს იგი. და მერე კვლავ მოვკარი თვალი მიხეილს, მხარზე შერჩენილი თოკის ნაგლეჯის ფრთალით მიცურავდა იგი ცათა სიღრმეში, ხელებგაშვერილი, წყალში მხტომელივით მისრიალებდა სივრცეში, დაბლა, უსასრულობისაკენ...

ასე დავრჩი მარტო, მიშას გარეშე, საყვარელი და ახლობელი ადამიანის გარეშე მიუვალ კლდეზე მიჯაჭვული, ასე ეული და მიუსაფარი.

როგორც კი გონს მოვეგე, მტანჯველმა ფიქრებმა მოიცვა ჩემი გონება — რატომ, როგორ მოხდა ყოველივე ეს? ერთი წამის წინ ხომ იგი ჩემთან იყო, ასეთი ცოცხალი და მომღიმარი. ერთი წამის წინ ხომ ჩამესმოდა მისი ღიღინი, მის პირთაგან აღმომხდარი ქართული სიმღერის ჰანგები და ახლა რაღა იქნა, სად განქარდა და გაუჩინარდა? ერთხანს ურწმუნო თომასავით ვაფახულებდი თვალებს, ვაქნევდი თავს და ვიძახდი გულში — არა... არა... არა... მაგრამ მერე დავინახე ხალხი, მთის ძირში მოგროვილი მაყურებლები. ისინი სირბილით მოეშურებოდნენ სუალტოს მისადგომებისაკენ. ჰო, მანდ არიან მიხეილ ივანეს ძე ანუფრიკოვი და სლავა რომანოვი — ჩვენი მეთვალყურეები. მანდ არიან იტალიელი ჯარისკაცები, სამხედრო წვრთნის მონაწილეები, რომელთაც აგრეთვე მიატოვეს თავიანთი მეცადინეობა და აქეთ გამოიქცნენ. მათ მიშას ცხედარი ჩაიტანეს დაბლა. შემდეგ, კედლიდან რომ ჩამომხსნეს, მე მიამბობდნენ — როცა მიშას ცხედარი იტალიის სამხედრო ბანაკის წინ გაასვენეს, იტალიის ნაციონალური დროშა დახრილი ყოფილა — ჩვენი მასპინძლები უკანასკნელად ეთხოვებოდნენ, თავს უხრიდნენ მამაც საბჭოთა მთამსვლელს.

არიან ადამიანები, რომელთან შეხვედრითაც ემადლიერები ბედს. ეს ადამიანები დაჯილდოებულნი არიან ბუნებისაგან ცხოვრებისეული სიბრძნით, არაჩვეულებრივი კეთილშობილებით, კეთილისმყოფლობით და სულიერი სიმდიდრით.

მიშამ ბევრი რამ ვერ მოასწრო ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერს კი მიაღწია, მან უბრალოდ ვერ მოასწრო, რადგან ძალიან ცოტა დრო ჰქონდა ამისათვის, მაგრამ სიცოცხლე, რომელიც მან გაიარა, იყო სავსე, ნამდვილი და ამიტომაც ცხოვრებაში ბევრ ვინმეს, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდა, დაუტოვა ღრმა სულიერი ტკივილი, რომელიც არასოდეს არ წაიშლება.

მიშა არ არის ჩვენს შორის, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო, რომელ მწვერვალზეც არ უნდა ავიდე, იგი ფიქრით მუდამ ჩემთან იქნება, ერთ თოკში ჩაბმული.

მე ახლაც ნათლად ვგრძნობ მისი სულის სიმძლავრეს, რწმენას თავისი თავისა და ამხანაგებისადმი...

## ლორდი ჯონ ჰანტი (ინგლისელი მთამსვლელი)

„საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მიხეილ ხერგიანს, მის გულითად მეგობარ იოსებ კახიანთან ერთად, პირველად შევხვდი იალბუზის ძირას, ადილ-სუს ხეობაში მდებარე ალპურ ბანაკ — „სპარტაკში“, 1958 წელს.

მშვენიერი გარეგნობის, მეგობრული გრძნობით გამსჭვალულ პიროვნებაში მყისვე შევიცანი ტიპიური ქართველი, ჭეშმარიტად კაცური კაცი. მე და ჩემი მეგობარი მთელი ათი დღის მანძილზე ტკბილად ვცხოვრობდით ამ შესანიშნავ წყვილთან. ამ ხნის განმავლობაში ავედით კავკასიისა და შუროვსკის პიკზე, ქარბუქის გამო მთელი სამი დაუვიწყარი დღე ერთად გავატარეთ „უშბის ბალიშზე“, მისი ჩრდილო მწვერვალიდან ათასი ფუტის ქვემოთ.

მიხეილი და იოსები სვანეთიდან იყვნენ — თაფლისა და რძის — თეთრი ღვინის კუთხიდან, კავკასიონის გაღმა მხრიდან. ზამთრის თვეებში ისინი მუშაობდნენ მთამსვლელობის ინსტრუქტორებად.

ჩვენი სტუმრობის დროს მიხეილი და იოსები გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები.

ოთხი წლის შემდეგ, როცა ჩვენ პამირში შევხვდით ერთმანეთს, მიხეილს უკვე მოპოვებული ჰქონდა კლდეზე ცოცვაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სანუკვარი ტიტული.

ჩვენი მრავალი მთამსვლელი მოწმე გახდა იმ ძალისა და მოხერხებისა, რაც მიშამ გამოამჟღავნა, როცა იგი **1960** წელს ჩამოვიდა დიდ ბრიტანეთში, საბჭოთა მთამსვლელების ჯგუფთან ერთად, ჩვენი მიპატიჟებით.

მან აქ, ჩვენს მამაც ადამიანებთან ერთად, რამდენიმე რთული ასვლა მოაწყო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიშამ დიდ ბრიტანეთში ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი შეიძინა.

**1962** წელს ჩვენ სიხარულით შევხვდით ერთმანეთს ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის მთავარ ბანაკში პამირზე, პიკ ჰარმოს ძირში. მიშა აქ ჩამოვიდა დიდებით მოსილი, რაც მან დაიმსახურა შუროვსკის პიკზე ჩრდილოეთიდან პირველასვლით.

იგი პამირში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიეღო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ყველაზე რთულ ასვლაში — კომუნიზმის პიკის იერიშში.

მიუხედავად ასეთი დიდებისა და სახელისა, იმათ, ვინც მას იცნობდა, კვლავაც ის ძვირფასი და თავმდაბალი მიშა ნახეს, კვლავ საყვარელი და გულმხურვალე ადამიანი. მე მაქვს პამირში მასთან ერთად გადაღებული სურათი — მიშას ხელში სანადირო თოფი და მოკლული კაკაბი უჭირავს, რომელიც ძლვნად მოიტანა ჩვენთვის.

მაშინ მიხეილს ჰარმოს მწვერვალიდან დაშვების დროს დავცილდით, ულფრიდ ნოისისა და რობინ სმიტის დაღუპვით დამწუხრებულნი. შვიდი წლის შემდეგ კი მიშაც დაიღუპა სუალტოზე, მეექვსე კატეგორიის სირთულის მარშრუტით ასვლისას. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენთვის. იგი სისხლითხორცამდე ნამდვილი ვაჟკაცი იყო. იგი იყო თენსინგი ვაჟკაცთა შორის“.

* * *

თვითმფრინავებს უამრავი ხალხი გადმოჰყავდათ. შვეულმფრენები გადმოდიოდნენ ჩრდილოეთიდანაც — ყაბარდო-ბალყარეთის ქალაქებიდან, ალპბანაკებიდან, მოდიოდნენ მიშას თაყვანისმცემლები, ამხანაგ-მეგობრები, მესტიის, ბეჩოსა და სხვა გადასასვლელებზე გაცხოველდა მოგზაურთა მოძალება — მიშას სანახავად მოისწრაფოდა ჩრდილოეთი. მწუხარება განაგებდა ყოველივეს. ერთ-ერთ შვეულმფრენს მიშას უახლოესი მეგობრები მოჰყავდა: სპორტის დამსახურებული ოსტატები თერსკოლსა და ნალჩიკიდან — იურა მურზაევი, მიშა და ხუსეინ ზალიხანოვები. ყველაზე გულისდამწველი იყო მათი შეხვედრა ბიძია ბესარიონთან, სამთავეს ბესარიონის მკერდსა და მხრებზე ჩამოედოთ თავი და დიდხანს, დიდხანს უთათუნებდნენ მოხუცს ხელს. და როცა ბესარიონმა უსაყვედურა მათ — რაზე შეწუხდით ამ სიშორეზეო.. მათ გაიოცეს, გვერდზე გადგნენ და ერთხმად თქვეს:

— ბიძია ბესარიონ, ჩვენ მიშას „წასვლამ“ როდი შეგვაწუხა, აქ ნურავის ჰგონია, რომ იგი გვეცოდება, ჩვენი თავი გვებრალება მის გარეშე... რამდენი სიამოვნება გველოდებოდა და უეცრად ყველაფერი დავკარგეთ, აი, რა გრძნობა მოგვერეკებოდა ამ სიშორეზე, იქნებ, ეს ხალხიც ამასვე განიცდის, რასაც ჩვენ...

— ჰო, შენი ჭირიმე... მაგრამ მაინც რა გააკეთა მიშამ ასეთი, რა შეეძლო გაეკეთებინა, რა ჰქონდა, რა ებადა... — ჰკვირობდა ბესარიონი.

— გული ჰქონდა, ბიძია ბესარიონ, მიხეილს, ადამიანის გული... მერე კი სხვა დანარჩენი... ჩვენ ყოველთვის რაღაცას ვსწავლობდით მისგან და აი, დავიღუპეთ...

ლაფაროში გეგმიანი და უგეგმო ტურისტები, თბილისელი და ქუთაისელი სტუმრები,

სვანეთში მოვლინებული უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებელთა პრაქტიკანტი სტუდენტები ჩამომსხდარან. ყველა დამწუხრებული და გაოცებულია — ეს რა ხდება სვანეთში, ეს რა გლოვა სცოდნიათ სვანებსო. ქუდმოხდილი კაცები დგანან და დუმან. ახალგაზრდობა ქანდაკებად ქცეულა, მწუხარებას მოუთოკავს ყველა. ახალგაზრდებს განსაკუთრებით შვენით ეს სიდინჯე და მკაცრი სერიოზულობა.

— ისინი რაღაცით მიხეილს ჰგვანან, შეხედეთ მის სურათს და მერე განსაჯეთ — მართლა ჰგვანან თუ არა, მიშაც ასეთი დინჯი და დარბაისელი იყო ცხოვრებაში... — ამბობს ვილაცა სტუმართაგანი ლაფაროში. დანარჩენი მისკენ შემოტრიალდებიან და ყურს მიუგდებენ.

— შენ საიდან იცი? — ეკითხება მეორე.

— ვიცნობდი, შორიდან ვიცნობდი.

მალე კინოსაპროექციო აპარატი მოიტანეს; რომ მოსაღამოვდა, ეზოს მეორე ბოლოში თეთრი ფარდა ჩამოუშვეს. ვიდრე ფილმის ჩვენებას შეუდგებოდნენ, სოფლის თავკაცებმა ხვალინდელი დღის წესრიგი გამოაცხადეს. ბავშვებს ეკრძალებოდათ გასვენებაზე მოსვლა. მშობლებს არ უნდა გამოეშვათ ისინი პანაშვიდზე. დაინიშნა გასვენების დროც. მაგრამ ბავშვთა დასწრება-არდასწრების საკითხმა კამათი გამოიწვია. სტუმრებს მიაჩნდათ, რომ ეს არ იყო მართებული გადაწყვეტილება. ბავშვებისათვის ამჯერად გამონაკლისი უნდა დაეშვებულიყო. ეს ხომ ჩვეულებრივი სვანური დაკრძალვა არ იყო. სწორედ მომავალ თაობას უნდა განეცადა და ეგრძნო, ვისაც მარხავდნენ. იჭნებ აქედანვე შეეცნოთ და დაფიქრებულიყვნენ თავიანთ მომავლის გზაზე. ვის გზას გაჰყოლოდნენ...

ეკრანზე მიხეილი გამოჩნდა. იღიმებოდა, ამხანაგებს ჰკოცნიდა, გარბოდა, კლდეზე მიკრულიყო, თოკზე ეკიდა, თანასოფლელებთან საუბრობდა, სტუდენტებს ამეცადინებდა, მღეროდა, ჭიქა ეჭირა ხელში, მერე კი... ფიქრობდა, დუმდა და ფიქრობდა. სპორტსმენი იყო, მასწავლებელი იყო, თამადა იყო, ჩემპიონი იყო, მოგზაური იყო, დამსვენებელი იყო, ამხანაგი იყო — ქართველი იყო. მერე ეკრანიდან ბანგურიანის მთებს გაჰხედა მიხეილმა. მთელი ხალხი იქით შეტრიალდა.

— ამხანაგებო, — განაცხადა სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ბენედიქტ რატიანმა — რამდენიმე წუთში ბანგურიანის მწვერვალზე დაენთება მიშას ხსოვნისადმი მიძღვნილი კოცონი...

მალე მართლაც აგიზგიზდა ცეცხლი. მიშას აღზრდილებმა, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის მთამსვლელობის ფაკულტეტის პირველი გამოშვების სტუდენტებმა, გაიოზ ჩართოლანმა, გელა გუგავამ, ჯენერი გვარლიანმა, ლადო გურჩიანმა, ვალერი რატიანმა და ზაქრო მუშკუდიანმა ააგიზგიზეს მწვერვალზე კოცონი. მათ ეს ასვლა მიშას ხსოვნას მიუძღვნეს. ახალბედა მთამსვლელებმა თან წაიყვანეს მიხეილის უმცროსი ძმა, ბექა ხერგიანი. მიხეილი ცამეტი წლისა იყო, პირველად რომ შედგა ფეხი ბანგურიანზე, პირველი ნათლობა რომ მიიღო. დღეს კი მის ნაკვალევს მისი ძმა მიჰყვებოდა, მისი აღზრდილები აღრმავებდნენ ამ ნაკვალევს, მათ მიიღეს ესტაფეტა... მალე ჰაერში ჯერ ცამეტი მწვანე, მერე კი ოცდაჩვიდმეტი (რამდენი წლისაც იყო მიხეილი) შუშხუნა აიჭრა. ბანგურიანი ქედს იხრიდა მამაცი მთამსვლელის წინაშე. მთელი კავკასიონი კიდევ ერთხელ ემშვიდობებოდა მთების რაინდს...

ლაფაროში მთელი ღამე ისხდა ხალხი. და რაც უცნაური იყო, ამ ადამიანებს მიხეილის მშობლებიდან, ნათესავებიდან, საერთოდ სვანეთშიც კი არავინ იცნობდა. ისინი მაინც ისხდნენ და ისხდნენ... როგორც შინაურები და ახლობლები.

* * *

სახელოვანი ადამიანები, ბექნუ ხერგიანი და ჭიჭიკო ჩართოლანი, გოჯი ზურაბიანი და ალმაცგირ კვიციანი, როგორც ქარაფებზე, როგორც მწვერვალებზე, როგორც ყოველთვის, დღესაც ერთად იდგნენ — საპატიო ყარაულში. მესტიის ცენტრში, შუა მოედანზე განისვენებდა მიშა.

შავძაძიანი ქალები გულისდამწველად მოსთქვამდნენ.

რეზო ხერგიანს მოინახულებ, მინაან...
უმცროს მიხეილს მოინახულებ, მინაან...
გურამ თიკანაძეს მოინახულებ, მინაან...
ილიკო გაბლიანს მოინახულებ, მინაან...
ვოი, მინაან, მინაან...

* * *

კატი ბარლიანს კი, ფერმილეულ, ლოყებჩამოკაწრულ შაოსანს უკვე აღარაფრის თავი არ ჰქონდა, არც იცოდა რა ხდებოდა სეტის მოედანზე, რა უნდოდა ამ ხალხს, რას იქმოდნენ ეს ადამიანები, თავჩაქინდრულნი და მდუმარენი. იგი რაღაც სულის შემხუთველ ბურუსში გახვეულიყო, სადღაც მის წყვდიადსა და უსასრულობაში მიცურავდა და მიექანებოდა. და არღარა უწყოდა — ეს რეტსდამსხმელი სრბოლა დამთავრდებოდა, შეწყდებოდა კი როდისმე?

მხოლოდ ფიქრისა და გარდასულ დღეთა გახსენების უნარი შემორჩენოდა. და თვითონაც არ იცოდა, რისთვის, ვისთვის იყო ეს საჭირო, რა აუცილებლობა ჰკარნახობდა უკუნეთში მიმსრბოლავ ბინდიან გონებას, ეს წარ-

სულის წვრილმანები გაეხსენებინა, წარსულისა, რომელიც აღარასოდეს განმეორდებოდა, აღარასოდეს მობრუნდებოდა. რა უცნაური რამ იყო ეს სრბოლა, რა უცნაური და ტკივილიანი, რა ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მიკიბ-მოკიბული იყო ეს მიმწუხრის ფიქრი:

— დაზანტდი, ამ ბოლოს ძალიან დაზანტდი...

— რა... რა გინდა ჩემგან, დამანებე თავი!

— მოიძილქუშე და წამოდექი. რა გინდა!

— მაგდებ სახლიდან? რას მაჩქარებ, ნეტა ვიცოდე.

— ბარგი, როგორც მითხარი, ჩავალაგე. ყველაფერი მზადაა. თვითმფრინავი კი შენ არ დაგიცდის.

— გინდა მალე დამიშორო და ეს არის. სხვა დროს რო არ მახსოვს შენგან დაჩქარება?

— სხვა დროს? სხვა დროს არ გინდოდა და ამიტომ. ამ ბოლოს კი დაზანტდი. უწინდელი ხალისი დაკარგე, ძარღვ-სახსარი დაგიძაბუნდა.

— ეეჰ, ელაპარაკე მაგას. შენ ის მითხარი, სახლიდან რაღაზე მერეკები. ძვალ-სახსარს გამოძინება არ უნდა? სხეულს გამოშუშება არ უნდა? დასვენება არ უნდა? მითხარი, არ უნდა?

— არ გინდა წასვლა? თუ არ გინდა, მიდი და განუცხადე. ვილასი გერიდება. მიდი და უთხარი. თვითმფრინავი რომ არ დაგიცდის, ხომ იცი...

— ეჰ, ელაპარაკე ახლა მაგას... შემოგიჩნდება, შემოგიჩნდება და საშველს არ მოგცემს. კარგი. ასე იყოს. სად არის ჩემი ზურგჩანთა?

— თითქოს მე მივდიოდე. შენ მიემგზავრები უცხო ქვეყანას, განა მე? ნეტავი მეც მოვდიოდე. ანდა მარტო მივდიოდე.

— წამოდი, გეთქვა ადრე და წაგიყვანდი, განა ვერ წაგიყვანდი. რომ დავბრუნდები, მერე წაგიყვან სადმე, კარგი? ოღონდ, რომ მერეკები და მაჩქარებ? თავიდან გინდა დამიშორო? — მიხეილს ეღიმება. თბილი, შუბლგახსნილი, გულიანი ღიმილით ეღიმება. იგი უკვე ფეხზე დგას. სამგზავროდ გამოწყობილი, სალაშქროდ შემართული.

„არა, მაინც ვერ არის ის ძველი ჩხვიმლიანი. თითქოს არის, მაგრამ რაღაც აკლია, რომელიღაც ნათურა ველარ ენთება სულში, რომელიღაც ნათურა მხოლოდ ბჟუტავს, მხოლოდ ციმციმებს. თითქოს არის და არც არის ის ძველი..."

— რაღას გაჩუმდი. თქვი რამე. ეს მითხარი, რა, რა ჩამოგიტანო?

— არაფერი...

— ყელსაბამი?

— არა...

— ფეხსაცმელები?

— არა.

— ხელჩანთა? ან იქნებ პალტო?

— არაფერი-მეთქი.

— ეს კარგი გამახსენდა. უნდა ჩამოგიტანო ისიც და ისიც. ფული არ მეყოფა საამისოდ? მინდა დაგინახო გამოწყობილი...

— გთხოვე? როცა გთხოვ, მაშინ ჩამომიტანე, ახლა კი გაგვიანდება.

— რა სულელი ვარ. მე ხომ არასოდეს არაფერი არ ჩამომიტანია. მცირედი რამ საჩუქარიც კი — არა... რა სულელი ვარ...

— ახლა ხარ სულელი. ამაზე რომ დარდობ, სულელი ხარ...

— არა, მე მინდა გამოირთო, ერთხელ ხომ უნდა გამოირთო...

„არა შეჯდა მწყერი ხესაო"... როგორც იყო, ისე იქნება კვლავაც. არ გიყვარს ასეთი რამ. არც რქებს ეზიდები ზოგიერთივით მთებიდან, ჯიხვებს არ თოფავ, საზღვარგარეთიდან კი არასოდეს არაფერი არ წამოგიძღვანებია. უბრალო პერანგი რა არის, უბრალო პერანგიც კი არ ჩამოგყოლია. არ გიყვარს მაღაზიებში სიარული. საკუთარი თავი რომ არ გაახსენდება კაცს, იმას სხვამ რა უნდა მოსთხოვოს. და მიგრძნობინებია როდისმე? თქვი, მიგრძნობინებია? მისაყვედურნია? შემიხსენებია? თქვი! არცა მჭირდება. არაფერი არ მჭირდება შენს იქით, და არაფერს არ დაგავალებ იმიტომ, რომ შენ ასეთი ხარ... სხვები რქებით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ ექსპედიციებიდან. უბრალოდ, ჩააწყობდნენ მონადირებულ რქებს და წამოიღებდნენ, მერე ათას ვინმეს მოიმადლიერებდნენ. შენ — არა! იმიტომ, რომ ასეთი იყავი. შენი ზურგჩანთა სამთო ალჭურვილობით იყო გამოვსებული. ეს იყო და ეს. ჰოდა, რა, რა მაქვს შენთან სამდურავი... განა სულელი ვარ. განა ერთად არ ვსწავლობდით ძველისძველ ანდაზებს თუ უფროსთა გამონათქვამებს. აი ხო გახსოვს — „არა შეჯდა მწყერი ხესაო..." ასეთი იყავი თავიდან. ასეთი რომ იყავი, იმიტომ შევხვდით ერთმანეთს. ალბათ მეც შენნაირი ხასიათი მქონდა, შეიძლება მთლიანად არა, მაგრამ რაღაცით მაინც გგავდი, მგონი ეს დასაშვებია — ქალი რაღაცით კაცს რომ წააგავდეს...

ჰო, მერე? მერე რა იყო? მერე იყო წერილი. შენი უკანასკნელი წერილი მოსკოვიდან. და იყო ჩემი სიზმარი. გაყინულსა და გათოშილს, მდუღარე წყალს გასხამდი. ეს იყო და ეს. მაგრამ რომ ვერ გაგალღვე? აუ, რამდენი წყალი გასხურე, რამდენი ვეცადე, მაგრამ, რომ ვერა და ვერ გაგალღვე?

და მერე, მერე რა იყო?

მერე იყო ვეფხვის ტორებზე შემდგარი იტალიური კუბო. ჰო, შენ იწექი და მემუდარებოდი, წყალი აადუღე და დამალევინეო. დამალევინე, იქნება მეშველოს რამეო. ეს იყო. იქნება შევიძლო წამოდგომა და ხმის ამოღება,

რათა ლომის ხეობა შევყარო, შევყარო და ვამცნო ყველას თეთრი მოხუცის დანაბარები, ანტონის ანდერძი დალებსა და ნადირზე.

რათა ჯგვიბის დღესასწაულზე ნათლისვეტს ავაცოცდე და მოსავლიანობის სვებედად დათქმული ჯვარი მოვიტაცო. განა იმ გაყინული გუნდებისა შემეშინდება. რა, რა უნდა დამიშაონ თოვლის გუნდებმა?!

მოდი, რაღას ელოდები. გააცხელე ორკიოლი, აათუხთუხე და დამალევინე.

ორკიოლი? ეგ რა დიდი რამეა, შენ სხვა რამე მთხოვე და... ეგ რა სალაპარაკოა, მოიცა...

კატი წამოიწია. იგი უეცრად წამოიწია.

„მოიცა... მოიცა...“ — ჩურჩულებდა ხმამიხრჩვალი ქალი.

— სადა, შე საწყალო, სადა? — ჩაატრინდნენ აქეთ-იქიდან ჭირისუფლები.

— წყალით, მინაანმა წყალით, ცხელი წყალით... — ამოიხნავლა კატიმ.

— იყურე, იყურე და გამოიხედე, შე საწყალო, აი, რამდენი ხალხი მოსულა, ნახე...

მერე მან ეს ფიქრისა და გახსენების უნარიც დაკარგა. ახლა იგი იჯდა უაზროდ თვალებგაშტერებული. იჯდა და აღარაფერზე არ ფიქრობდა. თითქოს ყოველივე გაიყინა და დამთავრდაო.

• • •

პოეტმა თამარ ერისთავმა თავისებურად დაიტირა მიხეილი:

შენ ვეფხვი იყავი, ხერგიანო,
და ვეფხვზე უფრო უმალესი,
შენ მთები გიყვარდა, ხერგიანო,
მთები, ყველაზე უმაღლესი.

შენ მთებმა გაგწირეს, ხერგიანო,
მთებმა მოღალატე დოლომიტის,
შენ ქებას მოიტანს, ხერგიანო,
შენ ქებას წაიღებს დრო რომ მიდის.

შენ გადაგივლია, ხერგიანო,
მთები ღრუბლებშიაც რომ არ ჩანან,
მთები ყინულების ფერდიანი —
დიდი პამირის და ტიანშანის.

კვლავ მოენატრები, ხერგიანო,
უშბას, მყინვარების ბანდულიანს,
შენი სოფლის თავზე გადმოკიდულ
მარად ნისლებიან ბანგურიანს.

კვლავ მოენატრები, ხერგიანო,
მაღალ ციხე-კოშკებს ლაღამისას,
და შენს სამარეზე ვარსკვლავები
ცეცხლს დაანთებენ შუაღამისას.

შენ ვეფხვი იყავი, ხერგიანო,
და ვეფხვზე უფრო უმალესი,
შენ ლილე გიყვარდა, ხერგიანო,
ლილეს სიმღერა და მზის [illegible].

ბიბლიოთეკა

შენ კაცი იყავი, ხერგიანო,
სხვა კაცზე უფრო უკაცესი,
ეს დიდი მწვერვალიც დაგიპყრია,
ყველა სხვა მწვერვალზე უმკაცრესი...“

## ჯიჯიკო ჩართოლანი (სპორტის დამსახურებული ოსტატი)

— სვანეთში დაბადებული კაცი ბევრი რამით არის დავალებული მთისაგან — ტყუილად როდი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, მთა აქ ყველაფერიაო. მთა იფარავს, მთა ჰკვებავს და ასაზრდოებს ადამიანს. საოცარია მთა — შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ვეღარ კი მოსცილდები. მერე მთა მშობლიურით საყვარელი ხდება, საყვარელი და ახლობელი. მთა სულში იდგამს ფესვებს, ისევე, როგორც ხე — მიწაში, — ამბობდა ხოლმე მიხეილი, როცა მის მთამსვლელურ გატაცებაზე შეეკითხებოდნენ.

და ყველა, ვინც კი მოწმე გახდა მისი შეუპოვარი ასვლებისა კავკასიონზე, პამირსა და ტიანშანში, საზღვარგარეთის ქვეყნებში — ბულგარეთში, ინგლისსა და საფრანგეთში, ვინც მხილველი იყო უშბის სარკის სარეკორდო დალაშქვრისა და საკუთარი თვალით ენახა ათობით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დამშვენებული მიხეილი, ყველა დარწმუნდებოდა, რაოდენ ჭეშმარიტი და ნაღდი იყო ამ უბრალო, ხალასი, მუდამდღე იმ მთებივით მდუმარე და დაფიქრებული ადამიანის სიტყვები: საოცარია მთა, შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ვეღარც კი მოსცილდებიო...

## გოროვიკოვი (სპორტის დამსახურებული ოსტატი, საკავშირო ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე)

— მიხეილ ხერგიანი იყო პირველი საერთაშორისო კლასის ოსტატი საქართველოდან. იგი ერთნაირი გატაცებით მოღვაწეობდა რამდენიმე სფეროში: ზრდიდა მომავალ მთამსვლელებს, უფროსი თაობის შემცვლელთ, მათი გზის განმგრძობთ. ათობით შესანიშნავი სპორტსმენი გაიზარდა მისი ხელმძღვანელობით.

ზამთრობით, როცა ალპინისტური სეზონი ძირითადად დამთავრებული იყო, იგი სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის ილვწოდა.

მიხეილი იყო ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი საბჭოთა სკოლის კლდეზე მცოცავებისა. მან ზედიზედ შვიდჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება კლდეზე ცოცვაში, სპორტის ამ ურთულეს სახეობაში, მრავალჯერ გავიდა საპრიზო ადგილზე.

სპორტის ამ სახეობას დაუღალავ პროპაგანდას უწევდა მიხეილი მშობლიურ რაიონში — მესტიაში. მისი თაოსნობით შეიქმნა მესტიის რაიონის სამაშველო ჯგუფი, რომელსაც ცნობილი საბჭოთა მთამსვლელები ბექნუ ხერგიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი და მაქსიმე გვარლიანი უდგანან სათავეში. ამ ჯგუფმა არა ერთი და ორი ადამიანი იხსნა განსაცდელისაგან, არა ერთსა და ორს დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი...

## ანუფრიკოვი (სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფიზკულტურის კომიტეტის ალპინიზმის განყოფილების გამგე)

— როგორც ითქვა, მიხეილმა არა ერთს დაუბრუნა სიცოცხლე, არა ერთი ადამიანი იხსნა მძიმე განსაცდელისაგან. ვინც კარგად იცნობს მიხეილის სამაშველო საქმიანობას, იგი ადვილად დარწმუნდება, თუ რაოდენ დიდი კაცთმოყვარე იყო ეს მთების რაინდი...

გავიხსენოთ თუნდაც გადილ-ბაშკარის მწვერვალზე დატრიალებული ტრაგედია. მთამსვლელთა ჯგუფი იური ბურუხევიჩის ხელმძღვანელობით ქარაფებში გაიჭედა. ყინვასა და ქარში ისინი რამდენიმე დღე-ღამე ეკიდნენ უფსკრულთა თავზე. გათოშილ, ილაჯმიხდილ ხალხს აღარაფრის თავი არა ჰქონდა, ისინი ზეზეურად კვდებოდნენ.

უბედურებაში ჩავარდნილებმა ისღა იცოდნენ, რომ ახლო-მახლო, სადღაც „კლდის ვეფხვს“ და მის თანამემამულეებს ედოთ ბანაკი და თუ ვინმე მოვიდოდა, თუ ვინმე გადაარჩენდა მათ, მხოლოდ ისინი... სხვა ვინ შემოაღწევდა ამ უდაბურ ფორპოსტებში?...

და მართლაც მოვიდა მიხეილ ხერგიანი თავისი ჯგუფით. მოვიდა და სასიკვდილოდ განწირულ ხალხს თავისი მაცოცხლებელი სითბო გაუნაწილა...

## სანდრო გვალია (საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი)

ჩვენი მიშა, პირადად ჩემთვის კი ჩხვიმლიან ხერგიანი მუდამ იყო ვაჟკაცობისა და თავგანწირულობის ნიშანსვეტი მეგობარ-ამხანაგებში. როცა ვინმეს უჭირდა, იგი ტოვებდა თავის საქმეს, რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა, და სწრაფად მიეშურებოდა უბედურებაში ჩავარდნილის დასახმარებლად.

ასე იყო იმ საბედისწერო 1961 წელსაც ტიანშანში, გამარჯვების პიკზე. სამმა ქართველმა ვაჟკაცმა დაიდო ცასთან ახლოს ბინა, ერთმა მათგანმა კი საუკუნო განსასვენებელი ჰპოვა იქ, ამჟამად ყველაზე მაღალმა კაცმა მსოფლიოში — ილიკო გაბლიანმა.

მეოთხეც შეიძლება შეჰმატებოდათ მათ, მეოთხეც შეიძლება დარჩენილიყო მათთან ერთად მყინვართა საუფლოში, მაგრამ მიხეილმა თავგანწირულობისა და სიმამაცის ფასად ულმობელ სიკვდილს გამოსტაცა იგი — ზურგზე მოიკიდა მიყინული, უკვე გონსგადასული, გადარჩენის იმედგადაწურული მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) და შვიდიათასი მეტრის სიმაღლიდან ხუთიოდე კილომეტრი ატარა სიკვდილმობნეულ გზებზე, სადაც თვითონ უჭირდა გასვლა; მიხეილმა იქ გაუგონარი სასწაული მოახდინა.

მართლაც იშვიათი თავდადება იცოდა „კლდის ვეფხვმა“.

შემდგომ წლებში, როცა ულმობელმა სენმა მაინც დარია ხელი მიხეილ ხერგიანს (უმცროსი), მიშამ ერთხელ თქვა — ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ცალი მხარი ჩამომაჭრესო.

უცნაური იყო, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული მართლაც მხარმოკვეთილივით დადიოდა. აღარავის ახსოვს იგი ერთი გულიანად გაღიმებული. იშვიათად იცინოდა. უკვე აღარ მოსდგამდა ის ძველი სიმხნევე და სილაღე.

იტალიაში გამგზავრების წინ იგი რაღაც გაორებულ გუნებაზე იყო. ვინ უწყის, იქნებ უჩინარი წინათგრძნობა აუწყებდა მოსალოდნელ უბედურებას...

მაგრამ მიხეილს მამა-პაპიდან, სახელოვანი წინაპრებიდან მოსდგამდა შეუპოვრობა, გამარჯვებისადმი ლტოლვა და მისწრაფება, სიმაღლეთა დამორჩილებისა და დათრგუნვის ჟინი. ისევე, როგორც მამამისს, სპორტის ოსტატს ბესარიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს — ბექნუ, გაბრიელ ხერგიანებს, ჭიჭიკო ჩართოლანს, გოჯი ზურებიანს, ალმაცგირ კვიციანს და სხვებს, მასაც არ სჩვეოდა უკანდახევა და ათასი წვრილმანის გამოკიდება...

და კვლავ აიკრა გუდა-ნაბადი შორეულ გზაზე წასასვლელად. საუბედუროდ, ამჯერად უკანასკნელად დაჰქროლეს მისთვის სამოგზაურო ქარებმა მწვერვალებიდან, უკანასკნელად არიალდნენ კავკასიონის ქათქათა მწვერვალები რაინდის წინაშე, უკანასკნელად ჩაკიდეს ერთურთს ხელები და სვანური „შინავორგილი“ დაუარეს...

• • •

## ველიკო სადღიანი (პოეტი)

ღრიალებს ენგური, თავნება ტალღები
ლამის საფიხვნოზე შევარდნენო, —
ვინ ჩაგდო კუბოში, — აკივლდნენ
ბალღებიც,
შევარდენო!
რად ტირის ღრუბლებში ჩუმ-ჩუმად
ნეტა მზე,

თვალს ცხელი ცრემლი წვავს, გულს —
ნაღვერდალები,
თმებით დაკიდულან თოვლიან კეტამზე
დამხრჩვალი დალები.
კივიან ზარები და შმაგი ქარები
ყინულებს ლოკავენ, მთებს გაეთამაშნენ,
კვლავ ქედ-ქედ დაუდის სამსხვერპლო
ხარები —
მამაშენს.
მოფრინდნენ მერცხლები, ვის გაეჭიკჭიკონ?
შენეულ ბილიკებს ეძებენ უშბაზე —
ბექნუ და ჭიჭიკო.
ო, რად შლის სიკვდილი სიცოცხლის
თარიღებს,
რა გვიყო ტიალმა, სად შემოპარულა
შენს ზღაპრულ საქმეებს ლეგენდად
წარიღებს
ქამთასვლის მარულა.
კლდეზე აღესრულე, შმაგო ვეფხო კლდეთა,
ტახტზე აღსრულებას ეს სჯობს გაცილებით,
ცაში დაფრინავდი, მიწას შეუერთდა
შენი დამსხვრეული ტანის ნაწილები.
გაწყდა ბაწარი და კლდეზე დაეკიდე
გარს ცეცხლისფრთიანი ღრუბლები გივლიან
ალბათ ბეთქილივით თეთრ შუნს გაეკიდე —
ჩხვიმლიან!

* * *

## ოთარ გიგინეიშვილი (საქართველოს ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე)

მიხეილის ამხანაგებმა კარგად იციან: ტექნიკურად ძნელ მარშრუტებზე, მონაკვეთებსა და უბნებზე, სადაც ხელით საცოცი და გასასვლელი იყო, წინ მუდამ „კლდის ვეფხვი“ მიდიოდა ხოლმე. მისი იმედი ჰქონდათ და გულდაარხეინებულნი ელოდნენ, როდის გააღწევდა სამშვიდობოზე, რომ მათთვის, ძირს დარჩენილთათვის თოკი ჩამოეგდო.

ამჯერად, იტალიაში, სუალტოს პიკის კედლის დაძლევისას მიხეილი წინ მიდიოდა და უშბის სასწაულებს იმეორებდა, თითებით დაეძებდა პორებსა და ღრეჩოებს, თითის ჩასავლებ ნაჩვრეტებს მოსიპულ კლდეზე. იპოვიდა, ჩამოეკიდებოდა, მერე კვლავ ეძებდა...

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი...“ — ეს იყო ალბათ მისი უკანასკნელი გაფიქრება.

სიკვდილი ამოვიდა მთებში.

მიხეილს განსაცდელის ჟამს უყვარდა „ლილეოს“ ღიღინი, ძველი ქართული მზის სადიდებელი ჰიმნის ღიღინი. იგი მართლაც მზეს ეთამაშებოდა მთელი სიცოცხლე. მზეს ეალერსებოდა, მზისკენ მიკვალავდა გზას. მზისკენ ლტოლვა იყო მთელი მისი ცხოვრება.

იტალიის ალპებში ქარაფებს მომწყდარმა კაცმა უკანასკნელად დაიბუხუნა მზის საგალობელი და სახელოვნად აღასრულა თავისი ადამიანური ვალი — „მიწა ხარ და მიწად იქეც...“

სვანეთში დაბადებული კაცი ბევრი რამით არის დავალებული მთისაგან. მთა ჰკვებავს, „მთა ასაზრდოებს. მთა იფარავს ადამიანსო“, — ამბობდა მიხეილი. მთებმა შობეს იგი, მთებიდან დაეშვა მსუბუქი ნიავივით ჩვენთან. კავკასიონის ბუმბერაზებმა მოავლინეს მისი სახელი მთელს მსოფლიოში.

ახლა კი, შორს ჩვენგან, ისევე მოკრძალებით, ისევე უჩუმრად შეუერთდა ჭიუხებსა და ქარაფებს, ჰაერსა და მიწას, მზესა და მთვარეს, როგორიც იყო მისი გამოცხადება. მაგრამ მან დაწერა შეუპოვარი, ვაჟკაცური, დიდი ცხოვრების წიგნი, ქათქათა მწვერვალებივით ნათელი და მარადიული, ლილეოსავით მაღალი და მიუწვდომელი.

ეს წიგნია გაუგონარი, სასწაულებრივი ამბებით აღსავსე ერთი უბრალო ადამიანის ცხოვრება... ეს წიგნია, რომელიც სამარადისო სახსოვრად დარჩებათ უდროოდ წასული ადამიანის მეგობრებს, მისი ნიჭისა და ვაჟკაცობის თაყვანისმცემელთ...

• • •

მერე ბესარიონი გამოვიდა.

ამჯერად მწარედ ატირდა ბესარიონი, თავშიწაიშინა ხელები, გამხდარი, დალეული ხელები გამხდარ, დალეულ სახეზე ირტყა და ირტყა:

არ მჯერა, შვილო, შენი სიკვდილიო... —
კვნესოდა იგი,
არ მჯერა შენი დამარცხებაო.
მაგრამ შენს ფრენას რომ წარმოვიდგენო,
საბედისწერო ჩამოქროლებასო,
შენს კოტრიალს რომ წარმოვიდგენო, —
ცრემლი რომ წასკდეს, გულიც რომ
შეუღონდესო,
ნუ გაამტყუნებ, შვილო, მამაშენსო...

არავინ არ ამტყუნებდა ბესარიონს. ხალხი ერთიან ცახცახებდა, ძრთოდა, ვიშვიშებდა. ლომის ხეობის შორეული თუ ახლობელი სოფლებიდან მოვლენილ მოზარეთა გუნდებს მოედანზე მოეყარათ თავი. ჩოხა-ახალუხში, პაჭიჭებსა და მოვერცხლილ-მოზარნიშებულ ქამარ-ხანჯალში გამოწყობილი თეთრწვეროსანი მოხუცები, მრავალჭირგამოვლილი ბერიკაცები სულის საგალობელს აგუგუნებდნენ... დაუდეგარი ადამიანის უკვდავ სულს განადიდებდნენ.

უსიტყვო გოდება-მოთქმა სადღაც საუკუნეთა სიღრმიდან მოდიოდა და მკვრივად განეფინებოდა შემოგარენის ველ-მინდვრებზე. ეს კოშკები და მაჩუბები დამდგარიყვნენ ერთმანეთის მხარდამხარ, ამ ნაბდისქუდიანებივით შეყრილიყვნენ და გუგუნებდნენ.

უსიტყვო ჰიმნი მრავლისმეტყველად ჟღერდა:

ჩვენ უარესი დღეებიც გვინახავს, ბევრი ნაბდისქუდიანი დაგვიკარგავს უდროოდ. ჩვენ დაგვიტირებია ისინი, დაგვიფასებია, როგორც ჯერ არს. ცრემლი გვიღვრია და თავი დაგვიხრია მათ წინაშე... მაგრამ მომავლის იმედი არასოდეს დაგვიკარგავს!.. ქედი არ მოგვიხრია ცხოვრების წინაშე, სულით არ დავცემულვართ, ამაყნი ვრჩებოდით ბოლომდე...

და ასე და ამგვარად გაგრძელდება ჩვენი მსვლელობა და მოგზაურობა მომავალშიც...

— მე მგონი ადამიანის უპირველესი ღირსება ის არის, რომ იგი სიკვდილის მერეც ცოცხლობს. თუ იგი მართლა კაცია და ადამიანი — ჩაუჩურჩულა თავის მეგობრებს ბექნუ ხერგიანმა — ა?...

• • •

ზარის ხმას კი ამერ-იმერით გაჰქონდა კაცური კაცის დიდება.

კაცური კაცის სახელი ნივთდებოდა და მოიქცეოდა ბუნებაში, ხალხში, საზოგადოებაში. ყველას რაღაცა ემატებოდა ამ წუთში. ერთი მიდიოდა შორეულ გზაზე, მეორენი მაღლდებოდნენ.

და სუფევდა რაღაც საოცარი ჰარმონია.

და იყო რაღაც დაუსაბამო სიცოცხლე, რადგანაც რჩეულთათვის, ჭეშმარიტ მამულიშვილთათვის აღარასოდეს აღარ დგება თურმე აღსასრულის ჟამი...

* * *

ხოლო მიხეილის ნათლობის მწვერვალზე — ბანგურიანზე „კლდის ვეფხვის“ აღზრდილები გადმომდგარიყვნენ. ისინი მთელი ქვეყნის გასაგონად გადასძახოდნენ ქვეყნიერებას: ვისაც კავკასიონი გიყვართ, მისი ხერხემალი და ჩრდილო-სამხრეთის კალთები, აქლემის კუზებად ჩარიგებული მწვერვალები, ნუ შეშინდებით, ხიფათიანი გზების მაძიებელნო — მთამსვლელებო, ტურისტებო, გეგმიანნო და თვითმოქმედნო! იქ მთებში, ხერგიანების, ჩართოლანების, გვარლიანების, ნიგურიანების, ჯაფარიძეების, კახიანების, ზურებიანების, კვიციანების და „ცასთან ახლოს მდებარე“ ქვეყნის — ლომის ხეობის სხვა საგვარეულოთა „მაშველი რაზმებია“. ისინი მწვერვალებზე მოიტანენ მზესავით კაშკაშა, თოვლივით ნათელ, ზღვასავით ბობოქარ, ყოვლისმძლე, იმედიან შემოძახილს...

დიდ კავკასიონზე აქვს თავისი ბუნაგი „კლდის ვეფხვს“, მიხეილ ხერგიანს.

და კიდევ იძახოდნენ ისინი:

— ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია!... მაღალი და ძლიერი!

ეს მათ ჩაიბარეს უფროსთა ესტაფეტა. როგორც წმინდა რამ სახსოვარი, ჩაიბარეს ეს დიდებული სიტყვებიც — ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია!

მაღალი და ძლიერი...

• • •

გავლენ წლები, საუკუნეები და ჭაღაროსანი მეზღაპრე ძველისძველ ამბავს მოჰყვება:

— სულ პირველად იყო ბეთქილი,

ბეთქილის მერე — ჩორლა,

ჩორლას შემდეგ — მურათბი კიბოლანი,

მურათბის მერე იყვნენ ალიოშა და გიო.

გიოს მერე ბექნუ და ჰიჰიკო, გაბრიელი და მაქსიმე, მამა ბესარიონი.

და იყო ორი მიხეილ ხერგიანი. უმცროსი მიხეილი და „კლდის ვეფხვად“ ცნობილი მიხეილი.

ისინი მონადირეები და მთამსვლელები იყვნენ. და მათ აერთიანებდათ მთათა და მყინვართა, ციურ სიმაღლეთა სიყვარული...

ხოლო მერმე იყო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მერკვილაძე

# გალაკტიონის პოეტური სტილი

## ზოგიერთი დაკვირვება

### 1.

ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს აქვს თავისი სტილი, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. სტილი, ერთგვარად, ტალანტის გამოვლენის, შემოქმედის სრული თვითგახსნის საშუალებაც არის და მხატვრის ძალისა და ნიჭიერების საზომიც. რაც უფრო დიდია მხატვარი, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება, ერთი მხრივ, მთელი მისი პოეტური სამყაროს ორიგინალობა და, მეორე მხრივ, მისი სტილის გავლენა თუ დომინანტობა.

სწორედ ასეთია XX საუკუნის დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე; ასეთია მისი პოეტური სტილი — ეს უაღრესად ორიგინალური, განუმეორებელი ესთეტიკური ფენომენი, თანამედროვე ქართული მხატვრული აზრის გენიალური გამოვლინება; ასეთია მისი ადგილი თუ მისია XX საუკუნის ქართულ პოეტურ მეტყველებაში.

რა არის შემოქმედის სტილი, პოეტური სტილი?

სტილი — ეს არის მთელი სისტემა და ურღვევი ერთობლიობა , ერთი მხრივ, პოეტური გამოხატვის ორიგინალური, სპეციფიკური ფორმისა და, მეორე მხრივ, ამა თუ იმ გარკვეული იდეურ-თემატიკური მხატვრული გადაწყვეტისა.

მაშასადამე, იგი არ არის მხოლოდ ფორმის კატეგორია, როგორადაც მას მიიჩნევდნენ ფორმალისტები, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ფორმის ელემენტებად თვლიდნენ ენასაც, რითმასაც, შინაარსობრივ ჩანაფიქრსაც, სიუჟეტურ-სტრუქტურულ გააზრებასაც. მაგრამ იგი არც მხოლოდ იდეურ-შინაარსობრივი კატეგორიაა, როგორადაც მიაჩნდათ ვულგარიზატორ სოციოლოგებს ესთეტიკაში.

სტილის არსის ჭეშმარიტი გაგება უკუაგდებს ფორმის თუ შინაარსის დომინანტობის მექანიკურ კონცეფციებს. იგი სტილს განიხილავს, როგორც იდეურ-თემატიკური ჩანაფიქრისა და პოეტური ფორმის ურღვევ ერთიანობას, თუმცაღა, ამავე დროს, პრობლემის იდეურ-სახობრივი გააზრება ის ფაქტორია, რომლის ხორცშესხმაც გარკვეულ ფორმას მოითხოვს და იღებს კიდეც. ამდენად, ფორმა უკვე თავისთავადი და დამოუკიდებელი ფენომენი კი აღარ არის, არამედ „გაშინაარსებული“, გარკვეული, ერთიან მხატვრულ კონსტრუქციაში მოქცეული კატეგორიაა და უკვე კონკრეტულ პოეტურ სტილს დაქვემდებარებული სისტემაა.

სტილის ამგვარი გაგება ემყარება მისი წარმომშობი და განმაპირობებელი მიზეზების და ფაქტორების მართებულ ანალიზს.

ჯერ ერთი — სტილი უნდა მივიჩნიოთ სოციალურ მოვლენად, რადგან იგი გარკვეული სოციალურ-საზოგადოებრივი ყოფის ანარეკლია. ამ ყოფის მორალურ-ესთეტიკური ნორმები, ეპოქის სული, ერთსა და იმავე დროს, კიდეც განაპირობებენ სტილის შინაგან ბუნებას და კიდეც აირეკლებიან მასში.

მეორე — ჩვენ ვიცით, რომ ყოველ მიმართულებას თუ სკოლას, ყოველ მხატვარს თუ მის ქმნილებას გამსჭვალავს გარკვეული იდეა, იდეოლოგიური მრწამსი, მსოფლმხედველობა.

მაშასადამე, იგივე იდეური ფუძე უდევს სტილსაც, რადგან სწორედ მსოფლმხედველობა განსაზღვრავს მნიშვნელოვანწილად გამოხატვის საშუალებათა შერჩევას და მათს გამოყენებას.

მესამე — სტილს განაპირობებს ამა თუ იმ ეპოქის აზროვნების, სულიერი ცხოვრების დონე, რაც აუცილებელ მოვლენად აქცევს ყოველ კონკრეტულ სტილურ სისტემას. და ამ შემთხვევაშიც, ეს დონე ამავე დროს თავის ადექვატურ გამოხატვას ლებულობს სტილში.

მეოთხე — სტილს განსაზღვრავს ჟანრი, რომელსაც მიმართავს მხატვარი, რათა უკეთ შეასხას ხორცი თავის შთანაფიქრს.

მეხუთე — სტილის განმსაზღვრელია აგრეთვე პრობლემა და საგანი. ცნობილია, ყოველგვარი სტილი როდი გამოდგება ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის, თემის, საგნის მხატვრული გადაწყვეტა-ათვისებისათვის.

მეექვსე — სტილის განმაპირობებელი აუცილებელი ფაქტორებია შემოქმედებითი მეთოდიც და სამყაროს ხილვის ასპექტიც. რასაკვირველია, მათი გაიგივება არ შეიძლება, მაგრამ მხატვრული გადაწყვეტის პროცესში ისინი ურთიერთზემოქმედებენ და, ერთგვარად, უკარნახებენ კიდეც მხატვარს, თუ კონკრეტულად რა სტილური სისტემა გამოიმუშაოს. ამასთან, როცა ლაპარაკია მეთოდის მნიშვნელობაზე ამა თუ იმ კონკრეტული მხატვრული სტილის შემუშავებისათვის, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იგივეობის ნიშნის დასმა სტილსა და მეთოდს შორის დაუშვებელია, თუნდაც იმ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების გამო, რომ შემოქმედებითი მეთოდი არა თუ არ გამორიცხავს, არამედ შეიცავს კიდეც სტილურ მრავალფეროვნებას ერთი მიმართულების ფარგლებში.

მეშვიდე — დაბოლოს, სტილის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთოდ ხელოვნების მთავარ სპეციფიკურ ნიშანს — სახეებით მეტყველებას. ეს მთელი რთული კომპლექსია, რომელშიც სახის ცნებას მრავალგვარი გააზრება, გაგება და გამოყენება აქვს, ვთქვათ, სახე-პერსონაჟით დაწყებული და სახე-სიმბოლოთი დამთავრებული. იმას, თუ როგორ სახობრივ სისტემაზეა აგებული მხატვრული ნაწარმოები, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სტილის, როგორც კონკრეტული მხატვრული მოვლენის, ჩამოყალიბებაში.

სტილის ამგვარი გაგება მნიშვნელოვანწილად არის აგრეთვე მისი ფუნქციების ერთგვარი განსაზღვრაც. ეს ფუნქციები, ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიც, უნდა განვიხილოთ მათს მთლიანობაში და ურთიერთმოქმედებაში.

პოეტური სტილის ელემენტები, ძირითადად, იგივე ფუძეს ემყარება, რასაც, საერთოდ, მხატვრული სტილისა, მაგრამ ჟანრობრივ-სახეობრივ თავისთავადობის გამო, მას მაინც აქვს საკუთარი სპეციფიკა. პოეტურ სტილს განაპირობებს პოეტური სტრუქტურა.

მთლიანად პოეტური სტრუქტურის ელემენტებად კი ლიტერატურათმცოდნეობაში მიჩნეულია: თემატიკის, გამოსახვის საგანთა იდეურ-მხატვრული გააზრებაც (რაც გარკვეულ მსოფლმხედველობას ემორჩილება), სახეთა სისტემაც, კომპოზიციურ-სიუჟეტური გამართვაც, პოეტური ენის სტრუქტურაც და გამოხატვის საგანს ყველაზე უკეთ მისადაგებული ჟანრიც.

ასეთია პოეტური სტილი საერთოდ. მაგრამ ყოველ ცალკეულ, ჭეშმარიტად შემოქმედებითს პრაქტიკაში იგი ლებულობს კონკრეტულ-ინდივიდუალურ გამოვლენას, როგორც თავისთავადი, ძირითადი ფორმით განუმეორებელი ფენომენი, ესე იგი, როგორც აზრის, იდეის თავისებური გაცხადების ფოკუსი, ენობრივ-ბგერული სისტემა, პოეტური ენის კომპოზიცია, მუსიკალურ წყობათა რიგი, რითმისა და რიტმის ორგანიზაცია, წარმოდგენებისა და ემოციების სამყარო, ალქმა-გამოსახვის ხატოვან საშუალებათა თავისებური კომბინაცია, პოეტურ სახეთა სისტემა.

ჩვენ ყველა ამ კომპონენტს განგებ ვიღებთ მათს მთლიანობაში. სტილი მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში მართებულად არის მიჩნეული როგორც ესთეტიკურ, ასევე იდეოლოგიურ კატეგორიად ერთსა და იმავე დროს.

ყოველი ჭეშმარიტი კონკრეტული პოეტური სტილი — ეს არის ახალი ქმნადობის ურთულესი და, ამასთან, ფრიად საინტერესო პროცესი, როდესაც „პოეტური სტილის“ ზოგადი ცნება იქცევა „პოეტის ინდივიდუალური სტილის“ კონკრეტულ ცნებად. პ ო ე ტ უ რ სტილს საერთო ფუძე აქვს, მისი პრინციპები საერთოა. პ ო ე ტ ი ს სტილი კი ყოველთვის ამ საერთო და ზოგადი პრინციპების კონკრეტული ხორცშესხმის ახალი გამოვლენაა, სტილურ კომპონენტთა ახალი ორგანიზაციაა.

ⴁ.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სტილი, როგორც ხატოვანი შემეცნებისა და გამოვლენის შინაგნად მეტად მდიდარი, მრავალფეროვანი, განსაკუთრებით დახვეწილი და საბოლოოდ ჩამოყალიბებული მთელი ალქმა-გამოხატვითი სისტემა, მხატვრის ხანგრძლივი მოუსვენარი ძიებისა და ალმოჩენის შედეგია.

ისევე, როგორც ყოველი ჭეშმარიტი პოეტური სტილი ატარებს გარკვეული ეპოქის ნიშანს, გ. ტაბიძის სტილიც გამოხატავს XX საუკუნის ქართული სინამდვილის (და არა მარტო ქართულის) მოთხოვნილებებს.

გ. ტაბიძე, როგორც პოეტი, იშვა განსაკუთრებით დაძაბული სოციალური თუ ფსიქოლოგიური ვითარების ეპოქაში. ამ დროის ადამიანის სულიერი მომართულობა, თავის მხრივ განპირობებული ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსით, ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი სისტემებისა თუ სკოლების წარმოშობის მთელი პროცესის მამოძრავებელი მნიშვნელოვანი შინაგანი ძალა იყო.

გართულებული ფსიქოლოგიური ფენომენის გახსნის ამოცანა მოითხოვდა ახალ ხატოვან საშუალებათა ძიებას.

ამ ძიების მრავალფეროვანსა და ისტორიულად მდიდარ პროცესში, კანონზომიერად, თავი იჩინა სხვადასხვაგვარმა წინააღმდეგობრივმა განწყობილებებმა თუ ტენდენციებმა. ქართულ პოეზიაში ამ დროს ვრცელდება სხვადასხვა მოდერნისტული გავლენები, განწყობილებანი.

ამ რთულ ვითარებაში გ. ტაბიძე ეძიებს თავის ხმას, საკუთარ გამომხატველობით ფორმას, სისტემას. და იგი მალე მიაგნებს კიდეც ესოდენ მრავალმხრივსა და საოცრად მდიდარ პოეტურ სტილს, რაც ქართული პოეტური სულის ახალი აღმოჩენაა.

ამ აღმოჩენამდე კი დგება რომელიღაც შუალედური პერიოდი, როდესაც პოეტის შინაგან სამყაროში ხორციელდება გაბედული გარდატეხის რთული პროცესი.

ამ დროს შექმნილი ლექსებისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ტრადიციული ან ახალი, მაგრამ არა მთლიანად საკუთარი მანერული ინტონაციების და, მეორე მხრივ, ორიგინალური, თვითმყოფი სტილური ნოვაციების ჰიდილიც და შერწყმაც.

ეს არის გარდატეხის მომზადების პერიოდი, რომლის ტენდენციებიც მეტად თვალსაჩინოდ ვლინდება ლექსებში „მესაფლავე", „ქალი და ხელოვნება", „სად?"...

გ. ტაბიძის მიერ 910-იანი წლების დასაწყისშივე შექმნილი მთელი რიგი ლექსები დაწერილია სიმბოლიზმის გავლენით, თუმცა მათში ჯერ კიდევ არც თუ ისე მკაფიოდ ვლინდება სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი ირეალური ინტუიტივიზმი, მისტიციზმი და სიმბოლურ-პირობითი უკიდურესობანი. ასეთებია: „რისთვის" თუ „ჰამლეტის ქნარით", „მე და ღამე" თუ „ლანდი — არაქვეყნიური", „სალამოვ, ვიცი..." თუ „თეთრი ლანდები"...

ეს ერთგვარი შემზადებაა პოეტის შემდგომი სიმბოლისტური გატაცებისა, როდესაც მის შემეცნებაში მთავარ ადგილს იჭერს ქვეცნობიერის ამოხსნის, ირეალური სამყაროს ძიების პათოსი.

პოეტის იმ ლექსთა შორის, რომლებიც ამზადებენ პირობებს სიმბოლიზმის მრწამსის მიდებისათვის, ჩვენ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „მესაფლავე", „ქალი და ხელოვნება" და ამ რიგის მთელი რიგი სხვა ლექსები, რომელთაც გამსჭვალავს მოვლენათა არსზე დაფიქრებისა და დაეჭვების, მათი ამოცნობის, განსჯის, ძიების განწყობილებანი, გართულებული პოეტური სახეები და რომლებშიც უკვე შეიმჩნევა ნაცნობი დასავლური მოტივების თავისებური რემინისცენციები.

და აი, ამ რთულ შემოქმედებითს ვითარებაში ყალიბდება პოეტის სტილი, იკვეთება მისი თავისებურებანი, იხვეწება მისი სტრუქტურის ყოველი მხარე, რათა შემდგომ იგი იქცეს ერთ მთლიან სტილურ კატეგორიად, შინაგანად მდიდარ და მრავალფეროვან სტილურ სისტემად.

ასე მიდის გ. ტაბიძე თავის ცნობილ სიმბოლისტურ ლექსებამდე — „ლურჯა ცხენები" და „ფოთლების ლანდი", „ვუალები" და „ვინ არის ეს ქალი?", „დომინო" და „საუბარი ედგარზე", „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში" და „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!", „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი" და „მას გახელილი დარჩა თვალები", „მაგიდა ალებმიკებით" და 1922 წლის ე. წ. „ეფემერული" რკალი: „ეფემერა", „ისევ ეფემერა", „ზღვის ეფემერა", „საახალწლო ეფემერა"...

რასაკვირველია, ამ ლექსების სტილი (ენობრივი ფაქტურა, ხედვისა და ხილვის ფოკუსი, აღქმის მანერა, სიმბოლოებითი პარალელიზება, რითმული და რიტმული გამართვა, სინტაქსობრივი ქსოვილი, სახეთა მეტაფორული რიგის წყობა და ა. შ.) გამორჩეულია პოეტის ადრინდელი თუ გვიანდელი ისეთი შედევრების საერთო სტილური სისტემისაგან, როგორიც არის, ვთქვათ, „ახალ ტალღას" ან „სინამდვილეში ოცნებისას", „მიმღერე რამე" ან „გურიის მთები", „მშობლიურო ჩემო მიწავ", ან „ქებათა ქება ნიკორწმინდას", „ასპინძა" ან „ამაოებავ! ვგრძნობ, რად არ აშგვი..."

მაგრამ ამ სხვაობაში, ამავე დროს, ვლინდება ერთიანობის კანონზომიერებაც, რადგან გალაკტიონის პოეტიკის საოცრად მდიდარ ნაირსახეობას უპირველესად მისი უსაზღვროდ ტევადი ხასიათი განაპირობებს.

ამგვარი მისი ხასიათი კი უნდა გავიგოთ არა როგორც სტილურ სისტემათა რაღაც ნარევი, შემთავსებელი თუ შემკრები ტენდენცია, არამედ შინაგან ლოგიკურ მთლიანობას დამყარებული სხვადასხვა პოეტურ განწყობილებათა ერთ მკვრივ სისტემად განსხეულება.

ავიღოთ პოეტის სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა მანერით შესრულებული ლექსები — „მე და ღამე" და „ქალაქი წყალქვეშ" და ვნახოთ, როგორია მათი შინაგანი საერთო სტილურ-პოეტიკური ხასიათი, მიუხედავად თემა-

ტური და პოეტურ-განწყობილობრივი სხვაობისა.

„მე და ღამის“ განწყობილებათა აღმძვრელი მომენტები ძლიერ შეფარულია, ისევე როგორც მსგავსი შევარვითი მომენტური განცდა წარმოშობს „ქალაქის“ მთელ შინაგან სიტუაციურ მომენტებს.

ლირიკული გმირის სულიერი მდგომარეობის გაცხადება, თითქოს ერთ განწყობილებრივ რიგს ექვემდებარება, მოვლენის იდუმალი მხარის გახსნას ისახავს მიზნად.

მაგრამ ამ ლექსთა შეპირისპირების ფონზე არ შეიძლება არ დავინახოთ ის ევოლუციური ხაზიც, მკაფიოდ რომ ისახება იდეურ-აზრობრივი ჩანაფიქრის მეტი გაამჭკარავების თვალსაზრისით.

რასაკვირველია, „ქალაქი წყალქვეშ“ მეტი აზრობრივი სინათლით არის გაშუქებული. სახეები, განცდები, თემის საერთო გააზრება აქ უფრო მეტ შუქს, სინათლეს იძენს, მეტ დასრულებულ-ხილვითს მანერას ექვემდებარება და მეტ საზოგადოებრივ განწყობილებებს აღძრავს. მაგრამ აქ საყურადღებო ისიც არის, რომ ლექსის მთელ რიგ პასაჟთა იდუმალი არსი მაინც მეტად თვალსაჩინოა და გამოხატავს პოეტური ხილვისა და აღქმის იგივე მანერას, როგორიც გამოყენებულია „მე და ღამეში“ თუ „ლურჯა ცხენებში“, „ზღვის ეფემერაში“ თუ გაცილებით გვიან დაწერილ „მესტიის ხიდში“.

ეს გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ხილვის საერთო თავისებურებაა, მის პოეტურ სტილს რომ განაპირობებს ბევრი მხრივ.

ავიღოთ, მაგალითად, იდუმალებრივ განწყობილებათა მომენტი ორივე ამ ლექსში. „მე და ღამეში“ პოეტი გვაუწყებს იმ „საიდუმლოზე“, რომელსაც დიდი ხანია, რაც „გულში დაატარებს“, ხოლო ეს პასაჟი პარალელიზებულია „საიდუმლო შუქით შესუდრულ არესთან“. „ქალაქშიც“ ჩვენ ვხედავთ „წყალქვეშ მძინარი მხარის ქალაქს“, „ფარული ნავით“ მგზავრობას, გვესმის „სხვა იდუმალება ფრინველთა გამყივარ ხმაში“; წარმოდგენაში ცოცხლდება ილუზორული, მოჩვენებითი სახეები და ასოციაციები, თუ „წყალქვეშა თხემების“ უძველესი საიდუმლოებანი, „ნანგრევები, ლანდები, იდეები, სქემები“, „იდუმალი სიცარიელე“. როდესაც „წყალში დამარხულ“ ქალაქის საიდუმლოებათა ვითარებაში მოხვდებით, არ შეიძლება არ მოიგონოთ „მე და ღამის“ ის პასაჟი, სადაც გაცხადებულია გულის „ბნელ სიღრმეში“ „საუკუნოდ შენახული“ განცდები.

ან ავიღოთ იდუმალ სამყაროთა ფერის აღქმა. „მე და ღამის“ „მტრედისფერ, ლურჯ ხვეტებათ დასერილ“ ცას ან „საიდუმლო შუქით შესუდრულ არეს“ „ქალაქში“ ენაცვლება წყლის სიღრმეში გათანგული „ნაცრისფერი“ ღამე, რომლის გაცრეცილ, ბუნდოვან-მრუმე საფარს მიღმა „ელავს თვალები ძველთაძველი შთამომავლობის“. მართალია, „მთვარით ნაფენი ვერცხლის საბანი“, რომლის ქვეშაც გასუდრულა არე-მარე და „ძველისძველი დიოსკურიის წყალში შთასული მითები“, ძალიან შორეული პარალელებია, მაგრამ ისინი მაინც ერთი პოეტური განწყობილების შემცველი ძნელი წარმოსახვითი ხატოვანი სახეებია.

სტილის თვალსაზრისით, აქ ფრიად საინტერესოა აგრეთვე სხვა პარალელური სახეები და შეგრძნებანი. „ცა მტრედისფერი“, ერთ შემთხვევაში და „ცა ნაჭორფალი“, მეორე შემთხვევაში; ერთგან, „ნისლში მყოფი ბორბალი“ და მეორეგან — „საიდუმლო შუქით შესუდრული არე“; ერთი მხრივ, „მოკამკამე“, „თეთრი ღამე“ და, მეორე მხრივ, შუქდანთებული „ქაფთა მოკრება“, ან ფრინველთა „გამყივარი ხმების“ ნაკადი „ქალაქში“ და „ველთა ზღაპრის“ მომთხრობი „სარკმლით მონაქროლი სიო“ „მე და ღამეში“ ძლიერ დანათესავებული პოეტურ-სტილური წყვილსახეებია.

ამასთანავე, ბუნებრივად, „ქალაქი წყალქვეშ“, რომელიც „მე და ღამეზე“ ცამეტ-თოთხმეტი წლით „ახალგაზრდაა“, განიცდის მთელ რიგ სტილურ სიახლეებს, ტრანსფორმაციას, შემდგომ დახვეწას იმის შესაბამისად, როგორადაც ამ დროისათვის ახალი თვალსაჩინო ცვლილებები ხდება პოეტის შემოქმედებაში. ახლა მისი სტილი და ამ სტილით გამოხატული იდეა უფრო ნათელი, უფრო მკვეთრია.

როგორც უკვე აღინიშნა, გ. ტაბიძის მთელი შემოქმედება მეტად მდიდარია სხვადასხვა სტილური ნიუანსებით. ხანდახან იგი თითქოს წინააღმდეგობრივიც არის, რადგან მასში გამოყენებულია სხვადასხვა მხატვრული ხედვა და ხილვის ფოკუსი იმის შესაბამისად, თუ რომელი შემოქმედებითი მეთოდის ფუძეზე შენდება ესა თუ ის ლექსი, როგორი განწყობილებები მეტობს მასში — სიმბოლისტური, რომანტიკული თუ რეალისტური.

მაგრამ ეს მრავალნიუანსოვანი სტილი, საბოლოო ანგარიშით, ისევ და ისევ ერთ მთლიან სისტემად ერთიანდება.

8.

გ. ტაბიძის პოეტურ სახეთა სამყარო ამოუწურავია. ამოუწურავია ამ სახეთა გამოყენების, მათი მონაცვლეობის შესაძლებლობანიც. პოეტურ სახეთა ამგვარი აგება-გამოყენების პრინციპი თავისთავად მოითხოვს ახლებურ პოეტურ სინტაქსს, თუ აზრის გაცხადების ახლებურ ორგანიზაციას, ახალ მეტრიკას, რიტმისა და რითმის შესაძლებლობათა მაქსიმალიზებას თუ მთელ ნეოლოგიზმურ სისტემას.

ყოველივე ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება ლა-

პარაკი. აქ კი შევეხოთ პოეტურ სახეთა ტაბიძისეულ ორგანიზაციის პრინციპს.

ვნახოთ, როგორ ხორციელდება ეს პრინციპი ლექსის „მაგიდა ალუმბიკებით“ თუნდაც ერთ სტროფში:

> არრდილმა მაღალ ლურსმნებს აჰკიდა
> ჩონჩხები — ძვლები მაღალ რიგებით,
> დაფარულია გრძელი მაგიდა
> შავი წიგნით და ალემბიკებით.

ალეგორია აქ მთელ გამოხატვითს სისტემას იმორჩილებს. იგი გამოყენებულია არა მხოლოდ ცალკეულ სახეთა თუ საგანთა პოეტურ-პირობითი ალქმისათვის, არამედ მთელი სიტუაციის შეფარული გაცხადებისათვის.

როგორ გავიგოთ ცალკეული ალეგორიული სახეებიც და მათი შემწეობით დახატული მთელი ალეგორიული სურათიც?

არრდილი, ამ შემთხვევაში, ალბათ, ეს არის ნიკვდილი. ჩონჩხები-ძვლები კი — აურაცხელი მსხვერპლის სიმბოლური გამოხატვა. მაღალი ლურსმნები ფანტასტიკური ელემენტია, ჩონჩხთა მაღალი რიგების სიმბოლური წარმოსახვის განმაპირობებელი, ხოლო შავი წიგნი და ალემბიკები, რომლებითაც დაფარულია გრძელი მაგიდა, მთელი პირობითი გამოხატვაა საბედისწერო-ხამგლოვიარო სიტუაციისა და კონკრეტულად შეიძლება მიგვანიშნებდეს ასევე უამრავ მსხვერპლს (შავი წიგნი — მოსაგონარი წიგნი) და მათს შესანდობარს (არყის სახელი შუშის ჰურჭელი ალემბიკი ამ შემთხვევაში სწორედ შესანდობარის ასოციაციას შეიძლება აღძრავდეს!).

ლექსი დაწერილია **1920** წელს და მასში გამოხატულია სწორედ როგორც იმ დროს ახლახან დამთავრებული მეორე მსოფლიო ომის საშინელებებით გამოწვეული განცდები, ასევე დიდი რუსეთის სამოქალაქო ომის შთაბეჭდილებანი, უშუალოდ მიღებული პოეტის მიერ.

მაგრამ აქვე ბუნებრივად იბადება ორი კითხვა:

ა) რამდენად მართებულია ამ ტიპური სიმბოლისტური ლექსის წარმოდგენილი ინტერპრეტაცია, ესე იგი, მისი სიმბოლისტური ბირთვის ამგვარი გახსნა და ყოველთვის ხერხდება თუ არა ამ ბირთვის ერთგვაროვანი „დაშლა“?

ბ) გამოდგება თუ არა ლექსის ამგვარი ტროპულ-ფორმითი გამართვა სიმბოლიზმის რომელიღაც თავისებურების ან ახალი ვერსიფიკაციის ერთ-ერთ ნიშნად: ალეგორია, ისევე როგორც მეტაფორა, შედარება და სხვა ტროპული ფორმები ხომ დასაბამიდან თან დაჰყოლია მხატვრულ აზროვნებას?

სიმბოლისტურ მხატვრულ აზროვნებაში მოვლენები, ფაქტები, განცდები ალქმულია ინდივიდუალურ-სუბიექტურ, გართულებულ, პირობით წარმოსახვითს სიტუაციაში და მკითხველის შემეცნებაში მათი ათვისების ასპექტიც სხვადასხვა დროს შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ამ შემთხვევაშიც, სავსებით ბუნებრივია, რომ გალაკტიონის ჩვენს მიერ „გაშიფრულ“ სტროფს სხვა ინტერპრეტაციაც მოენახოს; სიმბოლიზმის თავისებურება ამითაც არის გამოხატული: ყოველ მკითხველს შეუძლია სიმბოლისტურ ნაწარმოებში თავისი განწყობილებების მიხედვით სრულიად ახალი სამყარო აღმოაჩინოს.

რაც შეეხება ალეგორიულ მხატვრულ აზროვნებას, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალ თვისობრივ მოვლენასთან. ჯერ ერთი, ალეგორია სიმბოლიზმში თავისთავად მეტად გართულებული და შებურვილი ელემენტია, იგი ნაკლებად გამჭვირვალეა ხოლმე; მეორეც სიმბოლისტური ალეგორია ყოველ ცალკეულ ნაწარმოებში გამოყენებულია არა იმდენად ცალკეულ სახეთა თუ საგანთა პირობით სინონიმად, რამდენადაც მთლიანი წარმოსახვითი სისტემის დომინანტურ ფორმად.

„მაგიდა ალემბიკებით“, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არ წარმოადგენს. გალაკტიონის განსაკუთრებით იმ პერიოდის პოეზია, როდესაც იგი ეძიებს ქართული ლექსის განახლების გზებს, ძირითადად ამ ტენდენციას ექვემდებარება („ლურჯა ცხენები“, „მე და ღამე“, „ქარით დატირებული“, „ფოთლები... ლანდი“ „კოშკი“, „თოვლი“, „ვინ არის ეს ქალი?“, „მგლოვიარე სერაფიმები“, „დომინო“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „საუბარი ედგარზე“, „ატმის რტოო, დალალული რტოო...“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „ღრუბლები ოქროს ამურებით“ და სხვ.).

პოეტური სახეების ორგანიზაციის ასეთი სტილურ-ნოვატორული პრინციპი, როდესაც სახეთა მთელი რიგი ერთ რთულ პირობით კომპლექსურ წარმოსახვითს სისტემას ჰქმნის, მეტად ნიშნეულია საერთოდ გ. ტაბიძის მთელი პოეზიისათვის.

ამითაც მნიშვნელოვანწილად გამოვლინდა ძველ პოეტურ სტრუქტურათა დაძლევის ტენდენცია ახალ ქართულ პოეტურ წარმოსახვამეტყველებაში.

საერთოდ, როცა ძველი სტრუქტურების, ნორმების, სისტემების გადალახვა-დაძლევაზე ვლაპარაკობთ ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ეს როდი ნიშნავს ნიჰილიზმს წარსულისადმი. მემკვიდრეობის ჭეშმარიტი ათვისება ყოველთვის ნიშნეულია თანმიმდევრული ნოვატორობისათვის, როდესაც ახალი ხატოვანი სტრუქტურა ისევე აუცილებელი და გარდუვალი ხდება, როგორადაც აუცილებელი იყო თავის დროზე ტრადიციული სტრუქტურა თუ ნორმები.

საზოგადოების განვითარებასთან, პროგრესის ტენდენციებთან დაკავშირებული ყოველი მხატვრული სტილი, პოეტური სისტემა, პოეტიკა თავისი დროის მიღწევას, ახალ საფეხურს წარმოადგენს და კარგა ხნის მანძილზე ინარჩუნებს დომინანტობას, საარსებო ძალას. მაგრამ როგორც ყველა სფეროში, მხატვრულ აზროვნებაშიც დგება აუცილებელი განახლების პერიოდი. ამ დროს მხატვრული აზრი ეძიებს ახალ საშუალებებს, ახალ იდეათა და სახეთა გამოხატვისათვის აუცილებლად შესატყვის ფორმებსა და კონსტრუქციებს. ეს კი მთელი კლასიკური მემკვიდრეობის შემდგომი განვითარება, მასში ახალი თვისობრივი ელემენტების შეტანაა.

ვფიქრობთ, ვ. შკლოვსკის მოსაზრება საერთოდ ხელოვნების ფორმების გამძლეობაზე, იმაზე, რომ „ხელოვნების ისტორიაში არ არსებობს არც ფორმათა გაქრობა და არც წმინდა სახის განმეორებანი, ძველი გადმოდის ახალში, რომ ახალი გამოხატოს“, ჩინებულად ხსნის ამ კონკრეტულად დასმული პრობლემის არსსაც.

ამიტომ, როცა ლაპარაკია გ. ტაბიძისა და მისი სკოლის მიერ განხორციელებულ ქართული ლექსის განახლებაზე, ეს არამც და არამც არ ნიშნავს XIX საუკუნის ქართული კლასიკური ლირიკის უდიდეს მონაპოვართა უკუგდებას, უარყოფას ისევე, როგორც თავის დროზე აღნიშნული საუკუნის ლირიკის კლასიკოსთა მიერ განხორციელებული განახლება უპასუხებდა ახალი ისტორიული ვითარების აუცილებელ მოთხოვნილებებს და არ უარყოფდა ადრინდელი პოეტიკის მიღწევებს.

მაშასადამე, გ. ტაბიძისათვის დამახასიათებელია პოეტურ სახეთა თავისებური ხატოვანი ორგანიზაცია. „ორხიდეებში“, მაგალითად, ერთ შემეცნებითს ასპექტშია ფოკუსირებული პოეტური სახეები „ფერმკრთალ სულის სიკვდილით“ განაზებული მუქი შლეიფისა თუ თეთრი ზამბახებით დათოვლილი და შავი გედივით მალლა მდგომი პირქუში ხავერდის კუბოსი, აბრეშუმის თეთრი ტალღებისა თუ ჩუმად მოქვითინე „დაქვრივებული“ ოთახებისა, თვალთა უსივრცო ღამის, სამუდამოდ დაშვებული ფარდისა თუ ისრებივით დახრილი წამწამებისა. ყოველივე ეს, შთამბეჭდავ სახეთა ამგვარად კონცენტრირებული სისტემა, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მეტაფორა, ალეგორია თუ შედარება, ქმნის სევდისა და გლოვის საერთო სურათს, ხოლო ეს სურათი მთლიანად, უკუარეკვლის მეშვეობით, გვიხატავს უკვე ლირიკული გმირის პოეტურ სახეს, მის კონკრეტულ სულიერ განწყობილებას.

გალაკტიონი ძალზე ხშირად იყენებს პოეტურ სახეთა ასეთ ორგანიზაციას უფრო გვიან პერიოდის როგორც წმინდა ლირიკული, ასევე ეპიკური ხასიათის ნაწარმოებებში („ეპოქისა“ და „რევოლუციური საქართველოს“ ციკლები, „ჯონ რიდი“, „პოეტის შეხვედრა მოჩვენებასთან“, „ლურჯი ხომალდი“, „ოქტომბრის სიმფონია“, „ქართული ორნამენტი“, „ბარათაშვილი“, „ამაოებავ! ვგრძნობ, რად არ აჰგვი“ და სხვ.).

გალაკტიონის პოეტური სახე, როგორც საერთოდ ყოველგვარი პოეტური სახე, — ეს არის ღრმად ჩაფიქრებული იდეის, კონკრეტული აზრის, რომელიღაც შთაბეჭდილების თუ ასოციაციური წარმოსახვის განვრცობადი განხატოვნება. სწორედ გ ა ნ ხ ა ტ ო ვ ნ ე ბ ა და არა იმდენად ასახვა, რადგან მისი პოეტური სახე — ეს მკვეთრი ნახატია თავისი ყოველი მნიშვნელოვანი დეტალით. მთელ ამ ნახატში იგრძნობა პოეტის სულის მოძრაობა, ანუ სახის ხილვა პოეტის შინაგანი განცდით.

გ. ტაბიძის პოეტური სტილისათვის, მნიშვნელოვანწილად, ნიშანდობლივია სახეების სწორედ შიგნიდან გახსნის მანერა. ასეთ შემთხვევაში გარეგან ნიშანთა ხილვას, სახის გარეგნულ ორნამენტირებას პოეტი არც თუ ისე თვალსაჩინო მნიშვნელობას ანიჭებს; მისთვის მთავარია ის შინაგანი მუხტი, რომელიც განაპირობებს საგნის, ამ შემთხვევაში პოეტური სახის, მთელ არსს. იგი თანდათან როდი აცლის ამ ბირთვს გარეგან საფარს, რომ ასე შეაღწიოს მის გულში, არამედ, პირიქით, შიგნიდან იწყებს არსის გახსნას. ბირთვის შიგნიდან გახსნა მას საშუალებას აძლევს გვიჩვენოს პოეტური სახის მთელი დინამიკაც და მისი შინაგანი სირთულეც უმალვე აღსაქმელი გახადოს. (რასაკვირველია, უმართებლო იქნებოდა, გ. ტაბიძის პოეტური სახეების უმდიდრესი გალერეის მხოლოდ ამ პრინციპისადმი დაქვემდებარება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოეტურ სახეთა გახსნის მისეული ერთ-ერთი, სისტემურად გამოვლენილი მანერა).

დავიმოწმოთ პოეტის ფართოდ ცნობილი ლექსი „მთაწმინდის მთვარე“.

როდესაც გალაკტიონი ამ ლექსში ქმნის სიმღერით მომაკვდავი მეფე-მგოსნის, სევდიან გედის პოეტურ სახეს, მისთვის მთავარია ამ სახის სწორედ შინაგანი მამოძრავებელი, განმაპირობებელი ძალა. მთელი გარეგანი სამყარო აქ მხოლოდ და მხოლოდ სახის შინაგანი არსის, შინაგანი მომართულობის, შინაგანი განწყობილებების გამომხატველია.

პოეტისათვის საჭიროა მთელი ირგვლივი სახეების თუ განწყობილებების უმდიდრესი წარმოსახვითი გამა, რომ მთავარი სახე გაიხსნას შიგნიდან, არაუშუალოდ.

სწორედ ამ ამოცანას ასრულებს უამრავ სხვა პოეტურ სახეთა პარალელიზება (შეღამების ქნარი, ცისფერი ლანდები, ჩუმი და ნაზი ცა,

ღამით თეთრად მოლივლივე მეტეხი თუ მტკვარი, ტბის სევდიანი გედი, ლურჯი იალქნები, ვარდისფერი გზა, და ბოლოს, წყნარი, ნაზი მთვარის პოეტური სახე). სახეთა მთელ ამ გალერეაში განსაკუთრებით გამოიყოფა „მეფური ძილით მძინარე მოხუცის ლანდი“ და ობლად მოხეტიალე პოეტის სილუეტი. ისინი გარკვეულ განწყობილებებს აღძრავენ მთავარი პოეტური სახის შინაგანი გახსნისათვის.

და, როგორც ყოველთვის, გალაკტიონს აქაც ამოძრავებს მთავარი პოეტური სახის გახსნასთან დაკავშირებული გარკვეული იდეა — პოეტური უკვდავების იდეა, რომელიც, დიდი შინაგანი განცდისა და მაღალი ხატოვანი გააშკარავების წყალობით, თვით იქცევა ახალ პოეტურ სახედ.

ამასთან გ. ტაბიძის განსაკუთრებით მაყორული პოეტური სახეებისათვის, ძირითადად, დამახასიათებელია საოცრად აჩქარებული მაჯისცემა, რიტმი, მოძრაობის დაუოკებელი გრძნობა და სურვილი, ხოლო ყოველივე ეს განპირობებულია სწორედ ამ სახეთა შინაგანი გახსნის ზემოთდასახელებული მანერით („კოლხიდაში“, „ახალ ტალღას“, „ნიაღვარი“, „მიყვარს მარტო ქარიშხალი“, „გურიის მთები“, „ლურჯა ცხენები“, „დროშები ჩქარა“, „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“, „გრიგალი“, „ქარი ქრის...“, „ისტორიის ბორბლების რიტმი“, „ტალღები გლეჯენ ერთიმეორეს“, „წამყე ბეთანიისაკენ!“ და სხვ.).

ასე მრავალფეროვნად, სხვადასხვა ასპექტით, სხვადასხვა მანერათა გამოყენებით ხატავს გალაქტიონი პოეტურ სახეებს და ამ სახეთა ამგვარი ორგანიზაციით თვალსაჩინოდ არის გამოხატული მისი პოეტური სტილის თავისებურებების ერთი მხარე.

გ. ტაბიძის თვითეულ პოეტურ სახეს ატყვია მისი ამა თუ იმ შემოქმედებითი პერიოდის ღრმა ანაბეჭდი, იმის ნათელი კვალი, თუ რომელი შემოქმედებითი მეთოდით ხელმძღვანელობდა იმ დროს პოეტი. ამასთან, ეს სახეები, ძალიან ხშირად, ვერ თავსდებიან ლიტერატურული სკოლის, მიმდინარეობის ესთეტიკური ნორმების ფარგლებში და გამოხატავენ პოეტის ძიებების, უკუგდება-უარყოფის თუ მოდერნიზმის გარკვეულ ტენდენციებს. აღნიშნული ტენდენციები განუწყვეტლივ მოქმედებენ, როგორც შინაგანი აქტიური ფაქტორები.

ამის დავიწყება არ შეიძლება, მით უმეტეს, როცა ვლაპარაკობთ ტაბიძის შემოქმედების ე. წ. „სიმბოლისტურ პერიოდზე“. ხომ ფაქტია, რომ გალაკტიონს ჰქონდა თავისი ესთეტიკური პროგრამა, ზოგიერთ პრინციპულ საკითხში ძირითადად განსხვავებული სიმბოლისტთა მრწამსისაგან. ეს განპირობებული იყო ეროვნული სპეციფიკით, თუ კონკრეტული სოციალური პრობლემების სიმწვავით, რომლებიც მრავალფეროვან გამოძახილს პოულობდნენ ახალგაზრდა პოეტის სულში.

ჩვენ, მაგალითად, შემთხვევითად როდი მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ პოლ ვერლენის ცნობილ ესთეტიკურ ფორმულას „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ გალაკტიონ ტაბიძემ დაუპირისპირა დებულება — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

ვერლენის აპელაცია პირდაპირ სულისადმი, პოეტური წარმოსახვის გვერდის ავლით, პრაქტიკულად ვლინდებოდა სწორედ მუსიკალური ელემენტის, „ნახევარტონების“, სიმბოლოების დომინანტობით მხატვრული აზროვნების პროცესში. გ. ტაბიძეს კი, როგორც თავისი ეპოქის პოეტს, და განსაკუთრებულ ვითარებაში მოქცეული ერის შვილს, არ შეეძლო უცვლელად მიეღო სიმბოლიზმის ეს მრწამსი, ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე მისი ერთგული დამცველი ყოფილიყო. პოეზია მისთვის, რასაკვირველია, არის მუსიკაც, მაგრამ არა უპირველეს ყოვლისა!

პოეზიის ამგვარ გაგებაში მკაფიოდ გამოსჭვივის მისი, როგორც თავისი ერის ჭეშმარიტი მხატვრის, მოწოდება („მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა: პოეზია უპირველეს ყოვლისა!“, „თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვკვდები — როგორც პოეტს შეჰფერის...“), ასევე როგორც თავისი ეპოქის შვილის მრწამსი.

სახეებისადმი, პოეზიის საგნისადმი ამგვარი დამოკიდებულებით მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სტილის თავისებურებანი.

4.

ჭეშმარიტ მხატვარს ყოველთვის აქვს თავისი, ორიგინალური, დიდი ფსიქოლოგიური სამყარო, რომელიც მრავალმხრივად გამოიხატება ხოლმე მის შემოქმედებაში, როგორც ტალანტისა და გამოცდილების, დაკვირვებისა და აღქმა-განზოგადების თავისებური სინთეზი. აქ ვლინდება ის სტილური ნიშნებიც, მხატვრის თვითმყოფობას რომ განაპირობებენ.

ლევ ტოლსტოის იმ პრინციპულად გამახვილებულ მოთხოვნაში, რომ ყველა დიდი მხატვარი უნდა ქმნიდეს საკუთარ ფორმებსაცო, თავის გამოვლენას პოულობს მხატვრული შემოქმედების უსასრულო სტილურ-ინდივიდუალური მრავალფეროვნების შინაგანი აუცილებელი კანონზომიერება.

ამდენად, ყოველი პოეტური სტილი გაპიროვნებული ესთეტიკური კატეგორიაა: მას თავისი კონკრეტული მისამართი აქვს.

არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ-

ლის მიხედვით სტილი ერთი საყოველთაო სისტემაა და ცალკეული მხატვრული ინდივიდუალობა (ამა თუ იმ მხატვრის შემოქმედება) მხოლოდ ამ რომელიღაც ერთიანობის ცალკე გამოვლინებაა. სტილის ასეთი გაუპიროვნების კონცეფციები გამოთქმულია, ერთი მხრივ, ჰ. ველფლინის, ი. ვიგანდის, ვ. ჰაუზენშტეინის, ტ. ელიოტის, რ. ვეიმანის, ხოლო, მეორე მხრივ, ვ. ფრიჩეს და სხვა ვულგარიზატორ სოციოლოგთა ნაშრომებში.

ამ საწინააღმდეგო მოსაზრებათა გახსენება საჭირო გახდა იმიტომ, რომ თანამედროვე ქართულ პოეტურ მეტყველებაში სწორედ გ. ტაბიძის სტილის ანალიზი ცხადყოფს ყველაზე მეტი სიმკვეთრით ზემოთდასახელებული პირველი დებულების მართებულობას.

1. პირველი, რაც ჩვენ აქ გვინდა გამოვყოთ, ეს არის მსოფლმხედველობრივი ასპექტი, იდეური ჩანაფიქრი, ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის გარკვეული სოციალური არსის შეგრძნება და გააზრება კონკრეტულ-ინდივიდუალური პოეტური წვდომით.

ეს ასპექტი გალაკტიონის შემოქმედებაში ყოველ ეტაპზე ერთგვაროვანი როდია. როგორც ითქვა, პოეტის მსოფლმხედველობრივს კონცეფციებში გამოვლენას პოულობს საზოგადოებრივი სტრუქტურაც, დროის, ეპოქის განწყობილებანიც და მოთხოვნილებანიც. ხელოვნება ვერასოდეს ვერ აუვლის გვერდს საზოგადოებრივ სტრუქტურას, მოთხოვნილებებს, განწყობილებებს. ისინი აშკარავდებიან ხელოვნებაში ან ნეგატური ან პოზიტიური სახით.

ამის შესაბამისად, იყო გალაკტიონის პოეზიაში სევდის მოძალებაც, მარტოობის უმძაფრესი განცდაც, სასოწარკვეთის მოტივებიც და აქტიური მოქმედების აპოლოგიაც, ჯანსაღ განწყობილებათა მთელი სისტემური გამაც; იყო დეკადანსისათვის დამახასიათებელი სახეებით ერთგვარი გატაცებაც და რომანტიკულად ამაღლებული რეალისტური სახეების ხილვისა და დამკვიდრების უძლიერესი პათოსიც.

თუ ერთ შემთხვევაში პოეტს შეეძლო ეთქვა: „...ოჰ, მომეცალეთ, კმარა! მხოლოდ სიკვდილი მინდა, არც პოეზია მატკბობს, არც მეგობრობა წმინდა...“, მეორე შემთხვევაში მისი განწყობილებანი მთლიანად დაქვემდებარებულია დიდი საზოგადოებრივ-ეროვნული ცხოვრების მოთხოვნილებებისადმი. ამიტომაც ამ კონკრეტულ სიტუაციაში მის სულს ეუფლება სრულიად საწინააღმდეგო განწყობილება:

წამების ცეცხლში განახლდა გული,
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე.
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე!

განწყობილებათა ეს მონაცვლეობა წარმოშობს გარკვეულ სტილურ სტერეოტიპს, ხოლო შინაგან განცდათა კონტრასტირების ტენდენცია უკვე მთელი სიმკვეთრით აშკარავდება და გარკვეულ პოეტურ-ხილვით ასპექტს ქმნის.

გალაკტიონის პოეტური სტილის თავისებურებების, მრავალფეროვნების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მსოფლმხედველობრივი ევოლუციის ის შინაგანად წინააღმდეგობრივი, მაგრამ ერთი მთლიანი ზეაღმავალი ტენდენციით გამსჭვალული პროცესი, რომელიც ასე მკაფიოდ აღიბეჭდა მის უზარმაზარ პოეტურ მემკვიდრეობაში. ფაქტიურად, ეს იყო სწრაფვა ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურისაკენ, ამ სტრუქტურის ესთეტიკური ჩამოყალიბება.

ამ მსოფლმხედველობრივმა ევოლუციამ განსაზღვრა ის ფართომოცვითი ასპექტი, რომელსაც გ. ტაბიძე იყენებდა ეპოქის მოვლენათა პოეტური აღქმის პროცესში.

II. გ. ტაბიძის პოეტური სტილის ერთ-ერთ თავისებურებად, განმაპირობებელ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ მისი შემოქმედების უსაზღვროდ ტევადი შინაარსი, ფართომოცვითი ასპექტი.

იშვიათია ლირიკოსი პოეტი, რომლის შემოქმედებაში ერთსა და იმავე დროს თავსდებოდეს ესოდენ მრავალი ფაქტი და მოვლენა, პრობლემა და თემა, აზრი და გრძნობა, განცდა და განწყობილება, სახე და სიტუაცია.

მაგრამ ასეთი მრავალხილვითი, ფართომოცვითი პოეტური სწრაფვა, ამავე დროს, არ არის განურჩევლად ყოვლისმომცველობითი ტენდენცია. მხატვრის პოეტური სტიქია განსაკუთრებით ფაქიზია დროის კონკრეტულობის შეგრძნებაში და სივრცის განსაზღვრულობითს აღქმაში. როგორც პირველ (მსოფლმხედველობრივი ასპექტი), ასევე ამ მეორე შემთხვევაში გალაკტიონის სტილი ექვემდებარება იდეოლოგიური კატეგორიის ცნებას.

გ. ტაბიძის პოეზიის მრავალპლანიანი ხასიათით გამოხატულია ეპოქის გრანდიოზულობაც და ეპოქის გლობალური მხატვრული ათვისების ტენდენციაც.

თავის ერთ-ერთ ადრინდელ ლექს „კოლხიდაში“ პოეტი ჰქმნის ფართო ჰორიზონტზე გაშლილ ეროვნულ სურათს მისი უამრავი დეტალით და მდიდარი ფერებით, მრავალი განწყობილებით და მომწოდებლური ინტონაციით.

ასევე, ფართოპლანიანი განწყობილებები გამსჭვალავს ლექსებს: „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“, „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“, „აკაკის გარდაცვალების გამო“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზა-

რები“, „რა დამშვიდებით გადავცქერი მხოფლიო ღელვებს“, „ცხრაას თვრამეტი“, „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“. ამ ლექსებში თანდათან ძლიერდება ფართოპლანიანობის, საგანთა თუ ფაქტთა დიდ სივრცეებზე განფენის ტენდენცია.

პირველ ხანებში, მაგალითად, ფართოპლანიანობის ეფექტი მიიღწევა, ძირითადად, ახლობელი პლანების გრანდიოზულობით წარმოსახვაში: („გურიის მთები“, „შეხედეთ, მიწა!“). აქ ჯერ კიდევ იმდენად შესამჩნევი არ არის შორეული პლანები ან ღრმად დაძებნილი ფენები. ასეთი რამ გალაკტიონის ლირიკაში, როგორც მისი პოეტური სტილისათვის დამახასიათებელი ნიშანი, 20-იანი წლების დასაწყისში იჩენს თავს, როდესაც იწერება „პოეზია — უპირველეს ყოვლისა“.

ამ ლექსში უკვე მოსჩანს ისტორიული ფენის სიღრმეც („მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა“), გრძელი გზის განვლილი მონაკვეთიც და პერსპექტივაში დარჩენილი ნახევარიც („თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ“), შორეული პლანის — ფართო სარბიელის კონტურიც („სიკვდილივით მარადია სურვილი მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა“) და ერთ დიდ იდეას დაქვემდებარებული ფართო-პოეტური განწყობილებაც („სიმღერები ხალისის და ბრძოლისა: პოეზია უპირველეს ყოვლისა!“).

ასე თანდათან ფართოვდება და ღრმავდება ხილვითი მანერა („ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“, „ცხოვრება ჩემი“, „ეს მშობლიური ქარია“), რომელიც თანმიმდევრობით ემორჩილება გრანდიოზულ-აღქმით ტენდენციას („ეფემერა“, „გრიგალი“, „ქარი ამწევი ფარდის“, „აღმოსავლეთში“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს“, „ჯონ რიდი“, „პოემა ვეფხისა“, „კოსმოსური ორკესტრი“, „ეპოქა იშვა და გაიზარდა“, „ოქტომბრის სიმფონია“, „რევოლუციურ საქართველოს“, „მშობლიურო ჩემო მიწავ!“, „განჭვრეტა ოცდაათი წლის“, „მესხეთ-ჯავახეთი“).

ასეთმა ფართო-ხილვითმა მანერამ, ბუნებრივად, მოითხოვა პოეტიკის საშუალებათა მთელი უმდიდრესი არსენალის ორიგინალური გამოყენება, მასალისადმი თავისებური დამოკიდებულება, ამ მასალის ათვისების ორიგინალური სისტემა.

აქ გამოვლინდა გალაკტიონის პოეტიკის ამოუწურავი ხასიათი და შესაძლებლობანი, ფანტასტიკური ვირტუოზულობით გაცხადებული ძალა.

საქმე, რასაკვირველია, ისე უბრალოდ როდი უნდა წარმოვიდგინოთ, რომ პლანთა მონაცვლეობა ბუნებრივად იწვევს ჟანრობრივ-სახობრივ მონაცვლეობას, ლირიკისა და ეპოსის შესაძლებლობათა შეთანწყობის, თუ დამოუკიდებელ ფენომენებად მათი აღქმის თვალსაზრისით. გალაკტიონის სტილი გაცილებით რთული ხატოვანი სისტემაა, რომლის შესაძლებლობათა სრული გახსნა ყოველთვის როდი ხერხდება. იდუმალების ელემენტი, რომელიც თავიდანვე გამსჭვალავდა მის ლირიკას არა როგორც რომელიღაც შინაგანი სახე, არამედ როგორც პოეტურ შესაძლებლობათა ჯადოსნური გამოვლენის საშუალება, ასევე მოთავსდა მისი სტილური საიდუმლოების სფეროშიც. იგი ისევე ძნელი ამოსაცნობია, როგორც მისი ახალი პოეტური სტრუქტურების, პოეტური სინტაქსის აღმძრავი კონკრეტული განწყობილებანი. მაგრამ ამაზე — ცოტა ქვემოთ. ახლა კი მივუბრუნდეთ ისევ გ. ტაბიძის ლირიკის ფართომოცვითს, ფართოტევადობითს სტილურ თავისებურებებს.

„ეფემერაში“ — უსაზღვრო სივრცეთა ხილვისა და ამ სივრცეთა პოეტური დაუფლების დაუოკებელი ნების გამომხატველ თავისებურ მანიფესტში — ახალ განვითარებას პოულობს სულიერი მომართულობის აღქმის ხატოვანი ორგანიზაცია, პოეტურ სახეთა ძერწვის პრინციპი, თუ წარმოსახვის ასპექტი.

ლურჯა ცხენების ცნობილი სიმბოლური პოეტური სახე აქ შემოყვანილია ახალ ფართოპლანიან განზომილებაში და უკვე სხვა იდეურმხატვრულ სისტემასთან არის დაკავშირებული.

„ეფემერა“ — ეს არის უდიდესი საკუთარი პოეტური ძალის შეცნობა, საკუთარი დომინანტური სიმაღლის აღმოჩენა, საკუთარი აღიარების ძლიერი ობიექტური კონცეფცია.

ამ იდეას ექვემდებარება ცნობილ სახეთა (ლურჯა ცხენები, ქარი, ქაოსი, ქარავანი, მთვარე, კოშკები, ლანდი და სხვ.) თვისობრივად ახალი სახეების (ნიაგარების წყება, ლალის კართაგენები, მღვრიე უდაბნოეთი, შეშლილი კიდეები, ველური ღამეები, ზენიტზე მდგარი პალმები, ქვების ქუსლები, მღვრიე მშვენებანი, მზისა და მთვარის ორგია და სხვ.) ორიგინალური შეთანწყობის თუ კონტრასტირების მანერა.

აღნიშნულ ლექსში კიდევ უფრო მეტად ვლინდება გალაკტიონის სტილისათვის დამახასიათებელი დიდი პრობლემების კოსმოსურ სიბრტყეებზე განფენის პრინციპი: („რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული, გაიშლება — მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის... აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი“); უჩვეულო სიმაღლეების თუ შორეული ჰორიზონტების ხილვითი ასპექტები. („...თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი... ...თქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები?“); საკუთარი მდგომარეობის აღმოჩენის, თვითგახსნის ძლიერი ტენდენცია. („ბედი — ქროლვის გარეშე

— ჩემთვის არაფერია... მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს...“).

ამ უსაზღვროებას, უსასრულობას, ლტოლვას შორეული სივრცეებისაკენ, რაც ესოდენ დამახასიათებელია პოეტის მთელი შემოქმედებისათვის თემატურ-სტილობრივი თვალსაზრისით, „ეფემერაში“ უკვე გამსჭვალავს მეტად მკაფიოდ გამოხატული იდეა პოეტის აუცილებელი ეროვნულობისა.

აღნიშნული იდეა საერთოდ ნიშნეული იყო პოეტის მთელი მანამდელი ლირიკისათვის, მაგრამ მისი ასეთი დეკლარაციული თუ ღრმაჩამბეჭდავი გაცნობიერება აქამდე არასოდეს მომხდარა.

სწორედ აქ — საგანთა, ცნებათა, სახეთა ამ ფართო კოსმოსურ განლაგების ატმოსფეროში — იყო აუცილებელი ყოველივე ლიდისა და საყოველთაოს უპირველესი ეროვნული საწყისის მონახვის, უშუალო ეროვნული ფესვების გაშიშვლების ესოდენ აშკარა ტენდენციის პოეტური გაცხადება: „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული...“

„ეფემერაში“ გამოაშკარავდა აგრეთვე გალაკტიონის სტილისათვის დამახასიათებელი ორი ტენდენცია:

ა) შთამბეჭდავად აღქმულ პლანთა თუ სახეთა გადამკვეთი ჭვარედინების იმგვარი სისტემური ორგანიზაცია, როდესაც ფუნქციურ დატვირთვას იღებს ერთი შეხედვით ერთმანეთისათვის თითქოს უცხო სახეთა, სიტუაციათა, პლანთა პარალელიზება: მათი ამ მოჩვენებითი სხვადასხვაობის უკან ფაქტიურად იმალება შინაგანი კანონზომიერული კავშირი ან ასოციაციური არსი.

აი, მაგალითად, ტაეპი: „ლექსთა შეჯიბრებაზე —მხოლოდ ინტერვალები, ცხენთა შეჯიბრებაზე — ისევ ლურჯა ცხენები!“

თითქოს სრულებით სხვადასხვა საგნები და სახეებია ლექსთა შეჯიბრება და ცხენთა შეჯიბრება, ინტერვალები და ლურჯა ცხენები. მაგრამ, ერთიან შინაგან კავშირს დაქვემდებარებულნი, ისინი ასოციაციურად ქმნიან ერთ გამას, ერთ განწყობილებას, დაკავშირებულს „ლურჯა ცხენების“ ადრინდელ მოტივებთან და მთელ პოეტურ წარმოსახვითს სამყაროსთან.

ან, ვნახოთ, როგორია „ლალის კართაგენების“ ხილვის პლანი, შეპირისპირებული „უკვდავი მაგიის მარმარილოს“ პლანთან. სულ სხვადასხვაა ამ პლანთა განლაგება (ერთია ზეცაზე, მეორე — ქაოსში), მაგრამ მათი შეხების, გადაკვეთის წერტილებში ვლინდება ის შინაგანი ძალა, ამ პლანებს რომ ერთიმეორესთან აახლოებს და აკავშირებს (პოეტის ადგილი, მისი მომავალი ბედი, უკვდავება);

ბ) საგანთა ხილვა ერთსა და იმავე დროს დროშიც და დროის მიღმაც. ეს თითქოს უცნაურია, მაგრამ გალაკტიონი ახერხებს ამ უცნაურს კანონზომიერული ხასიათი მისცეს, ყოველი საგანი, ფაქტი, სახე მისთვის რასაკვირველია, გარკვეული დროის პროდუქტია, ამ დროის ნიშანს ატარებს. მაგრამ მათი ამოუწურავი დიალექტიკური ბუნების შეცნობა უწყვეტი ნაკადია და იგი მრავალფეროვანია, მით უმეტეს მხატვრული შემეცნების პროცესში.

ასეთია „ეფემერების“ ლირიკული გმირი. მართალია იგი მოიხსენება „გაფრენილი პირველი წუების ნიაგარებით“, მაგრამ წარმოისახება პოტენციურ პლანშიც („...მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს, როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება...“).

გ. ტაბიძის პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიშნები (ფართო, მახლობელი, შორეული თუ ღრმა პლანი, საგანთა და სახეთა საოცარი სისავსე, პოეტურ სახეთა განსაკუთრებული კოლორიტულობა, დროის გრძნობა) მჭიდრო ერთიანობაშია მთელ მის სტილურ სისტემასთან, გაპირობებულია ამ სისტემის შინაგანი მთლიანობით და განსაკუთრებული მრავალფეროვნებით.

პოეტის მთელი შემოქმედება ემორჩილება ერთ ძლიერად გამოვლენილ ტენდენციას. ამ ტენდენციის ამოხსნის გარეშე ძნელი გასარკვევია ის გაბედული მისვლა თემებთან, პრობლემებთან, დიდი ძალის ნოვატორობა, განსაკუთრებით ფართო რეზონანსი, რაც ახასიათებს გალაკტიონის პოეზიას.

ამის გაუთვალისწინებლად ძნელი ასახსნელი იქნება მისი სტილის თავისებურებანი, სილაღეც და სიძუნწეც სახეთა ძერწვისას თუ ფერების შერჩევაში, „უცერემონიო“ დამოკიდებულება გაქვავებული პოეტური ფორმებისადმი, მათი გაბედული მსხვრევა...

ეს არის საკუთარი ძალის რწმენის სუბიექტური შეცნობისა და ამ ძალის ნამდვილ ობიექტურ ფაქტორად ქცევის ბედნიერი თანამთხვევა. გალაკტიონმა იცის, რომ იგი ეპოქის პოეტია არა მხოლოდ მისი სურვილის თანახმად, არამედ ობიექტური კანონზომიერების წყალობითაც.

ამიტომ ასე დაჟინებით, პერმანენტულად ესწრაფვის იგი საკუთარი პოეტური მრწამსის გარკვეულ მატერიალურ ძალად ქცევას, საკუთარი პოეტური სახის მონუმენტაციას. და მთელი ეს მისი გულწრფელი მისწრაფება მრავალწილად განაპირობებს მისი პოეზიის რეზონანსსაც და მის პოეტურ ადგილსაც, მის სავსებით თავისუფალ დამოკიდებულებას თანამედროვე თუ წარსული ცხოვრებისადმი.

საკუთარი პოეტური ღირსების მაღალი შეცნობით, მონუმენტურობით აღიქვამს იგი ეპოქისეულ დიდ მოვლენებს და გაბედულად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ მოვლენე-

ბისადმი, მსოფლიოსადმი, მთელი პლანეტისადმი ლექსში „ქარი ამწევი ფარდის“.

ეს მოვლენათა და საგანთა ხილვის გალაკტიონისეული სტილია. რამდენ განწყობილებას, სახეს, სიტუაციას იტევს ეს შედარებით მცირე ლექსი! როგორ ცოცხლად არის აქ ამეტყველებული მოედნები თუ შენობები, ქუჩები, ხიდები თუ ზარები, მოვლენებისა და ფაქტების უკან მდგომი ადამიანები ერთსა და იმავე დროს.

მხოლოდ უდიდეს საკუთარ პოეტურ ძალაში დარწმუნებულ მხატვარს შეეძლო თავი წარმოედგინა (როგორც სხვა შემთხვევებშიც) შორეულ სამყაროში გასულ ადამიანად, ვინც თითქოსდა გარედან ელაპარაკება, აფრთხილებს, მოუწოდებს თავის პლანეტას: „წყნარად, მსოფლიო! წინ, მსოფლიო! მსოფლიო, ჩუმად!“

პოეტის ეს გრძნობა მჭიდროდ უკავშირდება საკუთარი ბედის გენიალურად განჭვრეტის ტენდენციას. ამ ბედის შემეცნების ხშირი და სტერეოტიპული მონახაზი, მრავალნიუანსობრივი ალქმა როგორღაც მკვიდრდება კიდეც მის სტილურ ქსოვილში („ცისფერ მთვარე“).

III. გალაკტიონის სტილისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ჟ ა ნ რ უ ლ-ს ა ხ ე ო ბ რ ი ვ ი  მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ვ ნ ე ბ ა.

წმინდა ლირიკულ ნიმუშებთან ერთად, ჩვენ აქ ვხვდებით ფართო თუ მცირე პლანის პოეტურ ეპოსსაც, მართალია, თავისებური სტრუქტურული ფორმის, მაგრამ მაინც ჟანრობრივად ეპოსის ტიპის ნაწარმოებებს („ჯონ რიდი“, „აკაკი წერეთელი“, „საუბარი ლირიკის შესახებ“, „მშვიდობის წიგნი“, „ძლეული სენი“, „ქიტესა“, „ათას ცხრაას ორმოცი წელი“, „ამირანი“, „აფეთქება“); დრამატულ დიალოგებს („ორნი“, „შემოდგომა“, „წარსულის ჩრდილები“, „არ გეგონა, არ ელოდი და აი, მოხდა“, „გაიცანით — პაციფისტია“, „შვეიცარია“, „ავტომობილი და ურემი“, „ქალავ!“); პოეტურ ქრონიკას („ქრონიკა ერთი დღის“, „შიში“, „გრიგალი“, „ფრაგმენტებიდან: ცეცხლი ფიქრიანია!“, „შემდეგ...“); პუბლიცისტური მანერით შესრულებულ ნაწარმოებებს („გართმევთ პოეტობას?..“, „მე ამ წიგნზე რა უნდა ვთქვა ბევრი..“, „ბაყაყი, მსგავსი დელაროკისა“); რეკვიემს („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „სასწაულს“); შაირებს („სიმღერა“, „მხარი მხარს!“, „გორა — გორა, ვაზი — ვაზი...“) და ა. შ.

ამგვარი მრავალფეროვნება საყურადღებოა არა იმდენად, როგორც თავისთავად საინტერესო მოვლენა, რამდენადაც ამ ჟანრთა თუ ჟანრობრივ სახეთა ურთიერთგანმაპირობებელი ფაქტორი და ეპოქის მთელი უზარმაზარი შინაარსის ერთ პოეტურ სისტემაში განხატოვნების საშუალება.

ასეთი მრავალფეროვნება კიდევ მეტად მრავალფენიანს ხდის გ. ტაბიძის მთელ პოეტურ ქსოვილს.

IV. ლ ე ქ ს ი ს  გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი ს ე უ ლ ი  ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა. გ. ტაბიძემ ქართული ლექსის განახლებისათვის გაწეული უზარმაზარი შემოქმედებითი მუშაობის პროცესში შექმნა ლექსის ახალი სტრუქტურა, გაპირობებული მეტრიკის ახალი საშუალებების მიგნებით, ახალი რიტმულ-რითმული გამართვითი ფორმის აღმოჩენით, ახალი ალიტერაციული წყობით, მუსიკის ფაქტორის ახლებური გაგებით, პოეტურ სახეთა გახსნის ახალ მანერათა აღმოჩენით, პოეტიკაში რომანტიკული არტისტიზმის ელემენტთა თავისებური კომბინაციით, ახალი ექსპრესიული მომართულებით, ტროპულ საშუალებათა შინაგანი ძალის მაქსიმალური გამოვლინებით, პოეტური სინტაქსის მეტად მდიდარ ფორმათა შექმნითა და ორიგინალური გამოყენებით.

ყოველივე ეს, სხვა, ზემოთ უკვე განხილულ ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს გალაკტიონის პოეტური სტილის თავისებურებებს.

შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

გ. ტაბიძის რიტმი და ბგერითი მელოდია თავისებურია. მათში იგრძნობა როგორც დიდი შინაგანი მოწესრიგებულობა, ასევე გაბედული რღვევა ძველი ნორმებისა; განსაკუთრებული წმინდა ძალის მელოდიურობაც და რიტმის განსაზღვრულ დინებას დაქვემდებარებული მუსიკალობაც.

სწორედ რიტმისა და მელოდიურობის ამგვარ შეთანწყობას არის დაქვემდებარებული ცნობილი ლექსის „ქარი ჰქრის“ მთელი ფაქტურა:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?..
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

ლექსის საერთო სილაბურ-ტონურ პრინციპს დაქვემდებარებული ამგვარი გამართვა გალაკტიონისათვის რიტმისა და მელოდიის თანაწყობის მეტად თავისებური გაგებაა. საქმე ის არის, რომ რიტმის საერთო სპეციფიკური მხარე — თანაზომადობა განმეორებითობაში — აქ გამოვლენილია, როგორც წმინდა მელოდიური ელემენტი სამი მუსიკალური შესვენებით წყვეტილით ყოველ ტაეპში:

— ◡ ◡ || — ◡ ◡ || — ◡ ◡
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ..

ამასთან, მახვილიან ბგერათა განმეორების პრინციპი აქ განსაკუთრებით გაძლიერებულია ტერფთა, ხშირად ერთსახოვან ტერფთა მიჯრითი განმეორებებით („ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“; „ხეთა რიგს, ხეთა ჯარს...“; „სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?“; „როგორ თოვს, როგორ თოვს...“; „...ვერასდროს, ვერასდროს!“; „ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!“), რაც განსაკუთრებით შთამბეჭდავ მუსიკალურ წყობას ჰქმნის.

ასეთივე მეტრით არის დაწერილი გალაკტიონის მეორე ლექსი „ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!“, რომლის ცხრა მარცვლისაგან შემდგარ ყოველ ტაეპში ზუსტად არის დაცული თანაზომიერი ერთეულების განმეორების პრინციპი:

ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!
ნახვამდის, ლექსებო, კამარა,
ჩემს გზაზე რაც უნდა დაღამდეს,
ვარ თქვენზე ოცნების ამარა!..

მაგრამ ამ ლექსში უკვე აღარ იგრძნობა ის საოცარი მელოდია, მუსიკალური შეთანწყობა, რომელიც ესოდენ გამსჭვალავდა „ქარს“, რადგან მასში აღარ არის ტერფთა მიჯრითი განმეორებანი.

ახალი პოეტური სტრუქტურით არის დაწერილი გალაკტიონის ლექსები: „მწვანე ზოლი მთის“, „უკანასკნელი დღე“, „ლანდი — არაქვეყნიური“, „სამრეკლო უდაბნოში“, „ატმის ყვავილები“, „ლურჯა ცხენები“, „ფოთლების ლანდი“, „ვუალები“, „საუბარი ედგარზე“, „ქარებს ქარობა“, „ატმის რტოო, დალალულო რტოო...“, „შენ გვიანდები“, „ზღვის ეფემერა“, „კოსმოსური ორკესტრი“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ და სხვ.

ავიღოთ ერთი მათგანი — „შენ გვიანდები“ (1916 წ.) და ვნახოთ, როგორ ნოვატორულია მთელი სტრუქტურა, რითმა და რიტმი, მელოდია:

შენ გვიანდები,
სხვა ხომალდები მოადგნენ ნაპირს,
                                        დაუშვეს აფრა
და ჩაჰყურებენ მძინარე ნაპირს
                        კრეისერების მძიმე ლანდები,
წითლად ნანთები ზღვა იზმორება, ქაფის
                        გორები არ ძრავს ფრეგატებს
და სიშორეში ჰაეროვნად ლილიანდები,
ოქროს ნანთები,
დასძრა შუქურამ და აელვარდა შენს
                                        ირგვლივ ქაფზე
ათასი ალი, ათასი ლალი და უმძიმესი
                                        ბრილიანტები!

ეს არის დაშორიშორებულ თუ შინაგანად შეფარულ რითმათა („შენ გვიანდები... სხვა ხომალდები... მძიმე ლანდები... წითლად ნანთები... ჰაეროვნად ლილიანდები... ოქროს ნანთები... უმძიმესი ბრილიანტები“; „ზღვა იზმორება... ქაფის გორები; ათასი ალი, ათასი ლალი...“) სრულიად ახლებური წყობა. გარეგნულად იგი თითქოს არ ექვემდებარება გარკვეულ რიტმულ სისტემას მისი ტრადიციული გაგებით და დისჰარმონიულიც კი არის გარკვეული მონაცვლეობითი საზომის დარღვევის გამო. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. ფაქტიურად „შენ გვიანდები“ ემორჩილება საოცარ შინაგან კანონზომიერულ დინამიკას და ჰქმნის სრულიად ახალ, ჭეშმარიტად ნოვატორულ პოეტურ წყობას, შინაგან რიტმსაც და ძლიერ რითმულ მელოდიასაც.

გალაკტიონის განსაკუთრებით ახალი მეტრით გაწყობილ ლექსთა პოეტური სტრიქონის ძალა მის ხშირად აშკარა და ხშირადაც ძლიერ შეფარულ მელოდიურობაშია. აქ რიტმი შეწყვილებულია რითმას, რითმა — მელოდიას, ხოლო ყოველივე ეს ისეთი ძლიერი ექსპრესიული ძალით არის დამუხტული, რომ უჩვეულო ძაბვის სიმფონიის შთაბეჭდილებას სტოვებს, და თქვენ არა მარტო გესმით მისი ყოველი, განსაკუთრებით გამახვილებული ბგერა, არამედ როგორღაც ხედავთ კიდეც ამ სიმფონიაში წარმოსახულ კონკრეტულ სურათს:

თოვლის მხარე,
ნისლიანი მთა და ბარი.
მოვიმხარი მისი გზები, სიცივე და
                                        მღვრიე დარი...
ზარზე ზარი, სწრაფი, ჩქარი, მღელვარებათ
ჩქეფდა ღვარი,
ტრიალებდა როგორც ფარი,
შემოდგომის ჩქარი
ქარი...

რასაკვირველია, გალაკტიონის ვერსიფიკატორული ნოვატორობა არ ამოიწურება მხოლოდ მეტრული ფორმების, რიტმის ახალი ორგანიზაციით. ეს არის, ამავე დროს, ახალი ენობრივი პოეტური სტრუქტურა, ახალი სახობრივი სისტემა, ახალი ასოციაციური განწყობილებანი, პოეტიკის ახალი იმპროვიზაციული ელემენტი...

გ. ტაბიძის ენობრივი პოეტური სტრუქტურა, პოეტური წყობანი ორიგინალური, თავისთავადია. ეს სტრუქტურები, წყობანი ადასტურებენ, თუ რაოდენ ამოუწურავია პოეტური მეტყველების შესაძლებლობანი გენიოსი მხატვრის პრაქტიკაში.

ერთ-ერთ ლექსში გალაკტიონი ჰქმნის ქარით გატაცებული ფოთლის ორიგინალურ მონახაზს სწორედ ახალი პოეტური წარმოსახვის მეშვეობით:

ქარით დატირებული, უნუგეშოდ შთენილი,
მიფრინავდა ფოთოლი, ხიდან
გადმოცვენილი...
...და სცურავდნენ, სცურავდნენ ღრუბელთ
სიშორეები...

„ხიდან გადმოცვენილი ფოთოლი“, ან „ღრუბელთ სიშორეების ცურვა“ — ეს სრულებითაც არ არის ტრადიციული პოეტური პირობითობა. იგი ცნებათა ახალი პოეტური გააზრება, ენისა და სახის ორიგინალური კონსტრუქციაა. სხვა შემთხვევაში ეს იქნებოდა ცნებათა შეუთავსებლობა წინადადებაში (მხოლობითში აღქმული ფოთოლი არ შეიძლება შეესიტყვოს მრავლობითის ცნებას — ცვენას, ისევე, როგორც შეიძლება „ცურავდეს“ არა სიშორე, არამედ შორეული ღრუბელი!), მაგრამ ამ კონკრეტულ პოეტურ წარმოსახვაში, ორივე შემთხვევა სრულებით ბუნებრივი პოეტური განპირობებულობით არის აღქმული და, ერთი შეხედვით, თითქოს ალოგიკური შეხამება, სავსებით ლოგიკურ კანონზომიერებას ემორჩილება. „გადმოცვენა“ აქ ჰქმნის ქარით გამოტაცებული ფოთლის ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე დაუსრულებელი ვარდნის სურათს, ხოლო „ღრუბელთა სიშორეების ცურვით“ წარმოქმნილია არა მარტო შორეული ღრუბლების „ცურვის“, არამედ თვით მოძრაობაში აღქმული თვალუწვდენელი სივრცის მოძრაობის სურათი, რასაც მოითხოვს უკვე გართულებული სულიერი მდგომარეობის ახლებური პოეტური შეცნობის ამოცანა.

ან, ავიღოთ მეორე ლექსის — „სამრეკლო უდაბნოში“ ასევე გართულებული პოეტური ხილვა და ენობრივი სტრუქტურა:

ზღაპრების თეთრი კვამლით
ქალთა სუნთქვაში დაფარული
ყვავილთა სუნი.
ოჰ! მე მომესმის შეყვარებულ
წამწამთ კანკალი
და მიყვარს ქარი!..

აქ „წამწამთ კანკალის“ გაგონება ისეთი ზედმიწევნით სათუთი გამაპირობებელი ნიუანსის ფუნქციას ასრულებს მთელ ლექსში, ისეთ სიტუაციათა თუ სახეთა შორის თავსდება (ნაზი ფრჩხილები — გრძელი ზამბახები, ბეჭდის თვალი — თეთრი ყვავილი, სულის წუხილი — სამრეკლოს რეკვა), რომ თქვენ უკვე კი აღარ წარმოიდგენთ ამ ძნელად წარმოსადგენ ფაქტს, არამედ მართლაც გესმით ეს „წამწამთ კანკალი“.

ორიგინალური პოეტური სტრუქტურის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა „ლურჯა ცხენები“, „ფოთლების ლანდი“, „დომინო“, „დროშები ჩქარა!“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „ხელები“, „ორად გაიპო წითელი კლდე“, „პოემა ვეფხვისა“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ და გალაკტიონის ბევრი სხვა ლექსი, სადაც საქმე გვაქვს ფრაზის მუსიკალური არსის ახალ აღმოჩენასთან და სადაც გამოყენებულია ახალი პოეტური წყობანი, ახალი რიტმული და რითმული გამართვა, ტერფების მეტად ორიგინალური მონაცვლეობის მანერა, ახალი სინტაქსური ელემენტი და სახეთა მეტად თავისებური პროექციული მონახაზები.

ერთ შემთხვევაში (ვთქვათ, „დაბრუნება“) საქმე გვაქვს ახალ პოეტურ კონსტრუქციასთან, ტრადიციული მეტრის გაბედულ რღვევასთან, რიტმის ახალი შინაგანი მოძრაობის კანონთან, რასაც თავის მხრივ განაპირობებს სამშობლოში დაბრუნების თემის ახლებური პოეტური გადაწყვეტა, შორეული წარსულის გახსენებისა და თავისებური აღქმის ასპექტი, არსებული სინამდვილის გააზრება, ერთი მხრივ, ისტორიულ სიბრტყეებზე და, მეორე მხრივ, შორეულად განვრცობილ პეიზაჟებზე განფენის მანერით.

მეორე შემთხვევაში (ვთქვათ, „ორად გაიპო წითელი კლდე“) ჩვენ ვგრძნობთ ასევე ახალ სტრუქტურას, მაგრამ იგი უკვე მთლიანად დაქვემდებარებულია განსაკუთრებით გამძაფრებულ ალეგორიულ-მეტაფორული სახეებით ხილვის მანერისადმი. აქ გამოყენებულია ხალხურ პოეტურ მეტყველებასთან დაახლოებული ახალი რითმული ფაქტორი, რომელიც ემყარება ტრადიციული არაზუსტი, დისონანსური („რაში — შარა“, „მარჯანი — ყავარჯენი“) და ასევე ტრადიციული ზუსტი ჯვარედი რითმების („გველი — მწველი“, „უზარმაზარი — საზარი“) ურთიერთშენაცვლების პრინციპს. რასაკვირველია, ასეთი შენაცვლება არ არის მექანიკური სინთეზი; იგი განპირობებულია იმ აუცილებლობით, რომ ლექსის პირველ ტაეპებში რითმის მუსიკალურ ფუნქციას მთლიანად ტვირთავდ იღებს ცნება „წითელის“ მიჯრით გამოყენების პრინციპი, ხოლო ბოლო ტაეპებში, სადაც ეს მანერა შენელებულია, თავის ადგილს იჭერს ჯვარედი რითმა.

რითმათა ასეთი მორიგების თუ მონაცვლეობის მანერას გალაკტიონი ხშირად იყენებს სხვა ლექსებშიაც. მაგრამ ეს არასოდეს არ არის თვითმიზნური, არამედ ყოველთვის გამოხატავს გარკვეულ პოეტიკურ პრინციპს და ახალი პოეტური სტრუქტურის ძიების დაუსრულებელ პროცესს.

ახალი პოეტური წყობანი გ. ტაბიძის ლირიკაში — ეს არის ახალი პოეტური სახეების ორიგინალური გააზრება, წარმოსახვის, ფანტაზიის უსაზღვრო მასშტაბები და ამოუწურავი პოეტურ-ხილვითი შესაძლებლობანი.

ასეთ სახეთა, წარმოსახვათა ათვისება მკით-

ხელისაგან მოითხოვს აზრის დაძაბვას, გონების შემეცნებითი ძალის გამახვილებას. მაგალითად, თქვენ ვერ აღიქვამთ ვერც მექანიკური მზამზარეულობით და ვერც რაღაც ძალდაუტანებელი სიმსუბუქით ისეთ იშვიათ და ულამაზეს პოეტურ სახეებს თუ წარმოდგენებს, როგორიცაა: „მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდები და ჩანჩქერები“ („მთაწმინდის მთვარე“), „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“ („თოვლი“), „ამაოდ დაგენდე, ელვარე სალამოვ ალმას საყურეთა“ („ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“), „შემოდგომისთვის იგი იშლება, როგორც ფოთლების გადაშიშვლება და სიხარული“ („შემოდგომა“), „ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი“ („ეფემერა“) „მიჰქონდათ წინათ პასტორალები, ბალთა მნათობით გადამთოვრება“ („წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“), „შემოდგომის ქარვებმა გზები გადამიფერეს“ („ეფემერა“) და ა. შ.

გ. ტაბიძე ახალი პოეტური კონსტრუქციის წარმოქმნისათვის, ახალი სახეების გახსნისათვის გარკვეულ ადგილს უთმობს ისეთ ენობრივ მოვლენებს, როგორიცაა ორიგინალური სინკრეტიზმები, კომპოზიტები, ნეოლოგიზმები („გაბედითება“, „არასაამსოფლიო“, „თანადი“, „შელეკვა“, „გაუკვდავება“, „ფრთატივტივა“, „გადასეული“, „უმეტეორესსი“, „აჩალვა“ და სხვ.); ისეთ პოეტურ ხერხებს, როგორიცაა რომანტიკული არტისტიზმი („როცა აქტეონი, ძეი არისტეას...“, „მოგონება ყრუ შესახვევის“); სიტყვიერ თუ საგნობრივ დეტალთა ზედმიწევნით შთამბეჭდაობას (ვთქვათ, ეპითეტები ლექსში „დომინო“ ან თითებზე „დამსხვრეული“ ბეჭდების მონახაზი ლექსში „ხელები“).

გალაკტიონის ლექსში პოეტური მეტყველება თავის ელფერს იძენს მისი ყველა კომპონენტის ორიგინალური გამოვლენით, იქნება ეს რიტმიკა თუ ფრაზეოლოგია, ლექსიკა თუ სინტაქსი, სემანტიკა თუ მორფოლოგია.

გალაკტიონის პოეტური ენა ეს არის რთული ენობრივი ფენომენი, რომლის ძალაც ეყრდნობა შინაგან მთლიანობას, მისი ყველა კომპონენტის ერთ პოეტურ ენობრივ სისტემად ქცევის პრინციპს. გალაკტიონი ცდილობს მინიმუმამდე შეამციროს მანძილი, რომელიც ენასა და აზროვნებას შორის არსებობს, ესე იგი, შესძლოს აზროვნების მაქსიმალური გაცხადება ენაში. და ამას იგი აღწევს კიდეც! როგორც ცნობილია, ენა ჩამორჩება ხოლმე აზროვნებას; აზროვნება ყოველთვის ვერ პოულობს ადექვატურ გამოხატვას ენაში. ამიტომ არის, რომ ენა, მიუხედავად მისი კონსერვატიული ხასიათისა, როგორც აზრის გამოხატვის ყველაზე უნივერსალური საშუალება, განუწყვეტლივ ვითარდება საუკეთესო მხატვართა შემოქმედებაში, სადაც ენობრივი ქსოვილი, როგორც წესი, სხვადასხვაგვარ ელფერს იღებს სხვადასხვა ოსტატთა ხელში. ამიტომაც ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედება ამავე დროს არის ენის შესაძლებლობათა და ენობრივი ფორმების ასევე განუწყვეტელი გამდიდრების პროცესი.

დიდია გალაკტიონის დამსახურება ქართული თავისუფალი ლექსის განვითარების მხრივაც. თავისუფალ ლექსს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მის პოეტურ სტილში. გალაკტიონის ბევრი პოეტური ქმნილება სწორედ რომ ვერლიბრის სტრუქტურას ემყარება („ვინ არის ეს ქალი?“, „ფარდების შრიალი“, „დომინო“, „მოედანზე“, „წერილი მეგობრისადმი“, „რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს“, „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ხელები“, „ზღვის ეფემერა“, „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“, „პოემა ვეფხვისა“, „ჯონ რიდი“, „ოქტომბრის სიმფონია“ და სხვ.).

მაგრამ გალაკტიონს მექანიკურად არ შემოაქვს ქართულ პოეზიაში ფრანგული ვერლიბრი; ბევრ შემთხვევაში იგი ცდილობს შეუთავსოს იგი ქართული ლექსის ტრადიციულ სტროფულ სტრუქტურას, ზოგიერთ შემთხვევაში კი — რითმის ელემენტებსაც და ამ გზით გააძლიეროს მისი როგორც ერთიანი სინტაქსურ-ინტონაციური წყობა, ასევე რიტმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჰრაჩია ბაირამიანი*

# ილია ჭავჭავაძე და რევოლუციამდელი სომხური პრესა

თერგდალეულების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებდა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. იმ ხანებში, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთის მთელ იმპერიაში მოსახლე ხალხების ყველაზე მოწინავე შვილებმა დაიწყეს ერთობლივი ბრძოლა სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის. ამ დიდ ბრძოლაში ისინი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს და ეხმაურებოდნენ ერთიმეორის იდეურ ცხოვრებას; მოწინავე რუსი რაზნოჩინელების მხარდამხარ იდგნენ სხვადასხვა ერის შვილთა მთელი თაობები, რომელნიც გამსჭვალულნი იყვნენ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით და თავდადებით იბრძოდნენ ბატონყმური წყობილებისა და თვითმპყრობელური რეჟიმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ.

მოწინავე სომეხი ინტელიგენცია ინტერესით ადევნებდა თვალს თერგდალეულთა, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას, აფასებდა მას, როგორც მოძმე ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეს. ამიტომაც წერდა გაზეთი „ტარაზი“: „ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის სალოცავი ხატია, მისი ყოველი სიტყვა კი ანდერძი“.[1]

ილიამ განავრცო ცხოვრების სასიცოცხლო პრობლემების აღწერის სფერო და იგი მთელი სისავსით წარმოგვიდგინა. ამ ამოცანას ისახავდა მისი პირველივე კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავისაგან კოზლოვის შეშლილის თარგმანზედა“, რამაც დასაბამი მისცა ქართულ კრიტიკაში რეალისტურ მიმართულებას.

ილია ემყარებოდა მდიდარ ეროვნულ, მრავალფეროვან ლიტერატურულ ტრადიციებს; მან განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული ლიტერატურული, პუბლიცისტური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება.

მოწინავე ქართველი და სომეხი მწერლები გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო მეტი სიახლოვე. სწორედ ამ მიზნით 1888 წელს ილიას „ივერია“ გ. სუნდუკიანის განზრახული იუბილეს გამო აღნიშნავდა, რომ ქართველებსა და სომხებს ერთად უნდა გადაეხადათ ეს დღესასწაული და ერთად ელხინათ (იუბილე არ შედგა, რადგან თვითონ სუნდუკიანმა უარი განაცხადა მის მოწყობაზე). ამას გარდა, „ივერიამ“ თავიდანვე ყურადღება მიაქცია ოვანეს თუმანიანის პირველ ლექსებს და მისი ქართული თარგმანები გამოაქვეყნა. თავის მხრივ, სომხურმა პრესამ უკვე 80-იანი წლებიდან ხელი მოჰკიდა სომხური საზოგადოებისათვის ქართული ლიტერატურის უფრო ფართოდ გაცნობის საქმეს. ეს საქმე ილიას ნაწარმოებების თარგმნით დაიწყო. წერილში „ჭავჭავაძის რომანის გამო“ მთარგმნელი ტიგრან ფირუმიანი (1859-1934) აღნიშნავდა, რომ „კავკასიის ორმა ყველაზე ცივილიზებულმა ერმა (სომხებმა და ქართველებმა — ჰ. ბ.) ერთმანეთის შესახებ ძალიან ცოტა რამ იციან“. ამიტომ „განვიზრახე სომეხი მკითხველისათვის გამეცნო ჩვენი მეზობელი ქართველი ხალხის ლიტერატურა და „მურჭის“ წინამდებარე ნომერში დამებეჭდა პატივცემული თავადის ილია ჭავჭავაძის მთავარი ნაწარმოები“[1] (იგულისხმება „კაცია ადამიანი?!). მთარგმნელის აზრით, ილია შესანიშ-

1. „ტარაზი“, 1903, № 22, გვ. 212.

1. „მურჭი“, 1891, № 4, გვ. 435.

ნავი პროზაიკოსია, თუმცა „როგორც ლირიკოს პოეტსაც ვერ დაემდურები“.

„მურჯის“ („ურო“) მთარგმნელი-კრიტიკოსი გვაცნობს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიას, მოგვითხრობს მის შემოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობაზე. სომეხი მკითხველის თვალწინ გაივლის ილიას ბავშვობის, ყრმობისა და პეტერბურგში სწავლის წლები, შემოქმედებითი ღვაწლი პირველი პოეტური ნაბიჯებიდან ისეთი მხატვრული ძეგლების შექმნამდე, რომლებიც „არასოდეს დაძველდებიან და მუდამ ცხოველ ინტერესს გამოიწვევენ მკითხველთა შორის“.

ბოლოს მთარგმნელი უბრუნდება ილიას საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის, სააღგილმამულო ბანკის დაარსების საქმეს.

ტიგრან ფირუმიანის თარგმანს ჟურნალი კვლავ დაუბრუნდა 1892 წლის მესამე ნომერში, სადაც აღნიშნული იყო, რომ ილიას მოთხრობა დიდი ინტერესით იკითხება, რასაც პატივი მოაქვს როგორც ავტორისათვის, ისე ქართული ლიტერატურისათვისო.

აღნიშნული თარგმანი 1898 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. „მშაკი“ („მუშაკი“) ეხმაურება ამ ამბავს, მაგრამ აკრიტიკებს ფირუმიანს და აღნიშნავს, თარგმანი დაბალ მხატვრულ დონეზეა შესრულებულიო. წერილის ავტორი დ. ტერ-დავთიანი იხილავს „მურჯსა“ და „ტარაზში“ გამოქვეყნებულ ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ძალიან ცოტაა თვალსაჩინო მწერლების — ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, გ. წერეთლის ნაწარმოებთა მხატვრული თარგმანები. დ. ტერ-დავთიანი მაღალ შეფასებას აძლევს ი. ჭავჭავაძის მოთხრობას და წერს: „მათ (თათქარიძეებს — ჰ. ბ.) სულიერი განათლება ქოხსად წარმოუდგენიათ. რომანში აღწერილია ყმების უნუგეშო მდგომარეობა ბატონების ხელში, ბატონებისა, რომლებიც ჩაგრავენ და სულსა ხდიან მათ“:[1] დ. ტერ-დავთიანი მოითხოვს მოთხრობის ხელმეორედ თარგმნას.

იმავე ხანებში „ტარაზი“ ბეჭდავს ი. ჭავჭავაძის „ელეგიის“ თარგმანს, იქვე მკითხველს აცნობს მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

1892 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა ილიას თხზულებათა კრებული (ოთხ ტომად). მესამე ტომის გამოცემას გამოეხმაურა არუთიუნ მირიმანიანი (1870-1956), იგი ვრცლად შეეხო „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენებსა“ და „ოთარაანთ ქვრივში“ წამოჭრილ საკითხებს. მირიმანიანი წერს: „ავტორის მიზანს შეადგენდა იმ უფსკრულის აღწერა, რომელიც

1. „მშაკი“, „კაცია ადამიანი?!“, რომანი ილია ჭავჭავაძისა, 1898, № 82.

არსებობდა თეორიასა და პრაქტიკას შორის“. კრიტიკოსი პრაქტიკისა და თეორიის დაპირისპირებას არა მარტო არჩილის თვალსაზრისში ხედავს, არამედ გიორგის კესოსადმი სიყვარულშიც. თუ მემამულე არჩილი მარტოოდენ წიგნებიდან მიღებული ცოდნით ხელმძღვანელობს, ყველაფერში აქტიური და ენერგიული გიორგი პასიურია, როცა საქმე მიდგება სიყვარულზე. მირიმანიანი აღნიშნავს: „პრაქტიკისა და თეორიის შეუთანხმებლობას ვხვდებით ახალგაზრდა მემამულის შრომით საქმიანობასა და გიორგის სასიყვარულო თავგადასავალში“.[1]

„მურჯის“ 1904 წლის მერვე ნომერში ტ. ფირუმიანი განიხილავს „დიდი და საყვარელი ქართველი პოეტის“ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების კრებულს. იგი მიესალმა ამ კრებულის გამოქვეყნებას. კრიტიკოსი ხაზს უსვამს, რომ ამ წიგნს შეუძლია სულიერი საზრდო მიაწოდოს ხალხს და გააღვიძოს მასში კეთილი იდეები“. წერილის ავტორი სომეხ მკითხველს აცნობს „ქართლის დედას“, „ბაზალეთის ტბას“, „ელეგიას“, „გაზაფხულს“, „კითხვა-პასუხს“ და დაასკვნის: „ლექსთა ეს კრებული მკითხველს სიხარულს ანიჭებს“.[2]

საქართველოს სსრ სახელმწიფო ისტორიულ არქივში ვხვდებით სომეხ ავტორთა წერილებს, რომელთა დაბეჭდვა სხვადასხვა მიზეზების გამო აუკრძალავს ცენზურას. ერთ გამოუქვეყნებელ წერილში ავტორი ლაპარაკობს: „ილია ქადაგებს სიკეთეს, ანელებს ვნებებს, ჩვენს მოძმე ხალხებში ზოგადსაკაცობრიო გრძნობებსა და იდეალებს ნერგავს“.[3]

ილიას ცხოვრების, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი წერილები და კორესპონდენციები განსაკუთრებით უხვად იბეჭდება 1907 წლის სექტემბრიდან, როცა თვითმპყრობელური რეჟიმის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს დიდი პოეტი.

„არაადამიანურ დანაშაულს“ სომხური გაზეთებიდან პირველად „მშაკი“ გამოეხმაურა, რომელმაც 1907 წლის 6, 7, 8 და 11 სექტემბრის ნომრებში დაბეჭდა მთელი რიგი წერილები. ამათგან აღსანიშნავია „მშაკის“ 11 სექტემბრის ვრცელი და შინაარსიანი ნეკროლოგები, რომელთა ავტორები არიან: ალექსანდრე ქალანთარი („ეგ დამარცხებაა“) და ამბარცუმ არაქელიანი („ჭავჭავაძის დაკრძალვა“).

ქალანთარი გმობს დიდი პოეტის წინააღმდეგ მიმართულ „ბილწ და ბოროტმოქმედულ საქციელს“. მეორე წერილში ლაპარაკია ჭავჭავაძის დაკრძალვის ცერემონიალზე. მასში ვკითხულობთ:

1. „ტარაზი“, 1893, № 27, გვ. 431.
2. „მურჯი“, 1904, № 8, გვ. 65.
3. საქართველოს სახ. ისტ. არქივი, 1893, ფ. — 480, 6. 1, არქივის № 1974.

„ასეთი დაკრძალვა თბილისს დიდი ხანია არ უნახავს, შეიძლება ითქვას, რომ მთელი საქართველო ტიროდა კვირა დღეს“. სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ქართველებმა, არამედ რუსების, სომხების, ებრაელებისა და უცხოელთა მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა, რომელთაც პატივი დასდეს „ქართველი ხალხის უდიდეს მწერალს, იმ პოეტს, „რომლის ქნარის სიმები კიდევ დიდხანს აათრთოლებენ საქართველოს შვილების გულებს...“

ი. ჭავჭავაძის, როგორც პოეტის, პროზაიკოსის, ეკონომისტის, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის შესახებ წერილების სერია იბეჭდება ჟურნალ „ჰოვივის“ („მწყემსი“) 1907 წლის 34, 35, 36, 37, 39, 42, 46 და 47 ნომრებში. ამ წერილების საერთო სათაურია „თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“. წერილებს ხელს აწერს კ. თემ (კარაპეტ თეიმურაზიანი). ილიას ლიტერატურულ შემოქმედებას ავტორი ჰყოფს სამ პერიოდად: პირველ პერიოდს მიაკუთვნებს „კაცია ადამიანს“, „კაკო ყაჩაღს“, „გლახის ნაამბობს“, მეორე პერიოდის ნაწარმოებებში — „დედა და შვილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (წერილში შეცდომით „დავით მეფე“ სწერია — ჰ. ბ.). ჭავჭავაძე „უმღერის პატრიოტიზმს“, მესამე პერიოდში „პოეტი წერს შესანიშნავ პოემას „განდეგილს“ და ლექსს „ბაზალეთის ტბას“.

წერილის ავტორის აზრით, ილიას პოეტური ქნარი „დიდხანს ალაფრთოვანებს ქართველ მკითხველს და წარმართავს მის აზრს“.

ამ წერილების გაგრძელებაში ლაპარაკია ილიას მკვლელობაზე. ავტორი ცდილობს გაფანტოს იმ ხანებში გავრცელებული ყალბი ხმები, თითქოს ილიასა და გლეხებს შორის ცუდი ურთიერთობა იყო. წერილის ავტორის აზრით, „მათ ცუდი ურთიერთობა არ ჰქონიათ, ეს ილიას იდეოლოგიურ და პირად მოწინააღმდეგეთა მიერ შეთხზული ჭორია; ჭავჭავაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა გლეხებთან და ეს უკანასკნელნიც პატივისცემით ეპყრობოდნენ მას“.

პოემა „განდეგილს“ ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ი. ჭავჭავაძე უბრუნდება ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ განდეგილობის საკითხს და მას აშუქებს ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისით.

1911-1912 წლებში ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში კვლავ გაიმართა კამათი ამ პოემის შესახებ. კამათმა მწვავე და პრინციპული ხასიათი მიიღო, მას სომხური პრესაც გამოეხმაურა. „ჰორიზონის“ („ჰორიზონტი“) მიხედვით, კამათს საფუძვლად დაედო გაზეთ „მნათობის“ ფურცლებზე გამოთქმული აზრი, თითქოს ჭავჭავაძე წინააღმდეგი არ ყოფილიყოს განდეგილობის იდეისა. რომ სომეხი მკითხველისათვის გასაგები გამხდარიყო საკითხის არსი, გაზეთმა დაბეჭდა პოემის შინაარსი და სცადა მისი განხილვა. ჭავჭავაძის პოემა „ქართული მხატვრული ლიტერატურის ბრწყინვალე მარგალიტია, — აღნიშნავს ტ. ფირუმიანი, — იგი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს თავისი ფსიქოლოგიური ანალიზით, მოქნილი ენით, ლამაზი, ჰარმონიული რითმით; ამიტომაც კამათი ეხება არა თხზულების მხატვრულ მხარეს, არამედ ავტორის შეხედულებას განდეგილობის, მეუდაბნოების შესახებ“.[1]

ტ. ფირუმიანი წერს: „მნათობი“ იმ აზრს იცავს, რომ ილია ჭავჭავაძე უარყოფითად არ მოპკიდებია განდეგილობის საკითხს, ეს რომ ასე ყოფილიყო, მის გმირს უნდა გაეხადა ბერის ძაძები და წასულიყო თავის შეყვარებულ მწყემს ქალთან; არა, პოეტის დამოკიდებულება განდეგილობისადმი უარყოფითია, — იძლევიან პასუხს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე“.

ამ ორი ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრების მოტანის შემდეგ სომეხი კრიტიკოსი ცდილობს თავისი აზრი გამოთქვას ამ ფილოსოფიური ნაწარმოების შესახებ. მართალია, მისი მოსაზრება დღეს ჩვენ ველარ დაგვაკმაყოფილებს, მაგრამ აქ ეს კი არ არის საინტერესო, არამედ ის გულმხურვალე ინტერესი სომეხი მკითხველისა, რომლის ერთგვარ გამოხატულებას ფირუმიანის წერილი წარმოადგენს.

1913 წლის 5 მაისს ქართველმა ხალხმა თავისი ღირსეული შვილის საფლავზე აღმართა ი. ნიკოლაძის მიერ გამოქანდაკებული ძეგლი „მწუხარე საქართველო“. ძეგლის გახსნას ესწრებოდნენ სხვადასხვა დელეგაციები, მათ შორის, თბილისის სომხური საზოგადოების წარმომადგენლები. „მშაკის“ რედაქციის სახელით მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ა. ქალანთარმა. მან ილაპარაკა ილია ჭავჭავაძის მშობლიური ხალხისადმი გაწეული უანგარო სამსახურის შესახებ: „ცალკეული მოქალაქენი კვდებიან, მაგრამ არ კვდება ერი, — აღნიშნა ქალანთარმა, — არ კვდებიან აგრეთვე ერის ის შვილნიც, რომლებშიაც მშობლიური ხალხის გენია, ერის სულიერი სიმდიდრეა შესისხლხორცებული. ეს გენია უკვდავია, იგი, როგორც ერის ნიჭისა და სულიერი ცხოვრების ზნეობრივი იდეალი, თაობიდან თაობას გადაეცემა“.[2]

იმავე თემაზვა დაწერილი „ჰორიზონის“

---

[1] „ჰორიზონი“, ქართველთა ცხოვრებიდან, („ერთი რჩეული ქართული პოემა და ასკეტიზმის საკითხი), 1912, № 4.

[2] „მშაკი“, „ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნა“, 1913, № 97.

წერილიც. გაზეთი წერს იმ მოსამზადებელ მუშაობაზე, რომელიც წინ უსწრებდა ი. ჭავჭავაძის ძეგლის გახსნას. აქვე ავტორი იხილავს ილიას პატრიოტულ თემებზე დაწერილ პოემებსა და ლირიკულ ლექსებს; იგი აღნიშნავს, რომ ისინი სანეტარო გრძნობით ალავსებენ ადამიანის გულს. ამის შემდეგ ავტორი იძლევა „ბაზალეთის ტბის“ პროზაულ თარგმანს და დასძენს: „თქმა არ უნდა, რომ ამ ლექსის ორიგინალი თავისი მუსიკალური რიტმისა და დიდი მგოსნის თავისთავადი შესანიშნავი სტილის წყალობით შეუდარებლად უფრო ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე“.[1]

იმავე წლის სხვა ნომრებშიც (105, 207, 215 და 245) „ჰორიზონი“ ბეჭდავს ცნობებს ილიას თხზულებათა სრული კრებულის შედგენისა და გამოცემის, იუბილეს თაობაზე შემუშავებულ ღონისძიებათა შესახებ.

ილია ჭავჭავაძის შესახებ სერიოზული გამოკვლევა გამოქვეყნდა „გალაფარის“ („აზრი“) **1916** წლის დეკემბრის **105, 106, 108** და **109** ნომრებში;[2] მისი ავტორია ჰუსიკ გნთუნი. იგი მიზნად ისახავს სომეხ მკითხველს გააცნოს ქართველ მწერალთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. გნთუნი იწყებს ი. ჭავჭავაძიდან და მკითხველს აწვდის მდიდარ ბიოგრაფიულ ცნობებს, შემდეგ განიხილავს „კაკო ყაჩაღს“, „კაცია ადამიანს“ და „გლახის ნაამბობს“.

გნთუნი ჭავჭავაძის ლექსებს „დიდ ღირსებად“ უთვლის იმას, რომ მათ „შეუძლიათ მკითხველი აღაფრთოვანონ“ და ჩაუნერგონ მას ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული იდეები; როგორც ბრწყინვალე ნიმუში, მას სომხური ტრანსკრიპციით მოაქვს ლექსის „ჩემო კარგო ქვეყანავ“ შემდეგი სტრიქონები:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჭავჭავაძის სიკვდილმა ღრმა ჭრილობა მიაყენა არა მხოლოდ თავის თანამემამულეთ და თანამოაზრეთ, არამედ ყველას, „ვინც იცის სახალხო მოღვაწის ყადრი, რა მიმდინარეობის მიმდევარნიც არ უნდა იყვნენ ისინი“.

ამრიგად, იმ დროის სომხური ჟურნალ-გაზეთები განუწყვეტლივ უბრუნდებიან დიდი პოეტის სახელთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას, ლიტერატურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების სფეროებში მოღვაწეობას. „მურჭში“, „მშაკში“, „ტარაზში“, „ჰორიზონში“, „გალაფარში“ დაბეჭდილი რეცენზიების, წერილებისა და გამოკვლევების საგრძნობი ნაწილი ეძღვნება ილიას ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების შეფასებას. მათში მოცემულია დიდი მწერლის ლიტერატურული და მოქალაქეობრივი სახე.

* * *

ყველაფერი ეს მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია იმ დიდი ეპოპეისა, რომელსაც ქართველ-სომეხთა ძმობა და მეგობრობა ეწოდება. ამ ძმობას მეტად შორეული წარსული აქვს — ქართველები და სომხები ერთიმეორის მხარდამხარ იბრძოდნენ მუდამ, ირანელები შემოესეოდნენ ამიერკავკასიას, არაბები, ბიზანტიელები თუ თურქები. აქ შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ის ბრძოლა, რომლებიც ერთად გადაუხდიათ ქართველებსა და სომხებს საერთო მტრის მოსაგერიებლად. ამას რომ გავყვეთ, მთელი მატიანე უნდა გადმოვიწეროთ.

მაგრამ ეს ძმობა მარტო ბრძოლის ველზე როდი იჩენდა თავს — ის მჟღავნდებოდა ეკონომიკისა და კულტურის სფეროშიც. და არა მარტო სომეხ ერთან ურთიერთობაში, არამედ ყველა მეზობელთან.

რა ხრიკებს არ მიმართავდნენ გაბატონებული კლასების წარმომადგენელნი, რომ ძმები გაეთიშათ, სამტროდ და სიძულვილისათვის აღეგზნოთ, მაგრამ მათს ამ ცდებს დიდი დღე არასოდეს ეწერა. ხალხების კეთილ მეზობლობას უკვდავი ძალა ჰქონია. ხალხთა ამ ძმობის ცოცხალი განსახიერება საიათნოვა იყო.

ჩვენს დროში, საბჭოთა ეპოქაში ხალხთა ეს დიდი მეგობრობა გრანიტის ურყევ საფუძვლად დაედო ჩვენი აღორძინებული ერების მთელ შემოქმედებითს საქმიანობას, ახლის შენებას, მთელს ჩვენს წინსვლას და გამარჯვებას. ასევე ითქმის ჩვენი ხალხების ლიტერატურაზეც. ჩვენი პოეტებისათვის უკვდავ ანდერძად ისმის ოვანეს თუმანიანის სიტყვები, მიძღვნილი საქართველოსადმი:

კავკასიონის ჭალარა ერებს
ჩვენ მოვუწოდებთ საერთო ლხინზე,
ჩემი ქამანჩაც ტკბილად იმღერებს
თქვენი მგოსნების შემოძახილზე...
(თარგმანი ი. გრიშაშვილისა)

სიყვარულის ეს დიდი გრძნობა კვლავაც ახალ ნათელ სიმღერებს შთააგონებს ჩვენს პოეტებს.

---

1 „ჰორიზონი“ („ილია ჭავჭავაძის შაბათი“), 1913, № 105.

2 „გალაფარი“ („თავადი ილია ჭავჭავაძე“), 1916, № 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ფირალიშვილი

# ჰუმანისტური იდეების ერთი ფრესკული ანარეკლის გამო

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნება და ხასიათი ადამიანური უფლებების დაცვის დროს ვლინდება. ქართველმა ხალხმა შუასაუკუნეებში საკუთარი ბუნება სქოლასტიზმის პრინციპებისადმი კრიტიკულ მიმართებაში გამოავლინა. ამისი უტყუარი და მხატვრულად სრულყოფილი მაგალითი „ვეფხისტყაოსანია“, რომელიც არსებითად ადამიანური გრძნობებისა და უფლებების აპოლოგიაა.

მაგრამ ფრიად საყურადღებო და უფრო გასაკვირი ისაა, რომ ჩვენს ხალხს კაცთმოსარჩლე იდეება არა მარტო საერო ხელოვნებაში, არამედ, ოპოზიციური განწყობილების სახით, თვით სქოლასტიკურ მხატვრობაშიც კი შეჰქონდა. მართალია, ამას იგი მხოლოდ მინიშნებით და, ამავე დროს, რომელიმე დოგმატის ჰუმანისტური ინტერპრეტაციით ახერხებდა, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს „ქრისტეს მეორედ მოსვლის“ საშიშროებისადმი მორწმუნეთა დამოკიდებულება იმსახურებს.

„მეორედ მოსული ქრისტეს“ წინაშე ცოდვებისაგან განწმენდილი დახვედრა, შუასაუკუნეებში, ყოველი ხალხის საფიქრალი იყო. მორწმუნენი დიდი მორჩილებითა და უკრიტიკოდ ასრულებდნენ ყოველივეს, რათა ადამიანური ცოდვების გამოსყიდვა მოეხერხებინათ. საგულისხმო და განსაკუთრებულად საყურადღებო ისაა, რომ ქართველ ხალხს ამ საშიშროების მიმართ საკუთარი თვალსაზრისი გამოუმუშავებია, და ღმერთისადმი მორჩილებასთან ერთად, თვითონ ღმერთის შთაგონებისათვისაც კი მიუმართავს, ე. ი. მას ღმერთის დარწმუნება უცდია იმაში, რომ ადამიანური ცოდვები არ უნდა იმსახურებდნენ იმ რისხვას, რასაც მორწმუნეები ქრისტეს მეორედ მოსვლასთან დაკავშირებით მოელიან, რომ ღმერთის მხრივ ადამიანური ცოდვების შემწყნარებლობა უფრო მართებული იქნებოდა, ვიდრე ამისთვის ყოველივეს წალეკვა.

მართალია, ეს იდეა ფილოსოფიური ან ანტირელიგიური ტრაქტატებით კი არა, არამედ თვით ერთ-ერთი რელიგიური დოგმატის მხატვრული განსახიერების მოხერხებული ინტერპრეტაციითაა გამოთქმული, მაგრამ პრინციპში ეს საქმეს არ ცვლის. შენიღბულ ფორმაში განხორციელებული ჰუმანისტური პოზიცია ძალაში რჩება. მას მხოლოდ წ ა კ ი თ ხ ვ ა ესაჭიროება, ოღონდ წაკითხვა სწორედ იმ კუთხიდან რა კუთხითაც იგი „დაუწერიათ“.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საკითხი, რომელსაც აქ ვეხებით, მხოლოდ დეტალია და არა რომელიღაც მთლიანი სისტემა ქართული მხატვრული თუ ფილოსოფიური აზროვნებისა. მაგრამ ვინაიდან იგი მე-11-13 საუკუნეთა საქართველოს პროგრესული აზრის განვითარებას უკავშირდება და ხალხის ხასიათზეც მიანიშნებს, ამდენად მისადმი ყურადღება საჭიროდ მიგვაჩნია.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში დიდმა უკრაინელმა ბიზანტიოლოგმა თედორე შმიტმა იმ მწირი მასალების მიხედვით, რაც მაშინდელ პირობებში სხვა ქვეყნის მეცნიერს შეიძლება ჰქონოდა, ყურადღება მიაქცია „ვედრების“ თემას ქართულ საეკლესიო მხატვრობაში. შმიტი მაშინ ქართულ ხელოვნებას კი არ იკვლევდა, არამედ გამოსთქვამდა თავის თვალსაზრისს კიევის რუსეთის ხელოვნების ბიზანტიური კულტურისაგან დამოუკიდებლობის შესახებ და

ზემოხსენებული საკითხიც ამ კონტექსტში აღძრა.

შმიტმა ეჭვქვეშ დააყენა კიევის რუსეთის კულტურის ბიზანტიურზე დამოკიდებულების კონცეფცია, რადგან კიევის სახელმწიფოს კულტურაში ქართული არქიტექტურისა და ფერწერისათვის დამახასიათებელ ნიშნებსაც ხედავდა. შმიტი ფიქრობდა, რომ კიევის რუსეთის საეკლესიო არქიტექტურა და მხატვრობა ბიზანტიურზე უფრო ქართულ კულტურასთან მჭიდრო კონტაქტში ყალიბდებოდა. ერთ-ერთ ნიშნად იგი ასახელებდა „ვედრების“ კომპოზიციას, რომელიც კიევის სოფიის მომხატველებს ბიზანტიური ტრადიციის საწინააღმდეგოდ საკურთხევლის თაღის მიდამოში წარმოუდგენიათ. შმიტი აღნიშნავდა, რომ „ვედრებისათვის“ ასეთ საპატიო ადგილის მიკუთვნება მხოლოდ ქართული მხატვრობისათვისაა დამახასიათებელი! დღეს ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში „ვედრების“ თემისადმი ქართველთა განსაკუთრებული ყურადღების დამადასტურებელი მასალა უხვადაა მოპოვებული და შმიტის აღლოს უტყუარობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მაგრამ ამ ფაქტის კონსტატაცია მის ახსნას არ ნიშნავს. ეს კი არავის არ უცდია. თ. შმიტი მართალი იყო, როცა აღნიშნავდა, რომ კიევის სოფიის ტაძრის მომხატველები არ გაჰყვნენ ბიზანტიურ ტრადიციას და „ვედრება“ მეხუთეხარისხოვანი ადგილის ნაცვლად წინ წამოსწიეს, მაგრამ მას არ შეუჩერებია ყურადღება იმაზე, რომ კიევის სოფიის მომხატველებს „ვედრებისათვის“ უმთავრესი ადგილი მაინც არ დაუთმიათ, რამდენადაც თვით საკურთხეველში კი არა, არამედ მის წინა თაღს დაუკავშირეს. ამასთანავე, „ვედრება“ იქ სამი მედალიონის კომპოზიციური გაერთიანებით, ანუ მორიდებულად და მცირე მასშტაბით გამოხატეს. „ვედრებისადმი“ ქართული მხატვრობის განსაკუთრებული სიმპათია მუდამ უფრო კატეგორიული იყო. ჩვენში მას საკურთხევლის მთელს ზედა ნაწილს — კონქს, ანუ ყველაზე საპატიო ადგილს მიუჩენდნენ. როდესაც დავით აღმაშენებლის კარის ხატვარი თეოდორე სვანეთის ძეგლების მოსახატავად მიიწვიეს, მან არცერთი საკურთხევლის კონქი არ დაუთმო ბიზანტიაში მიღებულ გამოხატულებას და ყველგან, როგორც წესი, „ვედრება“ წარმოადგინა. ამის დამადასტურებელია იფრარის (1096 წ.), წმ. კვირიკეს, ივლიტას (1111 წ.) და ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის (1130 წ.) მოხატულობანი.

ბიზანტიურ ტრადიციას საქართველოში მომდევნო საუკუნეებშიც უხვევდნენ გვერდს. „ვედრება“ ყველაზე საპატიო და საკონქო კომპოზიციად არის აღიარებული თამარის ეპოქის ძეგლებიდან ბეთანიის ფრესკულ მხატვრობაში (1207 წ.), მოგვიანებით საფარის მონასტრის მთავარ ტაძარში, სოფელ ტაბაკინში და მრავალ სხვა ძეგლში.

რატომ გამოიჩინეს ჩვენმა წინაპრებმა „ვედრების“ თემისადმი ასეთი თამამი და ორიგინალური დამოკიდებულება? რატომ არ მიჰყვნენ უკრიტიკოდ ბიზანტიურ თვალსაზრისს საპატიო თემატიკის შერჩევაში? ან რა ნახეს „ვედრების“ თემაში ისეთი, რამაც მის ასეთ თაყვანისცემამდე მიიყვანა ქართველები?

თ. შმიტს ამ კითხვების არა თუ ახსნა, მათი დაყენებაც არ უცდია. ეს ბუნებრივიც იყო, რამდენადაც ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება, ქრისტიანული რელიგიისადმი ჩვენი წინაპრების დამოკიდებულების ხასიათი, მისთვის უცნობი იყო.

„ვედრების“ თემისადმი „ქართული დამოკიდებულების“ ცოტად თუ ბევრად გარკვევამდე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიზანტიაში და მასთან დაკავშირებულ ქრისტიანულ ცენტრებში ეკლესიის ყველაზე საპატიო ადგილებში — გუმბათსა და საკურთხევლის კონქში ქრისტიანული ღმერთის ყოვლისშემძლეობის იდეას გამოხატავდნენ. მე-11 საუკუნისათვის უკვე დადგენილად ითვლება სიუჟეტთა ისე განაწილება, როდესაც გუმბათში მიღმა სამყაროსაკენ აღმავალი ქრისტე უნდა დახატულიყო, საკურთხევლის კონქში კი, ჩვეულებრივ, ღვთისმშობელი ყრმითა და მთავარანგელოზებით, როგორც მიწიერი ეკლესიის სიმბოლო. მათგან ქვედა რეგისტრში კი ზეციურისადმი საქაოს მკვიდრთა „ზიარების“ საიდუმლოება. ასეთი იყო ეკლესიის დოგმატიკური კანონმდებლობით დადგენილი სქემა და მისგან ისეთი გადახვევის შემთხვევები, როგორსაც ქართულ ეკლესიაში ვხედავთ, ცხადია, ახსნას მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ „ვედრება“ ქრისტეს მეორედ მოსვლის და ცოდვილი მიწიერი სამყაროს წარღვნის თემიდან გამომდინარეობს. მეორედ მოსვლის იდეა ორი ძირითადი თემით გამოიხატებოდა. პირველი, რომელიც მეორედ მოსვლის ყოვლის შემძლეობაზე მიუთითებდა, ცნობილია „ქრისტე ყოვლისმპყრობელის“ სახელით და წარმოგვიდგენს განრისხებული ქრისტეს გამოსახულებას. მეორე კი გვიხატავს მეორედ მოსული ქრისტეს მიმართ ღვთისმშობლისა და ივანე ნათლისმცემელის ჰუმანისტური ზემოქმედების მცდელობას. ისინი ქრისტეს ავედრებენ კაცობრიობას, შესთხოვენ, რომ ადამიანური ცოდვებისათვის წარღვნისაგან ხელი აიღოს, ადამიანური ცოდვები ადამიანთა ცარგო და ბუნებრივ თვისებად მიიჩნიოს, ერთგვარად აღიაროს ადამიანური გრძნობებისა და მიწიერი მოთხოვნილებების გარდუვალობა.

ამრიგად, „ვედრება“ ქრისტიანული ეკლე-

სიის თემატიკაში ადამიანურ მოთხოვნილებათა ლეგალიზაციის ისეთ მიზანდასახულებებსა და ნიუანსებს შეიცავს, რომელთა ქადაგებაც დოგმატიკურ ბიზანტიაში გამორიცხული იყო. ქართულმა ეკლესიამ კი მისთვის ყველაზე საპატიო ადგილის დათმობით არა მარტო სითამამე, არამედ რელიგიისადმი ადამიანის მიმართებაში მკაფიო ჰუმანისტური პოზიცია დაიჭირა.

ჩვენ სრულებითაც არ გვრჩება ყურადღების გარეშე ის გარემოება, შუასაუკუნეების ქართული საეკლესიო მხატვრობა საკურთხევლის კონქს ქრისტიანული ღმერთის განდიდების იდეასაც რომ უთმობდა. მაგრამ „ვედრების“, როგორც ადამიანთა მოსარჩლე თემის საპატიოდ მიჩნევა და ამ თემის პროპაგანდისათვის ზრუნვა თავისთავად ლაპარაკობს რელიგიური ხელისუფლების სათავეში ადამიანური ღირსებების აღიარებისათვის მებრძოლ მოღვაწეთა მნიშვნელოვან აქტიურობას მე-11 საუკუნეში და მას შემდეგ. არც ის შეიძლება გაუთვალისწინებელი დაგვრჩეს, რომ მოღვაწეთა ამ ფრთას სასტიკი წინააღმდეგობების გადალახვაც მოუწევდა.

იმ პოზიციურ დაპირისპირებას, რაც მე-11-12 საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაშია ცნობილი და რამაც გამოხატულება ჰპოვა ორი დიდი პიროვნების — იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის მოღვაწეობაში, გარკვეული შუქის შეტანა შეუძლია „ვედრებისადმი“ ქართული დამოკიდებულებების საკითხშიც.

გავიხსენოთ თუნდაც არსენ იყალთოელისათვის ცნება „პირველს“ რომ მხოლოდ თეოლოგიური მნიშვნელობა გააჩნდა. მისთვის პირველსაწყისი მხოლოდ ღმერთი იყო, მაშინ როდესაც იოანე პეტრიწი მკითხველს ამავე ცნების ორ სხვადასხვა ასპექტს სთავაზობდა, არა მარტო თეოლოგიურს, იდეალისტურს, არამედ ადამიანურს — მატერიალისტურსაც.

იოანე პეტრიწის და მისებრ მოაზროვნეთა შორის ადამიანური ინტერესების უმცირესი გამოვლინებაც კი არსენ იყალთოელისათვის ეკლესიის „უცდომელ მოძღვრებათა“ ღალატს ნიშნავდა და „გესლიან სიბოროტედ“ განიხილებოდა.

ჩვენ, რასაკვირველია, აზრადაც არ მოგვდის ფილოსოფიური აზროვნებისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა პირდაპირი ანარეკლი თანადროულ მხატვრობაში ვეძიოთ, რადგან ხელოვნებაში ასეთი მოვლენები მხოლოდ მხატვრული უკუფენით ვლინდება. კაცთმოსარჩლე „ვედრების“ თემის პირველ პლანზე წამოწევა თავისთავად ნიშნავს ადამიანური ინტერესების გამოქომაგებას. ეს კი საეკლესიო ცენზურის ვითარებაში უფრო მეტ სითამამეს ნიშნავდა, ვიდრე თუნდაც საერო ლიტერატურაში რეალისტური რომანის დაწერა, რადგან რომანის ავტორს შეეძლო თავისი ქმნილება მხოლოდ თანამოაზრეებისათვის წაეკითხვინებინა, ეკლესიაში კი, როგორც უმკაცრესი კონსერვატორები, ისე პროგრესულად მოაზროვნენი დათვალიერების ერთნაირი უფლებით სარგებლობდნენ.

თვით ის გარემოება, „ვედრება“ როგორც ადამიანის მოსარჩლე იდეის გამომხატველი, ქრისტიანულ სამყაროში შემავალ ხალხებს შორის ერთ-ერთ ყველაზე საპატიო თემად ქართველ ხალხს რომ ულიარებია, თავისთავად მეტად საგულისხმო ფაქტია. იგი რელიგიისადმი ჩვენი ხალხის თავისუფალსა და ერთგვარ კრიტიკულ დამოკიდებულების შესახებ მეტყველებს. ყველა სხვა რჩეულ გამოსახულებასთან ერთად — ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სურათად „ვედრების“ არჩევა, ადამიანური ინტერესების წინა რიგში წამოწევას ნიშნავს. პირველადი მნიშვნელობის მინიჭება არა მარტო ყველას მიერ აღიარებული ღმერთის ყოვლისშემძლეობის იდეისათვის, არამედ იმ იდეისათვისაც, რომელიც ადამიანურ უფლებათა დამკვიდრებას ეძლვნებოდა, ფრიად საყურადღებო ფაქტია. ჩვენს წინაპრებს „ვედრების“ გამოსახულებისათვის პირველხარისხოვანი ადგილის დათმობით ღმერთთანაც კი მოუნახავს ადამიანური უფლების ლეგალიზების მოხერხებული მისადგომები.

„ვედრების“ თემისადმი მხატვარ თეოდორეს დამოკიდებულება ერთ-ერთი წინასწარ რგოლად გვესახება იმ დიდი ჰუმანისტური მოძრაობისა, რაც ესოდენ მკაფიოდ გამოიხატა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ხოლო „ვედრებისადმი“ განსაკუთრებული ყურადღება ქართულ მხატვრობაში თუ ტრადიციად იქცა, ეს იმასვე მეტყველებს, რომ იგი იმ დროის მოწინავე ქართველთა განწყობილებას გამოხატავდა.

იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროს ფონზე „ვედრების“ მიმართ ქართველ ხელოვანთა განსაკუთრებული პატივისცემა, როგორც ჰუმანისტური მსოფლგაგებისა და ინტერესების გამოვლინება და როგორც მხატვრული უკუფენა პროგრესული ფილოსოფიური აზრისაც და, ბოლოს, როგორც ქართული ხასიათის ანარეკლი, უთუოდ ყურადღების ღირსია არა მარტო ხელოვნების ისტორიის, არამედ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თვალსაზრისითაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი უზილავა

# ლორენს სტერნი და კომიკურის პრობლემა

მე-18 საუკუნის ინგლისური სენტიმენტალური მიმართულების ბრწყინვალე წარმომადგენლის ლორენს სტერნის შემოქმედებამ ღრმა კვალი დააჩნია მსოფლიო ლიტერატურას. თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურაში ჯერაც არ დამცხრალა ცხოველი ინტერესი ლორენს სტერნის რომანებისადმი. ლორენს სტერნმა ისეთი დიდი მასშტაბის გადატრიალება მოახდინა ლიტერატურაში ნაწარმოების ფორმის, შინაარსის, სიუჟეტის მხრივ, რომ თავისი ეპოქის ლიტერატურული ნორმების ერთ-ერთი ძირითადი კანონმდებელი გახდა. მან შექმნა სრულიად ახალი სტილური კატეგორია რომანისა, რომელიც ცნობილია სენტიმენტალურ-იუმორისტული რომანის სახელწოდებით. ლორენს სტერნი მთავარი წარმომადგენელია კომიკური რომანისა, ამ სიტყვის ფართო, ფსიქოლოგიური გაგებით. ლორენს სტერნი რომანში პერსონაჟის დახასიათების სრულიად თავისებურ, ორიგინალურ და ახლებურ სტილს ქმნის. მისი რომანები „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და ფიქრები“ და „სენტიმენტალური მოგზაურობა“ დაწერილია ისე, რომ არ ემორჩილება ბევრ ტრადიციულ ლიტერატურულ ნორმასა და წესს. ლ. სტერნი აღიარებდა კიდეც: — „იმედია, მომიტევებს უფალი ჰორაციუსი, — რადგანაც ჩემს მიერ ჩაფიქრებული წიგნი არავითარ კანონს არ დაემორჩილება, თვად ჰორაციუსის დადგენილიც რომ იყოს“.

სტერნმა თავის შემოქმედებას გრანდიოზული მიზანი დაუსახა — იგი შეეცადა გადმოეცა ადამიანთა ყოფაცხოვრების კომედია, არა იმგვარად, როგორც თვით მოკვდავთ აქვთ წარმოდგენილი, ან როგორც მათზე მსჯელობენ მათი მოქმედებებისა და გარეგნული ქცევების მიხედვით, არამედ როგორებიც არიან ისინი სინამდვილეში. რას წარმოადგენს ადამიანი სინამდვილეში? საკითხის ასეთი დასმა იმას მოასწავებდა, რომ მე-18 საუკუნის ინგლისურმა მწერლობამ აქცენტი გარეგანიდან ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნაზე გადაიტანა. სტერნის მსოფლშეგრძნების სფეროში შემოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც მე-18 საუკუნის ფილოსოფიაში დაისვა, ესაა ადამიანთა კომუნიკაციური ურთიერთობის საკითხი, აღწევენ თუ არა ადამიანები სრულ ურთიერთგაგებას, აღწევს თუ არა სიტყვა თავის საბოლოო მიზანს? რა არის ის სიძნელე, რაც ადამიანს კომუნიკაციის დროს წინ ეღობება?

ეს საკითხები იმ ახალმა ეპოქამ და ლიტერატურულმა მიმართულებამ დასვა, რომლის სულისჩამდგმელი და მესვეური სტერნი გახდა. ეს მიმართულება სენტიმენტალიზმია, რომელიც განმანათლებლობის რეაქციადაა მიჩნეული (თუმცა ამ განმარტებაში ზოგიერთი კორექტივის შეტანა აუცილებლად საჭიროა). თვით ამ მიმართულების სახელწოდებაც სტერნის სახელთანაა დაკავშირებული. სტერნის წიგნის „სენტიმენტალური მოგზაურობის“ შემდეგ სიტყვა „სენტიმენტი“ გახდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურისა და ფილოსოფიის ალფა და ომეგა.

ლიტერატურაში ყოველი ახალი მიმდინარეობის დამკვიდრებისას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ენობრივი ფენომენის გამოჩენას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი ახალი და იმავე დროს დიდი ეპოქის დამკვიდრებას თან სდევს ძირეული გარდატეხა, როგორც ეკონომიკასა, ისე იდეოლოგიასა და აზროვნების სფეროში. ენობრივმა სახეცვლილებამ, ახალი სიტყვებისა და სახეების შემოტანამ, შესაძლოა, არანაკლები როლი შე-

ასრულოს ამა თუ იმ მიმდინარეობის დაფუძნებაში. სწორედ სტერნს ხვდა წილად არა მარტო ახალი მიმართულების პირველი მესიტყვე გამხდარიყო, არამედ შეექმნა ისეთი რომანი, რომლის მსგავსიც მანამდე არ დაწერილა. „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და ფიქრები" არის ისეთი ნაწარმოები, რომლითაც მწერალმა დაარღვია რომანის ტრადიციული ფორმები, მისი სტრუქტურა. ამიტომაც შეხვდა ეს ეპოქა ესოდენ აღელვებით ამ ნაწარმოებს: ერთნი განუზომლად აქებდნენ, მეორენი განუზომლად აძაგებდნენ.

ხშირად ესა თუ ის სიტყვა მთელი ეპოქის გასაღები გამხდარა. ასეთი სიტყვა მე-18 საუკუნის ნეორე ნახევრიდან სიტყვა „სენტიმენტი" გახდა მთელს ევროპაში, რადგან „სენტიმენტალურმა მოგზაურობამ" მართლაც საარაკო გავლენა მოახდინა; როცა სტერნის შემოქმედებას ვსწავლობთ, საჭირო ხდება მის რომანთა ენობრივი შრეებისა და პლასტების საფუძვლიანი ანალიზი, ვინაიდან სტერნის ენობრივი ფენომენი, გარკვეული აზრით, სარკესავით ახახავს იმ პერიოდის აზრებსა და ფიქრებს, მისწრაფებებსა და განწყობილებებს, იმ ძირითად გარდატეხებს, რაც მოხდა აზრისა და გონების სფეროში და გვიჩვენებს იმ ხიახლეს, სენტიმენტალური ლიტერატურის ხიომ რომ მოჰბერა ახალ ეპოქას. მისი გასაღები თვით სიტყვა „სენტიმენტი" იყო. ჩვენი აზრით, იმდროინდელ ინგლისურ ლექსიკაში იმდენი ახალი სიტყვა არ წარმოშობილა, რამდენიც შეძლო ამ ერთი სიტყვის ერთგვარად ანიგმატურმა ბუნდოვანმა მნიშვნელობამ. ამ სიტყვამ მიიღო ახალი ემოციური დატვირთვა და ბევრი საგნისა თუ მოვლენის ეპითეტი გახდა.

სენტიმენტალური ლიტერატურის ზრდასთან ერთად დამკვიდრდა სენტიმენტალური ლექსიკაც. ცალკეულმა სიტყვებმა თავიანთ სრულიად ორდინარულ მნიშვნელობასთან ერთად, შეიძინეს ემოციური ელფერიც. ეს სიტყვები გამოხატავდნენ სამყაროსადმი „სენტიმენტალურ დამოკიდებულებას". სენტიმენტალიზმის დაკნინებაც საუკუნის დასასრულს, ძირითადად, ამ სიტყვების ახალი ემოციური ელფერის დაკარგვის გამოც იყო გამოწვეული. ამ მიმართულების განვითარების გვიანდელ ეტაპზე ეს სიტყვები გამოიყენეს გრძნობის კულტის სიმბოლოდ, ისე რომ ყურადღება არ მიუქცევიათ მათი ექვივალენტური, ემოციური აზრისათვის; სენტიმენტალისტების მიერ გამოყენებული სტილისტური ხერხები და მეთოდები დროთა განმავლობაში გადაიქცა ცარიელ, უაზრო, მოდურ სიტყვებად, და სწორედ ამან თანდათან გამოიწვია სენტიმენტალიზმის დაშლა და რღვევა.

განმანათლებლობის ეპოქაში პირდაპირ საარაკო გამოდგა გადასვლა გონების ბატონობიდან გრძნობის ბატონობისაკენ. ეს თემა ხშირი კვლევის საგანია და მას აღწერენ, როგორც გააფთრებულ რეაქციას განმანათლებლური ზეინტელექტუალიზმის წინააღმდეგ, თუმცა ლიტერატურაში ეს ცვლილება ძალიან ნელა მიმდინარეობდა. მაგრამ გრძნობის ეს კულტი უნდა განვასხვავოთ რომანტიკოსების გრძნობისაგან. რომანტიზმის ეპოქას ტრადიციულად იწყებენ უორდსვორთის „ლირიკული ბალადებით", 1780 წლიდან. შეფტსბერისეული და უორდსვორთისეული გრძნობები კი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ინგლისელი მეცნიერი ფერჩაილდი ამის თაობაზე წერს: „განმანათლებლობამ გონება დასახა, როგორც უნივერსალური გამოვლენა, რომელიც ადამიანის გულშია და „შინაგან სინათლეს" ემსგავსება. იგი ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გრძნობის მეოხებით შეიცნოს მარტივი აქსიომატური ჭეშმარიტებანი, რაიც ბუნების არსს წარმოადგენს". ამდენად მისი აზრით, გრძნობასა და გონებას შორის საზღვარი ძალიან მცირეა. ცნებები „თავი და გული" წარმოადგენს არა ორ ერთმანეთის გამომრიცხავ აზრს, არამედ ერთი და იგივე მოვლენის ორ სხვადასხვა მხარეს. მე-18 საუკუნის განმანათლებლობის ეპოქაშივე მოხდა შერწყმა ამ ორივე მხარისა: აზროვნებასა და გრძნობას შორის ბარიერი წაიშალა. ამ საუკუნის პირველ ნახევარში აზრის ელემენტი ბატონობდა გულისა და გონების კომპლექსთან შედარებით. საუკუნის მეორე ნახევრიდან პრაქტიკულად ეს ორი ტერმინი იდენტური გახდა. გრძნობის ელემენტმა ჰპოვა ნიადაგი, რომელიც ბოლოს სენტიმენტალიზმის დეგენერაციით დამთავრდა და გრძნობის ახალ, რაფინირებულ ხარისხში ავიდა რომანტიზმის ეპოქაში.

ლ. სტერნის ნაწარმოებები აღსავსეა პირობითობებით. მიუხედავად ამისა, „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და ფიქრები" მაინც კომპოზიციურად შეკრული ნაწარმოებია, ყოველი ფრაზა აქ ზუსტადაა განსაზღვრული და ჩაფიქრებული. შინაარსობრივად ამ უაღრესად რთულ ნაწარმოებს გამონახული აქვს განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ამავე ეპოქის რომანებისაგან საგრძნობლად განასხვავებს. სტერნი, როგორც ხელოვანი, როგორც სამყაროს ახალი მხატვრული მოდელის შემქმნელი, არღვევს წინაპართა მიერ დამკვიდრებულ და ტრადიციად აღიარებულ კანონებს. თუმცა „ტრისტრამ შენდი" გასაოცარი უცნაურობითა და ექსცენტრიულობით, კომიკური ეფექტების სრულიად ახლებური და პარადოქსული გააზრებით დაწერილი რომანია (ან რო-

გორც ზოგიერთები მას უწოდებენ „ანტირომანი“), სტერნი მაინც იმ მწერალთა პლეადას მიეკუთვნება, რომელთა როლი ევროპული რომანის შექმნაში ეჭვმიუტანელია.

„ტრისტრამ შენდის ცხოვრება და ფიქრები“ არის ადამიანის ფსიქიკის კომიკური გამოკვლევა, იმავე დროს, ადამიანთა ურთიერთობის, კომუნიკაციური, სიტყვიერი ურთიერთობის კომედია. რა არის სტერნისეული კომუნიკაცია, რა არის, მისი აზრით ინფორმაცია ან ის მნიშვნელობა, რასაც მწერალი ამ კომუნიკაციური ურთიერთობის კომედიით გულისხმობს? ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, როცა სტერნის კომიზმის არსი გვაინტერესებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაწარმოების პერსონაჟთა კომიზმი, ადამიანთა ურთიერთგაგება სიცილის საშუალებითაც ხდება. „ჭეშმარიტება სიცილშია“, ეს არის სტერნის მთავარი დევიზი.

სტერნისეული პერსონაჟები დატანჯულნი არიან ცხოვრებისეული შეზღუდულობისა და პირობითობის დაცვით. მაგრამ ისინი გარკვეული აზრით არღვევენ ამ პირობითობათა ზღუდეს. ამ დარღვევით იწყება მათი მდგომარეობის კომიზმი. მათ არ ძალუძთ შეიცნონ ამ შეზღუდვათა არსი, ალღოს ვერ უღებენ ბევრ პირობითობას. ამიტომაც, სტერნის აზრით, ადამიანი ურთულესი და დახლართული თამაშის მონაწილეა. ადამიანი სასაცილო ხდება იმიტომ, რომ მისი სიტყვა, აზრები ყოველთვის ზუსტად ვერ აღწევს მეორე პიროვნებამდე. იგი სიტყვებს ხშირად ბუნდოვნად ხმარობს, რაც აზრის დაბნელებას იწვევს. საერთოდ, ადამიანის მეტყველებას სტერნი ლოგომახიას უწოდებს, ეს სტერნის შეთხზული ტერმინია. ლოგომახია, მისი აზრით ისეთი მოვლენაა, როცა ადამიანი „მაღალფარდოვან“ სტილს მიმართავს, ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მიზანს ოდნავ თუ აღწევს, და მისი „მჭერმეტყველება“ სრულიად ფუჭია და უნაყოფოა, დაახლოებით ესაა სტერნისეული ადამიანთა კომუნიკაციური ურთიერთობის კომედია. ამიტომაც თავის ნაწარმოებებში იგი გამუდმებით აღევნებს თვალყურს სიტყვის, აზრის ყოველ მოძრაობას. სიტყვათა არასრულყოფილების თაობაზე საკითხი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ჯონ ლოკმა დასვა თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში „ცდები ადამიანის გონების შესახებ“, სადაც საკმაოდ დიდი ნაწილი, კერძოდ თავი „სიტყვათა არასრულყოფილების თაობაზე“ სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას მიუძღვნა. ისევე, როგორც ბევრგან, ამ საკითხშიც სტერნი ლოკის ფილოსოფიის პაროდირებას ახდენს, რითაც კომიკური ეფექტი უფრო საჩინო და გამოკვეთილი ხდება. მოვიყვანთ ერთ ნიმუშს, კერძოდ ლონდონელი ბიძის სიკვდილის ეპიზოდს. ვნახოთ, რა ემოციებს იწვევს ცნება სიკვდილი, სიკვდილზე მსჯელობა ნაწარმოების პერსონაჟეთა შორის.

„ჩვენი ახალგაზრდა ბატონი გარდაიცვალა ლონდონში, — თქვა ობადიამ.

„დედაჩემის მწვანე ატლასის კაპოტი, ორჯერ გაწმენდილი, გაუელვა თავში სუზანას ობადიას წამოძახილზე — ლოკს ტყუილუბრალოდ არ დაუწერია სიტყვების არასრულყოფილების გამო.

— მაშასადამე, — წაიდუდუნა სუზანამ, — ყველას შავების ჩაცმა მოგვიწევს. — მაგრამ ერთხელ კიდევ მიაქციეთ ყურადღება: სიტყვა შავებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა თვითონ სუზანამ წარმოსთქვა, მაინც ვერ შეასრულა თავის ფუნქცია. მან ვერ გააღვიძა ვერავითარი ისეთი აზრი, რომელიც ნაცრისფერი ან შავი ფერის მინიშნებას გამოიწვევდა. ყველაფერი მაინც მწვანე იყო, სუზანას ფიქრი ისევ მწვანე კაპოტს უტრიალებდა...

— სამწუხარო ამბავი შევიტყეთ, ტრიმ! — წამოიძახა სუზანამ, თან ცრემლებს იწმენდდა, როცა ტრიმი სამზარეულოში შემოვიდა, — ბატონი ბობი გარდაიცვალა და დაკრძალეს კიდეც... ყველამ შავები უნდა ჩავიცვათ, — დაუმატა სუზანამ.

— არა მგონია — თქვა ტრიმმა.

— რატომ არა გგონიათ, — ფიცხლად წამოიძახა სუზანამ.

მაგრამ ტრიმი, სუზანასაგან განსხვავებით, შავებზე არ ფიქრობდა. შეიძლება ეს ამბავი ტყუილი გამოდგეს — სამების დღეს კი ცოცხალი იყო, — წამოიძახა მეეტლემ. რა არის სამება, ჯონათან (ასე ეძახდნენ მეეტლეს) ყველიერი ან ყველა წარსული დროება და დღესასწაული ამ ამბავთან შედარებით“.

სტერნის კომუნიკაციური კომედიის ეპიგრაფად შეგვიძლია გამოვიყენოთ მისივე სიტყვები: „ადამიანის სიცოცხლეს ემუქრებიან სიტყვები“. რატომ იტანჯება ადამიანი ამ ბნელი და ქაოსური სიტყვების ლაბირინთში? სტერნი წერს, რომ სიტყვათა უაზრო რახარუხმა ყველაზე გონიერი და ჭკვიანი ადამიანებიც კი დაღუპაო. „თუ წარსული წლების ლიტერატურული ანალები წაგიკითხავთ, მაშინ გეცოდინებათ რა საშინელი ბრძოლები, — ლოგომახიის სახელით რომ მონათლეს — გამოიწვია სიტყვების ბუნდოვანებამ, რის გამოც ეს ლიტერატურული ბრძოლები უსასრულოდ გრძელდებოდა და თან ახლდა სევდისა და მელნის ისეთი გადმონთხევა, რომ ვერც ერთი მგრძნობიარე ადამიანი ყოველივე ამას უცრემლოდ ვერ წაიკითხავს“.

შემდეგ სტერნი მკითხველს მიმართავს: „გონიერო კრიტიკოსო! უთუოდ მიხვდები,

რომ შენი ცოდნა, სიტყვები და საუბრები ხშირად მიზანს ვერ აღწევენ და ბუნდოვანი არიან მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზის წყალობით: რანაირი აურზაური არ ატეხილა კათედრებზე არსისა და სუბსტანციის გამო, ან სწავლულთა აკადემიებში — ძალისა და სულის, ესენციისა და კვინტესენციის, სუბსტანციისა და სივრცის გაგებისათვის. რამდენი აბდაუბდა წარმოთქმულა უფრო ფართო სცენიდან სრულიად უმნიშვნელო და წვრილმან ამბებზე, — როცა გაიხსენებ ყოველივე ამას — მაშინ აღარ გაგიკვირდება ძია ტობის გასაჭირი, — შეგეცოდება მთელი მისი სამარი აღჭურვილობა. იდეები კი არა — ღმერთო დაგვიფარე — სიტყვები დაღუპავენ მის ცხოვრებას“.

აქ მოყვანილი პასაჟები მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია იმ უამრავთაგან, რომლებშიც ნათლად მოჩანს სტერნის პოზიცია ადამიანთა სიტყვიერი ურთიერთობის ასახვისას. ამ ურთიერთობათა კომედიაში ადამიანს წილად ხვდა ბრმად ებრძოლოს ცხოვრებას მისთვის განკუთვნილ დროსა და სივრცეში. როცა ადამიანი მოქმედებს ისე, თითქოს მას ესმის თავისი დანიშნულება და ამის მიხედვით სჭედს თავის ბედს, სტერნის მიხედვით ის სასაცილოა. ადამიანის პრეტენზია, ჩასწვდეს ჭეშმარიტებისა და სიბრძნის არსს, „ტრისტრამ შენდიში“ პერმანენტული კომიზმის საგანია.

ამ თვალსაზრისის ილუსტრაციას წარმოადგენენ სტერნის ნაწარმოების პერსონაჟები: ვალტერ შენდი (ტრისტრამის მამა) — ბრწყინვალე ნატურფილოსოფოსია, მაგრამ თავის ცოდნას სასარგებლო საქმეს ვერ ახმარს, გაუთავებლად მსჯელობს სრულიად უმნიშვნელო მოვლენებზე, სიტყვები ტრისტრამი, ცხვირი და ბაკენბარდები — მასთვის „უდიდესი პრობლემური საკითხებია“, რაც მას „ღრმა ფილოსოფიური მედიტაციების საშუალებას აძლევს. შემდეგ ტობი შენდი (ტრისტრამის ბიძა) — იგი დაიჭრა ბრძოლაში ნამიურის ციხის ალყის დროს. იგი მეტისმეტად ორიგინალური და ახირებული პიროვნებაა, უფრო სწორად თავისებური დონკიხოტია. მასაც დონკიხოტივით აკვიატებული აქვს ციხე-სიმაგრეების დაპყრობა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის ქარის წისქვილებს კი არ ებრძვის, არამედ მის მიერ აღებულ ქალაქებს რუკაზე ქინძისთავით აღნიშნავს და თავისი თავი ამ ბრძოლების გმირად წარმოუდგენია. იგი აგებს ციხე-სიმაგრეებს, შემდეგ ალყას არტყამს მათ, იპყრობს და ეს არის მისი ცხოვრების კომედია.

შემდეგი პერსონაჟია კაპრალი ტრიმი — ძია ტობის მოსამსახურე, მისი სანჩო-პანსა. მას აკვიატებული აქვს აზრი თითქოს ამ ქვეყნად დიდი მისიისათვის არის მოვლენილი. სამარი ბრძოლებისათვის მას ვეებერთელა მინდორი აქვს ამორჩეული და, როგორც დიდი სტრატეგი, გაუთავებელ რჩევა-დარიგებებს აძლევს თავის ბატონს, როგორ აიღონ ესა თუ ის ციხე.

იორიკი — სოფლის მღვდელი, ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებული სოფელ-სოფელ დადის. მისი ჯაგლაგი აგერ-აგერ წაიქცევა, მის არარეალურ, წარმოსახულ ხუხულებთან ერთად. „ეს ჯაგლაგი, — წერს სტერნი, — როსინანტს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა“. ასეთ მინიშნებებს „დონ-კიხოტზე“ სტერნი არც თუ იშვიათად აკეთებს, ასე, რომ სერვანტესისა და სტერნის მიერ აგებული მხატვრული მოდელები ბევრი რამით შეიძლება მსგავსნიც არიან. სტერნი ცდილობს მღვდელი იორიკი ისეთივე სასაცილო გახადოს, როგორც როსინანტზე ამხედრებული რაინდი. ასეთი ჯაგლაგი კი მწერალმა იმისათვის გამოიგონა, რომ მხოლოდ მაშინ შეეძლო მღვდელს ემსჯელა „წუთისოფლის ამაოებასა და ცხოვრების სწრაფმავლობაზე“. ამ იორიკის წინაპარი, სტერნის აზრით, დანიის სასახლის კარის მასხარაა. არსებითად, იორიკი მის საქმეს აგრძელებს მე-18 საუკუნეში, მაგრამ ახალ ნიღაბს ატარებს. იორიკის პროფესია ამ საუკუნეში უფრო სახიფათოა.

ლორენს სტერნი ბევრს სწავლობს შექსპირის, რაბლესა და სერვანტესისაგან. ამაზე თვითონაც ხშირად მიუთითებს ხან პირდაპირ და ხან გადაკრულად. როგორც ცნობილია, რაბლეს რომანში რომელიმე იდეა ორგვარ, სამგვარ ენობრივ ფენომენში გაივლის ხოლმე. მისი „გარგანტუა და პანტაგრუელი“ გრანდიოზული სატირაა ხავსმოდებულ სქოლასტიზმსა, ცრურწმენასა და რელიგიაზე. ასევე დასცინის სერვანტესიც შუასაუკუნეების რაინდულ იდეალებს. იგი რომანის სტრუქტურის ასაგებად იყენებს ხერხს, რომელიც ავლენს სიტყვათა შინაგან ორაზროვნებას. მას გარკვეული დამოკიდებულება აქვს როგორც საკუთარ სახელებთან, ასევე სიტყვებთან. სტერნს სერვანტესისაგან მოაქვს სიტყვის შინაგანი ბუნების ამბივალენტური ხასიათის თვისებები. მაგალითად, ვალტერ შენდის ერთ-ერთი უსაყვარლესი გასართობია საკუთარ სახელთა და გვართათვის მაგიური ძალის მინიჭება. სტერნს სახელებითა და გვარებით გართობა „ტრისტრამ შენდიში“ იმავე ხარისხში აჰყავს, როგორც სერვანტესს. ტრისტრამის მამის, ვალტერ შენდის აზრით, ადამიანისათვის სახელის არჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი მომავლისათვის. მამამისმა ტრისტრამის დაბადებაზე ორი წლით ადრე სახელის არჩევაზე ფიქრი დაიწყო. ეს აზრი ტანჯავდა მის გონებას. თუმცა, ყველაზე მეტად სძაგდა სახელი ტრისტრამი, ის დისერტაციასაც კი წერდა ამ სახელისადმი მიძღვნილს, სადაც ზიზღითა და წყევ-

ლა კრულვით იხსენიებდა მას. მაგრამ თავის შვილს ბოლოს მაინც ტრისტრამს არქმევს. დონ-კიხოტმა მისი აზრით, იმიტომ ჩაიდინა ამდენი გმირობა, რომ მისი სატრფოს დულცინეას სახელი უდიდესი გამბედაობისაკენ მოუწოდებდა მას.

ისევე როგორც არსებობს დონკიხოტობა, ასევე არის შენდიანური სამყაროც და ლიტერატურაში იგი უნიკალური მოვლენაა. ესაა ახირებული ადამიანთა სამყარო, სადაც ყველას თავისი დამახასიათებელი ხუხულა აუგია და ამით ცხოვრობს. მათი ცხოვრების ყაიდას სტერნი უწოდებს შენდიანურ სისტემას. ამ სისტემაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნაწარმოების მთავარი გმირი — ტრისტრამ შენდი, ის ამბის მთხრობელია მაშინაც კი, როცა ჯერ არ დაბადებულა. იგი იბადება რომანის მეოთხე ტომის დასაწყისში. ნაწარმოების დასასრულს, მეხუთე ტომში ის მხოლოდ ხუთი წლისაა. ტრისტრამის ყოველგვარი მსჯელობა ორაზროვანია. სიტყვის ამბივალენტური ხასიათი სტერნისათვის გაუთავებელი საოცრებების წყაროა. როგორც კომიკოსი, იგი გონებამახვილურად იყენებს სიტყვისა და წინადადებების ორაზროვან მნიშვნელობას. იგი თითქოს, ყოველთვის გრძნობს სიტყვის უმცირეს ნიუანსსა და ელფერს. საერთოდ აქ კომიზმის ერთ-ერთი ხერხი სწორედ სიტყვათა მრავალმნიშვნელოვანი პლანით ხმარებაა. ამიტომაცაა, რომ სტერნის სტილური ხერხები ხშირად მიჩნეულია ექსცენტრიულად და ახირებულად. თითქოს აქ ხდება დამკვიდრებული ლიტერატურული კანონებიდან საგანგებო გადახრა, ტრადიციული ხერხების უარყოფა. მაგრამ ასეთი შეფასება ჭეშმარიტებიდან საკმაოდ შორს არის.

აქ ისიც უნდა შეინიშნოს, რომ ის კომიკური ტრადიცია, რომელსაც სტერნი იზიარებს, გარკვეული აზრით, უფრო სატურნალურია ვიდრე სატირული; ისევე, როგორც სატურნალურ დღესასწაულებში, რომელთაც ძველ რომში ხვნა-თესვისა და მოსავლის ღმერთის სატურნის პატივსაცემად მართავდნენ, სტერნის რომანის სული და პერსონაჟებიც გამსჭვალულნი არიან განთავისუფლების „სადღესასწაულო“ ატმოსფეროთი. აქ ერთი მეორის მოყოლებით გამოდიან ნიღბები. სტერნს უნდა ცოტა ხანი შეისვენოს, მაგრამ ამაოდ. „ახლა მკითხველს ვთხოვთ დამეხმაროს, ძია ტობის არტილერია კულისებში გადავიტანო, თავიდან მოვიშორო მისი სათვალთვალო კოშკი და თუ შესაძლებელია, თეატრი დავცალო, გზიდან ჩამოვიცილო მისი საომარი ბარგი-ბარხანა. მხოლოდ ამის შემდეგ, ძვირფასო მეგობარო გარიკ, ავიღოთ ხელში სანთლები, სცენა ახალი ცოცხით დავგავოთ და ძია ტობი ახალ როლში გამოვიყვანოთ:...“ სტერნი ხშირად მიმართავს თეატრალურ საშუალებებს, ნიღბებს და ერთი და იგივე პერსონაჟი სხვადასხვა როლში გამოჰყავს. სტერნის პერსონაჟები ისეთი ადამიანები არიან, რომელნიც ცხოვრებაში განსაკუთრებული გზებით დადიან და თავისი ფილოსოფია აქვთ.

დღესაც დამთავრებული არ არის კამათი იმის თაობაზე, თუ რა ჟანრს განეკუთვნება სტერნის რომანი. ამასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემაა გასათვალისწინებელი. რა კრიტერიუმი უნდა მივუყენოთ ასეთი რანგის ნაწარმოებს? აღიარებული, ორთოდოქსალური კრიტერიუმი თანმიმდევრობითი თხრობისა, ფორმისა და შინაარსის ერთიანობისა, ამ შემთხვევაში ნაკლებად ხელსაყრელია. აქ ყურადღებაც უნდა მიექცეს თხრობის იმ მანერას, რომელსაც ტრისტრამ შენდი გვთავაზობს. ტრისტრამი არა მარტო თავისი ცხოვრების, არამედ ფიქრების ზედმიწევნით დეტალიზაციას ახდენს. „მე მიზნად დავისახე აღვწერო არა მარტო ჩემი ცხოვრება, არამედ ჩემი ფიქრები, იმ იმედითა და მოლოდინით, რომ პირველისაგან შეიტყობთ ჩემს ხასიათს, მიხვდებით რა კაციცა ვარ, მაშინ ალღოს აუღებთ მეორეს და არც ერთი წვრილმანი უაზროდ არ მოგეჩვენებათ...“ თვით ტრისტრამის პიროვნება ამ ნაწარმოებში არის პრიზმა, რომლის არილშიც არეკლილია ვალტერისა და ტობის ხასიათები.

სტერნის რომანს ჩვენ პირობითად დავარქმევთ რაფსოდიული ხასიათის ნაწარმოებს (აქვე ბოდიში გვინდა მოვიხადოთ ამ მუსიკალური ტერმინის გამოყენებისათვის, რადგან იგი მეტაფორულად და არა ზუსტად გამოხატავს იმ აზრს, რომელსაც ამ ტერმინში ვდებთ. სამწუხაროდ, ლიტერატურათმცოდნეობას ჯერჯერობით არ მოეპოვება მკაცრი, ზუსტად განსაზღვრული მეცნიერული ტერმინოლოგია. ამიტომაც დაარქვა მ. ბახტინმა დოსტოევსკის რომანებს „პოლიფონიური“ თუმცა ესეც მეტაფორული განსაზღვრა იყო). უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ტერმინი ვისიმე ანალოგიით არ გვიხმარია. ამის საფუძველს თვითონ ნაწარმოები იძლევა. თვით სტერნს აქვს მითითებული „ტრისტრამ შენდის“ რაფსოდიულ ხასიათზე, ხოლო „ტრისტრამ შენდის“ ბრწყინვალე რუს მთარგმნელს ი. ფრანკოვსკის ამის თაობაზე ასეთი კომენტარი აქვს გაკეთებული — სტერნი სიტყვა „რაფსოდიულს“ ცხადია, ხმარობს მისი არა ჩვეულებრივი მნიშვნელობით („საზეიმო, „სადღესასწაულო“), არამედ გულისხმობს ამ ნაწარმოების სიჭრელეს და იმ მრავალპლანოვან შედგენილობას, რომელიც ცალკეული ნაჭრების შეერთებით არის შექმნილი; სიტყვა „რაფსოდი“ ანტიკური განმარტების

მიხედვით, სწორედ ამას ნიშნავს — „სიმღერების შემკრებს“. ლორენს სტერნის რომანიც რაფსოდიულია იმიტომ, რომ მასში მოთავსებულია ათასობით ენციკლოპედიური ხასიათის ცნობა, გაშიფრულია წარწერები, შეგროვილია ანეკდოტები, ჩაქსოვილია სხვადასხვა ამბები, თქმულებები და სხვა.

როგორ არის აგებული სტერნის შენდიანური რაფსოდია? ნაწარმოებში მოქმედებს ორი პლანი, რაც ნაწარმოების მექანიზმს წარმოადგენს: უკუსვლითი და წინსვლითი თხრობა, აქ ორი ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულების თხრობაა, რომელიც შეუთავსებლად ითვლებოდა იმ ეპოქის რომანში.

პირველი უკუსვლითი თხრობა ასახავს ტრისტრამის ცხოვრებას, მეორე მის ფიქრებს. რატომ ხდება წიგნში ეს გადახვევები და ასეთი ხშირი წიაღსვლები? რატომ არ ვითარდება ერთიანი სიუჟეტური ხაზი? რა არის ამ გადახვევათა მიზანი: აი, როგორ ხსნის სტერნი ამ ხერხს: „არაფერი არ არის ამქვეყნად თავის ქებაზე უფრო საძაგელი, მაგრამ არაფერია იმაზე უარესიც, როცა შენი ხელოვნების საიდუმლო სამარეში მიგაქვს“, სტერნს ეს ხერხი უდიდეს აღმოჩენად მიაჩნია. ეს გადახვევები ამ ნაწარმოების მარილია. წინსვლითი და უკუსვლითი თხრობა, რაც ნაწარმოების შინაგან, მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, „ტრისტრამ შენდში“ რაფსოდიულად არის შერწყმული. აქვს თუ არა ამის გამო სტერნის ნაწარმოებებს რაიმე სიუჟეტი? ერთი მხრივ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გადახვევების გამო, რაც თანმიმდევრული თხრობის საშუალებას არ იძლევა, სიუჟეტის ელემენტი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, ნაწარმოებში არ არის. სტერნის აზრით ეს გადახვევები მზის სინათლესა ჰგავს. ისინი წარმოადგენენ ნაწარმოების სულსა და გულს. თუ მათ წიგნიდან ამოვიღებთ, თხრობა ყოველგვარ ელფერს დაკარგავს. „მწერლის ხელოვნება ის არის, რომ ისინი ისე ოსტატურად შეადუღაბო, მკითხველსაც და მწერალსაც ესიამოვნოს... ამიტომაც გადავხლართე ერთმანეთში თემა და მასზე დამოკიდებული ნაწილები, — დასძენს სტერნი. ლ. ტოლსტოი სტერნს აღფრთოვანებული სიტყვებს უძღვნიდა წერის ასეთი მანერის გამო და თვითონაც თავის შემოქმედებაში გარკვეულად იზიარებდა ამ ხერხს.

დღესაც ჩიხში ემწყვდევა ბევრი მკვლევარი, როცა ჯერი მიდგება იმაზე, მიაკუთვნონ თუ არა „ტრისტრამ შენდი“ რომანთა რიგს, რადგანაც რომანის ბევრი ტრადიციული აქსესუარი ამ ნაწარმოებს არ გააჩნია. ზოგიერთი მეცნიერი (ნ. ტრონსკაია და სხვა) მას „ანტირომანსაც“ უწოდებს. ხოლო ევროპელი მკვლევარები (ვ. ბ. უოტკინსი, მელხიორი გეორგი), იმის გამო, რომ ის უსიუჟეტო რომანია, მას მოდერნისტების წინამორბედადაც თვლიან. სტერნს დაშლილი აქვს რომანის მთელი სტრუქტურა. თითქოს ლაბორატორიული მიკროსკოპის საშუალებით ხდება ყოველ დეტალზე დაკვირვება. თანამედროვე დასავლური პროზაც ხომ სიუჟეტისაგან განთავისუფლების ცდაა (ამის მაგალითად ჯოისის „ულისეც“ იკმარებდა. ფლობერიც ოცნებობდა შეექმნა უსიუჟეტო რომანი). ამ საკითხს მიეძღვნა უამრავი წერილი და მეცნიერული გამოკვლევა, მათ შორის „ჯეიმს ჯოისი და ლორენს სტერნი“, „სტერნი თანამედროვე ფსიქოლოგიის შუქზე“, „რომანის ტექნიკა — სტერნი, პრუსტი“, „ცნობიერების ნაკადი თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურაში“, სადაც სტერნი ამ მეთოდის ერთ-ერთ პირველ პრაქტიკოსადაა აღიარებული, „სენტიმენტალური აბსურდი — სტერნი და კამიუ“, „ლ. სტერნისა და თ. მანის დროის კონცეფცია“ და უამრავი სხვა ნაშრომები, რომლებიც თანამედროვე რომანის პრობლემებს აღძრავენ.

როცა სტერნის შემოქმედებაში ჟანრის საკითხებს ვეხებით, ორი ასპექტია გასათვალისწინებელი — ისტორიული და ფსიქოლოგიური. ისტორიულად „ტრისტრამ შენდის“ კავშირი აქვს რაბლესა, სერვანტესსა და ბერტონთან. ფსიქოლოგიურად — თანამედროვე რომანთან. მიუხედავად იმისა, რომ სტერნი ცდილობს დიალოგის სახით ააგოს თავისი რომანი, წიგნის უმეტესი ნაწილი მონოლოგზეა აგებული. მისი რომანი, ბეჭდვის ხელოვნების თავისებურებითაც გამოირჩევა: აქ ვგულისხმობთ ტირეების, სასვენი ნიშნების, გამოტოვებული, ცარიელი გვერდების, ნახაზების და სხვა კომპონენტთა ექსცენტრიულ ხმარებას. მიუხედავად სტერნის უდიდესი მჭერმეტყველური ოსტატობისა, მისი წიგნი უფრო „სანახაობითია“ ვიდრე მოსასმენი. მწერლის თავისებური პუნქტუაცია, ოთხი ან ხუთი ტირეს ერთად ხმარება, ხშირად უფრო ვიზუალური ეფექტისათვის არის განკუთვნილი. მისთვის მთავარია, როგორ გამოიყურება სიტყვა წინადადებაში. სტერნი ხანდახან ცდილობს ცხრავე ტომის დიაგრამა ააგოს.

ჟანრის საკითხთან ერთად დგება მთავარი პერსონაჟის საკითხიც. რა პერსონაჟი შეიძლება ვუწოდოთ ტრისტრამ შენდის, რომელიც რომანის პირველ ნახევარში ჯერ დაბადებული არ არის, ისე გვესაუბრება, ხოლო წიგნის დასასრულ ხუთი წლისა ხდება? ტრისტრამის ასაკს მწერლისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ტრისტრამი ერთსა და იმავე დროს არის მთხრობელი და ხუმარა, მხოლოდ, ის განეკუთვნება ბრძენ ხუმარათა რიცხვს. ტრის-

ტრამი არა მარტო ართობს და აცინებს მკითხველს. არამედ აფიქრებს კიდეც.

თუ პარალელს გავავლებთ სერვანტესის „დონ-კიხოტთან“, რომელიც პაროდიაა იმდროინდელი რაინდული რომანებისა, წალეკილი რომ ქონდათ სერვანტესის ეპოქა, სტერნის რომანი „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და ფიქრები“ მე-17 და მე-18 საუკუნეებში მოზღავებული გმირების „ცხოვრებისა და ფიქრების“ ჟანრის კარიკატურის ცდასაც წარმოადგენს. სტერნი თავის პერსონაჟებს უქმნის ტრადიციულ კომიკურ ფონს, რომელიც ფილდინგის კომიკური ეპოსის ტრადიციებსაც ერთგვარად იზიარებს. ხოლო როცა ტრადიციების გაზიარებაზე ვლაპარაკობთ, სერვანტესისეული და სტერნისეული კომიზმი ბევრ რამეში ემსგავსება ერთმანეთს. ამაზე სწორად შენიშნავს ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე არნოლდ კეტლი: „უფროსი შენდის აბსტრაქტული სიბრძნით გატაცება, ტობის ახირებულობა მის მიერ წარმოსახვითი ციხე-სიმაგრეების ალება, ყველა ეს სერვანტესისეული, ერთი რანგისა და ტიპის კომიკური კონფლიქტებია“.

სტერნისეული შუასაუკუნებრივი კათოლიკური ეკლესიის პაროდია რაბლესეული სატირის დონეს აღწევს. სტერნს რომანში მთლიანად მოჰყავს ერთ-ერთი საეკლესიო დოკუმენტი — საეკლესიო ანათემა, ცნობილი ერნულფის ანათემა, რომელიც „ულმერთო მოკვდავთა“ წინააღმდეგ იყო მიმართული. ბრწყინვალე სატირის ნიმუშია ის ფაქტი, რომ სწორედ ეს რელიგიური დოკუმენტი, რეალურად არსებული, არის ყველაზე ულვთო და მკრეხელური. უდიდესი ოსტატობითა და გაქანებით არის დაწერილი რომანში ჩართული გროტესკული მოთხრობა, რომელსაც „სლოკენ ბერგიუსის მოთხრობა“ ეწოდება. ეს არის სტრასბურგში ჩამოსული უცხოელი მგზავრის უზარმაზარი ცხვირის გამო გამართული კამათი, რომელშიც ჩაბმულნი არიან სტრასბურგის ორივე უნივერსიტეტის თეოლოგნი. მეოთხე ტომს, რომელშიც ეს მოთხრობა შედის, სტერნმა ასეთი ეპიგრაფი წაუმძღვარა: „მე არ მეშინია უბირ ადამიანთა გაკიცხვისა. მაგრამ მაინც მივმართავ მათ თხოვნით — მოწყალე თვალით შეხედონ ჩემს თხზულებას, რომელშიც მიზნად დავისახე სერიოზულიდან სახუმაროზე და სახუმაროდან სერიოზულზე გადავსულიყავი“. ეს სიტყვები ეკუთვნის მე-11 საუკუნის ინგლისელ ფილოსოფოსს, აბელიარის მოწაფეს იოანე სოლსბერიელს. ამ მოთხრობაში სწორედ სრულიად გროტესკული ამბები ენაცვლება სერიოზულ თხრობას. სერიოზულის გაშარჟება, ხოლო კომიკურის გასერიოზულება, სტერნის კომიზმის ძირითადი ხერხია.

მეტად ორიგინალური პერსონაჟია სოფლის მღვდელი იორიკი. იგი გვხვდება არა მარტო „ტრისტრამ შენდიში“, არამედ „სენტიმენტალურ მოგზაურობაშიც“. ხოლო „მღვდელ იორიკის ქადაგებაშიც“ მთავარი გმირია. იორიკი ტრისტრამ შენდის შორეული ექოა, იმავე დროს სტერნის ტრაგიკომიკური ფსევდონიმია. „ქადაგებანი“ სტერნმა შექმნა მაშინ, როცა ის სოფლის მღვდელი იყო. იორიკი არის საოცრად კეთილშობილი და უბოროტო პიროვნება. ის იმავე დროს დონკიხოტისებური ადამიანიცაა.

სტერნის სენტიმენტალიზმი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. სტერნის ეპოქაში ეს სიტყვა არ იხმარებოდა ზუსტად იმ მნიშვნელობით, რასაც მას დღეს ანიჭებენ. სტერნი არ ამკვიდრებს მხოლოდ „გრძნობას“. სტერნის სენტიმენტალობა იმაშიც გამოიხატება, რომ მან რეალურ სამყაროსთან ახლებური მიდგომისა და აღქმის ხერხი დაამკვიდრა, „ცხოვრების ძირითადი წინააღმდეგობანი სუბიექტურ განცდათა სფეროში გადაიტანა“. რაციონალიზმის დამსხვრევას მალე სენტიმენტალიზმის დაკნინებაც მოჰყვა. სწორედ იმ ეპოქაში ჩაისახა თვისობრივად ახალი სახის, კომიზმ-იუმორის, როგორც სტილური კატეგორიის შექმნა, იგი განსახიერებული იყო „მგრძნობიარე“ ადამიანის ეჭვებში, რომელმაც დაინახა, რომ მისი მგრძნობელობა გარკვეულად ილუზია და ფიქცია იყო. თავისი შემოქმედებითი მრწამსით სტერნი, ერთის მხრივ, უკავშირდება წმინდა სენტიმენტალისტებს, მეორე მხრივ, კი პირიქით ანგრევს მგრძნობელობას. სტერნის შემოქმედებაში განმანათლებლური იდეოლოგიის კრიზისი ორივე ასპექტში იჩენს თავს — როგორც გადაფასება გრძნობისა და გონებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ნოდარ კიკვაძე*

# დაუმორჩილებელი ინდოჩინეთი

1973 წლის 27 იანვარს, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, საერთაშორისო კონფერენციების სახლში ავენიუ კლებერზე, ამერიკის შეერთებული შტატების, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისა და საიგონის რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ.

მრავალტანჯულმა ვიეტნამელმა ხალხმა, მთელი მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა შვებით ამოისუნთქეს — დამთავრდა უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი, „ყველაზე ჯალათური და სულელური“ ომი თვით ამერიკელთა შეფასებით.

მეორე მსოფლიო ომამდე ინდოჩინეთის ქვეყნები — ვიეტნამი, ლაოსი და კამბოჯა — საფრანგეთის კოლონიურ სამფლობელოს წარმოადგენდნენ, იაპონელი მილიტარისტების მიერ ინდოჩინეთის ოკუპაციის შემდეგ იქ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც თავის ზენიტს 1945 წლის აგვისტოში მიაღწია. ვიეტნამის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლეს გამარჯვებამდე მიეყვანათ ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუცია და 1945 წლის 2 სექტემბერს გამოაცხადეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. დროებითი რევოლუციური მთავრობის თავმჯდომარე გახდა ლეგენდარული „ბაბუა ჰო“ — შემდგომში რესპუბლიკის უცვლელი პრეზიდენტი, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი სახელგანთქმული მოღვაწე ჰო ში მინი, 1951 წელს ვიეტნამის მშრომელთა პარტიად გარდაქმნილი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე.

ფრანგი იმპერიალისტები არ შეურიგდნენ მდიდარი კოლონიის დაკარგვას. 1945 წლის შემოდგომაზე მათ დაიკავეს საიგონი, ხოლო შემდეგ მთელი სამხრეთი და ცენტრალური ვიეტნამის ნაწილი. 1946 წლის დეკემბერში მათი ჯარები ჩრდილოეთში შეიჭრნენ, სადაც რესპუბლიკის მთავრობა იმყოფებოდა. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხალხის დამორჩილება ფრანგმა აგრესორებმა ვერ შეძლეს. 1950 წლიდან ომის მსვლელობაში გარდატეხა დაიწყო, რაც განპირობებული იყო ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის პოლიტიკით, სახალხო მასების მხარდაჭერით მემამულური მიწათმფლობელობის გაუქმებისა და სხვა სოციალურ-ეკონომიური რეფორმებისათვის.

უკვე ამ პერიოდში აშშ მთავრობა აქტიურად ეხმარებოდა ფრანგ იმპერიალისტებს. 1950-54 წლებში მან 2,6 მლრდ დოლარი მისცა სესხად პარიზს, რითაც იკისრა ვიეტნამში საფრანგეთის მხედრიონის ხარჯების 80-მდე პროცენტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1954 წლის აპრილში მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა განაცხადა: „ჩვენ უნდა ავიღოთ ჩვენს თავზე რისკი და გავგზავნოთ იქ ამერიკელი ბიჭები“, ხოლო სახელმწიფო მდივანმა, ულტრარეაქციულმა პოლიტიკოსმა ჯონ ფოსტერ დალესმა ინგლისის ჩარევა მოითხოვა და ნებართვაც ინდოჩინეთისა და ჩინეთის ტერიტორიების დაბომბვისა.

მაგრამ საფრანგეთის არმიას ვერაფერმა უშველა. 1954 წლის მაისში მან უმძიმესი მარცხი განიცადა დიენბიენფუსთან, როცა გენერალი დე-კასტრი იძულებული აღმოჩნდა დანებებოდა პატრიოტულ ძალებს. საფრანგეთმა, რომე-

ლმაც ამ ომში 320 ათასი კაცი დაჰკარგა, შეწყვიტა აგრესია. იმავე წლის ივლისში ჟენევაში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო კონფერენციამ ვიეტნამის საკითხებზე. მიღწეული შეთანხმებანი ადასტურებდნენ ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებას კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩრდილოეთ ვიეტნამი მთლიანად გათავისუფლდა აგრესორთა ჯარებისაგან. სამხედრო სადემარკაციო ხაზად, რომელიც მხოლოდ დროებით ჰყოფდა ჩრდილოეთსა და სამხრეთ ვიეტნამს, დადგენილ იქნა მე-17 პარალელი. შეთანხმება ითვალისწინებდა საფრანგეთის არმიის გაყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან და ვიეტნამის გაერთიანებას ორი წლის შემდეგ ერთიანი მშვიდობიანი და დამოუკიდებელი ქვეყნის ფარგლებში, საყოველთაო არჩევნების ჩატარების შედეგად. არჩევნები უნდა ჩატარებულიყო აგრეთვე ლაოსსა და კამბოჯაში. იკრძალებოდა ამ ქვეყნებში უცხოეთის ჯარების შეყვანა, იარაღის შეზიდვა, მათი მონაწილეობა რაიმე სამხედრო კავშირებში. ხელმომწერი ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ პატივი ეცათ ინდოჩინეთის ქვეყნების სუვერენიტეტისათვის და არ ჩარეულიყვნენ მათ საშინაო საქმეებში.

აშშ მთავრობამ, რომლის დელეგაცია მონაწილეობდა ჟენევის თათბირში, უარი თქვა ხელი მოეწერა დასკვნითი დეკლარაციისათვის. მაგრამ განაცხადა, რომ არ გამოიყენებდა ძალას მის დასარღვევად. ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური ფანდი — დალესმა 1954 წლის სექტემბერში „სეატოს" აგრესიული ბლოკი შეაკოწიწა, რომლის ამოცანას წარმოადგენდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იმპერიალისტების ბატონობის შენარჩუნება და მომდევნო პერიოდში დაიწყო აქტიური დახმარების აღმოჩენა რეაქციული ძალებისათვის კამბოჯასა და ლაოსში. ამან 1960 წლის აპრილში ლაოსში პატრიოტული ძალების აჯანყება გამოიწვია და ვაშინგტონი იძულებული გახდა ლაოსის საკითხების შესახებ ჟენევის კონფერენციის მოწვევაზე დათანხმებულიყო. 1962 წლის ივლისში ხელმოწერილ იქნა დეკლარაცია ლაოსის ნეიტრალიტეტის, პოლიტიკური სუვერენიტეტისა და უცხოელთა ჩაურევლობის შესახებ.

ფრანგი აგრესორების განდევნის შემდეგ ჩრდილოეთ ვიეტნამის მშრომელები ენთუზიაზმით შეუდგნენ სახალხო მეურნეობის აღდგენას. 50-იანი წლების დასასრულს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულ იქნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების დახმარებით დაიწყო მსხვილი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, ჩატარდა სოფლის მეურნეობის კოოპერირება.

1955 წლის ოქტომბერში აშშ მთავრობამ დაარღვია ჟენევის შეთანხმებანი და აშკარად ჩაერია სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში, როცა ხელი შეუწყო საიგონში ნგო დინ დიემის მარიონეტული რეჟიმის შექმნას. შეერთებულმა შტატებმა ჩაშალეს 1956 წლისათვის დაგეგმილი საყოველთაო არჩევნები და ფსევდოკონსტიტუციით პრეზიდენტად გამოცხადებულმა ნგო დინ დიემმა კატეგორიული უარი თქვა ვიეტნამის ევენტუალურ გაერთიანებაზე. დაიწყო ამერიკის სამხედრო ძალების ინფილტრაცია სამხრეთ ვიეტნამში და 1961 წლისათვის იქ უკვე 17 ათასამდე ამერიკელი „მრჩეველი" ეხმარებოდა მარიონეტ პრეზიდენტს დიქტატორული რეჟიმის განმტკიცებაში. ამდენად სრულიად მართალი იყო სენატორი ერნსტ გრიუნინგი, როცა ამბობდა: „შეერთებული შტატები აგრესორებს წარმოადგენენ ვიეტნამში. ჩვენ თვითონ მივიპატიჟეთ ჩვენი თავი იქ და სამხრეთ ვიეტნამის სამოქალაქო ომში ჩავერიეთო". როცა ნგო დინ დიემი თავისი პრეტენზიულობის გამო მეტად ოდიოზური გახდა, ამერიკელებმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყეს და „უცხო პირთა" მიერ მოკლული მარიონეტი 1963 წლის ნოემბერში გზიდან ჩამოიშორეს.

ვაშინგტონის აგრესიამ სამხრეთ ვიეტნამში პატრიოტული ძალების მობილიზება გამოიწვია. 1960 წლის დეკემბერში იქ ჩამოყალიბდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ნაციონალური ფრონტი, რომელშიც სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის მქონე პატრიოტული ძალები გაერთიანდნენ და რომელმაც ბრძოლა გააჩაღა მომდევნო, დიდი თუ მცირე კალიბრის ამერიკელი მარიონეტების წინააღმდეგ. 1961 წელს ჩამოყალიბდა ნაციონალური ფრონტის რეგულარული არმია და ამერიკელ იმპერიალისტებს მოუხდათ მის წინააღმდეგ ჯარისკაცების ახალახალი კონტინგენტების გაგზავნა. 1968 წლისათვის ამერიკის არმიის რაოდენობამ სამხრეთ ვიეტნამში 570 ათას კაცს მიაღწია. იქ იყო კონცენტრირებული აშშ სახმელეთო ძალების 40 პროცენტი, ტაქტიკური ავიაციის 50 პროცენტამდე და სამხედრო-საზღვაო ძალების ერთი მესამედი.

შორეულ ინდოჩინეთში ომის ქაობში ჩაფლობამ უკვე მაშინ ჩააფიქრა სერიოზულად ამერიკის პოლიტიკური ოლიმპის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, თუნდაც ისეთი, როგორიც კორეის ავანტურის ცნობილი გმირი იყო — გენერალი დუგლას მაკარტური. ამასწინათ გამოქვეყნებულ მემუარებში პრეზიდენტ ჯონ კენედის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი კენეტ ო' დონელი მოგვითხრობს, რომ მაკარტურს 1961 წელს რჩევა მიუცია პრეზიდენტისათვის ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების გამოყვანის აუცილებლობის შესახებ. ო' დო-

ნელი დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს თითქოს გადაწყვეტილი ჰქონდა მეორედ არჩევის შემდეგ მართლაც გადაედგა ეს ნაბიჯი. სწორედ ამისათვის აირჩიათ მან ვიცე-პრეზიდენტად ლინდონ ჯონსონი, რათა სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერის პოსტისაგან ჩამოეშორებინა ეს ავბედითი ფიგურა და გზა გაეხსნა მისი ახლანდელი ლიდერის — მოლიბერალო მაიკ მენსფილდისათვის.

ვიეტნამში ამერიკის პოლიტიკის დამღუპველობაზე ჯონ კენედის მიუთითებდა საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლიც. კენედის ვიზიტის დროს პარიზში 1961 წელს დე გოლმა უთხრა მას: „მე გიწინასწარმეტყველებთ, რომ თქვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაეფლობით ამ ჭაობში... თუ წარმოუდგენელია ამერიკის სამხედრო მანქანის განადგურება ადგილზე, მეორე მხრივ არავითარი შანსები არ არსებობს, რომ აზიის ხალხები დაემორჩილებიან უცხოელის კანონს, რომელიც წყნარი ოკეანის საპირისპირო მხრიდან მოვიდა, როგორიც არ უნდა იყოს მისი განზრახვანი და როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს მისი იარაღი".

ბუნებრივად ისმის კითხვა — რამ განაპირობა შეერთებული შტატების დაჟინებული სწრაფვა ინდოჩინეთის შენიღბული თუ შეუნიღბავი დამორჩილებისაკენ?

„ცივი ომის" ვაშინგტონელი ადეპტებისათვის მაშინ გადამწყვეტი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიული მნიშვნელობა. აშშ სამხედრო-საჰაერო ძალთა მინისტრი თ. ფინლეტერი შემდეგში წერდა: „შეერთებული შტატები არაერთხელ აცხადებდნენ, რომ ინდოჩინეთის შენარჩუნება აბსოლუტურად აუცილებელია. თუ იგი დაეცა, დაიკარგება მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ხოლო ამ უკანასკნელს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვსო შეერთებული შტატების ინტერესებისათვის".

50-ანი წლების დასაწყისში „კომუნიზმის შეკავების" ადრინდელი დოქტრინა დალესისეული „კომუნიზმისაგან განთავისუფლების" დოქტრინის მკვეთრი აგრესიულობით შეიცვალა. შექმნილ ვითარებაში სპეციფიური დაინტერესება ინდოჩინეთით გაიზარდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა 1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩამოყალიბდა და ამერიკელმა მონოპოლისტებმა იქ რამდენიმე მილიარდი დოლარის კაპიტალდაბანდებანი თუ ჩან კაი-შის რეაქციული რეჟიმისათვის მიცემული სესხები დაჰკარგეს. 1952 წელს კორეაში მარცხისა და 1954 წელს ინდოჩინეთიდან ფრანგი იმპერიალისტების განდევნის შემდეგ ეს მხარე ჩინეთზე შესაძლებელი თავდასხმის შესანიშნავ სტრატეგიულ პლაცდარმად იქცა, უბადლებული „კომუნისტური საფრთხის" მოგერიების ბაზად. ვაშინგტონის პოლიტიკის ამ ასპექტს ხაზი გაუსვა 1967 წლის ოქტომბერში სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა.

ძალზე დიდია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიური მნიშვნელობაც. ინდოეთისა და პაკისტანის გამოკლებით იქ 300 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონის ტერიტორიის 60 პროცენტამდე ჯუნგლებს უჭირავს, იგი მაინც მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა. მასზე მოდის, მაგალითად, ბუნებრივი კაუჩუკის პროდუქციის 86 პროცენტი, კაპიტალისტური ბანაკის კალის წარმოების 65 პროცენტი, მნიშვნელოვანია მარგანეცის, ჯუთის, ბამბის, ჩაის ექსპორტი. უკანასკნელ ხანს დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია აქ, ზღვის ფსკერზე, 2.500 კილომეტრზე მალაიზიიდან ფილიპინებამდე, ნავთობის უმდიდრესი ბუდობების მიკვლევამ, რომლებიც საფინანსო ტიტანის „ჩეიზ მენჰეტენ ბენკის" პრეზიდენტის დევიდ როკფელერის შეფასებით 5 წლის შემდეგ ყოველდღიურად 57 მილიონამდე ტონა ნავთობს მისცემენ მის მფლობელს. 40-მდე ნავთობმომპოვებელმა უცხოურმა კომპანიამ უკვე მიისაკუთრა ტაილანდის, მალაიზიისა და ინდონეზიის სანაპირო წყლებში 2,4 მლნ კვ კმ-ის ოდენობის საკონცესიო ნაკვეთები.

ამიტომაც წერდა პროფესორი გეიბრიელ კოლკო ჟურნალ „ნიუ რიპაბლიკში": „თუ დასაწყისში აშშ შეჭრას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იდეოლოგიური და სტრატეგიული მოტივები განაპირობებდა, ახლა იგი ეკონომიურ ბაზისს ეყრდნობაო". ხოლო ლიბერალური ამერიკული ჟურნალი „ნეიშნ" ჯერ კიდევ 1966 წელს მიუთითებდა: „ომების თითქმის გაუთავებელ სერიაში ჩვენ იმიტომ ვმონაწილეობთ, რომ აზიაში კარები ღიად ვიქონიოთ ამერიკული კაპიტალდაბანდებებისათვის... თუ ამას გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ შეუძლებელია თანამედროვე წყობილების პირობებში სუსტად განვითარებული რაიონებიდან ჯარების გამოყვანა, რაიმე ახალი ღონისძიებების დასახვის გარეშე, ჩვენი ჟანდარმული ფუნქციების შესანარჩუნებლადო".

1964 წლის გაზაფხულზე შეერთებული შტატების მთავრობამ საიდუმლოდ დაიწყო აგრესიის მომზადება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მასზე თავდასასხმელად გამოიყენეს აგვისტოში პროვოკაციულად გათამაშებული „ინციდენტი ტონკინის ყურეში" — თითქოს დემოკრატიული ვიეტნამის სამხედრო კატარღებს ცეცხლი დაეშინოთ ამერიკული ნაღმოსნების „მედოქსისა" და „ტერნერ ჯოისათვის" ღია ზღვაში. სინამდვილეში, როგორც ეს შემდგომ თავდაცვის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ აღიარა, ნაღმოსნები არა ღია ზღვაში, არამედ 12 მილიან ტე-

რიტორიულ სანაპირო ზოლში შეიჭრნენ და ცეცხლიც მათ დაუშინეს. 1965 წლის ივნისში შეერთებულმა შტატებმა უშუალოდ დაიწყეს ომი განთავისუფლების ნაციონალური ფრონ-ტის წინააღმდეგ სამხრეთ ვიეტნამში.

უკვე იმ პერიოდში ჯერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, შემდეგ კი პოლონეთის წარმომადგე-ნელმა ვიეტნამის საერთაშორისო საკონტრო-ლო კომისიაში ი. ლევანდოვსკიმ ჰანოისთან შეთანხმებით საზავო წინადადებით მიმართეს თეთრ სახლს. 1967 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა გლაზბოროში (აშშ) შეხვედრე-ბის დროს მოუწოდა პრეზიდენტ ჯონსონს არ გაეფართოებინა კონფლიქტი ვიეტნამში. მაგ-რამ თეთრმა სახლმა არ ილო ყურად სამშვი-დობო მოწესრიგების შესაძლებლობა, თუმც თავის მემუარებში ახლახან გარდაცვლილმა პრეზიდენტმა ჯონსონმა უსაფუძვლო თვითდა-ჯერებით განაცხადა, რომ ჰანოის არასოდეს არ უჩვენებიაო ნათლად სწრაფვა ზავისაკენ.

ომმა უდიდესი ზარალი მიაყენა ვიეტნამელ ხალხს. მხოლოდ სამხრეთ ვიეტნამში დაიღუპა მილიონზე მეტი სამოქალაქო პირი და 820 ათასზე მეტი საიგონელი ჯარისკაცი. ფრანგუ-ლი გაზეთ „ლე მონდ"-ის გაანგარიშებით უკა-ნასკნელი 5 წლის განმავლობაში ამერიკის მხედრიონმა გამოიყენა ვიეტნამში 10,8 მლნ ტონაზე მეტი ფეთქებადი ნივთიერებანი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხიროსიმაზე ჩამოგდე-ბული ატომური ბომბის სიმძლავრე 18 კილო-ტონას უდრიდა, შეიძლება ითქვას, რომ ამე-რიკელებმა ვიეტნამში 770 ასეთი ბომბი ჩამო-აგდეს. მხოლოდ 1971 წელს ამერიკის ავია-ციამ ინდოჩინეთში ჩამოჰყარა ერთნახევარ-ჯერ მეტი ბომბი, ვიდრე ყველა ფრონტზე — მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში. ვიეტნამის მიწა მთვარის ზედაპირს დაემსგავსა ამერიკული ბომბების მიერ დატოვებულ 20 მილიონზე მეტი დიდი თუ მცირე ზომის კრა-ტერით და მისი ბუნებრივი სტრუქტურა ალ-ბათ 20 წელიწადშიც კი ველარ აღდგება. პრო-ფესორი დოროტი ხოჯკინი გაზეთ „ტაიმზში" აღშფოთებით წერდა, რომ ამერიკელთა მიერ ნაპალმისა და დეფოლიანტების გამოყენებამ ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენაო ვიეტნამი. ამერიკელთა კანიბალურმა ჯალათო-ბამ, რომლის ტრაგიკულ მაგალითს სოფელ სონგმის უდანაშაულო მცხოვრებთა სრული გა-ნადგურება წარმოადგენდა 1968 წლის მარტში, მთელი მსოფლიო შეაძრწუნა.

მაგრამ ვიეტნამის ომი არც ამერიკელთათვის გამოდგა მსუბუქი გასეირნება. ჟურნალ „იუნა-იტედ სტეიტს ნიუზ ენდ უორლდ რიპორტი" წერდა, რომ ომმა იმსხვერპლა 50 ათასამდე ამერიკელი, დაჭრილთა რაოდენობამ 350 ათასს მიაღწია, საომარმა ხარჯებმა 150 მილი-არდ დოლარს გადააჭარბეს და ამერიკის ავი-აციამ (ჟურნალის შემცირებული მონაცემე-ბით) 8.612 თვითმფრინავი და ვერტმფრენი დაჰკარგა, მათ შორის თითქმის 100-მდე ზე-ძლიერი ბომბდამშენი „ბ-52".

ვიეტნამის ომმა ძლიერი სოციალური ძვრები გამოიწვია შეერთებულ შტატებში. სენატორე-ბი მარკ ჰატფილდი და ჰაროლდ ჰიუზი სამარ-თლიანად წერდნენ, რომ ომმა „...ხელი შეუწ-ყო ამერიკის საზოგადოებისათვის ძირის გა-მოთხრას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში რაღაც პრესტიჟის გადასარჩენადო". ავტომშენებელთა უმსხვილესი პროფკავშირის ერთ-ერთი ლიდე-რი ვიქტორ რეიტერი კი აღიარებდა — „ომმა ვიეტნამში გაააქტიურა ქვეყნის ყველაზე საზიზ-ღარი ელემენტები — ულტრარეაქციონერები, ანტიკომუნისტები და რასისტებიო". ახალგაზრ-დობისა და ომის ვეტერანების საპროტესტო დემონსტრაციებმა, თვით დედაქალაქშიც კი, კოლოსალური მასშტაბები მიიღეს და რეაქცი-ულ ამერიკას, მის სუპერმენულ მორალურ ფა-სეულობებს უაღრესად მკვეთრად დაუპირის-პირეს საზოგადოებრივ ძალთა აღშფოთება.

1968 წლის 31 ოქტომბერს პრეზიდენტი ჯონსონი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახ-და შეეწყვიტა ვიეტნამის დემოკრატიული რეს-პუბლიკის დაბომბვა. თუმცა ამ დაგვიანებულმა წინასაარჩევნო ტრიუკმა ველარ გადაარჩინა დემოკრატიული პარტია დამარცხებას საპრეზი-დენტო არჩევნებში.

ხანგრძლივი გაჭიანურების შემდეგ, 1969 წლის 18 იანვარს, პარიზში დაიწყო შეერთე-ბული შტატების, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუ-ფლების ნაციონალური ფრონტისა და საიგონის მარიონეტული მთავრობის წარმომადგენელთა თათბირი. 8 მაისს განთავისუფლების ნაციონა-ლური ფრონტის დელეგაციამ წარმოადგინა სამშვიდობო პროგრამა 10 პუნქტისაგან, რო-მელიც აშშ ჯარების გაყვანისა და სამხრეთ ვიეტნამის დემოკრატიული განვითარების სა-ფუძველზე სამშვიდობო მოწესრიგების ნათელ პერსპექტივებს სახავდა. მაგრამ აშშ და საი-გონის ობსტრუქციამ ჩაშალა ზავის მიღწევისა და ომის დამთავრების შესაძლებლობა.

1969 წლის 25 ივლისს ახალმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა კუნძულ გუამზე საკუთარი „აზიური პოლიტიკა" წამოაყენა. „ნიქსონის დოქტრინის" თანახმად აშშ მომავალში ეკონო-მიურ და სამხედრო „დახმარებას" გაუწევდნენ აზიის იმ ქვეყნებს, რომლებიც სურვილსა და ნებისყოფას გამოამჟღავნებდნენ „კომუნისტუ-რი საფრთხის" წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მაგრამ საკუთარი ძალებით. ნიქსონი მიზნად ისახავდა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის კონფ-

ლიქტის „ვიეტნამიზაციას“, როცა უკვე აზიელები დახოცავდნენ არასასურველ აზიელებს, ე. ი. შეასრულებდნენ აშშ სტრატეგიულ მიზნებს აზიაში ამერიკელთა სისხლის დაუღვრელად.

სინამდვილეში ეს დოქტრინა ვიეტნამის ომის სწრაფ დამთავრებას როდი მიესწრაფოდა. შინაპოლიტიკურ ამოცანასთან ერთად, რაც საკუთრივ შტატებში მზარდი საპროტესტო მოძრაობის ალკვეთაში გამოიხატებოდა, ნიქსონს უფრო შორეული, სტრატეგიული მიზნები ჰქონდა. „ნიქსონის დოქტრინა“ წარმოადგენდა ცდას, რომელსაც ვაშინგტონისათვის ძალზე ძვირად ღირებული და უნაყოფო სამხედრო ჩარევა აზიის მცირე ქვეყნებში უნდა შეეცვალა პოლიტიკური გავლენის ფართო სისტემით აზიის დიდ ქვეყნებზე — ინდოეთზე, პაკისტანზე, ინდონეზიაზე და, შესაძლოა, თვით ჩინეთზეც. ეს მოსაზრება დაადასტურა ჩინეთთან მალე გაბმულმა პოლიტიკურმა ფლირტმა.

მაგრამ ეს მაინც შორეული მიზანი იყო. ტაქტიკური წარმატების მისაღწევად კი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1969 წლის ივნისში ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკა იქნა გამოცხადებული და მისი დროებითი რევოლუციური მთავრობა შეიქმნა, რომელიც ერთბაშად 25-მა ქვეყანამ სცნო, ნიქსონი არ მოერიდა აგრესიის შემდგომ გაფართოებას. 1970 წლის აპრილში პენტაგონმა, საიგონელ მარიონეტებთან ერთად, განახორციელა ოპერაცია „პრომეთეოსი“ — შეჭრა ნეიტრალისტურ კამბოჯაში.

კამბოჯაში შეჭრა არ იყო სპონტანური იმპროვიზაცია. მის შესახებ არაფერი იცოდნენ კონგრესმა და მინისტრებმაც კი. სამაგიეროდ ნიქსონმა 28 აპრილს აცნობა თავისი განზრახვა აშშ ათი უდიდესი გასამხედროებული კავშირის ხელმძღვანელებს და სთხოვა მათ ორგანიზებული მხარდაჭერა მშვიდობის მომხრეთა — „მტრედების“ წინააღმდეგ. საომარი ესკალაციის ეს აქტი იმით მართლდებოდა, რომ ვაშინგტონელ მესვეურთა მტკიცებით კამბოჯაში თავს აფარებდნენ პატრიოტთა ჯარები, ჰქონდათ იქ საწყობები და მიწისქვეშა შტაბიც კი. ფაქტიურად ეს ოპერაცია მიზნად ისახავდა ვაშინგტონზე კამბოჯის ვითომდა „ნეიტრალისტური“ მთავრობის მიჯაჭვას გენერალ ლონ ნოლის მეთაურობით, რომელმაც 1970 წლის მარტში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად პრინც ნოროდომ სიანუკის ძალაუფლება დაამხო.

ეს გადატრიალება აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ იყო ინსპირირებული. ამაზე ის სპექტაკლიც მიუთითებს, რომელიც მაშინ გათამაშდა. პნომპენში გადატრიალებამდე რამდენიმე დღით ადრე ორადორმა კაცმა „ამბოხება“ მოაწყო ვიეტნამში მიმავალ ამერიკულ გემზე და კამბოჯის ნავსადგურ სიანუკვილში მიიყვანა იგი. კამბოჯისაკენ „ამბოხებული“ ხომალდის ბლოკირებისათვის სასწრაფოდ გაემართა ნაღმოსანი „ტერნერ ჯოი“ და 8 სამხედრო გემი. ასეთ ვითარებაში გადატრიალების ხელმძღვანელებმა სასწრაფოდ მიმართეს „დახმარებისათვის“ შეერთებულ შტატებს და სინქრონულადვე მიიღეს ვაშინგტონისაგან ოფიციალური ცნობა კამბოჯის „კანონიერ“ ხელისუფლებად.

კამბოჯაზე ასეთმა ყაჩაღურმა თავდასხმამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. თვით ამერიკაში ნაციონალურ გვარდიას იარაღის გამოყენებაც მოუხდა სტუდენტების წინააღმდეგ, რამაც ქ. კენტში ოთხი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. მასაჩუზეტსის შტატის საკანონმდებლო კრებამ ამერიკის ისტორიაში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — მან უფლება მისცა ამ შტატის მოქალაქეებს უარი ეთქვათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე, თუ აშშ სენატს ოფიციალურად არ ექნებოდა გამოცხადებული ომი რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ინდოჩინეთში კი სწორედ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი.

შეერთებული შტატების ამ ნაბიჯმა თვით უერთგულესი მოკავშირეების შეშფოთებაც გამოიწვია. ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტანატ კომანმა ბანგკოკში განაცხადა: „აშშ ეროვნული ფსიქიური მოშლილობის ზღვართან დგანან, რაც საეჭვოდ ხდის მათ საიმედოობას, როგორც მოკავშირისა. ამ აზრს მთელი აზია იზიარებსო“. ამით აიხსნებოდა უთუოდ ის ფაქტიც, რომ ტაილანდმა მაშინ გადაწყვიტა არ გაეგზავნა თავისი სამხედრო ნაწილები კამბოჯაში და იმით შემოიფარგლა, რომ მოკავშირეებს... ათასობით საწვიმარი მოსასხამი და მოსკიტების საწინააღმდეგო ბადურები გაუგზავნა.

ამავე დროს ვაშინგტონი განაგრძობდა გამოუცხადებელ ომს ლაოსშიც. პენტაგონმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეაიარაღეს და გაწვრთნეს 25-30 ათასიანი არმია გენერალ ვანგ პაოს ხელმძღვანელობით — დამრტყმელი ძალა ლაოსის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ ქვეყნის ჩრდილოეთში. საყურადღებო ის იყო, რომ ამგვარი აქტივიზაცია დაიწყო მაშინ, როცა შეიქმნა შესაძლებლობა კონტაქტების დამყარებისა ამ ქვეყნის ძირითად ძალებს შორის, როცა პატრიოტული ფრონტის ხელმძღვანელი პრინცი სუფანუვონგი და ლაოსის სამეფო მთავრობის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა შეთანხმდნენ შეხვედრის ადგილსა და დროზე. აშშ სამხედრო მოქმედებათა აქტივიზაციამ ჩაშალა ეს შეხვედრა და სამშვიდობო მოწესრიგების პერსპექტივაც.

მაგრამ აგრესიის ახალმა აქტებმა ვერ დათრგუნეს ინდოჩინელი ხალხების წინააღმდეგობა. პირიქით, 1970 წელს შედგა ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც კიდევ მეტად გაამტკიცა ინდოჩინელი ხალხების ანტიიმპერიალისტური ფრონტი. ბრძოლა ინტერვენტების წინააღმდეგ უფრო დაიძაბა და ბოლოს აშშ მთავრობა იძულებული გახდა გამოეყვანა თავისი ჯარები კამბოჯიდან 1970 წლის 30 ივნისს.

დიპლომატიური ინიციატივა სამშვიდობო მოწესრიგებისათვის კვლავ ვიეტნამის მხარემ გამოიჩინა. იმავე წლის 17 სექტემბერს სამხრეთ ვიეტნამის დროებითი რევოლუციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქ-ნმა ნგუენ თხი ბინმა წარადგინა პარიზის თათბირზე ახალი „8-პუნქტიანი პროგრამა". ეს პროგრამა ითვალისწინებდა აშშ კონკრეტულ ვალდებულებას ჯარების სრული ევაკუაციის შესახებ 1971 წლის 30 ივნისამდე. ამ შემთხვევაში პატრიოტული ძალები თავის მხრივ აიღებდნენ ვალდებულებას, რომ არ დაესხმოდნენ მათ თავს ევაკუაციის პერიოდში და გაათავისუფლებდნენ სამხედრო ტყვეებს. სამხრეთ ვიეტნამში შეიქმნებოდა დროებითი კოალიციური მთავრობა, მაგრამ თხიეუ-კის მარიონეტული ჯგუფის გარეშე. მთავრობა მოაწყობდა საყოველთაო თავისუფალ საპარლამენტო არჩევნებს. არჩეული პარლამენტი შეიმუშავებდა ეროვნულ, დემოკრატიულ კონსტიტუციას. შემდგომ ეტაპზე მოხდებოდა ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანება. ამგვარი შეთანხმების მიღწევა განაპირობებდა ცეცხლის შეწყვეტას ორივე მხრიდან.

ვაშინგტონმა ეს წინადადებანი შეაფასა როგორც პროპაგანდისტული და კატეგორიული უარი განაცხადა საიგონის მარიონეტული პრეზიდენტის ნგუენ ვან თხიეუსაგან განდგომაზე. ამერიკელმა დელეგატმა პარიზის თათბირზე დევიდ ბრიუსმა აგდებული ტონით დაახასიათა ეს წინადადებანი, როგორც „ძველი ღვინო ახალ ბოთლებში".

7 ოქტომბერს ნიქსონმა უპასუხა ვიეტნამის მხარის წინადადებებს ე. წ. „ხუთ პუნქტიანი სამშვიდობო პროგრამით". იგი ითვალისწინებდა ცეცხლის ორმხრივ შეწყვეტას „გაყინულ პოზიციებზე", ტყვეთა უპირობო გათავისუფლებას, სრულიად ინდოჩინეთის სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას. მაგრამ ამავე დროს დაბეჯითებით უსვამდა ხაზს თხიეუ-კის ჯგუფის დატოვების აუცილებლობას სამხრეთ ვიეტნამის მთავრობაში და ფრიად ბუნდოვან წინადადებას აყენებდა აშშ ჯარების სრული ევაკუაციის გრაფიკის შემუშავების შესახებ.

ნიქსონის ამ წინადადებებს აღტაცებით შეხვდნენ საომარი ესკალაციის მომხრენი თვით შტატებში და ძალზე მშვიდად საიგონში. უკვე ეს ფაქტი აქცევდა მეტად საეჭვოდ პრეზიდენტის სამშვიდობო ფრაზეოლოგიას. მართლაც, რა აზრი შეიძლებოდა ჰქონოდა ინდოჩინეთზე ფართო კონფერენციის მოწვევას, როცა ვაშინგტონი დაჟინებით ეწეოდა პარიზის თათბირის — უფრო ვიწრო კონფერენციის საბოტაჟს? ან ტყვეთა საკითხის წინა პლანზე წამოწევა ჯარების ევაკუაციის საკითხის გადაწყვეტამდე განა არ ჰგავდა ეტლის ცხენებზე წინ დაყენებას? რაც მთავარია, პროგრამა შეგნებულად გაურბოდა ჯარების გაყვანის კონკრეტული ვადის განსაზღვრას და ძველებურადვე მხარს უჭერდა თხიეუ-კის რეჟიმს, რომელსაც თვით ამერიკელთა აღიარებით, აღარავითარი პრესტიჟი აღარ გააჩნდა. მაგალითად, კონგრესმენი ლოუენსტაინი, რომელმაც იმოგზაურა სამხრეთ ვიეტნამში, იმ ხანებში წერდა: „მე ვერ ვნახე იქ ვერცერთი ცნობილი ამერიკელი ან სამხრეთ ვიეტნამელი, რომელიც ჩათვლიდა, რომ სამხრეთ ვიეტნამის ახლანდელი მთავრობა შეძლებდა ადგილზე დარჩენას, თუკი ქვეყნიდან გამოიყვანდნენ ჩვენს სამხედრო ძალებსო".

ამიტომაც განაცხადა კატეგორიული უარი ამ პროგრამის მიღებაზე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ, ხოლო პატრიოტულმა ძალებმა მას ახალი დარტყმებით უპასუხეს — თავს დაესხნენ აშშ უდიდეს საავიაციო ბაზას ბიენხოაში (სამხრეთ ვიეტნამში).

უარყოფითი ტენდენციების ზრდამ განაპირობა აშშ მთავრობის პარადოქსალური გადახრა... მარჯვნივ. „მარჯვნივსვლის" გამოვლინებას წარმოადგენდა ნიქსონის მიმართვა კონგრესისადმი 1970 წლის 18 ნოემბერს, რომელშიც იგი ამერიკის აზიელ მოკავშირეთათვის 470 მლნ დოლარის გამოყოფას მოითხოვდა „ეკონომიური და სამხედრო დახმარების" სახით. აქედან 255 მლნ დოლარი ვაშინგტონმა ლონ ნოლის რეჟიმს გამოუყო კამბოჯაში. როდესაც პრეზიდენტს პრეს-კონფერენციაზე ჰკითხეს, რა აზრი აქვსო ასეთ დაფინანსებას, მან დაუფარავად განაცხადა, რომ ესაა „ყველაზე საუკეთესო კაპიტალდაბანდება უცხოური სახელმწიფოებისათვის დახმარების სფეროში მას შემდეგ, რაც მე პოლიტიკური მოღვაწეობა დავიწყე". ნიქსონმა ისიც აღიარა, თუ რატომ მიაჩნია მას ეს თანხა საუკეთესო კაპიტალდაბანდებად. „კამბოჯელები ახლა ჩრდილოეთ ვიეტნამის რეგულარული არმიის 40 ათას კარგად გაწვრთნილ ჯარისკაცს აკავებენ. ისინი რომ ახლა კამბოჯაში არ იყვნენ, ამერიკელებს დახოცავდნენო ვიეტნამში, — მიუთითა პრეზიდენტმა, — 255 მილიონი დოლარით კამბოჯელები იარაღს შეისყიდიან... ამით კი საშუალება მოგვეცემა ამერიკელთა სიცოცხლე

გადავარჩინოთ და ამერიკელი ჯარისკაცები სახლებში დავაბრუნოთო".

„მარჯვნივსვლაზე" მეტყველებდა აშშ ჯარების ევაკუაციის გრაფიკის გამოქვეყნებაც, რომლის თანახმად 1971 წლის მაისისათვის სამხრეთ ვიეტნამში უნდა დარჩენილიყო 280 ათასი, ხოლო 1972 წლის შემოდგომისათვის 50 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. არაფერი იყო ნათქვამი ამ უკანასკნელთა გაყვანის ვადის შესახებ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამერიკელთა მიერ სამხრეთ ვიეტნამის ოკუპაცია, ალბათ, უსასრულობამდე უნდა გაგრძელებულიყო.

რესპუბლიკური ადმინისტრაციის მკვეთრი გადახრა საგარეოპოლიტიკური მიზნების გადაჭრისაკენ „ძალის პოზიციებიდან" სრულიად ნათელი გახდა 1970 წლის ნოემბრის დასასრულს, როცა აშშ მხედრიონმა ავიადესანტი გადაისროლა შონტაიში, ჰანოის მახლობლად. დესანტირება მიზნად ისახავდა იქ განლაგებული ბანაკიდან ამერიკელ სამხედრო ტყვეთა „მოტაცებას". მაგრამ ინტერვენტები პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ — მათ იქ ალარავინ დახვდათ, რამოდენიმე ვერტმფრენი კი დაჰკარგეს. იმავე დღეებში აშშ ავიაციამ განახორციელა საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. თავდაცვის მაშინდელი მინისტრის ლეირდის განცხადებით ეს იყო პრევენტიული აქტი დემოკრატიული ვიეტნამის ძალების მიერ ამერიკული მზვერავი თვითმფრინავების ჩამოგდების საპასუხოდ. ლეირდი ცინიკურად აცხადებდა, რომ ბომბარდირების განახლების ერთ-ერთ გასამართლებელ საბუთს წარმოადგენსო პარიზის თათბირის უშედეგობა.

ასეთმა პოლიტიკურმა განგსტერიზმმა, ცხადია, ხელახლა აღაშფოთა პროგრესული კაცობრიობა. 2 დეკემბერს ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირმა გადაჭრით დაგმო აშშ მოქმედება და განაცხადა: „სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც მოქმედებენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების სულისკვეთებით, იცავენ მშვიდობისა და პროგრესის საქმეს, კვლავაც ყოველნაირ დახმარებას გაუწევენ ინდოჩინეთის ხალხებს შეიარაღებული იმპერიალისტური აგრესიის მოგერიებაში". აგრესიის აქტები აღშფოთებით დაგმო აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმაც

აშშ თავდასხმებს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ პარიზის თათბირზე ახალი სამშვიდობო ინიციატივით უპასუხა, რითაც კიდევ ერთხელ ნათელჰყო ვაშინგტონის „მშვიდობისმოყვარეობის" ფასი. აშშ ჯარების სრული ევაკუაციის აღთქმის შემთხვევაში 1971 წლის 30 ივნისამდე იგი წინადადებას იძლეოდა მაშინვე დაეწყოთ მოლაპარაკება ტყვეთა გაცვლის შესახებ. ვაშინგტონი უნდა დათანხმებულიყო დროებითი კოალიციური მთავრობის შექმნაზე და დაესახელებინა სხვა კონკრეტული თარიღი, თუ ზემოაღნიშნულს შეუძლებლად მიიჩნევდა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი დათმობა იყო, ვინაიდან სამართლებრივი თვალსაზრისით ამერიკელი ტყვეები მეკობრენი იყვნენ (აშშ სენატს ხომ არ გამოუცხადებია ოფიციალურად ომი ვიეტნამისათვის!), და ამდენად მთლიანად ემორჩილებოდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციას. მაგრამ წლის ბოლოს აშშ ავიაცია კვლავ შეიჭრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცაში, რამაც გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუზის" ნაღვლიანი კომენტარი გამოიწვია: „ჩვენ სულ უფრო ვემსგავსებით საავადმყოფოს, სადაც პაციენტები თვითვე ინიშნავენ წამლის დოზას, ხოლო ექიმები ჰიშკარს გადაღმა იცდიან. ასეთი საავადმყოფო არც თუ ძალიან განსხვავდება სახლისაგან, რომელსაც ჩვენ უფლება გვაქვს საგიჟეთი ვუწოდოთ".

ამგვარი სავალალო დიაგნოზი მართლაც არ იდგა შორს ჭეშმარიტებისაგან. ეს შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურეს, როცა 1971 წლის 8 თებერვალს 25 ათასმა საიგონელმა ჯარისკაცმა ამერიკელთა და ტაილანდის სამხედრო ნაწილების დახმარებით განახორციელეს ოპერაცია „ლამშონ-719" — შეიჭრნენ სამხრეთ ლაოსში, დედაქალაქ ვიენტიანში რეაქციული გენერლების საქმიანობის გააქტიურების პერიოდში.

ინდოჩინეთის მესამე ქვეყანაზე თავდასხმით საბოლოოდ გამოაშკარავდა ნიქსონის „სამშვიდობო" წინასაარჩევნო პროგრამის სიყალბე. პირიქით, საომარმა ესკალაციამ უფრო საშიში ხასიათი მიიღო — თუ ჯონსონის მთავრობა ამერიკის შეიარაღებული ძალების კონდენსირებას ახდენდა, მაგრამ ლოკალურად სამხრეთ ვიეტნამში, ნიქსონის მთავრობამ თვით აგრესიის მასშტაბი გაზარდა და კონფლიქტი უშუალოდ დააყენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნების კარიბჭესთან. ეს მოსაზრება ჰქონდა ალბათ მხედველობაში ნიქსონის მომავალ მეტოქეს, სენატორ ჯორჯ მაკგოვერნს, როცა სამართლიანი შეშფოთებით აღნიშნავდა — „პრეზიდენტი მესამე მსოფლიო ომს ეთამაშება".

ომის „ვიეტნამიზაციის" ახალმა ეტაპმა საბოლოოდ ახადა ფარდა „ნიქსონის დოქტრინის" რამდენადმე შენიღბულ ტაქტიკურ მონახაზსაც. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმზმა" იგი მოსწრებულად დაახასიათა როგორც ცდა „ინდოჩინეთის კორეიზაციისა". ამ ფორმულის მიღმა რესპუბლიკური ადმინისტრაციის მისწრაფება იმალებოდა — გაეერთიანებინა რეაქ-

ციულ პროამერიკულ ბლოკში ინდოჩინეთის „სამხრეთ ზონის“ ქვეყნები — სამხრეთ ვიეტნამი, კამბოჯა, სამხრეთ ლაოსი და ტაილანდი. როგორც გაზეთი „ფიგარო“ იტყობინებოდა, პრინცმა სუვანა ფუმამ მიიღო კიდეც წინადადება ასეთი „ღერძის“ ჩამოყალიბების შესახებ. ლაოსის პრემიერ-მინისტრმა საკუთარი უარის გამო შესაძლებლად მიიჩნია თავისი მთავრობის დამხობა რეაქციული გენერლების მიერ.

პენტაგონელი თეორეტიკოსები უთუოდ იმედოვნებდნენ, რომ ქვეყნის ასეთი გაყოფით „ჩრდილოეთ“ და „სამხრეთ ინდოჩინეთად“ (კორეის მსგავსად), მეჩვიდმეტე პარალელის გასწვრივ ფრონტის ხაზის შემოკლებით, ჩრდილოვიეტნამელთა „გაყონვის“ კომუნიკაციების მოკვეთით კამბოჯასა და სამხრეთ ვიეტნამში და რაიმე შეთანხმების შესაძლებელი მიღწევით სამუდამოდ მოახდენდნენ მრავალტანჯული ვიეტნამის ოკუპაციას.

ამგვარ განზრახვებზე გულღიად მიუთითებდა სახელმწიფო მდივნის მოადგილე მარშალ გრინი, რომელმაც მაშინ ერთგვარი საპროგრამო განცხადება გააკეთა: „ჩვენი ამოცანა იმაში როდი მდგომარეობს, როგორ წავიდეთ აზიიდან, არამედ იმაში, როგორ დავრჩეთ იქ ჯეროვანი სახით“.

1971 წლისათვის ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სამხრეთ ვიეტნამში პირველი ამერიკელი „მრჩევლები“ გამოჩნდნენ, რომლებიც შემდეგ ოკუპანტებად იქცნენ და უკვე ძნელი იყო ამ განვრცობილ ომზე მეტი უაზრობის წარმოდგენა უპირველეს ყოვლისა აშშ შინაპოლიტიკური ვითარების პირობებში — უძლიერესი უკმაყოფილებით ქვეყნის შიგნით, რომელმაც 1971 წლის მაისში ვაშინგტონში გიგანტურ დემონსტრაციებში ჰპოვა ასახვა და რომელიც ფაქტიურად საპირისპირო ძალებად ხლეჩდა ამერიკის საზოგადოებას, დაქვეითებული ეკონომიკითა და მზარდი ინფლაციით. ჰარისის ინსტიტუტმა, რომელმაც იმხანად საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა ჩაატარა, აღნიშნა, რომ მოსახლეობის 60 პროცენტი 26-ის წინააღმდეგ მოითხოვდა ჯარების გამოყვანას ვიეტნამიდან, თუნდაც საიგონის რეჟიმის კრახის ხარჯზე.

დაჟინებული სვლა დინების წინააღმდეგ მიუთითებდა, რომ საგარეოპოლიტიკური ფაქტორების შეფასება ხშირ შემთხვევაში ჰიპერტროფირებული პრეტენზიების პოზიციებიდან ხდებოდა მხოლოდ, ვინაიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საწინააღმდეგო პლაცდარმის როლი ინდოჩინეთმა ამ პერიოდისათვის უკვე ფაქტიურად დაჰკარგა. სწორედ „კულტურული რევოლუციის“ ქაოსმა ჩინეთში მისცა შესაძლებლობა აშშ მმართველ წრეებს უარეყოთ თავიანთი შიში „კომუნისტური კოლოსის“ მიმართ და ვიეტნამში ომის ახალი ესკალაცია გაეშალათ. ჩინეთი კი, რომელიც ქ. წ. IX ყრილობის შემდეგ კომპარტიაში მაოს სამხედრო-ბიუროკრატიული დიქტატურის დამყარებით ფიქრობდა იარების მოშუშებას, ვიეტნამის ომის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ ზეაწეული პათეტიკით იფარგლებოდა. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმზი“ საექვოდ ინფორმირებული ჩანდა, როცა წერდა, რომ ჩინეთი არ ჩაერევაო კონფლიქტში, თუ ამერიკელებმა არ მოახდინეს ჰაიფონის ბლოკირება, არ დაანგრიეს საირიგაციო ნაგებობანი წითელ მდინარეზე, არ გამოიყენეს ატომური იარაღი და უშუალოდ არ დაესხნენ თავს ჩინეთის ტერიტორიას. შემდგომში ნათელი გახდა, რომ ჩინეთი არც პირველ ორ შემთხვევაში აპირებდა გაშორებოდა სიტყვიერ მუქარებს. მით უმეტეს, რომ შეერთებული შტატების მმართველი წრეები არაერთხელ და დაბეჯითებით მიუთითებდნენ ახლა — აგრესია არ ემუქრებაო ჩინეთს და ამიტომ მას არ აქვსო საფუძველი აქტიური რეაგირებისა.

ინდოჩინეთში აგრესიის პრესტიჟული მოტივები წამოსწიეს წინა პლანზე აშშ მთავრობის პოლიტიკის დახასიათებისას ისეთმა ცნობილმა „ქორებმა“, როგორიც არიან საერთაშორისო მიმომხილველი დრიუ მიდლტონი, „საომარი ესკალაციის“ თეორიის მამა — ჰუძონის ინსტიტუტის დირექტორი ჰერმან კანი, თავდაცვის სამინისტროსა და ატომური ენერგიის კომისიის კონსულტანტი ედმუნდ სტილმენი, რომელთაც ატომური იარაღის შესაძლებელი გამოყენების საკითხიც კი დასვეს დემოკრატიული ვიეტნამის წინააღმდეგ.

ამერიკის პრესტიჟის შერყევა კი მართლაც ფრიად შესამჩნევი გახდა იმ პროგრესულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებათა ფონზე, რომლებიც უკანასკნელ ხანებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ხდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მიმართებით ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — რესპუბლიკა ბანგლადეშის წარმოშობა, რომელიც მშვიდობის დაცვისა და პროგრესული ეკონომიური გარდაქმნების პოზიციებზე დადგა, დომინიონ ცეილონის გარდაქმნა დამოუკიდებელ რესპუბლიკად — შრი ლანკა, პაკისტანის გამოსვლა „სეატოს“ სამხედრო-აგრესიული ბლოკიდან და ა. შ.

შესაძლებელია ასეთ ვითარებაში აშშ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურებს რომლებიც კოლოსალურ მოგებებს იღებდნენ პენტაგონის დაკვეთებზე და რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, კარნახობდნენ თეთრ სახლს საგარეოპოლიტიკურ მიმართულებას, მართლაც გაეღვიძათ სურვილი „ვა-ბანკის“ გათამა-

შებისა. მაგრამ წარმატებანი თვით ბრძოლის ველზე სრულიადაც არ იძლეოდნენ ოპტიმისტური განწყობის საშუალებას. კამბოჯის პატრიოტულმა ძალებმა დაიწყეს პირდაპირი შეტევები დედაქალაქ პნომპენის თავდაცვის გარეგან ზოლზე. გააფთრებულმა წინააღმდეგობამ ლაოსში აიძულა საიგონის ჯარები სამარცხვინოდ უკუქცეულიყვნენ ქვეყნის სამხრეთ ნაწილიდან. სამართლიანად მიუთითებდა იმ ხანებში ცნობილი მიმომხილველი სტიუარტ ოლსოპი — „ლაოსის ოპერაცია სამხედრო წარუმატებლობა იყო ლაოსში და პოლიტიკური კატასტროფა შეერთებულ შტატებშიო“.

„ფრანს პრესის“ სააგენტო ხაზს უსვამდა, რომ აშშ აგრესიულობამ კიდევ უფრო განამტკიცა ინდოჩინელი ხალხების მემარცხენე ფრონტი, რომ „ვიეტკონგის ინფრასტრუქტურა ხელუხლებელი დარჩა როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიც“. იტალიური გაზეთი „მონდო ნუოვო“ კი წერდა, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა აკონტროლებს სამხრეთ ვიეტნამის უდიდეს ნაწილს და მარიონეტული მთავრობა მთლიანად საიგონში არისო იზოლირებული. მართლაც, სამხრეთ ვიეტნამის 44 პროვინციის 6 ქალაქსა და 1.500 სასოფლო თემში შექმნილი იყო სახალხო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც განთავისუფლებულ ტერიტორიებზე სხვადასხვა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიურ ღონისძიებებს ატარებდნენ. ეს მაშინ, როცა საიგონის რეჟიმის 123 „პარტია“, მათი ლიდერები სპეკულაციითა და ნარკოტიკების კონტრაბანდული ვაჭრობით იყვნენ გართულნი, როცა 320 მილიარდი პიასტრის ოდენობის ბიუჯეტის 80 პროცენტამდე სამხედრო მიზნებზე იხარჯებოდა. თვით ნგუენ კაო კიმაც, საიგონის მარიონეტული მთავრობის „ვიცე-პრეზიდენტმა“, უკიდურესად უარყოფითად დაახასიათა „პრეზიდენტ“ ნგუენ ვან თხიეუს რეჟიმი და განაცხადა, რომ „სამხედრო გამარჯვება არსებულ მდგომარეობაში — იდიოტის ვიუცი ოცნებაა“.

ამერიკული გლობალური სტრატეგიის ყველაზე აქტიური დამცველებიც კი უკვე იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ სამხედრო წარმატებების ფაქტიური შეუძლებლობა და ინდოჩინეთის ომში გამარჯვების მოპოვების პრობლემატურობა. ხოლო დაკვირვებული მიმომხილველები პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ აშშ არმია თითქმის სრული დემორალიზაციის ზღუდესთან იდგა. გაზეთ „ფრანს სუარის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ანრი დე სეგონზაგი, მაგალითად, 1971 წლის მარტში აღნიშნავდა, რომ აშშ არმიის დისციპლინა და საბრძოლო სულისკვეთება ძალზე შერყეულია და ჯარისკაცები, რომელთაც აღარ სურთ ომი, ხანდახან ზედმეტად აქტიურ ოფიცრებზედაც კი „ნადირობენო“.

ჯარების ნაწილობრივი ევაკუაციის თვალთმაქცობით შეფერადებულ ექსტრემისტული ნაკადის გაძლიერებას აშშ პოლიტიკაში სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ ახალი, უაღრესად საყურადღებო საზავო ინიციატივით უპასუხა. პარიზის თათბირზე, 1971 წლის 1 ივლისს, საგარეო საქმეთა მინისტრმა ნგუენ თხი ბინმა წარადგინა სამშვიდობო მოწესრიგების პროგრამა 7 პუნქტისაგან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პირველ პუნქტს, რომელშიც მითითებული იყო, რომ თუ ვაშინგტონი მთლიანად გაიყვანდა ჯარებს 1971 წელს, მხარეები შეთანხმდებოდნენ ყველა ტყვის განთავისუფლების შესახებ. თანაც ეს ორი ოპერაცია დაიწყებოდა და დამთავრდებოდა ერთსა და იმავე დროს. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ვიეტნამის პატრიოტული ძალების პოზიციაში, რომლებიც პირველად სამი წლის განმავლობაში დათანხმდნენ ორი ოპერაციის ერთდროულ ჩატარებაზე. ეს ფაქტი მათ სერიოზულ სწრაფვაზე მეტყველებდა მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ. სამხრეთ ვიეტნამში უნდა შექმნილიყო ეროვნული თანხმობის 3-კომპონენტიანი მთავრობა (ნგუენ ვან თხიეუს გარეშე), რომელიც მოამზადებდა საყოველთაო არჩევნებს.

ახალმა საზავო ინიციატივამ მძიმე დიპლომატიური დილემის წინაშე დააყენა ვაშინგტონის მმართველი წრეები. ეს წინადადებანი არა მარტო ინდოჩინეთისა და ამერიკელი ხალხის ინტერესებს შეესაბამებოდა, არამედ თვით შეერთებული შტატების გავლენიანი წრეების ინტერესებსაც. ამაზე მეტყველებდა სენატის მიერ რეზოლუციის მიღება ვიეტნამიდან ჯარების სრული ევაკუაციის შესახებ 9 თვის განმავლობაში, ამერიკის ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლების — სახელგანთქმული კინოვარსკვლავის ჯეინ ფონდასა და იუსტიციის ყოფილი მინისტრის რამსეი კლარკის დემონსტრაციული მოგზაურობა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, და ბოლოს, ის კოლოსალური სკანდალი, რომელიც პროფესორ დენიელ ელსბერგის მიერ წამყვანი გაზეთებისათვის გადაცემულ პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნებას მოჰყვა ვიეტნამის ომის მომზადების შესახებ.

მით უმეტეს, რომ ამერიკის მმართველ წრეებს იმ დიპლომატიურმა თუ სამხედრო-სტრატეგიულმა სენსაციებმაც ვერ მოუპოვეს შვება, რომელთაც 1972 წლის დასაწყისისათვის ერთბაშად დაძაბეს კონფლიქტი ამ რეგიონში. 1971 წლის შემოდგომაზე სამხრეთ ვიეტნამში გათამაშებულ იქნა მორიგი ფარსი — საპრეზიდენტო არჩევნებში ამერიკული „ნარჩენი ძალებისა“ და საკუთარი პოლიციის ხიშტებზე დაყრდნობით გაიმარჯვა „ერთადერთმა კანდი-

დატმა“ — პირსისხლიანმა მარიონეტმა ნგუენ ვან თხიეუმ, ხოლო დეკემბრის მიწურულში აშშ ავიაციამ კვლავ დაიწყო დემოკრატიული ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვა, თანაც ახალი ტიპის ბომბებით „ბი-ელ-იუ 82“ (ნიტრატული ამონიუმისა და ალუმინის ფხვნილების ნაერთი), რომელსაც პარაშუტებით აგდებდნენ და რომლის ნგრევითი ეფექტი 2,5 კვ კმ-ს აღწევდა. ამავე დროს გამოირკვა, რომ, მიუხედავად ამერიკის ჯარების ევაკუაციისა (პრეზიდენტის დაპირებით 1972 წლის სექტემბრისათვის აქ დარჩებოდა „მხოლოდ“ 39 ათასი ჯარისკაცი) ხდებოდა სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალთა გიგანტური კონცენტრაცია ამ რეგიონში — იქ თავი მოუყარეს 900 ბომბდამშენ-გამანადგურებელს, ზეძლიერი „ბ-52“-ების რიცხვი 200-მდე გაიზარდა, ხოლო მეშვიდე ფლოტის ეკიპაჟი 40 ათას მეზღვაურს შეადგენდა.

1972 წლის 25 იანვარს ნაციონალური რადიო-ტელევიზიით გამოსვლისას ნიქსონმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ პარიზის ღია თათბირის გვერდით მისი უახლოესი მრჩეველი ნაციონალური უშიშროების საკითხებში ჰენრი კისინჯერი კონფიდენციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა დემოკრატიული ვიეტნამის წარმომადგენლებთან. მაგრამ რაკი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, ნიქსონმა ახალი ამერიკული გეგმა წამოაყენა, რომელიც ერთგვარი უკანდახევა იყო ვაშინგტონის აქამდელი პოზიციებიდან. ნიქსონი თანხმდებოდა ჯარების გაყვანისა და ტყვეების განთავისუფლების პარალელურ ჩატარებაზე, მაგრამ ცდილობდა შეენარჩუნებინა საიგონის მარიონეტული რეჟიმი არჩევნების განვადებით 6 თვემდე და ხელისუფლების სათავეში ნგუენ ვან თხიეუს დატოვებით არჩევნებამდე, რასაც უნდა უზრუნველეყო მისი პოზიციების გარკვეული განმტკიცება.

ნიქსონის ამ სენსაციური გამოსვლის მიზანი იყო წაერთმია მეორე მხარისათვის სამშვიდობო ინიციატივის პრიორიტეტი და შეემზადებინა ნიადაგი არა მარტო წინასაარჩევნო კამპანიისათვის, რომლის ციებ-ცხელება უკვე იწყებოდა, არამედ პეკინში დათქმული ვიზიტის წარმატებისთვისაც, ვინაიდან ნათელი გახდა, რომ გაავებული ანტისაბჭოთა ისტერიის პირობებში პეკინს სრულიადაც აღარ აშინებდა ამერიკის შესაძლებელი თავდასხმა ჩინეთზე. პირიქით, ჩინელი მესვეურების თვალსაზრისით მათ პოზიციას გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები უნდა მოეტანა პეკინისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ თვით ვაშინგტონი ეძიებდა გზებს შერიგებისა თუ გარიგებისაკენ.

ნიქსონი იმედოვნებდა, რომ მისი რევერანსები ჩინეთის ხელმძღვანელობის გარკვეულ გავლენას გამოიწვევდნენ ვიეტნამის პატრიოტულ ძალებზე მათი პოზიციების „შერბილების“ თვალსაზრისით. მით უფრო, როცა გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ სამართლიანი შენიშვნით პეკინში თვლიდნენ, რომ „...გაყოფილი ვიეტნამი უფრო მცირე ბოროტებაა, ვიდრე გაერთიანებული და მოსკოვის მიმართ მეგობრულად განწყობილი ვიეტნამიო“.

მაგრამ გამოირკვა, რომ პეკინისათვის, რომელიც ე. წ. „მესამე მსოფლიოს“ ლიდერობას ესწრაფვის, ნიქსონის ვიზიტის მნიშვნელობა უფრო მის შესაძლებელ ანტისაბჭოთა დაფერილობაში იყო, ვიდრე ანტივიეტნამურ კომბინაციებში, ისიც ისეთ ვითარებაში, როცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოკიდებულება ამ ვიზიტისა და ვიეტნამის ხარჯზე შესაძლებელი შეთანხმების მიღწევის მიმართ ფრიად ნეგატიური იყო. ნიქსონის ვიზიტის დამთავრებისთანავე გაზეთმა „ნიან ზანმა“ განაცხადა — შეერთებული შტატები თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მთავარი მტერია და ბოლომდე თავდადებით ვიბრძოლებთო მის წინააღმდეგ.

1972 წლის 31 მარტს, პეკინში ვოიაჟის ერთგვარ პასუხად, ვიეტნამის პატრიოტულმა ძალებმა უძლიერესი შეტევა დაიწყეს საიგონის პოზიციებზე. შეტევა დაიწყო აგრეთვე ლაოსსა და კამბოჯაშიც. ამერიკელთა მიერ თავით ფეხებამდე შეიარაღებულმა მარიონეტებმა პანიკით მოცულებმა მიატოვეს ქალაქები კუანგჩი, ანლოკი, კონტუმი და პლეიკუ და საიგონისაკენ უკუიქცნენ. ამან საფუძველი მისცა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმზის“ მიმომხილველს ტომ უიკერს განეცხადებინა, რომ ნიქსონისეული „ვიეტნამიზაცია“ არანაკლებ გრანდიოზული ჩავარდნით დამთავრდა, ვიდრე ლინდონ ჯონსონის სახმელეთო ომიო“.

საგარეოპოლიტიკური ფაქტორების შეფასებამ ძალისმიერი პრეტენზიების პლატფორმიდან კიდევ ერთხელ მიიყვანა შეერთებული შტატების მმართველი წრეები კატასტროფული გადაწყვეტილების მიღებამდე.

9 მაისს ნიქსონმა ბრძანება გასცა განეახლებინათ საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და დაენაღმათ მისი ნავსადგურები სრული ბლოკირების მიზნით. ზეძლიერი „ბ-52“-ები განუწყვეტლივ და განურჩევლად ბომბავდნენ სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს, რაც მთავარია, საირიგაციო დამბებს, რომელთა დაზიანება წალეკვით ემუქრებოდა მოსახლეობასა და ნათესებს. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურებში ჩამოყრილ იქნა 8.700 ნაღმი. ამერიკის მხედრიონმა წამოიწყო ე. წ. „მეტეოროლოგიური ომიც“, რომლის დროს სპეციალური ფხვნილების გაბნევა ღრუბლებზე წარღვნისებურ წვიმებს იწვევდა.

სენატორ მაიკ მენსფილდის გამოთქმით ძალისმიერი კოზირებით „ამ აზარტულმა თამაშმა მსოფლიოს ბედ-იღბალთან“ კიდევ ერთხელ აავირთა მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთება. საბჭოთა მთავრობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა ამგვარი აქტების წინააღმდეგ და მოითხოვა მათი შეწყვეტა. 1972 წლის მაისში მოსკოვში ვიზიტის დროს პრეზიდენტი ნიქსონი საფუძვლიანად გააცნეს საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომლის ხაზგასმულ გამოხატულებად იქცა ივნისში საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი ჰანოიში სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით შემდგომი საბჭოთა დახმარების კონკრეტული ასპექტების შესათანხმებლად.

ყველა ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა და მოახლოვებული საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელებამ, როდესაც ვიეტნამის ომი კვლავ დადგა დღის წესრიგში საარჩევნო კამპანიის უმწვავეს საკითხად, აიძულა პრეზიდენტი ნიქსონი გამოეცხადებინა ამერიკის ჯარების მორიგი შემცირება სამხრეთ ვიეტნამში და დაებრუნებინა დელეგაცია პარიზის თათბირზე. მით უმეტეს, რომ ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა სარჯენტ შრაივერმა, პარიზის თათბირზე ყოფილ ამერიკელ ელჩებთან ჰარიმანთან და ვენსთან ერთად, ბრალი დადო ნიქსონს 1969 წელს სამშვიდობო მოწესრიგების შესაძლებლობის ხელიდან შეგნებულ გაშვებაში, როცა ჰანოი მზად იყო შეთანხმებისათვის.

პარიზში კი დიპლომატიური ინიციატივა კვლავ ვიეტნამის წარმომადგენელთა ხელში აღმოჩნდა. ოქტომბრის დასაწყისში მათ წარადგინეს კონფიდენციალურ თათბირზე ახალი წინადადება, რომელმაც საფუძველი გამოაცალა ვაშინგტონის უარს დაზავებაზე და ჩიხიდან გამოიყვანა მოლაპარაკებანი. 20 ოქტომბერს შეერთებული შტატებისა და დემოკრატიული ვიეტნამის დელეგაციებმა შეათანხმეს ხელშეკრულების ტექსტი, რომლის ხელმოწერა დათქმულ იქნა 31 ოქტომბრისათვის. 26 ოქტომბერს, არჩევნებამდე 10 დღით ადრე, ჰენრი კისინჯერმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ დარჩენილია მხოლოდ ზოგიერთი დეტალის შეთანხმება და ომი დასრულდებაო. ომის დასასრული თითქოს მართლაც დღეების საკითხად იქცა და სასწორი საპრეზიდენტო არჩევნებში საბოლოოდ გადაიხარა ნიქსონის მხარეზე.

მაგრამ პრეზიდენტად ხელახლა არჩევის შემდეგ ნიქსონის ვიეტნამურ კურსში კვლავ გაისმა სკეპტიკური ჰანგები შეთანხმების მიმართ. მისი 23 პარაგრაფიდან 9 პარაგრაფზე ჰენრი კისინჯერმა თათბირის ახალი რაუნდის დროს ნოემბრის შუარიცხვებიდან 126 შესწორება შეიტანა და თანაც შეფერხება ვიეტნამის მხარეს გადააბრალა, მის ცდას ვითომდა ინგლისური და ვიეტნამური ტექსტების ადეკვატურობის დარღვევისა. ვაშინგტონმა მოითხოვა ჩრდილოვიეტნამური კონტინგენტების გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან, რასაც საშუალება უნდა მიეცა საიგონის დიქტატორისათვის გასწორებოდა სამხრეთვიეტნამელ პატრიოტებს განცალკევებულ რაიონებში, დაიწყო საიგონის გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით ავიაციით და ა. შ.

ვაშინგტონი არა მარტო მასირებული დიპლომატიური დაწოლის განხორციელებას შეეცადა. 18 დეკემბრისათვის ამერიკული მშვიდობისმოყვარეობა საერთოდ გაქრა და გიგანტური „ბ-52“-ების მასირებული თავდასხმებით შეიცვალა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებზე. ამ აშკარად ტერორისტულ, ბარბაროსულ თავდასხმებს, რომელთაც აღარავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა აღარ ჰქონდათ, მხოლოდ ერთი მიზანი გააჩნდათ — ცეცხლითა და მახვილით აეძულებინათ ვიეტნამელი ხალხი ამერიკელთათვის სასურველ დათმობებზე მოეწერა ხელი.

ამგვარმა ორპირობამ სამართლიანად გამოიწვია მსოფლიო საზოგადოებრიობის გულისწყრომის კოლოსალური აფეთქება. სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან ერთად მკვეთრი პროტესტით გამოვიდნენ ნეიტრალური შვეცია, ჩილე, ინდოეთი, ამერიკის „ნატოსეული“ მოკავშირე დანია და სხვანი. საქმე იქამდე მივიდა, რომ 160 კონგრესმენმა პროტესტის ნიშნად საერთოდ უარი თქვა პრეზიდენტის ინაუგურაციის სადღესასწაულო ცერემონიალში მონაწილეობაზე. ზოგიერთი მათგანი კი საპროტესტო დემონსტრაციებსაც შეუერთდა ვაშინგტონში. ევროპას ანტიამერიკული გამოსვლების გიგანტურმა ტალღამ გადაუარა და აიძულა პრეზიდენტი უარი ეთქვა ევროპის დედაქალაქებში გაზაფხულისათვის დათქმულ ვიზიტებზე, გადაევადებინა ისინი. ცნობილი ფიზიკოსი კ. კუპერი, რომელიც ნობელის პრემიის მიღების შემდეგ იმ დღეებში დაბრუნდა ამერიკაში, შეშფოთებით აღნიშნავდა — „...კაცობრიობა ჩვენ მეოცე საუკუნის ჰუნებად მიგვიჩნევსო“.

ბოლოს და ბოლოს, პრაგმატიკოსმა ნიქსონმა გაითვალისწინა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების ტრიუმფი შეიძლებოდა მაისის ღრუბელივით გამქრალიყო და წავიდა შეთანხმების ხელმოწერაზე. 1973 წლის 27 იანვარს სისხლისმღვრელი ომი ვიეტნამში შეწყდა.

თავისთავად ცხადია, რომ „შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ“ (თანდართული ოქმებით) კომპრომისული შეთანხმებაა. მაგრამ ეს კომპრომისულობა ოდნავადაც ვერ ჩრდილავს ვი-

ეტნამელი პატრიოტების ბრწყინვალე გამარჯვება ტიტანურ ორთაბრძოლაში იმპერიალისტური სამყაროს უძლიერეს ქვეყანასთან, რომელმაც ვერ შესძლო თავისი ნება-სურვილი მოეხვია თავს პატარა ერისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის რომ იბრძოდა თითქმის 30 წლის განმავლობაში.

სწორედ ამ ობიექტურ, ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვან შედეგს გაუსვა ხაზი თავის სიტყვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 1973 წლის 30 იანვარს, ვიეტნამის დელეგაციის პატივსაცემად გამართულ სადილზე კრემლში: „ვიეტნამის გამარჯვება გვიჩვენებს, თუ რაოდენ შემცირდა ჩვენს დროში იმპერიალიზმის შესაძლებლობანი. აღარ არსებობს ისეთი საშუალებანი, რომელთა შემწეობით მან შესძლოს უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი!“

აშშ მთავრობა იძულებული გახდა მთლიანად და უდავოდ შეეწყვიტა სამხარი მოქმედებანი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და ეცნო 1954 წელს ჟენევის თათბირის მიერ აღიარებული ვიეტნამის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ერთიანობა. აქედან გამომდინარე, სამხედრო სადემარკაციო ხაზი მე-17 პარალელზე და დემილიტარიზებული ზონა მიჩნეულია მხოლოდ დროებითი ხასიათის ფაქტორად და არ წარმოადგენენ პოლიტიკურ ან ტერიტორიულ საზღვარს. ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამი, რომლებიც ვერ შეუერთდებიან ვერცერთ სამხედრო ბლოკს, თვით გადაწყვეტენ გაერთიანების ვადას, რომელიც უნდა განხორციელდეს თანდათანობით და დემოკრატიულ საფუძველზე.

აშშ მმართველი წრეები დათანხმდნენ, რომ შეთანხმების ხელმოწერიდან 60 დღის განმავლობაში გაიყვანდნენ სამხრეთ ვიეტნამიდან საკუთარ და მოკავშირეთა შეიარაღებულ ძალებს და მოახდენდნენ სამხედრო ბაზების დემონტაჟს. მათ ფაქტიურად სცნეს „სტატუსკვო“ სამხრეთ ვიეტნამში, ე. ი. სამხრეთ ვიეტნამში ორი ტერიტორიის, ორი არმიის, ორი ხელისუფლების, სამი პოლიტიკური ძალის რეალური არსებობა და იქ დემოკრატიული ვიეტნამის სამხედრო კონტინგენტების დარჩენა. ამავე დროს, ეს ნიშნავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ საიგონის რეჟიმის ცნობას რეალურად არსებულ პოლიტიკურ ძალად. შეერთებულმა შტატებმა ვალდებულება აიღეს, რომ არ ჩაერევიან სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში და შიიღებენ მონაწილეობას დემოკრატიული ვიეტნამის აღდგენაში; ამასთან ერთად ისინი მოსპობენ ან განმუხტავენ მათ მიერ იქ ჩამოყრილ ნაღმებსაც.

შეერთებული შტატები და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ცნობენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხის უფლებას თვითგამორკვევაზე, რაც აისახება ჭეშმარიტად თავისუფალ და დემოკრატიულ საყოველთაო არჩევნებში საერთაშორისო მეთვალყურეობით. მხარენი შეთანხმდნენ, რომ ხელმოწერის შემდეგ 90 დღის ვადაში შეიქმნებოდა „ეროვნული შერიგებისა და თანხმობის ნაციონალური საბჭო“, რომელშიც პარიტეტულ საფუძველზე შევიდოდა სამხრეთ ვიეტნამში არსებული სამი პოლიტიკური ძალა და რომელიც ერთხმიანობის პრინციპის საფუძველზე იმოქმედებდა. ეს საბჭო უზრუნველყოფდა მიღწეული შეთანხმების შესრულებას, დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვას, მოაწყობს ზემოაღნიშნულ არჩევნებს. შეთანხმების შესრულებას გააკონტროლებენ აგრეთვე ხელმომწერ მხარეთა ოთხმხრივი და ორმხრივი კომისიები და საერთაშორისო საკონტროლო კომისია კანადის, უნგრეთის, ინდონეზიისა და პოლონეთის შემადგენლობით.

მხარენი შეთანხმდნენ, რომ შეიარაღებულ ძალთა გაყვანასთან პარალელურად მოხდებოდა ამერიკელ ტყვეთა დაბრუნება; ხელმოწერიდან 30 დღის შემდეგ შედგებოდა საერთაშორისო თათბირი, რომელიც დაამტკიცებდა ამ შეთანხმებას და მიიღებდა მისი შესრულების გარანტირებას.

შეთანხმების მონაწილე მხარენი აცხადებდნენ, რომ ცნობენ კამბოჯისა და ლაოსის დამოუკიდებლობას, მთლიანობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ ხელუხლებლობას და პატივს სცემენ მათ ნეიტრალიტეტს. ისინი შეთანხმდნენ აგრეთვე ამ ქვეყნებიდან უცხოურ შეიარაღებულ ძალთა გაყვანისა და სამხარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის სიტყვაში მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესზე 1973 წლის 26 ოქტომბერს ხაზგასმით აღნიშნავდა: „მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა ომის შეწყვეტა ვიეტნამში. ეს, უწინარეს ყოვლისა, გმირი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებაა. ეს არის აგრეთვე გამარჯვება სოციალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც განუხრელად უწევდნენ ქმედითს დახმარებას ვიეტნამს სამართლიან ბრძოლაში. ეს არის გამარჯვება მსოფლიოს მთელი ძალებისა, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ ინდოჩინეთში იმპერიალისტური აგრესიის შეწყვეტისათვის“.

შეთანხმების მიღწევამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ატმოსფერო ინდოჩინეთში. დაიწყო მოქმედება საერთაშორისო საკონტროლო კომისიის აპარატმა, დაიწყო კონტაქტები სამხრეთ ვიეტნამის დროებით რევოლუციურ მთავრობასა და სამხრეთ ვიეტნამის ნეიტრალისტურ ძა-

ლებს შორის „ეროვნული შერიგებისა და თანხმობის ნაციონალური საბჭოს“ შექმნის თაობაზე. 1973 წლის მარტის მიწურულში დამთავრდა აშშ ჯარების გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან და სამხედრო ტყვეთა გათავისუფლება. ომით მძიმედ დაზარალებულ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფართო მასშტაბით გაიშალა აღდგენითი სამუშაოები.

1973 წლის 21 თებერვალს ლაოსის დედაქალაქ ვიენტიანში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სამეფო მთავრობასა და პატრიოტულ ძალებს შორის მშვიდობისა და ნაციონალური თანხმობის აღდგენის შესახებ ლაოსში, შეწყდა საომარი მოქმედებანი. პარიტეტულ საფუძველზე შეიქმნება ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობა და ნაციონალური საკონსულტაციო პოლიტიკური საბჭო, რომელიც მოამზადებს და ჩაატარებს საყოველთაო არჩევნებს.

მაგრამ პოლიტიკური გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საბოლოო მოწესრიგება ინდოჩინეთში ადვილი საქმეა. აშშ ავიაცია ძველებურადვე ბომბავდა კამბოჯის პატრიოტულ ძალებს, რომლებიც სულ უფრო ავიწროებენ ლონ ნოლის მარიონეტულ რეჟიმს. საიგონის ჯარები კვლავ განაგრძობენ თავდასხმებს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებულ ტერიტორიებზე, ხოლო პრეტენციოზული „პრეზიდენტი“ თხიეუ პროვოკაციულად უარყოფს სერიოზულ ნაბიჯებს სამხრეთ ვიეტნამის დროებით რევოლუციურ მთავრობასთან უშუალო მოლაპარაკებისათვის.

მაგრამ სამშვიდობო მოწესრიგება მაინც იკვლევს გზას. 1973 წლის 27 თებერვალს, ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ შეთანხმების თანახმად, პარიზში დაიწყო საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ოთხი ხელმომწერი მხარისა და საერთაშორისო საკონტროლო კომისიის მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები. 2 მარტს კონფერენციაზე ხელმოწერილ იქნა „საერთაშორისო კონფერენციის აქტი ვიეტნამის შესახებ“, რომელმაც დღესასწაულებრივად სცნო მიღწეული შეთანხმება და მიიღო მისი შესრულების გარანტიები. დაბოლოს, 13 ივნისს ჰენრი კისინჯერმა და ლე დიკ თხომ პარიზში ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომელიც აწესრიგებდა მიღწეული შეთანხმების შესრულებას და წინადადებას აძლევდა ორივე მხარეს სამხრეთ ვიეტნამში შეეწყვიტათ ბრძოლა.

იმპერიალისტური ძალების მიერ დაუმორჩილებელი ინდოჩინეთი მშვიდობიანი განვითარების გზას დაადგა. ყველა მშვიდობისმოყვარე ძალის, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ამოცანაა არ მოადუნონ სიფხიზლე და არ დაუშვან ამ გამარჯვების ხელყოფა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ვენერა ქავთიაშვილი*

# დაკარგული თაობის თემა

## *ჰაუპტმანის ერთი გვიან გამოქვეყნებული დრამის გამო*

1952 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო 1959 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც გამოქვეყნდა გერჰარტ ჰაუპტმანის მანამდე უცნობი, დიდად საინტერესო პიესა „ჰერბერტ ენგელმანი"; გამოქვეყნებისთანავე ამ პიესამ მოიარა ევროპის მნიშვნელოვანი თეატრების სცენები და საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მასში აღძრული მეტად მტკივნეული საკითხების გამო, თუმცა პიესა გაცილებით ადრე, 1924 წელს იყო დაწერილი.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გერმანელ მწერალთა დიდი ნაწილის შემოქმედებითი ცხოვრება ერთგვარად მიყუჩებული იყო. თითქმის არაფერი დაუწერიათ თომას და ჰაინრიხ მანებს, კელერმანს, არნოლდ ცვაიგსა და სხვებს. ხოლო მას შემდეგ, რაც ომის ქარცეცხლმა გადაიარა, მათ ხელი მოჰკიდეს იმ მიზეზების ძიებას, რამაც გამოიწვია ოციანი წლების მსოფლიო მოვლენები: თომას მანი „ჯადოსნურ მთაში" ანალიზს უკეთებს ევროპის საზოგადოების პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების განვითარების პროცესს პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში, ასახავს იმპერიალიზმის ღრმა შინაგან კრიზისს და ამით უჩვენებს ომისა და მისი შედეგების კანონზომიერებას. ამავე კანონზომიერებას, მხოლოდ უფრო ვიწრო მასშტაბით, გერმანიის მასშტაბით — იკვლევს ჰაინრიხ მანი („თავი", 1925). მართალია ისინი შესანიშნავად გადმოგვცემენ ამ მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, მაგრამ ომის შემდგომი პერიოდის ასახვაში, როგორც საბჭოთა მკვლევარი ი. ბლუმბერგი აღნიშნავს, „გერმანული რომანი ჯერ კიდევ ვერ აღწევდა ისეთ სიღრმეს, როგორსაც მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ მიაღწია".

უკვე მხცოვანი ჰაუპტმანი ოციანი წლების გერმანიაში შექმნილ ვითარებას ასე იგონებდა: „საინტერესო იყო გერმანია ინფლაციის ციებ-ცხელების დროს... გენერლების გაშიშვლებული ქალიშვილები ცეკვას იყვნენ გადაყოლილნი. ბერლინი რაღაც გრიგალში ინთქმებოდა. ყოველი მესამე სახლი საეჭვო ბუნაგს წარმოადგენდა. დაუმატეთ ამას გაფიცვებით გამოწვეული შუქჩაბნელება და ქუჩის ტრანსპორტის შეფერხება. ხალხი სამსახურში ძველ ეტლებს დაჰყავდა. ყველაფერი ამის აღსაწერად ბალზაკი იყო საჭირო, მაგრამ ბალზაკი გერმანიას არ ჰყავდა". და თუმცა გერმანიას არ ჰყოლია ბალზაკი, მაგრამ თვით ჰაუპტმანმა სწორედ ამ პერიოდში შექმნა უბრწყინვალესი დრამა, „ჰერბერტ ენგელმანი", სადაც მხატვრის უმაღლესი ოსტატობით, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა ასახა ღრმა წინააღმდეგობებით შერყეული ქვეყანა და მასში ომიდან დაბრუნებული ადამიანი.

პასტორის ქვრივის კურნიკის პანსიონში თავშესაფარი უპოვია სხვადასხვა ჯურის ხალხს: მუსიკის მასწავლებელს, სტუდენტს, მსახიობს, მხატვარს, ექიმს, ყოფილ სამხედრო პირებს და ამ შემთხვევით თავმოყრილ პატარა წრეში ჰაუპტმანი ხედავს შერყეულ, დამარცხებულ გერმანიას. კეთილშობილ პანსიონერთა გარეგნულ სიმშვიდეში დიდი სულიერი ტკივილი გამოსჭვივის. ომმა ღრმა დაღი დააჩნია თითოეულ მათგანს, ყველაფერი თავდაყირა დააყენა მათ გარშემო და ისინიც ცდილობენ როგორმე „მოერგონ ამ საშინელ დროებას". ყოველი მათგანი მხოლოდ რამდენიმე შტრი-

ხით ჰყავს მინიშნებული ავტორს, არც ერთისათვის არ მიუცია რაიმე უპირატესობა და არც ერთი მათგანი არ არის რაიმე იდეის მატარებელი. ომმა გასტეხა ისინი და ასწავლა გარემოსადმი შეგუება, თუ ბედს დამორჩილება.

და აი, ამ გერმანიაში, მათ წრეში ვინც, ასე ვთქვათ, მოახერხა ეპოვნა თავისი ადგილი ცხოვრებაში, ჰაუპტმანი ომიდან აბრუნებს ჰერბერტ ენგელმანს.

ადრე, ომის დაწყებისთანავე, ისევე როგორც ბევრი სხვა ახალგაზრდა, უნივერსიტეტისა და ოჯახის მიერ შთანერგილი ცრუ ილუზიებით გაბრუებული, ჰერბერტიც მოხალისედ წავიდა არმიაში. წავიდა და უცბად მსოფლიო სასაკლაოს ცენტრში მოექცა. ბევრი ტანჯვა-წამება გამოიარა. რამდენჯერმე დაიჭრა, ტყვედ იყო საფრანგეთსა და რუსეთში, შემდეგ ტყვეობიდანაც გაიქცა... რა არ გამოსცადა.

მისი ილუზიები მწარე სინამდვილემ დაამსხვრია. „რა მხურვალედ მიყვარდი... ამას მოველოდი შენგან, სამშობლოვ!...“ — შესძახებს სასოწარკვეთილი ჰერბერტი.

არც ომიდან დაბრუნების შემდეგ უნახავს კარგი. ინფლაციის, „სტაბილიზაციისა“ და ახალი ეკონომიური კრიზისის დროს მასობრივი უმუშევრობისა და გაჭირვების ნაკვალევიც დააჩნდა მას: ნერვულ მოშლილობას ფილტვების დაავადებაც დაერთო.

სულიერად განძარცვულმა ჰერბერტმა დაკარგა ყოველგვარი იმედი ამა ქვეყნისა, უკიდურესმა პესიმიზმმა კრიტიკულად განაწყო იგი ყოველივე,ირგვლივ არსებულისადმი. პესიმისტური თვალით შეჰყურებს საკუთარ მომავალს, რადგან დარწმუნებულია მალე მოკვდება და ჩქარობს დაასრულოს თავისი წიგნი, რათა ყველაფერი ნანახისა და განცდილის შესახებ მოუთხროს მკითხველს. რაც შეეხება შემდგომ თაობას, მას მომავალ მსოფლიო ომში სიკვდილს უწინასწარმეტყველებს.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მის შემდგომ ხანებშიც ბევრი უსაყვედურებდა ჰაუპტმანს ეპოქის მოვლენებში გაურკვევლობას. ეს, ერთი მხრივ, სამართლიანი საყვედური იყო, მაგრამ ამ გვიან გამოქვეყნებული (1952) ნაწარმოებით ირკვევა, თუ რა აქტიურად ეხმაურებოდა იგი თავისი დროის მოთხოვნებს და რა მტკივნეულად განიცდიდა ახალგაზრდა თაობის ტრაგედიას.

„ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საფლავში ვწევარ და მკვდრებს შორის ვცხოვრობ, ან კიდევ საერთოდ მკვდარი ვარ: ეს დრომ მოიტანა, ასეთია ახალგაზრდობა“, — ათქმევინებს იგი ქრისტას. აქ იმ ახალგაზრდებზეა ლაპარაკი, რომელთაც ასაკის გამო ვერ გაარკვიეს თავისი ადგილი გათამაშებულ ტრაგედიაში. მოხვდა რა ხიხზლიანი მოვლენების ცენტრში და ცოცხალი გადარჩა, იგი სულ სხვა დამოკიდებულებით განეწყო ქვეყნისა და მისი შეცნობის შესაძლებლობისადმი. „ჩემთვის სულ ერთია, თუ რა არის ქვეყანა; რაც მე მსურს ვიცოდე, ეს ის არის, თუ როგორ ვიცხოვრო მასში“, — ესა თქვა ჰემინგუეის გმირმა 1926 წელს და ასეთსავე გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს ქვეყნის მიმართ ორი წლით ადრე ჰაუპტმანის რუკშტულიც, როცა ამბობს: „მილიონობით წლების მანძილზე ადამიანების გარეშე იყო დედამიწა და კიდევ ამდენ ხანს იქნება“; ეს ის ახალგაზრდობაა, რომლებსაც თუმცა ბედმა გაუღიმათ და ომიდან ცოცხლები დაბრუნდნენ, მაგრამ გულში მოურჩენელ ჭრილობებს ატარებენ და ცხოვრობენ უფერული ცხოვრებით. არ იციან რა არის სიხარული, ცხოვრების აზრსა და მიზანს ვერ ხედავენ. და ამ ახალგაზრდობას „უცნაურის“ კვალიფიკაციას აძლევს ჰაუპტმანი. — „უცნაური ხალხია ეს ომიდან დაბრუნებულები“, — შენიშნავს მასწავლებელი ციმი, — „ჩემ ძმას ყოველთვის ფერი მისდის და შუბლზე ცივ ოფლს ასხამს, როცა კი სატვირთო მანქანა ჩაივლის“.

ქ-ნი კურნიკი კი პასუხობს:

„სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ყოველთვის, როცა ფოსტალიონს დაინახავს, ბატონ ჰერბერტსაც იგივე ემართება“.

მათ, ვინც ომს ცოცხალი გადაურჩა, აჩნიათ სისხლიან დღეთა ანარეკლი.

ჩვენ არ ვიცით რას აგონებს სატვირთო ავტომანქანა ციმის ძმას, (ალბათ ომისდროინდელ სულიერ ტრამვას), მაგრამ დრამის მესამე მოქმედებიდან ნათელი ხდება, თუ რასთან არის დაკავშირებული ჰერბერტის რეაქცია ფოსტალიონის დანახვაზე.

საქმე ისაა, რომ კეთილშობილ ოჯახში აღზრდილი ჰერბერტი, რომელსაც სასტიკად სძულს ომიცა და მკვლელის ხელობაც, სანგრებში რომ ასწავლეს მას, ომიდან დაბრუნების შემდეგ ჰკლავს კაცს. აქ ჰაუპტმანი ახლოსაა იმ აზრთან, რომ ყოფილი ჯარისკაცის მიერ მშვიდობიანი ცხოვრების დროს ჩადენილი მკვლელობა განმარტოს როგორც ფსიქოლოგიური ტრავმა. თუმცა დრამატურგი ამ აზრს ბოლომდე თანმიმდევრულად არ მიჰყვება და წინააღმდეგობაშიც კი იგდებს თავს. იგი ცდილობს ჰერბერტ ენგელმანში შეაერთოს მკვლელობის ჩადენის უნარიცა და ტრაგიკული შეურიგებლობა ძალადობისა და მხეცური ინსტინქტებისადმი. ერთ გმირში ასეთი, ერთმანეთისადმი სრულიად საპირისპირო თვისებების თანაარსებობა შესაძლოა მხოლოდ იმიტომ, რომ ჰერბერტის მიერ ჩადენილი მკვლელობა ავტორს შემოაქვს როგორც შემთხვევითი, ჰერბერტის ხასიათისათვის უცხო რამ. მან ფოსტალიონი მოკლა ერთ-ერთი იმ ნერვიული შეტევის დროს, რაც ხშირად ემართება ხოლმე მას და რომლის დროსაც იგი ფაქტიურად შეურაცხადი ხდება.

ერთის შეხედვით, შეიძლება თვალში გვეცეს ჰერბერტის მამის მეგობრის სიტყვები: ბავშვობაში ეპილეფსიით იყო დაავადებული და ეს რომ არა, ომი ვერაფერს დააკლებდაო. მაგრამ აქ ჰაუპტმანისათვის ბიოლოგიური მოტივი არ თამაშობს იმ როლს, რასაც, ვთქვათ, პიესებში „შერიგების დღესასწაული“ ან „მზის ამოსვლის წინ“.

ჰერბერტის მიერ ჩადენილი დანაშაული ფიზიოლოგიურ საწყისებთან კი არა, საზოგადოებრივ ვითარებასთან და ომის გაკვეთილებთან არის დაკავშირებული. „ოო, ომის შედეგები მარტო ის რომ იყოს, რასაც მისგან გამოწვეულ სიზმრებში ვხედავ... მაგრამ ორმოც თუ ორმოცდაათ შეტევაში ვმონაწილეობდი და ადამიანთა ხოცვის ეს მატიანე ისეთი მეცნიერებაა, რომელიც სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემში“. ჰაუპტმანს რომ სწორედ სოციალური საკითხი აწუხებს და არა ფიზიოლოგიური, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჰერბერტის ომისდროინდელი ამხანაგი, რომელიც ადრე სრულიად ჯანსაღი იყო, ამოწყვეტს საკუთარ ცოლშვილს; ამით ავტორი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჰერბერტისა და მის მსგავსთა ტრაგედიას ღრმა სოციალური და პოლიტიკური საფუძველი აქვს. ყველაფერში გერმანულ მილიტარიზმს მიუძღვის ბრალი, რომელმაც ორგზის საშინელი განსაცდელი დაატეხა თავს მთელ მსოფლიოს.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს რემარკის მოსაზრება, თავის გმირს, პაულს რომ ათქმევინებს („დასავლეთის ფრონტი უცვლელია“): „ჩვენ საკუთარ თავსაც არა ვჭირდებით. ვიცხოვრებთ, დავბერდებით, ერთნი შეეგუებიან, მეორენი ბედს დამორჩილდებიან, ბევრი კი თავის ადგილს ვერ იპოვნის. გაივლიან წლები და წავალთ სცენიდან“.

ჰაუპტმანის ჰერბერტ ენგელმანიც, ეს პერსპექტიული პიროვნება, ეძებდა „თუ როგორ ეცხოვრა“, და როცა ვერ მოახერხა ეს, თვითმკვლელობით დაასრულა თავისი ხანმოკლე, უფერული სიცოცხლე.

მართალია, „დაკარგული თაობის“ თემის შემომტანად გერმანიაში რემარკი ითვლება, მაგრამ განხილული დრამა უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ რემარკზე ადრე („დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ გამოქვეყნდა 1929 წელს), ჰაუპტმანის წინაშე უკვე იდგა ეს პრობლემა და 1924 წელს შექმნა კიდევაც დასრულებული სახე „დაკარგული თაობის“ წარმომადგენლისა და საერთოდ ევროპაში ერთერთმა პირველმა ასახა ის ღრმა წინააღმდეგობები, რაც ომის შემდგომ მსოფლიოს ახასიათებდა; განავითარა თუ არა ჰაუპტმანმა ეს თემა თავის სხვა ნაწარმოებებში, ამის თქმა ძნელია, რადგან მას მრავალი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები დარჩა და მისი მემკვიდრეები, გარკვეული მოსაზრებით, ახლაც მალავენ მას.

ჰაუპტმანმა „ჰერბერტ ენგელმანი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაწერა 1924 წელს. ადრე პიესას კეთილი ბოლო ჰქონდა: მას შემდეგ, რაც ჰერბერტმა ქრისტასთან სიმართლე აღიარა და ცოლმაც შეუნდო დანაშაული, — იწყო მშვიდი ცხოვრება. 1941 წელს ჰაუპტმანმა პიესას ფინალი შეუცვალა: ჰერბერტმა ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა. საქმე ისაა, რომ ავტორმა მეორე მსოფლიო ომის წლებში უფრო ნათლად დაინახა, რომ ჰერბერტის მსგავსთ უკვე ველარაფერი გადაარჩენდა, ვერც თუნდაც ისეთი მეგობრობა და სიყვარული, რაც რემარკისა და ოლდინგტონის გმირებს ეხმარებოდა; ამიტომაც ჰერბერტმა დაკარგა საარსებოდ საჭირო სიმხნევე და ვაჟკაცობა. ავტორმა ამ ვითარების შესაბამისად გადააკეთა დრამის ფინალი. მაგრამ სიცოცხლეში ჰაუპტმანმა პიესის გამოქვეყნება მაინც ვერ მოახერხა. 1925 წელს მწერლის ვაჟმა ბენვენუტომ იგი გადასაკეთებლად გადასცა კარლ ცუკმაიერს (მიუხედავად მამის ანდერძისა — ყველა მისი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები შეუცვლელად გამოექვეყნებინათ. ასეთები კი სამ ტომზე მეტს მოიცავენ) და იმავე წელს დასავლეთ გერმანიაში გამოქვეყნდა ამ დრამის ცუკმაიერისეული ვარიანტი. ადრე სხვადასხვა მკვლევართა წერილებში წაიკითხავდით: „დასამთავრებლად გადასცაო“, მაგრამ ჰაუპტმანისეული ვარიანტის გაცნობამ და მისმა შეჯერებამ ცუკმაიერისეულ ვარიანტთან, დაგვანახვა ჯერ ერთი ის, რომ დასამთავრებლად კი არ გადაუციათ, რადგან ჰაუპტმანს პიესა დამთავრებული ჰქონდა, არამედ გადასაკეთებლად. თუმცა გადაკეთებითაც ნაწარმოებმა ბევრი რამ დაკარგა.

საქმე ისაა, რომ ჰაუპტმანის მიერ დასმულმა საკითხებმა ცუკმაიერის ვარიანტში დაკარგეს სოციალური სიმართლე. ეს ჩანს იქიდან, რომ ჰაუპტმანისეული ჰერბერტ ენგელმანი ომიდან დაბრუნების შემდეგ უარს ამბობს იურისპრუდენციაზე, როგორც მეცნიერებაზე, რომელიც

ჰუმანური მიზნების დაცვას კი არ ემსახურებოდა, არამედ ცდილობდა ვაიმარის რესპუბლიკაში არსებული უკანონობის დაცვა-გამართლებას. ჰაუპტმანის ვარიანტით, ჰერბერტი მწერლობას მიჰყოფს ხელს, ცუკმაიერმა კი ჰერბერტს თავისი აზრით უპრეტენზიო სპეციალობა — ფიზიკოსობა აურჩია და გააუბრალოვა რა ნაწარმოების სოციალური აზრი — მკითხველის ყურადღება გადაიტანა უფრო ინტიმურ, პირადულ, ოჯახურ სფეროში. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ როცა ჰერბერტი და ქრისტა სასეირნოდ მიდიან, ჰაუპტმანი რემარკაში შენიშნავს — ხელგადახვეულები გავიდნენ ოთახიდანო, ხოლო ცუკმაიერი ამ ინტიმური სურათის აღწერას სასეირნოდ წასვლამდე, მთელ ნახევარ გვერდს უთმობს. სწორედ ასეთი ცვლილებების ხარჯზე ჰაუპტმანისეული ვარიანტის 120 გვერდი ცუკმაიერმა 150-მდე გაზარდა. სამაგიეროდ დრამის ავტორად, ჰაუპტმანის გვერდით, ცუკმაიერიც არის მოხსენებული. ეს კი ცუკმაიერისათვის საკმაოდ დიდი პატივია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ჯგუბურია

# მზე დედაა ჩემი...

## ფიქრები... შთაბეჭდილებანი...

### დედაჩემისაგან გაგონილი

„ჩემი თვალით რომ არ მენახა და მონაყოლი გამეგონა, ხომ არ დავიჯერებდი! ან რაღა ჩემი თავი ავიღო მაინცდამაინც, სხვა ვინ დაიჯერებდა, ნეტა? არ დაიჯერებდა და მართალიც იქნებოდა. ცოცხალი პოეტი თვალით არ გვენახა; იროდიონ ევდოშვილის სურათი, ჩვენი ქართულის წიგნში რომ იყო ჩაბეჭდილი, კი გვახსოვდა ყველას, მაგრამ აკაკის სურათი ჩვენთვის პოეტის პორტრეტს კი არ ნიშნავდა მხოლოდ, იმ სურათით გამოწვეული შთაბეჭდილება აუხსნელი იყო. და არც გვიცდია არასოდეს მისი გამოწვლილვით სინათლეზე გამოტანა. წიგნში ეხატა მოხუცი კაცი, ერთიანად თმაგათეთრებული და ფიქრიანი, ცალი ხელი დაღლილ თავზე ჰქონდა მიდებული და ჩვენ გვიცქეროდა. სურათს ქვემოთ ტკბილი და ლოცვისმაგვარი სიტყვები ეწერა და ჩვენ ვიზეპირებდით მას. ის სიტყვები ცხონებული ბაბუაჩემის სიტყვებს ჰგავდა, როცა ნაკურთხი ხორაგით გაწყობილი ტაბაკის გარშემო ისხდა ჩვენი სახლეული და საყვარელი ბაბუა საქონლის პატრონს, ჟინი ანთარს ეხვეწებოდა: „ჟინი ანთარო, გამარჯვებულო, შენ გაამრავლე საქონელი ჩემი“, და ასე შემდეგ.

ცოცხალი პოეტის ნახვაზე არც მიოცნებია-მეთქი, მაგრამ მოხდა ასე და ჩვენს სოფელში ჩამოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გრძელი შავი ჯოხი ეჭირა ხელში და ერთი ფერის პიჯაკი და შარვალი ეცვა. სტუმარი კაცი ჩვენს მეზობელს, პავლე შარაშიას ერგებოდა ნათესავად. სოფელში თქვეს, ის კაცი თბილისში ცხოვრობს, პავლეს ბედს აწი ძაღლი არ დაჰყეფსო და შურით შესცქეროდნენ მეზობელს სოფლელები. ვინ რას ფიქრობდა და ვინ რას. მიდიოდნენ პავლე შარაშიასას სოფლელები, მიუჯდებოდნენ მოშორებით სტუმარს და თვალებში შესციცინებდნენ. სტუმარი კაცი პოეტი არიო, ასე თქვეს.

კარგა ხნის საუბრის მერე გამოირკვა: ის ახალგაზრდა კაცი, ჩვენი მეზობელი სოფლის მკვიდრი ყოფილა, ოდიშელი საჯაიას შვილი. გამოირკვა და წახდა საუბარიც. ცოტ-ცოტა გაიკრიფა ხალხი. ყველამ თავისი საქმე და საჭირბოროტო მოიმიზეზა, ზოგი უჩუმრადაც ადგა და წავიდა, მშვიდობის დაუბარებლად გავიდა ეზოდან, ღამდებოდა, ახალგაზრდა პოეტი იჯდა ოდის წინ, და ფიქრიანი, წყნარი თვალებით ნისლში შემავალ კავკასიონისაკენ იცქირებოდა“.

### მოძღვარი

ალექსანდრე საჯაიას სოფელი ჩვენი სახლიდან ოთხიოდე კილომეტრზეა. რომ მოვსწრებოდი, მე ვიქნებოდი მისი მეზობელი, მოწაფე. მე ავიღებდი ჩემს პაწაწინა ლექსებს და მოწიწებითა და მორიდებით მივუტანდი ქალაქიდან ჟამი-ჟამ სოფლად ჩამოსულ პოეტს. ალექსანდრე საჯაია დღეს საქვეყნოდ ცნობილი პოეტი იქნებოდა... რა კარგია, როცა სიახლოვეს გეგულება კაცი, რომელსაც ყველაფერს ეტყვი. ასევე მოვიქცეოდი მე მირზა გელოვანთან და ლადო ასათიანთან, ვლადიმერ უბილავასთან და გიორგი ნაფეტვარიძესთან. ჩვენთვის მშობლიურია ის გარემო, სადაც ავიდგით ფეხი. ბავშვი მშობლებს ბაძავს, უყურებს და ფეხზე დგება, ენას იტეხს, იცინის და ტირის, ეკამათება და ემორ-

ჩილება, სწავლობს და შრომობს. ყველაფერ ამას ხედავს და ასევე იქცევა თვითონ, ხოლო რაკი მიბაძვაზე ვსაუბრობთ, ბაძავს მას, ვინც ახლოსაა.

ალექსანდრე საჯაია ჩემი მეზობელია-მეთქი. მე ვაკვირდები ჩემს მეზობელს. ჩემს უნებურად იგი ხდება მოძღვარი ჩემი. მე ვიძენ მისეულ ჩვევებს. დავდივარ იმ ტყეში, სადაც ჩემი მოძღვარი დადიოდა. ვბანაობ იმ მდინარეში, სადაც ის ბანაობდა. დრო ხომ გაფრინდა, მაგრამ ეს საერთო ლანდშაფტი ჩვენ გვაახლოებს, შლის ზღვარს... დაფრინდა შტოზე ჩიტი. აფრინდა და ახლა სხვა ჩიტი ჩამოსკუპდა იმავე შტოზე. შემოგარენი წყნარია. რა ხანმა გაიარა? მირიადმა საუკუნეებმა თუ ერთმა წამმა? ჩვენ გვაახლოებს ერთნაირი ქცევა, სურვილი, მიზანი. კაცი კაცის ნათესავია.

გარდასული ახალგაზრდებიდან ასათიანი უფრო გაშლილია და ვრცელი. დიდი გულისაა. მას ქალიც დიდგულა უყვარს. „იმ სახლში წაბლისფერთმიანი ქალია, დიდბუნებოვანი და დიდგული". საჯაიას ქალი ჩიტისგულაა. „ის ჩიტისგულა ცრემლით მიგონებს". მირზა გელოვანი „მუხლი და ნიავქარია". მთის მდინარესავით სწრაფია და ფიცხი. „თოხს მიაყუდებს ჯარგვალთან გლეხი და მყუდროება დადგება სოფლად". — ეს ვლადიმერ უბილავას სტრიქონებია. უბილავა რომ გამახსენდება, ეს სტრიქონებიც მომაგონდება ხოლმე. ამ ლექსის ავტორი გლეხის ბიჭია. „ისევ მომინდა ჩემი გალია, ჩემი მინდვრები და ვენახები, არ მინახია დიდი ხანია, გამზრდელის თვალებს დავენახვები", — ეს სტროფი ჩემი საყვარელი ლექსიდანაა. ასათიანი აქ აკაკივითაა. აქ ქართული ყოვლისმომცველია. ასე გგონია, შენი სათქმელი ითქვა, შენც იტყოდი ასე. აქ ასათიანი სახალხო პოეტია. საყოველთაო განწყობის გამომსახველი.

ალექსანდრე საჯაიას ლექსები ნაზია და ფიქრიანი. მისი ლირიკა ყველაზე მეტად, ალბათ, ისევე მელისკურს მოჰგავს, პატარა მდინარე რომ არის, ტყით დაბინდული. აქა-იქ ცის ნაფლეთებიც მოჩანს, ხან ტყეში შეპარული ოქროსფერი მზის სხივი გამობრწყინდება, ხან წვიმის ცვარი, ცრემლივით ნაზი. ხან ქვიალა ჭრაქით განათებული ჯარგვალი გამოჩნდება, ხან წყლისპირა ტირიფი, თავის ორეულს რომ ჩასცქერის მოწყენილი. ამ წუთას, სალამო ხანზე, პაწია ოდის აივანზე ჩონგურის გამოტანას მაგონებს საჯაიას პოეზია.

ალექსანდრე საჯაია ცვალებადი ხასიათისაა. გუნებისად პოეტია. მისი დამოკიდებულება ყველაფრისადმი ემოციურია და გულუბრყვილო. ხან რა გაახსენდება და ხან რა. ფიქრი მისი დაულევინებელია და მფრთონავი. მშვენიერი „კაფიას" ავტორი ხან ზღაპარს მიუბრუნდება და ხან თარგმანს. ეძებს მისეული განწყობილების ფერებსა და სახეებს.

ლადო ასათიანმა უკვე ნათლად იცოდა რაზე უნდა ემღერა. ალ. საჯაია კი ჩანგს მართავდა, მის ყოველ სიმს დაჰფოფინებდა, ხასიმღეროდ ილერებდა ყელს. მისთვის მთავარი იყო არა იმდენად სატრფიალო არსება და საგანი, რამდენადაც სიმღერის სიწმინდე. ასათიანმა იმღერა კიდეც. საჯაიამ კი აწყობილი ჩონგური დაგვიტოვა. აკი ვთქვი კიდეც, მეგრული ოდის აივანზე, სალამო ხანს, ჩონგურის გამოტანას მაგონებს-მეთქი მისი პოეზია. „წელს უთუოდ წერწეტა ლერწამს შევუყვარდები", წერდა ის თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს. „სასიკვდილოდ მოვედი, მაგრამ დამენანება, ურითმებოდ დავტოვო ეს მეტყველი ტყეები". ესეც იმავე ლექსიდანაა. მას ამ მეტყველი შრიალის გარითმვა სურდა მხოლოდ. ხელის ჩამოკვრა აწყობილ ჩონგურზე.

ჩონგურის აწყობას ოსტატის ხელი და სმენა უნდა. რამდენჯერ მინახავს, როგორ აუწყვია ჩონგური ცირას, და როგორ ჩაუგორებია სხვის კალთაში; იმ სხვას აუღია, ჩამოუკრავს ერთიორჯერ, და თითქოს, საჩემოდ არააო აწყობილი — სხვისთვის გადაუცია, ხოლო ის სხვა კი, გაგიხარია, მაფშალიას დამსგავსებია.

## ლედგებიე

შენ კი გენაცვალე ღმერთო,
ჩვენი გამოსახვისთვისო,
ახლო-მახლო დაგვასახლე
ერთმანეთის ნახვისთვისო.

ხალხური

ლედგებიე — სადგებუოს ნიშნავს, ანუ ალაგს, სადაც დგებიები სახლობენ მეტწილად, დგებუაძეები. მკითხველს ახსენდება, ალბათ, ჯოლორია დგებია, ფუცუ დგებუაძე-ფულარიას რომანში აღწერილი და ახლოით განჩხრეკილი. ლედგებიეში სხვა გვარის მოსახლენიც იყვნენ: სართანიები, ბულიები, ქობალიები, ქოჩუები, ჭურღულიები, კოზუები, საჯაიების ოჯახი ერთადერთი იყო ლედგებიეში.

უხსოვარი ხნიდან მოკიდებული აქ მოჰყავდათ სიმინდი, ღომი, უფრო გვიან ჩაის პლანტაციები იქნა გაშენებული. ღომი დარასელიებისააო, იტყვიან სამეგრელოში. მიტომაც მათ „მელებიე დარასელიებს" ეძახიან, მაგრამ ეს მცენარეული თითქმის ყოველი მეგრული ოჯახის მთავარი საკვებია. ღომი და ღომი თუ გაქვს, — მაძღარი ხარ კაცი, ხოლო თუ სულუგუნის ნაჭერიცაა ღომში ჩახარშული — ამგვარი რამე დადიანსაც კი ეჭმევა. ვენახი ვერ ხარობს სამეგრელოში. ოდესმე კი ხარობდა, ალბათ, მაგრამ ჩვენ ამჟამინდელ სოფელზე ვლაპარაკობთ. აქაურ ღვინოს სიმაგრე აკლია და მჟავეა. ვინმეს გასვენების ჟამს, ქელეხზე, ან ქორწილში აქ იმერეთიდან ჩამოაქვთ ღვინო. იქაური ღვინო შედარებით უკეთესია. კახეთი კი ძალიან შორსაა, თორემ, იცოცხლე, რომელი

კუთხის წვენი შეედრება მის ღვინოს. წელიწადის ნებისმიერ დროს ყელამდეა სამუშაოთი ლედგებიელი კაცი. ხეში წყალი რომ ჩადგება და ბუნება კვირტს გამოიღებს, გუთანი და მისი ჯანი. ჯერ ყანის გადაწმენდა, ღეროების მოგროვება, დაწვა, ან საჩაფარიოდ შემონახვა; მერე ხვნა და ფარცხვა, მარგვლა, ბოროდი, ყანისათვის ღობის შემოვლება, სიმინდის ტეხვა, გამოტანა, მერე შემოდგომური გრძელი ღამეები და სიმინდის რჩევა. სასიმინდეში შეყრა. ხელმომჭირნეობით ხარჯვა სიმინდისა და წისქვილში სიარული. კარგად რომ დააკვირდე, წელიწადის ოთხივე დრო მარტო სიმინდის მოვლა-მოწევას თუ ეყოფა! მაგრამ გლეხკაცმა ყველაფერი უნდა მოასწროს, ვენახში უნდა იტრიალოს, ხეხილს უნდა მიხედოს, კოლმეურნეობას უნდა შეეწიოს, ხარ-კამეჩს საკვები უნდა მოუმარაგოს და ადგილი მიუჩინოს, საზამთროდ შეშა გამოიტანოს, და, რაც მთავარია, მტერ-მოყვარეს პასუხი უნდა გასცეს. სოფელში უკაცოდ არ ვარგა ადამიანი. სოფელში-მეთქი იმიტომ, რომ ეს სოფელში უფრო იგრძნობა. გაჭირვებაა თუ ლხინია — მეზობელია თავი და თავი. კარგი მეზობელი კარგ ნათესავს სჯობია. მეზობლის ცუდიც კარგია და კარგიც. მეზობელს ხარი უნატრე და შენ მოგეცემაო. რა ბრძნული ანდაზაა! მაგრამ ანდაზა ანდაზაა და კარგი მეზობლებიც წაეჩხუბებიან ხოლმე ერთმანეთს, ხან ღობეს წააქცევენ, ხანაც უმიზეზოდ ახმაურდებიან. მერე გავა დრო და თავისთავად შერიგდებიან: მდუმარედ მივლენ ერთმანეთთან, უსიტყვოდ შეეგუებიან ერთმანეთს. ქვეყანა დიდია და ყველას ეყოფა. ყველას ეყოფა საზრუნავი და სალხინებელი. ჭირს რომ სხვას გაუზიარებ, გაგინახევრდება, კარგს მოუყვები — ორმაგ სიხარულს იგრძნობ.

ხელმოკლე ოჯახი ჰქონდა ალექსი საჯაიას. დღემუდამ მუშაობდა, დღენიადაგ ზრუნავდა და ქონება არა და არ მოება. უფერული იყო მათი ეზო-კარი: რამდენიმე ძირი ხეხილი, ეზოს გაღმა პატარა ყანა, აკაციის ღობე და ფიცრული, პაწაწინა ოდასახლი, რომელსაც სამზადი უფრო დაერქმეოდა, ვიდრე ოდა, საქათმე და ერთიც დაჭლარკული ნალია — სასიმინდე. ასეც ხდება ხშირად, მუშაობს კაცი, მუშაობს, როგორც იტყვიან, დღე-ღამეს ასწორებს და მაინც არ მოსდგამს ქონება არავითარი. ნერჩის გაწყრომა თუ არი ეს, ადგილის დედისა? ვინ იცის! სხვა კაცი კი არც თავს იკლავს და არც წუხდება დღენიადაგ, მაგრამ ყველაფერი აქვს. ამგვარ კაცს ან ძველთაგანვე მოსდგამს ბარაქა და ხვავი, ან ღვთის წყალობაა ყოველივე; ორი გლეხიდან, რომელიმე დაესახლება კარგ ალაგს და წავა ცხოვრება კეთილად და ხალისიანად. მეორე კი მ რადის იმ ალაგს ესახლება, სადაც არაა მიწა ხვიფლიანი და მომცემი, ნერჩს მაინც არ გამოიცვლის, არ აიბარგება, თითქოს ეს იყო ბედი მისი, ღვთისაგან დადგენილი. სხვანაირი კაცის ამბავიც ვიცი, მუდამ რომ საცხოვრისს იცვლის, მუდამ რომ გზაშია და დოვლათი არ ეკიდება. ვინ იქნება, რომელი მათგანია მართალი, — რომელიც მუდამჟამს ახალს ეძიებს თუ, რომელიც ბედსაა მინდობილი? ალექსი საჯაია სწორედ ბედს მინდობილი გლეხთაგანი იყო. ძალასა და ღონეს არ იშურებდა, მუშაობდა და ცხოვრობდა, როგორც შეეძლო. დრო კი ამგვარი იყო. ახლდებოდა ქვეყანა, იერს იცვლიდა სოფელი. როგორც ყოველთვის ამდაგვარ დროს, გლეხკაცის გონება არცთუ ძალიან იყო გაბრწყინებული. ახანობია და ახლობელი, და, ასე თუ ისე, იცის რა მოიტანს, რა მოაქვს? — ამას მაინც გაიფიქრებს კაცი, თუნდაც რომ ძველი ცხოვრებით უკმაყოფილო იყოს. ძველი ხომ მისთვის ნაცნობია და ახლობელი, და ასე თუ ისე იცის რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა წარმართოს ცხოვრება და ოჯახი თავისი. ახალს კი მომზადება და ცოდნა სჭირდება; უნდა გაერკვე რაშია საქმე. ამიტომაც, მეგრელ კაცს მარადის წიგნისაკენ გაურბოდა თვალი. მე ვიცი უამრავი მეგრული ლექსი, წიგნზე ოცნებით რომაა სავსე. გლეხს უნდოდა შვილი მისი ანბანის მცოდნე და წიგნიერი ყოფილიყო. მეგრელი კაცი წიგნში სხვა აზრსაც სდებდა — უცნაურსა და გამოუთქმელს. მისი გაგებით, წიგნი ღმერთს უტოლდებოდა. ღმერთის უარყოფის ხანს, წიგნისადმი ამგვარი მიმართება („სი რექ ჩქიმი ღორონთი“) მას სიამოვნებდა და რაღაცნაირ საშველსაც ხედავდა წიგნში.

## „მახსოვს პირველად სასწავლებელში“..

„დიხა მანგარი, ცა მანგარი, ღორონთი, ჩქიმი კუჩხი გამანგარი“. ეს უძველესი მეგრული ლექსია. გამზრდელს პაწია ბალღი გამოჰყავს მინდორზე, მსუბუქად ჰკიდებს ხელებს, ეფერება, ეალერსება, ხანაც მთლად გაუშვებს ხელებს და მიუტიტინებს: დიხა მანგარი, ცა მანგარი, ღორონთი, ჩქიმი კუჩხი გამანგარი. სიტყვა-სიტყვით: მიწა მაგარი, ცა მაგარი, ღმერთო, ჩემი მუხლი (ფეხი) გაამაგრეო. ამას თითქოს ბავშვი ამბობს, მაგრამ ამ დროს, მან ჯერ არც იცის სიტყვების ერთმანეთთან მიბმა, და ხანდახან თუ წამოიძახებს ხოლმე თითო-ოროლა ბგერას: და-და, ნა-ნა და სხვა. ლექსს ბავშვის პირით დედა-ქალი ამბობს, იხვეწება. და აი, საოცრებაც: გაუშვებს ხელებს და ბავშვი დგას. გასჭრა ლოცვამ. გაიგონა ღმერთმა და ბავშვი ფეხზე დააყენა. მას მერმე ბავშვი აკეთებს პირველ ნაბიჯს.

ამ პირველ ნაბიჯსა და სკოლაში პირველად წასვლას ჩვენ ერთნაირი გულისტკივილით ვგრძნობთ. პირველი ნაბიჯით გამოწვეული გუ-

ლისტკივილი — სიხარულის გულისტკივილია. სკოლაში პირველი წასვლით გამოწვეული — მართლაც გულისტკივილია. გაშლის ხელებს გამზრდელი და წავა ბავშვი. აქედან მოყოლებული ბავშვი მარტო დედისშვილი კი არაა, არამედ ქვეყნის შვილიცაა. ვინ იცის, ვინ რას ასწავლის ნას, რას შეიძენს და რას მოიტანს შინ. ახლა მშობელს ვიღაც სხვაც ეცილება მის სიყვარულში...

## ცაცხვი

პატარა ბავშვები ხომ ერთნაირი ბუნებისანი არიან თითქმის. მხოლოდ მერე გამოვლინდება მათი განსხვავება, გვიან თუ მივხვდებით, რომ ჩვენ ყველას სხვადასხვანაირი ბავშვობა გვქონდა. ჩვენ არც ვყოფილვართ ერთნაირი. ერთნაირ გაკვეთილებს კი ვისმენდით, ერთ კლასში დავდიოდით, ერთ სოფელში ვცხოვრობდით, ერთი გზა გვედო და ერთი შუკა. ამ ერთი შუკიდან გავიყრებოდით ხოლმე, ერთნაირ სურათებს ვხედავდით. ვგავდით კიდეც ერთმანეთს. კიდეც არა ვგავდით, პატარა კოკიც (ალექსანდრე) ჩვენფერი იყო და სხვაფერიც ამავე დროს. სკოლაში მიმავალ პატარა კოკის დამახსოვრებია ეზოს ჭიშკართან მდგარი ზურგმობუზული ნახირი; პეპელა, რომელიც პაწია ცირას ეთამაშებოდა, და ფერდობზე მომავალი მზე. „ეზოში დავრგე ცაცხვი მორჩილი, მას ალბათ ტყეში ყოფნა ერჩია, ჩემთან იზრდება და აქოჩრილი ჩემს მყუდროებას შემოეჩვია“. პატარა კოკისათვის ყველაფერი ენაადგმულია და ცოცხალი. მისი ცაცხვი სულიერივითაა.

ცაცხვი მრავლადაა ლედგებიეში, ანუ ოდიშში, როგორც ეძახიან ამ სოფელს დღეს. ისე ოდიში, მთლიანი სამეგრელოს სახელია. (ოდიში, ობიშხა, ვობის დღე, ოდოია, ორდო). ცაცხვი რტომრავალი და მოფარფაშეა. მაცხოვრის კარის ეკლესიასა და ოდიშის სასაფლაოს ეზოებს ცაცხვები ამშვენებენ. იცქირები მათკენ და ხალისით აგევსება გული. შრიალებენ, ცოცხლობენ ცაცხვები და გავიწყდება კიდეც არყოფნაზე ფიქრი. „ციმციმებს, მიმზერს, იქნებ რას მკითხავს, იქნებ მაწონებს თავს სიმწვანეთი, მარტოობის ჟამს მეც ვუმზერ დიდხანს და თითქმის გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი“.

ალექსანდრე საჯაია კარგად იცნობს ზუგდიდის შემოგარენს და იცის, რომ ცაცხვებს სასაფლაოზე რგავენ უმეტესად. მან კი ტყიდან წამოიყვანა ცაცხვი და თავის ეზოში დარგო. შეაჩვია თავის მყუდროებას. მაგრამ მოგონებას ხომ ვერ მოიშორებდა ვერასგზით. ხომ ყოველთვის ეხსომებოდა სასაფლაოს ცაცხვები. რაღა მაინცდამაინც ცაცხვს უმღერა ახალგაზრდა პოეტმა? ცაცხვს გორაკზე უყვარს დგომა და შრიალი. აქ კი დაბლობია და მოსაწყენი სანახი. „ხან კი მთელი დღე ლოდინით დაღლილს ვატყობ უქაროდ დგომა წყინდება...“ ყოფნა-არყოფნის სიმბოლოსავითა დგას ცაცხვი საჯაიას ეზოში. „ხან მხრებზე ჩრდილი ეცემა სახლის, ხან მზეზე კენტად გამობრწყინდება.“ ...როცა მზისკენ შებრუნდება ცისქვეშეთი, ცაცხვი მზეზე გამობრწყინდება. რა სინაზეა და რა სიშორე? მე აქედან მინდორსაც ვხედავ, ულელტეხილ გორაკებსაც და მელისკურის პირას ჩაფენილ ჩრდილებსაც.

## მელისკური

„შევდივარ მწვანით დაბინდულ ტყეში, წყარო კისკისებს, ტყე კი წუნარია, კრიალა წყალით ავივსე პეშვი და ვთქვი: ესეც ხომ ჩვენი წყალია!“ მერე ამ კრიალა წყაროს წყალს უდარებს პოეტი თავის გულს: „ძმებო, გული მაქვს ცამდე მართალი და მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა“. ამ ლექსის ავტორი თექვსმეტიოდე წლის ჭაბუკია. მეგრელი იტყვის: ცამდე მართალი ვარო. პატარა კოკი ბავშვობიდანვე აკვირდება ხალხში გაბნეულ ძვირფას საუნჯეს...

ერთ ძველ ჩინელ პოეტს გული ლოტოსის ფურცელთან აქვს შედარებული. „მოდი, იხილე, ლაქაშებში ლოტოსის ფერი, და შენ მიხვდები, გულს მწიკვლი რად არ ეკარება“ (თარგმანი თ. ჩხენკელისა).

პაწია და კამკამა მდინარეა მელისკური. ეს წყარო საზღვრავს საჯაიების ეზოს. მდინარის ორივე მხარეს მომაღლებული გორაკი მისდევს. თავად მდინარე ტყითაა დაბურული. უფრო სწორად, დაბურული იყო. ახლა ტყე მეჩხერია და გორაკიდან დაწრეტილი წყალი მოჩანს. აქ სამკურნალო წყალიც ამოდიოდა — წყურგილე. ამ წყურგილს ეტანებოდნენ სოფლელები. ჩამოვიდოდნენ სხვადასხვა ადგილებიდან, მოგროვდებოდნენ მელისკურის პირას, მწვანე მოლზე ჩამოსხდებოდნენ და წყალს ისხურებდნენ. ერთხელ ყავარჯნიანი, ომგამოვლილი კაცი სწვევია ამ წყაროს და უყავარჯნოდ დაბრუნებულა შინ. აქ დაუტოვებია ყავარჯნები. ალექსანდრე საჯაიას მეზობლის, ლუსიანე სართანიას თქმით, მამამისი ამ წყალს ამოისვამდა თვალში თურმე, და აი, საოცრებაც, თითქმის უსინათლო კაცი დღეს თავისუფლად კითხულობს გაზეთს.

მთელი თავისი მოკლე ცხოვრების მანძილზე გაჰყვა ა. საჯაიას ამ პაწია მთის წყაროს სიწმინდე. გამიგონია, ყვავილის ლერი ლამაზად ფიქრობდა და კვირტები გამოიღოო. ამ წმინდა წყაროს მოგონებაც ამგვარია. ვინ იცის, რამდენგზის მოელანდა პოეტს ეს კორომში მიმავალი ლაჟვარდი ფერი.

## ნათესავები

ა. საჯაია შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ თბილისში იზრდებოდა, თავის მამიდაშვილებ-

თან — დუკია და დამიანე სვანიძეებთან. დუკია სვანიძეს თავის წერილებში იგი გამზრდელს ეძახის. სვანიძეების ოჯახში განუმტკიცდა კოკის წიგნისადმი სიყვარული. აქ აეხილა გონების თვალი. აქ დაამთავრა საშუალო სკოლა და აქვე გახდა სტუდენტი უნივერსიტეტისა.

ხშირ-ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ლედგებიეს საჯაიების ნათესავები. ჩამოდიოდნენ და ჩამოჰყავდათ პატარა კოკი. მერე კოკი მარტოც ჩამოდიოდა.

ღარიბი სოფელი იყო ლედგებიე. ღარიბად ცხოვრობდნენ საჯაიები. წამოზრდილ კოკის, მშობლებთან მიფერების გარდა, სხვა საქმეც ჰქონდა. ბუნებით ის გლეხის შვილი იყო და მიწა უყვარდა. რამდენიმე დღით სოფელში ჩამოსული ყმაწვილი ჩაიცვამდა ძველმანს, სოფლის შემოგარენს დაივლიდა, ტყიდან შხლორთებს გამოიტანდა, ეზოს ღობეს ავლებდა, ეხმარებოდა მამას, ტვირთს უმსუბუქებდა. აი, სოფლიდან მამიდაშვილისადმი (დუკიასადმი) მიწერილი ბარათის ერთი ადგილი: „აბა, შენ იცი, თუ არ დაიავადმყოფებ თავს. სამსახურს ბოლოს და ბოლოს თავი დაანებე. ნუთუ მე ერთი კაცის რჩენაც არ შემიძლია. მერე წელს ყანაც მაქვს...“ ქვეყნად ომი მძვინვარებდა. მაშინ ყველას უჭირდა. თუკი ომამდე მეზობელი მეზობელს შველოდა მხოლოდ, ახლა მანძილი გაიზარდა. სოფელში მყოფი კოკისათვის აწ შორს მცხოვრები კაციც მეზობელი და ნათესავია. ამგვარი იყო ყველას საზრუნავი. ალექსანდრე თავის მამიდაშვილს სწერს: „ვახტანგის მიხედე, მარტოა ბიჭი და ცოდვაა... საჭმელზე დაპატიჟე ხოლმე, რასაკვირველია, თუკი გექნა..“ ამ ორიოდე ფრაზით ჩვენთვის ნათელი ხდება იმდროინდელი მდგომარეობა. არაჩვეულებრივად ძუნწია ა. საჯაიას თხოვნა — „საჭმელზე დაპატიჟე ხოლმე“... ქართველი კაცი ასე არ მოიქცეოდა, ომი რომ არა. აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი იმავე წერილიდან: „არ დაგავიწყდეს ჩემი პალტოს შენახვა, საერთოდ გაუფრთხილდი ჩემს ნივთებს. შენ თუ ჩამოხვალ, მაშოს (დედამისი) კვეთი და შპრიცი ჩამოუტანე... პლაშჩი ვერ გაუყიდიათ...“ წერილში ნახსენები „კვეთი“ ყველის დასაყენებელია, ხოლო „შპრიცი“... ავადმყოფობდა ოჯახის რომელიმე წევრი, ალბათ, თუმცა რა ბევრი ისინი იყვნენ. ა. საჯაია ერთადერთი ვაჟი იყო მშობლებისა! ალექსანდრეს დედა — მაშო ექთანობაში გაწაფული ყოფილა. და კიდევ ერთი, იმგვარივე თხოვნა მამიდაშვილისადმი: „ვახტანგი ალბათ განხულობს, ყურადღება მიაქციე, რითაც შეგიძლია... ცოდვაა ბიჭი“. ეგ ყურადღებამისაქცევი ბიჭი — ვახტანგ ჭელიძეა, დღეს საქვეყნოდ ცნობილი მწერალი და მთარგმნელი, სულიერი მეგობარი და ნათესავი ალექსანდრე საჯაიასი.

## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

1935 წლიდან ა. საჯაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. სწავლობს ინგლისურ ენასა და ლიტერატურას. იმ ხანებში გამოდიან სამწერლო ასპარეზზე მირზა გელოვანი, ლადო ასათიანი, სევერიან ისიანი, ვლადიმერ უბილავა, რევაზ მარგიანი, ვახტანგ ჭელიძე; ეს ის თაობაა, ასე მშვენივრად რომ უმღერა ჩვენმა დიდებულმა მესიტყვემ — ნიკა აგიაშვილმა. მას გამოწვლილვითა აქვს აღწერილი იმდროინდელი თბილისი, ომის წინა წლებია.. ახალგაზრდა პოეტები წერენ პირველ ლექსებს, დღემუდამ ერთად არიან, ერთად მოგზაურობენ, რედაქციებშიც კი ჯგუფ-ჯგუფად დადიან. ერთია მათი ოცნება, ერთია მათი საფიქრალი. მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ყველა თავისი საკუთარი გზის გაკვალვას ცდილობს, ცდილობს თავისებურად შეეწიოს ქართულ ლექსს. მათ თვალწინ ბობოქრობენ გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი. რა უნდა აკეთონ ამ ყმაწვილებმა? გაჰყვნენ თავიანთი წინაპრების გზას? ახალგაზრდები წერენ ლექსებს გალაკტიონზე. გატაცებით ეწაფებიან გამსახურდიას ქართულს და აკვირდებიან ცხოვრებას. ცხოვრება კი მიდის. აღელვებულია სული კაცისა. გარეგნულად კი თითქოს სიწყნარეა. თითქოს ყველაფერი რიგზეა. თითქოს კარს არ იყოს მომდგარი დიდი ომი. ომმა შეიწირა მირზა გელოვანის მჩქეფარე ხმა. ომმა შეიწირა გიორგი ნაფეტვარიძე, ვლადიმერ უბილავა, სევერიან ისიანი. ომის ბრჭყალი მოხვდა ლადო ასათიანს. აგერ, ოცდახუთი წელი გადის, ომის მოგონებას ვერ იშორებს მურმან ლებანიძე. ომმა ყველას სხვანაირად აუხილა თვალი. კაცი იბრძვის სიცოცხლისათვის, ქვეყნის გადარჩენისათვის. **„Ради жизни на земле“**... მთავარია გაიმარჯვო, გადარჩე ცოცხალი. უკაცოდ არც ომი იქნება და აღარც მშვიდობა. მთავარია გადარჩე და ბურუსი კი გადაიწმინდება. დღევანდელი დღე დაღამდება, მაგრამ ხვალინდელი დღე გათენდება.

ომის თემა საყოველთაოა ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში. არც ა. საჯაია მოწყვეტილა ამ თემას. ბორის ძნელაძისადმი მიძღვნილი ლექსით იწყება ეს რკალი; უკვე აქედან ისმის შორეული ომის ექო თუ გამოძახილი. ა. საჯაია ერთსადაიმავე დროს წერს ომსა და მყუდროებაზე. გამოკვეთილი კი არაა მის შემოქმედებაში ეს სხვადასხვა მხარე. ის ახალგაზრდულადაა ჩართული ამ უშველებელ ომში. მისი გულისყური ერთსადაიმავე მოვლენას ყოვლისმომცველად ვერც აღიქვამს. ხან თავისი სოფელი მოაგონდება ხოლმე, ჩონგური და გრძელი ღამე, ხან ლხინი კახელებთან და სომხეთს სტუმრობა. ასეც უნდა ყოფილიყო, ალბათ. დროც ხომ ამგვარი იყო. ომს ცეცხლი სჭირდებოდა და

შინ დარჩენილს ფერება და თბილი სიტყვა. ომის გამო შექმნილი ა. საჯაიას ლექსები უფრო გრძნობითაა ამოთქმული. მას უყვარს ხატვა, ჩაფიქრება და ცრემლი. მისი სტრიქონი ნაზია და გამჭვირვალე. მზიანი სტრიქონია. აკი თავადაც ამბობს, რომ ახალგაზრდა კაცი სიმღერისათვისაა გაჩენილი (ამ შემთხვევაში ოლეგ კოშევოი), მაგრამ იცვალა ჟამი და ეგ სიმღერისათვის გაჩენილი ბიჭი სასწაულებს ახდენს. და სიმღერითაც კვდება. ასევე კვდება მისი „კაპიტანიც“.

ა. საჯაიას უამრავ ლექსში გაიელვებს ხოლმე ომის აჩრდილი. სიკვდილამდე ჩაესმოდა ახალგაზრდა პოეტს ომის გუგუნი. ბრალი კია, რომ პოეტი ვერ მოესწრო ომის დამთავრებას.

## ჩონგური

აგე, ჩონგური, აგე, ცირა!...
სადაა ჩონგური, სადაა ცირა!
ხალხური

„ღამე ლამაზი ბევრი მინახავს...“ ეს სტრიქონი ა. საჯაიას „ძველი ჩონგურიდანაა“. ამას თავად ჩონგური ამბობს, ეს ჩონგურის ხმაა.

გალაკტიონი ჩანგს ანდობს თავის გულისთქმასა და ოცნებას.

ვაჟაც ასე არ არი განა? „ხანდახან ჩონგურს ავიღებ, სიმღერას დავაგუგუნებ“. აი, ხალხური: „ჩანგურო, ჩემო ჩანგურო, ამოიღე ხმაო“. ლექსების ამოწერა შორს წაგვიყვანდა. ჩონგურს ქართველი კაცი სამუშაოსაგან მოსვენებული იღებდა ხელში. დღე რომ გადაიწურებოდა, გამოვიდოდა აივანზე და ჩონგურს აახმიანებდა. ჩემს ბავშვობაში თითქმის ყოველი მეგრელი კაცის ოჯახში იყო ერთი ჩონგური. თითქმ ყოველმა ცირამ იცოდა ჩონგურზე თუ ფანდურზე დაკვრა.

„ნიავს ვუსმენდი, ჩუმი და ტკბილი ხმა შორეული, ჩამწვდა გულამდე...“ ეს ხმა მშობლიური ხმაა. ხმაა ჩონგურისა, „ღამე ლამაზი ბევრი მინახავსო“, რომ მღერის.

საყოველთაოდაა ცნობილი იშხნელების სიმღერები. რა გულშიჩამწვდომია მათი ხმა, რა მშვენიერია მათ მიერ ამორჩეული ლექსები! იშხნელები ა. საჯაიას „ცისარტყელასაც“ მღერიან. გალობენ უნაზესი ხმით. ლექსიც ტურფაა და ნაზი. „ჩვენ თვითონ ვნახეთ ბავშვი მოცარტი ფერად ყვავილებს ფანტავდა ქარში“... ორი სტრიქონი რომ ჩათავდება, სხვა ორი სტრიქონი მოდის, თითქოს გარეგნულად დაუკავშირებელი და დაუჯერებელიც: „ილიმებოდი და საოცარი მე ცისარტყელა მიყვარდა მაშინ“... ეს ორი სტრიქონი კი ეწყობა ერთმანეთს, ღიმილიც ჰგავს ცისარტყელას, მაგრამ მე ვგულისხმობ ამ ორი სტრიქონის კავშირს წინა ორ სტრიქონთან.

ეს ლექსი მე ჩონგურზე სიმღერას მაგონებს. მოწყენილ ცირას ჩონგური უდევს კალთაში და მღერის. ერთ ფრაზას რომ ჩაათავებს, ამ შემთხვევაში ორ სტრიქონს, — ცოტას ამოისუნთქავს, გასკვნის ცრემლებს, მოიცდის ცრემლის დაწვეთებამდე და რახანაც ამასობაში ცოტა დრომაც გაიარა, — ის უკვე ამ ახალი, წამიერი განწყობილების შესაბამისად ამბობს სიტყვებს. ეს ახალი ფრაზა, ეს ორი ახალი სტრიქონი, საერთოდ იმ მთლიანი განწყობილების თანახმიერია, მაგრამ ამასთანავე ოდნავ შეყოვნებულიც: „ვინ იცის, კიდევ მოვა შხაპუნა? ვიცი, ერთხელაც იქნება გვიან“. მიწყნარდა სიმღერა, ჩამოცურდა ცრემლი, და ისევ ითქვა: „მე შენმა ზეცამ ცვარი მაპკურა, მე უშენოდაც მიჯნური მქვია“. ეს ყოვლისმომცველი სიყვარულია.

## მეზობელი და მეგობარი

„ალექსანდრე საჯაია იმთავითვე ნათელი გონებისა იყო. ძალიან უყვარდა ქართული კლასიკური ლექსი. სულ რუსთაველსა და აკაკის კითხულობდა“. — მოკაზმული ჩემი ეზო, ზამთრის ქარბუქს დაცაეზრო, ახლა მზეზე ღრეობს. ენატრებათ ვაზებს, წნორებს, ხეზე სურო გააზმორებს: „მზეო, გვანაზეო...“ ასე მსუბუქად არავინ არ წერს ახლა. „მახსოვს, ზამთრის ერთ საღამოს, ჩემთან მოვიდნენ ალექსანდრე და ვალოდია (უბილავა). ვსაუბრობდით პოეზიაზე; ალექსანდრე იხსენებდა ახალგაზრდა პოეტების სტრიქონებს და დინჯად აფასებდა მათ. იგი იმ საღამოს პოეზიის მაგისტრს მოჰგავდა. ბრძენი და ნათელი. რამდენი რამის გაკეთება უნდოდა!“ — ამას ვალოდია სალომეშვილი მიყვება, ზუგდიდელი კაცი. ლედგებიედან ზუგდიდს მომავალ კოკის მისი სახლი უნდა გამოევლო ძალაუნებურად. ვ. სალომეშვილი სინწის გამოღმა ცხოვრობს, ზუგდიდის მხარეს.

ვ. ჭელიძე: „უკვე იცოდა ყველაფერი, იცოდა რა დაეწერა, შექმნილს კი გულგრილად ეკიდებოდა, არ აფასებდა“.

ვახტანგ ჭელიძესთან ვიყავით სტუმრად ვ. ჯავახაძე და მე. მასპინძელი ა. საჯაიას გამოუქვეყნებელ საყმაწვილო პოემას გვიკითხავდა და შეწყვიტა. არ ღირსო, ალბათ, ამის გამოქვეყნება. ვგრძნობდი, რომ სხვა რამის თქმა უნდოდა, სხვა უნდა ეთქვა და ეს კი გვითხრა. არ ვარგოდა ის პოემა მართლაც, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. იმ წუთას ორი სული, ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს — ერთი ლაპარაკობდა და გაჩუმდა. მეორეს კი სინანულის ცრემლი უმწიფდა თვალებზე და სული ეხუთებოდა. ჩვენ უჩუმრად გამოვედით ოთახიდან. მარტონი დავტოვეთ ვახტანგ ჭელიძე და ალექსანდრე საჯაია.

## მზე დედაა ჩემი

გიხაროდეთ, ჩვენს მხარესაა ტალანტი,
ხატი და ყვავილი.

დენი დიდრო

თოვლი გალხვა. გორაკიდან, აქა-იქ, მოხნული საყანე მიწები მოჩანს. ლედგებიეს ჩრდილოეთი ტყე მიმდინარე წყალსა ჰგავს; ეზოში სუსტი, მწვანე ბალახია ამოწვერილი. ღობე წაქცეულია და გაახლება უნდა. კალთააკეცილი დედაბერი ჯარგვლის წინ ქათმებს აპურებს. მეზობლის ბიჭმა ნახირი გარეკა. ოჯახის უფროსი კაცი ეზოში დგას და კარგად ვერ გარკვეულა, რითი დაიწყოს დღიური მუშაობა. საქმე კი ბევრია. ხალისიანია კაცი და რაღაცნაირად, ბუნდოვნად, ოდესმე დასიზმრებულივით ახსოვს თავისი სიღარიბე. მზე დილის კარიდან იცინის და მოდის. „ბჟა დია ჩქიმი...“ ნახირს რომ მიერეკებოდა, ის ბიჭი მღერის „ბჟა დია ჩქიმი“... საკვირველი ისაა, რომ ამ პატარა მეგრელი ბიჭისთვის ეს სიმღერა ახალია. ახალთ-ახალი. ზუსტად ამ წუთიერი განწყობილებისათვის მისადაგებული. ბავშვს განაგონი აქვს ეს ლექსი, გაახსენდა და წამოიმღერა. ა. ახმატოვას აქვს ერთი ლექსი, — ქვეყნად რომ გაზაფხული დგება, არ იცი, ეგ სახლი შენია თუ სხვისი, ხოლო იმ ძველ სიმღერას, მივიწყებული რომ გქონდა, მღერი, როგორც ახალსა და ჯერ არ გაგონილსო. როდინდელი სიმღერა გაახსენდა ამ პაწია მენახირეს? როდის შეიქმნა ეს ლექსი?

ა. საჯაიას ლექსების რიტმი ხშირად მეგრულ სიმღერებს მომაგონებს. მეგრული (კოლხური) ხალხური ლექსები მრავალფეროვანი, ნაზი და გულისდამწველია.

აი რამდენიმე ნიმუში მეგრული სასიმღერო ტექსტებისა:

„მა დო ჩქიმი არაბა
მიბსარსალუთ, მიბქვაქვალუთ...“

„მე და ჩემი არაბა
მივსრიალებთ, მივგოგმანებთ...“

„ცოდა დო მარდის სი გაბარენა,
სქანი უმუშოთ მუ იღუაფუ...“

„ცოდვა და მადლი შენ გაბარია,
უშენოდ რა იქნება...“

„სი ქოულ ბატა,
მა დომიანტალენქო?...

„შენ მიხვალ, ბატა
მე მტოვებ?...

„ვაი, შური, საყვარელი,
რინა მუში მამარდარე,
რინაში ნება ქორდასუნი
ქიანა მუში მაფართარე...“

„ვაი, სულო, საყვარელო,
ყოფნა რა მადლია,
ყოფნის ნება რომ მოგვცა,
ქვეყანა ფართოა...

„აკა სი რექიშო, ალმასი რექიშო, ნანა,
აბრეშუმოშო აწმაძირექიშო, ნანა,
დიდოუ, მებდინავო, ჩქიმ ცოდა!“

„მარტო შენა ხარ-თქო, ალმასი ხარ-თქო,
ნანა,
აბრეშუმივით მელანდები-თქო, ნანა,
დიდოუ, დავიღუპო, ჩემი ცოდვა!“

„ვო, ჩელა, სი ჩერჩელა,
სი მონობას გეგაფილი,
სი უჩონჩხე, სი სერგელა,
სი კისერი ელაფირი!...

„ვაი, ჩელა, შე ზოზინავ,
შე მონობას მორგებულო,
შე უგულო, შე უძარღვო,
შე კისერგადაღლეტილო...“

ჩემს მიერ ამოწერილი სტრიქონები წვეთია იმ დიდი ზღვისა, რასაც მოიცავს ძველი კოლხური პოეზია. გენიალურია ხალხური პოეზია. უშრეტია ენერგია ქართული ლექსისა. „როცა ვკითხულობ გენიოსის ნაწარმოებს, მინდა მუხლი მოვიყარო იმ გენიოსის წინ, იმისი დიდი ნიჭის წინ, — მაგრამ ვინ არის ეს გენიოსი? განა გენიოსი დამბადებელია თავისი თავისა? — არა! მე მუხლმოდრეკით თაყვანს ვცემ იმ ჩემგან უცნობ მაღალ ძალას, რომელიც არის დამბადებელ-შემქმნელი იმ გენიოსისა“ (ა. საჯაია).

უშრეტია ენერგია ხალხისა, დაუღლელი მზის მადლმაო, იტყვის კოლხი. ამ დაუღლელი მზის მადლი სწყალობს კონსტანტინე გამსახურდიას. რაღაც საერთო აქვს ფრინველებზე შექმნილ მეგრულ ლექსებსა და ტერენტი გრანელის პოეზიას. რომ დასცლოდა, ა. საჯაია, ალბათ, ყველაზე მეტად მიუახლოვდებოდა ხალხურ პოეზიას...

### დედა

ზუგდიდის რაიონი, სოფელი ოდიში.
მოქ. მაშო გუჯას ასული საჯაიას.

ზუგდიდის რაისოცუზრუნველყოფის განყოფილება გაცნობებთ, რომ თქვენ დაგენიშნათ ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური

პენსია. 1968 წლის 3 მარტიდან. დანიშნულ პენსიას მიიღებთ 1968 წლის იანვრის თვეში.

ზუგდიდის რაისოცუზრუნველყოფის
განყოფილების გამგე (ა. ჯაფარიძე).
26 დეკემბერი, 1968 წელი

ეს საბუთი ა. საჯაიას დედისადმია გაცემული. ამ დედას კი სულ სხვანაირი ფიქრები ახლავს. ღამდება ცისქვეშეთში, ფიცრული ოდის აივნიდან ჩამავალი მზისაკენ მაცქერალი გამზრდელი აწ საცაა თ-ვად შეერწყმება მოძალებულ წკვარამს. „მზე მთის საფარს ეფარება, ეზოს მწუხრი ეპარება, და ჩრდილები ხეთა — ფერად ნისლში იძირება, აივნიდან იმზირება მოწყენილი დედა“.

როცა ამ ლექსს კითხულობ, სოფელში გინდა ჩასვლა.

ზუგდიდში, წიგნის გამყიდველმა ქალმა მითხრა, ერთი შავებში ჩაცმული მოხუცებული ქალი შემოდიოდა ჩვენთან ხშირ-ხშირად, ალიოშა საჯაიას წიგნი ხომ არა გაქვთო, ნანა.

1967 წელს გარდაიცვალა პოეტის მამა, ალექსი საჯაია.

1970 წელს გარდაიცვალა პოეტის დედა, მაშო საჯაია.

დასაფლავების დღეს ჩამოვიდნენ ვახტანგ ჭელიძე, რევაზ მარგიანი და ალეკო შენგელია. მე მათ ზუგდიდში დავხვდი. ასაფლავებდნენ ა. საჯაიას დედას. ბატონმა ვახტანგმა მკითხა, ზევით თუ იყავიო. გამიხარდა, გამიკვირდა კიდეც. საიდან იცის ასე კარგად ბატონმა ვახტანგმა ზუგდიდის შემოგარენი-მეთქი. „პოეტის პორტრეტი“, წერილი, რომელიც ა. საჯაიას კრებულს ერთვის მერე დაიწერა, თორემ იქ კარგადა ჩანს თუ საიდან იცნობდა ვახტანგ ჭელიძე ამ კუთხეს. იცნობდა კი არა, უტყუარი მწერლის თვალითა აქვს დანახული ყველაფერი. მე წინადღეს ჩავედი ზუგდიდს, მაგრამ „ზევით“ არ ავსულვარ, ვიცოდი, რომ ჩამოვიდოდნენ და ბარემ მეც მათთან ერთად ავალმეთქი. ვინანე კია, რომ არ ავედი ლედგებიეს. ზუგდიდში, შალვა შენგელი, ისაკ ქორთუა და კიდევ რამოდენიმე კაცი შეუერთდა ჩამოსულთ ბატონმა შალვამ, როგორც ყოველთვის, თადარიგი დაიჭირა. წინასწარ დარეკა ოდიშში, ჩამოვდივართ სტუმრებითურთ გასვენებაზე და დაგვხვდითო. სოფლიდან უპასუხეს: ვის გასვენებაზეო. პატენი? — ამოგწყვიტათო ღმერთმა, მიაწყევლა შენგელმა, — ქვეყანამ გაიგო და თქვენი სოფლის ამბავი თქვენ არ იცითო! ჩავსხედით მანქანაში და წავედით. გზადაგზა მახსენდება რ. მარგიანის პაწია წერილი ა. საჯაიას წიგნზე წამძღვარებული. ფიქრებით ვსინჯავ და ვეპოტინები ამ ორი პოეტის მეგობრობას, მათს სიახლოვეს.

ოდიში — ზუგდიდის აღმოსავლეთით [illegible] იოლი. მზის ამოსავლეთი. ქალაქს რომ გასცდები, პაწია სამანქანო ხიდია მორებისაგან შეკრული. სინწაზე მე ფეხის ხიდი მახსოვს, როცა მანქანები ფონით გადადიოდნენ მდინარეს. ეს ხიდი აკავშირებს ზუგდიდს მიმდებარე სოფლებთან: სინწის გაღმა ლედგებიე, გრიგოლიში, ყულისკარი, ჭაქვინჯი, ჯიხასკარი. მერე ჭანისწყალია. მერე ისევ სოფლებია ჩხოროწყუს რაიონისა. მერე ცხენისწყალია, მერე ისევ სოფლებია მარტვილის რაიონისა, „ცხენისწყალი ავი წყალი, ზოგჯერ ტყეში ვაშლის ხელებს, ზოგჯერ მთებში, სადმე ხევში, სადმე კლდეში ჩაახველებს“... ეს უკვე მთიანი სამეგრელოა. სინწის ნაპირებიდან იწყება ოდნავ შესამჩნევი ამაღლება. მარჯვენა გზა ჯიხასკარს მიდის მარცხენა — ოდიშს. ოდიშის გზაზე წითელი მიწაა. წვიმის დროს აითქვიფება ხოლმე ეს გზა, ჩარეცხავს წყალს, ჩაიტანს დაბლა ტალახს და ლიპი ხდება. მიტომაც ჭირს აქ მანქანით გავლა. ამ წითელ თიხას დიხაჭუბერს ეძახიან. მეგრელი ცირები თავს იბანდნენ ძველთაგანვე ამ თიხით. დიხაჭუბერი თმას მოქნილსა და დამყოლს ხდის. აღმართს რცხილა და წიფელი მიჰყვება. ტყეში მუხა და წაბლიცაა. ამ ორი ხისაგან იკეთებდნენ ოდითგანვე სადგომს, რცხილა და წიფელი კი რჩეული შეშაა. გრძელ ზხლორთებად შემოსდებდნენ კერაზე და გიზგიზებდა ცეცხლი უწყვეტლივ. ტყე კი გაუვალი იყო. ეს თითქმის მეც მახსოვს. ახლა ჭყენჭყიანში ამოზრდილ თხმელასაც არ თაკილობს შეშად სოფლელი კაცი. თხმელის ცეცხლი კი ცეცხლი არაა, კვამლიანია და უგემუროდ შოშიშინე.

სულ ოთხიოდე ვერსია სოფლის შუაგულამდე. სოფლის ცენტრში გავჩერდით. ვნახეთ პაწია სამკითხველო და ა. საჯაიასათვის დათმობილი კუთხე. ორი პაწაწინა კრებული ლექსებისა. მე ხომ ზეპირად ვიცოდი ორივე ეს წიგნი, მაგრამ მაინც გავშალე. გავშალე, სადაც წერია: ედგარ პო — „ანებელ ლი“. სად ამ ღარიბი სოფლის მკვიდრი და სად პო! თან როდინდელი ამბავია? ეს ხომ ოცდაათიან წლებშია თარგმნილი, ლექსში წერია, ცხოვრობდაო პატარა ასული ნაპირად ზღვისა, და იქნება თქვენც იცნობდითო მას, პატარა ანებელ ლის, მე მას ვუყვარდიო და სიცოცხლეზე მეტად მიყვარდაო ის... ანგელოსები ჩვენზე უბედურები იყვნენო ცაში, შევშურდითო აქ მე და ის, და ამრიგად დავკარგეო სიცოცხლე ჩემი, ანებელ ლი...

სამკითხველოდან გზა მარჯვნივ უხვევს, აქეთაა ა. საჯაიას სახლი. რომელიღაც დამხვდური კაცი გვპატიჟებს მანქანებში. აგერააო აწი, ამბობს ბ-ნი ვახტანგი და ფეხით მიუყვება

 

ორღობეს. გულისდამწველია ეს ვიწრო შუკა, ეს სიტყვები, ამ წუთას რომ ითქვა, ეს ძალზე უბრალოდ და შინაურულად ნათქვამი: აგერაათ აწი, და რაღაცნაირ ტკივილსა ვგრძნობ, არაფერი კი არ მტკივა ისე, კაცმა რომ თქვას, და მაინც მტკივა.

მზიანი დღეა. დაბალ ბოკონებზე შემოდგმული სახლის წინ მომცრო გორაკია; გორაკზე და ეზოს შემოვლებულ მესრის მახლობლად ხალხი დგას აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად შექუჩებული. ეზოს ჭიშკარი ფართოდაა გახსნილი. ოდა სახლს მიდგმული ხის კიბეების წინ პატარა მაგიდა დგას. ამ მაგიდაზე დებს ქუდს შინ სატირლად შემავალი კაცი; შევა, ვაისა და ოხს იტყვის გულზე მჯილის ცემით, მხარმარჯვნივ შემობრუნდება მიცვალებულის კუბოსთან და გამოვა გარეთ. ზოგი ოდის აივანზე ჩერდება ცოტა ხანს, მოიცდის, დუმილით იტყვის ნუგეშინს დარჩენილთა მიმართ და რაკილა ხედავს, რომ აივანი ვიწროა და ყველა მომტირებელს ვერ დაიტევს, ხის კიბეებით ისევ ჩამოდის დაბლა, იღებს ქუდსა თუ ბაშლიყს და უერთდება ეზოს კუთხეებში მდგარ რომელიმე ჯგუფს.

მიცვალებულის რომელიღაც ახლო ნათესავმა, რომელიც მთელი დღის მანძილზე უდგას კუბოს და გლოვობს მოთქმითა და კივილით, ვახტანგ ჭელიძის დანახვაზე მკვდარს მიუტირა, მოვიდაო შენი კოკის მეგობარი, შენი ვახტანგი, გტირისო შენ, აქ ვერ მოასწარი მისი ნაყიდი კაბის გაცვეთა, იქ მაინც ჩაიცვიო ხშირად, ნანა!

მას მერე მე კარგა ხანი არ გამიგონია, რას ამბობდა შემდეგი მომტირებელი.

მზე რომ დაიხარა და კარგა მანძილზე გასცდა შუადღის კარს, როგორც წესი, საქელეხო მაგიდასთან მიგვიწვიეს. საკვირველია, ასეთ დროს ყველა იდებს ხოლმე თავპატიჟს, ამბობს, რა საჭიროა, რა გული უნდა მქონდესო და ა. შ. ვახტანგ ჭელიძე თავად გაგვიძღვა ყველას. მივედით, დავსხედით ბრეზენტით გადაფარებულ გრძელ მაგიდასთან, დავლიეთ მიცვალებულის სულის ვასანათლებელი. ვახტანგ ჭელიძე სათითაოდ ლოცავდა ოჯახის წევრებს, ალექსანდრეს, მის მშობლებს, ბებიასა და ბაბუას, ნათესავებს, ლოცავდა და ყველას ეძახდა თავის სახელს და მე უკვე არ მიკვირდა ეს. არ მიკვირდა, რომ სასაფლაოსაკენ მიმავალი ვახტანგი ხელიხელ ჩაკიდებული მიჰყვებოდა ა. საჯაიას რომელიღაც ძალზე ახლობელ მანდილოსანს და მთელი გზის მანძილზე ანუგეშებდა მას. არ მიკვირს ვახტანგ ჭელიძის მიერ თავის წერილში დროულად მოხმობილი ლექსი სოუთისა, რომელიც უზუსტესად ეხმიანება სასაფლაოსაკენ მიმავალ გზის ამ მონაკვეთს.

ოდიშის სასაფლაო ულამაზესია ჩემს მიერ ნანახ სასაფლაოებს შორის. სასაფლაო გორაკზეა გაშენებული. ირგვლივ ნაირ-ნაირი ხედია და თვალწარმტაცი ფერები ელაციცება თვალს. გორაკზე შხვერთი ცაცხვებია. შრიალებენ და სტვენენ მწვანე რტოები. ამ მაღალი ცაცხვების ჩრდილში ისვენებს ახალგაზრდა პოეტი. აქ ისვენებენ მისი წინაპრები. აქ განისვენებს პოეტის მამა — ალექსი საჯაია. ამ სახლეულს შეუერთდა ერთი დალლილი და პატიოსანი ქართველი ქალიც — დედა ალექსანდრე საჯაიასი.

შებინდების ხანს ვტოვებთ სასაფლაოს ეზოს, ვტოვებთ ა. საჯაიასა და მის სახლეულთ. ვინ დარჩა ახლა ამ ოჯახის წევრებიდან? დარჩა ერთადერთი ვაჟი ალექსანდრესი, არჩილი, რომელიც ალბათ პირნათლად აუსრულებს თხოვნას თავისი სახელოვანი მამის ძვირფას მეგობრებს და ჩამოვა ამ უხსოვარი დროის ულამაზესი სოფელში, ლედგებიეში, და არ გააციებს მამის კერიას. სოფელს კი ნამდვილად სჭირდება ხელი მისი, სჭირდება ლობეს და შორეულ ნათესავებს, რომლებიც მოვლენ ხანდახან და მოიწყენენ გარდასულთა მოგონებით, ამ ფიცრული ოდის აივანზე ჩამწკრივებულნი.

ალექსანდრე საჯაია დაიბადა 1916 წელს. გარდაიცვალა — 1944 წელს.

## წიგნის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაცოცხლებული მატიანე

ერთი ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ამბობდა: მწერლისთვის არ არსებობს მეტი ჯილდო, ვიდრე იმის აღიარება, რომ იგი ერთნაირად საინტერესოდ ესაუბრება მოსწავლესა და მეცნიერს.

ეს გამონათქვამი გამახსენდა, რომ ვკითხულობდი „ნაკადულის“ მიერ გამოცემულ ვახტანგ ჭელიძის წიგნს „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“. „ქრონიკებმა“, რომელიც სამ ტომად ჩაუფიქრებია ავტორს, გამოსვლისთანავე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება და მიმზიდველ, სარგებლობის მომტან საკითხავ წიგნად იქცა. აქ ვერ შეხვდებით დაწვრილმანებულ პარაგრაფებს, დახვავებულ თარიღებს, მაგრამ ყველაფრიდან იგრძნობა წიგნის მკაფიოდ გამოკვეთილი, ნათელი გეგმა, „ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ პერიოდებს რომ ემყარება.

ვახტანგ ჭელიძე თავიდანვე განსაზღვრავს ქართველი ერის დამახასიათებელ თვისებებს და მთავრის უმთავრესად, სავსებით სამართლიანად, შრომის უსაზღვრო სიყვარულს მიიჩნევს. ჩვენთვის შრომა იგივე ბრძოლა იყო, არსებობის შესანარჩუნებლად გამართული მძიმე ბრძოლა. გარდა ამისა, შრომაში ვლინდებოდა ქართველი ხალხის ნიჭი, სამყაროს გაგების განუმეორებელი უნარი, მისი ხასიათი.

ავტორის სწორ თვალსაზრისზე მეტყველებს ის გარემოება, რომ არსად მინიშნებულიც კი არა აქვს „ეროვნული განსაკუთრებულობის“ გრძნობაზე, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ძალთა უკიდურესად დაძაბვამ და გაუტეხლობამ გადაარჩინა ჩვენი ხალხი ფიზიკურ განადგურებას.. სხვანაირად ვერც გაუსწორებდა მომავალს თვალს, ვერ გაიმართებოდა წელში, ამდენი ბარბაროსის ნაჯიჯგნი სხეული.

ვინ მოსთვლის, საუკუნეთა მანძილზე, ხილისა თუ საქონლის რამდენი ახალი ჯიში გამოუყვანია ქართველ გლეხკაცს, უმრავლებია და მეზობელთათვის გადაუცია თავისი გამოცდილება. რამდენი მოთმინება, როგორი ალღო და ცოდნა სჭირდებოდა ყველაფერ ამას.

შემთხვევითი არ არის ის ამბავიც, კავკასიას, კერძოდ საქართველოს ვაზის სამშობლოდ რომ თვლიან. ბოლო ხანებში გამოვლენილი უცხოური წყაროებიდან ფრიად საგულისხმოა ომარ ხაიამის მიერ დამოწმებული ლეგენდა, რომელზედაც საგანგებოდ ჩერდება აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ნაშრომში „საქართველოს ვაზის კულტურის ისტორიიდან“. ლეგენდის მოკლე შინაარსი ასეთია: ხორასნის სახელოვანი მეფე შემირანი სათვალთვალო კოშკიდან დაინახავს ჩრდილოეთის (ე. ი. საქართველოს) მხრიდან მოფრენილ არწივს, რომელსაც ყელზე გველი დახვევია და ახრჩობს. მეფემ არწივის გადარჩენა ბრძანა და უფლისწულმა ბადამმა — უბადლო მშვილდოსანმა — ისრით განგმირა ქვეწარმავალი. სიკვდილისგან თავდახსნილმა ფრინველმა ირაო შეჰკრა მეფისა და ამალის თავზე და სამშობლოსაკენ გასწია. წლისთავზე ჩრდილოეთიდან, კვლავ მოფრინდა იგივე არწივი, მეფის სიახლოვეს კოშკთან დაეშვა და ნისკარტში მომწყვდეული რამდენიმე მარცვალი დაყარა. არწივის ძღვენი ყურძნის წიპწა აღმოჩნდა და იმ დროიდან მოყოლებული, მეფე შემირანის ბრძანებით მთელს ირანში დაიწყეს ვაზის მოშენება. ეს ლეგენდაც, როგორც ყოველი გადმოცემა, უსაფუძვლოდ არ შეიქმნებოდა. „დღეისათვის, — ამბობს გამოჩენილი ეთნოგრაფი, — გარკვეულია, რომ ჩრდილოეთის მხარე სპრასეთისა და მისგან სამხრეთით მდებარე ქვეყნებისათვის საქართველო-კავკასიაა“.

ვახტანგ ჭელიძე საგანგებოდ ჩერდება მევენახეობასა და ვაზის კულტურაზე, მოჰყავს ერთი ნაწილი ივანე ჯავახიშვილის მიერ აღნუსხული ჯიშებისა, რაც, წიგნის ავტორის თქმისა არ იყოს, ნამდვილი პოეზიაა; მართლაც აქ ყოველი დასახელება სოლცრად მეტყველ, შეკუმშულ პოეტურ სახედ წარმოგვიდგება: „რქაწითელი. თავცეცხლა. ოქროულა. ჩხავერი. თავკვერი. მტევანდიდი. ძელშავი. თითა. ჭრელ-

* ვახტანგ ჭელიძე, „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, „ნაკადული“, 1978.

ყურძენა. სანთელა. ღრუბელა. მწვანურა. მელისკუდა. ხარისთვალა. ბუდეშური. ყორნისთვალა. ჩიტისთვალა. მაჭკვატური. კვაწახურა. კრახუნა. დევისთვალა. ბურძღალა. ფაჩხატა. მტრედისფეხა. მეაველა. ბრლა. ფითხა. მწკლარტა. ქიწნურა. ტვიშურა. ადრეულა.; სათვალიო, ციცკა. ოჯალეში"...

ქართველმა კაცმა ღვინის არა მარტო დაყენება, მოხმარებაც საუკეთესოდ იცოდა, არასდროს ღალატობდა ზომიერების გრძნობა. ესეც ხაზგასმითაა აღნიშნული წიგნში.

ჩვენი შორეული წინაპრები იმთავითვე განთქმული იყვნენ წიაღისეულთა დამუშავების ტექნიკითაც; გარდა უცხოური წყაროებისა, შემორჩენილია ნაშთები უძველესი ბრძმედებისა, რაც იმის ნივთიერი დამამტკიცებელია, რომ ისინი ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში ფლობდნენ ფოლადის გამოდნობისა და ძვირფასი ლითონების დამუშავების საიდუმლოს.

რომაელი პოეტის კატულუსის (I ს. ჩ. წ-მდე) ერთ ლექსში (XVI) ეგვიპტის დედოფლის ვერონიკას ნაწნავი, მოკვეცის შემდგომ ელვარე თანავარსკვლავედად რომ იქცა, ასე წყევლის დედამიწის პირველ მჭედლებს, ქართველთა უძველეს მონათესავე ტომს, ხალიბებს:

მუსრავს ყოველივეს იგი, თმა რას
გაუძლებდა რკინას.
ღმერთებო! წყეულიმც იყოს ხალიბთა
მოდგმა, სამუდამოდ,
პირველად ამ ხალხმა იმარჯვა, ძარღვები
გადახსნა მიწის,
წიაღში მიაგნეს მადანს, ლითონი გაალხვეს
ცეცხლით.

აღსანიშნავია, რომ ამ ტომის (ალიბეს მკვიდრთა) არსებობა და საქმიანობა თვით ჰომეროსისთვისაც ცნობილი იყო (იხ. აკაკი ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ. 16).

ვახტანგ ჭელიძეს მოჰყავს ამირანის თქმულებასთან დაკავშირებული ერთი მეტად საყურადღებო ფრაგმენტი:

მაშინ სად იყავ, შავო ბადრო,
როცა ჩემ ხმალი წრთებოდა?
ცა ჰექდა მიწა გრგვინავდა,
სამჭედლო ექანებოდა,
მჭედლები, მემჭედურები
ერთმანეთს ეფარებოდა.

უბრალო წაკითხვითაც ცხადი ხდება — ამ სტრიქონებში პირველყოფილი გზნებით აღბეჭდილი საკრალური აქტია გადმოცემული, შორეული საუკუნეების სუნთქვაა ჩაგუბებული. ჩვენ ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წიგნში წარმოდგენილი დაკვირვება:

„დააკვირდით ამ ლექსს, მისი წარმომთქმელის ტონსა და სიამაყეს. ხომ აშკარად ჩანს, რომ იგი უბრალო, ჩვეულებრივ ამბავს არ გვამცნობს, არამედ როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანსა და არაჩვეულებრივ მოვლენას, ისე გადმოგვცემს ამას, თანაც საკმაოდ შესამჩნევი სიამაყით და გოროზობით!..

სიამაყით იმიტომ იქნებ, რომ მან აწრთო ხმალი და სხვა ამას ჯერ ვერ ახერხებს! თანაც „მჭედლები, მემჭედურები" ისეა ნახსენები, რომ აქა-იქ, კანტი-კუნტად გაფანტული საცოდავი, აბუჩად აგდებული და გალატაკებული ხელოსნები კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ მთელი ამქარი, მთელი კასტა ამ ხელობის ადამიანებისა"...

მოსალოდნელიც იყო, რომ ამ წიგნის ავტორი საგანგებოდ შეჩერდებოდა ამირანის თქმულებაზე, რომლის ძირებთან დაახლოებით ორმოცი საუკუნე დგას და რომლის სული და საზრისი — თავისუფლების უსაზღვრო სიყვარულში გამოვლენილი — სისხლში აქვს გამჯდარი ჩვენს ერს. ვახტანგ ჭელიძე ფრიად საინტერესო პარალელს ავლებს „ამირანისა" და „არგონავტების" თქმულებებს შორის: ყამარიც და მედეაც მამებს ღალატობენ, თავიანთ სატრფოებს რომ გაამარჯვებინონ, დაეხმარონ მიზნის მიღწევაში.

„ქრონიკებში" უცხო და ქართველ ავტორთა მრავალი მნიშვნელოვანი წყარო მოწოდებული ისე, რომ არსად არ ირღვევა ბუნებრივი თხრობა, არ იტვირთება მთავარი ხაზი. განსაკუთრებით ძნელი აღსადგენი იყო იმ წინარე პერიოდის სურათები, რომლის შესახებაც „ქართლის ცხოვრების" მატიანეებში არაფერია ნათქვამი. აქ საჭირო გახდა უცხოური წყაროებისა და სპეციალურ ლიტერატურაში გაფანტული ცნობების თანმიმდევრულად მოშველიება.

ავტორი ძალზე მარჯვედ იყენებს ფანტასტიკური რომანებიდან ცნობილ ერთ ხერხს, როცა დროის ჯადოსნური მანქანის წყალობით უხსოვარ წარსულში მომხდარი ამბების მოწმენივ ხდებით. ასეთ მანქანას არაფრად უღირს თუნდაც ოცდასამი-ოცდაოთხი საუკუნის მიღმა გადაგვახედოს. და აი, კადრში მოჩანს ფხვიერი თოვლით დაფარული ტყისპირი. თოვლში შორი გზით გაწამებული უცხოელი ჯარისკაცები მოტოპავენ. ნესუნთქის ორთქლი ნისლად ახვევია მდორედ ამოძრავებულ ადამიანთა მდინარეს. ეს უილბლოდ დაღუპუბული სპარსეთის უფლისწულის კიროსის დაქირავებული ლაშქარია, ქსენოფონტეს საქართველოზე გავლით რომ მოჰყავს. ჩვენ თითქმის თვალით მხილველნი ვხდებით ყველა იმ ხიფათისა და დაბრკოლებისა მძიმე ლაშქრით გათანგულ ბერძნებს რომ ელობება. მოქირავნეთაგან ერთ-ერთი ტყვედ გაყიდული აქაური მკვიდრი აღმოჩნდება. იგი თავად ეახლება ქსენოფონტეს და დახმარებას შესთა-

ვაზებს: ვახტანგ ჭელიძეს იშვიათი სიზუსტით აქვს დაჭერილი ამ ქართველი პელტასტის (მსუბუქად შეიარაღებული მეომარი) სულის ყოველი მოძრაობა, მისი სავარაუდო მოქმედება. „ანაბასისის“ ეპიზოდები არაჩვეულებრივად ცოცხლადაა წიგნში წარმოდგენილი. კოლხები ყოველნაირად ეხმარებიან ბერძენთა დამშეულ ლაშქარს, მაგრამ როდესაც ჯარისკაცთა თავხედობა და ძალმომრეობა საზღვარს გადადის, სამკვიდროსასიცოცხლო ბრძოლას უმართავენ. ბერძნებს უჭირთ აქაური ღვინის წყალგაურევლად დალევა, ხოლო როცა იელის თაფლს მიეძალებიან, ჯარისკაცები გონს კარგავენ, მოწამლულნი დაეყრებიან მიწაზე. თავბრუსხვევამ თაფლით მთვრალებს სამ დღეში გადაუარა, სიკვდილით არავინ მომკვდარაო, ამბობს თავის წიგნში ქსენოფონტე...

„ქრონიკების“ მესამე თავიდან მოყოლებული, თხრობაში ჩართულია ჩვენი საისტორიო მწერლობის ნამდვილი მშვენების „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ეპიზოდები. ვახტანგ ჭელიძე საგანგებოდ ჩერდება X საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ღვაწლზე, ლეონტის უდიდეს დამსახურებად თვლის კავკასიის ხალხთა ერთიანობის იდეის მხატვრულ ხორცშესხმას (ამბავი რვათა ძმათა; ლეგენდა კავკასიის ხალხთა წარმომავლობასა და საერთო წინაპარზე, რაც ლეონტის შრომას წინ უძღვის). ვახტანგ ჭელიძის მართებული დაკვირვებით, ეს იყო მიზეზი, რომ „ქართლის ცხოვრება“ სომხებმა ადრევე თარგმნეს. აქედან აშკარაა ლეონტი მროველის, როგორც მოაზროვნის, პოლიტიკური ალღო და წინდახედულობა.

წიგნის მეოთხე თავი, ძირითადად, ქართლის პირველი მეფის — ფარნავაზის — მმართველობასა და საქმიანობას ეთმობა. სხვა უამრავ სიკეთეზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ მეფის სახელს უკავშირდება ქართული ანბანი და მწიგნობრობა. ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ფარნავაზის ნაადრევად დაქვრივებული დედა სპარსი იყო, სპარსი და ასევე ნაადრევად დაქვრივებული დედა ჰყავდა ქართლის მეორე უდიდეს მეფეს ვახტანგ გორგასალსაც. რამდენად მძლავრი უნდა ყოფილიყო ეროვნული გრძნობა, რომ უცხო ტომის ქალებს ასეთი სულისკვეთებით აღეზარდათ ქვეყნის მომავალი გამგებელნი.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და უთუოდ ღრმა აზრის შემცველია ფარნავაზის ოქროს სიზმარი, როცა ჭაბუკს მიწაზე დაშვებული ცეცხლოვანი მნათობი ეზმანა, „მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა“. ყველამ იცის, როგორ აუხდა ეს სიზმარი უებრო მონადირესა და რაინდს, რა რწმენა შემატა დილმის მახლობლად ნაპოვნმა აურაცხელმა განძმა და ოსტატურად მოწყობილი შეთქმულების შემდეგ როგორ გააძევა ქართლიდან ბერძენთა დასმული სატრაპი აზონი. მემატიანის ცნობით, სამოცდახუთი წელი იმეფა ფარნავაზმა და ღრმა მოხუცებულობაში გარდაცვლილი მის მიერ აგებული არმაზის კერპის სიახლოვეს დაკრძალეს.

ფარნავაზის დიდ შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მეზობლებთან კეთილი, ახლო ურთიერთობა დაამყარა: თავისი და ოვსთა მეფეს მიათხოვა, თვითონ დურძუკელი ქალი შეირთო. ფარნავაზის მეფობაში ჩაეყარა საფუძველი ქართველ ტომთა ისტორიულად აუცილებელ გაერთიანებას, სახელმწიფოში გაბატონდა ქართული ენა.

„როცა ყველაფერ ამას გაითვალისწინებ, მოგეჩვენება, თითქოს იგი არ არის სათანადოდ დაფასებული შთამომავლობის მიერ“, — სხვათა შორის შენიშნავს ვახტანგ ჭელიძე და ჩვენ ვგრძნობთ ამ სიტყვების სიმართლეს.

ძალზე საინტერესოა ვახტნგ ჭელიძის დაკვირვებანი და ესა თუ ის ცალკეული მოსაზრება უძველეს ქართულ არქიტექტურულ ძეგლებზე. კერძოდ, ჩვენი ყურადღება მიიქცია კლდეში გამოკვეთილი ქალაქის — უფლისციხის — თავისებურებათა დახასიათებამ. დროის ქარიშხლებს გადარჩენილი თაღოვანი სცენა და მისი მიმდებარე ქვის პარტერი იძლევა საბაბს, რომ ოცდახუთი საუკუნის წინათ არსებულ ქართულ თეატრზე ვილაპარაკოთ. ვახტანგ ჭელიძე, არც თუ ისე დაუჯერებელი წარმოსახვით, აცოცხლებს მთელ იმ გარემოს, უფლისციხეში გამართულ სანახაობებს რომ ახლდა ოდესღაც. ფანტასტიკური ამ თამამ ვარაუდში არაფერი გვეჩვენება.

მატერიალური კულტურის ძეგლები წარმოუდგენელია სულიერი კულტურის გარეშე. ჩვენი პირველი ლიტერატურული ქმნილება „შუშანიკის წამება“ მისი ავტორის მძლავრ ნიჭსა და ოსტატობაზე მეტყველებს და მართლაც დაუჯერებელია მეხუთე საუკუნემდე არაფერი დაწერილიყო ქართულად, უთუოდ ანგარიშგასაწევია ვახტანგ ჭელიძის თვალსაზრისი, რომ ამ იშვიათი ღირსების რომანს (მიუხედავად მოცულობისა), მხოლოდ აგიოგრაფიულ ნაწარმოებად არ მივიჩნევდეთ და ამით არ ვზღუდავდეთ მის მნიშვნელობას. ვახტანგ ჭელიძე საგანგებოდ და სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობის ამბავზე. ანონიმი ქართველი ავტორის კალმით აღწერილი შემაძრწუნებელი ფაქტი რომელიმე დიდი დრამატურგის ხელში მართლაც რომ თავზარდამცემ ტრაგედიად იქცეოდა.

წიგნში ქრონოლოგიურად და ზედმიწევნით სხარტად არის დახასიათებული ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი პერიოდი, ესა თუ ის საინტერესო მოვლენა, ისტორიული პროცესები, რომლებშიც ჩვენი ხალხი მონაწი-

ლეობდა. დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებს. მცხეთა-არმაზის მიდამოებში ჩატარებულმა გათხრებმა ძველი საქართველოს მდიდარი კულტურა და ძლიერება წარმოაჩინა. ერთ სამარხს და მასში აღმოჩენილ გემას (გემაზე ერთმანეთის მაცქერალი ახალგაზრდა ცოლ-ქმარის სახეა ამოტვიფრული) განსაკუთრებით შეუძრავს წიგნის ავტორი. ქმარი ადრე გარდაცვლილა. დიდგვაროვან ბანოვანს წარწერა ამოუკვეთია გემაზე: „ჯავახ, სიცოცხლევ ჩემო. კარპაკი“. რამდენს იტევს გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ეს ოთხი სიტყვა, ბედგამწარებული ქალის სიმწრის ძახილი. მალე, როგორც ჩანს, კარპაკის სწორუპოვარი ქალიშვილიც, ოცდაერთი წლის სერაფიტა გადავიდა ლანდების ქვეყანაში, მისი დამაბრმავებელი სილამაზე მტვერმა შეჭამა. ყველაფერს რომ წარმოიდგენ, არც გაგვიკვირდება, ქვის სვეტად ქცეულიყო ქალი, ვისაც ბედმა ორი ასეთი რისხვა დაატეხა თავს. საუკუნეები ოდნავადაც ვერ ანელებენ უდიდეს ადამიანურ ვნებებს და მწუხარებას. ასე შეუწირავს ბრმა განგებას თუ ულმობელ სენს ძევახ პიტიახშის სიცოცხლე. ვინ იცის, კიდევ რამდენ ასეთ ტკივილს მალავს ჩვენი ძველი მიწა.

„ქართლის ცხოვრებაში“ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კაპადოკიელი ქალწულის წმინდა ნინოს ქართლში ჩამოსვლას და მისიონერულ საქმიანობას. წინამდებარე წიგნში, წმინდა ნინოს მოღვაწეობის აღწერამდე მოთხრობილია ფარნავაზიანთა დინასტიის მეათე მეფის ადრეკის დროს დატრიალებული ამბები.

ლეონტი მროველის თხზულებაში ყველაზე მიმზიდველი და მაღალპოეტური წმინდა ნინოსთან დაკავშირებული ეპიზოდებია. ვახტანგ ჭელიძეც შედარებით ვრცლად და ხატოვნად გადმოგვცემს ქართლის მოქცევის ამბავს.

უცხო ნათელით მოსილ ქალწულს ვაზის ჯვარი მიუხუტებია მკერდზე. ზამთრის პირია, ჯავახეთის მთები თეთრად ქათქათებენ. ნინო აქ გამოიზამთრებს. ზაფხულის მოწევნისთანავე გზას გაუდგება. თავფარავნის ტბასთან ქართველი მწყემსები გადაეყრებიან, მცხეთის გზას ასწავლიან სიხარულით აცრემლებულ უცხო სტუმარს. ეს სურათი შესანიშნავად არის გაცოცხლებული წიგნში:

„ცისფერი ტბის ფონზე დგას შავი ფლასებით შემოსილი ახალგაზრდა ქალი. გულზე ვაზის ლერწმებისგან შეკრული ჯვარი მიუსვენებია და ცრემლით დანამული დიდრონი თვალები ჩრდილოეთით გრძლად გაწოლილი მთებისათვის მიუპყრია. სიამაყეც გამოსჭვივის ამ ლურჯ, მეოცნებე თვალებში, ქალური სინაზე და სათნოებაც, ნებისყოფის სიმტკიცეა და იმ ჯერეთ უნახავი ხალხის მიმართ დედობრივი სიყვარულიც, რომელიც შორს, ზაფხულის მზით გაცისკროვნებული თოვლიანი მთების კალთებზე ბინადრობს. ხასიათის სიმტკიცე და ხეშეუხებრივი ძალა გამოსჭვივის მის ზომიერად გამხდარ სხეულშიაც, დგომის მანერაშიაც, ჯვარზე დასვენებულ გრძელ, მეტყველ თითებშიაც“...

ვახტანგ ჭელიძე ერთ საინტერესო დაკვირვებასაც გვათავაზობს თავის წიგნში: ნინოს მცხეთაში გამოცხადება (6 აგვისტო) ემთხვევა უდიდეს წარმართულ დღესასწაულს, ეს დღე კი ამავე დროს ქრისტიანული ფერისცვალების დღესასწაულია. ერთმანეთს უპირისპირდება ორი მრწამსი, ორი რელიგია. საერთოდ, ცნობილია, რომ ქრისტიანობა სახეს უცვლიდა და თავის სასარგებლოდ იყენებდა ძველ წარმართულ დღესასწაულებს, ახალ შინაარსს დებდა მასში (ასე იქნა დამკვიდრებული, მაგალითად, „აღდგომა“).

ქართლის გაქრისტიანებამ კიდევ უფრო გააბოროტა ისედაც მტრულად განწყობილი სპარსეთი; მისი ძალმომრეობა, ფარული თუ აშკარა თავდასხმები, სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ბიზანტიის იმპერია მხარდაჭერის ნაცვლად საქართველოს მიმართ ორჭოფულ პოლიტიკას ატარებდა. სწორედ ამ ვერაგული ინტრიგების მსხვერპლი გახდა 554 წელს ლაზეთის სახელგანთქმული მეფე გუბაზი.

შეუნელებელი ინტერესით იკითხება და სხვა მონაკვეთებისაგან მოცულობითაც გამოირჩევა „ქრონიკების“ მეცხრე თავი. თხრობას ისევ ქართლის სამეფოში გადავყავართ. ტახტზე ვხედავთ მეფე არჩილის მემკვიდრეს მირდატს, რომელმაც ჯერ კიდევ უფლისწულობაში, მამამისის თანხმობით, ცოლად შეირთო რანის პიტიახშის ბარზაბოდის ასული საგდუხტი, ტომით სპარსი. დედოფალი ქმრის იმდენად ერთგული და მოყვარული აღმოჩნდა, სპარსთა სარწმუნოება დასთმო და ქრისტიანობა მიიღო. ამ დროს კი ქართლში მთავარეპისკოპოსად თვალთმაქცობით ცნობილი მობიდანი ზის, „ნათესავად სპარსი“, რომელიც ფორმალურად მართლმადიდებლობას აღიარებს, ხოლო ფაქტიურად მაზდეანობას ავრცელებს.

პირველი ქალიშვილი შეეძინა მეფის ოჯახს. ამის მერე ოთხი წელი გავიდა, ვიდრე გაჩნდებოდა ვაჟი, ვარან-ხოსრო-ტანგი. ისტორიაში ვახტანგ გორგასალად ცნობილი — პირველ რიგში სპარსეთის და მერე და მერე საქართველოს დანარჩენი მტრების რისხვა, სწორუპოვარი მეომარი და გმირი. მირდატმა ექვსი წელი იცოცხლა ვახტანგის დაბადებიდან, ვიდრე კიდევ ერთი ქალიშვილი, მირანდუხტი გაუჩნდებოდა.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დედოფალი. გასათელავად განწირული საქართველოსა და შვილების გადასარჩენად უკანასკნელ ლონეს მიმართა — მცირეწლოვანი ბავშვები, ამათ-

ვან ერთი ჩვილი, წაიყვანა (ეს ავტორის ფანტაზიაა, თუმცა შესაძლოა ასედაც მომხდარიყო) და ბარდავს სასახლეში ეახლა არცთუ სასიკეთოდ განწყობილ მამას, გულზვიად პიტიახშს.

„განიღო თავი, და უყარნა მუხლნი, და აღმოუყარნა ძუძუნი მისნი, დავარდა პირსა ზედა და დადვა პირი თვისი ფერხთა მისთა ზედა. დაალტობდა ფერხთა მამისა თვისისათა ცრემლითა“...

„ქართლის ცხოვრებიდან“ მოტანილ ამ ამონაწერს წინ უსწრებს ვახტანგ ჭელიძის ერთი ნამდვილად ანგარიშგასაწევი საყვედური:

„ზოგჯერ მართლაც უსამართლოა ხოლმე ისტორია. ეს ქალი თითქმის დავიწყებასაა მიცემული. არადა, იგი გმირის სახელს იმსახურებს: თავისი ქმარ-შვილისა და იმათი ქვეყნის მხურვალე სიყვარულით, შესაშურებელ გამბედაობითა და საოცარი საზრიანობით ახალგაზრდა ქალმა მძიმე სიტუაციაში, უკიდურესი დაძაბულობის დროს, ქვეყანა განსაცდელს გადაარჩინა“.

ვახტანგ ჭელიძე საოცარი სიცხადით გვიხატავს ქვრივი დედოფლის სასახლეში მისვლისა და თავმოდრეკის სცენას. ძნელია ამ რამდენიმე გვერდის აუღელვებლად წაკითხვა. მსგავსი ბელეტრისტული ჩანართები, გარდასულ ეპოქათა გაცოცხლების მიზნით, სხვა თავებშიც არაერთი გვხდება, მაგრამ ეს ფრაგმენტი მაინც განსაკუთრებული მხატვრული ღირსებისად მიგვაჩნია.

უწვერულვაშომ ჩაიცვა ვახტანგმა ჯაჭვის პერანგი და სიკვდილამდე არ გაუხდია, ტანზე შემოადნა. თექვსმეტი წლისამ, სხვებისგან მალულად ანდერძი დაუტოვა დედას ,სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთისკენ (დარიალის ხეობა) დაძრულ ვეება ლაშქარს და ზედიზედ დასცა ორთაბრძოლაში ორი აარადამიანური ძალის გოლიათი: ხაზართა ფალავანი თარხანი და ოსი ბაყათარი. უზომო გამწარებამ და საქართველოს სახელმა შეუძლებელი შეაძლებინა ჭაბუკ მეფეს. ეს ეპიზოდები დიდი სიცხადითა და ექსპრესით არის მოთხრობილი „ქრონიკებში“.

ვახტანგის პიროვნების სრულყოფილად წარმოდგენისათვის უთუოდ მნიშვნელობა აქვს ერთ ეპიზოდს. უკვე მოწიფული ქართლის მეფე სპარსეთის შაჰმა ათიათასი ბერძენი მეომარით ლაშქრობაში იახლა. სინდებთან შეტაკების დაწყებამდე მეტოქემ, წესისამებრ ფალავანი გამოიყვანა და შესარკინებლად ვახტანგ მეფე მოითხოვა. ფალავანს დავალებული ჰქონდა ვახტანგის ვიწრო გასასვლელში შეტყუება, სადაც ათი შეიარაღებული საუკეთესო მეომარი მოჰკლავდა. ვახტანგის უერთგულესი მეგობარი, მსახურთუხუცესი საურმაგი, თითქოს ტანმა უაზრაო, თავად გადაეშვა სინდთა ფალავნის დასახვედრად. გაქცეულს დაეწია, კიდეც მოუსწრაფა სიცოცხლე, მაგრამ ჩასაფრებულმა მეომრებმა თითონაც განგმირეს. მეფის ხვედრი მისმა უახლოესმა მეგობარმა და ქვეშევრდომმა მიიღო.

ადვილი მისახვედრია, რა ცეცხლიც მოედებოდა ამის დამნახველ ვახტანგს; პირდაპირ სინდთა მეფეს მიეჭრა, ოროლი გაუყარა, ფეხში წვდა და სისხლსა და მტვერში მოთხვრილი მიათრია სპარსთა მეფის კარავთან. ამ ეპიზოდს რომ კითხულობთ, უნებურად გახსენდებათ პატროკლეს სიკვდილით გამხეცებული აქილევსი, ღვთის რისხვად რომ დაატყდა აქაველთა ბანაკს.

ვახტანგისთანა რაინდის მოკვლას მხოლოდ ღალატით თუ შესძლებდნენ და მტერმაც გამოიყენა ეს ერთადერთი გზა. სპარსელებთან მორიგ ბრძოლაში, რომელიც ბოლო გამოდგა ამ დევგმირისათვის, შინაურმა სპარსმა ისარი ჰკრა ზურგიდან იქ, სადაც გარღვეული ჰქონდა ჯაჭვის პერანგი. მეფემ არ შეიმჩნია ჭრილობა, ვიდრე სისხლისგან არ დაიცალა და სული არ დალია...

ქართველმა ერმა უჭკნობი დიდებით შემოსა გმირის სახელი. დრო ვერ მოერია ხალხის სიყვარულს, ყველა აბჯარზე გამძლე აღმოჩნდა ფრთიანი სიტყვა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ათას ხუთასი წლის შემდეგაც ყველა ქართველის ოჯახში პატარები ტიტინს ამ ცასავით კრიალა სტრიქონებით იწყებენ:

> ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
> ციდან შემოესმა რეკა,
> იალბუზზე ფეხი შესდგა,
> დიდმა მთებმა იწყეს დრეკა...

„ქრონიკების“ ბოლო ორი თავი ეთმობა საკმაოდ მძიმე პერიოდს ჩვენი ერის ცხოვრებაში, როცა საქართველო ჯერ სპარსეთის, ხოლო შემდეგ არაბთა ხალიფატის სათარეშოდ იქცა. ვინ მოსთვლის რამდენი გმირის, თავდადებული ადამიანის, ქართველისა თუ არაქართველის (გავიხსენოთ წმინდანად შერაცხული არაბი აბო) სახე შემოგვანათებს ამ პერიოდის მატიანეთა ფურცლებიდან; რამდენი სისხლისღვრა გადავიტანეთ, რომ არ გატეხილიყო ხალხის ამაყი სული.

წინამდებარე ნაშრომი მეათე საუკუნის დამდეგამდე მოყვება „ქართლის ცხოვრებას“. ვახტანგ ჭელიძე მომდევნო, მეორე წიგნში აღუთქვამს მკითხველს საუბრის გაგრძელებას. ვისურვებდით, „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ავტორს კეთილად გაესრულებინოს ეს მართლაცდა მამულიშვილური საქმე.

**ემზარ კვიტაიშვილი**

# საზღვარგარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

### ახალგაზრდა ვერთერის ხელახალი მოვლინება

ამ ცოტა ხნის წინ, გდრ-ის წიგნის ბაზარზე გამოჩნდა საკმაოდ ვრცელი მოთხრობა სათაურით **«Die neuen Leiden des Jungen w»**. („ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი“); ამ სათაურმა, ცხადია, ყველას გაახსენა გოეთეს სახელგანთქმული რომანი **„Die Leiden des Jungen Werfhers“** („ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“); წიგნმა უმალ მიიპყრო ყურადღება და როგორც ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში, ისე მკითხველთა შორის დიდი აურ-ზაური გამოიწვია: ვინ არის ეს ჩვენი დროის ვერთერი, რა უნდა მას, რა აწუხებს, რაში მდგომარეობს მისი სატანჯველი? პლენცდორფის ნაწარმოები ხელიდან ხელში გადადიოდა. სულ მალე ორმა დრამატულმა თეატრმა — ჰალესა და პოტსდამში დადგეს ამ მოთხრობის ინსცენირება. ორივეს სპექტაკლს, განსაკუთრებით ჰალეს თეატრის წარმოდგენას, რომელიც ნაჩვენები იქნა ბერლინში გასტროლების დროს — დიდი წარმატება ხვდა. მალე იგი გამოჩნდა სხვა თეატრების, მათ შორის ორი ბერლინური თეატრის სცენაზეც. ამ წიგნისათვის ავტორს ჰაინრიჰ მანის სახელობის პრემია მიენიჭა.

მაგრამ აღტაცება ამ რომანით ერთსულოვანი არ ყოფილა, თავიდანვე ორი ურთიერთის გამომრიცხველი აზრი დაუპირისპირდა ერთი-მეორეს. პროფესორმა ფ. კ. კაულმა დაწერა ღია წერილი „ზინნ უნდ ფორმის“ რედაქციისადმი, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ ჩვიდმეტი წლის ბიჭი, ედგარ ვიბო, რომელიც გარბის მშობლიური ქალაქიდან და რომელსაც ესოდენ რთული, ხშირად კონფლიქტური ურთიერთობა აქვს სინამდვილესთან, და, იმავე დროს, ტანჯვით ეძებს თავის ადგილს ცხოვრებაში — ასეთი ახალგაზრდა კაცი, კაულის აზრით, ტიპიური არ არის გდრ-ის დღევანდელი ახალგაზრდობისათვისო. გარდა ამისა, პროფ. კაულს მკრეხელობად მიაჩნდა პარალელები პლენცდორფის მოთხრობის გმირისა და გოეთეს ვერთერს შორის, რამ აღაშფოთა და ააღელვა გოეთეს თაყვანისმცემლები? საქმე ის არის, რომ როცა შინიდან, გაქცეული ახალგაზრდა ედგარ ვიბო ოდერის ფრანკფურტში თავს შეაფარებს რომელიღაც მიტოვებულ სახლს, გადასწყვეტს იქ დაბინავებას. აქ სჯობია სიტყვა თვითონ პლენცდორფის პერსონაჟს — ახალგაზრდა ვიბოს დავუთმოთ; როცა შინიდან თავის გაქცევაზე მოგვითხრობს, ის ამბობს:

„არ იფიქროთ, რომ წასვლისას თან წიგნები წავიღე. არა, ორი ჩემი ყველაზე საყვარელი წიგნიც არ წამიღია. გადავწყვიტე — გამოვთხოვებოდი ყველაფერს, რითაც აქამდე ვცხოვრობდი. ის ორი წიგნი კი თითქმის ზეპირად ვიცოდი თავიდან ბოლომდე... საერთოდ, წიგნებზე მე აგრე ვფიქრობ: ყველა წიგნს, სულერთია, ვერ წავიკითხავ, თვით უკეთესობასაც კი... ამიტომ ეს ორი წიგნი ავირჩიე... ერთი იყო „რობინზონ კრუზო“... მეორე — სელინჯერი. ეს წიგნი შემთხვევით ჩამივარდა ხელთ... ვინმემ კი არ მირჩია წაიკითხეო. რომ ერჩიათ, ხელსაც არ მოვკიდებდი. ჰოი, რამდენჯერ ვინანე, როცა რეკომენდებული წიგნი წავიკითხე. აი, ასეთი დარტყმული ვარ — მე ყველა რეკომენდებული წიგნი სისულელე მგონია, კარგიც რომ იყოს, ეს კი — სელინჯერზე გეუბნებით, წელში გამაციებს ხოლმე, როცა გავიფიქრებ, რომ შეიძლებოდა ეს წიგნი ხელთ არ მომხვედროდა. ეს სელინჯერი — ძველი ვინმეა. როგორ ჰყავს აღწერილი ის ბიჭი, ამ დამპალ ნიუ-იორკში რომ დახეტიალობს, სახლში მისვლა არ უნდა, რადგან სკოლიდან აითესა, სულერთია იქიდან მალე გამოაპანღურებდნენ. პირდაპირ ჯიგარში ხვდება კაცს. მისამართი რომ მქონოდა, უეჭველად მივწერდი, ჩვენთან ჩამოდი-მეთქი. მით უფრო, ის ბიჭი, მგონი, ჩემი ხნის არის. ჩვენი მიტენბერგი, ნიუ-იორკთან შედარებით, რა თქმა უნდა, სოროა, მაგრამ მაინც აქ, ჩვენთან ზორბად დაისვენებდა. პირველ ყოვლისა, აქ მას ადვილად გადავუჭრიდით ამ აჩემებულ იდიოტურ სექსუალურ პრობლემებს. აი, ეს თითქმის ერთად-

ერთია, რაც ამ სელინჯერში მე ვერ გავუგე. ლაპარაკი ამაზე, ცხადია, ადვილია, როცა შენ ეს პრობლემები არ გაწუხებს. მარტო ერთი რამ შემიძლია ვთქვა: ყველამ, ვისაც ეს სიძნელეები წამოეჭრება, დაე, მოძებნოს სათავისო გოგო, ნაღდი წამალია. არ მინდა მეთქვა რომელიც ხელში მოგხვდება-მეთქი. ასე არა. მაგრამ აი, თუ შეამჩნევ, რომ გოგოსაც იმაზე ეცინება, რაზეც შენ, ეს, ბიჭებო, ყველაზე სწორი ნიშანია. მიტენბერგში, სელინჯერს, სულ ცოტა ორს მაინც ვუშოვიდი ისეთს, რომლებიც გაიცინებდნენ იმაზე, რასაც ის დასცინის. თუ არა და, ჩვენ იმათ, როგორმე ჩვენებურ ყაიდაზე გარდავქმნიდით".

მიტოვებული სახლის ბნელ საპირფარეშოში ედგარი რაღაც წიგნს იპოვნის, ჯერ ყდას მოაგლეჯს, მერე დასაწყის ფურცლებს, მერე — ბოლო ფურცლებს, სულ ერთია, ბოლოსიტყვაობას „არცერთი ძაღლიც კი არ კითხულობსო". მერე წამოიღებს ამ წიგნს, და ისე კითხულობს, რომ არ იცის რა წიგნია ეს და ვისი დაწერილია, მაგრამ აი მისი შთაბეჭდილებანი წაკითხვის შემდეგ:

„ისეთ ამბავს გეტყვით, კაცებო! ეს ტიპი, წიგნში რომ არის გამოყვანილი, ვერთერს ეძახიან სახელად — ბოლოს ტყვიას იკრავს შუბლში! ბახ, — და გათავდა, აღარ არის. გახვრიტა თავისი გოგრა, რაკილა ხელთ ვერ იგდო ის, რომლის ინტერესიც ჰქონდა. oო, თან როგორ ეცოდება თავისი თავი. ეს ბიჭი, იდიოტი რომ არ ყოფილიყო, უნდა შეემჩნია, რომ ის გოგო, ეს იმის შარლოტა, ჰა და ჰა, მარტო იმის მოლოდინში იყო, ნეტავ ეს ბიჭი *საქმეს როდის შეუდგებაო*! მე რას გეტყვით, იცით: მე რომ ეგრე მარტო დამტოვოთ გოგოსთან, თანაც ისიც ვიცოდე, რომ სულ ცოტა. ნახევარ საათში იქ ერთი ძაღლიც არ შემოვა, მაშინ *ყველაფერს* უმალ გავშანსავდი.

ბიჭებო! იქნება გოგოს ერთი სილაც ეჭმია ჩემთვის, მერე რაო?! ეს მაინც სჯობია, ვიდრე ასეთი კაი შანსი ხელიდან წაგვივიდეს. ეგეც არ იყოს, სილა შეიძლება გაგაწნან, ბევრი ბევრი, ათიდან ორ შემთხვევაში. ზუსტად გეუბნებით. ეს ვერტერი კი ასჯერ იყო იმ გოგოსთან მარტო, ერთი ერთზე; როცა პარკში სეირნობდა მასთან ერთად. ის კი რას ჩადიოდა? იმდენი უცქირა ეგრე, სანამ ის გოგო არ გაუთხოვდა. მერე, ბახ-და მორჩა. ეს უკვე ფინიში იყო.

ნამდვილად შემეცოდა, იცით? ის ქალი? შერჩა ხელთ თავისი ჩანჩურა ქმარი. ვერთერს ეს მაინც არ უნდა ეფიქრა? მერე კიდევ: ვთქვათ, იმ ქალს მართლაც ვერაფერი მოუხერხა. რაო, მერე, ამის გამო ტყვია უნდა იკრა გოგრაში? ტყეში და — მშვიდობით! ეს ტყეები მაშინ რამდენი იყო! კისერს მოვიჭრი თუ იმდენი ძმა-კაცები არ ეშოვნა, რამდენსაც მოისურვებდა. თუ გინდათ, იგივე თომას მიუნცერი და სხვებიც. აქ კი ყველაფერი ფეხებიდან არი გამოწოვილი. სისულელეა, მეტი არაფერი, ხოლო სტილი? საითაც უნდა გადააფურთხო, სულ, გული, სული, ნეტარება და ცრემლები. ნუ თუ ვინმე ასე ლაპარაკობდა, გაუშვი, თუნდაც სამასი წლის წინ? მთელი წიგნი, სულ წერილებია, ეს დარტყმული ვერთერი თავის მეგობარს რომ უგზავნის. შემთხზველი ალბათ ფიქრობდა, რომ ეს ძალიან ორიგინალური რამეა და თანაც ბუნებრივიო. ნეტავი იმას ჩემი სელინჯერი წაეკითხა. აი, სად არის სიმართლე, კაცებო! ყველაფერი ისე წერია, როგორც ცხოვრებაშია".

ასეთი ქუჩური ჟარგონით, ასე აგდებულად ლაპარაკმა გოეთეს გენიალურ ქმნილებაზე, ცხადია, გარკვეულ წრეებში აღშფოთება გამოიწვია. ამას ისიც დაემატა, რომ ედგარ ვიბოს — მე-20, ასე ვთქვათ, ვერთერს, თავისი შარლოტაც ჰყავს, რომელსაც ასევე მიმსგავსებული სახელი შერლი ჰქვია. აქვეა შარლოტას საქმროს ორეული, აქაც როგორც გოეთეს რომანში, ამბავი ტრაგიკულად თავდება, ახალგაზრდა ვიბო — უდროოდ იღუპება.

მაგრამ წიგნმა უმთავრესად ამიტომ კი არა, სხვა რამით მიიქცია ყურადღება;

მოთხრობის გმირი ახალგაზრდა ვიბო — რთული ხასიათია. მორალური სიწმინდე ამ ხასიათში როგორღაც შეერთებულია ოჯახისა და საზოგადოების წინაშე უპასუხისმგებლობასთან, ასევე თანაბრადაა შერწყმული აქ შეუთავსებელი რამ — ერთი მხრივ, დემონსტრაციული უსაქმობა და მეორე მხრივ — მიზანსწრაფული ენერგია. მოთხრობის ავტორმა მწვავედ დააყენა ახალგაზრდა კაცის ბედის პრობლემა, ცხოვრებაში გზის ამორჩევის პრობლემა და, გარდა ამისა, ერთგვარად პასუხი გასცა ე. წ. მარტოობისა თუ გაუცხოების ყბადაღებულ პრობლემას, რომელიც ესოდენ აწუხებს და აღელვებს დასავლეთის ლიტერატურას, განსაკუთრებით ეგზისტენციალიზმის გავრცელების შემდეგ.

მაგრამ გაუცხოებისა და მარტოობის დაძლევის პრობლემა სოციალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება იდგეს იმ კუთხით, არ შეიძლება იყოს ისე დაუძლეველი და გადაულახველი, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებშია, და როგორც მას ეგზისტენციალისტები ხატავენ; ეს ნათლად ჩანს პლენცდორფის ნაწარმოებშიც. ედგარ ვიბო შემთხვევით იღუპება მაშინ, როცა უკვე მოძებნა გზა ნებაყოფილებითი მარტოობიდან თავის დასაღწევად, როცა მას უკვე აეხილა თვალი, განთავისუფლდა ცინიზმისაგან, და ჩასწვდა ნამდვილი ადამიანური სიყვარულის აზრს, როცა იგებს, რომ თავისუფალი შრომა — ერთადერთი ხსნაა ადამიანისათვის. თავის მხრივ, მშენებელთა ბრიგადის მუშებიც

უკვე გაუგებენ ამ ახალგაზრდა კაცს, მზად არიან ხელი გაუწოდონ და საბოლოოდ გამოიყვანონ სწორ გზაზე, რომელსაც ის ხელის ფათურით ეძებს.

## *ნიკო ფიროსმანი და ანრი რუსო*

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველთვიურ ჟურნალ „ბილდენდე კუნსტში“, ერთ განსაზღვრულ თემასთან დაკავშირებით — ნაივურობის შესახებ მხატვრობაში — გამოქვეყნებულია სამი სხვადასხვა ავტორის წერილი. ავტორები მსოფლიოს პრიმიტივისტი მხატვრების ნამუშევართა მაგალითზე მსჯელობენ ამ მეტად რთულ და საინტერესო მოვლენაზე. უკანასკნელ წლებში — აღნიშნავს ჟურნალი, — ამ მეტად განსაკუთრებულმა ხელოვნებამ ძალიან დიდი ყურადღება მიიქცია, რადგან ამ მხატვრებმა, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული „ხელოვნების კანონებზე“ წარმოდგენა არა აქვთ, ღრმა შინაგანი მოთხოვნილების შედეგად შექმნეს ისეთი ბრწყინვალე ფერწერული ტილოები და ნახატები, რომ განცვიფრებაში მოჰყავთ ხელოვნებათმცოდნეები.

გერმანელი, ამერიკელი, იუგოსლაველი, ფრანგი და სხვა პრიმიტივისტი მხატვრების გვერდით წერილში განხილულია დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებაც და ერთ ფერწერულ ტილოს „უშვილო მილიონერი და ღარიბი ბავშვებით“ რეპროდუქციაცაა ჟურნალში დაბეჭდილი.

კერძოდ წერილში ავტორი, პეტერ მიჰელი, ერთმანეთს ადარებს ფრანგ ანრი რუსოსა და ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებას და ასეთ დასკვნამდე მიდის: „ამასთან დაკავშირებით საინტერესო განმარტებას იძლევა ანრი რუსოსა და „კავკასიელი რუსოს“ ნიკო ფიროსმანის (ფიროსმანაშვილის) შემოქმედება; იმ დროს, როდესაც ანრი რუსო მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ცხოვრობდა, რომელიც თავისი განვითარების იმპერიალიზმის სტადიაში იყო შესული, საქართველოში, თვითმპყრობელური რეჟიმის დროის ნახევრად ფეოდალურ ვითარებაში მუშაობდა თვითნასწავლი ნიკო ფიროსმანი... რუსოს ოცნება ლამაზ სამყაროზე ეგზოტიკისა და ფანტაზიის სამეფოში დაფრინავდა, და მისი საყოველთაოდ ცნობილი პროტესტი სისხლისღვრის წინააღმდეგ საფუძველშივე პაციფისტურია. მისმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ თავისი აზრების უფრო ნათლად ფორმულირებისათვის რუსოს საშუალება მისცა.

ნ. ფიროსმანის შეგნება ხალხის დაბალ ფენებთან მჭიდრო კავშირში განვითარდა. იგი თვითონ იყო ექსპლუატირებული, სოციალურად შევიწროებული და თავის თანამოძმეთა მიმართ შინაგან სიმპათიას განიცდიდა. იგი არ დაფრინავდა იდილიურ და ფანტასტიკურ სამყაროში, ორივე ფეხით მიწაზე იდგა და თავის ნაწარმოებებში სოციალური ურთიერთობის სურათებს ქმნიდა. იგი პროტესტს აცხადებდა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ და ამით უახლოვდებოდა კრიტიკული რეალიზმის პრინციპებს. ამის ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითია: უშვილო მილიონერი და ღარიბი ბავშვებით. ბრწყინვალე სიმდიდრეს აქ უპირისპირდება სიღატაკე. ეს დაპირისპირება თვალნათლივ ამჟღავნებს პრიმიტივისტი მხატვრის თანაგრძნობას შიმშილისათვის განწირულ ღატაკთა არსებობისადმი. ბევრ ფერწერულ ტილოში ფიროსმანი უბრალო საშუალებებით გადმოგვცემს სოციალურ ტიპებს: გულქვა მილიონერის გვერდით მსახური, გლეხი და ქედმაღალი თავადი. 1905 წელს ნ. ფიროსმანმა მუშათა მანიფესტაციაში მიიღო მონაწილეობა; მან ერთ-ერთი დემონსტრაცია და მოკლული რევოლუციონერის პორტრეტი დახატა.

იმ დროს, როცა ანრი რუსო თავისი გულის სიღრმეში მარტო დარჩა, ფიროსმანის შემოქმედებაში აისახა ქართველი ხალხის ხასიათი და გამოხმაურება ჰპოვა დამახასიათებელმა კლასობრივმა ურთიერთობამ კლასობრივმა კონფლიქტმა. ანრი რუსოს არ განუცდია არც საფრანგეთის გლეხთა თუ მუშათა რევოლუციური ტრადიციების, პარიზის კომუნის თუ თანამედროვე მუშათა მოძრაობის რევოლუციური იდეების ზემოქმედება. ფიროსმანს და რუსოს აერთიანებს ის, რომ ორივეს ხელოვნებამ მათს საზოგადოებაში ვერ ჰპოვა აღიარება, მაგრამ ორივე განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი დროის წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებისადმი თავიანთი პოზიციით“.

## *საფრანგეთი*

### ეჟენ იონესკოს პირველი რომანი

აბსურდის თეატრის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა დრამატურგმა ეჟენ იონესკომ პირველად მიმართა რომანის ჟანრს. ამ რომანის სახელწოდებაა „განდეგილი“, გამოსცა იგი საფრანგეთის გამომცემლობა „მერკურ დე ფრანსმა“.

რომანში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. მთხრობელი წვრილი მოხელეა; ვიდრე მან დიდი მემკვიდრეობა არ მიიღო, მთელი ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე სადად და უფერულოდ ცხოვრობდა ერთ გასაცოდავებულ ოთახში. მემკვიდრეობის მიღების შემდეგ იგი სამსახურს ტოვებს, იძენს მდიდრულ ბინას, უსაქმოდ დასეირნობს, მაგრამ კვლავ წინანდებურად განმარტოებულად და მოწყენილად ცხოვრობს.

მოულოდნელად სამოქალაქო ომი იწყება: სხვადასხვა ბანაკის „ფანატიკოსებს“ შორის

ქუჩის ბრძოლები იმართება. ყოველივე ეს რომანის მთავარი გმირის თვალწინ ხდება. იგი მიდის დასკვნამდე: პოლიტიკური შეჯახებების ერთადერთი მიზეზი აგრესიული ინსტინქტებია. იგი გადაწყვეტს ამ არეულ-დარეულობაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს. მარტოსული, ადამიანებისაგან განდგომილი თავს იცავს ძალადობისაგან, ბევრს ფიქრობს სიკვდილის გარდაუვალობაზე და თავის არსებობის ამაოებაზე. ერთადერთი, რაც მას ამშვიდებს — ესაა წარმოდგენა გაცისკროვნებულ სამოთხეზე, რომელიც მას ბავშვურ ნათელ სიზმრებში ეზმანება. განდეგილი მხოლოდღა იმ იმედით ცოცხლობს, რომ ოდესღაც ეს მოჩვენებები სინამდვილედ იქცევიან.

გაზეთ „მონდის" კრიტიკოსის, ბერტრან პუარო-დელპეშის აზრით მიუხედავად იმისა, რომ იონესკომ ახალ ჟანრში სცადა კალამი, ახლის თქმა ვერ შესძლო. „განდეგილის" გმირი მხოლოდ და მხოლოდ მორიგი სახეცვლილებაა პიესა „მარტორქას" გმირის ბერანჟესი. მისი მსჯელობა თვით იონესკოს ფიქრებია, რომელიც მან დიდი ხნის წინ გამოთქვა თავი ესეში და დღიურებში: სამყარო საშინელია, ყველა თეორიას ერთი ფასი აქვს, რადგან არც ერთ მათგანს არ შეუძლია გარდუვალი სიკვდილის შიშისაგან გაგვანთავისუფლოს. მთხრობელს თვითვე კარგად ესმის, რომ შეუძლებელია ასეთი მოთქმა-გოდება უსასრულოდ გაგრძელდეს. ამიტომ ზოგჯერ თვითკრიტიკულად შენიშნავს: „ფილოსოფოსობა საჭირო არ არის, თუ დიდი ფილოსოფოსი არა ხარ"; ან კიდევ „აჰ, ნეტავი ფილოსოფოსის ნიჭი მქონდეს". გმირის გულუბრყვილო სასოწარკვეთილება სრულ აპოლიტიზმამდე მიდის. მისი აზრით, თავდაპირველი აბსურდულობა ყველა არსებულ ბოროტებას ბადებს და არაფერს არ ძალუძს გამოასწოროს ეს პირველსაწყისი ცოდვა. იგი ამტკიცებს, რომ ეკზისტენციალური სევდა უცვლელი რჩება ცხოვრების მატერიალური პირობებისა და სოციალური ყოფიერებისაგან დამოუკიდებლად. ჩვენ კარგად ვიცით, საითკენ მიყავდა აპოკალიფსის ამგვარი მოყვარულები დრიო და სომელი ისტორიული ილუზიების გამოაშკარავებას — აცხადებს კრიტიკოსი ბ. პუარო-დელპეში (კრიტიკოსს მხედველობაში აქვს ოკუპაციის წლებში ცნობილი მწერლების ჰიტლერელებთან თანამშრომლობა).

კრიტიკოსი რომანის სტილს ბანალურად თვლის, რადგან იგი მოკლებულია იმ დამაჯერებლობის ძალას, რაც იონესკოს პირველ დრამატიულ ნაწარმოებებს ახასიათებდა.

და ბოლოს, კრიტიკოსი თვით წერილს ასე ამთავრებს: „იონესკო და მისი დუბლიორები მუდმივად აგონიზირებულთა შიშს განიცდიან. რომანს' მივყავართ თეიზმამდე. „ვაღიარებ, რომ მე მწამს ღმერთი", — ამბობს მთხრობელი. „განდეგილში" თავმოყრილია ყველაფერი ის, რაც დასავლეთში დარჩა რელიგიიდან, იმ დროს, როცა მისი უკვე აღარ სჯერათ".

## ბულგარეთი

### „ოქროს ეზოპე"

აქამდე უჩვეულო გამოფენა-ფესტივალი მოეწყო ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში. უჩვეულო იყო იგი მრავალნაირად: ჯერ ერთი ეს იყო სატირისა და იუმორის თავისებურად ერთადერთი გამოფენა ფესტივალი. მეორეც, ეს იყო კარიკატურის საერთაშორისო გამოფენის ფართო დემონსტრირება, ოცდაორი ქვეყნის 352 ავტორმა გამოფინა 467 ნაწარმოები; მესამეც, ამ გრანდიოზულ გამოფენა-ფესტივალში მხატვრების გარდა მონაწილეობდნენ ცნობილი მწერლები, არტისტები, კინორეჟისორები, ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები, რაც მთავარია სატირისა და იუმორის ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული კარიკატურისტი მხატვრები — ჟან ეფელი, ჰერლუფ ბიდსტრუპი, ერიკ ლიპინსკი და სხვ.

პირველი პრემია „ოქროს ეზოპეს" სახელწოდებით ჟიურიმ მიანიჭა თურქ მხატვარ-კარიკატურისტს ერდოგან ბოზოკს. გამოფენა ფესტივალი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, აჩვენებდნენ ახალ ფილმებს, იმართებოდა შეხვედრები და საუბრები. „მე არ მინახავს მეორე ასეთი დღესასწაული, აღსავსე მახვილგონიერებითა და გამომგონებლობით", განაცხადა ჟან ეფელმა.

აღსანიშნავი და მრავალის მეტყველია ის გარემოება, რომ გამოფენა-ფესტივალზე წარმოდგენილი ნაწარმოებები, ფესტივალის დახურვის შემდეგ საჩუქრად გადაეცა ქ. გაბროვის იუმორის სახლს.

## გფრ

### სანიმუშო მაგალითების ძიება

ზიგფრიდ ლენცის სახელი (დაბადებულია 1926 წ.) დიდიხანია გასცილდა გერმანული ლიტერატურის ფარგლებს. მისი მოთხრობები და რომანები მსოფლიოს სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი და საერთო მოწონებით სარგებლობს. ზ. ლენცის სახელი ჩვენშიც კარგადაა ცნობილი; რუსულ ენაზე თარგმნილია მისი მრავალი მოთხრობა და რომანი „გერმანული ენის გაკვეთილი". რამდენიმე მოთხრობა ქართულ ენაზედაც დაიბეჭდა.

და აი, ახლახანს დასავლეთგერმანულმა გამომცემლობამ „ჰოფმან უნდ კამპემ" 100.000-იანი ტირაჟით გამოსცა ზიგფრიდ ლენცის ახალი რომანი — „ნიმუში".

რომანის მოქმედება ჩვენი საუკუნის 60-იანი

წლების ჰამბურგში იშლება. რომანის მთავარი მოქმედი გმირები არიან მოხუცი პენსიონერი ვალენტინ ჰუნდტი, ახალგაზრდა კლოუნი იან ჰელერი და რიტა ზისფელდი. ისინი გადასწყვეტენ საყოველთაოდ საკითხავი ქრესტომათია შეადგინონ. პირველი ორი განყოფილების „შრომა და დღესასწაულები“, „სამშობლო და უცხო მხარეები“ შედგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ქრესტომათიის შემდგენლები როგორც კი მესამე თავს „მისაბაძ მაგალითებსა და თავგადასავლებს“ — მიადგნენ, საქმე გართულდა და რთული ამოცანის წინაშე დაადგნენ: რა უნდა მიეჩნიათ ცხოვრებისეულ ნიმუშად?

შემდგენლები გულმოდგინედ ეძებენ სანიმუშო მაგალითებს, ათვალიერებენ სხვადასხვა წიგნებს, კითხულობენ ბიოგრაფიებს, მაგრამ შეთანხმება ვერაფრით ვერ შესძლეს. ამ პრობლემებთან დაკავშირებით მათ საკუთარ ცხოვრებისეული საკითხებზე ჩაფიქრება უხდებათ.

ასე, მაგალითად, მოხუც ჰუნდტის დაბეჯითებით სურს გაერკვეს შვილის თვითმკვლელობის მიზეზებში; იან ჰელერი ბევრს ფიქრობს ცოლთან მომავალ განხეთქილებაზე. რიტა ზიუსფელდი აცხადებს, რომ ზოგჯერ თავის განწირვაც კი უსარგებლოა. ახალგაზრდა მასწავლებელი თითქოს შესაფერის მაგალითს მიაკვლევს — ესაა სახელგანთქმული ბიოლოგის ლუსი ბეერბაუმის ცხოვრება, მან პოლკოვნიკების დიქტატურის დამყარების შემდეგ ციხეში მოხვედრილ ბერძენ მეგობრებთან სოლიდარობის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა და გარდაიცვალა; მაგრამ ეს პროტესტი უშედეგო იყო, მას რეალური სარგებლობა არ მოუტანია.

საბოლოოდ, შემდგენელთათვის პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება. ისინი აღიარებენ თავიანთ უუნარობას — ამ საკითხების გადაწყვეტა არ შეგვიძლიაო. ავტორი მოუწოდებს მკითხველებს ჩაუფიქრდნენ ამ პრობლემას:

„დაე, მკითხველებმა იფიქრონ ამაზე — წერს გაზეთი ფრანკფურტერ ალგემაინე“, დაე, იფიქრონ მორალურ ფასეულობაზე, ამ წიგნზე, სადაც ასე უხვადაა ასახული ჩვენი დროის დამახასიათებელი მხარეები“.

### *იუგოსლავია*

### „თავდასხმა სარაევოში“

მეოცე საუკუნის ათიან წლებში სარაევოში მომხდარი თავდასხმა მსოფლიო ისტორიაში საბედისწერო გამოდგა და ეს საბედისწერო აქტი დღემდე არ კარგავს დიდ ინტერესს არა მხოლოდ დიპლომატთა და ისტორიკოსთა წრეებში, არამედ ხელოვანთა შორის. ამის დადასტურებაა ის რომ იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფისტებმა გადასწყვიტეს მიმდინარე წლის ზაფხულში შეუდგნენ ერთობლივი მხატვრული ფილმის გადაღებას, რომლის სათაური იქნება „თავდასხმა სარაევოში“.

ამ მხატვრული ფილმის გადაღების თაობაზე ხელშეკრულება დასდო იუგოსლავიის „იადრან-ფილმის“ და „კინემას“ სტუდიებმა და ჩეხოსლოვაკიის „ბარანდოვმა“. ფილმს დგამს იუგოსლავიელი რეჟისორი ველკო ბულაიჩი, იგი ჩვენში ცნობილია ფილმებით „კოზარა“ და „ბრძოლა ნერეტვეზე“, რომლებიც ეძღვნება იუგოსლავიელების ბრძოლას გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

ველკო ბულაიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: ჩვენ შევეცდებით ახალი შუქი მოვფინოთ სარაევოს ამბებს, რომელიც დიდი ხანია მსოფლიო კინემატოგრაფისტთა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ჩვენი ამოცანაა სიმართლით და ობიექტურად ავხსნათ იმ დროის ამბები.

### *რუმინეთი*

### მსოფლიო პოეტთა რჩეული ლექსების კრებული

„თანამედროვე მსოფლიო პოეზიის პანორამა“ —— ასე ეწოდება წიგნს, რომელშიც შევიდა XX საუკუნის ასი პოეტის რჩეული ლირიული ნაწარმოებები შედგენილი რუმინელი პოეტისა და მთარგმნელის ა. ბაკონსკის მიერ. წიგნი გამოვიდა ბუქარესტში, გამომცემლობა „ალბასტროში“. წიგნში წარმოდგენილ პოეტთა შორის არიან რაფაელ ალბერტი, ფედერიკო გარსია ლორკა, ანტონიო მაჩადო, გაბრიელა მისტრალი, გიომ აპოლინერი, ეუჯენიო მონტალე, ჩეზარე პავეზე, თომას ს. ელიოტი, რობერტ ფროსტი, ბერტოლტ ბრეჰტი, არტურ ლუნდკვისტი, კონსტანტინ კავაფისი, ენდრე ადი, ატილა იოჟეფი, ნაზიმ ჰიქმეთი, მეჩისლავ იასტრუნი, ვიტეზსლავ ნეზვალი, ალექსანდრე ბლოკი, სერგეი ესენინი, ცნობილი რუმინელი პოეტები ტუდორ არგეზი, ჯორჯე ბაკოვია, იონ ბარბუ, ლუჩიან ბლაგა და სხვები.

ყოველ ლექსს თან ახლავს დაწვრილებითი ცნობები მათი ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. კრებული გვაცნობს იმ ლიტერატურული მიმდინარეობის ისტორიას, რომელთაც მიეკუთვნებიან ეს პოეტები.

### *სირია*

### რომანი პალესტინის ტრაგედიაზე

პალესტინელი არაბების ტრაგიკული ბედი თანამედროვე სირიული და საერთოდ არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. სირიელი პოეტები, მწერლები, დრამატურგები თავიანთ ნაწარმოებებში მუდმივად მიმართავენ ამ თემას.

ამას წინათ, ჟურნალ „ალ-ადაბის“ ცნობით, გამოვიდა სირიელი მწერლის, დოქტორ ბადია ხაკის რომანი „ოცნებანი დაჭრილ სანაპიროზე“, რომლის ცენტრში დგას შორეულ და საყვარელ მხარეზე დანაღვლიანებული პალესტინელი ლტოლვილის სახე.

## ნიდერლანდები

### დარტანიანის უკვდავი სახე

მსოფლიო ლიტერატურაში არის ბევრი პოპულარული გმირი, მაგრამ გასკონელ დარტანიანს მათ შორის ალბათ ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. დიუმა-მამას მიერ უკვდავყოფილი გმირი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით არის შემოსილი. მაგრამ ბევრმა არც იცის, რომ მეფის მუშკეტერების ამ მხიარულ და გამბედავ კაპიტანს ცხოვრებაში რეალური პროტოტიპი ჰყავდა. იმ პიროვნების ნამდვილი სახელი და გვარი ასეთია: შარლ დე ბატც კასტელმორ დარტანიანი. ეს კაცი ნამდვილად მსახურობდა საფრანგეთის მეფის კარზე და გამოირჩეოდა არნახული სიმამაცით.

ამ რამდენიმე ხნის წინ შარლ დე ბატც კასტელმორ დარტანიანის დაღუპვიდან ზუსტად 300 წელი გავიდა. იგი დაიღუპა ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიჰტის ალყის დროს. ამასთან დაკავშირებით, მაასტრიჰტში ჩატარდა რეალური დარტანიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი. როგორც პრესა იტყობინება დარტანიანის შთამომავლები სათუთად ინახავენ თავიანთი შორეული წინაპრის ხსოვნას.

67

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ